თომას შარაშენიძე

დიპლომატიის ისტორია

1920–1939

თორნიკე შარაშენიძე
დიპლომატიის ისტორია 1920-1939

რედაქტორი ნინო გოგალაძე
დიზაინერი ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი გიორგი ლომსაძე

ტექსტი © თორნიკე შარაშენიძე, 2021
გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2021
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-723-2

Tornike Sharashenidze
HISTORY OF DIPLOMACY 1920-1939

Text © Tornike Sharashenidze, 2021
Edition © Sulakauri Publishing, 2021
All rights reserved.

Published by Sulakauri Publishing, Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

შინაარსი

თავი 1. ნახევრად დამარცხებული და ნახევრად გამარჯვებულები

„უწმინდური“ ალიანსი 7
ტრიუკების ოსტატის პირველი შემოსვლა 12
„ოკუპანტი“ უკან იხევს 20
ორნი ქალაქში 23
კობას ნაბიჯები სტალინობამდე 28
გედი, კიბორჩხალა და ქარიყლაპია 35

თავი 2. ორი იმპერია და მათი განსხვავებული გზები

მიძინებული გიგანტი 44
50 წელი და მისი განსხვავებული შედეგები 48
კომინტერნი და აზიელი ლენინი 57
ჩინური გაერთიანება 62

თავი 3. დასასრულის დასაწყისი

უბედურება მარტო არ მოდის ხოლმე 70
აღმოსავლური ტრაგედია დასავლური გაფორმებით 73
ტრიუკების ოსტატის საბოლოო შემოსვლა 79
პრაგმატული და მოჩვენებითი მშვიდობის მტრედები 84

თავი 4. ტრიუკების ოსტატი საქმეში

როგორ გავწყვიტოთ ჯაჭვი 94
ორი დაბრკოლება 98
შაბათ-კვირის ტრიუკები 105
შავი უბედურება რეალობაში 112

თავი 5. ახალი ბზარები

დუჩეს ოქრო 122
მაჟინოს ჩრდილში 125
დონ კარლოსიდან ფრანკომდე 131
არჩარევა ფაშისტურად და კომუნისტურად 140

თავი 6. ომი ევრაზიის ორთავ მხარეს

როდის დაიწყო მეორე მსოფლიო ომი 153
ევროპის ესპანური სარკე 163
კონსოლიდაცია გერმანულად 170

თავი 7. ვენიდან მიუნხენამდე

დაბრუნება სამშობლოში 180
ეული დემოკრატია და დამშოშმინებლები 188
შეთქმულება 194
კაპიტულაცია 198

თავი 8. პრაღიდან ვარშავისაკენ

პოსტმიუნხენი 213
ომის კორიდორი 220
უკანასკნელი კომედია რაიხსტაგში 226

თავი 9. ყველას გზა მოსკოვისაკენ მიდის

სტალინი 1939 წელს 235
ოთხმხრივი თამაში 241
იხვებზე მონადირეები 247
უწმინდური „ალიანსი“ 256

თავი 10. მეოთხე გაყოფის თავისებურებები

შოკი ევრაზიის ორთავ მხარეს 265
დაუსრულებელი ერთი კვირა 267
გამოცხადება 283

ბოლოთქმის მაგიერ 291

თავი 1. ნახევრად დამარცხებული და ნახევრად გამარჯვებულები

„უწმინდური“ ალიანსი

1922 წლის აპრილში გენუის გზას დაადგა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრ გიორგი ჩიჩერინის მეთაურობით. იმ ევროპელ დიპლომატებს, რომელთაც საბჭოთა კოლეგებზე ბრესტის ზავის შემდეგ ბევრი არაფერი სმენოდათ, დიდი სიურპრიზი ელოდათ. თუკი ბრესტში რუსეთს ექსცენტრიკული, უცნაურად ჩაცმული და გაუგებარ თემებზე მოსაუბრე ბოლშევიკები წარმოადგენდნენ მსოფლიო რევოლუციაზე მეოცნებე ტროცკის მეთაურობით, ახლა მათი ადგილი ნორმალურ ადამიანებსა და ტიპურ ევროპელ დიპლომატებს დაეკავებინათ. თავად ჩიჩერინი, მართალია, ერთი მხრივ, მარქსისტი და რევოლუციის მოტრფიალე, მაგრამ, მეორე მხრივ, არისტოკრატული წარმოშობის პროფესიონალი დიპლომატი იყო, პოლიგლოტის ნიჭით დაჯილდოვებული, მუსიკის გურმანი და მოცარტის შემოქმედებაზე წიგნის ავტორი.

გენუაში დიდი კონფერენცია უნდა გამართულიყო, რომლის მთავარი შემოქმედიც ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლოიდ-ჯორჯი გახლდათ. ომის დამთავრებიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული და ევროპა ეკონომიკური კრიზისიდან კვლავაც ვერ გამოდიოდა. ომი განსაკუთრებით ძვირი დაუჯდა ინგლისს – მან არა მხოლოდ დიდძალი ვალები დაიდო (ამას ვერც საფრანგეთი ასცდა), არამედ მსოფლიო ბანკირის სტატუსიც დაკარგა. ტერიტორიითა და რესურსებით ღარიბი ინგლისისათვის ეს მეტად მტკივნეული დარტყმა იყო, მით უმეტეს, რომ აღარც მისი იმპერია გახლდათ ის, რაც ომამდე – დომინიონთა ნაწილმა რეალურად დამოუკიდებლობა მოიპოვა, დარჩენილის კონტროლი კი საკმაოდ ჭირდა. ინგლისი ვეღარც ზღვაზე ლიდერობდა – აქ მას უკვე ოფიციალურად გაუთანაბრდა მსოფლიოს ახალი ბანკირი, ამერიკა. ფლოტიცა და იმპერიაც ძვირ სიამოვნებად იქცა და, შესაბამისად, ლოიდ-ჯორჯის მთავრობა იძულებული იყო, უპირველესად ეკონომიკაზე ეფიქრა. საამისოდ ინგლისი, ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, იმაზეც კი წავიდა, რომ

დასავლეთისგან იზოლირებული საბჭოთა რუსეთი დე ფაქტო აღიარა და მასთან სავაჭრო შეთანხმება დადო. იმ დროისათვის უკვე აშკარა გახდა, რომ რუსეთი კომუნისტებს დარჩათ, ამიტომაც პრანჭვას აზრი აღარ ჰქონდა და ინგლისელებმაც გადაწყვიტეს, ყველასათვის დაესწროთ.

ცხადია, ეს ყველაფერი ინგლისელების გარდა სხვებსაც ესმოდათ და ანტანტის უმაღლესმა საბჭომ 1922 წლის დასაწყისში განიზრახა, მოეწვია კონფერენცია რომელზეც ბოლოს და ბოლოს მოუხმობდნენ როგორც რუსეთს, ასევე დამარცხებული ბლოკის სახელმწიფოებსაც, მათ შორის გერმანიას. კონფერენციას ძირითადად ეკონომიკური საკითხები უნდა განეხილა. ასეთი საკითხებიდან ყველას უპირველესად აწუხებდა გერმანიის მიერ გადასახდელი რეპარაციები და რუსეთის ვალები. ორივე საკითხში პრობლემები იყო. საბჭოთა რუსეთის მთავრობა იმპერიის დროინდელ ვალებს არაფრით არ აღიარებდა და ასევე არ სურდა კომპენსაციის გადახდა უცხოელებისგან მიტაცებული ქონების სანაცვლოდ. ხოლო რაც შეეხება გერმანიას, მან 1921 წლის მაისში რეპარაციის პირველი ნაწილი, 250 მილიონი დოლარი, როგორღაც გადაიხადა, მაგრამ ეს იყო და ეს. გრაფიკით მას კიდევ ყოველი წლის დასაწყისში 500 მილიონის გადახდა უწევდა. დადგა 1922 წელი და აშკარა გახდა, რომ გამარჯვებულები გერმანიისგან ამ ფულს ვერ მიიღებდნენ – ქვეყანას ამის არც შესაძლებლობა გააჩნდა და არც, მით უმეტეს, სურვილი. ფრანგები საპასუხოდ ბევრს ვერაფერს ახერხებდნენ, რადგან გერმანია ლონდონის ფარული მხარდაჭერით სარგებლობდა (იქ ომში დამარცხებული ქვეყანა დიდ პრობლემად აღარ ესახებოდათ). ამავე დროს, ფრანგებს ისიც კარგად ესმოდათ, რომ გერმანიაზე დაკისრებული რეპარაციები არარეალისტური და უსამართლო იყო. ამიტომ, რაც უნდა უცნაურად ჩანდეს, ფრანგებისავე მოთხოვნით გენუის კონფერენციის დღის წესრიგში რეპარაციების საკითხი ოფიციალურად არ შეუტანიათ – ასეთ შემთხვევაში ჩნდებოდა საშიშროება, რომ რეპარაციებს შეამცირებდნენ, გერმანია მათ უმტკივნეულოდ გადაიხდიდა, მალე ისევ დადგებოდა ფეხზე და შურს იძიებდა.

ეს იყო ფრანგების კოშმარი, რომელთან ბრძოლის ყველაზე ნაღდ იარაღად მათ ისევ გაბერილი რეპარაციები წარმოედგინათ – სანამ გერმანია მათ იხდიდა, ფეხზე დადგომის არავითარი შანსი არ ჰქონდა. სხვა რამის დიდი იმედი პარიზში არ ჰქონდათ, მათ შორის – არც 1920-21 წლებში გაფორმებული ალიანსებისა და ე.წ. მცირე ანტანტის იმედი. ამ

პერიოდში საფრანგეთის მოკავშირეებად იქცნენ ბელგია და პოლონეთი. პოლონეთმა რუმინეთთანაც გააფორმა ალიანსი. გარდა ამისა, ორმხრივი ურთიერთშეთანხმებები გააფორმეს იუგოსლავიამ, ჩეხოსლოვაკიამ და რუმინეთმა. სწორედ ამ სამი სახელმწიფოს კავშირს ეწოდა მცირე ანტანტა. თავდაპირველი ჩანაფიქრით იგი უნგრეთის შესაკავებლად იყო მიმართული და, თუ საქმე მოითხოვდა, წესით, გერმანიის წინააღმდეგაც უნდა ემოქმედა. მაგრამ ომის მძიმე გამოცდილების გათვალისწინებით, ეს ყველაფერი ქაღალდზეც კი არ ჩანდა დიდ მიღწევად. პოლონეთი მცირე ანტანტასთან ერთადაც კი ვერ გაუტოლდებოდა რუსეთის იმპერიას, რომელიც აღარც ძველი სახით არსებობდა და აღარც საფრანგეთის მოკავშირე იყო. ცხადია, საბჭოთა რუსეთთან ფრანგებს მოლაპარაკება შეეძლოთ, მაგრამ კომუნისტების საშინელი იმიჯიდან გამომდინარე, ამას ვერ ბედავდნენ და არც დიდი იმედი ჰქონდათ იმისა, რომ რევოლუციური იდეალებით შეპყრობილი მოსკოვი მათთან ალიანსს გააფორმებდა.

რუსებისა და გერმანელების მოწვევით ორი კურდღლის დაჭერის შანსი ჩნდებოდა: მიუხედავად იმისა, რომ კონფერენცია ვალების საკითხს ოფიციალურად არ ეხებოდა, რუსეთს მაინც შეეძლო რეპარაციებში თავისი წილი მოეთხოვა (ამას ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება ითვალისწინებდა კიდეც). ამგვარად, გერმანია დიპლომატიურ იზოლაციაში აღმოჩნდებოდა და გადახდის გრაფიკს დაუბრუნდებოდა. ოღონდ ამ პრივილეგიის სანაცვლოდ რუსეთს საკუთარი ვალების აღიარება მოუწევდა. მოკლედ, რუსეთი და გერმანია ერთმანეთის წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინათ.

მაგრამ ჩიჩერინი ჯერ კიდევ გენუამდე ეცადა, ყველაფერი პირიქით მომხდარიყო. მისი დელეგაცია ჯერ 29 მარტს რიგას ესტუმრა, სადაც ადგილობრივ კონფერენციაში ლატვიელების გარდა პოლონელები და ესტონელები მონაწილეობდნენ. კონფერენციას განსაკუთრებული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ რუსებმა სიმბოლურად მაინც ჩაიწერეს თავიანთ აქტივში დიალოგი იმ ქვეყნებთან, რომლებიც სწორედ რომ ანტიკომუნისტური ფრონტის წარმომადგენლებად განიხილებოდნენ. ამის შემდეგ დელეგაცია ბერლინში ჩავიდა და გერმანელებს ორმხრივი აღიარება და პრეტენზიებზე უარის თქმა შესთავაზა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალტერ რატენაუმ საპასუხოდ შემხვედრი წინადადება წამოაყენა, რომელიც გერმანიისათვის ეკონომიკურ პრივილეგიებს ითვალისწინებდა. რუსებისათვის აშკარა გახდა, რომ

გერმანელებს უბრალოდ არ სურდათ, გენუის კონფერენციამდე ისეთი საკამათო ნაბიჯი გადაედგათ, როგორიც იყო საბჭოთა რუსეთის ფორმალური აღიარება, და წინადადებაზე უარის სათქმელად მიზეზს ეძებდნენ. შედეგად, ჩიჩერინი ბერლინიდან ხელცარიელი, მაგრამ კარგად ინფორმირებული წავიდა.

გენუაში კი თავიდან ჩიჩერინის ნაცვლად თვით ლენინს ელოდნენ. მაგრამ მოსკოვში გადაწყვიტეს, რომ საბჭოთა ბელადისათვის არც ისე უსაფრთხო იქნებოდა ევროპაში გამგზავრება – იქ საკმარისზე მეტად იყვნენ ძველი რეჟიმის მომხრეები და წარმომადგენლები, რომლებიც შურისძიებაზე ოცნებობდნენ. ლენინი მოსკოვში დარჩა (და საბჭოთა პროპაგანდამ ისე გააფორმა, თითქოს ეს „მშრომელი ხალხის დაჟინებული მოთხოვნით“ მოხდა), მაგრამ ჩიჩერინს იქიდან აკონტროლებდა და უბრძანებდა, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმებულიყო ვალების აღიარებაზე. მისი აზრით, კარგი იქნებოდა, თუკი კონფერენცია საერთოდ ჩაიშლებოდა კიდეც, ოღონდაც ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ რუსეთის დელეგაციას არ დაბრალებოდა. თავად ჩიჩერინი კი ლენინს ურჩევდა, რომ რუსეთს თეორიულად ეღიარებინა ვალები, რის სანაცვლოდაც იგი ევროპისგან დიპლომატიურ აღიარებას და ასევე მეტად საჭირო სესხებს მიიღებდა, ვალების გასტუმრებას კი მაქსიმალურად გააჭიანურებდა. მაგრამ ბელადი შეუვალი იყო: არანაირი კომპრომისი ბურჟუებთან და იმპერიალისტებთან.

სანამ გენუაში ჩასულები უშუალოდ ვალების საკითხის განხილვას შეუდგებოდნენ, ჩიჩერინმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რომელსაც თავად კონფერენციის შედეგებზე დიდი გავლენა ვერ მოუხდენია, მაგრამ, სამაგიეროდ, სათავე დაუდო საბჭოთა დიპლომატიისა და პროპაგანდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას – მშვიდობის მტრედის თამაშს. რუსეთი ყველას საყოველთაო განიარაღებასა და მშვიდობას სთავაზობსო, – აცხადებდა ჩიჩერინი. ეს გზავნილები არა იმდენად დასავლეთის მთავრობებზე, რამდენადაც რიგით მოქალაქეებზე იყო გათვლილი. რუსეთი მათ თვალში მშვიდობიან ქვეყნად უნდა წარმოჩენილიყო, რის შედეგადაც დასავლეთის მთავრობებს მოსკოვის წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკაზე უარის თქმა მოუწევდათ, ანგარიშს გაუწევდნენ რა თავიანთ მოქალაქეებსა და საზოგადოებრივ აზრს. იმ პერიოდში საბჭოთა რუსეთი სუსტი და იზოლირებული იყო, მის ხელისუფლებას დასავლური ინტერვენციის გულწრფელად ეშინოდა და, შესა-

ბამისად, მშვიდობის ქადაგებასა და პროპაგანდას ნამდვილად ჰქონდა გამართლება და აზრი. თუმცა ეს პროპაგანდა მოგვიანებითაც გაგრძელდა (როცა უკვე მოსკოვს ძნელად თუ ეშინოდა ვინმესი) და საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლომდე არ შეწყვეტილა. მთელი მსოფლიოს მშრომელთა დამცველისა და, ამავე დროს, მშვიდობის მტრედის როლი ერთობ მომგებიანი იყო.

გენუაში ამ პროპაგანდამ დიდხანს ვერ იმუშავა, რადგან იქაურ აუდიტორიას არა რიგითი მოქალაქეები, არამედ გამოცდილი პოლიტიკოსები და დიპლომატები წარმოადგენდნენ. კონფერენციის მეორე დღესვე (11 აპრილი, სამშაბათი) მშვიდობის მტრედის ეფექტმა გაიარა და ჩიჩერინს საქმეზე საუბარი და ვალების აღიარება მოსთხოვეს. რუსული დელეგაცია მარტო აღმოჩნდა ინგლისელების, ფრანგების, იტალიელებისა და ბელგიელების პირისპირ. რუს მინისტრს დრო გაჰყავდა და როცა ძალიან გაუჭირდა, მოიმიზეზა, რომ მოსკოვიდან სჭირდებოდა თანხმობის მიღება. ამასობაში, შაბათ-კვირა დადგა...

ეს დღეები ჩიჩერინზე არანაკლებ მძიმე რატენაუსთვის გამოდგა. გერმანელთა მინისტრი და მისი დელეგაციის წევრები ძალიან ნერვიულობდნენ იმ ფაქტზე, რომ ინგლისელები, ფრანგები და რუსები მათ გარეშე ხვდებოდნენ ერთმანეთს. შეხვედრებიდან გაურკვეველი ხმები გამოდიოდა და რატენაუს სრული საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ომის დროინდელი მოკავშირეები გერმანიის ხარჯზე მიაღწევდნენ რაიმე შეთანხმებას. ამიტომ, როცა 15 აპრილის გვიან საღამოს მის დელეგაციას მოულოდნელად რუსები დაუკავშირდნენ და შეხვედრა სთხოვეს, მინისტრს ბევრი არ უფიქრია. მეორე დღესვე რუსები და გერმანელები გენუის ახლოს მდებარე ქალაქ რაპალოში შეიყარნენ და სწრაფად გააფორმეს ის შეთანხმება, რომელზეც ჯერ კიდევ ბერლინში მსჯელობდნენ: ერთმანეთის აღიარება და პრეტენზიებზე უარის თქმა. რუსეთის სახით გაჩნდა სახელმწიფო, რომელიც გერმანიისგან რეპარაციებს არ ითხოვდა; მეორე მხრივ, გერმანიის სახით გაჩნდა სახელმწიფო, რომელიც რუსეთისგან ვალებს არ ითხოვდა. ეს ფაქტი მომავალში ორივეს პოზიციას გააძლიერებდა.

რაპალოში დაგეგმილი შეხვედრის შესახებ ლოიდ-ჯორჯმაც შეიტყო, რომელიც კონფერენციის პირველი დღეებიდან მოყოლებული, გერმანელებს რატომღაც დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა იაზრა, რაც უნდა მომხდარიყო და რატენაუ სასწრა-

ფოდ თავისთან მიიპატიჟა. ეს უკანასკნელი წამით შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ, როგორც იტყვიან, ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი არჩია და ხელი მოაწერა მოსკოვთან შეთანხმებას, რომელსაც ნამდვილი ბომბის ეფექტი ჰქონდა. ინგლისურმა პრესამ იგი უწმინდურ ალიანსადაც კი მონათლა (მეტერნიხისეულ წმინდა ალიანსზე მინიშნებით). ისტერიკას აძლიერებდა ეჭვი, რომ რუსულ-გერმანული შეთანხმება საიდუმლო მუხლებსაც მოიცავდა. ეს ასე არ იყო, თუმცა შეთანხმებამ მხარეებს საშუალება მისცა, 20-იან წლებში ფარულად ეთანამშრომლათ მთელ რიგ სფეროებში. ვერსალის ხელშეკრულებით შეზღუდული გერმანელი სამხედროები რუსეთის ტერიტორიაზე წვრთნებს გადიოდნენ, ასევე ახალ შეიარაღებას ცდიდნენ და აწარმოებდნენ. სწორედ ასე ჩაეყარა საფუძველი გერმანიის შეიარაღებული ძალების სასწაულებრივ ფეხზე დადგომას ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ.

გენუის კონფერენცია გაგრძელდა და კიდევ თვეზე მეტს გასტანა, მაგრამ მას დიდი აზრი აღარ ჰქონდა. ჩიჩერინი ახლა გაცილებით იოლად მანევრირებდა – პრობლემების განხილვაზე უარს კვლავაც არ ამბობდა, მაგრამ კონკრეტულ ვალდებულებებს არ იღებდა. საბოლოოდ გადაწყდა, რუსული საკითხი მომავალ კონფერენციაზე განეხილათ, რომელიც მალე ჰააგაში უნდა მოეწვიათ. ალბათ ლაპარაკიც არ ღირს იმაზე, რომ რუსებს ვერც ჰააგაში მოუხერხეს ვერაფერი. ის, რაც ვერ შეძლეს რაპალომდე, მით უმეტეს ვერ შეძლებდნენ რაპალოს შემდეგ. მით უმეტეს, რომ ამასობაში გერმანელები კიდევ უფრო გაჯიუტდნენ და მთელი ყურადღება მათზე გადავიდა.

ტრიუკების ოსტატის პირველი შემოსვლა

1919 წლის 12 სექტემბერს მიუნხენის ერთ-ერთ პატარა ლუდხანაში, ე.წ. გერმანიის მუშათა პარტიის შეკრებაზე მივიდა ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული ადამიანი, რომლისთვისაც თავიდან დამსწრეებს არანაირი ყურადღება არ მიუქცევიათ. იგი შეკრებაზე არმიის პოლიტიკური დეპარტამენტის დავალებით გახლდათ მიგზავნილი. იმხანად ჯარი გერმანიაში სტაბილურობის ერთადერთი გარანტი იყო და სხვა ყველაფერთან ერთად საეჭვო პოლიტიკურ პარტიებსაც აკვირდებოდა. მიგზავნილი რამდენიმე საათი მოთმინებით ისმენდა პარტიის წევრთა გამოსვლებს, შემდეგ კი, როცა ერთ-ერთმა მათგანმა ბავარიის გერმა-

ნიისგან გამოყოფასა და ავსტრიასთან გაერთიანებაზე დაიწყო საუბარი, იგი უეცრად აენთო, სიტყვა მოითხოვა და სეპარატისტ გამომსვლელს თავს დაატყდა. მისმა გამოსვლამ დამსწრეები ნამდვილ შოკში ჩააგდო. ასეთ დამაჯერებელ, ასეთ ემოციურ ლაპარაკს ისინი პოლიტიკოსებისგან მიჩვეულნი არ იყვნენ და ეს, მით უმეტეს, მოულოდნელი იყო ვიღაც შემთხვევით შემოსწრებულისგან. განსაკუთრებით მონუსხულები ჩანდნენ პარტიის დამფუძნებლები – ანტონ დრექსლერი და დიტრიხ ეკარტი. პირველი მათგანი პროფესიით ზეინკალი გახლდათ, მეორეს კი გაცილებით საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა: პოეტი, დრამატურგი, ჟურნალისტი და, რაც მთავარია, რასიზმის თეორიის მთავარი ავტორი.

ეკარტის თეორიის შინაარსი საკმაოდ მარტივი გახლდათ: არსებობდა არიელთა რასა, რომელიც წარმოშობით ატლანტიდიდან იყო. სილამაზითა და ჭკუით გამორჩეული ამ ხალხის შთამომავლებს დედამიწაზე ტევტონები ანუ, ძირითადად, გერმანელები წარმოადგენდნენ. მაგრამ, საუბედუროდ, არიულ რასას ასუსტებდა სხვა, უფრო დაბალ რასებთან, უპირველესად კი – ებრაელებთან, შერევა. ის, რაც გერმანიაში ხდებოდა, სწორედ ებრაელების და, ასევე, ბოლშევიკების ბრალი იყო, რომელთაც არიელთა განადგურება ჰქონდათ ჩაფიქრებული...

ეს გიჟური მოძღვრება არ გაჩნდებოდა, რომ არა პირველ მსოფლიო ომში დამარცხებით გამოწვეული შოკი და სასოწარკვეთა. საერთოდ, გერმანელებს სჩვეოდათ მძიმე განსაცდელისას ახალი და ორიგინალური თეორიების შექმნა, რომელთა მიზანიც ხალხისათვის გადარჩენის იმედის ჩასახვა იყო. ჯერ კიდევ 1807 წელს (ნაპოლეონის მიერ პრუსიის განადგურების შემდეგ) დაიწყო ცნობილმა ფილოსოფოსმა იოჰან ფიხტემ თავის ლექციებში საუბარი გერმანელი ხალხის უნიკალურობასა და განსაკუთრებულ მისიაზე. ფიხტე ფიხტე იყო და ამაზე შორს არ წასულა, მით უმეტეს, რომ პრუსია რამდენიმე წელიწადში გათავისუფლდა ფრანგული ოკუპაციისაგან. ეკარტი კი ტიპური კონსპიროლოგი გახლდათ და არა მხოლოდ ფიხტემდე უკლდა ბევრი, არამედ ფსიქიკური გადახრებიც აწუხებდა. ამას ისიც დაემატა, რომ გაერთიანებული და ზეამბიციური გერმანია ომში დამარცხებას გაცილებით უფრო რთულად ეგუებოდა, ვიდრე ამას შეეგუა ჯერ კიდევ პატარა პრუსია. აი, ამ ორი ფაქტორის შერწყმის შედეგად იშვა რასიზმის თეორია. ეკარტს კარგად ესმოდა, რომ არსებობდა საფრთხე, მისი მოძღვრება ცარიელ თეორიად დარჩენილიყო, თუკი ფართო მასებამდე მიტანა არ მოხერხდებოდა. ამ საქმეს კი,

მისი აზრით, ესაჭიროებოდა მესია. მესია – თვალებანთებული გერმანელი ჯარისკაცი (როგორც წარმოედგინა იგი რასიზმის ფუძემდებელს), რომელიც არიელებს ფეხზე დააყენებდა და წინ გაუძღვებოდა.

სწორედ ასეთ მესიას ჰგავდა ლუდხანაში შემოხეტებული ორატორი, რომელსაც აღტაცებულმა დრექსლერმა ბროშურა გადასცა და მეორე დღეს პარტიაშიც მიიწვია. მისი და ეკარტის სასიხარულოდ, უცნობმა წინადადება მიიღო და მალე გაირკვა, რომ, ყველაფერთან ერთად, ის ჯარისკაციც იყო და ომში ორი რკინის ჯვარი მიეღო.

ალბათ უკვე იოლი მისახვედრია, რომ ეს გახლდათ სხვა არავინ, თუ არა ადოლფ ჰიტლერი. მისი გვარი, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ჩეხური წარმოშობისაა და ფუძე ჰიდლარი ან ჰიდლარჩეკი უნდა იყოს. მისი (სავარაუდო) ბაბუის გვარი ჰიდლერი იყო, რომელიც მოგვიანებით ჰიტლერად გადაიკეთა. მისი უკანონოდ დაბადებული მამა კი თავიდან დედის გვარს, შიკლგრუბერს, ატარებდა (რის გამოც თავად ადოლფს მტრული პრესა კაპრალ შიკლგრუბერად მოიხსენიებდა ხოლმე), სანამ მისი მამობა საკუთარ თავზე გეორგ ჰიტლერმა (მანამდე ჰიდლერმა) არ აიღო. ადოლფის მამა და დედა ნათესავები იყვნენ. გასაკვირი არ არის, რომ მოგვიანებით ფიურერმა თავის წარმოშობაზე საუბარი და მსჯელობა აკრძალა (ისევე როგორც ბევრი სხვა რამ). იგი იზრდებოდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში, რომელიც, მისი თქმით, არ უყვარდა, რადგან იქ „უფრო დაბალი კულტურის“ სლავური ფაქტორი მძლავრობდა და გერმანელობა აღარ იგრძნობოდა. ქალაქ ლინცის მახლობლად გაზრდილი 18 წლის ჰიტლერი 1907 წელს ვენის სამხატვრო აკადემიაში არ მიიღეს, რის შემდეგაც კიდევ უფრო მეტად შესძულდა ავსტრია-უნგრეთი. ვენაში საშინელ გაჭირვებაში უწევდა ცხოვრება (ხელმოკლეობის გამო პირველად მაშინ თქვა უარი ხორცის ჭამაზე, რაც მოგვიანებით ჩვევაში გადაეზარდა) და რადგან მაშინ იმპერიის დედაქალაქში მრავლად იყვნენ ებრაელები, სავარაუდოდ, სწორედ იქ ჩაეყარა საფუძველი ჰიტლერის ზიზღს ამ ხალხის მიმართ. მოგვიანებით, ამას დაემატა ეკარტის გავლენა და სხვა გერმანელ კონსპიროლოგთა თეორიები, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში მარცხს ებრაელებსა და მარქსისტებს აბრალებდნენ. დამარცხების ამბავი მან საავადმყოფოში შეიტყო, სადაც იპრთან ქიმიური შეტევის შედეგად დროებით დაბრმავებული იწვა და ისეთი შოკი განიცადა, რომლის მსგავსიც ალბათ შემდეგ მხოლოდ სტალინგრადთან დამარცხებისას მიიღო. როგორც ცნობილია, იგი გერმანიის ჯარში

მსახურობდა. საქმე ისაა, რომ ავსტრიულ არმიაში სამსახურს მან თავი აარიდა (და სწორედ ამის გამო მიუნხენში გადაბარგდა), რადგან ვერანაირ რუტინას ვერ იტანდა და, საერთოდ, საკმაოდ ზარმაციც იყო. მაგრამ როცა ომი დაიწყო, თავად ჩაეწერა გერმანიის არმიაში – ომი ხომ ჯარში სამსახური და რუტინა არ იყო. ჰიტლერი ზარმაცი იყო, მაგრამ მშიშარა ნამდვილად არ გახლდათ და ამაზე რკინის ჯვრებიც მეტყველებდა.

მოგვიანებით, როცა გერმანელები ცდილობდნენ, მის გამო თავი ემართლებინათ და აეხსნათ, ასეთი ადამიანი როგორ მოვიდა ხელისუფლების სათავეში, გაჩნდა პოპულარული და ალბათ ყველასათვის მისაღები თეორია – ჰიტლერს არავინ სერიოზულად არ უყურებდა. ეს ახსნა ჯობია უკომენტაროდ დავტოვოთ და ფაქტებს გავყვეთ. „არასერიოზულმა“ ადამიანმა დრექსლერისა და ეკარტის პარტია ლუდხანის სათათბიროდან მალე სერიოზულ ორგანიზაციად აქცია, რომლის აუდიტორიაც თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. 1920 წლის დასაწყისში ჰიტლერმა პარტიის პროპაგანდა გადაიბარა და ერთ-ერთ პირველ დიდ მიტინგზე გამოსვლისას პროგრამაც საჯაროდ წაიკითხა: ყველა გერმანელის გაერთიანება დიდ რაიხში (სამფლობელო, იმპერია), ვერსალისა და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებების გაუქმებულად გამოცხადება, „მოღალატეებისა“ და მევახშეებისათვის სიკვდილით დასჯის შემოღება, უშრომელი შემოსავლის აკრძალვა, მონოპოლიების ნაციონალიზაცია, ებრაელებისათვის საჯარო სამსახურსა და მედიაში მუშაობის აკრძალვა და მათთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა... ლოგიკურია, რომ ასეთი იდეების მქონე ძალას მალე სახელიც გადაერქვა და გერმანელ მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტია ეწოდა. 1920 წლის ბოლოს მას საკუთარი გაზეთიც ჰქონდა, – „ფოლკიშერ ბეობახტერ“ („სახალხო დამკვირვებელი“) რომელიც ძირითადად პარტიის იდეებით მოხიბლული საქმოსნების მიერ ფინანსდებოდა. მაგრამ წარმატების მისაღწევად მხოლოდ პროპაგანდა არ კმაროდა, – საჭირო იყო ასევე ძალა. ამიტომ ჰიტლერის თაოსნობით მალე შეიქმნა ეს-ა (SA, „შტურმაბტაილუნგი“ – „შტურმის შენაერთი“), კუნთმაგარი ბიჭების რაზმი, რომელიც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს არბევდა და ატერორებდა. მათ ეცვათ ყავისფერი უნიფორმები, რომელთა სახელოებს სვასტიკა ამშვენებდა – ჰიტლერის მიერ არიული რასის სიმბოლოდ შერჩეული უძველესი ემბლემა. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ბოლშევიკები, რომელთაც ასევე ჰქონდათ გაზეთი („პრავდა“) და შეიარაღებული ფორმირება (წითელი გვარდია).

1921 წლის ზაფხულში ჰიტლერის გავლენა პარტიაზე იმდენად გაიზარდა, რომ ზოგიერთებმა მისი ჩაჩოჩება მოინდომეს და საამისოდ სხვა ულტრამემარჯვენე პარტიასთან გაერთიანება დაგეგმეს. მაგრამ ამაზე პასუხად ჰიტლერი გადადგომით დაიმუქრა. პარტიის მმართველებმა გაიაზრეს, რომ მის გარეშე მომავალი არ ჰქონდათ და დარჩენა შესთხოვეს. ამის სანაცვლოდ ჰიტლერმა უკვე პარტიის უპირობო ლიდერობა მოითხოვა. თხოვნა დაკმაყოფილდა და გერმანიის მომავალი დიქტატორი პარტიას არა უბრალოდ მორიგ თავმჯდომარედ, არამედ ფიურერად („ლიდერი") მოევლინა. ამ ტიტულს ჰიტლერის ერთ-ერთი პირველი კერპი, ავსტრიაში პანგერმანული პარტიის დამფუძნებელი გეორგ ფონ შონერერი იყენებდა. ასევე შონერერი იყენებდა ხელის აღმართვით მისალმების რომაულ ჟესტს, რომელიც შემდეგ ნაცისტებმა (და არა მხოლოდ მათ) თავიანთ მისალმებად აქციეს.

ასე და ამგვარად, პატარა და კომიკურ პარტიაში გაწევრიანებიდან ორ წელიწადში ჰიტლერი უკვე კარგად დარაზმულ-მომართული პოლიტიკური ძალის ლიდერად იქცა. ორი წლის შემდეგ კი მან, არც მეტი, არც ნაკლები, ძალაუფლების ხელში ჩაგდება სცადა.

ამის შანსი მას რეპარაციებმა და რაპალომ მისცა. როგორც ვნახეთ, მოხდა ისე, რომ რეპარაციები არ შემცირებულა, რუსებთან შეთანხმებამ კი გერმანელების პოზიციები გააძლიერა. ისინი მორატორიუმს ითხოვდნენ. საფრანგეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი, გერმანელებისადმი მტრული დამოკიდებულებით ცნობილი პუანკარეც კი მიხვდა, რომ რაღაც დათმობა იყო საჭირო და ორწლიან მორატორიუმზე დათანხმდა. როცა გერმანელებმა ორწელიწად-ნახევარი მოითხოვეს, პუანკარემ საპასუხოდ წარმოადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც გერმანიას მთლიანი გადასახდელი თანხის დაახლოებით ორი მესამედი ობლიგაციებად უნდა გამოეშვა და მათი მეშვეობით ძირითადად საფრანგეთს უნდა დაეფარა ომის დროს ამერიკისა და ინგლისისგან აღებული ვალები. დარჩენილი კი გამარჯვებულებს რეპარაციებად უნდა მიეღოთ. ამ ახალი და ჩახლართული სქემით რეპარაციებში ინგლისელების წილი მცირდებოდა და მათაც გეგმაზე უარი თქვეს. ამაზე ფრანგებს მოთმინების ფიალა აევსოთ. 1923 წლის 11 იანვარს მათი ჯარი ბელგიელებთან ერთად რურში შევიდა და დაიწყო კრიზისი, რომლის მსგავსი გერმანელებს ალბათ ოცდაათწლიანი ომის შემდეგ არ ენახათ.

რურის მხარე, ცხადია, შემთხვევით არ იყო შერჩეული. მასზე გერ-

მანული ქვანახშირისა და რკინის საბადოების უდიდესი ნაწილი მოდიოდა და, ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით, გერმანიის მხრიდან რეპარაციების არგადახდის შემთხვევაში გამარჯვებულ სახელმწიფოებს მისი დაკავების უფლება ჰქონდათ. მაგრამ ფრანგებმა ჯარის შეყვანის გადაწყვეტილება მოკავშირეებთან ყველანაირი კონსულტაციის გარეშე მიიღეს (ცხადია, ბელგია არ ითვლებოდა), რის პასუხადაც ამერიკამ პროტესტის ნიშნად თავისი ჯარი რაინლანდიდანაც კი გაიყვანა. ინგლისი აღშფოთებას ვერ მალავდა, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდიოდა. რაც შეეხება თავად გერმანელთა რეაქციას, მთავრობამ რურის მოსახლეობას მოუწოდა, არ ემუშავათ და ამგვარად გაეწიათ წინააღმდეგობა „ოკუპანტებისათვის". იქაურები ამაზე სიამოვნებით დათანხმდნენ, მით უმეტეს, რომ მთავრობა მათ, ფრანგების ჯიბრზე, ხელფასებს უხდიდა. ამ ყველაფერმა საშინლად დაარტყა ჯერ კიდევ რეპარაციის პირველი ნაწილის გასტუმრების შედეგად გაუფასურებულ მარკას. უკვე ზაფხულში დოლარი რამდენიმე მილიონ მარკას უტოლდებოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს არაფერი იყო – წლის ბოლოსკენ იგი 25 მილიარდზე ავიდა. ამ არნახულ ეკონომიკურ კრიზისს პოლიტიკური კრიზისიც დაემატა – ისევ წამოყვეს თავი კომუნისტებმა და ერთი პერიოდი მოსკოვში ხელახლა მიეცათ იმედი, რომ რევოლუციის ალი გერმანიასაც მოედებოდა (მერე კი, წესით, მთელ ევროპას). პარალელურად ფრანგები რაინლანდში სეპარატისტულ მოძრაობას აფინანსებდნენ. გამწარებული გერმანელები ცდილობდნენ, მტრისათვის ყველაფერი ძვირად დაესვათ: რურში საბოტაჟებს აწყობდნენ და ჯარის დახმარებით პარტიზანულ ბრძოლებსაც კი ანარმოებდნენ. საბოლოოდ მართლაც ისე მოხდა, რომ ფრანგებმა ფინანსურადაც ბევრი ვერაფერი იხეირეს (დიპლომატიურად კი, როგორც ვნახეთ, თავიდანვე დაზარალდნენ) – რურიდან მათი ძალებით მოპოვებულმა ქვანახშირისა და რკინის საფასურმა (რაც რეპარაციის სანაცვლოდ უნდა ამოეღოთ) რეგიონის ოკუპაციის ხარჯები ძლივს დაფარა.

კოშმარი დასასრულისკენ 26 სექტემბერს წავიდა, როცა გერმანიის ახალმა მთავრობამ გუსტავ შტრეზემანის მეთაურობით წინააღმდეგობა შეწყვიტა და ფრანგებს რეპარაციების გადახდის თაობაზე მოლაპარაკებები შესთავაზა. მაგრამ ქვეყნის დალაგება ასე იოლი არ აღმოჩნდა. მთავრობის შეფასება კაპიტულაციად შეაფასეს გერმანელმა ნაციონალისტებმა, რომელთაც „ღირსება" ყველაფერს ერჩიათ. ასევე გააპრო-

ტესტეს ფრანგებთან შერიგება კომუნისტებმა, რომელთაც კრიზისის გაგრძელება აძლევდათ ხელს. ყველაზე მეტად ვითარება ბავარიაში დაიძაბა, სადაც გერმანიიდან გასვლის საკითხი დააყენეს.

ჰიტლერი რურის ოკუპაციის დაწყებიდან მალევე დაფიქრდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე. სულ რამდენიმე თვით ადრე იტალიაში ფაშისტთა ლიდერმა მუსოლინიმ რომზე წარმატებული მარში განახორციელა და ქვეყანას დიქტატორად მოევლინა. ანალოგიურად, ჰიტლერიც ფიქრობდა მარშს მიუნხენიდან ბერლინამდე. როცა 26 სექტემბრის შემდეგ ბავარიის ადგილობრივი მთავრობა სერიოზულად ალაპარაკდა გერმანიიდან შესაძლო გასვლაზე, ჰიტლერმა გადაწყვიტა, რომ საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა. უკვე ვნახეთ, რომ გერმანიიდან ბავარიის გასვლა მისთვის მიუღებელი იყო. გარდა ამისა, მას მთელი გერმანიის ხელში ჩაგდება უნდოდა და არა ცალკე ბავარიის, ან გერმანიისა ბავარიის გარეშე. 8 ნოემბერს ფიურერი მიუნხენის ერთ-ერთ დიდ ლუდხანაში შეიჭრა, სადაც ადგილობრივი მთავრობის ლიდერი მოქალაქეებს მიმართავდა. ლუდხანას გარედან SA-მ შემოარტყა ალყა, შიგნით კი ჰიტლერმა თავისი მომხრეების დახმარებით მთავრობის წარმომადგენლები იოლად გაანეიტრალა. შემდეგ მაგიდაზე ახტა და ჭერში ისროლა (იარაღი თითქმის ყოველთვის თან დაჰქონდა).

– რევოლუცია დაიწყო, – დაჰკივლა დაბნეულ აუდიტორიას ფიურერმა, – შენობა ალყაშემორტყმულია... ...აქედან ვერავინ გავა... ...ბავარიისა და მთლიანად რაიხის მთავრობები დამხობილია. შეიქმნა დროებითი ეროვნული მთავრობა... ...არმია და პოლიცია სვასტიკიანი დროშის ქვეშ მოაბიჯებენ ქალაქის ქუჩებში...

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა და ჰიტლერმა ისიც მოახერხა, რომ ავანტურაში თვით ლუდენდორფიც კი ჩაითრია, მაგრამ მეორე დღეს, ჯართან და პოლიციასთან შეტაკების შემდეგ, ყველაფერი დასრულდა. მუსოლინი ვერ განმეორდა და ამის შანსი ალბათ არც იყო. ჯერ ერთი, რომ ფაშისტური პარტია უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იყო წარმოდგენილი იტალიის პარლამენტში; მეორეც, იტალიაში ფაშისტებმა რომამდე სხვა რამდენიმე ქალაქი დალაშქრეს და უკვე ამის საკმაო გამოცდილება ჰქონდათ. როცა ისინი დედაქალაქისკენ დაიძრნენ, იტალიის მეფე ვიტორიო-ემანუელე III დაფრთხა და ჯარის გამოყენებაზე უარი თქვა, მათ შორის იმიტომაც, რომ ფაშისტები ჯარში სიმპათიით სარგებლობდნენ და, შესაბამისად, არ ჰქონდა დიდი იმედი, რომ სამხე-

დროები ასეთ ბრძანებას იოლად დაემორჩილებოდნენ. გერმანიაში ამ მხრივაც სხვა ვითარება იყო – აქ ჯარს მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა და არც ჰიტლერი ეხატებოდა დიდად გულზე (რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გერმანული ჯარი იტალიურზე გაცილებით ძლიერი და ორგანიზებული იყო). მას შემდეგაც კი, რაც იტალიურმა მთავრობამ ძალა არ გამოიყენა, პირადად მუსოლინი რომზე წასვლას ვერ ბედავდა და ასე მხოლოდ მაშინ მოიქცა, როცა ვიტორიო-ემანუელემ პრემიერ-მინისტრობა შესთავაზა (მეფემ გადაწყვიტა, რომ ეს მემარცხენეების და, განსაკუთრებით, კომუნისტების, ალაგმვის საუკეთესო გზა იქნებოდა). თუმცა, წასვლა და მარში ხმამაღალი სიტყვაა – დუჩე დედაქალაქამდე მილანიდან მატარებლით მივიდა და ჯამში სულ ორიოდე კილომეტრი გაიარა ფეხით თავის მომხრეებთან ერთად. შემდეგ ყველაფერი ეს იტალიური გემოვნებით კარგად გაფორმდა და რომზე მრისხანე მარშის ლეგენდად იქცა.

ამ ლეგენდით შთაგონებულ ჰიტლერს კი ხუთი წელი მიესაჯა, თუმცა აქედან მან სულ ცხრა თვე მოიხადა. ომის შემდეგ გერმანიაში საზოგადოებრივი აზრი ნაციონალისტებს სწყალობდა და ამ მხრივ არც ფიურერი გახლდათ გამონაკლისი. წარუმატებლობის მიუხედავად, მიუნხენის ავანტიურამ მას მთელი ქვეყნის მასშტაბით გაუთქვა სახელი. ციხეში თავიდან სრულიად სასოწარკვეთილი იყო და შიმშილობაც კი დაიწყო, რადგან სიკვდილი გადაეწყვიტა, მაგრამ მალე იმდენი თაყვანისმცემლისგან მიუვიდა წერილი, რომ გადაიფიქრა. ერთ-ერთი ასეთი თაყვანისმცემელი მისი საყვარელი კომპოზიტორის, რიხარდ ვაგნერის რძალი აღმოჩნდა რომელმაც იგი შეაგულიანა, წიგნი დაეწერა საკუთარ თავზე. ასე დაიწყო ჰიტლერმა „მაინ კამპფის“ წერა (უფრო სწორად, წიგნი მისი კარნახით დაწერა ერთ-ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა და მიუნხენური ავანტიურის თანამონაწილე რუდოლფ ჰესმა). ებრაელების ლანძღვისა და გერმანელების განდიდების გარდა წიგნში გერმანიისათვის კონკრეტული სამოქმედო გეგმაც იყო გაწერილი. მისი მიხედვით, გზა აღზევებისკენ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს მოიცავდა: ჯერ ავსტრიის შემოერთება, შემდეგ საფრანგეთის დამარცხება, ბოლოს კი „სასიცოცხლო სივრცის“ (გერმ. „ლებენსრაუმის“) მოპოვება აღმოსავლეთში, რუსეთის ტერიტორიაზე. ეს იყო ყველაზე საინტერესო და საყურადღებო ამ გაწელილ და უთავბოლო წიგნში. მაგრამ ის, რატომღაც, არავინ მიიღო სერიოზულად და არავის გახსენებია, როცა ჰიტლერი ხელისუფლების

სათავეში მოვიდა – აქაოდა, ეს ყველაფერი ხომ გამწარებულმა კაცმა დაწერა ციხეშიო...

მიუნხენის ავანტიურის დასრულებით ბერლინმა ბავარიული სეპარატიზმი საბოლოოდ ჩაახშო. მანამდე არმია წარმატებით გაუმკლავდა კომუნისტებს საქსონიაში, ტიურინგიასა და ჰამბურგში. გერმანიაში სიმშვიდე და სტაბილურობა ბრუნდებოდა.

„ოკუპანტი“ უკან იხევს

გერმანიის ახალი ლიდერი შტრეზემანი საკუთარ თავს „დამარცხების ბისმარკს“ უწოდებდა და საამისო მიზეზი მრავლად ჰქონდა. ბისმარკის დარად, ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი და კანცლერი (ამ უკანასკნელ თანამდებობაზე იგი ცოტა ხნით დარჩა) ხშირად იცვლიდა შეხედულებებს. ომის ბოლოს იგი იმდენად აგრესიული პოლიტიკის მომხრე იყო, რომ ლუდენდორფის რუპორსაც კი ეძახდნენ. მაგრამ, ბისმარკის დარად, როცა ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ყველაფერი ახლებურად და რეალისტურად გაიაზრა და ალბათ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო – გამარჯვებულთან და „ოკუპანტთან“ თანამშრომლობას შეუდგა. სხვანაირად გერმანიას ამოსუნთქვისა და ფეხზე დადგომის შანსი, უბრალოდ, არ ექნებოდა. ეს მიუხედავად იმისა, რომ ვერსალის ხელშეკრულება შტრეზემანს არავისზე ნაკლებ არ ეზიზღებოდა. ისევე, როგორც თავის დროზე ბისმარკმა საფრანგეთთან ომის დროს მოახერხა და პარიზის წინააღმდეგ განაწყო ინგლისი, სწორედ ასევე, შტრეზემანმა ფრანგებზე ზეწოლის გასაძლიერებლად, ოსტატურად ითამაშა ლონდონის სენტიმენტებზე, სადაც, ტრადიციულად, ძალთა ბალანსზე ზრუნავდნენ და რურში გამოხდომის შემდეგ ფრანგებს ისევ ეჭვის თვალით ყურება დაუწყეს. ფრანგებზე კიდევ უფრო მეტად ლონდონში, ცხადია, საბჭოთა კავშირი არ ეხატებოდათ გულზე და ამ უკანასკნელის, როგორც კომუნიზმის გამავრცელებლის, ბუნებრივ შემაკავებლად ისევ გერმანია ესახებოდათ.

ფრანგები შტრეზემანის წინადადებას მოლაპარაკებისა და კომპრომისის თაობაზე თავიდან არაერთგვაროვნად შეხვდნენ. ომის გმირი მარშალი ფოში და პრეზიდენტი ალესანდრ მილერანი პუანკარეს მოუწოდებდნენ, დაჩოქილი გერმანიისათვის სულის მოთქმის საშუალება არ მიეცა და რურის საბადოებში წილი მოეთხოვა. მაგრამ პუანკარემ გაიაზრა, რომ

მსგავსი ნაბიჯი არა მხოლოდ კიდევ უფრო მეტად გაამწარებდა გერმანელებს, არამედ ინგლისელებსაც უფრო აუცრუებდა გულს პარიზზე. მარტოდ დარჩენილ საფრანგეთს რომ გერმანიასთან მომავალში აუცილებლად გაუჭირდებოდა, ამაზე ელემენტარული სტატისტიკა მეტყველებდა – მისი მოსახლეობა 39 მილიონი იყო და ნელა იზრდებოდა (ისიც, ძირითადად, მიგრანტების ხარჯზე). გერმანიის მოსახლეობა ამ დროს 63 მილიონი იყო და ფრანგებისაზე გაცილებით სწრაფად მატულობდა. საქმეს ვერ შველოდა ის გარემოებები, რომ საფრანგეთის ეკონომიკა შესაშურად კარგ მდგომარეობაში იყო და რომ პარიზი, თავისი ფიცჯერალდითა და ჰემინგუეით, მთელი მსოფლიოს კულტურულ ცენტრად ითვლებოდა.

გარდა ამისა, რურის ოკუპაციამ ფრანგებს დაანახვა, რომ გერმანიაზე ძალადობას აზრი არ ჰქონდა და ამით თავად უფრო ზარალდებოდნენ. სეპარატიზმის წახალისებამ გერმანიაში ბევრი არაფერი მოიტანა და თუკი ვინმეს ილუზიები ჰქონდა, რომ ბისმარკის მიერ შედარებით ახლად გაერთიანებული სახელმწიფო ომში დამარცხებას ვერ გადაიტანდა და დაიშლებოდა, რურმა ეს ილუზიები ალბათ საბოლოოდ გააქარწყლა. გერმანიის მხრიდან თანამშრომლობის სურვილის გარეშე მისგან რეპარაციების მიღებაც კი ვერ ხერხდებოდა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, გერმანიას ომი პირწმინდად არ ჰქონდა წაგებული. ეს არ იყო 1945 წელი, როცა გერმანია განადგურდა და მისი მთელი ტერიტორია საოკუპაციო ზონად ოთხმა დიდმა სახელმწიფომ გადაინაწილა. რურის ოკუპაციისას გერმანელებმა სიმტკიცის გამოცდა ჩააბარეს და მორალურად კიდევ უფრო გაძლიერდნენ, მაშინ როცა ფრანგები მორალურად დამარცხდნენ.

შტრეზემანის წინადადებაზე უარის თქმა ყოველივე ამის გარდა ძნელი იმიტომაც იყო, რომ მან რეპარაციების საკითხის საერთაშორისო არბიტრაჟისათვის გადაცემის იდეა წამოაყენა. შედეგად, უკვე 1923 წლის ბოლოს ევროპის ყველაზე საკამათო და რთული საქმე ამერიკელ ბანკირსა და მომავალ ვიცე-პრეზიდენტს, ჩარლს დოუესს ჩაბარდა, რომელმაც გერმანიისათვის ალბათ გაცილებით უკეთესი გადაწყვეტილება მიიღო, ვიდრე შტრეზემანის მთავრობა ელოდა: რეპარაციები თითქმის განახევრდა, გერმანიას ამერიკაში სესხის აღების საშუალება მიეცა და, რა თქმა უნდა, რურიდან უცხო ქვეყნის ჯარების გასვლა დადგინდა. პარიზი დოუესის გეგმაზე დათანხმებას აჭიანურებდა, მაგრამ მალე პუანკარე არჩევნებში დამარცხდა და ახალმა მთავრობამაც 1924 წლის

აგვისტოში გეგმას დასტური მისცა. შემდეგ კი დაიწყო ნამდვილი გერმანული სასწაული, მეოცე საუკუნეში პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი: ომში დამარცხებულმა ქვეყანამ ამერიკისგან მიღებული სესხებისა და ინვესტიციების წყალობით უსწრაფესად იწყო ფეხზე დადგომა. უკვე 1927 წელს გერმანიის მთლიანმა შიდა პროდუქტმა ომამდელის 122% შეადგინა. ცხოვრება დალაგდა და ბერლინი პარიზსაც კი ბევრი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა. ეკონომიკური ზრდის ფონზე გერმანელები რეპარაციების სიმძიმეს ფაქტობრივად ვერ გრძნობდნენ. რაც შეეხება ფრანგების მიერ მიღებულ ფინანსურ სარგებელს, დოუესის გეგმით ხუთი წლის განმავლობაში მათ ჯამში სულ მილიარდი დოლარი ერგოთ და აქედან დიდი ნაწილი – სხვადასხვა პროდუქციის სახით. ეს მაშინ, როცა იმავე პერიოდში გერმანიამ ამერიკისგან მხოლოდ სესხების სახით ორი მილიარდი მიიღო.

ბუნებრივია, პარიზში დოუესის გეგმის ამუშავებისთანავე მიხვდნენ, რომ დრო უკვე შეუქცევადად მათ წინააღმდეგ მუშაობდა – ბერკეტი რეპარაციების სახით დაიკარგა და გერმანია ადრე თუ გვიან აუცილებლად გაძლიერდებოდა. ასეთ ვითარებაში ორი გამოსავალი იყო: ან უსაფრთხოების გარანტიების მიღება ინგლისისგან, ან გერმანიის რაღაც ფორმით შემორიგება. თავისთავად ცხადია, ფრანგებმა ჯერ ისევ პირველი ვარიანტი მოსინჯეს. სხვა ყველაფერთან ერთად, ინგლისის მხარდაჭერა იმიტომაც იყო კარგი, რომ გერმანიასთან შესაძლო დიალოგში გამოადგებოდათ. ვინაიდან იმ დროისათვის ლონდონთან ალიანსზე მოლაპარაკებების საკმარისზე მეტი და მწარე გამოცდილება ჰქონდათ, ფრანგებმა შემოვლითი გზა მოსინჯეს და საქმეში ერთა ლიგა ჩართეს. 1924 წლის სექტემბერში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ერიომ ლონდონთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ ერთა ლიგას თავისი ე. წ. საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პროტოკოლი წარუდგინა. ორგანიზაცია ოვაციებით შეხვდა იდეას, რომელსაც საფუძვლად სამი პრინციპი ედო: არბიტრაჟი, უსაფრთხოება და განიარაღება. ცხადია, ამაზე დაყრდნობით უფრო კონკრეტული პრინციპებიც უნდა მიეღოთ, მათ შორის ურთიერთდახმარების. ასეთი გზით ცდილობდნენ ფრანგები ლონდონის შეტყუებას.

მაგრამ ჟენევაში ტაში ბევრს არაფერს ნიშნავდა. აქაურობა ათასგვარი იდეალისტისა და ექსცენტრიკოსის ბუდედ იყო ქცეული, რომელთაგან ზოგიერთი ომის უბრალოდ აკრძალვას ითხოვდა, ზოგი მშვიდო-

ბის დასამყარებლად სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ბავშვებს შორის თოჯინების გაცვლის იდეას აყენებდა, ზოგი კი ბულბულთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნისას. შესაბამისად, ასეთ გარემოში პოლიტიკოსები ერთს ლაპარაკობდნენ, მაგრამ თავიანთ დედაქალაქებში – სულ სხვას. ამას ისიც დაემატა, რომ ინგლისში ხელისუფლების სათავეში კონსერვატორები მოვიდნენ და მათ ერიოს პროტოკოლისთვის მხარდაჭერაზე უარი თქვეს. ასევე უარი განაცხადა პროტოკოლის რატიფიკაციაზე იტალიამ. ერიოს მთავრობაც მალე დაემხო.

საფრანგეთს თუკი რაიმე გარანტიების მიღება სურდა, ეს მხოლოდ მისი სურვილით ვეღარ მოხდებოდა. რურისა და დოუესის შემდეგ ბევრი რამე შეცვლილიყო.

ორნი ქალაქში

1924 წლის ბოლოს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრად საფრანგეთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, ოსტინ ჩემბერლენი დაინიშნა. შტრეზემანისათვის ეს ერთგვარი სიგნალი იყო, რომ საქმე მეტისმეტად კარგად მისდიოდა და ახლა რაღაც მცირეოდენი მაინც უნდა დაეთმო. ფრანგებისგან უკვე მანამდეც მოდიოდა გაფრთხილება და მუქარა, რომ მათ რურიდან ჯარების ბოლომდე გაყვანა შეიძლებოდა გადაევადებინათ და ახლა ლონდონში ფრანკოფილის მოსვლას ეს მუქარა შეიძლებოდა რეალობად ექცია. მით უფრო, რომ ჩემბერლენი საფრანგეთთან და ბელგიასთან შეთანხმების იდეას ეთამაშებოდა, რომლის მიხედვითაც ინგლისი გერმანიასთან ამ ორი ქვეყნის საზღვრების გარანტიას იძლეოდა. დამარცხების ბისმარკმა გადაწყვიტა, კვლავაც საკუთარ თავზე აეღო ინიციატივა; ჩემბერლენის იდეა მსუბუქად გააპროტესტა, როგორც გერმანიის იზოლაციისკენ მიმართული ნაბიჯი და, სამაგიეროდ, მას შესთავაზა მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც გერმანიას, საფრანგეთსა და ბელგიას შორის საზღვრების გარანტირებას ითვალისწინებდა, ყველა ამ ქვეყნის და ასევე ინგლისის, როგორც გარანტორის, ხელმოწერით.

ეს მართლაც კარგი გამოსავალი იყო ლონდონისათვის, სადაც შტრეზემანის განაწყენება არ სურდათ და, იმავე დროს, საფრანგეთის ბოლომდე მიგდებასაც ვერ ბედავდნენ. ფრანგებთან სრულფასოვანი ალიანსი გამორიცხული იყო, რადგან ისინი თავიანთ მხრივ ლამის მთელ აღმოსავლეთ ევროპასთან იყვნენ გახვეულნი ალიანსებში (პოლონეთის გარდა

1924 წელს პარიზმა ჩეხოსლოვაკიასთანაც გააფორმა ალიანსი) და იყო შანსი, ლონდონიც რაიმე შარში გაეხვიათ. შარი კი ინგლისელებს ნამდვილად არაფერში სჭირდებოდათ. 1925 წლის აპრილში ისინი ოქროს სტანდარტზე გადავიდნენ. ეს ნაბიჯი ისევ და ისევ ერთი სურვილით იყო გამოწვეული – მსოფლიოს ფინანსური ცენტრი ნიუ-იორკიდან კვლავ ლონდონში უნდა დაებრუნებინათ (ოქროს სტანდარტი ამერიკასაც ჰქონდა). იმავე მიზნით ინგლისმა ამერიკასთან სავაჭრო ომი წამოიწყო. სანამ იგი ამ საქმით იყო დაკავებული, შეიარაღებაზე ფულის დახარჯვა ნამდვილად არ ეხალისებოდა. მისი დიპლომატიაც თანდათანობით მშვიდობისა და განიარაღების ქადაგებაზე გადავიდა.

ფრანგებს შტრეზემანის იდეა დიდად არ მოსწონდათ, რადგან იგი გერმანიას მხოლოდ დასავლეთის მიმართულებით ზღუდავდა, აღმოსავლეთით კი საფრანგეთის მოკავშირეებს ინგლისის მხრიდან ყველანაირი გარანტიის გარეშე ტოვებდა. მაგრამ აშკარა იყო, რომ ფრანგები ინგლისს ამაზე მეტს ვერ გამორჩებოდნენ, უარის თქმის შემთხვევაში კი ფრანკოფილ ჩემბერლენს გაანაწყენებდნენ და შტრეზემანის პოზიციას კიდევ უფრო მეტად გაამყარებდნენ. 1925 წლის იანვრიდან მოყოლებული, ფრანგები მოლაპარაკებებში ჩაერთნენ და იტალიაც ჩართეს იმ გათვლით, რომ ამ უკანასკნელს, წესით, გერმანია უნდა დაებალანსებინა (რომისა და ბერლინის ინტერესები ერთმანეთს ავსტრიაში ეჯახებოდა). მაგრამ ფრანგების ინტერესებისთვის მუსოლინის გამოყენება იღლი არ აღმოჩნდა. მას საფრანგეთის (და, მით უმეტეს, ბელგიის) საზღვრების გარანტირება დიდად არ აინტერესებდა და ამაზეც მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ იტალია დიდი სახელმწიფოების მარაქაში გარეულიყო. გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრების გარანტირებაზე კი დუჩემ მით უმეტეს უარი განაცხადა. მოლაპარაკებები საბოლოოდ შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში დასრულდა ოქტომბერში და ფორმალურად ხელი 1 დეკემბერს მოეწერა. შეთანხმების მიხედვით, გერმანიამ ცნო თავისი დასავლეთის საზღვრები, რომელთა გარანტორებად ინგლისი და იტალია გამოვიდნენ. რაც შეეხება გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრებს, ბერლინი დათანხმდა, ეს საკითხი დავის შემთხვევაში არბიტრაჟს გადაეცემულიყო. ეს, რა თქმა უნდა, ბევრს არაფერს ნიშნავდა, მით უმეტეს, რომ ინგლისმა ამ არბიტრაჟის გარანტირებაზეც უარი განაცხადა. ამიტომაც საფრანგეთმა პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან ალიანსებისადმი ერთგულება ფორმალურად დაადასტურა. ბერლინი მისი მხრიდან რაინ-

ლანდის სამუდამო დემილიტარიზაციას დათანხმდა. ფაქტობრივად, გადაწყდა გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა საბჭოს მუდმივ წევრად.

ლოკარნოს ხელშეკრულება იმდენად დიდ მიღწევად ჩანდა, რომ მისი მთავარი შემოქმედები – შტრეზემანი, ჩემბერლენი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არისტიდ ბრიანი – მშვიდობის დარგში ნობელის პრემიით დაჯილდოვდნენ. იმედის საფუძველი მართლაც არსებობდა, მით უფრო, რომ შტრეზემანსა და ბრიანს შორის მეგობრული ურთიერთობა და ნდობა ჩამოყალიბდა. ნდობას ხელს უწყობდა ის ფაქტორიც, რომ 1925 წელს მთავრობაში მობრუნებული ბრიანი გარდაცვალებამდე (1932 წელი) უნდა დარჩენილიყო ხელისუფლებაში პრემიერ-მინისტრის ან საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში (საფრანგეთის მესამე რესპუბლიკისათვის დიდი მიღწევა და იშვიათი გამონაკლისი) და ასევე გარდაცვალებამდე (1929 წელი) უნდა დარჩენილიყო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე შტრეზემანიც. ილუზიები არცერთ მათგანს არ ჰქონდა. ბრიანს კარგად ესმოდა, რომ შტრეზემანი ნაციონალისტი იყო და ვერსალის სისტემა სძულდა. მოგვიანებით, როცა შტრეზემანის არქივები გახსნეს, ბევრისათვის სიურპრიზი აღმოჩნდა, რომ ნობელის პრემიის ლაურეატი ძველი გერმანიის აღდგენასა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ოცნებობდა. მაგრამ ბრიანისათვის ამ აღმოჩენაში ალბათ განსაცვიფრებელი არაფერი იქნებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ ომისშემდგომ გერმანიაში მშვიდობის მტრედები (როგორიც ბევრს მაშინ შტრეზემანი ეგონა) უბრალოდ არ არსებობდნენ. შტრეზემანი ნაციონალისტი იყო, მაგრამ რაციონალური. მასთან მოლაპარაკება, მეგობრობა და მისი ნდობა შესაძლებელი იყო და ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავდა. ბრიანმა კარგად იცოდა, რა მიზანიც ჰქონდა მის გერმანელ კოლეგას, მაგრამ მოსწონდა ის ამბავი, რომ შტრეზემანი ამ მიზნის მიღწევას მოლაპარაკებების გზით, ცივილიზებულად ცდილობდა. შტრეზემანს თავის მხრივ კარგად ესმოდა, რომ მის ფრანგ კოლეგას გერმანიის ფეხზე დადგომისა ეშინოდა და ამიტომ ცდილობდა, ევროპაში ისეთი სისტემა შეექმნა, რომელიც გერმანიას როგორმე შეაკავებდა. მაგრამ ისიც იწონებდა იმ ამბავს, რომ ბრიანიც ამ მიზნისკენ მასთან მოლაპარაკების გზით, ცივილიზებულად მიდიოდა. უფრო მეტიც – ბრიანი გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ მისი საოცნებო ევროპა, ჯამში, ბერლინის ინტერესსაც წარმოადგენდა და ცდილობდა, როგორმე ამაში თავისი გერმანელი კოლეგაც დაერწმუნებინა. შტრეზემანს ფრანგი კოლეგის

გულწრფელობის სჯეროდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მის პროექტებს დიდი ოპტიმიზმით არ უყურებდა.

ამ დუეტში, რომელმაც თავის ეპოქას მნიშვნელოვნად გაუსწრო, მეტ დათმობაზე წასვლა ბრიანს უწევდა. შტრეზემანი ოსტატურად აპელირებდა იმ ფაქტზე, რომ გერმანელი ნაციონალისტები „ოკუპანტთან“ მოლაპარაკებისას მისგან უფრო შეურიგებელი პოლიტიკის გატარებას ითხოვდნენ. უპირველეს ყოვლისა, ამას ითხოვდა ომის გმირი ჰინდენბურგი, რომელიც 1925 წლის მაისიდან გერმანიის პრეზიდენტი გახდა. ნაციონალისტებზე აპელირების საშუალება ბრიანსაც ჰქონდა, მით უმეტეს, რომ რამდენიმე წელი პუანკარეს მთავრობაში მუშაობა მოუწია. მაგრამ შტრეზემანი, როგორც „კარგი გერმანელი“, მთელი დასავლეთის სიმპათიით სარგებლობდა, მაშინ როცა საფრანგეთის პოზიციები და პრესტიჟი რურის ოკუპაციის შემდეგ საგრძნობლად შეირყა. გარდა ამისა, ბრიანი დათმობებს გარკვეული გათვლითაც აკეთებდა, ჰქონდა რა იმედი, რომ ბერლინში კეთილი ნების ჟესტებს დააფასებდნენ და ვერსალისეული წყენა გაუვლიდათ. გერმანია პოტენციურად საფრანგეთზე ძლიერი იყო და როცა ოდესღაც ბოლომდე დადგებოდა ფეხზე, უმჯობესი იქნებოდა, წყენა აღარ ჰქონოდა. მისი ფეხზე დადგომა კი გარდაუვალი იყო და წინააღმდეგობის გაწევას დიდი აზრი არ ჰქონდა.

პირველი დათმობა ლოკარნოს ხელმოწერისთანავე შედგა, როცა შტრეზემანმა გერმანიისათვის მოითხოვა უფლება, ხელშეკრულების ზოგიერთი პირობის საკუთარი ინტერესებისამებრ ინტერპრეტირება მოეხდინა. აქ საქმე ეხებოდა ბერლინისათვის ერთობ საჩოთირო საკითხს, რომელსაც შეიძლებოდა საბჭოთა კავშირთან მისი ურთიერთობები გაეფუჭებინა. მოსკოვში, ბუნებრივია, ლოკარნოს ეჭვით შეხვდნენ, რადგან მოლაპარაკებებში საბჭოთა მხარე არ ჩართეს. აქ არც გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა ახარებდათ, რადგან ეშინოდათ, რომ ამის შემდეგ ბერლინს იოლად ჩაითრევდნენ ანტისაბჭოთა წამოწყებებში. დამარცხების ბისმარკი რისი ბისმარკი უნდა ყოფილიყო, დასავლეთ ევროპასთან დაახლოების გამო რუსეთთან ურთიერთობები გაეფუჭებინა. მისი ინიციატივით, ჯერ იყო და, გერმანიის მთავრობამ ლოკარნოს კონფერენციამდე მოსკოვს შეღავათიანი კრედიტი გამოუყო, შემდეგ კი იმას მიაღწია, რომ ბრიანისგან (და ასევე მისი ბელგიელი და იტალიელი კოლეგებისგან) მიიღო ოფიციალური წერილი, რომლის მიხედვითაც გერმანია თავისუფლდებოდა ვალდებულებისგან, ჩართუ-

ლიყო რომელიმე აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ ქმედებებში. გამგებს უნდა გაეგო, აქ რაც იგულისხმებოდა: გერმანიას უფლება ჰქონდა, თავის ტერიტორიაზე არ გაეტარებინა ფრანგული ჯარი. უფრო კონკრეტულად კი იგულისხმებოდა ფრანგული ჯარი, რომელიც პოლონეთს უნდა მიშველებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ცხადია, მოსკოვში ამ კონკრეტიკას მიხვდნენ და შესაბამისადაც დააფასეს. შედეგად, 1926 წლის 24 აპრილს გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ნეიტრალიტეტის შეთანხმება გააფორმეს. რაპალოსგან განსხვავებით, ამ შეთანხმებას ისტერიკა აღარ მოჰყოლია. უკვე ყველა შეჰგუებოდა იმ ფაქტს, რომ გერმანია „დაბრუნდა“. საკითხავი მხოლოდ ის იყო, რა მასშტაბით. 10 სექტემბერს გერმანიამ პირველად მიიღო მონაწილეობა ერთა ლიგის სხდომაში. აღტაცებულმა ბრიანმა მშვიდობასა და არბიტრაჟზე ისაუბრა, შტრეზემანმა კი თავის გამოსვლაში ძირითადად თანასწორობაზე გაამახვილა ყურადღება, როგორც პირობაზე, რის სანაცვლოდაც გერმანია ერთა ლიგაში შევიდა. იმავე საღამოს სკანდალი აგორდა. შტრეზემანმა ჟენევის ერთ-ერთ ლუდხანაში თავის თანამემამულეებს პირდაპირ განუცხადა, რომ, თუკი გამარჯვებული სახელმწიფოები არ განიარაღდებოდნენ, მაშინ გერმანია აუცილებლად გაზრდიდა საკუთარი შეიარაღების ხარჯებს. და რომ, საერთოდაც, ომის დაწყება ანტანტის სინდისზე იყო. საუბრის შინაარსმა პრესაში გაჟონა და შტრეზემანზე უფრო მეტად ბრიანი დააზიანა – როგორც ილუზიების ტყვეობაში მყოფი მეოცნებე და იდეალისტი, რომელიც გერმანელებს ზედმეტს უთმობდა. ამის მიუხედავად, რამდენიმე დღეში ის და შტრეზემანი ერთად გაუჩინარდნენ ჟენევიდან და, როგორც შემდეგ გაირკვა, მოლაპარაკებებისათვის პატარა ქალაქ ტუარიში განმარტოვდნენ. აქ ერთი-ერთზე მეგობრები შეთანხმდნენ, რომ საფრანგეთი რაინლანდიდან ერთ წელიწადში გაიყვანდა ჯარს, ხოლო საარს გერმანია პლებისციტის გარეშე მიიღებდა. სანაცვლოდ ბერლინი ფრანგებს 75 მილიონ დოლარს გადაუხდიდა. ამ გეგმას, წესით, უფრო მალე უნდა გაენელებინა წყენა გერმანელებისათვის, ფრანგებს კი ის დამატებით შემოსავალს უქადდა.

მაგრამ ტუარიში მიღწეულ გარიგებას ასრულება არ ეწერა: ბრიანი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა პარიზში. შტრეზემანი კი, რომელსაც გერმანული პრესა ისედაც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა „ზედმეტი დათმობებისათვის“, ტუარიში შეხვედრისას ცუდად შეიქნა და იქიდან მოყოლებული, ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა.

კობას ნაბიჯები სტალინობამდე

1922 წლის 26 მაისის გვიან საღამოს (გენუის კონფერენციის დამთავრებიდან ერთ კვირაში) ლენინს დამბლა დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მალე მომჯობინდა და საქმეებსაც დაუბრუნდა, ეს მისი აღსასრულის დასაწყისი აღმოჩნდა, რადგან ყოველი გამოჯანმრთელების შემდეგ კიდევ უფრო უარესად ხდებოდა. იმავდროულად, მისი ავადმყოფობა სტალინის აღმასვლის დასაწყისადაც იქცა.

ყველასგან უჩუმრად (ბუნებრივია, რომ კომუნისტებმა ბელადის ავადმყოფობა გაასაიდუმლოეს) ლენინი სამკურნალოდ მოსკოვის მახლობლად გადაიყვანეს. ბელადს თავზე ადგნენ ცოლი – ნადეჟდა კრუპსკაია და ლენინის და. მას ასევე ხშირად სტუმრობდა სტალინი, რომელიც 1921 წელს ლენინს ძალიან დაუახლოვდა და რომელმაც ძალიან გამოიჩინა თავი, როგორც კარგმა ორგანიზატორმა. სტალინს არ ეზარებოდა ბიუროკრატია და ხალისიანად უძღვებოდა პარტიულ საქმიანობას. იგი, როგორც წესი, ყველაზე უპრეტენზიო და მშრომელი კომუნისტის, ლენინის უერთგულესი მიმდევრის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გორში, ღარიბ ოჯახში დაბადებულ სოსო ჯუღაშვილს კომუნისტისათვის მართლაც რომ სანიმუშო ბიოგრაფია ჰქონდა. 1894 წელს 16 წლის ასაკში თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა, მაგრამ მალე მარქსიზმმა გაიტაცა, სასწავლებელი მიატოვა და თანდათანობით ნამდვილ რევოლუციონერად იქცა. თავისი მეტსახელი კობა ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელიდან“ აიღო, როგორც სამართლიანობისათვის ბრძოლისა და შურისძიების სიმბოლო. ერთხანს თავის პატარა სამშობლოს, საქართველოს შესტრფოდა და ლექსებს უძღვნიდა, მაგრამ შემდეგ, როგორც კომუნისტი, ზენაციონალური იდეების სამსახურში ჩადგა, საბოლოოდ კი საკუთარი თავი რუსეთს მიუძღვნა. 1921 წლის დასაწყისში სწორედ მისი (და მეორე ქართველი ბოლშევიკის, სერგო ორჯონიკიძის) დაჟინებული თხოვნით დააჩქარა ლენინმა საქართველოზე თავდასხმა – კობას კარგად ესმოდა, რომ თუკი საქართველო რუსეთის შემადგენლობაში არ დაბრუნდებოდა, თავად იგი, როგორც ქართველი, რუსების თვალში უცხოდ დარჩებოდა და ბევრს ვერაფერს მიაღწევდა. თუმცა თავად ამას იმ მოსაზრებით ამართლებდა, რომ საქართველო რუსეთს „გააზიურებისგან“ უნდა ეხსნა და რომ, საერთოდაც, პატარა ერებს გადარჩენისა და განვითარებისათვის დიდი ერების კალთისათვის უნდა შეეფარებინათ თავი.

ბოლშევიკთა ლიდერების უმრავლესობისგან განსხვავებით, სტალინს ემიგრაციაში არ უცხოვრია. იგი რუსეთის იმპერიის რეალობაში იხარშებოდა და იწრთობოდა (რაც გადასახლებაში გატარებულ არაერთ წელსაც გულისხმობდა) და მოგვიანებით ალბათ ესეც დაეხმარა კონკურენტების განადგურებაში. თავის ცხოვრებაში ქედს მხოლოდ ერთი ადამიანის, ლენინის, წინაშე იხრიდა და მის წინააღმდეგ ღიად თითქმის არასოდეს წასულა (როგორც ვნახავთ, მოგვიანებით ეს ფაქტორიც კარგად გამოიყენა კონკურენტებთან ბრძოლაში). ძალიან დიდხანს უფრო პრაქტიკოს რევოლუციონერად ითვლებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოლშევიკურ ელიტაში მეორეხარისხოვან როლს უნდა დასჯერებოდა (ყველა სერიოზული ბოლშევიკიცა და მენშევიკიც მარქსს მეცნიერულ დონეზე სწავლობდა), მაგრამ საკუთარ თავზე ბევრი იმუშავა და სერიოზულ თეორეტიკოსად აღიარებასაც მიაღწია. 1922 წლის აპრილის დასაწყისში ლენინის გადაწყვეტილებით კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის თანამდებობა შეიქმნა და, ლენინისავე გადაწყვეტილებით, ეს პოსტი სტალინს ჩაბარდა. ეს ნამდვილად არ ნიშნავდა იმას, რომ ბელადმა თავის მემკვიდრედ კობა დაასახელა. გენმდივნის პოსტი იმ პერიოდში საბჭოთა რუსეთის ლიდერობას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა (და სტალინი რომ არა, ეს პოსტი ასეთ მნიშვნელობას ალბათ არც შეიძენდა). თავად ლენინი სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე (ანუ პრემიერ-მინისტრი) იყო და, წესით, თავისი მემკვიდრისათვის სწორედ ეს პოსტი უნდა გადაებარებინა. პარტიის გენმდივნობა კი, მართალია, სახუმარო თემა არ გახლდათ, მაგრამ ქვეყნის მეთაური ჯერ მაინც არ იყო.

გენმდივანი ავადმყოფ ლენინთან სიარულს არ იზარებდა, მით უმეტეს, არ ეზარებოდა პოლიტბიუროს (პარტიის ცენტრალური კომიტეტის მმართველი ორგანოს) სხდომებზე დასწრება, რაც მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. ეს მაშინ, როცა ლენინის შემდეგ ქვეყანაში კვლავაც ყველაზე გავლენიანი პირი – ტროცკი –შეხვედრებზე დასწრებას იშვიათად თუ კადრულობდა, ხოლო როცა კადრულობდა, მოწყენილობის გასაქარვებლად თან წამოღებულ ფრანგული პოეზიის წიგნს კითხულობდა ხოლმე. მისი ქედმაღლობა უფრო და უფრო მეტად აღიზიანებდა პარტიის დანარჩენ ლიდერებს, გრიგორი ზინოვიევსა (კომინტერნის თავმჯდომარე) და ლევ კამენევს (ვიცე-პრემიერი). გაღიზიანების მასშტაბზე კარგად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კამენევს ტროცკის და ჰყავდა ცოლად, მაგრამ მას მაინც ვერ იტანდა. ამბიციური და აუტანელი

ცოლისძმა თავიდან იყო მოსაშორებელი და საამისოდ სტალინის გაძლიერება საუკეთესო გამოსავლად ჩანდა. მით უმეტეს, რომ ქართველი არც ისეთი ჭკვიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ამბიციურობაზე რომ არაფერი ვთქვათ. ლენინისგან პოლიტბიუროს სხდომებზე მისული, იგი კოლეგებს „ილიჩისგან მოკითხვას“ გადასცემდა ხოლმე და მაშინვე პატიოსნად გადაერთვებოდა საქმეზე.

ტროცკიმ ამ სიტუაციას ისიც დაუმატა, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაზე კონტროლის დამყარება მოინდომა და აქ ლენინს დაეჯახა. საქმე ისაა, რომ ბელადის ინიციატივით 1921 წლიდან საბჭოთა რუსეთში და შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირში ე.წ. ნეპი (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა – იძულებითი ნაბიჯი, რომელიც ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით ქვეყანაში დროებით კერძო მეწარმეობის განვითარებას უწყობდა ხელს) ტარდებოდა. უფრო პრაგმატული ლენინი იაზრებდა, რომ ქვეყანას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ნაკლებად პრაგმატული, ორთოდოქსი რევოლუციონერი ტროცკი კი ნეპს ეწინააღმდეგებოდა. ნეპი არც სტალინს მოსწონდა, მაგრამ რადგანაც, ტრადიციულად, ლენინს უჭერდა მხარს, ხმამაღალ კრიტიკას მოერიდა. როცა ლენინი გარდაიცვალა (1924 წლის 21 იანვარი) ტროცკი საქართველოში, კონკრეტულად კი აფხაზეთში, იმყოფებოდა სამკურნალოდ და მოსკოვში დაბრუნება აშკარად დაეზარა...

ტროცკის შეცდომების მიუხედავად, ძალაუფლებისაკენ მიმავალი გზა სტალინისათვის იოლი მაინც არ აღმოჩნდა. 1923 წლის დასაწყისში მან დარტყმა მიიღო იქიდან, საიდანაც ალბათ ყველაზე ნაკლებად ელოდა. ეს იყო ე.წ. ლენინის ანდერძი, რომელშიც დიდი ბელადი ქვეყნის ლიდერებს აკრიტიკებდა, განსაკუთრებით კიცხავდა გენმდივანს, „რომელსაც უსაზღვრო ძალაუფლება ჩაეგდო ხელში“. კობასთვის წერილი სხვა ყველაფერთან ერთად იმიტომაც აღმოჩნდა შოკისმომგვრელი, რომ მისი ცოლი ნადეჟდა ალილუევა ლენინის ერთ-ერთი მდივანი გახლდათ, მაგრამ ანდერძის გამოჩენა გამოეპარა. არსებობს ვერსია, რომ ანდერძი ყალბი იყო, რადგან მისი გამოჩენის პერიოდში ლენინი მეტყველებასაც კი დიდი გაჭირვებით ახერხებდა. თავად სტალინი ფიქრობდა, რომ წერილი კრუპსკაიამ შეთხზა, რომელთანაც მას იმ პერიოდში შელაპარაკება მოუვიდა. მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა; წერილის გამო სტალინს პრობლემები შეექმნა და ორჯერ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე კოლეგებს გადადგომაც კი შესთავაზა. კოლეგებმა მისი თხოვნა ორი-

ვეჯერ გააპროტესტეს და საბოლოოდ კობამ წერილი თავის სასარგებლოდაც კი შემოატრიალა. ანდერძში ლენინი მას „უხეშობაში“ სდებდა ბრალს და როცა ამის საპასუხოდ სტალინმა პლენუმს მოუწოდა, ვინმე „მასზე უფრო ზრდილობიანი“ ეპოვათ, კოლეგებისგან შეძახილები გაისმა, ეგ არაფერია, პროლეტარები ვართ და უხეშობა ჩვენ არ გვაშინებსო. ყველაფერი ამით მორჩა.

1924 წელს ტროცკი საკმაოდ დასუსტებულიყო და სტალინიც უკვე ზინოვიევ-კამენევის დუეტთან ბრძოლაზე იყო გადართული, როცა მოულოდნელ მშველელად თავად ტროცკი მოევლინა. ამ უკანასკნელმა თავის სტატიაში გაიხსენა, როგორ ეწინააღმდეგებოდნენ ზინოვიევიცა და კამენევიც 1917 წლის ოქტომბერში სახელმწიფო გადატრიალების იდეას და, შესაბამისად, ამ იდეის ავტორს, ლენინს. იქვე ტროცკიმ საკუთარი თავი აქო, როგორც ერთადერთი ადამიანი, რომელიც ლენინს შეცდომებზე მიუთითებდა. ეს ფანტასტიკური საჩუქარი კარგად გამოიყენა კობამ, როგორც დუეტის, ასევე თავად ტროცკის წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა და შეუცდომელ ილიჩს შეეხო. თავგასულს იქვე შეახსენეს, რომ ბოლშევიკებს იგი მხოლოდ 1917 წელს შეუერთდა და რომ მანამდე არაერთხელ ჰყავდა გალანძღული ლენინი. ამ ყველაფრის პარალელურად სტალინმა ნიკოლაი ბუხარინი აღაზევა, რომლის დახმარებითაც მალე სამივე მეტოქე მოიშორა (და ამას ხელი არ შეუშლია, რომ მოგვიანებით ბუხარინიც მოეშორებინა). ტროცკი 1925 წლის დასაწყისში ომის სახალხო კომისრის თანამდებობიდან გადადგა, სამ წელიწადში კი დევნილობა მოუწია (ჯერ ქვეყნის შიგნით, ყაზახეთში, მალე კი ქვეყნიდანაც გააძევეს). სტალინის ბოღმა სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია. ემიგრაციაში ბევრს წერდა და, ძირითადად, სწორედ ახლად გამოჩეკილ ბელადს აკრიტიკებდა. იქამდეც კი მივიდა, რომ სტალინს ვრცელი ბიოგრაფიაც კი მიუძღვნა, რომელშიც იგი ცბიერ, ბოროტ, გაუნათლებელ და პრიმიტიულ აზიელად გამოიყვანა.

მოგვიანებით ამბობდნენ, რომ ტროცკის, „როგორც ებრაელს“, არავინ მიუშვებდა ხელისუფლების სათავესთან ანტისემიტიზმით გვარიანად გამორჩეულ რუსეთში (ტერმინი „პოგრომი“ ხომ რუსული სიტყვაა და დარბევას ნიშნავს). მაგრამ ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა, რომ არა მისი აშკარა შეცდომები. ფაქტი კი ისაა, რომ რუსეთის ახალი იმპერიის ლიდერად, რომელსაც 1922 წლის ბოლოდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ეწოდა, ეროვნებით ქართველი იქცა. ქვეყნის

სახელწოდება მთლად ცარიელ ადგილას არ გაჩენილა და მას გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა. საბჭოთა კავშირი რუსეთის ფედერაციამ, უკრაინამ, ბელორუსიამ და ამიერკავკასიის რესპუბლიკამ დააარსეს. ეს ლენინის იდეა იყო, რომელიც ვარაუდობდა, რომ რამდენიმე სუბიექტის მიერ კავშირის დაარსება მაგალითს მისცემდა და ამ კავშირთან გაერთიანებისკენ უბიძგებდა სხვა ქვეყნებს, რომლებშიც ასევე სოციალისტური რევოლუცია გაიმარჯვებდა. საერთოდაც, დიდი ბელადი პატარა ერებისათვის ავტონომიის მიცემას უჭერდა მხარს იმ გათვლით, რომ ეს სხვა პატარა ერებში კომუნიზმისადმი სიმპათიებს გააღვივებდა (შემდეგ კი, როცა კომუნიზმი გაიმარჯვებდა, ერები და ყველანაირი ნაციონალიზმი ისედაც გაქრებოდა). სტალინი თავიდან გაფართოებული რუსეთის ფედერაციის შექმნას უჭერდა მხარს, რომელშიც პატარა ერებს უბრალოდ ფართო ავტონომია უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, ბუნებრივია, საბოლოოდ ლენინის იდეას დათანხმდა.

საბჭოთა დიპლომატიის პირველი ნაბიჯი რაპალო იყო. მაგრამ მოსკოვის საგარეო პოლიტიკური აქტივობები ტიპური დიპლომატიით არ შემოიფარგლებოდა. 1919 წელს დაარსებული კომინტერნი (კომუნისტური ინტერნაციონალი) მსოფლიოში კომუნიზმის გავრცელებაზე მუშაობდა, რაც ძალიან აღიზიანებდა უცხოეთს, განსაკუთრებით კი – ევროპას, – მოსკოვის მთავარ სამიზნეს. უცხოელი დიპლომატები კომინტერნის მოღვაწეობას საბჭოთა კოლეგებთან აპროტესტებდნენ, მაგრამ პასუხად იღებდნენ, რომ ოფიციალური მოსკოვი კომინტერნთან არაფერ შუაში იყო. იმავდროულად, მოსკოვში კვლავაც არ ასვენებდათ შიში, რომ დასავლეთი რუსეთში ძველი, მონარქისტული რეჟიმის აღდგენას მოინდომებდა და კომუნისტებს ძალის გამოყენებით დაამხობდა. ამ რეალური თუ წარმოსახვითი საფრთხის გასანეიტრალებლად 1921 წელს საბჭოთა სპეცსამსახურებმა წამოიწყეს უნიკალური ოპერაცია სახელწოდებით „ტრესტი“. მათ თავად მოიგონეს და მოჩვენებითად აამუშავეს იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომელიც ვითომდა კომუნისტურ რეჟიმს უთხრიდა ძირს. გათვლა იმაზე კეთდებოდა, რომ დასავლეთში ერწმუნათ, ბოლშევიკები თავისით დაემხობიან და გარედან ჩარევა და ინტერვენცია საჭირო არ არისო. ისევ და ისევ, რამდენად რეალური იყო ინტერვენციის საფრთხე, მეტად რთული სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ მითური ორგანიზაციის არსებობა ძალიან ბევრმა ირწმუნა. მისი წყალობით საბჭოთა სპეცსამსახურებმა ბევრ სხვა რამესთან ერთად

იმასაც მიაღწიეს, რომ რეჟიმის არაერთი მტერი შეიტყუეს ქვეყანაში (მითური იატაკქვეშეთის მითიურ ლიდერთა მოსანახულებლად). მათ შორის იყო ჯეიმს ბონდის ერთ-ერთი პროტოტიპი სიდნეი რაილი, რომელიც 1918 წელს ლენინზე თავდასხმის საქმეში იღებდა მონაწილეობას. თუმცა, ეს ისტორია სულ სხვა წიგნის თემაა...

როგორც ზემოთ ვახსენეთ, რურის ოკუპაციის დროს მოსკოვში იმედი მიეცათ, რომ გერმანიაში კომუნისტური რევოლუცია გაიმარჯვებდა. ოღონდ საამისოდ გარედან დახმარება იყო საჭირო. შესაბამისად, დაიგეგმა გერმანიაში გადატრიალება და დაინიშნა თარიღიც – 9 ნოემბერი (ვილჰელმის გადადგომის წლისთავი) – ბედის ირონიით, ჰიტლერის პუტჩიდან სულ რაღაც ერთი დღის შემდეგ. მაგრამ საბოლოოდ გეგმაზე უარი ითქვა. სამაგიეროდ, იქამდე, 1923 წლისავე სექტემბერში განხორციელდა გადატრიალების მცდელობა ბულგარეთში, ერთ წელიწადში კი – უკვე ესტონეთში. მაგრამ ორივე მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, უამრავი ადგილობრივი კომუნისტი შეიწირა და მოსკოვს რევოლუციის გავრცელების ხალისი თითქმის დააკარგვინა. 1925 წლის ბოლოდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა საგრძნობლად რაციონალური გახდა და რევოლუციის გავრცელების ნაცვლად მოსკოვმა სამეზობლოს ქვეყნებთან ორმხრივ შეთანხმებებზე დაიწყო მუშაობა. ამ გამოფხიზლებას ბულგარეთისა და ესტონეთის ფიასკოს გარდა ხელი შეუწყო ლოკარნომაც, რომელმაც მოსკოვს იზოლაციისა და დაუცველობის გრძნობა გაუღვივა და საპასუხო დიპლომატიური ქმედებებისკენ უბიძგა. შედეგად, სამი წლის განმავლობაში თავდაუსხმელობის პაქტები გაფორმდა თურქეთთან, ავღანეთთან და ლიტვასთან, ხოლო ნეიტრალიტეტის შეთანხმებები სპარსეთთან და, რა თქმა უნდა, გერმანიასთან.

მაგრამ, ამასობაში, საბჭოთა კავშირი შარს მაინც ვერ ასცდა და ბედის ირონიით ყველაზე დიდ სკანდალში იქ გაეხვა, სადაც არაფერი დაეშავებინა. 1924 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ შეთანხმებას მიაღწია ლონდონთან, რომლის მიხედვითაც ის ბოლოს და ბოლოს ცნობდა იმპერიის ვალს ინგლისის მიმართ და სანაცვლოდ დიდძალ კრედიტს იღებდა. შეთანხმება იმის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ ინგლისის ხელისუფლებაში რემზი მაკდონალდის მეთაურობით ლეიბორისტები მოვიდნენ, რომელთაც, იდეოლოგიიდან გამომდინარე, კომუნისტების მიმართ გარკვეული სიმპათიები ჰქონდათ. მაგრამ რატიფიცირებამდე ორი სკანდალი აგორდა. ჯერ იყო და, ადგილობრივმა კომუნისტმა ინგლისურ პრესაში ჯარს

მოუწოდა, მთავრობას აღარ დამორჩილებოდნენ. მთავრობამ კომუნისტი დააკავა, მაგრამ დაპატიმრება ვერ გაუბედა, ამიტომ, საბოლოოდ, უარეს ხათაბალაში გაეხვა და ქვეყანაში რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა. არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე კი ინგლისურ პრესაში გამოქვეყნდა ვითომდა ზინოვიევის წერილი, რომელშიც კომინტერნის თავმჯდომარე ადგილობრივ კომუნისტებს ხელისუფლების დასამხობად ინსტრუქციებს აძლევდა. შედეგად, არჩევნებში კონსერვატორებმა იმარჯვეს, რომლებმაც მოსკოვთან თანამშრომლობას მაშინვე გადაუსვეს ხაზი. სკანდალური წერილი ზინოვიევს არ დაუწერია (იქ, სადაც რუსმა კომუნისტებმა დაქცევამდე მისულ გერმანიაში გადაიფიქრეს რევოლუციის მოწყობა, მით უფრო არ ჰქონდათ მსგავსი გეგმები დალაგებულ და სტაბილურ ინგლისთან მიმართებით, რომლისგანაც ფულს ელოდნენ) და მის წარმოშობაზე ბევრი ვერსია არსებობს, მაგრამ სიმართლე ჯერაც დაუდგენელია. წერილის ამბავს სამ წელიწადში კიდევ უარესი გაგრძელება მოჰყვა: ინგლისური პოლიცია თავს დაატყდა საბჭოთა სავაჭრო მისიას, რომელიც, რეალურად, აგენტურის თავშესაფარი იყო. როცა მოსკოვმა ამას პრესაში ისტერიკით უპასუხა, ინგლისელებმა საბჭოთა კავშირთან საერთოდ გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები (1927 წლის მაისი). სტალინი ამას დიდად არ შეუშინებია, მით უმეტეს, რომ ინტერვენციას აღარ უფრთხოდა. იმ დროისათვის ოპერაცია „ტრესტიც“ დასრულდა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რუსეთის ხელისუფლებაში კომუნისტების ყოფნას ყველა საბოლოოდ შეეგუა. დაცულობის შეგრძნებას სამეზობლოს ქვეყნებთან გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებებიც აძლიერებდა.

თუმცა, ამის მიუხედავად, ახალი ბელადი ბოლომდე თავს მშვიდად მაინც ვერ გრძნობდა. კაპიტალისტური სახელმწიფოები ნებისმიერ შემთხვევაში მტრებად რჩებოდნენ, რასაც ემატებოდა ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში თავად საბჭოთა კავშირის შიგნით გაჩენილი, ნამდვილი თუ წარმოსახვითი, რეჟიმისა და პირადად სტალინის მტრები. ამდენი მტრის გარემოცვაში ცხოვრებისათვის საგანგებო რეჟიმი იყო საჭირო. შედეგად, იმპერიალიზმის ჯაშუშებთან, საბოტაჟთან და დივერსიასთან ბრძოლაზე ახალი ამბები საბჭოთა მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და ამ ისტერიკას შიგადაშიგ ქვეყნის საგარეო ინტერესებიც ეწირებოდა. 1928 წელს საბჭოთა სამართალდამცავებმა დონბასის მაღაროებზე ვითომდა საბოტაჟის საქმეზე გერმანიის მოქალაქეები დააკავეს, რის საპასუხოდ ბერლინმა

მოსკოვთან ორმხრივ ვაჭრობაზე მოლაპარაკებები შეწყვიტა. 1930 წელს საბჭოთა სპეცსამსახურებმა პარიზში თეთრი ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერი, გენერალი ალექსანდრ კუტეპოვი გაიტაცეს (რომელიც გზაში შემოაკვდათ), რის პასუხადაც უკვე საფრანგეთმა დაადო ემბარგო მოსკოვს. ფრანგებს უკვე მანამდეც ყელში ჰქონდათ ამოსული თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა აგენტურის ფუთფუთი; სამი წლით ადრე მათ ერთდროულად ასზე მეტი ჯაშუში დააკავეს და ამ სკანდალმა საბოლოოდ ჩაშალა იმხანად დაწყებული მოლაპარაკებები მოსკოვის მხრიდან კომპენსაციის გადახდასა და სანაცვლოდ სესხის აღებაზე. არადა, 1928 წელს ნეპი დასრულდა და საბჭოთა ეკონომიკას ისევ გაუჭირდა.

„სოციალისტურ სახელმწიფოს სოციალისტური საგარეო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს", – აცხადებდა საბჭოთა კავშირის ახალი ბელადი. მაგრამ, სინამდვილეში, 20-იანი წლების საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ცალსახად დახასიათება რთულია. სტალინს ჯერ კიდევ ბევრი უკლდა ცივსისხლიან რეალპოლიტიკოსამდე, როგორადაც მეორე მსოფლიო ომის დროს იგი სამყარომ გაიცნო. მის პოლიტიკას ქვეყნისათვის, ძირითადად, ზარალი მოჰქონდა, თუმცა ზარალი უბრალო საბჭოთა მოქალაქეების კისერზე გადადიოდა. საბჭოთა სახელმწიფო კი ამასობაში, ყველა პრობლემის მიუხედავად, თავს იმკვიდრებდა.

გედი, კიბორჩხალა და ქარიყლაპია

ის ფაქტი, რომ ლოკარნოს ევროპა ასეთი სიხარულით შეხვდა, ერთ სამწუხარო ფაქტზე მიუთითებდა – ერთა ლიგის იმედი დიდად არავის ჰქონდა. ამის გამოსასწორებლად 1925 წლის ბოლოდან ლიგაში სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელსაც განიარაღების კონფერენცია უნდა მოემზადებინა. კომისიაში ამერიკისა და საბჭოთა კავშირის (ლიგის არაწევრი ქვეყნების), მოგვიანებით კი გერმანიის წარმომადგენლებიც მიიწვიეს. საბჭოთა კავშირი მუშაობაში ორი წლით გვიან ჩაერთო, რადგან 1923 წლიდან შვეიცარიასთან დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა გაწყვეტილი (მის ტერიტორიაზე საბჭოთა დიპლომატის მკვლელობის გამო). ალბათ საუბარიც ზედმეტია იმაზე, თუ რა რთულად მიდიოდა კომისიის მუშაობა. განიარაღება და ლიგის გარანტიების იმედად დარჩენა არავის სურდა, მათ შორის, არც საფრანგეთს, რომელმაც მოინდომა, კომისიას საგანგებო სტანდარტები შეემუშავებინა აქცენტებით უფრო მეტად პოტენციურ

სამხედრო ძალაზე. ყველასათვის გასაგები იყო, რომ ეს სტანდარტები გერმანიის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, რომელსაც პოტენციალი მეტი ჰქონდა. პარალელურად, შედარებით ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყნები უახლესი შეიარაღების შემცირებას ითხოვდნენ (რომელიც თავად ნაკლებად ჰქონდათ), მდიდარ ქვეყნებს კი, ცხადია, სწორედ უახლესი შეიარაღების იმედი ჰქონდათ. კომისიის მუშაობაში ცალკე ეგზოტიკური ელემენტი შეიტანა მასში 1927 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის ჩართვამ. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ მაქსიმ ლიტვინოვმა განაცხადა, რომ არ იყო საჭირო ბევრი მსჯელობა და ფილოსოფია, ამის სანაცვლოდ მოსკოვი ყველას სთავაზობდა, უბრალოდ მთლიანად დაეშალათ ყველანაირი შეიარაღებული ძალები და გაეუქმებინათ ჯარში გაწვევა. ამ გამოსვლას ხარხარი მოჰყვა, რადგან ბევრმა ხუმრობად აღიქვა. მოკლედ, ყველას თავისი მიზანი და ხედვა ჰქონდა: ფრანგებს გერმანიის შეკავება სურდათ, გერმანელებს – თანასწორობა და მათ სურვილს უფრო და უფრო მეტი გაგებით ეკიდებოდნენ ამერიკელები და ინგლისელები. საბჭოთა კავშირს კვლავაც მშვიდობის მტრედად სურდა თავის წარმოჩენა; ამერიკას ევროპაში სიმშვიდე და ძალთა ბალანსი აძლევდა ხელს და ეჩვენებოდა, რომ ამას უკვე ფრანგების სიჯიუტე უშლიდა ხელს. ინგლისი კი დიდად წინააღმდეგი არ იყო, თუკი მოლაპარაკებები კიდევ დიდხანს გაიწელებოდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ამასობაში მსოფლიო ბანკირის სტატუსს დაიბრუნებდა.

პარალელურად, ინგლისი 1925 წლიდან მოყოლებული ცდილობდა, ლოკარნო მთელ დანარჩენ ევროპაზე გაევრცელებინა. თავიდან ლონდონმა უნგრეთსა და მცირე ანტანტას ქვეყნებს შორის ლოკარნოს იდეა მოსინჯა, მაგრამ უნგრეთმა ამ პროექტზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ სოკოებივით გაჩნდა დამატებით ახალი ლოკარნოები, თუმცა, ცხადია, არც მათი რეალიზება აღმოჩნდა იოლი. ბალტიისპირეთის ლოკარნო პოლონეთსა და ლიტვას შორის ტერიტორიული დავის გამო არ შედგა. სანაცვლოდ ფინეთმა წამოაყენა ჩრდილოევროპული ლოკარნოს იდეა, მაგრამ ის შეედეთის გამო არ განხორციელდა, რომელიც თავის ნეიტრალიტეტს უფრთხილდებოდა. ინგლისის მიერ ინიცირებული ბალკანეთის ლოკარნო (იუგოსლავია, საბერძნეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი) საფრანგეთმა ჩაშალა, რადგან ეს პროექტი მცირე ანტანტის სიმტკიცეს უქადდა საფრთხეს. საბოლოოდ (1927 წლის ნოემბერი) როგორღაც შედგა ე.წ. ცენტრალურევროპული ლოკარნო ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის,

პოლონეთის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და ავსტრიის მონაწილეობით. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლოკარნოები ამით უნდა დასრულებულიყო. იმავე წელს დასრულდა საფრანგეთის შეამხანაგება აღმოსავლეთ ევროპასთან. პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის შემდეგ პარიზმა მეგობრობის შეთანხმება ჯერ რუმინეთთან (1926), შემდეგ კი იუგოსლავიასთან (1927) გააფორმა. მაგრამ ფრანგების საგარეო პოლიტიკური აქტივობები ამით არ ამოიწურებოდა.

ბრიანი კარგად ხედავდა, რომ ინგლისი სერიოზულ ვალდებულებებს თავიდან იცილებდა და რეალურად გერმანიას ვერავინ შეაკავებდა. შტრეზემანი უკვდავი ნამდვილად არ იყო და რას მოიმოქმედებდნენ მისი მემკვიდრეები, არავინ იცოდა. ამ ფონზე ბრიანმა საკმაოდ მოულოდნელად ამერიკას მიმართა (1927 წლის აპრილში, ამერიკის ომში ჩართვის ათ წლისთავზე) წინადადებით, ორ ქვეყანას მეგობრობის შეთანხმება დაედო და თავიანთ ურთიერთობებში ძალის გამოყენებაზე უარი ეთქვა. ამ უცნაურ შეთავაზებას თავისი გათვლა და მიზეზი ჰქონდა. გათვლა მარტივი, მაგრამ გენიალური იყო: უბრალოდ, ვაშინგტონისგან თუნდაც რაღაც მხარდაჭერის მილება. ამერიკა ხომ არავისთან არ აწერდა ხელს მსგავს შეთანხმებებზეც კი და მისგან საფრანგეთთან უბრალო დამეგობრებაც სერიოზულ სიგნალად უნდა ქცეულიყო. საფრანგეთს ლოკარნოც ექნებოდა, მცირე ანტანტაც და მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოსთან მეგობრობაც. არსებობდა კიდევ სხვა მიზეზიც – ამერიკელებს განიარაღების კომისიაში ფრანგების სიჯიუტე აღიზიანებდათ და მათი გულის მოგება იყო საჭირო. კომისიაში პრობლემებს ისიც უნდა დამატებოდა, რომ სულ მალე (1927 წლის მაისში) ჩავარდა საზღვაო განიარაღების კონფერენცია ჟენევაში, რომელზეც ამერიკელები სერიოზულ იმედებს ამყარებდნენ მანამდე ვაშინგტონში წარმატებით გამართული ანალოგიური კონფერენციის შემდეგ (ამაზე ქვემოთ). ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საფრანგეთი გახლდათ, რომელიც კონფერენციას არ დაესწრო. ამდენ ჩავარდნას არა მხოლოდ პაციფისტების, არამედ მთლიანად დასავლეთის საზოგადოების გაღიზიანება მოჰყვა. საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმინებლად რაღაცის გაკეთება იყო საჭირო და ბრიანი იმედოვნებდა, რომ თავისი წინადადებით ამერიკელებს სწორედ ამის შანსს აძლევდა.

შეთავაზებით დაბნეულმა ამერიკელებმა პასუხს რამდენიმე თვე მოანდომეს. თავიდან მათ პარიზს ორმხრივი საარბიტრაჟო შეთანხმება შესთავაზეს, რომლის პრეამბულაში დაგმობილი იყო ომი, როგორც საერთაშორი-

სო დავების გადაჭრის გზა. ამ შეთანხმებას ხელი 1928 წლის თებერვალში მოეწერა, ორ ქვეყანას შორის პირველი მეგობრობის შეთანხმების 150 წლისთავზე. ეს ნამდვილად არ იყო ის, რაც ფრანგებს სურდათ (მათ და ამერიკელებს სადავო და საარბიტრაჟო არაფერი ჰქონდათ. გარდა ამისა, არბიტრაჟს გერმანიაც კი დათანხმდა პოლონეთთან), მაგრამ მათ წინ კიდევ ერთი ახალი, უფრო გრანდიოზული და ასევე არაფრისმომცემი შეთანხმება ელოდათ. ამერიკული საზოგადოება ომის დაგმობის იდეას ისეთი აღტაცებითა და ენთუზიაზმით შეხვდა, რომ სახელმწიფო მდივანი (საგარეო საქმეთა მინისტრი) ფრენკ კელოგი იმავე წლის აპრილში გამოვიდა მრავალმხრივი შეთანხმების იდეით, რომელიც ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ძალის გამოყენებას დაგმობდა. შეთანხმებაში არ იყო გაწერილი არანაირი კონკრეტული ზომა აგრესიის შესაჩერებლად და მშვიდობის დასამყარებლად, მაგრამ ამომრჩეველი ხომ ამდენს არ უღრმავდებოდა... 27 აგვისტოს პარიზში მასპინძელ მხარეს, ამერიკასა და გერმანიას შორის დიდი ზარ-ზეიმით მოეწერა ხელი შეთანხმებას, რომელსაც არაოფიციალურად ბრიან-კელოგის პაქტი ეწოდა. მას ფაქტობრივად მთელი მსოფლიო მიუერთდა, მათ შორის იაპონია, იტალია და საბჭოთა კავშირიც. ამ უკანასკნელმა სულაც ყველაზე პირველმა მოახდინა პაქტის რატიფიცირება (რაც, საბჭოთა პარლამენტის ეგზოტიკურობის გათვალისწინებით, რთული არ იყო). მოსკოვი მშვიდობის მტრედის თამაშს აგრძელებდა და ამ მიზნით 1929 წელს თავად გამოვიდა ომის დაგმობის შეთანხმების იდეით, რომელსაც მიუერთდნენ პოლონეთი, რუმინეთი, ესტონეთი და ლატვია. როგორც ცნობილია, ათი წლის შემდეგ ოთხივე ამ ქვეყნის ტერიტორია მთლიანად ან ნაწილობრივ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა...

გერმანია, როგორც ვნახეთ, თავად საფრანგეთისა და ამერიკის შემდეგ პირველი მიუერთდა ბრიან-კელოგის პაქტს. მაგრამ, ცხადია, შტრეზემანი არ აპირებდა ცალმხრივად „კონსტრუქციულობას“ და სანაცვლოდაც ითხოვდა დათმობებს (მით უფრო, რომ გერმანიის შიგნით მას სულ უფრო და უფრო აკრიტიკებდნენ ვერსალის სისტემასთან თანამშრომლობისათვის). დოუესის გეგმა 1929 წელს გადახედვას საჭიროებდა და დამარცხების ბისმარკმა მისი შემდგომი შემსუბუქება მოითხოვა. გერმანია პირობას იძლეოდა, რომ ახალ გეგმას უპირობოდ დაემორჩილებოდა, ოღონდაც სანაცვლოდ რაინლანდიდან საოკუპაციო ჯარების დაუყონებლივ გაყვანას ითხოვდა (ვერსალის მიხედვით, ისინი 1935 წლამდე უნდა დარჩენილიყვნენ). რეპარაციების ახალ კომისიას

ისევ ამერიკელი, „ჯენერალ ელექტრიკის“ პრეზიდენტი ოუენ იანგი ჩაუდგა სათავეში, რომელმაც ყოველწლიური გადასახადი 480 მილიონ დოლარამდე შეამცირა (და გერმანიას შეეძლო, აქედან ორი მესამედის გადახდა გადაევადებინა), გადახდის გრაფიკი კი 1988 წლამდე გადასწია. იანგის გეგმა 1929 წლის აგვისტოში მიიღეს ჰააგაში და იქვე გადაწყდა, რომ ერთ წელიწადში რაინლანდს უცხო ქვეყნების ჯარები დატოვებდნენ. ბრიანს უნდოდა, ჯარების გაყვანის სანაცვლოდ ლონდონისა და ვაშინგტონისგან რეპარაციების გადახდისა და რაინლანდის სამუდამო დემილიტარიზაციის მყარი გარანტიები მიეღო, მაგრამ მალე შეიტყო, რომ ინგლისელებს რაინლანდიდან გასვლა უკვე გადაეწყვიტათ (მასთან შეთანხმების გარეშე) და ფარ-ხმალი დაყარა. შტრეზემანი დიდ სიხარულს ვერ გამოხატავდა. იმ დროისათვის იგი უკვე ფეხზე ძლივს იდგა და არ ჰქონდა იმედი, რომ სამშობლოდან საოკუპაციო ჯარების გასვლას მოესწრებოდა. სამშობლოში კი მადლობის ნაცვლად მას კრიტიკის ახალი ნიაღვარი დაატყდა თავს რეპარაციათა გრაფიკის გაწელვის გამო.

ბრიანმა, თავის მხრივ, ერთიც სცადა. სცადა არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის შეერთებული შტატების იდეა – ეკონომიკური ინტეგრაცია და ფედერაციული მოწყობა თითქმის ამერიკის მოდელით. ეს იყო დიდი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწის უკანასკნელი და ყველაზე ამბიციური სამშვიდობო პროექტი, რომლის წარდგენასაც ჟენევაში (1929 წლის 5 სექტემბერი) კიდევ ერთხელ მოჰყვა არნახული ოვაციები, მაგრამ რეალურად კი, ცხადია, იგი ოვაციებისთანავე დასრულდა. ბრიანის იდეას პირველი ინგლისი შეეწინააღმდეგა. არც შტრეზემანი შეხვედრია დიდი აღტაცებით თავისი მეგობრის გამოსვლას. მისი იდეის მიხედვით, ახალი გაერთიანების გარეთ რჩებოდა საბჭოთა კავშირი, რომელთანაც გერმანიას ახლო ურთიერთობები გაება. შტრეზემანი მალე შვეიცარიაშივე სამკურნალოდ განმარტოვდა, მისი ნახვის მსურველ ჟურნალისტებს კი შეუთვალა, რომ აჯობებდა, ინტერვიუსათვის ჰიტლერთან ჩასულიყვნენ. ბრიანის პროექტის განხილვა ერთა ლიგის მორიგი სესიისათვის გადაიტანეს, შემდეგ კი მისი შესწავლა კომისიას მიანდეს...

3 ოქტომბერს შტრეზემანი გარდაიცვალა. ეს არ იყო მოულოდნელი სიახლე, მაგრამ ევროპელი დიპლომატებისათვის მაინც დიდი დარტყმა გამოდგა. სულ მალე კი მიიღეს ახალი, გაცილებით დიდი დარტყმა. იქიდან, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ: 29 ოქტომბერს ამერიკაში საფონდო ბირჟა ჩამოიქცა. დიდი დეპრესია დაიწყო.



გენუის კონფერენციის მონაწილეები. მარცხნივ, წინა რიგში, ლოიდ-ჯორჯი



რაპალოს შეთანხმების გაფორმებისას. შუაში ერთმანეთს ესაუბრებიან რატენაუ და ჩიჩერინი (ჩანთით)



ჰიტლერი (მარჯვნივ) პირველ მსოფლიო ომში თანამებრძოლებთან ერთად




სცენა რურის ოკუპაციიდან: გერმანელი მოქალაქე და ფრანგი ჯარისკაცები



ჰიტლერი ციხეში თანამებრძოლებთან ერთად. მარჯვნიდან მეორე – „მაინ კამპფის“ თანაშემოქმედი რუდოლფ ჰესი



ჩიჩერინი (სკამზე) შტრეზემანისა და მისი მეუღლის გარემოცვაში



ლოკარნოს შემოქმედები: შტრეზემანი, ოსტინ ჩემბერლენი და ბრიანი



ბრიანი და შტრეზემანი – დუეტი რომელმაც თავის ეპოქას გაუსწრო

თავი 2. ორი იმპერია და მათი განსხვავებული გზები

მიძინებული გიგანტი

1820 წელს იყო ქვეყანა, რომელზეც მთელი მსოფლიოს ეკონომიკის 30% მოდიოდა. ეს არ გახლდათ იმ დროის უპირობო ბანკირი – ინგლისი და მით უმეტეს, არ გახლდათ ამერიკა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. ეს იყო ჩინეთი, რომელზეც ცოტა ხნით ადრე ნაპოლეონმა თქვა: სძინავს და ჯობს, არ გავაღვიძოთო. ამ სიტყვების კარგად გააზრება მხოლოდ დღესაა შესაძლებელი, როცა ჩინეთი ძალიან გაძლიერდა. მე-19 საუკუნეში კი ნაპოლეონის ნათქვამს აშკარად ვერავინ ჩაწვდა. მაგრამ ეს ალბათ არ იყო მარტივი, რადგან მიძინებული ჩინეთი დასავლეთისათვის ერთობ გემრიელი და იოლი საკბილო ჩანდა – ძალიან მდიდარი, მაგრამ, ამავე დროს, ტექნოლოგიურად ძალიან ჩამორჩენილი, რომელსაც ომში არანაირი შანსი არ ჰქონდა.

ჩინეთზე გასვლა იმავე ინგლისელებმა ჯერ კიდევ 1793 წელს სცადეს. მათთვის მიუღებელი იყო ის ფაქტი, რომ არსებობდა ასეთი დიდი და მდიდარი ქვეყანა, რომელიც გარე სამყაროსთან კონტაქტს თითქმის არ ამყარებდა. უძველესი აზიური იმპერია საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილიყო და უცხოელებს თავის ტერიტორიაზე რთულად უშვებდა, განსაკუთრებულ სირთულეებს კი ევროპელ ვაჭრებს უქმნიდა. ამ იმპერიაში სამყაროს ცენტრად ჩინეთს თვლიდნენ, მის გარეთ მიმდინარე ამბები კი არ აინტერესებდათ. სერიოზულად რომც დაინტერესებულიყვნენ, დასავლეთის აღზევება სასაცილოდ არ ეყოფოდათ. ჩინეთის ისტორია იმდენ საუკუნეს, იმდენ აღზევებასა და იმდენ კატასტროფას მოითვლიდა, რომ მის ფონზე ევროპის მთელი ისტორია ერთი პატარა ეპიზოდი იყო. ჩინეთი არსებობდა ევროპამდეც, რომის იმპერიამდეც, შეიძლება ითქვას, რომ იგი სულ არსებობდა. მას უკვე კარგა ხანი იყო, არავისი ეშინოდა და არავინ აინტერესებდა. არ ეშინოდა დამპყრობლების, რადგან ჩინეთი ყველა დამპყრობელს ინელებდა და აქრობდა. მისი უნიკალური და უძველესი კულტურა ყველა „ბარბაროსს" აბრუებდა და ხიბლავდა და, ჯამში, დამპყრობლები თავად ხდებოდნენ ჩინეთის ერთგული მსახურნი. ასეთი ბედი ეწიათ მონღოლებს. ასეთი ბედია ეწიათ მანჯურიელებსაც, რომლებმაც მე-17 საუკუნეში ჩინეთი დაიპყრეს და მინგის დინასტია

დაამხეს, ოღონდ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ იმისთვის, რათა თავადაც მალე გაჩინელებულიყვნენ და საკუთარი დინასტია დაეარსებინათ. მას ცინგი უწოდეს, თუმცა ძირითადად ყველა მანჯურად მოიხსენიებდა.

სწორედ ამ დინასტიის ხელში ელოდა ჩინეთს კატასტროფა და განსაცდელი, რომლის მსგავსი მანამდე არასოდეს ენახა. ეს კატასტროფა გარკვეული პერიოდი სწორედ ნაპოლეონმა გადაავადა, რომელთან ომის გამოც ინგლისელებმა აზიური იმპერიისათვის დიდხანს ვეღარ მოიცალეს. როგორც უკვე ვთქვით, მათ უკვე 1793 წელს ჰქონდათ სერიოზული მცდელობა: პეკინში გამოცდილი დიპლომატი მიაგზავნეს, რომელმაც იმპერატორს დასავლური ტექნოლოგიების რამდენიმე ნიმუში ჩაუტანა იმის იმედით, რომ აზიელებს ინტერესი გაუჩნდებოდათ და ინგლისთან ნორმალური პირობებით ვაჭრობას დათანხმდებოდნენ. მაგრამ ამაოდ; დასავლური ტექნოლოგიის მიმართ ინტერესი ნული იყო, ხოლო ინგლისელი „ბარბაროსების" მიმართ დამოკიდებულება – მხოლოდ მოწყალე. „ბარბაროსად" ითვლებოდა ყველა, ვინც ვერ ხვდებოდა, რა დიდი წყალობა და პრივილეგია იყო ჩინეთის ქვეშევრდომობა და მისთვის ხარკის გადახდა (ამ „პრივილეგიით" იმპერიის მეზობელთა უმრავლესობას უწევდა სარგებლობა) – ეს ხომ დიდ ჩინურ კულტურასთან კონტაქტის, მისგან უამრავი რამის სწავლის შესაძლებლობას იძლეოდა. მოხარკეებთან ურთიერთობა რიტუალების სამინისტროს მეშვეობით ხდებოდა. საგარეო სამინისტროს მსგავსი ინსტიტუტი კი იმპერიას საერთოდ არ ჰქონდა. შედარებით „მობარბაროსო" ხალხებთან ურთიერთობას სხვა უწყება, ე.წ. დამოკიდებულთა კარი, უძღვებოდა. მე-15 საუკუნის დასაწყისში ჩინელებმა თავიანთი, იმ დროისათვის უძლიერესი ფლოტი შორეულ ქვეყნებში მიავლინეს მხოლოდ ერთი მიზნით – „ბარბაროსებისათვის" საჩუქრები ჩაეტანათ და მათთვის ხმა მიეწვდინათ, რომ არსებობდა ერთადერთი ჭეშმარიტი მმართველი და ერთადერთი ჭეშმარიტი იმპერია. მაგრამ მალე ჩინეთს ხმელეთიდან დაემუქრა საფრთხე და იმპერატორმა ფლოტის დაშლა ბრძანა. ამან, ცხადია, ჩაკეტილობასა და იზოლაციას კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი. დასავლეთში კი ამასობაში ტექნოლოგიური რევოლუცია დაიწყო, რომელმაც იქაური „ბარბაროსები" მალე იმდენად გააძლიერა, რომ მე-19 საუკუნეში ჩინეთს არცერთ დიდ ევროპულ სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში აღარ ჰქონდა შანსი, მით უმეტეს, ინგლისთან, რომელსაც ფლოტის წყალობით ყველგან მიესვლებოდა.

1839 წლის ბოლოს მოსახდენიც მოხდა: ჩინეთის მთავრობამ ინდოეთიდან ოპიუმის შეტანა აკრძალა. ლონდონმა ეს ნაბიჯი გააპროტესტა, როგორც „თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დარღვევა“ და 1840 წელს ჩინეთში ჯარი გადასხა. ასე დაიწყო პირველი ოპიუმის ომი, რომელშიც ჩინეთი, ცხადია, სასტიკად დამარცხდა (1842). ასევე დასრულდა მეორე ოპიუმის ომი (1856-60), რომელშიც ინგლისს საფრანგეთიც შეუერთდა (ლუი-ნაპოლეონში სწორედ მაშინ გაიღვიძა გლობალურმა ამბიციებმა). „ერთადერთმა ჭეშმარიტმა იმპერიამ“ პრაქტიკულად დაკარგა ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მისი პორტები უცხოელებისათვის გაიხსნა, უცხოელებმა (უფრო ზუსტად კი, ევროპელებმა და ამერიკელებმა) არა მხოლოდ ჩინეთში დასახლების უფლება მიიღეს, არამედ ჩინურ კანონმდებლობასაც არ ემორჩილებოდნენ; უცხოელ ვაჭრებს უზარმაზარი პრივილეგიები მიენიჭათ, რომელმაც ჩინელ ვაჭრებთან შედარებით ისინი მეტად მომგებიან მდგომარეობაში ჩააყენა. ჩინეთი დათანხმდა თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყანათა საელჩოების გახსნას. ჰონგკონგი ინგლისელების ხელში გადავიდა...

როგორც უკვე ვთქვით, ეს იყო განსაცდელი, რომლის მსგავსი ჩინეთს აქამდე არ ენახა. ეს იმიტომ, რომ ადრინდელი „ბარბაროსებისგან“ განსხვავებით, ახლები ჩინური კულტურის მიმართ არავითარ მოწიწებას არ ამჟღავნებდნენ და არც გაჩინელების სურვილიც ეტყობოდათ. იმპერიის მმართველები კარგახანს ვერ იაზრებდნენ იმ ფაქტს, რომ მათი ქვეყანა ჩამორჩა. როცა პირველი ოპიუმის ომი დაიწყო, თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ინგლისი შორს იყო და ბრძოლას დიდხანს ვერ გააგრძელებდა. როცა ბოლოს და ბოლოს რეალობა გააცნობიერეს, გადაწყვიტეს ძირძველი სტრატეგიისათვის მიემართათ – „ბარბაროსები“ ერთმანეთზე ნაეკიდებინათ. სავაჭრო პრივილეგიები ჩინეთში მხოლოდ ინგლისელებსა და ფრანგებს არ უნდა ჰქონოდათ, ჩინეთი ამ პრივილეგიებს ყველა „ბარბაროსს“ მისცემდა და შემდეგ ისინი უკვე ნადავლისთვის ბრძოლაში ერთმანეთს დაერეოდნენ. ზემოთქმული სტრატეგიიდან გამომდინარე, ინგლისელებისა და ფრანგების შესაჩერებლად ჩინელებმა 1860 წელს რუსებს სთხოვეს ჩარევა. მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ სტრატეგია ვერ ამართლებდა. „დასავლეთის ბარბაროსები“ ჩინეთში ეკონომიკური გავლენის სფეროებს როგორღაც მშვიდობიანად ინაწილებდნენ და საქმეს არც მოგვიანებით (1899 წელს) ამერიკელების მიერ გამოცხადებულმა ე.წ. ღია კარის პოლიტიკამ უშველა, რომელიც ყველა დიდ სახე-

ლმწიფოს მოუწოდებდა, პრივილეგიებზე უარი ეთქვათ და, შესაბამისად, ჩინეთთან ვაჭრობა თანასწორ პირობებში წარემართათ (ამერიკელებს იმედი ჰქონდათ, რომ ასეთ პირობებში ისინი ყველას აჯობებდნენ). რაც შეეხება „ჩრდილოეთის ბარბაროსებს", მათ სიტუაცია სათავისოდ გამოიყენეს. ჯერ იყო და, ინგლისელებსა და ფრანგებს დაეხმარნენ პეკინის აღებაში, მაგრამ შემდეგ კი უკვე ჩინელებს მიეშველნენ: ევროპელები დააშინეს, რომ მოახლოებულ ზამთართან ერთად პეკინში დარჩენა სახიფათო იყო და მათი გასვლა დააჩქარეს. ბოლოს ამ სამსახურის სანაცვლოდ რუსებმა ჩინელებისგან მათი ჩრდილოეთი ტერიტორიის ნაწილი მიითვისეს ახლანდელი ვლადივოსტოკის ჩათვლით. თუმცა პეკინში „ჩრდილოეთის ბარბაროსებს" იმდენად დიდ საფრთხედ მაინც არ განიხილავდნენ – მათ ჩინეთისგან მხოლოდ გარკვეული ტერიტორიები უნდოდათ, მაშინ როცა დასავლეთ ევროპა ჩინეთს შიგნიდან ანგრევდა.

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, გარე უბედურებას შიდაც დაემატა. 1850 იფეთქა ტაიპინგების აჯანყებამ. ეს გახლდათ ქრისტიანული სექტა, რომლის ლიდერიც საკუთარ თავს იესოს უმცროს ძმად აცხადებდა. ტაიპინგების გამოჩენა დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა. ასეთი საძმოები და საიდუმლო ორგანიზაციები უკვე მე-17 საუკუნის ბოლოდან ჩნდებოდა მანჯუს დინასტიის დამხობის მიზნით. ერთ-ერთმა მათგანმა 1813 წელს პეკინში იმპერატორის სასახლის დაკავებაც კი შეძლო და დინასტია ძლივს გადარჩა. იმავე პერიოდში გამოჩნდა ყველასთვის ცნობილი ტრიადაც. მაგრამ ტაიპინგების მსგავსი ზიანი იმპერიისათვის არცერთს არ მიუყენებია. სექტამ რამდენიმე მილიონ ადამიანს მოუყარა თავი და ჩინეთის ცენტრალური და სამხრეთ ნაწილის ტერიტორიების დიდ ნაწილზე დაამყარა კონტროლი. მის დამარცხებას 14 წელი დასჭირდა. ტაიპინგების გარდა პეკინს სხვა, შედარებით ნაკლებად საშიშ სექტებთანაც მოუხდა ომი. ყველაფერმა ამან ჯამში დაახლოებით 60 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა – მოსახლეობის 15%.

ასეთ ვითარებაში ყველა საღად მოაზროვნე ხვდებოდა, რომ ჩინეთს რეფორმები და მოდერნიზაცია სჭირდებოდა. 1861 წლიდან ქვეყანას თითქოსდა ძლიერი მმართველიც მოევლინა, რომლებითაც ქვეყანა ბოლო პერიოდში დიდად განებივრებული არ იყო. აზიური ქვეყნის კვალობაზე მეტად პარადოქსულად, ეს გახლდათ ქალი – იმპერატორის ყოფილი ხარჭა ცისი, რომელმაც იმდენს მიაღწია, რომ ჯერ დედოფალ-იმპერატორად, შემდეგ კი რეგენტად იქცა და საბოლოოდ, ხან ფორმა-

ლურად, ხან არაფორმალურად, თითქმის 50 წელი მართა იმპერია. ცისის ხელში გარკვეული რეფორმები გატარდა კიდეც: გაუქმდა მონობა, გაიხსნა უნივერსიტეტები, დაიწყო რკინიგზის მშენებლობა. მაგრამ ქვეყანას წინსვლის ბევრი არაფერი ეტყობოდა, რადგან ჩინეთის უზარმაზარი ბიუროკრატია კერძო ინიციატივას ახშობდა და ბიზნესზე თავად ცდილობდა კონტროლის დამყარებას. რადიკალური რეფორმების გატარებასა და ვესტერნიზაციას ცისი ვერ ბედავდა, რადგან შიშობდა, რომ ეს ჩინეთის უძველეს კულტურას საფრთხეს შეუქმნიდა და მასაც „გააბარბაროსებდა". ვერსტერნიზაცია იმპერიას იმდენად უჭირდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად მხოლოდ 1890 წელს შეიქმნა, ისიც მეტად მცირე ზომის და იმის იმედით, რომ ეს დროებითი ზომა იქნებოდა – როგორც კი „ბარბაროსებთან" საქმეები დალაგდებოდა, ეს უწყებაც მაშინვე დაიხურებოდა.

და სწორედ ამ დროს ჩინეთს კიდევ ერთი დიდი განსაცდელი მოევლინა, ალბათ კიდევ უარესი, ვიდრე დასავლეთის თუ ჩრდილოეთის „ბარბაროსები". ეს იყო მეორე აზიური ქვეყანა, რომელიც ასევე იმპერიად აცხადებდა საკუთარ თავს, რომელმაც ჩინეთისგან განსხვავებით სწრაფად და წარმატებულად გაატარა საჭირო რეფორმები და დასავლეთის ყაიდაზე გადაეწყო. რთული გამოსაცნობი არ უნდა ყოფილიყო, თუ ვის აირჩევდა ვესტერნიზებული აზიური იმპერია თავის პირველ საკბილოდ.

50 წელი და მისი განსხვავებული შედეგები

იაპონია, ჩინეთის დარად, გარე სამყაროსათვის ნაძალადევად გახსნეს მას შემდეგ, რაც მის სანაპიროს 1853 წელს ამერიკული ფლოტილია მიადგა და დასავლური ტექნოლოგიების უპირატესობა აგრძნობინა. შემდეგ ყველაფერი იმავე სცენარით განვითარდა: ძალით თავს მოხვეული პირობები და უთანასწორო ხელშეკრულება. ქვეყანა კრიზისმა მოიცვა, რომელიც საბოლოოდ ე.წ. შოგუნატის დამხობით დასრულდა. შოგუნები იაპონიის მმართველები, უფრო სწორად კი, სამხედრო დიქტატორები იყვნენ, რომელთაც საუკუნეების წინ იმპერატორი ფორმალურ ფიგურად აქციეს. 1600 წლის შემდეგ იაპონიას ტოკუგავას კლანის შოგუნები მართავდნენ და მათ ხელში ქვეყანა ჩინეთზე უფრო მეტად ჩაიკეტა – იმდენად, რომ მოქალაქეებს ქვეყნიდან გასვლა ეკრძალებოდათ. ასეთი ქვეყნისათვის გარე სამყაროსთან კონტაქტის მყისიერი აღდგენა

არნახული შოკი იყო, რომელიც ტოკუგავების კლანმა ვეღარ გადაიტანა. მის წინააღმდეგ იმპერატორის გარშემო სერიოზული და პროგრესულად მოაზროვნე ძალები გაერთიანდნენ, რომლებმაც არა მხოლოდ ტოკუგავას ჯარი დაამარცხეს, არამედ შოგუნატიც საბოლოოდ დაასრულეს და 1868 წელს იმპერატორის ძალაუფლება აღადგინეს (რაც ისტორიაში მეიძის რესტავრაციადაა ცნობილი). თუმცა, ეს აღდგენა სიმბოლური იყო – მიუხედავად იმისა, რომ დედამიწაზე ღმერთის გაგრძელებად ცხადდებოდა, იაპონიის იმპერატორს განსაკუთრებული ძალაუფლება კვლავაც არ გააჩნდა. უბრალოდ, ქვეყანას მის სახელს ამოფარებული ახალი ძალები მართავდნენ, ტოკუგავას კლანზე გაცილებით პროგრესულები. 1871 წელს მათ დასავლეთისგან თავსმოხვეული უთანასწორო ხელშეკრულებების გადახედვა მოინდომეს და ევროპაში დელეგაციაც მიავლინეს. დელეგაციის წევრებმა მიზანს ვერ მიაღწიეს (დასავლეთი ხელშეკრულებების გადახედვას მხოლოდ 1911 წელს დათანხმდა, როცა იაპონია უკვე ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდა), მაგრამ, სამაგიეროდ, საკუთარი თვალით იხილეს განვითარებული დასავლეთი. ხოლო როცა იქაურებისგან მოისმინეს, განვითარების ასეთ დონეს ევროპამ სულ რაღაც ბოლო 50 წელიწადში მიაღწიაო, გადაწყვიტეს, რომ იაპონიასაც ჰქონდა შანსი, იგივე სასწაული გაემეორებინა. წარმატების მაგალითი უკვე არსებობდა და ამომავალი მზის იმპერიას უბრალოდ ეს მაგალითები უნდა გადაეღო.

იაპონიამ გაძლიერებული ტემპით დაიწყო რკინიგზის მშენებლობა, შემოიღო სავალდებულო განათლება, სავალდებულო სამხედრო სამსახური და სავალდებულო აცრები. დაარსდა ფოსტა და ეროვნული ბანკი. დასაშვებად გამოცხადდა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის ქორწინება და აიკრძალა იარაღის ტარება საჯარო ადგილებში. ამან, ცხადია, პროტესტი და აჯანყებებიც გამოიწვია (მათ შორის, სამურაების მხრიდან), მაგრამ მთავრობა ყველას დაუნდობლად გაუსწორდა და რეფორმები შეუფერხებლად გააგრძელა. 1889 წელს მიიღეს კონსტიტუციაც, რომელიც ქვეყანაში აკანონებდა სუსტ პარლამენტს, ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებას და დიდ უფლებებს აძლევდა სამხედროებს. ეს, რეალურად, გერმანული მოდელი იყო. იაპონელებმა ასევე მათ ყაიდაზე ააწყვეს ჯარი, რომელიც პროფესიონალ ოფიცერთა კორპუსსა და ძლიერ გენერალურ შტაბს ეფუძნებოდა. ფლოტი ინგლისელებისგან გადაიღეს, განათლების სისტემა კი – ფრანგებისაგან, ანუ,

ყველასგან საუკეთესო. „გაბარბაროსების“ იაპონელებს არ ეშინოდათ. ისინი დასავლეთიდან კონსულტანტებს იწვევდნენ, მაგრამ როგორც კი მათგან ყველაფერს აითვისებდნენ, მაშინვე უკან ისტუმრებდნენ.

უკვე 1874 წელს იაპონიის მთავრობაში კორეის დაპყრობის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. ეს არაფრიდან მოტანილი იდეა არ იყო. ოდესღაც მონღოლებმა ორჯერ სწორედ კორეიდან გაილაშქრეს იაპონიაზე და ამომავალი მზის იმპერია მხოლოდ ქარიშხალმა გადაარჩინა, რომელმაც მონღოლთა ფლოტის დიდი ნაწილი მოსპო. კორეა ჩინეთის მოხარკე იყო და მასზე გავლენის მოპოვების მცდელობა 1894 წელს ორ აზიურ იმპერიას შორის ომით დასრულდა, რომელშიც ჩინეთი სასტიკად დამარცხდა. მან იაპონიას ფორმოზა (ტაივანი) და კიდევ რამდენიმე ტერიტორია დაუთმო და კორეის დამოუკიდებლობა აღიარა (ეს უკანასკნელი იაპონიამ მოგვიანებით, რუსეთის დამარცხების შემდეგ მიიერთა). ჩინეთში აზიელთა გამოჩენამ ევროპელები გააღიზიანა და მათ ამომავალი მზის იმპერიას მოპოვებული ტერიტორიის ნაწილის დათმობა აიძულეს. მაგრამ ეს დათმობა მხოლოდ დროებითი პაუზა იყო. 1902 წელს იაპონიამ უკვე ინგლისთან დამეგობრება მოახერხა. ეს უკანასკნელი ტრანსვაალთან ომის გამო გარკვეულ სირთულეებს განიცდიდა და მოკავშირეები აკლდა. იაპონიამ ოსტატური მანევრი განახორციელა – პარალელურად რუსეთთან გააბა მოლაპარაკებები, ამით ლონდონი დააფრთხო და ასე დააჩქარა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მხარეები ერთმანეთს ნეიტრალიტეტს ჰპირდებოდნენ, თუკი რომელიმე ომში იქნებოდა ჩაბმული. ხოლო თუკი ომში მესამე ქვეყანაც ჩაებმებოდა, მაშინ მხარეები უკვე ერთმანეთს დახმარებას აღმოუჩენდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ იაპონიას შეეძლო გულდამშვიდებულს ეომა რუსეთთან – ამ უკანასკნელს ინგლისის შიშით ვერავინ დაეხმარებოდა. ორ წელიწადში ეს ომიც დაიწყო და აქ უკვე მოხდა ის, რაც იქამდე ყველას წარმოუდგენლად ეჩვენებოდა – აზიელებმა ევროპელები დაამარცხეს. საამისოდ იაპონიას 50 წელიც კი არ დასჭირდა.

ამასობაში კი ჩინეთში კიდევ ერთმა წაგებულმა ომმა თითქოსდა მოდერნიზაციის რეალური შანსი გააჩინა. წაგებაც იყო და წაგებაც – „ჯუჯა მეკობრეებისგან“ მარცხი ძალზე ძნელად გადასატანი აღმოჩნდა და მან არა მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე ძალები, არამედ რეტროგრადებიც კი დაარწმუნა რეფორმების აუცილებლობაში. რამდენიმე წლით ადრე ცისის რიგით მეორე რეგენტობა დასრულდა და ტახტზე

ასული ახალგაზრდა იმპერატორი რეფორმატორების გავლენის ქვეშ მოექცა. 1898 წელს იგი დათანხმდა რადიკალურ ნაბიჯებს, მათ შორის კონსტიტუციური მონარქიის შემოღებასაც კი. მსგავსი რამ ხელისუფლებიდან ცისის საბოლოოდ ჩამოშორებას ნიშნავდა, რაც იოლი ნამდვილად არ იქნებოდა და ამიტომ იმპერატორმა მოკავშირედ ჩინეთის ყველაზე ძლევამოსილ გენერალს, იუან შიკაის უხმო. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა – ყოფილმა ხარჭამ იმპერატორის განზრახვა ადრევე შეიტყო, იგი დააპატიმრებინა, სახლში გამოკეტა და გიჟად გამოაცხადა, რეფორმატორთა დიდი ნაწილი კი სიკვდილით დასაჯა. ამ მოვლენებიდან ერთ წელიწადში ქვეყანას ახალი საძმო მოევლინა, რომელსაც საბოლოოდ მისთვის ახალი უბედურება უნდა მოეტანა. ესენი იყვნენ ე.წ. „მოკრივეები" – ანტიდასავლური და ანტიქრისტიანული დაჯგუფება, რომელიც ჩინეთის ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების მიმდევრებს აერთიანებდა (და სიმარტივისათვის მათ „მოკრივეები" უწოდეს). მათ ვითომცდა არც ტყვია ეკარებოდათ და არც რკინა ვნებდათ. „მოკრივეები" ეკლესიებს წვავდნენ, ხოცავდნენ ჩინელ ქრისტიანებსა და ევროპელ მისიონერებს. მათი საბოლოო მიზანი, არც მეტი არც ნაკლები, ჩინეთიდან უცხოელების გაძევება იყო. საძმო ისე გაძლიერდა, რომ ცისიმ მათთან ბრძოლის ნაცვლად მათი გამოყენება გადაწყვიტა, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ 1900 წლის ზაფხულში „მოკრივეებმა" პეკინში უცხო ქვეყნების საელჩოების კვარტალი მოაქციეს ალყაში და ამგვარად ჩინეთმა ერთდროულად მთელ გარე სამყაროს ომი გამოუცხადა.

როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა, რომ თურმე „მოკრივეები" არც ტყვიისგან იყვნენ დაცულნი და არც რკინისგან. მათ საელჩოების აღებაც კი ვერ მოახერხეს. მალე კი პეკინში ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ამერიკის, რუსეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის ჯარები შევიდნენ და ყველაფერი დასრულდა. ჯარები ვერც იმპერიის არმიამ შეაჩერა, რომელიც ცისიმ „მოკრივეებს" მიაშველა. ჩინეთს ახალი უთანასწორო ხელშეკრულება მოახვიეს თავს და უზარმაზარი კონტრიბუციაც დაადეს, პეკინში კი უცხო ქვეყნის ჯარები ჩადგნენ. ამის შემდეგ მანჯუს დინასტიას დიდი დრო აღარ ეწერა.

1908 წელს თითქმის ერთდროულად წავიდნენ იმქვეყნად შინაპატიმრობაში მყოფი იმპერატორი და ცისი (არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იმპერატორი ბიცოლამისმა მოწამლა საკუთარი გარდაცვალების წინ). კიდევ ერთხელ გაჩნდა ცვლილებების

იმედი. ახალი იმპერატორის, სამი წლის პუ-ის უკან მდგარმა პოლიტიკურმა ელიტამ კონსტიტუციაზე დაიწყო სუბარი და 1913 წელს პარლამენტის არჩევნებიც კი დანიშნა. მაგრამ დინასტიას ამდენი აღარ დასცალდა – 1911 წლის ოქტომბერში რევოლუციამ იფეთქა. არც ეს იყო მოულოდნელობა, რადგან ამდენი ხნის კრიზისმა და დამცირებამ ქვეყანაში რეფორმატორების გარდა რევოლუციონერებიც შვა. მათ თავიანთი ლიდერიც ჰყავდათ – განათლებით ექიმი, ერთ-ერთი უდიდესი რეფორმატორის მოწაფე სან იატ-სენი, რომელსაც ჯერ კიდევ ცისის მიერ იმპერატორის დაპატიმრებამდე აუცრუვდა გული სანახევროდ გატარებულ რეფორმებზე და რევოლუციაზე დაფიქრდა. 1894 წელს მან ე.წ. „ჩინეთის აღდგენის საზოგადოება" ჩამოაყალიბა – ქვეყანაში პირველი რევოლუციური ორგანიზაცია. მალე კი კანტონში წარუმატებელი აჯანყებაც მოაწყო მანჯუს დინასტიის წინააღმდეგ, რის შემდეგაც გაქცევა მოუხდა. უკვე მაშინ გამოჩნდა, რომ სან იატ-სენი არც ისე ძლიერი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მას ჰქონდა ქარიზმა, რომლის წყალობითაც ჩინეთში მრავალი მხარდამჭერი და დასავლეთში მრავალი სასარგებლო კონტაქტი შეიძინა. მისი საზღვარგარეთ ყოფნისას ჩინეთში მრავალი ახალი რევოლუციური ორგანიზაცია გაჩნდა, რომელთა ლიდერები 1905 წელს ტოკიოში შეიკრიბნენ, ერთიანი ე.წ. რევოლუციური ალიანსი დააფუძნეს და პრეზიდენტად სანი აირჩიეს. ალიანსის მთავარ მიზნებად მანჯუს დინასტიის დამხობა, რესპუბლიკის გამოცხადება და ასევე მიწის გადანაწილება დასახელდა. 1911 წლის რევოლუციამ სანს ამერიკაში მოუსწრო და მან მხოლოდ დეკემბრის ბოლოს მოახერხა სამშობლოში დაბრუნება. ამ დროისათვის მანჯუს დინასტიამ საშველად იუან შიკაის უხმო. ამ უკანასკნელმა პრემიერ-მინისტრობა დაიბევა და რევოლუციურ ალიანსთან წამოიწყო მოლაპარაკებები დინასტიის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ ალიანსი კომპრომისზე არ მიდიოდა და 29 დეკემბერს დინასტიის წინააღმდეგ აჯანყებულმა პროვინციებმა (თვრამეტი პროვინციიდან თხუთმეტში რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს) ნანკინგში (მინგის დინასტიის ყოფილ დედაქალაქში) სანი თავიანთ პრეზიდენტად აირჩიეს. 1912 წლის 1 იანვარს სანმა ჩინეთი რესპუბლიკად გამოაცხადა.

მაგრამ როგორც რესპუბლიკა, ისე სანის პრეზიდენტობაც სიმბოლური უფრო იყო. პეკინს იუანი აკონტროლებდა და მას პროფესიონალური არმია უმაგრებდა ზურგს. მდიდარ და გავლენიან ჩინელებს სანისეული მიწის გადანაწილების გეგმა არ მოსწონდათ და ამიტომ ცალსახად ერჩი-

ათ იუანისნაირი ლიდერი – კონსერვატორი, გამოცდილი და ძლიერი მმართველი. იმავე პოზიციაზე იდგა ნანკინგის ასამბლეის უმრავლესობაც, რომელსაც სანი რევოლუციის სიმბოლოდ და დინასტიის დასამხობ საშუალებად სჭირდებოდა და არა ქვეყნის მმართველად. იუანმა, ბოლოს და ბოლოს, ეს გარემოება გაიაზრა და 1912 წლის 12 თებერვალს ექვსი წლის იმპერატორი ფორმალურად გადააყენა. ასევე გადადგა სანიც, რომელმაც პრეზიდენტობა იუანს დაუთმო. იგი დარჩა რევოლუციური ალიანსის – გომინდანგის (ნაციონალისტური პარტია) – ლიდერად.

ასე დასრულდა დინასტია, მაგრამ არ დასრულებულა ჩინეთის განსაცდელი. ჯერ გაირკვა, რომ დიდი დღე არც რესპუბლიკას ეწერა. 1913 წლის დასაწყისში საპარლამენტო არჩევნებში გომინდანგმა გაიმარჯვა, რამაც იუანი დააშინა. მან სანის პარტია საერთოდ აკრძალა, არჩეული პარლამენტი კი დაშალა. ამის შემდეგ ახალმა პარლამენტმა იუანი სამუდამო პრეზიდენტად გამოაცხადა (სანი, სანამ ეს მოხდებოდა, მანამდე გაიქცა იაპონიაში). მალე კი დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და „ჯუჯა მეკობრეებისაგან“ ახალი უბედურება მოვიდა. იაპონელებმა ისარგებლეს იმით, რომ ომის გამო ევროპასა და ამერიკას აზიისათვის დიდად აღარ სცხელოდათ და 1915 წლის დასაწყისში იუანის მთავრობას ე.წ. „ოცდაერთი მოთხოვნა“ წაუყენეს. მოთხოვნებს შორის იყო ჩინეთის მიერ აღმოსავლეთის ტერიტორიის ნაწილის, პორტების, ასევე მანჯურიის რკინიგზის დათმობა, მანჯურიაში კიდევ არაერთი ეკონომიკური პრივილეგიის მინიჭება. მაგრამ ეს ყველაფერი არ ყოფილა: ტოკიომ „სასურველი მოთხოვნებიც“ წამოაყენა, რომელთა მიხედვით ჩინეთს მთავრობაში იაპონელი მრჩევლები უნდა დაენიშნა. ანუ, სხვა სიტყვებით, ჩინელებს ქვეყნის მართვა მათი საძულველი „ჯუჯა მეკობრეებისათვის“ უნდა გადაებარებინათ.

იუანმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ ამ მოთხოვნების შესახებ დასავლურ პრესას ამცნო, მაგრამ ამას დიდი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან დასავლეთს, ომიდან გამომდინარე, აზიისათვის არ ეცალა. ამასობაში, გაქცეული სანი იაპონელებს დახმარების სანაცვლოდ კიდევ დამატებით დათმობებს სთავაზობდა (დაახლოებით ისე, როგორც რამდენიმე წელიწადში ეს კიდევ ერთმა რევოლუციონერმა, ლენინმა გააკეთა გერმანიასთან მიმართებით). იუანმა სანი მოღალატედ გამოაცხადა და რევოლუციის ლიდერს ბევრმა თანამებრძოლმა ზურგი შეაქცია კიდეც, მაგრამ იუანის მდგომარეობას ეს დიდად არ ამსუბუქებდა და 1915 წლის

მაისში იგი იძულებული გახდა, ოცდაერთი მოთხოვნიდან ფაქტობრივად ყველა მიეღო „სასურველი მოთხოვნების“ გარდა (ტოკიო ამ მოთხოვნების გადადებას დათანხმდა). წლის ბოლოს იუანმა თავი იმპერატორადაც გამოაცხადა, მაგრამ ამას ქვეყნის გამთლიანების ნაცვლად არეულობა და სამოქალაქო ომი მოჰყვა. შუაგულ კრიზისში ახლად გამომცხვარი იმპერატორი მოულოდნელად გარდაიცვალა და ქვეყანა კიდევ უარესმა ქაოსმა მოიცვა. ისედაც მორყეული ცენტრალური ხელისუფლება სულ მოიშალა, უამრავი რეგიონი ადგილობრივი ფეოდალებისა და ბანდიტების ხელში აღმოჩნდა, რომელთაც თავიანთი არმიები ჰყავდათ და პეკინს საერთოდ არ ემორჩილებოდნენ. სანი კიდევ ერთხელ და ახლა უკვე სამუდამოდ დაბრუნდა სამშობლოში. 1921 წლის აპრილში იგი კვლავ გამოაცხადეს პრეზიდენტად, ამჯერად კანტონში. მაგრამ ეს კიდევ უფრო მეტად სიმბოლური იყო, ვიდრე მისი პირველი პრეზიდენტობა.

გასაკვირი არ არის, რომ ამასობაში ჩინეთს არც საგარეო საქმეები მისდიოდა კარგად. ინგლისი იაპონიას გაურიგდა და შანტუნგის ნახევარკუნძული მისად ცნო. ამერიკელებმა, რომელთაც უკვე კარგა ხანი იყო, გულზე არ ეხატებოდათ ტოკიოს მზარდი ამბიციები წყნარი ოკეანის აუზში, იმას მიაღწიეს, რომ იაპონელებისგან „ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის“ პატივისცემის დაპირება მიიღეს (და იქვე ისინი ღია კარის პოლიტიკაზეც დაითანხმეს). იმავე პერიოდში (1917 წელი) ჩინეთმა, ამერიკისა და ანტანტის ჩაგონებით, გერმანიას გამოუცხადა ომი იმ გათვლით, რომ შემდეგ სამშვიდობო კონფერენციაზე დაიკავებდა ადგილს. როგორც ცნობილია, ამან ჩინეთს ვერ უშველა. ჯერ კიდევ 1919 წლის მაისში, ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე (როცა უკვე ყველაფერი ნათელი იყო) პეკინში, ტიანანმენის მოედანზე უზარმაზარი დემონსტრაცია გაიმართა, რომელიც მალე დიდ საპროტესტო მოძრაობაში გადაიზარდა. პეკინს სხვა დიდი ქალაქებიც აჰყვნენ. დაიწყო იაპონური საქონლის მასობრივი ბოიკოტი და განადგურება. არეულობა მხოლოდ მაშინ დასრულდა, როცა მოვიდა ცნობა, რომ პარიზში ჩინურმა დელეგაციამ საბოლოო ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა.

მაგრამ, ამასობაში, ომის დასრულებასთან ერთად დასავლეთმა იაპონიისთვის მოიცალა. მისი გაძლიერება უკვე ყველას აშფოთებდა, განსაკუთრებით კი ამერიკას, რომელსაც აღმოსავლეთ აზიაში თავისი ინტერესები ჰქონდა და ასე იოლად სხვისთვის დათმობას არ აპირებდა, მით უმეტეს, რომ ომის შემდეგ ამერიკა არნახულად გაძლიერდა.

ინგლისს მისი დომინიონები (უპირველესად, კანადა) იაპონიასთან 1902 წლის შეთანხმების გაწყვეტისკენ მოუწოდებდნენ; ვაშინგტონისა და ტოკიოს ინტერესების გადაკვეთა უკვე აშკარა ხდებოდა და დომინიონებს არ სურდათ, ამ შეთანხმების გამო ამერიკასთან დაპირისპირებულთა ბანაკში აღმოჩენილიყვნენ. არნახული ტემპით იზრდებოდა იაპონიის როგორც ტერიტორიული, ისე ეკონომიკური ექსპანსია – მისი საქონელი არა მხოლოდ აზიაში, არამედ ამერიკის კონტინენტებზეც კი გამოჩნდა. რაც შეეხება ტერიტორიულ ექსპანსიას, ტოკიომ, როგორც ცნობილია, ჩინეთის გარდა რუსეთშიც (კერძოდ, ციმბირში) მოიკიდა ფეხი, ისარგებლა რა იქ მიმდინარე სამოქალაქო ომით. ამ ყველაფერს იაპონელები მონროს დოქტრინის საკუთარი ვერსიით ამართლებდნენ – აზია აზიელებსო. თუმცა იმასაც იაზრებდნენ, რომ მათთვის საქმე მთლად ისე იოლად არ იქნებოდა, როგორც შტატებისთვის – ამერიკის კონტინენტებზე.

ამიტომაც, როცა 1921 წლის ბოლოს ინგლისთან შეთანხმებით ამერიკელებმა კონფერენციაზე უხმეს იმ სახელმწიფოებს, რომელთაც აღმოსავლეთ აზიაში ინტერესები გააჩნდათ, იაპონელებმა მაშინვე იაზრეს, რაც ელოდათ. მათ ერთხელ, 1895 წელს ჩინეთის დამარცხების შემდეგ, უკვე დაათმობინეს მონაპოვრის ნაწილი და ახლაც დაახლოებით იგივე ხდებოდა. უბრალოდ, ახლა მათ კონფერენციაზე უხმობდნენ, სადაც, ოფიციალურად, განიარაღებისა და წყნარი ოკეანის უსაფრთხოების საკითხები უნდა განეხილათ. ტოკიო შეეცადა, კონფერენციის დღის წესრიგიდან ამოეღოთ ის საკითხები, რომლებიც რეგიონში მათ ინტერესებს უკავშირდებოდა, მაგრამ ამაოდ. კონფერენცია 12 ნოემბერს გაიხსნა ვაშინგტონში. მოწვეულებში დასავლეთის ქვეყნები ჭარბობდა – თავად ამერიკის გარდა ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, პორტუგალია. არ მიიწვიეს გერმანია, რომელმაც კოლონიები დაკარგა და არ მიიწვიეს რუსეთი, რომლის ახალ მთავრობასაც ამერიკა არ ცნობდა (პასუხად მოსკოვიდან წინასწარვე განაცხადეს, რომ კონფერენციის შედეგებს არ აღიარებდნენ). აზიიდან სულ ორნი იყვნენ, აქედან ჩინეთს პეკინის მთავრობა წარმოადგენდა (რადგან სანის მთავრობას საზღვარგარეთ არ ცნობდნენ), რომლის დელეგაციამ უფულობის გამო ვაშინგტონში ძლივს ჩააღწია.

კონფერენცია რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგით დასრულდა. უპირველესად, გაფორმდა ე.წ. ოთხი სახელმწიფოს ხელშეკრულება ამერიკას,

ინგლისს, იაპონიასა და საფრანგეთს შორის. მისი წყალობით გაუქმდა ინგლისურ-იაპონური შეთანხმება და ამგვარად ლონდონმა შესაძლო ხათაბალისგან თავი დაიხსნა. ხელშეკრულების მიხედვით მხარეები პატივს სცემდნენ ერთმანეთის ინტერესებს წყნარი ოკეანის აუზში. ამის შემდეგ, იაპონური დელეგაციის მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩინეთის ჯერიც დადგა. დამსწრეები (ამ შემთხვევაში, ცხრავე სახელმწიფო) შეთანხმდნენ, რომ პატივს სცემდნენ ჩინეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას (თუმცა, არ დაზუსტებულა, რა იგულისხმებოდა ჩინეთის ტერიტორიაში), არ შეეცდებოდნენ იქ გავლენის სფეროების მოპოვებას და მასთან ურთიერთობას ღია კარის პოლიტიკის პრინციპებით წარმართავდნენ (რისი მიღწევაც დიდი ხნის წინ სურდა ამერიკას). თუმცა, ჩინეთს უარი უთხრეს არენდით აღებული ტერიტორიების დაბრუნებაზე (ასეთ შემთხვევაში ინგლისელებს ჰონგკონგის დაბრუნება მოუწევდათ, რომელიც 1898 წელს 99-წლიანი არენდით გადაიფორმეს). საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი აქ იაპონიამ დაკარგა, რომელსაც შანტუნგიდან გასვლა და ასევე სამხრეთ მანჯურიის რკინიგზის მშენებლობაზე მონოპოლიის დათმობა მოუწია. იაპონია ასევე დათანხმდა რუსეთიდან ჯარის გაყვანაზეც. ეს დათმობები იმითაც აიხსნება, რომ იაპონიას მაშინ შედარებით ზომიერი მთავრობა ჰყავდა, რომელზეც სამხედროებს ისეთი დიდი გავლენა არ ჰქონდათ.

ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმება კი 1922 წლის თებერვალში გაფორმდა, რომელმაც შეზღუდვა დააწესა 10 ათას ტონაზე მეტი წყალწყვის ხომალდებზე. ყველა წამყვან საზღვაო სახელმწიფოს თავისი კვოტა ერგო. ყველაზე მეტი – ხუთი კვოტა – ამერიკამ და ინგლისმა მიიღეს და, ამგვარად, ყოფილი კოლონია უკვე ოფიციალურად გაუტოლდა ყოფილ იმპერიას. ინგლისმა 1889 წელს, თავისი დიდების ზენიტში შემოღებულ ე.წ. „ორი სახელმწიფოს სტანდარტზე“ საბოლოოდ თქვა უარი (ამ სტანდარტის მიხედვით, ინგლისის ფლოტი, სულ ცოტა, ორჯერ უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ფლოტი). იაპონიის კვოტამ სამი შეადგინა, რაც არც ისე ცუდი მიღწევა იყო იმის გათვალისწინებით, რომ მისი ინტერესი წყნარ ოკეანეს არ სცდებოდა. თუმცა იაპონელი სამხედროები ამ კვოტასაც უკმაყოფილებით შეხვდნენ. საფრანგეთსა და იტალიას 1.67 კვოტა ერგოთ. ინგლისმა სცადა, ფლოტის შემცირების პარალელურად სახმელეთო შეიარაღების შემცირების საკითხი დაესვა, რამაც საფრანგეთი თავიდან რთულ მდგო-

მარეობაში ჩააგდო, მაგრამ ბრიანმა (იგი იმჟამად პრემიერ-მინისტრის რანგში წარმოადგენდა თავის ქვეყანას) მალე იპოვა მარტივი გამოსავალი: სანაცვლოდ ამერიკასა და ინგლისს პარიზის კონფერენციაზე დაპირებული უსაფრთხოების გარანტიები მოსთხოვა. სახმელეთო შეიარაღების შემცირებაზე საუბარიც იქვე დასრულდა.

საბოლოოდ, კონფერენციაზე იაპონელებმა ერთი შეხედვით თითქოსდა ბევრი დაკარგეს, მაგრამ, სინამდვილეში, შანტუნგსა და ციმბირში ყოფნა მათთვის ფინანსური ტვირთი უფრო იყო, ვიდრე მოგება. საზღვაო კვოტის წყალობით კი წყნარ ოკეანეში მათი პოზიციები სერიოზულად გამყარდა. მით უმეტეს, რომ 10 ათას ტონა წყალწყვაზე ქვემოთ არანაირი შეზღუდვა არ იყო და იაპონელები ძირითადად უფრო პატარა ხომალდებს აგებდნენ. ინგლისმა და ამერიკამ რეალურად აღიარეს ტოკიოს გავლენა წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილზე.

კომინტერნი და აზიელი ლენინი

სანის მეორე „ვადა" თითქმის ისეთივე ხანმოკლე გამოდგა, როგორც პირველი. მან ჩინეთის გაერთიანების მეტად ამბიციური გეგმები დასახა, რაც მის ერთ-ერთ პარტნიორ ფეოდალს არ მოეწონა. შედეგად, 1922 წლის ზაფხულში სანს კანტონიდან გაქცევა მოუხდა. მან თავი შანხაის შეაფარა და ამჯერად მისი გაქცევა ყველაზე მეტად წარმატებული აღმოჩნდა.

სწორედ შანხაიში, ერთი წლით ადრე კომინტერნის თაოსნობით ჩინეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა გაიმართა. ბუნებრივია, დაშლის პირას მყოფი ქვეყანა რევოლუციის გასავრცელებლად იოლი სამიზნე ჩანდა, მაგრამ მხოლოდ ახლად შექმნილი კომუნისტური პარტია ამ საქმეს იოლად ვერ მოერეოდა – მოსკოვს ჩინეთში უფრო ძლიერი დასაყრდენი სჭირდებოდა და ასეთად სანი და მისი პარტია შეარჩიეს.

1923 წლის იანვარში უკვე ორგზის ყოფილ პრეზიდენტს შანხაიში ადოლფ იოფე ეწვია (საბჭოთა რუსეთის ყოფილი ელჩი გერმანიაში) და დახმარება შესთავაზა: ფული, იარაღი და ტრენინგი. საამისოდ გომინდანგი ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან ალიანსში უნდა გაერთიანებულიყო. იოფემ იქვე სანს მოახსენა, რომ მის ქვეყანას ჩინეთთან მიმართებით არავითარი იმპერიალისტური ზრახვები არ ამოძრავებდა იმის მიუხედავად, რომ გარე მონღოლეთი ჰქონდა ოკუპირებული...

მაგრამ სანისათვის ეს განმარტებები საჭირო არც ყოფილა – სადაც იგი იაპონელებს სთხოვდა დახმარებას, ცხადია, მით უფრო უპრობლემოდ მიიღებდა დახმარებას რუსებისაგან.

ალბათ ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ ეს დახმარება უანგარო არ იყო. ჩინელმა კომუნისტებმა მოსკოვიდან ბრძანება მიიღეს, გომინდანგთან თანამშრომლობა ორპარტიულ ალიანსზე თანდათანობით კონტროლის დასამყარებლად გამოეყენებინათ. ალიანსი საბჭოთა კავშირის დახმარებით გაძლიერდებოდა, ქვეყანას გააერთიანებდა და ხელისუფლებაში მოვიდოდა, ამასობაში კი კომუნისტები იქიდან გომინდანგს თანდათანობით გამოაძევებდნენ და ჩინეთში რევოლუცია იზეიმებდა – ასე ვარაუდობდნენ მოსკოვში. როგორც ცნობილია, საბოლოოდ ჩინეთში კომუნისტები ხელისუფლებაში მართლაც მოვიდნენ, ოღონდ არა ამ სცენარით. ძნელი სათქმელია, ისინი საბოლოოდ გაიმარჯვებდნენ თუ არა, რომ არა სანის გარიგება რუსებთან. ცალსახად მისი დადანაშაულება რთულია. გარდა იმისა, რომ მასა და მის პარტიას დახმარება მართლაც ჰაერივით ესაჭიროებოდათ, სანს კომუნისტები გულწრფელად მიაჩნდა პროგრესულ ძალად და ეს არცაა გასაკვირი: კომუნისტების დანაშაული ჩინეთს ჯერ არ ენახა, სამაგიეროდ, ბევრი დამცირება ჰქონდა გადატანილი იმპერიალისტებისაგან, რომელთაც სწორედ კომუნისტები ებრძოდნენ (და წარმატებულადაც).

მოსკოვმა კი, ამასობაში, სანის პარალელურად პეკინის მთავრობასთანაც გააბა მოლაპარაკებები და 1924 წლის მაისში მასთან დიპლომატიური ურთიერთობებიც დაამყარა. გარე მონღოლეთის დაბრუნებას საბჭოთა მთავრობა პეკინსაც დაჰპირდა, თუმცა დაპირება მხოლოდ დაპირებად დარჩა. მოსკოვი, ტრადიციულად, ორმაგ თამაშს თამაშობდა – ოფიციალურად პეკინს ელაპარაკებოდა, კომინტერნის მეშვეობით კი სანს აძლიერებდა და რევოლუციას ამზადებდა. ამასთან ერთად, არც თავის იმპერიალისტურ ამბიციებზე ამბობდა უარს. სანთან კომინტერნმა გამოცდილი რევოლუციონერი მიხაილ ბოროდინი მიავლინა, რომლის ხელშიც ორპარტიული ალიანსი კარგად ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალად იქცა.

სანმა მალე საბჭოთა კავშირში თავისი უახლოესი თანამებრძოლი გაგზავნა იქაური გამოცდილების შესასწავლად. ეს იყო ახალგაზრდა რევოლუციონერი ჩანგ კაი-ში, რომელმაც სანის ნდობა ჯერ კიდევ მაშინ მოიპოვა, როცა 1915 წელს იაპონელებთან ფლირტის გამო ყოფილ პრე-

ზიდენტს ზურგი არ შეაქცია. სანთან იგი საბოლოოდ მაშინ დაახლოვდა, როცა 1922 წელს იგი კანტონიდან უსაფრთხოდ გაიყვანა. ჩანგ კაი-შის რევოლუციური კარიერა პრაქტიკულად 18 წლის ასაკში დაიწყო, როცა მან მანჯუსადმი პროტესტისა და დაუმორჩილებლობის ნიშნად ნაწნავი (დინასტიის ქვეშევრდომთა აუცილებელი ატრიბუტი) მოიჭრა და იაპონიას მიაშურა. იქ განათლება ტოკიოში სპეციალურად ჩინელთათვის გახსნილ სასწავლებელში მიიღო, შემდეგ იაპონურ ჯარშიც იმსახურა და ცხოვრების ბოლომდე მოინუსხა იქაური დისციპლინითა და პატრიოტიზმით. იაპონურისგან განსხვავებით, საბჭოთა სისტემის ეფექტურობით იგი დიდად აღტაცებული არ დარჩენილა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საბჭოთა ხელისუფლების ქმედებების უკან ჩვეულებრივი რუსული იმპერიალისტური ინტერესები დაინახა. თავისი ამ დაკვირვებების შესახებ ჩანგმა უკან დაბრუნებისთანავე სანს მოახსენა, მაგრამ ამ უკანასკნელის ნათქვამზე განსაკუთრებული რეაგირება არ მოუხდენია (რაც მისნაირი ლიდერისაგან გასაკვირი არ იყო).

ჩანგმა რუსებისადმი თავისი ანტიპატია დროებით დამალა და ბოროდინთანაც კი დამეგობრდა. ამის წყალობით მას სამხედრო აკადემია ჩააბარეს, რომელიც საბჭოთა ფულით კუნძულ ვამპოაზე დაარსდა. ჩანგის მოადგილედ აკადემიაში კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერი (და შემდგომში ჩინეთის ერთ-ერთი მმართველი) ჯუ ენ-ლაი დაინიშნა. აკადემიაში საბჭოთა სპეციალისტების, მათ შორის გენერალ ვასილი ბლიუხერის, მეთვალყურეობის ქვეშ სწრაფად იწვრთნებოდა ახალი არმია, რომელიც საბოლოოდ ჩანგის ხელში მრისხანე ძალად უნდა ქცეულიყო.

რაც შეეხება თავად სანს, საბჭოთა დახმარების წყალობით მისი პოზიციები ისე გაძლიერდა, რომ მალე ზარ-ზეიმით დაბრუნდა კანტონში. ოღონდ ამჯერად პრეზიდენტის ნაცვლად გენერალისიმუსის ტიტული მოირგო. 1924 წელს იგი პეკინში მიიწვიეს, რათა იქ ერთად ემსჯელათ ჩინეთის გაერთიანებაზე. ბუნებრივია, იგი შემოთავაზებას დათანხმდა კიდეც, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ მძიმედ ავად იყო. 1925 წლის 12 მარტს, 58 წლის ასაკში სანი გარდაიცვალა და მისგან მალე ისეთივე კულტი შექმნეს, როგორც მანამდე შექმნეს ლენინისაგან საბჭოთა კავშირში. ლენინისავე მსგავსად, მოგვიანებით (1929 წელს) იგი მავზოლეუმში დაკრძალეს, ნანკინგში. ცხადია, ლენინამდე მას, როგორც პოლიტიკოსს, ბევრი უკლდა, მაგრამ დაშლის პირას მყოფ ჩინეთს რუსეთზე გაცილებით უფრო მეტად სჭირდებოდა გმირი და ასეთად სანზე მეტად ვერავინ გამოდგებოდა.

სანისა და ჩანგის ურთიერთობაც ერთგვარად ლენინისა და სტალინის ურთიერთობას ჰგავდა. კონკრეტულად კი იმით, რომ ჩანგმა ბრწყინვალედ გამოიყენა ჩინეთის ბელადთან თავისი ურთიერთობები პოლიტიკურ ბრძოლაში. თუმცა, ცხადია, მხოლოდ ამ ურთიერთობების იმედად არ ყოფილა. 1925 წლის ბოლოს ჩანგის მთავარი კონკურენტი გაურკვეველ ვითარებაში ჩაცხრილეს კანტონში და ამის წყალობით მან გომინდანგზე ფაქტობრივი კონტროლი დაამყარა. 1926 წლის მარტში კი ჩანგმა კარგად გამოიყენა კომუნისტთა საეჭვო აქტივობები, მათ გადატრიალების მცდელობა დააბრალა და ორპარტიულ ალიანსში დიდი წმენდა მოაწყო (მოგვიანებით კომუნისტები ალიანსიდან საერთოდ გააძევა კიდეც). მოსკოვში ჩანგის გამოხდომას წაუყრუეს, რადგან სტალინს მიაჩნდა, რომ მასზე უკეთ ჩინეთში რეგიონულ ფეოდალებს ვერავინ გაუმკლავდებოდა. სანის მემკვიდრემ ეს ყველაფერი კარგად გამოიყენა, წმენდის დასრულებიდან მალე გომინდანგს ფორმალურადაც ჩაუდგა სათავეში, პარალელურად კი მოსკოვს თავის ერთგულებაში არწმუნებდა. იქამდე ე.წ. რევოლუციური არმიის მეთაურადაც იქცა (ეს უკანასკნელი როგორც ვამპოაში გაწვრთნილებს, ასევე გომინდანგის მხარეზე გადმოსული ფეოდალების შეიარაღებულ ფორმირებებს აერთიანებდა) და გაზაფხულის ბოლოს ჩრდილოეთისკენ დაიძრა. ჩინეთის გაერთიანების დრო მოსულიყო. ყოველ შემთხვევაში, ჩანგს ასე მიაჩნდა.

საქმე მართლა კარგად მიდიოდა. 1926 წლის ოქტომბერში რევოლუციურმა არმიამ ჰანკოუ აიღო და გომინდანგის მთავრობამ კანტონიდან აქ გადმოინაცვლა. ჩანგი მალე, ბოროდინის რჩევის საწინააღმდეგოდ, შანხაისკენაც დაიძრა. ბოროდინმა, რომელიც ჩანგს აღარ ენდობოდა, მისი არყოფნით ისარგებლა და ჰანკოუში ინტრიგების ხლართვა დაიწყო. მაგრამ ამან უკვე ველარაფერი შეცვალა. 1927 მარტში ჩანგი შანხაის მიადგა. იქაურმა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც პროფკავშირებს აკონტროლებდა, მასობრივი გაფიცვა და გამოსვლები მოაწყო და ადგილობრივ ფეოდალს წინააღმდეგობის გაწევის საშუალება მოუსპო. ამის შემდეგ კომინტერნის ბრძანებით კომუნისტებმა თავად დაყარეს იარაღი, რათა ჩანგისათვის ხელი არ შეეშალათ და ეს უკანასკნელიც უბრძოლველად შევიდა ქალაქში. სტალინი კმაყოფილებას ვერ მალავდა: გადატრიალება საჭირო სულაც არ არის, ჩანგი ჩვენ გვემორჩილება, მას გამოვიყენებთ, ლიმონივით გამოვწურავთ და მერე მოვისვრითო. ბელადს აშკარად იმის იმედი ჰქონდა, რომ ჩინელი კომუნისტები იმავეს

გაიმეორებდნენ, რაც თავად მან რუსეთის კომუნისტური პარტიის შიგნით მოახერხა – ინტრიგებით მოიშორებდნენ მეტოქეებს (გომინდანგს) და ძალაუფლებას ჩაიგდებდნენ ხელში.

მაგრამ, ამის ნაცვლად, მალე სრული კატასტროფა დატრიალდა: პეკინში ადგილობრივი პოლიცია საბჭოთა საელჩოში შეიჭრა და იქ ხელში ჩაიგდო საბუთები, რომლებიც ააშკარავებდა, რომ ჩინელ კომუნისტებს ბოროდინი აკონტროლებდა და მათი მეშვეობით გომინდანგს ძირს უთხრიდა. პირადად ჩანგს ეს საბუთები ალბათ დიდად არ სჭირდებოდა, რადგან უკვე დიდი ხანი იყო, რაც ბოროდინსა და მის მოდგმას აღარ ენდობოდა. რამდენიმე დღეში მისი ბრძანებით შანხაიში კომუნისტებს დაერივნენ და დაუნდობელი ჟლეტა მოაწყვეს. იგივე მოხდა სხვა დიდ ქალაქებშიც. დაიღუპა ათასობით ადამიანი, მათ შორის, უდანაშაულოებიც. გადარჩენილი კომუნისტები სოფლად გადაიმალნენ. გადარჩა ჯუ ენ-ლაი, რომელიც ჩანგის თანხმობით შანხაიდან უვნებლად გაუშვეს. მისივე ბრძანებით, ჩინეთიდან გაღწევის საშუალება ბოროდინსა და ბლიუხერსაც მისცეს. მაშინ ალბათ ძნელად წარმოიდგენდა ვინმე, რომ ჩინეთში ახალი, 22-წლიანი სამოქალაქო ომი დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლება შოკში იყო. სტალინს მისმა კონკურენტებმა კრიტიკაც კი შეჰბედეს. ზინოვიევმა ჩანგი მუსტაფა ქემალს შეადარა და ტროცკიმაც კი ამოიღო ხმა. მალე სტალინისათვის ახალი უსიამოვნო ამბავი მოვიდა იაპონიიდანაც, სადაც მოსკოვს თავდაუსხმელობის პაქტზე უთხრეს უარი, შემდეგ კი, როგორც უკვე ვთქვით, საბჭოთა კავშირთან ინგლისმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები. ამდენი ჩავარდნის შემდეგ გამწარებულმა ბელადმა მაინცდამაინც ჩინეთში მოინდომა გარდატეხა და ივნისში იქ დარჩენილ კომინტერნის აგენტურას ჯარში „რეაქციონერი“ ოფიცრების დაპატიმრება და აჯანყებების მოწყობა დაევალა. ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იყო: რევოლუციური არმია, მართალია, ძირითადად საბჭოთა ფულისა და კონსულტანტების წყალობით შეიქმნა, მაგრამ იგი ჩანგს ემორჩილებოდა და არა სტალინს, ხოლო კომუნისტური პარტია გაზაფხულის შემდეგ უკვე, სულ ცოტა, განახევრებულიყო. მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ იყო და ჩინელი კომუნისტები ბრძანებას დამორჩილდნენ. მათი გამოხდომა ახალი დიდი კატასტროფით დასრულდა. გომინდანგის ერთგული ძალები კომუნისტებს იოლად გაუმკლავდნენ და კიდევ უფრო უარესი წმენდა მოაწყვეს. 1927 წლის ბოლოს ყველაფერი დასრულებული ჩანდა. ჩინეთის

კომუნისტურმა პარტიამ წევრების 85% დაკარგა (ნაწილი მოკლეს, ნაწილმა კი პარტია დატოვა). ოღონდ აი, გადარჩენილებში მაო ძედუნი ერია...

სტალინი ყველაფერს სხვებს აბრალებდა. იმ დროისათვის იგი ტროცკის იაპონიაში ელჩად გამწესებაზე ფიქრობდა, მაგრამ აზიაში ამდენი ჩავარდნის შემდეგ გადაიფიქრა – შეეშინდა, რომ მისი მთავარი ოპონენტი მთელ რეგიონს მოსდებდა ამბებს ბელადის სიჯიუტისა და უმძიმესი შეცდომების შესახებ.

1928 წლის დასაწყისში ჩანგმა სრული კონტროლი დაამყარა არა მხოლოდ პარტიასა და შეიარაღებულ ძალებზე, არამედ მთავრობაზეც. იმ დროისათვის მან ასევე სანის ქვრივის, ჩინგლინგის დაზე, ულამაზეს სოონგ მაილინგზე იქორწინა (ეს მისი მესამე და უკანასკნელი ქორწინება უნდა ყოფილიყო) და ამგვარად კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირა თავისი სახელი ბელადის ხსოვნას. ყველაფერ ამის შემდეგ უკვე პეკინზე გალაშქრებაც შეიძლებოდა.

ჩინური გაერთიანება

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ფონზე იაპონია შესაშურად ვითარდებოდა, საკუთარი პრობლემები მასაც მრავლად ჰქონდა. მეიძის რესტავრაციის შემდეგ ქვეყნის მოსახლეობა 1920-იანი წლებისათვის გაორმაგდა და 60 მილიონს მიაღწია. ასეთი სწრაფი ზრდის ფონზე მოსახლეობის გამოკვება ჭირდა, მით უმეტეს, რომ იაპონიას ბუნებრივი რესურსები თითქმის არ გააჩნდა. 1923 წელს საშინელმა მიწისძვრამ ტოკიო ნაწილობრივ, იოკოჰამა კი სრულიად გაანადგურა და ბუნებრივია, რომ ეკონომიკასაც დიდი ზარალი მიაყენა. ერთ წელიწადში კი ამერიკამ იაპონელ ემიგრანტებს შესვლა აუკრძალა (მიიღო აქტი, რომელმაც მკვეთრად შეზღუდა ზოგადად აზიური ემიგრაცია). ამას მთელ იაპონიაში ანტიამერიკული გამოსვლები მოჰყვა, მაგრამ ტოკიომ ოფიციალური დემარშისაგან თავი მაინც შეიკავა. ასეთ ვითარებაში ქვეყნის სათავეში მდგარი შედარებით ზომიერი მთავრობა აცნობიერებდა, რომ დასავლეთთან კარგი ურთიერთობები უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან იაპონიას, არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარებისა და ექსპანსიის გარდა არანაირი გზა არ ჰქონდა. ეკონომიკური ექსპანსია კი დასავლეთთან თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ასეთი ხედვა და სტრატეგია ჰქონდა საგარეო საქმეთა მინისტრს შიდეჰარა

კიძუროს. მაგრამ ამ სტრატეგიის განხორციელება იოლი ნამდვილად არ გახლდათ. ჯერ ერთი, იაპონური საქონლის მთავარ ბაზარს ჩინეთი წარმოადგენდა, მაგრამ აქ ამერიკა ყველასგან ღია კარის პრინციპების დაცვას ითხოვდა და, შესაბამისად, იაპონიის ეკონომიკური ექსპანსია წინააღმდეგობებს აწყდებოდა. კიდევ უფრო დიდი პრობლემა იყო სამხედროების მზარდი ამბიციები და მათი უკმაყოფილება შიდეჰარას, და ზოგადად, ზომიერთა პოლიტიკის მიმართ. საბჭოთა კავშირის ან ჩინეთისგან განსხვავებით, იაპონიას გამოკვეთილი, უპირობო ლიდერები არ ჰყავდა, რადგან აქ მთავრობები ხშირად იცვლებოდა და კაბინეტებში სამხედროები ყოველთვის შედიოდნენ. 1885 წლიდან (როცა პირველი მინისტრთა კაბინეტი შეიქმნა) მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე ქვეყანამ 42 კაბინეტი და 30 პრემიერი გამოიცვალა და ამათგან 15 სამხედრო პირი (გენერალი ან ადმირალი) გახლდათ. გარდა ამისა, სამხედროებს ხშირად ეჭირათ საგარეო, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრთა თანამდებობებიც კი.

1928 წელს, როცა ჩანგი ჩრდილოეთისაკენ დაიძრა, იაპონიის პრემიერ-მინისტრი გენერალი ტანაკა გიიჩი იყო, რომელსაც პარალელურად საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიც ეჭირა. ჩანგმა, ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე, როცა მაილინგისათვის ხელის სათხოვნელად იაპონიაში იყო ჩასული, ტანაკას ამცნო, რომ მანჯურიაზე კონტროლის დამყარება ჰქონდა ჩაფიქრებული და პასუხად „მეგობრული“ რჩევა მიიღო, მდინარე იანცზის სამხრეთით დარჩენილიყო (ანუ ნანკინგის ზემოთ წასვლაზე არ ეფიქრა). ჩანგი ამან არ დააფრთხო და ჩინეთში დაბრუნებისთანავე ლაშქრობისთვის მზადებას შეუდგა. აპრილში იგი შანტუნგს მიადგა. ტანაკამ ნახევარკუნძულზე ჯარი გადასხა, მაგრამ პასუხად ჩინელებმა (რომლებიც იმ დროისათვის უკვე გათამამებულიყვნენ და უცხოელებს წინააღმდეგობას იოლად უბედავდნენ) უკვე ერთხელ ნაცად ხერხს – იაპონური საქონლის ბოიკოტს – მიმართეს. ტოკიოზე ამან ცივი შხაპის ეფექტი იქონია. ბოიკოტს ისიც დაემატა, რომ ჩანგმა იაპონელების გამოჩენისთანავე თავისი ჯარის დიდი ნაწილი უკან დახია, მაგრამ იაპონელებმა დარჩენილების დიდი ნაწილი ამოხოცეს და ზედ მშვიდობიანი მოსახლეობაც მიაყოლეს, რამაც მთელი მსოფლიო აღაშფოთა. ჩანგი უკანდახევამ და წაგებამ საკმაოდ მძიმე დღეში ჩააგდო, მაგრამ უარეს დღეში იაპონელები აღმოჩნდნენ და 1929 წლის მარტში შანტუნგიდან ჯარის გაყვანასაც დათანხმდნენ (ჯარის გაყვანამდე ჩინელთა ბოიკოტი

გრძელდებოდა). მანამდე კი სხვა დათმობების გაკეთებაც მოუხდათ. 1927 წლის მაისში ჩანგის რევოლუციური არმია პეკინისკენ დაიძრა, რომელსაც მანჯურიის ერთ-ერთი ფეოდალი და ყოფილი ბანდიტი, „მოხუც მარშლად“ წოდებული ჭანგ წუოლინი აკონტროლებდა. ტანაკას ახალი დაპირისპირება არ სურდა და განაცხადა, რომ არანაირი პრეტენზია არ ექნებოდა, თუკი ჩანგი მთელ ჩინეთს დაიკავებდა მანჯურიის გარდა – ანუ რევოლუციური არმია დიდ კედელს არ უნდა გასცდენოდა. ჭანგ წუოლინი იაპონელთა ჩაგონებით აიბარგა და მანჯურიისკენ გაემგზავრა. გზად მისი მატარებელი ბომბზე აფეთქდა და ფეოდალი ჭრილობებისგან მალე გარდაიცვალა. როგორც გაირკვა, ტერაქტი კვანტუნგის (იაპონიისათვის არენდით გადაცემული ტერიტორია მანჯურიაში) არმიის ოფიცრების ნახელავი იყო, რომელთაც ოფიციალური ტოკიოს რბილი პოლიტიკა არ მოსწონდათ და კონფლიქტის პროვოცირება სურდათ.

მაგრამ ამჯერად აქედან არაფერი გამოვიდა. 8 ივნისს რევოლუციური არმია პეკინში შევიდა, მანჯურიის ახალმა ფეოდალმა, ჭანგ წუოლინის ვაჟმა, „ახალგაზრდა მარშალმა“ ჭანგ სიუემინგმა კი მალე მანჯურიაზე გომინდანგის მთავრობის სუვერენიტეტი აღიარა. ეს ტოკიოსათვის უკვე ნამდვილი სილის გაწვნა იყო, მით უმეტეს, რომ ტანაკა ჭანგ სიუემინგს თავის მხარდაჭერაში არწმუნებდა და ჩანგისადმი დაუმორჩილებლობისკენ უბიძგებდა. მაგრამ იაპონიის მთავრობას ჩინური ბოიკოტის მიერ უკვე მოტანილ მძიმე შედეგებთან ერთად დასავლეთთან ურთიერთობების შესაძლო გაფუჭების შედეგებზე ფიქრიც კი ძალიან აშინებდა და ის მანჯურიის დაკარგვასაც შეეგუა.

ჩინეთი ერთი შეხედვით გაერთიანებული ჩანდა. ჩანგმა, აწ უკვე ახალმა გენერალისიმუსმა, დედაქალაქად ნანკინგი გამოაცხადა. თუმცა გაერთიანება მაინც ხმამაღალი სიტყვაა, რადგან რეგიონთა უმრავლესობა ავტონომიური იყო და ცენტრალურ ხელისუფლებას პირობითად ემორჩილებოდა. სრული სუვერენიტეტი ჩანგის ხელისუფლებას თავად ნანკინგსა და მის შემოგარენზე თუ ჰქონდა დამყარებული. ამ ვითომცდა გაერთიანებულ ჩინეთში ერთპარტიული დიქტატურა გამოცხადდა, როგორც ეს სანს ჰქონდა ჩაფიქრებული: ჩინელი ხალხი ჯერ მეტისმეტად ჩამორჩენილი იყო დემოკრატიისათვის და თავდაპირველად გომინდანგის მმართველობის ქვეშ უნდა ეცხოვრა, სანამ განვითარების ახალი ეტაპისათვის იქნებოდა მზად.

მაგრამ ჩინეთი არა მხოლოდ პოლიტიკურად იყო ჩამორჩენილი. 1929

წლის ივლისში ჩანგის წაქეზებით „ახალგაზრდა მარშალმა“ კონტროლის დამყარება მოინდომა ჩრდილო მანჯურიის რკინიგზაზე (რომელიც, 1896 წლიდან მოყოლებული, რუსეთისა და ჩინეთის ერთობლივი მმართველობის ქვეშ ფუნქციონირებდა). „გაერთიანების“ წარმატებული კამპანიით გათამამებულ ჩანგს რატომღაც ეგონა, რომ სტალინი ისევე ვერ გაბედავდა პასუხს, როგორც ტანაკამ ვერ გაბედა. მაგრამ ფეხზე ახლად დამდგარი იაპონია ერთი იყო და რუსეთის იმპერია – მეორე; 1929 წლის ოქტომბერში საბჭოთა არმიამ გენერალისიმუსის კარგად ნაცნობი გენერალ ბლიუხერის მეთაურობით საზღვარი გადალახა და ჭანგის რჩეულ ჯარს სასტიკი დღე აყარა. „ახალგაზრდა მარშალი“ ამაოდ სთხოვდა გენერალისიმუსის დაპირებულ სამხედრო დახმარებას, გენერალისიმუსი კი ამაოდ მიმართავდა დასავლეთს თუნდაც პოლიტიკური მხარდაჭერისთვის. საბოლოოდ მისთვის ყველაფერი მაინც ნორმალურად დასრულდა, რადგან სტალინი იაპონელების გაღიზიანებას მოერიდა და წლის ბოლოს, უბრალოდ, რკინიგზაზე ორმხრივი მმართველობის აღდგენას დათანხმდა.

იმ დროისათვის კი, როგორც უკვე ვიცით, დიდი დეპრესია დაიწყო. მან დაუზარალებელი ფაქტობრივად არავინ დატოვა, მაგრამ განსაკუთრებით მძიმედ ექსპორტზე დამოკიდებული იაპონიის ეკონომიკას დაარტყა, რადგან ყველა ქვეყანა საკუთარი მრეწველობის დაცვას ცდილობდა და იმპორტზე დიდ ტარიფებს აწესებდა. ამ უბედურებას იაპონიაში ზედიზედ რამდენიმე ცუდი მოსავალი დაემატა. შედეგად, ქვეყანას აღარ ჰყოფნიდა შემოსავალი, რათა უცხოეთიდან მისთვის ჰაერივით საჭირო სტრატეგიული რესურსები – ნავთობი, რკინა, ქვანახშირი – შეესყიდა. ასეთ სიტუაციაში შიდეჰარას სტრატეგიაც აზრს კარგავდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ იაპონელი სამხედროები, რომელთა გავლენა ერთიორად გაიზარდა.

1930 წლის აპრილში იაპონიის მთავრობა, რომელიც ინერციით ჯერ კიდევ მიჰყვებოდა დასავლეთთან თანამშრომლობის გზას, ლონდონის საზღვაო კონფერენციაზე დამატებით შეზღუდვებს დათანხმდა. ამაზე პასუხად მემარჯვენე ფანატიკოსებმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ოსაჩი ჰამაგუჩი სასიკვდილოდ დაჭრეს. იაპონია შეუჩერებლად მიექანებოდა თავის ისტორიაში ყველაზე დიდი კატასტროფისაკენ...



ლენინი და სტალინი, დიდი ბელადის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე



სტალინი და მის მომავალ მსხვერპლთაგანნი: რიკოვი, კამენევი და ზინოვიევი



ტროცკი ოჯახთან ერთად ყაზახეთში




შტრეზემანის გასვენება ბერლინში



ჩინეთის დედოფალ-იმპერატორი და რეგენტი ცისი (ცენტრში)



სან იატ-სენი (სკამზე) თავის ცოლთან, ჩინგლინგთან ერთად



იაპონელთა დელეგაცია ვაშინგტონის კონფერენციაზე



სანი ახალგაზრდა ჩანგთან ერთად
ვამპოას აკადემიაში

თავი 3. დასასრულის დასაწყისი

უბედურება მარტო არ მოდის ხოლმე

იაპონიაზე კიდევ უფრო მძიმე ეფექტი დიდ დეპრესიას გერმანიაზე ჰქონდა, რომელიც ასევე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ექსპორტზე. გარდა ამისა, როგორც უკვე ვთქვით, გერმანიის ეკონომიკა ამერიკული კრედიტების წყალობით დადგა ფეხზე. დეპრესიის გამო კი არა მხოლოდ კრედიტები შეწყდა, არამედ გერმანულ ბანკებს ამერიკიდან უკვე აღებული სესხების დაბრუნება მოუხდათ, რის გამოც, თავის მხრივ, ქვეყანაში გაცემული სესხების ამოღება დაიწყეს და ამან უამრავი ახლად ამუშავებული ბიზნესი მოკლა. დიდად უკეთესი ვითარება არც სამეზობლოში იყო. 1931 წლის მაისში ავსტრიის უმსხვილესი ბანკი გაკოტრდა, რასაც მალე უკვე გერმანიის მსხვილი ბანკიც მიჰყვა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო; სექტემბერში ინგლისმა ოქროს სტანდარტზე თქვა უარი და კრიზისმა ხელახალი ძალით იფეთქა. საქმეს დიდად ვერ უშველა ამერიკის პრეზიდენტის, ჰერბერტ ჰუვერის ინიციატივამ ომისდროინდელი ვალების გადახდაზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ. მით უმეტეს, რომ მთავრობათა უმრავლესობა კრიზისს იმ დროს დამკვიდრებული, მაგრამ არასწორი მეთოდებით ებრძოდა: უპირველესად კი დანახარჯებს ამცირებდა იმის ნაცვლად, რომ ისინი ადრინდელზე უფრო გაეზარდა და ამგვარად გამოეცოცხლებინა ეკონომიკა. ასე იქცეოდა ინგლისის მთავრობა მაკდონალდის მეთაურობით, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი დაბეჯითებით ურჩევდა ლონდონს დანახარჯების გაზრდას. ერთადერთი ევროპული ქვეყანა, რომელშიც მთავრობამ დანახარჯები გაზარდა, იტალია იყო; მუსოლინიმ ახალი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები წამოიწყო და სამუშაოებში სიმბოლურად თვითონაც ჩაერთო. შედეგად, კრიზისიდან მისი ქვეყანა არც ისეთი დიდი დანაკარგებით გამოძვრა, როგორც მოსალოდნელი იყო. მთლიანად დასავლეთში დეპრესია ყველაზე ნაკლებად მაინც საფრანგეთს შეეხო, რომელსაც 1929 წლისათვის ბიუჯეტში უზარმაზარი პროფიციტი ჰქონდა. შედარებით იოლად გადაიტანა კრიზისი საერთაშორისო ბაზრებიდან თითქმის იზოლირებულმა საბჭოთა კავშირმაც.

გერმანიაში კი 1929-1931 წლებში მრეწველობა განახევრდა. ომისა და

რურის ოკუპაციის კოშმარგამოვლილი გერმანელებისათვის კიდევ ერთი კრიზისი უკვე მეტისმეტი იყო. 1930 წლის ივნისში ფრანგებმა უკანასკნელი შენაერთი გაიყვანეს და ოკუპაცია დასრულდა, მაგრამ ქვეყანას დიდად არ ეზეიმებოდა და ეს მალე არჩევნებზეც გამოჩნდა. გერმანიის კანცლერმა ჰაინრიხ ბრუნინგმა სწორედ იმ პერიოდში ქვეყნის უფრო ეფექტური მართვისათვის საგანგებო უფლებამოსილებები მოითხოვა და როცა პარლამენტისგან უარი მიიღო, პრეზიდენტ ჰინდენბურგს ვადამდელი არჩევნები დაანიშნინა. სექტემბერში არჩევნების შედეგებმა მთელი ევროპა შეძრა: ჰიტლერის პარტიამ რაიხსტაგში 107 ადგილი (491-დან) მიიღო. ეს მაშინ, როცა 1928 წელს არჩეულ პარლამენტში ნაცისტებს სულ 12 დეპუტატი ჰყავდათ. ნაცისტების გარდა რაიხსტაგში კომუნისტების რაოდენობაც გაიზარდა, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვნად (54-დან 77-მდე). აქამდე მარგინალური და კომიკური პარტია ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ ძალად იქცა და ეს ალბათ არ მოხდებოდა, რომ არა დიდი დეპრესია. ჰიტლერს მიუნხენის ჩაფლავებული გადატრიალებიდან სწორი დასკვნები გამოეტანა და ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსვლა გადაეწყვიტა. დემოკრატიულ ქვეყანაში შესაბამისი გზებით ბრძოლა იყო საჭირო.

სიტუაციის გადასარჩენად ბრუნინგმა ქვეყნის გარეთ გაიხედა და საინტერესო პროექტიც წამოიწყო – ავსტრიასთან საბაჟო კავშირი. ერთი შეხედვით, ეს სრულიად უიმედო საქმე იყო, რადგან პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიასთან გაფორმებული სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით ამ ქვეყანას გერმანიასთან ყველანაირი ინტეგრაცია ეკრძალებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მსგავსი წამოწყება პირდაპირ ეთავსებოდა ბრიანისეულ ევროპის შეერთებული შტატების პროექტს. ამიტომაც, წესით მის წინააღმდეგ წასვლა ფრანგებისათვის არც ისე იოლი უნდა ყოფილიყო (სხვებში კი გერმანულ-ავსტრიულ ინტეგრაციას დიდი პროტესტი არ უნდა გამოეწვია). ბერლინსა და ვენას შორის საიდუმლო მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ ცხადია, რომ მსგავსი თემა ბოლომდე საიდუმლოდ ვერ დარჩებოდა და როცა გახმაურდა, დიდი სკანდალიც აგორდა. ანშლუსი! ბრიანს, რომელსაც პარიზში ისედაც ბევრს აკრიტიკებდნენ გერმანიასთან კონსტრუქციული ურთიერთობების გამო, ისტერიკის ახალი ტალღა დაატყდა თავს. აი, სადამდე მიიყვანა საქმე მისმა რბილმა პოლიტიკამ! საქმეს ისიც ართულებდა, რომ გერმანელები (როგორც იქვე გაირკვა) საბაჟო კავში-

რის შემდეგ უკვე ორი ქვეყნის იურიდიული სისტემის გაერთიანებასაც გეგმავდნენ.

ამ შორს მიმავალი გეგმების მიუხედავად, თავად საბაჟო კავშირის პროექტის ჩაშლა არც ისე იოლი გამოდგა, რადგან ამით ბრიანი საკუთარ იდეებს გადაუსვამდა ხაზს. ერთი პერიოდი ფრანგები საკითხის ერთა ლიგაში განხილვას, შემდეგ კი არბიტრაჟზე გატანას ფიქრობდნენ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი უფრო მარტივად გადაიჭრა: პარიზიდან ავსტრიელებს დაემუქრნენ, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში ისინი გროშსაც ვეღარ მიიღებდნენ. რადგან ამერიკიდან კრედიტების გადაკეტვის შემდეგ გარედან ფულის მიღების ერთადერთ წყაროდ საფრანგეთი რჩებოდა, ვენა აღარ გაჯიუტებულა და 1931 წლის სექტემბერში პროექტი დასამარდა. ამ ყველაფერმა სწორედ ის შედეგი მოიტანა, რაც ბრიანს ყველაზე ნაკლებად სურდა – გერმანიაში ანტიფრანგული განწყობების გაძლიერება და რადიკალიზმის ზრდა. პოლიტიკური კინკლაობით დაღლილი და ჯანმრთელობაშერყეული ბრიანი 1932 წლის დასაწყისში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგა და მალე გარდაიცვალა. მასაც და შტრეზემანსაც ყველაზე მეტად ალბათ ოპოზიციის მხრიდან კრიტიკამ და ისტერიკებმა მოუღო ბოლო. მშვიდობისმყოფელთა ბედი ყოველთვის რთულია.

გერმანელებმა კი საბაჟო კავშირის ჩავარდნის შემდეგ ერთგვარი მორალური უპირატესობა იგრძნეს და 1931 წლის ბოლოს მსოფლიოს ამცნეს, რეპარაციებს ვეღარ გადავიხდითო. ამჯერად მათ დასაბუთებულ პრეტენზიას გაგებით მოეკიდნენ. მომდევნო წლის ივნის-ივნისში ლოზანაში კონფერენცია გაიმართა, რომელმაც გერმანიას რეპარაციები ფაქტობრივად ბოლომდე ჩამოაწერა. იქვე ინგლისმა და საფრანგეთმა მოითხოვეს, რომ ამის სანაცვლოდ მათთვის ამერიკას ჩამოეწერა ვალები. ვაშინგტონმა ამაზე უარი განაცხადა და საბოლოოდ კონფერენციის შედეგების რატიფიცირება არ მომხდარა, მაგრამ გერმანიისათვის რეპარაციები მაინც აღარავის მოუთხოვია. ამერიკასა და მის მოვალეებს შორის კი დავა გაგრძელდა, რაც გასაკვირი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისს 4, საფრანგეთს კი 3.5 მილიარდი დოლარი ემართათ. საფრანგეთი ანტიამერიკულმა განწყობებმა მოიცვა და წლის ბოლოს პარიზმა ვალების გადახდაზე უარი განაცხადა. პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაბრუნებული ერიო შეეცადა, პარლამენტი დაერწმუნებინა, რომ ვალის გადაუხდელობა ქვეყნის პრესტიჟს მძიმედ დაარტყამდა, მაგრამ ყველაფერი მისი გადაყე-

ნებით დასრულდა. წელიწად-ნახევარში ვალების გასტუმრება ინგლისმაც შეწყვიტა. თუმცა იმ დროისათვის აზიაში ახალი დიდი ხათაბალა დაიწყო, რომელმაც ევროპა დროებით მაინც ყველას მიავიწყა.

აღმოსავლური ტრაგედია დასავლური გაფორმებით

1931 წლის აგვისტოში მანჯურიაში ჭანგის ჯარისკაცებს იაპონელი ოფიცერი შემოაკვდათ. ამან ტოკიოში რადიკალებს კარგი საბაბი მისცა, ჩინეთის საკითხის „საბოლოო მოგვარება“ მოეთხოვათ. უმაღლესმა სარდლობამ პასუხად მართლაც განიხილა მანჯურიაში მოქმედების რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის იქ მარიონეტული მთავრობის შექმნის, მაგრამ საბოლოოდ მაინც თავშეკავება არჩია. ამის შემხედვარემ, კვანტუნგის არმიის სარდლობამ გადაწყვიტა, სადავეები საკუთარ ხელში აეღო. 18 სექტემბერს იაპონელმა სამხედროებმა სამხრეთ მანჯურიის რკინიგზაზე ქალაქ მუკდენთან ახლოს ინციდენტი „დადგეს“ – იქ ბომბი ააფეთქეს, რაც, ცხადია, ჩინელებს დააბრალეს და შემდეგ რკინიგზისა და ზოგადად „წესრიგის დასაცავად“ მომხდარის ადგილას შევიდნენ. ჩინელების მხრიდან სროლას, ბუნებრივია, სროლითვე უპასუხეს, წინ წაინიეს და მალე სამხრეთ მანჯურიის დიდი ნაწილიც დაიკავეს.

ასე დაესხა ერთა ლიგის ერთი წევრი თავს მეორეს. ერთი შეხედვით, ამ თავხედურ ნაბიჯს იაპონიას ასე იოლად არავინ შეარჩენდა, მაგრამ კვანტუნგის არმიის სარდლობაში არც ისეთი უჭკუო ფანატიკოსები იყვნენ, რომ რაღაც-რაღაცეები არ გაეთვალათ. უპირველესად, მათ კარგად ახსოვდათ 1929 წლის ოქტომბრის ამბები, როცა საბჭოთა არმია მანჯურიაში შეიჭრა და ამაზე ყური არავინ შეიბერტყა. სადაც რუსებს გაუვიდათ, რატომ არ უნდა გასვლოდათ იაპონელებს? გარდა ამისა, იაპონელი სამხედროები მანჯურიის მიტაცებას უკვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ. ჩინეთის ეს მხარე სოიოთი, ასევე რკინითა და ქვანახშირით იყო მდიდარი, რაც იაპონიას ძალიან აკლდა. წლების განმავლობაში ტოკიო მანჯურიაში უზარმაზარ ინვესტიციებს დებდა და, პარალელურად, თავისი მოქალაქეების იქ ჩასახლებას ცდილობდა. მაგრამ იაპონელების ნაცვლად მანჯურიაში ძირითადად ჩინელები სახლდებოდნენ და 1931 წლისათვის ადგილობრივ მოსახლეობაში მათმა წილმა 95%-ს მიაღწია. ეს დიდად გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რადგან

იაპონია საკმაოდ განვითარებული ქვეყანა გახლდათ და იქიდან წასვლა არც ისე ბევრს სურდა (მთავრობისგან დაპირებული პრივილეგიების სანაცვლოდაც), მაშინ როცა ჩინეთის ბევრ დანარჩენ მხარეში გაუსაძლისი პირობები იყო და ხალხი იქიდან სიამოვნებით ბარგდებოდა მანჯურიაში. მოკლედ, ისე გამოდიოდა, რომ იაპონია მანჯურიას ტყუილად ახარჯავდა ფულს – ამ მხარეს იაპონელების ნაცვლად ისევ ჩინელები ითვისებდნენ. ამის გამოსასწორებლად ერთადერთ გზად სამხედროებს მხოლოდ ტერიტორიის მიტაცება წარმოედგინათ.

რაც შეეხება თავად ჩინეთის მთავრობის მხრიდან რეაქციას, იაპონელ სამხედროებს ყველაზე ნაკლებად სწორედ ამის ეშინოდათ და მართლებიც გამოდგნენ. ჩანგმა ბევრი ყოყმანის გარეშე „ახალგაზრდა მარშალს“ უბრალოდ ჯარის უკან დახევა უბრძანა. იაპონიასთან ომისათვის იგი ნამდვილად არ იყო მზად. როგორც უკვე ვთქვით, ქვეყანა მხოლოდ ფორმალურად იყო გაერთიანებული. შიდა მტრები (მათ შორის, კომუნისტები) ჯერ კიდევ არ დამარცხებულიყვნენ, ეკონომიკას მძიმე დროება ედგა. ის კი არა, თავად ნანკინგშიც კი არეულობები და ანტისამთავრობო გამოსვლები იყო. გენერალისიმუსმა არათუ ომის გამოცხადება, არამედ დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტაც ვერ გაბედა. თუმცა, ამავე დროს, იაპონელებთან ერთი-ერთზე მოლაპარაკებებზე უარი თქვა და ერთა ლიგას სთხოვა ჩარევა. პარალელურად, უკვე ნაცად ხერხს მიმართა და მოსახლეობას იაპონური საქონლის ბიოკოტირებისკენ მოუწოდა.

ერთა ლიგის მხრიდან რეაქციამ იაპონიის აგრესიაზე კიდევ ერთხელ გამოაჩინა ერთი მარტივი ჭეშმარიტება: რა კეთილშობილური პრინციპებიც უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ორგანიზაციას, მისი პოზიცია ნებისმიერ საკითხზე მისი წამყვანი წევრი ქვეყნების ინტერესებამდე დადის. საფრანგეთსა და ინგლისს აზიისთვის დიდად არ ეცალათ და ტოკიოსთან ურთიერთობების გართულება არ სურდათ. ცხადია, რომ წესით ინგლისს აზიის მიმართ მეტი ინტერესი უნდა ჰქონოდა, მაგრამ დიდი დეპრესიის პირობებში იაპონიის წინააღმდეგ ქმედება არა მხოლოდ ფუფუნებად ჩანდა, არამედ „ბრიტანული იმპერიალიზმის გაგრძელებადაც“ კი ინათლებოდა (უმოქმედობის გამართლება კეთილშობილური მოტივებით ყველაზე კარგი გამოსავალია). კონფლიქტის მიმართ გაცილებით მეტი ინტერესი ამერიკამ გამოიჩინა და საკითხის განხილვაშიც სერიოზულად ჩაერთო. თუმცა ვაშინგტონში იაპონიის მიმართ მკვეთრ განცხადებებს ერიდებოდნენ, ვარაუდობდნენ რა, რომ მანჯურიაში

აგრესიასთან ოფიციალური ტოკიოს ხელი არ ერია, რომ ყველაფერი თავგასული სამხედროების ნამოქმედარი იყო და არსებობდა შანსი, რომ იაპონიის მთავრობა (უპირველესად კი – პრაგმატული შიდეჰარა) ყველაფერს თავად მოაგვარებდა. საამისოდ კი მთავრობაზე გარედან ზეწოლას უნდა მორიდებოდნენ, რადგან ეს ტოკიოში მხოლოდ რადიკალი ნაციონალისტების პოზიციას გააძლიერებდა. ასე და ამგვარად, საკითხის განხილვა ისეთ გარემოში წარიმართა, იაპონია უკეთესს რომ ვერ ინატრებდა. ჩინელთა ბრალდების პასუხად იაპონელებმა განაცხადეს, რომ მათი მოქმედება სხვა არაფერს წარმოადგენდა, თუ არა დივერსიაზე პასუხს და, შესაბამისად, თავდაცვითი ხასიათის იყო. ერთა ლიგის მხრიდან მშვიდობისკენ მოწოდებას არა მხოლოდ ჩინელები, არამედ იაპონელებიც ეთანხმებოდნენ, მაგრამ ამასობაში კვანტუნგის არმიის სარდლობამ განაცხადა, რომ კონფლიქტში ლიგის ჩარევას არ დაუშვებდა და იაპონელებმა ახალი შეტევა წამოიწყეს. 8 ოქტომბერს მათმა ავიაციამ ქალაქი ცინჯოუ დაბომბა. ეს პირველი (და, ცხადია, არა უკანასკნელი) ასეთი შემთხვევა იყო ისტორიაში.

ბრიანი, რომელიც იმჟამად ერთა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეც იყო, გამოსავალს ეძებდა. მან კონფლიქტის მხარეებს კომპრომისის გამოძებნისკენ მოუწოდა, მაგრამ ჩანგი კვლავაც უარს ამბობდა იაპონელებთან პირდაპირ მოლაპარაკებებზე, სანამ ისინი ჯარებს არ გაიყვანდნენ. ჩინელთა წინადადებას, ტოკიოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები აემოქმედებინათ, ამერიკელებმა მხარი არ დაუჭირეს. მართალია, მათი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰენრი სტიმსონი იაპონიას უკვე ეჭვის თვალით უყურებდა (მისთვის აშკარა ხდებოდა, რომ ტოკიო თავის სამხედროებს ვერ ან არ აკავებდა) და სანქციების იდეასაც იწონებდა, მაგრამ საბოლოო სიტყვა პრეზიდენტ ჰუვერს ეთქმოდა, რომელიც შიშობდა, სანქციებს იაპონიასთან ომი მოჰყვებაო, და ეს საკითხი დაბლოკა. ბოლოს ბრიანის ჩაგონებით იპონელებმა სპეციალური კომისიის შექმნის იდეა წამოაყენეს, რომელიც ადგილზე შეისწავლიდა ვითარებას. 1932 წლის იანვარში კომისია დაკომპლექტდა და მას სათავეში ინგლისელი ლორდ ალექსანდრ ლიტონი ჩაუდგა. კომისიას ასევე შეუერთდნენ ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირიც (ლიგის კიდევ ერთ არაწევრი ქვეყანა) მიიწვიეს, მაგრამ უარი მიიღეს. მოსკოვში რატომღაც ფიქრობდნენ, რომ იაპონია დასავლეთის დიდ სახელმწიფებთან შეთანხმებით მოქმედებდა და,

შესაბამისად, მათი მხრიდან ყველანაირი ჩარევა სახიფათო იქნებოდა. მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტი იყო და იაპონიისა ეშინოდა. ამ მოსაზრებების გამო მათ ლიტონის კომისიას საბჭოთა კავშირის გავლით გამგზავრების უფლებაც კი არ დართეს. კომისიამ მუშაობა ოქტომბერში დაასრულა (ამაზე ქვემოთ) და მანამდე ერთა ლიგამ მანჯურიისგან, ფაქტობრივად, ხელები დაიბანა. კონფლიქტისადმი ორგანიზაციის მიდგომა ცინიკურად, მაგრამ ყველაზე ამომწურავად იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დინო გრანდიმ შეაჯამა. „როგორ შეიძლება დავადგინოთ, ვინ არის დამნაშავე ომის გაჩაღებაში, სანამ არ ვიცით, ომს ვინ წააგებს?“ – იკითხა მან.

ტოკიოს დაგმობის საკითხში ყველაზე შორს ისევ ამერიკელები წავიდნენ. 1931 წლის ბოლოს იაპონიაში ახალი მთავრობა მოვიდა, რომელსაც ვაშინგტონში კიდევ უფრო სკეპტიკურად უყურებდნენ (თუმცა, როგორც ვნახავთ, არც ისე საფუძვლიანად). სტიმსონს სანქციების დადების გარდა ისიც სურდა, რომ იაპონია ბრიან-კელოგის პაქტისა და ვაშინგტონის კონფერენციაზე ჩინეთის თაობაზე მიღწეული შეთანხმების დარღვევაში დაედანაშაულებინათ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი უფრო რბილი განცხადებით დასრულდა: 1932 წლის იანვარში სტიმსონმა ვაშინგტონის კონფერენციის ცხრა სახელმწიფოს შეთანხმების (ჩინეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის პატივისცემის თაობაზე) ყველა ხელმომწერ მხარეს აცნობა, რომ ამერიკა არასოდეს აღიარებდა აგრესიის შედეგად ტერიტორიების მიტაცებას. ეს განცხადება სტიმსონის დოქტრინის სახელით შევიდა ისტორიაში. მანჯურიის კონფლიქტზე ამან, ცხადია, ვერანაირი გავლენა ვერ იქონია, თუმცა საერთაშორისო სამართლისათვის მნიშვნელოვან სიახლედ იქცა.

იაპონელები კი ამასობაში თავიანთ საქმეს აგრძელებდნენ და თებერვალში მთელი მანჯურია დაიკავეს. ამის შემდეგ უკვე გამზადებული პროექტის განხორციელების დროც დადგა: მიტაცებული ტერიტორია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს, მანჯუკუო (მანჯუთა მიწა) უწოდეს და მის ტახტზე პუ-ი დასვეს – მანჯუს დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელიც 1908 წელს იქცა ჩინეთის იმპერატორად, მაგრამ რევოლუციის გამო ბევრი ვეღარ იმეფა, მით უმეტეს, რომ მაშინ სამი წელიც არ შესრულებოდა. ცხადია, რომ პუ-ის არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდა და იაპონელების ჩვეულებრივი მარიონეტი იყო. მანჯურიას რეალურად იაპონიის ელჩი განაგებდა, რომელიც,

თავის მხრივ, სხვა არავინ გახლდათ, თუ არა ამ ყველაფრის მთავარი შემოქმედის, კვანტუნგის არმიის სარდალი. იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრი ციოში ინუკაი, რომელიც მისი წინამორბედის მსგავსად, სამხედროთა ქმედებებს არც ისე დიდი ხალისით, მაგრამ მაინც ეგუებოდა, მანჯურიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებასა და ცნობას უკვე აღარ დაეთანხმა. მაგრამ სამხედროებმა ეს პრობლემა ნაცადი ხერხით მოაგვარეს, – გადატრიალება მოაწყვეს და პრემიერ-მინისტრი მოკლეს. ამ ჭკუის სასწავლებელი მაგალითის მიუხედავად, იაპონიის ახალმა მთავრობამ მანჯურია სექტემბრამდე არ ცნო. იმ დროისათვის იაპონელმა სამხედროებმა ჩინური ბოიკოტის პრობლემაც მოაგვარეს. იანვარში შანხაი დაბომბეს და ალყაში მოაქციეს. ჩინეთის დამფრთხალი და კუთხეში მიმწყვდეული მთავრობა იძულებული გახდა, ბოიკოტზე უარი ეთქვა. შანხაის აღება იაპონელებმა აღარ გადაწყვიტეს, რადგან ამ ქალაქში დასავლეთის ბევრ ქვეყანას ჰქონდა სერიოზული ეკონომიკური ინტერესები. 1932 წლის მარტში შანხაიში იაპონიამ და ჩინეთმა დაზავებას მოაწერეს ხელი, რომლის პირობებითაც ჩინეთს ამ ქალაქსა და მის რამდენიმე შემოგარენში ჯარის ყოლა აეკრძალა.

დასავლეთი კი ამ დროს საყოველთაო მშვიდობაზე მსჯელობდა. 1932 წლის 2 თებერვალს ერთა ლიგაში განიარაღების კონფერენცია გაიხსნა, რომელსაც შვიდი წლის განმავლობაში დიდის ამბით ამზადებდნენ და რომელზეც არც ისე დიდი ხნის წინ მთელი მსოფლიო განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა. მაგრამ მანჯურიის კონფლიქტის ფონზე გახსნამ უღიმღამოდ ჩაიარა და ალბათ არ არის საჭირო იმაზე საუბარი, რომ კონფერენციას საბოლოოდ არავითარი შედეგი არ მოუტანია. ფრანგებმა საერთაშორისო არმიისა და საერთაშორისო ავიაციის შექმნის იდეა წამოაყენეს, რომელსაც, ცხადია, სერიოზულად არავინ შეხვდა. გერმანელებმა კატეგორიულად მოითხოვეს თანასწორობა შეიარაღებაში და პრეტენზიები, უპირველესად, საფრანგეთს წაუყენეს. ინგლისმა თავისი ფლოტის შემცირებაზე უარი თქვა და, სამაგიეროდ, სახმელეთო ჯარების შემცირება მოითხოვა. ეს ყველაფერი ამერიკელებმა დააგვირგვინეს, რომელთა წინადადება (ჰუვერის გეგმად წოდებული) ითვალისწინებდა ყველა ტანკისა და ჯავშანტექნიკის, ყველანაირი მძიმე არტილერიის ლიკვიდაციას და ჯარების მკვეთრად შემცირებას. ამ გეგმით საფრანგეთს მხოლოდ 60-ათასიანი არმიის ყოლის უფლება ეძლეოდა და ცხადია, რომ ფრანგებმა მასზე უარი განაცხადეს. მეტი დაწვრილმანება საჭირო ალბათ აღარ არის.

ლიტონის კომისია კი თავის საქმეს უკვე „დამოუკიდებელ" მანჯურიაში შეუდგა და ოქტომბერში მოხსენება წარადგინა, რომელშიც დაასკვნა, რომ იაპონიის ქმედებები თავდაცვითი ხასიათის არ იყო და რომ იაპონიამ ერთა ლიგის წესდება დაარღვია. მსგავსი „სენსაციური" დასკვნების გარდა მოხსენებაში საკმაოდ სერიოზული მომენტებიც იყო გამოკვეთილი. მაგალითად, კომისია არ დაეთანხმა იაპონელთა მთავარ არგუმენტს, რომ ჩინეთი წარმოადგენდა „დეზორგანიზებულ სახელმწიფოს", რომელიც ვერ იცავდა მართლწესრიგსა და უცხო სახელმწიფოთა ეკონომიკურ ინტერესებს თავის ტერიტორიაზე, უპირველესად კი მანჯურიაში. საერთოდაც, იაპონიაში ბევრს გულწრფელად არ ესმოდა დასავლეთის პრეტენზიები. განა ამერიკელები და მით უმეტეს ევროპელები ანალოგიურად არ იქცეოდნენ ხოლმე, როცა სადმე ინტერესი გაუჩნდებოდათ? განა ინგლისმა თავის დროზე სწორედ ჩინეთთან „თავისუფალი ვაჭრობის" დროშით არ დაიწყო ომი? ნუთუ იაპონიას არ ჰქონდა უფლება, თავისი მონროს დოქტრინა შეექმნა, თუკი ასეთი რამ ამერიკელებს ჰქონდათ?

ლიტონის კომისიის რეკომენდაციები გაცილებით უფრო ფრთხილი ხასიათისა გახლდათ. მართალია, მანჯურიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას იგი არ დაეთანხმა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ძველი სტატუს-კვოს აღდგენა ასევე არარეალური იყო და რომ, საერთოდაც, იაპონიას ამ რეგიონში განსაკუთრებული ინტერესები ჰქონდა. რეკომენდაციებში არაფერი ეწერა იაპონიის წინააღმდეგ სანქციების გამოყენებაზე. ლიტონი პირად საუბრებში არც მალავდა, რომ მისი მიზანი მანჯურიაში იაპონელთა დარჩენისათვის პირობების შექმნა იყო (და არა მათი იქიდან გაყვანა) და საამისოდ მაქსიმუმიც გააკეთა. მაგრამ რეკომენდაციებში მაინც გაჩნდა ტოკიოსათვის მიუღებელი ჩანაწერები – მაგალითად, მოწოდება კონფლიქტის მოგვარებაში სხვა დიდ სახელმწიფოთა ჩართვისა და ღია კარის პრინციპების დაცვისაკენ. სწორედ ამის გამო, როცა კომისიის მოხსენება ერთა ლიგის საბჭოზე გაიტანეს, იაპონიამ (საბჭოს წევრმა) იგი არ მოიწონა. ამის შემდეგ მოხსენება განხილვისათვის ასამბლეას გადაეგზავნა. იქ მალე გაირკვა, რომ ასამბლეაში ბევრი პატარა სახელმწიფო იაპონიისათვის სანქციების დადებას უჭერდა მხარს და, შედეგად, მოხსენება სპეციალურ კომისიას გადააბარეს...

ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს გასტანდა ეს კომედია, რომ არა იაპონელ სამხედროთა ახალი თავხედობა. 1933 წლის იანვარში მათ წინსვლა გააგრძელეს და მანჯურიის მეზობელი პროვინცია დაიკავეს.

ახალი აგრესია იმით ახსნეს, რომ მანჯუკუოში მშვიდობისა და სტაბილურობის დასაცავად საჭირო იყო ამ მომიჯნავე ტერიტორიის კონტროლი, რადგან იქაურობა ათასნაირი დანაშაულის ბუდედ ქცეულიყო. თუმცა, იაპონელები ამაზე არ გაჩერდნენ და მარტში დიდი კედლის სამხრეთითაც დაიძრნენ. ჩანგი მიხვდა, რომ რაც უფრო გვიან დათანხმდებოდა იაპონიასთან მოლაპარაკებებს, უფრო მეტ ტერიტორიას დაკარგავდა და მაისის ბოლოს ტანგკუში აგრესორთან დაზავდა. იაპონელთა მოთხოვნით დიდი კედლის სამხრეთით დემილიტარიზებული ზონა შეიქმნა. ჩინელებს იქ პოლიციის ყოლის უფლება ჰქონდათ, მაგრამ ისიც იაპონიის მიმართ „მეგობრულად“ უნდა ყოფილიყო განწყობილი.

დიდმა სახელმწიფოებმა ამდენი უკვე ვეღარ გადაყლაპეს. ჯერ კიდევ 1933 წლის თებერვალში ერთა ლიგის ასამბლეამ არა მხოლოდ ლიტონის კომისიის მოხსენებას, არამედ სტიმსონის დოქტრინასაც დაუჭირა მხარი და ტოკიოს მანჯურიიდან ჯარების გაყვანისკენ მოუწოდა. იაპონელები ამაოდ იმეორებდნენ ძველ არგუმენტებს: რომ ჩინეთისნაირ არშემდგარ ქვეყანაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპები არ უნდა გავრცელებულიყო; რომ იაპონიას არ დაურღვევია ცხრა სახელმწიფოს შეთანხმება, რადგან მანჯურია ჩინეთის ტერიტორიის ნაწილი არ იყო და არც ყოფილა...

მარტის ბოლოს მათ ერთა ლიგა დატოვეს. ზუსტად იმავე პერიოდში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და დრამატული მოვლენები გერმანიაში ვითარდებოდა.

ტრიუკების ოსტატის საბოლოო შემოსვლა

ავსტრიასთან საბაჟო კავშირის ჩავარდნის შემდეგ გერმანიის კანცლერი ბრუნინგი ვითარების გადასარჩენად ახალ პროექტებზე ფიქრობდა და 1931 წლის შემოდგომაზე მორიგი საინტერესო იდეაც დაებადა – ჰოენცოლერნთა მონარქიის აღდგენა. ეს, წესით, სტაბილურობის აღდგენას შეუწყობდა ხელს და ჰიტლერის ამბიციებსაც მოუღებდა ბოლოს. ამ საკითხის გატანა ვერ მოხერხდა, რადგან ბევრი შეეწინააღმდეგა, მათ შორის ჰინდენბურგიც. მაგრამ, სამაგიეროდ, იქიდან მოყოლებული, გახშირდა კონსულტაციები და გარიგებები წამყვან პოლიტიკურ ძალებს შორის, აგორდა მანამდე არნახული ინტრიგები და ამან საბოლოოდ სწორედ ჰიტლერს გაუხსნა გზა ძალაუფლებისაკენ.

გერმანიაში ახალი პოლიტიკური ეპოქის დაწყებამ ფიურერს მეტად ცუდ დროს მოუსწრო, რადგან სწორედ მაშინ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე მისი ცხოვრების ალბათ ერთადერთმა სიყვარულმა, მისმა ნახევარდის შვილმა გელი რაუბალმა (საინტერესოა, რომ დაახლოებით ერთ წელიწადში ასევე მოიკლა თავი სტალინის ცოლმა ნადეჟდამ). ამ ტრაგედიის ფონზე ჰიტლერის პირველმა შეხვედრამ ჰინდენბურგთან არც ისე კარგად ჩაიარა და ხანდაზმულმა პრეზიდენტმა ზიზღით აღნიშნა, ამ „ბოჰემიელ კაპრალს“ მხოლოდ ფოსტის მინისტრობა თუ ეკუთვნისო. მაგრამ ყოფილ კაპრალს კარგად მისი უახლოესი თანამებრძოლებიც კი არ იცნობდნენ და მით უმეტეს არ იცნობდა პრეზიდენტი. ჰიტლერი 1932 წლის გაზაფხულზე ჰინდენბურგს საპრეზიდენტო არჩევნებზე გაეჯიბრა და, მართალია, საბოლოოდ დამარცხდა, მაგრამ თავისი პარტიის რეიტინგი კიდევ უფრო ასწია. ივლისში კი მორიგი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რომელშიც ნაცისტებმა უკვე 230 ადგილი მოიპოვეს და ყველაზე ძლიერ პარტიად იქცნენ. ჰიტლერს საარჩევნო კამპანიები ბრწყინვალედ მიჰყავდა და განსაკუთრებულ ყურადღებას ჯართან მუშაობას უთმობდა. ჯარი და ეკლესია, მისი თქმით, ის ინსტიტუტები იყო, რომელთა მხარდაჭერის გარეშეც ხელისუფლებაში მოსვლა ძალიან გაჭირდებოდა. დაპირებებს შორის, რომლებიც ფიურერმა იმ წელიწადს გასცა, ერთ-ერთი ასეთი გახლდათ: თუკი მისი პარტია გაიმარჯვებდა, ყველა გერმანელ ქალს გარანტირებული ჰყავდა ქმარი. მთავარი დაპირება კი, ცხადია, ვერსალის დამამცირებელი სისტემის დანგრევა და გერმანიისათვის ღირსების აღდგენა იყო. დაჩოქილ გერმანიას ბორკილები უნდა დაემსხვრია და ფეხზე წამომდგარიყო.

მაგრამ ჰიტლერს ყველაფრის მიუხედავად გაუჭირდებოდა ხელისუფლების სათავეში მოსვლა, რომ არა შიდა პოლიტიკური ინტრიგები და მათი მთავარი შემოქმედი, გენერალი კურტ ფონ შლაიხერი, რომელსაც სერიოზული გავლენა ჰქონდა ჰინდენბურგზეც და ჯარზეც – ანუ ყველაზე გავლენიან და ავტორიტეტულ ადამიანზე და ასევე ყველაზე გავლენიან და ავტორიტეტულ ინსტიტუტზე, რომელიც მიუნხენის პუტჩისა და კომუნისტური ამბოხებების დამარცხების შემდეგ სახელმწიფოს ხერხემლად ითვლებოდა. ბრუნინგის კანცლერად დანიშვნაც თავის დროზე სწორედ შლაიხერის იდეა იყო. მაგრამ 1932 წელს ბრუნინგი უკვე ბევრს მოჰბეზრდა. მას ყველა დიდი ჩანაფიქრი ჩაუვარდა, მისი ხელმომჭირნე ეკონომიკური პოლიტიკის გამო ქვეყანა გაჭირვებიდან ვერ ამოდიოდა

(რის გამოც „შიმშილის კანცლერი" შეარქვეს) და მან ვერც ნაცისტების პრობლემა გადაჭრა. შლაიხერმაც გადაწყვიტა, რომ კანცლერის შეცვლის დრო დადგა და, თავის ჭკუაში, ჰიტლერის პრობლემის გადაჭრის გზაც იპოვა. მან ფიურერს გარიგება შესთავაზა: ახალი არჩევნების დანიშვნა, ნაცისტების მხრიდან ახალი მთავრობისათვის მხარდაჭერა და სანაცვლოდ მთავრობის მიერ კანონგარეშედ გამოცხადებული SA-ს რეაბილიტაცია (ესა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ აიკრძალა, როცა პოლიციამ გაარკვია, რომ ჰიტლერის გამარჯვების შემთხვევაში ის გადატრიალებას გეგმავდა). შლაიხერი იმედოვნებდა, რომ მისი შემორიგების გზით არა მხოლოდ ჰიტლერს გააკონტროლებდა, არამედ ასევე SA-ს გერმანულ ჯარში გააერთიანებდა (ორგანიზაციის წევრების რიცხვი უკვე 400 ათასს აღწევდა). ჰიტლერი ამ გარიგებაზე დათანხმებით არაფერს კარგავდა და, შედეგად, 1932 წლის 1 ივნისს გერმანიას ფრანც ფონ პაპენის სახით ახალი კანცლერი მოევლინა.

ეს გახლდათ ადამიანი, რომელსაც, მის თანამედროვეთა თქმით, არავინ სერიოზულად არ უყურებდა. 1898 წლიდან მოყოლებული, ჯარში მსახურობდა და 1913 წელს ამერიკაში სამხედრო ატაშედ გაამწესეს, მაგრამ იქიდან მალე გამოაძევეს ომის პერიოდში დივერსიებისა და საბოტაჟების ორგანიზებისათვის. კანცლერად მოღვაწეობა პაპენმა არც ისე ცუდად დაიწყო; მისი დანიშვნა ლოზანის კონფერენციას დაემთხვა, რომელზეც გერმანიას რეპარაციები ჩამოაწერეს. ლოზანაშივე პაპენმა ერთობ გაბედული ნაბიჯიც გადადგა – ფრანგებს მოკავშირეობა შესთავაზა. მაგრამ ფრანგებმა დაასკვნეს, რომ ეს წინადადება მათსა და მოკავშირეებს (უპირველესად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს) შორის განხეთქილების ჩამოგდებას ისახავდა მიზნად და რეაგირება არ მოახდინეს. ზაფხულის ბოლოს შლაიხერმა (თავდაცვის მინისტრმა პაპენის მთავრობაში) და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბარონმა კონსტანტინ ფონ ნოირატმა საფრანგეთის ელჩს ბერლინში ორმხრივი ხელშეკრულების პროექტი წარუდგინეს, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო ალიანსსა და თანასწორობის პრინციპს შეიარაღებულ ძალებში. ფრანგებმა ხანმოკლე მსჯელობის შემდეგ ეს წინადადებაც უარყვეს. რახან გერმანიასთან თანასწორობის პრინციპზე ისინი საჯაროდ ამბობდნენ უარს, ვერაფრით წარმოედგინათ, როგორ უნდა დათანხმებოდნენ ამას ფარულ და სეპარატულ მოლაპარაკებებში. პაპენის ალიანსის პროექტი ისევე ჩავარდა, როგორც ბრუნინგისეული საბაჟოს პროექტი. ფრან-

გებთან არაფერი გამოდიოდა და ეს სხვა არავის, თუ არა ჰიტლერის პოზიციებს აძლიერებდა.

გერმანელების იმედგაცრუება გასაგებია, მაგრამ იმედგაცრუება გაცოფებამ შეცვალა, როცა პარიზიდან მათ საჯაროდ შეუთვალეს უარი. პასუხად ნოირატმა ფრანგებს პირდაპირ განუცხადა, რომ მისი ქვეყანა განიარაღების კონფერენციაში მონაწილეობას აღარ მიიღებდა.

ამასობაში კი ბერლინში ინტრიგას ინტრიგა მოსდევდა. საპარლამენტო არჩევნებში წარმატებით გათამამებული ჰიტლერი შლაიხერს საკუთარ თავს სთავაზობდა კანცლერად. შლაიხერი ყოყმანობდა, ჰინდენბურგს კი ჰიტლერი კვლავ მიუღებლად მიაჩნდა, მით უმეტეს, რომ ფიურერმა სიტყვა დაარღვია და მთავრობის წინააღმდეგ წავიდა. ალბათ საუბარი საჭირო არაა იმაზე, რომ SA შეირაღებულ ძალებში არ გაერთიანდა და ამის ნაცვლად ახალი ენერგიით შეუდგა ტერორს. 30 აგვისტოს რაიხსტაგის თავმჯდომარედ გერინგი აირჩიეს და პაპენმაც პარლამენტის დათხოვნა გადაწყვიტა, რისი თანხმობაც პრეზიდენტისგან მიიღო კიდეც. მაგრამ ნაცისტებმა დაასწრეს, რაიხსტაგში კომუნისტებს შეუამხანაგდნენ და პაპენის მთავრობა აქეთ დაითხოვეს მანამდე, სანამ თავად პარლამენტის დათხოვნის ბრძანება შევიდოდა ძალაში.

ის, რომ ჰიტლერი მიზნის მისაღწევად კომუნისტებთან თანამშრომლობას არ ერიდებოდა, გასაკვირი ალბათ არ უნდა იყოს. უფრო გასაკვირი, წესით, ისაა, რომ გერმანელმა კომუნისტებმა ნაცისტების თამაში ითამაშეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ისინი მოსკოვიდან მიღებულ ინსტრუქციებს ემორჩილებოდნენ, სადაც მიაჩნდათ, რომ გერმანიაში უპირველესად სოციალ-დემოკრატები იყვნენ დასამარცხებელნი. 1928 წელს გამართულ კომინტერნის რიგით მეექვსე კონგრესზე ბურჟუაზიის გადამრჩენელებად ფაშისტებთან ერთად სწორედ სოციალ-დემოკრატები დასახელდნენ. ისინი ხომ მუშათა კლასის კაპიტალისტებთან შერიგებას უწყობდნენ ხელს და, ამგვარად, რევოლუციას უთხრიდნენ ძირს. კომუნიზმის იდეოლოგებმა სოციალ-დემოკრატებს სოციალ-ფაშისტებიც კი უწოდეს. მათთან შედარებით ნაცისტებიც კი ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ და ამ უკანასკნელთა ხელისუფლებაში მოსვლის დიდად არ ეშინოდათ, რადგან ეს (მათი აზრით) გერმანიაში კიდევ უარეს ქაოსსა და კრიზისს გამოიწვევდა და საბოლოოდ რევოლუციას გაუხსნიდა გზას. ნოემბერში დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ ნაცისტებმა კომუნისტებთან თანამშრომლობა განაგრძეს და ერთად

ბერლინში ტრანსპორტის მუშაკების გაფიცვაც მოაწყეს. საბოლოოდ, არჩევნებში ნაცისტთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა ცოტათი კი დაეცა, მაგრამ ამან ჰიტლერის გადამწყვეტ გამარჯვებას ხელი ვეღარ შეუშალა. ჰინდენბურგს პაპენი კვლავაც არ ეთმობოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა შლაიხერის ინტრიგების გამო ჯარში მხარდაჭერა დაკარგა და პრეზიდენტიც იძულებული გახდა, 2 დეკემბერს კანცლერად თავად შლაიხერი დაენიშნა. ვერც ამ უკანასკნელმა გაძლო დიდხანს, რადგან ჰინდენბურგი მას რაიხსტაგის დაშლის უფლებას არ აძლევდა და, შესაბამისად, ნაცისტებსა და კომუნისტებს მისი დამხობა იოლად შეეძლოთ. შლაიხერმა პრეზიდენტსა მის ოჯახზე კომპრომატები გამოძებნა და მისი დაშანტაჟებაც კი დაიწყო. კომპრომატები არც ისე მძიმე იყო და ამ ამბავს მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ ინტრიგანმა სერიოზულად გაიფუჭა ჰინდენბურგთან ურთიერთობები. ჰიტლერი ამასობაში ჰინდენბურგის ვაჟს შეხვდა და დაპირებებითა და მუქარებით (კომპრომატების შესახებ მანაც იცოდა) გადაიბირა. შლაიხერს გამალებული უთხრიდა ძირს პაპენიც, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ჰიტლერთან ერთად დაბრუნდებოდა ხელისუფლებაში, თანაც ისე, რომ ჰიტლერი მარიონეტად ეყოლებოდა. 1933 წლის იანვრის ბოლოს კანცლერად აღზევებულმა ინტრიგანმა პრეზიდენტს რაიხსტაგის დაშლა და საგანგებო უფლებამოსილებები სთხოვა და როცა ცივი უარი მიიღო, მისი კარიერა იქვე დასრულდა.

და აი, 30 იანვარს ჰინდენბურგმა კანცლერად ჰიტლერი დანიშნა. პრეზიდენტი თავს იმით იმშვიდებდა, რომ „ბოჰემიელ კაპრალს“ ვიცე-კანცლერად დანიშნული პაპენი დააბალანსებდა. მით უმეტეს, რომ ახალ მთავრობაში ნაცისტთა მინისტრები უმცირესობას წარმოადგენდნენ. მაგრამ ცხადია, რომ ამ ვითარებამ არც ისე დიდხანს გასტანა. 1933 წლის 5 მარტისათვის კიდევ ერთი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა. SA ამ დროს უკვე არა მხოლოდ კომუნისტებს, არამედ სოციალ-დემოკრატებსა და კათოლიკეთა პარტიასაც კი არბევდა (ამ ბარბაროსობამ 70-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა). კომუნისტური პრესა ჰიტლერმა საერთოდ დახურა. 27 თებერვალს, დღემდე ბოლომდე გაურკვეველ ვითარებაში, რაიხსტაგის შენობას ცეცხლი გაუჩნდა. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ნაცისტების ნახელავი იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ შემთხვევის ადგილას ჭკუასუსტი კომუნისტი დააკავეს და ამის წყალობით მთავრობამ მემარცხენე პარტიებზე ნამდვილი ტერორი მოაწყო. ამ ყველაფერს

არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაც დაემატა და ნაცისტებმა საბოლოოდ 288 ადგილი მოიპოვეს (647-დან). მართალია, ეს უმრავლესობა არ იყო, მაგრამ რახან კომუნისტებს რაიხსტაგის ხანძარი ბრალდებოდათ, მათი დეპუტატების დიდი ნაწილი დააპატიმრეს, ნაწილი კი დაიმალა. მათ რამდენიმე სოციალ-დემოკრატი დეპუტატიც მიაყოლეს და, შედეგად, პარლამენტში ნაცისტთა წილი გაიზარდა. რაიხსტაგში დარჩენილი დეპუტატების ნაწილიც ნაცისტების მხარეს თავისი ნებით გადავიდა და ასე მოაგროვეს მათ ხმების ორი მესამედი. ამის შემდეგ რაიხსტაგმა ახალ კანცლერს ოთხი წლით საგანგებო უფლებამოსილებები, უფრო სწორად კი შეუზღუდავი ძალაუფლება მიანიჭა; ხომ ყველა ხვდებოდა, რომ 86 წლის ჰინდენბურგს ჰიტლერის გაკონტროლების შესაძლებლობა და სურვილი აღარ გააჩნდა (ხოლო ფიურერი რომ პაპენის ჭკუაზე სიარულს არ აპირებდა, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს). გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა მისცეს.

ეს მოხდა 1933 წლის 23 მარტს. რამდენიმე თვეში ნაცისტების გარდა გერმანიაში აღარავინ დარჩა. სოციალ-დემოკრატთა პარტია აიკრძალა. კათოლიკეთა პარტიამ მალე თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. თვითლიკვიდაციის ალტერნატივა SA-ს მიერ დარბევა და აკრძალვა იყო და ამიტომ, როგორც იტყვიან, ყველამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. 14 ივლისს უკვე შემდგარი რეალობა საკანონმდებლო აქტით გაფორმდა: გერმანელ მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტია ერთადერთ პარტიას წარმოადგენდა გერმანიაში. შესაბამისად, არჩევნები ფორმალობად იქცა (ისევე როგორც საბჭოთა კავშირში) და ჰიტლერს არა ოთხი წლით, არამედ სამუდამოდ შეეძლო ემართა ქვეყანა. ასე იგდო აბსოლუტური ძალაუფლება ხელთ ადამიანმა, რომელსაც მოსახლეობის ნახევარიც არ უჭერდა მხარს.

პრაგმატული და მოჩვენებითი მშვიდობის მტრედები

1930 წლის ივლისში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად (სახალხო კომისრად) ლიტვინოვი დაინიშნა. ჩიჩერინი 1928 წლიდან მოყოლებული ავადმყოფობდა და სანატორიუმებში უფრო მეტ დროს ატარებდა, ვიდრე სამსახურში. შესაბამისად, საგარეო საქმეებს ისედაც მისი მოადგილეები განაგებდნენ. ჩიჩერინი და ლიტვინოვი ერთმანეთს

ვერ იტანდნენ. პირველი მათგანი არისტოკრატი და ასკეტი გახლდათ, მეორე კი – სიცოცხლის მოყვარული, მხიარული და უბრალო ადამიანი. ამას უშუალოდ საქმის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაც ემატებოდა. ჩიჩერინი დასავლეთის მიმართ აგრესიული იყო, ლიტვინოვი კი მეტ პრაგმატიზმსა და მოქნილობას იჩენდა. ბევრი რევოლუციონერის მსგავსად, ლიტვინოვსაც ცხოვრების დიდი ნაწილი ევროპაში ჰქონდა გატარებული (იძულებით ემიგრაციაში), ცოლად ინგლისელიც კი ჰყავდა და ალბათ ამის გამოისობით, საბჭოთა მაღალჩინოსნებს შორის ყველაზე მეტად ვესტერნიზებული იყო. ასევე ბევრი რევოლუციონერის მსგავსად, მასაც სახელი ჰქონდა გამოცვლილი, დაბადებიდან კი მეერ-გენოხ ვალახად იწოდებოდა. სწორედ ლიტვინოვის სერიოზული დამსახურება იყო ის, რომ საბჭოთა კავშირი სწრაფად მიუერთდა ბრიან-კელოგის პაქტს. 1930 წელს კი მოსკოვმა ფრანგებთან წამოიწყო მოლაპარაკებები თავდაუსხმელობის პაქტსა და ეკონომიკურ შეთანხმებაზე. პარიზი ამ იდეას დადებითად შეხვდა, მაგრამ საბჭოთა მხარისგან მოითხოვა, ანალოგიური პაქტი პოლონეთთანაც გაეფორმებინა. ეს უკანასკნელი თავს იზოლირებულად გრძნობდა (ამაზე ცოტა ქვემოთ) და პარიზში არ სურდათ, რომ მოკავშირეს ეს გრძნობა უფრო გამძაფრებოდა. მოსკოვს ამ მხრივ პრობლემა არ ჰქონია და 1932 წლის ივლისში ვარშავასთან თავდაუსხმელობის პაქტი გაფორმდა. იქამდე, 1931-32 წლებში, მოსკოვმა ანალოგიურ პაქტებზე მოაწერა ხელი ფინეთთან, ლატვიასთან და ესტონეთთან. თავად საფრანგეთთან კი თავდაუსხმელობის პაქტი 1932 წლის ნოემბერში გაფორმდა.

1925 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა დიპლომატიამ იმდენი ასეთი შეთანხმება დააგროვა, რომ მოსკოვში ბოლოს და ბოლოს მშვიდად უნდა ეგრძნოთ თავი, მაგრამ იაპონიის ქმედებებმა მანჯურიაში საბჭოთა ხელისუფლება ისევ ააფორიაქა და ამჯერად საფუძვლიანადაც. 1931 წლის ბოლოს სტალინს ხელში ჩაუვარდა მოსკოვში იაპონიის სამხედრო ატაშესა და მისი ზემდგომი ოფიცრის საუბრის ჩანაწერი, რომელშიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პრევენციული ომის მიზანშეწონილობა განიხილებოდა (იაპონელებს მანამდე უნდა დაერტყათ, სანამ მოსკოვი სუსტი იყო და სანამ იყო შანსი, დასავლეთის მხრიდან იაპონიას პოლონეთი და რუმინეთი დაეხმარებოდნენ). ტოკიოსთან თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმებას სტალინი ადრეც ცდილობდა და 1931 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, ეს მცდელობები განახლდა. პაქტის სანაცვლოდ

მოსკოვი იაპონელებს სთავაზობდა, მანჯურიის რკინიგზაში თავისი ინტერესი მანჯუკუოსათვის მიეყიდა და ეს უკანასკნელი დე-ფაქტოდ ეცნო. მაგრამ ტოკიოდან გარკვეული და საბოლოო პასუხი არა და არ მოდიოდა. ამასობაში საბჭოთა მთავრობას ჩინელები დაუკავშირდნენ (რომელთაც, ცხადია, მოსკოვისა და ტოკიოს დაახლოების პერსპექტივა აშინებდათ) და თავდაუსხმელობის პაქტი შესთავაზეს 1929 წელს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასთან ერთად. მოსკოვმა გადაწყვიტა, ჩინეთთან დაახლოება იაპონიაზე ზეწოლისათვის გამოეყენებინა. 1932 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა-ჩინური დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა კიდეც, მაგრამ ამან იაპონელების მხრიდან საპირისპირო რეაქცია გამოიწვია – მეორე დღესვე მათ ოფიციალური უარი განაცხადეს თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმებაზე.

ამის შემდეგ მოსკოვში ისღა დარჩენოდათ, მანჯურიიდან დიდი დანაკარგების გარეშე გასულიყვნენ და ლიტვინოვმა გადაწყვიტა, იაპონელებისთვის მიეყიდა საბჭოთა ინტერესი იქაურ რკინიგზაში, რომლის კონტროლი რთული და სახიფათოც ხდებოდა. მოლაპარაკებები ამ თემაზე 1933 წელს დაიწყო და თითქმის ორ წელიწადს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში იაპონელებმა მოსკოვს საწყისი ფასი მეხუთედამდე დააწევინეს, მაგრამ საბჭოთა მხარეს დიდი არჩევანი არ ჰქონდა. იაპონიის მხრიდან აგრესიის შიში სტალინს არ ასვენებდა და როცა 1933 წლის ბოლოს ამერიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მოხერხდა, პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტთან ლიტვინოვის უმთავრეს სასაუბრო თემად სწორედ იაპონია იქცა. რუზველტი საბჭოთა მინისტრს ტოკიოს წინააღმდეგ დიპლომატიურ მხარდაჭერას შეჰპირდა, მაგრამ იქვე აუხსნა, რომ ომისათვის ამერიკა მზად არ იყო. ლიტვინოვმა ვაშინგტონის უფრო მეტად ჩართვისათვის ე.წ. წყნარი ოკეანის თავდაუსხმელობის პაქტის იდეა წამოაყენა საბჭოთა კავშირის, ამერიკის, იაპონიისა და ჩინეთის მონაწილეობით. ვაშინგტონი პროექტის განხილვაში სერიოზულად ჩაერთო, მაგრამ მალე პრობლემად იაპონიის მანჯურიაში ყოფნა დაასახელა – პაქტი ამ ტერიტორიის იაპონელთა მიერ მიტაცების დაკანონებად შეიძლებოდა ყოფილიყო აღქმული. ლიტვინოვმა მუშაობა გააგრძელა და 1934 წლის დასაწყისში ამერიკელები, მანჯურიის ფაქტორის მიუხედავად, პაქტის იდეას დაეთანხმნენ, მაგრამ საბჭოთა მინისტრს ისიც სურდა, რომ პროექტის ინიციატივით საჯაროდ ვაშინგტონი გამოსულიყო; ასეთ შემთხვევაში

იაპონიას გაცილებით უფრო გაუჭირდებოდა პაქტზე უარის თქმა, ვიდრე მაშინ, თუ ინიციატივა მოსკოვიდან წამოვიდოდა. ამაზე კი ამერიკელები უკვე აღარ თანხმდებოდნენ. მალე საბჭოთა კავშირში სტალინური რეპრესიების გამო ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობები საგრძნობლად გაცივდა და პაქტზე მოლაპარაკებებიც ჩიხში შევიდა. 1935 წლის აგვისტოში კი ამერიკის კონგრესმა ნეიტრალიტეტის აქტი მიიღო, რითაც არა მხოლოდ ლიტვინოვის პაქტს, არამედ ამერიკის მსოფლიო პოლიტიკაში მონაწილეობას დაესვა ჯვარი.

მოსკოვის მხრიდან იაპონიაზე ასეთი კონცენტრირება გასაკვირი იმიტომაც არ უნდა იყოს, რომ ტოკიოს ფონზე ჰიტლერის გერმანია თავიდან საფრთხედ თითქმის არ ჩანდა. 1933 წლის 17 მაისს რაიხსტაგში გამოსვლისას ახლად გამომცხვარმა კანცლერმა ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომ ყველაზე დიდ სკეპტიკოსებსაც კი გული აუჩუყა. გამოეხმაურა რა ერთი დღით ადრე რუზველტის მიერ გაკეთებულ სამშვიდობო მიმართვას სხვა ქვეყნების ლიდერთა მიმართ (განიარაღებისაკენ მოწოდებითა და შეტევითი შეიარაღების ლიკვიდაციის ინიციატივით), ჰიტლერმა მას ჯერ მადლობები უძღვნა, შემდეგ კი განაცხადა, რომ გერმანია მზად იყო, გაენადგურებინა ყველანაირი შეტევითი შეიარაღება (ოღონდ თუკი მეზობელი ქვეყნებიც იმავეს იზამდნენ) და ხელი მოეწერა ყველანაირი სამშვიდობო შეთანხმებისათვის; რომ გერმანია არანაირ ომს არ ესწრაფვოდა და რომ საერთოდაც ომი სრული სიგიჟე იყო; რომ გერმანელებმა წარსულს ჩააბარეს წინა საუკუნის მენტალიტეტი, რომელმაც ისინი, სამწუხაროდ, შეაცდინა და აფიქრებინა, რომ შესაძლებელი იყო ფრანგებისა თუ პოლონელების „გაგერმანელება“ და, ზოგადად, სხვა ხალხების დამორჩილება.

დასავლეთი ამ გულისამაჩუყებელმა გამოსვლამ ლამის სიხარულის ექსტაზში ჩააგდო. „მაინ კამპფის“ ავტორს, SA-ს შემქმნელსა და ვერსალის სისტემის გაცხადებულ მტერს ყველა შიშით უყურებდა. ოპოზიციური პარტიების დარბევა-დაშლის შემდეგ ლოგიკურად ელოდნენ, რომ შიდა პოლიტიკურ მეთოდებს იგი საგარეო პოლიტიკაზეც გაავრცელებდა. მაგრამ თურმე გერმანიის ახალი კანცლერი უხეშ ძალას ხელისუფლებაში მოსვლისათვის იყენებდა და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ თავის საყვარელ ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს ქაოსი დაესრულებინა და სიმშვიდე მოეტანა როგორც მისთვის, ასევე მთელი ევროპისათვის. ჰიტლერს დითირამბებს უმღეროდა ინგლისური პრესა და განსაკუთრებით მისი

ფლაგმანი, გაზეთი „ტაიმსი". საყოველთაო ტაშის გრიალში თითქმის არავინ მიაქცია ყურადღება ჰიტლერის ნათქვამს, რომ განიარაღებას იგი მხოლოდ მაშინ დაიწყებდა, თუკი სხვებიც ასევე მოიქცეოდნენ და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია განიარაღების კონფერენციასაც დატოვებდა და ერთა ლიგასაც.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ მომავალი რამდენიმე თვის განმავლობაში გერმანია სერიოზულად ჩაერთო განიარაღების კონფერენციის მუშაობაში და ერთი პერიოდი კომპრომისის ვარიანტიც გაჩნდა, როცა ფრანგები თითქმის დაჰყვნენ ინგლისისა და იტალიის მოთხოვნას, გერმანიისათვის შეიარაღებაში თანასწორობა ებოძათ. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მათმა პრემიერ-მინისტრმა ედუარდ დალადიემ ინგლისელებს ჰკითხა, ასეთ კომპრომისზე წასვლის შემთხვევაში ლონდონისგან უსაფრთხოების გარანტიებს თუ მიიღებდნენ. როცა უპასუხეს, ვერავითარ გარანტიებს ვერ მოგცემთ, ჩვენი საზოგადოებრივი აზრი გერმანიის წინააღმდეგ მხარს ვერანაირ ქმედებას ვერ დაუჭერსო, დალადიემ პოზიცია შეცვალა და შედეგად ბერლინს ახალი პირობა წაუყენეს: რვა წლის განმავლობაში მას თავისი შეიარაღება არ უნდა გაეზარდა, ამ დროის განმავლობაში კი სხვები შეამცირებდნენ თავიანთ შეიარაღებას გერმანიის დონეზე. ეს ჰიტლერისათვის მშვენიერი საბაბი იყო და 1933 წლის 14 ოქტომბერს გერმანიამ როგორც განიარაღების კონფერენცია, ასევე ერთა ლიგა დატოვა. ამის შესახებ ჟენევას ნოირატმა აცნობა წერილით და ერთი წლის წინანდელი დამცირებისათვის შურიც კარგად იძია.


ევროპელი პოლიტიკოსები და დიპლომატები ცოტა ხანს დრტვინავდნენ, შემდეგ გადაწყვიტეს, განიარაღება გერმანიის გარეშე გაეგრძელებინათ და ამგვარად გაეცათ ჰიტლერისათვის ღირსეული პასუხი, მაგრამ მაკდონალდმა განაცხადა, რომ გერმანიის გარეშე განიარაღებაზე მუშაობაში აზრს ვერ ხედავდა. ასე დასამარდა ეს კონფერენცია. ჰიტლერმა კი იქვე ბრწყინვალე სვლა გადადგა და თავისი გადაწყვეტილება პლებისციტზე გაიტანა. ყველას უნდა დაენახა, რომ ჟენევისათვის ზურგის შექცევა მთელი გერმანელი ერის ნება იყო და, შესაბამისად, თუკი ვინმეს პრეტენზიები ჰქონდა, გერმანელ ერთან ექნებოდა საქმე და არა მხოლოდ მის კანცლერთან. იქვე ჰიტლერმა რაიხსტაგიც დაშალა, ახალი არჩევნები პლებისციტს დაამთხვია და 12 ნოემბერს დანიშნა – გერმანიისათვის უმძიმესი დაზავების მეთხუთმეტე წლისთავს. ამან ჰინდენბურგშიც გააღვიძა პატრიოტიზმი და მან თავის ხალხს მიმართა,

მთელი მსოფლიოსათვის დაენახვებინათ ერთიანობა და მხარი დაეჭირათ თანასწორობის პრინციპისათვის.


გერმანელმა ერმაც თითქმის 100%-ით დაუჭირა ერთა ლიგიდან და განიარაღების კონფერენციიდან გამოსვლას. ახალი, ფაქტობრივად ერთპარტიული რაიხსტაგისათვის აღმოჩენილი მხარდაჭერა ოდნავ ნაკლები იყო, მაგრამ ლეგიტიმაციისათვის – საკმარისზე მეტი. ჰიტლერმა იმ დროისათვის შეიარაღებული ძალების მზადყოფნაში მოყვანის ფარული ბრძანებაც გასცა, მაგრამ ეს ზომა ზედმეტი აღმოჩნდა. ევროპაში პასუხად არათუ არავის არაფერი მოუმოქმედებია, არამედ სერიოზულად არც განუხილავთ არაფერი.



ჩანგისა და მაილინგის ქორწილი



იაპონიის მშვიდობიანი განვითარების სტრატეგიის ავტორი შიდეჰარა კიძურო (მარცხნივ)




ჩინელი გენერლები სანის მავზოლეუმთან



იაპონიის მომავალი იმპერატორი პიროპიტო (ცენტრში) და ლოიდ-ჯორჯი



სცენა დიდი დეპრესიიდან: უმუშევართა რიგი ჩიკაგოში ალ კაპონეს მიერ გახსნილ უფასო სასადილოსთან



ჩინური დელეგაციის გამოსვლა ერთა ლიგაში მანჯურიის კრიზისის დროს



ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრები სტიმსონი და კელოგი



ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორი და მანჯუკუოს მარიონეტი პუ-ი მეუღლესთან ერთად

თავი 4. ტრიუკების ოსტატი საქმეში

როგორ გავწყვიტოთ ჯაჭვი

1926 წლის მაისში პოლონეთის ყოფილმა ლიდერმა, მარშალმა პილსუდსკიმ სამხედრო გადატრიალება მოაწყო და დემოკრატიულად არჩეული მთავრობა დაამხო. პილსუდსკის მიაჩნდა, რომ ქვეყანა სერიოზული საფრთხეების წინაშე იდგა და ძლიერი ხელი ესაჭიროებოდა. საფრთხეები მან ჯერ ლოკარნოს, შემდეგ კი საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ნეიტრალიტეტის შეთანხმების გაფორმების შემდეგ დაინახა. ლოკარნო, როგორც ცნობილია, გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებს არ ფარავდა და, შესაბამისად, პოლონეთის საკითხს ბუნდოვანს ხდიდა. ბერლინსა და მოსკოვს შორის შეთანხმებაც საფრთხის ქვეშ უპირველესად სწორედ პოლონეთს აყენებდა. ასეთ პირობებში საფრანგეთთან ალიანსის ფასი საგრძნობი ეჭვის ქვეშ დგებოდა.

ეჭვი მით უფრო გამძაფრდა, როცა 1930 წლიდან მოყოლებული, ფრანგებმა გერმანიის საზღვრის გაყოლებაზე უძვირესი სამხედრო ფორტიფიკაციების მშენებლობა წამოიწყეს. მაჟინოს (საფრანგეთის მაშინდელი თავდაცვის მინისტრი) ხაზად ცნობილი ეს პროექტი დიდი დეპრესიის პირობებში უდიდესი ფუფუნება იყო და, როგორც ცნობილია, საბოლოოდ საფრანგეთს ომში საერთოდ არ გამოადგა. მაგრამ ჯერ კიდევ ომამდე მან პარიზს მეტად ცუდი სამსახური გაუწია – აღმოსავლეთ ევროპაში მის მოკავშირეებს დაანახა, რომ ფრანგები აშკარად თავდაცვითი ომისათვის ემზადებოდნენ და საჭიროების შემთხვევაში გერმანიაზე შეტევას ან გაბედავდნენ და ან არა. როცა 1932 წლის ბოლოს საფრანგეთმა ამერიკელებს ვალების გასტუმრებაზე საბოლოოდ განუცხადა უარი, პილსუდსკიმ თავის მთავრობასთან პირდაპირ დასვა პარიზთან ალიანსის მიზანშეწონილობის საკითხი და გერმანიასთან ურთიერთობების დალაგებაზე ალაპარაკდა. მართლაცდა, რამდენად შეიძლებოდა იმ ქვეყნის ნდობა, რომელიც თავის მოკავშირეს ვალს არ უბრუნებდა?!

აქედან სულ მალე, 1933 წლის იანვარში (ჰიტლერის კანცლერად დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე) პოლონელებმა მოკავშირეს მახე დაუგეს. მათი საგარეო საქმეთა მინისტრი, პოლკოვნიკი იუზეფ ბეკი საგანგებოდ ეწვია პარიზს, რათა გაერკვია, იყო თუ არა მზად საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ პრევენციული ომისათვის. პილსუდსკი

ფრანგებს ატყობინებდა, რომ იგი აღმოსავლეთ პრუსიას დაარტყამდა, თუკი იმავე დროს ფრანგები რურში შეიჭრებოდნენ. შეთავაზება იმდენად პროვოკაციული იყო, რომ ფრანგებს უარის თქმის გარდა სხვა არჩევანი არ ჰქონდათ და ვარშავასაც გერმანიასთან დაახლოებისათვის ხელ-ფეხი გაეხსნა. თავად ბეკი ოდესღაც საფრანგეთში სამხედრო ატაშედ მუშაობდა და იქიდან შპიონაჟის გამო სამარცხვინოდ იქნა გაძევებული. ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ფრანგები დიდად არ ეხატებოდა გულზე და უარის მიღების შემდეგ კმაყოფილი გაემგზავრა თავის ქვეყანაში.

ფრანგების საგარეო პოლიტიკა კი სულ უფრო და უფრო ნაკლებად თავდაჯერებული ხდებოდა. 1933 წლის მარტში მუსოლინიმ ოთხ დიდ ევროპულ სახელმწიფოს (იტალიას, საფრანგეთს, გერმანიასა და ინგლისს) შორის საკონსულტაციო შეთანხმების იდეა წამოაყენა, რომელსაც ინგლისმა დაუჭირა მხარი. ფრანგებმა ლონდონის ფაქტორის გამო პაქტის წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედეს, მაგრამ კარგად ხვდებოდნენ, რომ პაქტი კიდევ უფრო მეტად გააღიზიანებდა მათ აღმოსავლეთ-ევროპელ მოკავშირეებს და ამიტომ ფეხს ითრევდნენ. ერთ თვით ადრე რუმინეთმა, ჩეხოსლოვაკიამ და იუგოსლავიამ გერმანიის შიშით ჟენევაში ინსტიტუციონალურად გააფორმეს მცირე ანტანტა. პოლონეთთან აშკარა ჩავარდნის შემდეგ ფრანგებისათვის ეს კარგი სიახლე იყო და მუსოლინის პროექტის გამო პატარა მოკავშირეების განაწყენება არ სურდათ. საბოლოოდ 1933 წლის ივნისში ოთხთა პაქტი მაინც გაფორმდა და ფრანგებმა უბრალოდ მისი რატიფიცირება აღარ მოახდინეს იმ საბაბით, რომ გერმანია ერთა ლიგიდან გავიდა.

აი, ასეთ ფონზე ჩაატარა ჰიტლერმა თავისი მეორე დიდი ტრიუკი. 12 ნოემბრის ისტორიული პლებისციტისა და არჩევნებიდან რამდენიმე დღეში მან პოლონეთის ელჩი იხმო. შეხვედრის შემდეგ მხარეებმა გაავრცელეს კომუნიკე, რომელსაც მოწმენდილ ცაზე გავარდნილი მეხის ეფექტი ჰქონდა. ისინი უარს ამბობდნენ ძალის გამოყენებაზე ორმხრივ ურთიერთობებში და აცხადებდნენ, რომ ყველა საკითხს მოლაპარაკებათა გზით გადაჭრიდნენ. 1934 წლის 26 იანვარს კი ბერლინსა და ვარშავას შორის თავდაუსხმელობის პაქტიც გაფორმდა. პოლონელთა მხრიდან რაიხთან დაახლოების აშკარა მზადყოფნის მიუხედავად ეს მაინც უდიდესი სენსაცია იყო, რადგან გერმანელთა უდიდეს ნაწილს პოლონეთი, შეიძლება ითქვას, ეზიზღებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის მიერ დაკარგული ტერიტორიების უდიდესი ნაწი-

ლი სწორედ პოლონეთს ერგო. აქედან ყველაზე მძიმედ გერმანელები დანციგის კორიდორს ეგუებოდნენ, რომელიც მათ ქვეყანას ორ ნაწილად ხლეჩდა. გარდა ამისა, ომის შემდეგ პოლონეთის მთავრობა მეტად გამომწვევად იქცეოდა. მაგალითად, როცა პილსუდსკიმ შეიტყო, რომ ლოზანის კონფერენციაზე პაპენმა ფრანგებს ალიანსი შესთავაზა, დანციგს დემონსტრაციულად მიაყენა სამხედრო ხომალდი.

პოლონეთი, თავის მხრივ, არც ჰიტლერს ეხატებოდა გულზე, მაგრამ როცა საჭიროება მოითხოვდა, ის საკუთარ ემოციებს მშვენივრად აკონტროლებდა ხოლმე. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ავსტრია-უნგრეთში დაბადებული ფიურერი გაცილებით უარყოფითად, მაგალითად, ჩეხების მიმართ იყო განწყობილი, ვიდრე პოლონელების. ასეა თუ ისე, მან სიტუაცია მშვენივრად შეაფასა და დაინახა, რომ თავად პოლონეთი რაიხისათვის მთავარ პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენდა. მთავარი პრობლემა იყო ვერსალის სისტემა, რომელიც დიდი ჯაჭვივით თითქმის ყველა მხრიდან ბორკავდა გერმანიას. ამ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი ფრანგულ-პოლონური ალიანსი იყო. როცა ჯაჭვის გაწყვეტა გინდა, ცხადია, ეს ყველაზე სუსტი რგოლით უნდა დაიწყო. პოლონურ-ფრანგული ალიანსი კი მნიშვნელოვანი, მაგრამ, ამავე დროს, სუსტი რგოლი იყო. ჰიტლერის გარდა ასეთ ტრიუკს ძნელად თუ ჩაატარებდა ვინმე. სხვას ეს რომც მოეფიქრებინა, მისი განხორციელება, გერმანული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, ძალიან გაუჭირდებოდა. მაგრამ ჰიტლერს, როგორც დიქტატორს, ჰქონდა იმის ფუფუნება, საზოგადოებრივი აზრი საჭიროების შემთხვევაში არ გაეხსენებინა.

საგარეო პოლიტიკური ტრიუკების პარალელურად, ჰიტლერს ქვეყნის შიგნითაც ბევრი საქმე ჰქონდა. აპრილში ჰინდენბურგი უკვე მძიმედ დაავადდა და აშკარა გახდა, რომ დიდი დრო აღარ ეწერა. ჰიტლერი სასწრაფოდ შეხვდა თავდაცვის მინისტრ ვერნერ ფონ ბლომბერგს და მასთან გარიგება დადო. ჰინდენბურგის გარდაცვალების შემდეგ ჯარი პრეზიდენტის უფლებამოსილების ჰიტლერისათვის გადაცემას დაუჭერდა მხარს (ეს იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს წარმოადგენდა), რის სანაცვლოდაც ფიურერი ჯარის საქმეებში არ ჩაერეოდა. იქვე გადაწყდა, რომ ჰიტლერი SA-ს ფრთებს შეუკვეცავდა. პროფესიონალ სამხედროებს, ცხადია, SA დიდად არ ეხატებოდათ გულზე და კიდევ უფრო მეტად არ მოსწონდათ მისი თავგასული ლიდერი, ჰიტლერის ერთ-ერთი უახლო-

ესი თანამებრძოლი ერნსტ რომი (ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ფიურერი „შენობით“ მიმართავდა). ამ უკანასკნელს სურდა, მთელი შეიარაღებული ძალები ერთგვარ სახალხო, რევოლუციურ ლაშქრად გადაექცია, რომელსაც, ცხადია, თვითონ უმეთაურებდა.

მაგრამ ჰიტლერი რომის პოზიციას არ იზიარებდა. მას ძლიერი ჯარი სჭირდებოდა, რომელიც ომებს მოაგებინებდა. SA მეტოქე პოლიტიკური პარტიებისა თუ ებრაელების დასარბევად კი გამოდგებოდა, მაგრამ არა ომების მოსაგებად. შესაბამისად, რომის ბიჭების გამო იგი ნამდვილად ვერ გაიფუჭებდა ურთიერთობებს პროფესიონალ ოფიცერთა კორპუსთან, რომლებზეც ჯარის ძლიერება იდგა. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ SA დიდად აღარც სჭირდებოდა. ამ ყველაფერს რომის წინააღმდეგ გერინგისა და ჰაინრიხ ჰიმლერის ინტრიგები დაემატა. ჰიმლერი ესესის (SS, „შუცშტაფელ“ – დაცვის რაზმი, რომელიც თავიდან ჰიტლერის პირადი დაცვა იყო და თანდათანობით სრულფასოვან უსაფრთხოების სამსახურად ჩამოყალიბდა) ლიდერი იყო, რომელიც SA-ს შემადგენლობაში შედიოდა და ეს გარემოება დიდად არ მოსწონდა. ყველაფერი იმით მორჩა, რომ 30 ივნისს ამჯერად უკვე SS-მა დაატრიალა ტერორი. ჯერ SA-ს ხელმძღვანელობა ამოხოცა, შემდეგ კი პოლიტიკურ ოპონენტებზე გადავიდა. ტერორს, რომელიც სამი დღე გაგრძელდა და ისტორიაში „გრძელი დანების ღამის“ სახელით შევიდა, შეეწირა შლაიხერი, ნაცისტთა პარტიაში ჰიტლერის მთავარი მეტოქე გრეგორ შტრასერი და კიდევ უამრავი ადამიანი. პაპენი, რომელიც ფორმალურად ისევ ვიცეკანცლერი იყო, ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. თავად რომი მას შემდეგ მოკლეს, რაც მან თვითმკვლელობაზე უარი თქვა (პრივილეგია, რომელიც ჰიტლერმა ძველი მეგობრობის ხათრით უბოძა). ამის შემდეგ SA-მ ყველანაირი ძალაუფლება დაკარგა და SS-ის ანუ ჰიმლერის აღზევება დაიწყო.

გრძელი დანების ღამით ჰიტლერმა, ასე ვთქვათ, ერთბაშად ბევრი პრობლემა მოაგვარა და სტალინი მისით აღტაცებას ვერ მალავდა: ნახეთ, რა ბიჭია, იცის თავისი საქმეო. ბელადი ჯერ კიდევ ვერ იაზრებდა (ან არ სურდა გაეაზრებინა), რომ ეს „ბიჭი“ მის ქვეყანასაც დიდ საფრთხეს უქადდა. მოსკოვის ოფიციალური პროპაგანდა ისევ სოციალ-დემოკრატებს აძაგებდა. არც „მაინ კამპფს“ აღიქვამდნენ დიდად სერიოზულად საბჭოთა პოლიტიკურ ელიტაში. გრძელი დანების ღამიდან რამდენიმე თვეში თავდაცვის მინისტრმა კლიმენტ ვოროშილოვმა გერმანიის

ელჩს უთხრა, თქვენი კანცლერისგან საჯაროდ თქმული ორი სიტყვაც საკმარისი იქნება, რათა საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ ამ წიგნში გამოთქმულმა ანტისაბჭოთა მოსაზრებებმა აქტუალურობა დაკარგაო.

2 აგვისტოს ჰინდენბურგი გარდაიცვალა. შედეგად, როგორც კანცლერის, ასევე პრეზიდენტის უფლებამოსილებები ჰიტლერმა შეითავსა და ამჯერად უკვე ნამდვილ ფიურერად იქცა, ანუ არა მხოლოდ თავისი პარტიის, არამედ მთელი მესამე რაიხის უპირობო მბრძანებლად. „მესამე“ იმას ნიშნავდა, რომ ახალი რაიხი წმინდა რომის იმპერიისა და ბისმარკის მიერ გაერთიანებული გერმანიის იმპერიის მემკვიდრე გახლდათ. ბისმარკი ფიურერის კერპი იყო და რკინის კანცლერის პორტრეტს იგი ზოგჯერ ლამის საათობით აშტერდებოდა ხოლმე. ევროპაში ბევრს იგი სწორედ ბისმარკის საქმის გამგრძელებლად ესახებოდა – რაციონალურ პოლიტიკოსად, რომელსაც გერმანელთა გაერთიანება სურდა და იმის იქით არაფერი. მომავალი ტრიუკების ჩატარებაში მას ეს ილუზიაც კარგად დაეხმარა.

ორი დაბრკოლება

1934 წელს ტრიუკების ოსტატმა მეტი ვერაფერი ვერ მოასწრო და ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან გერმანიას ძლიერებამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლდა. გარდა ამისა, გამოიკვეთა ორი საგარეო პრობლემა მუსოლინისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლუი ბარტუს სახით.

მუსოლინი არ გახლდათ მთლად ისეთი საშინელი ურჩხული, როგორადაც მოგვიანებით დახატეს. მართალია, მისი რეჟიმი ფაშისტური იყო, მაგრამ იმ პერიოდში დემოკრატიული წყობა გამონაკლისი უფრო იყო, ვიდრე წესი და დემოკრატიული ქვეყნების ჩამოთვლა, პირდაპირი გაგებით, თითებზე შეიძლებოდა. გარდა ამისა, იტალიური ფაშიზმი სისასტიკით ვერანაირად ვერ მივიდოდა ახლოს ჰიტლერის ნაცისტურ რეჟიმთან, რომელიც გამიზნულად ხოცავდა და ავიწროებდა ადამიანებს ეთნიკური და კიდევ უამრავი სხვა ნიშნით. ტერმინი „ფაშიზმი“ წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან „facio“, რომელიც „კონას“ ნიშნავს. ძველ რომში წკეპლების კონას ატარებდნენ ლიქტორები, რასაც თავისი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა: ერთი წკეპლის გატეხვა, როგორც ცნობილია, იოლია, მაგრამ წკეპლების კონის – არა. შესაბამისად, ფაშიზმი ერთად ყოფნას აღნიშნავდა, ფაშისტური რეჟიმი კი გულისხმობდა ლიდერის გარშემო

უპირობოდ დარაზმვასა და გაერთიანებას. ამ ლოგიკით ჰიტლერის რეჟიმიც ფაშისტური იყო (ოღონდ გაცილებით უფრო ბარბაროსული ელემენტების დამატებით) და მხოლოდ ამის გამო მოხდა მაშინდელი იტალიისა და გერმანიის ერთგვარი გაიგივება. მოგვიანებით, როცა მუსოლინი ჰიტლერის მოკავშირედ იქცა, ამ გაიგივებამ უკვე გამიზნული ხასიათი მიიღო.

დუჩე რადიკალი სოციალისტის ოჯახში დაიბადა. თავიდან ისიც მამის კვალს მიჰყვებოდა და იმდენად შორს წავიდა, რომ იტალიელი სოციალისტების გაზეთის, „ავანტის" რედაქტორადაც კი დანიშნეს. მის ხელში გაზეთი არნახულად პოპულარული გახდა და მუსოლინი საბოლოოდ ალბათ ევროპის ერთ-ერთ გამორჩეულ სოციალისტ ლიდერად იქცეოდა, რომ არა პირველი მსოფლიო ომი. იმ დროისათვის ევროპის სოციალისტური პარტიები შეთანხმებულები იყვნენ, რომ ისინი ყველანაირად შეუშლიდნენ ხელს თავიანთ მთავრობებს ომის გაჩაღებაში, თუკი ამის საფრთხე გაჩნდებოდა. მაგრამ როგორც კი სარაევოს ცნობილი ტრაგედიის შემდეგ ვითარება დაიძაბა და ყველა დიდ ქვეყანაში ნაციონალისტურმა სენტიმენტებმა იფეთქა, თითქმის ყველა სოციალისტური პარტია ომს მიემხრო. იტალია ამ მხრივ გამონაკლისი აღმოჩნდა, რადგან სამთა ალიანსის წევრობის მიუხედავად, აქ ავსტრია-უნგრეთი არ უყვარდათ და, შესაბამისად, ნეიტრალიტეტს ბევრი მომხრე ჰყავდა. მუსოლინის თავიდან ძალიან გაუცრუა იმედები სხვა ქვეყნების სოციალისტთა უუნარობამ, შემდეგ კი იმ აზრამდეც მივიდა, რომ იტალიის ნეიტრალიტეტი საშიში იყო, რადგან ეს უფრო კონსერვატორული გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის გამარჯვებას შეუწყობდა ხელს და სოციალიზმის პოზიციებს ძალიან დაასუსტებდა. ასე იქცა იგი ომში ჩარევის მომხრედ, რის გამოც იტალიის სოციალისტური პარტიიდან გარიცხეს. მაგრამ სოციალისტებს მან თავადაც უპრობლემოდ შეაქცია ზურგი. მით უმეტეს, რომ მაშინ კარგად გაიაზრა ერთი ჭეშმარიტება: ნაციონალიზმის წინაშე ყველაფერი უძლური იყო, მათ შორის სოციალიზმიც. „ავანტიდან" დათხოვნის პასუხად კი მან ახალი გაზეთი „ილ პოპოლო დ'იტალია" (იტალიის ხალხი) დააარსა, რომლის მეშვეობითაც იტალიის ანტანტის მხარეზე ჩარევის აგიტაცია გააჩაღა. სოციალისტები ბრალს დებდნენ, რომ იგი ფრანგების მოსყიდული იყო, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა მუსოლინის ახალი გაზეთის პოპულარობის ზრდას. სწორედ მაშინ, ომში ჩართვის მომხრე იტალიელებმა შექმნეს ორგანიზაცია, რომლის სახელწოდებაშიც გაჩნდა სიტყვა ფაშიზმი.

მაგრამ თავად ფაშისტური პარტია 1919 წელს შეიქმნა, მას შემდეგ, რაც ფრონტიდან დაბრუნებულმა მუსოლინიმ თავის გარშემო ომის შედეგებით უკმაყოფილო იტალიელები (უპირველესად კი ვეტერანები) შემოიკრიბა. იტალიას, როგორც ვიცით, ძალიან უნდოდა დალმაცია და უპირველესად კი – ფიუმე. ასეთი განწყობების ფონზე მუსოლინის პოლიტიკურმა ძალამ მალე ყველა კონკურენტი მოსპო და დუჩე არა მხოლოდ იტალიის ერთპიროვნულ მმართველად, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ადამიანადაც იქცა. მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა და საამისო მიზეზები არსებობდა: დუჩემ იტალიაში წესრიგი დაამყარა და სიცილიური მაფიის დამარცხებაც კი მოახერხა (სწორედ მისი მმართველობის დროს მოუხდა ბევრ მაფიოზს ამერიკაში გაქცევა, რასაც უკვე ამერიკაში მაფიის გაძლიერება მოჰყვა). წარმატებები საგარეო პოლიტიკაშიც ჰქონდა; მაგალითად, 1925 წელს იუგოსლავიას ბოლოს და ბოლოს მრავალტანჯული ფიუმეც დაათმობინა. მუსოლინის მმართველობით აღტაცებული იყო ჩერჩილი, რომელიც ამბობდა, რომ დუჩემ დესტრუქციული ძალები შეაჩერა და ლენინიზმის წინააღმდეგ ძლიერი ბარიერი აღმართა. როცა 1926 წელს რომში ჩასულმა ჩერჩილის ცოლმა მუსოლინისგან საჩუქრად მისი ფოტო მიიღო ავტოგრაფითურთ, იგი ქმარს გახარებული წერდა, საელჩოს ქალები შურით სკდებიანო. სწორედ იმავე პერიოდში ბერლინში იტალიის საელჩოს ამაო თხოვნით მიმართა ჰიტლერმა, მსგავსი საჩუქარი მისთვისაც ებოძებინათ. დუჩეს ფიურერი გულზე არ ეხატებოდა და თავის მდაბიო მიმბაძველად მიაჩნდა. ფიურერის წოდებაც ხომ „დუჩეს“ (ლათინური სიტყვიდან წარმოშობილი ტერმინი, რომელიც იტალიურად ლიდერს აღნიშნავს) გერმანული ვარიანტი იყო. ინგლისური პრესაც სულ იმას უსვამდა ხაზს, მუსოლინი ჰიტლერი არ არისო. კარიკატურებში დუჩე გიგანტად იყო გამოყვანილი, ფიურერი კი – ჯუჯად. სინამდვილეში, ჰიტლერი, მიუხედავად იმისა, რომ ტანმაღალი არ იყო, სიმაღლეში მუსოლინის უსწრებდა. მუსოლინიზე კიდევ უფრო ტანდაბალი სტალინი გახლდათ და მასზე კიდევ უფრო ტანდაბალი – ფრანკო.

1934 წლის 14 ივნისს იტალიისა და გერმანიის ლიდერები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ვენეციაში. ჰიტლერი ჯერ კიდევ „მაინ კამპფში“ წერდა, რომ იტალიასთან დაახლოება აუცილებელი ნაბიჯი იყო საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და პირველი საგარეო ვიზიტი სწორედ ამ ქვეყანაში განახორციელა. დუჩემ უგემოვნოდ და უდიერად

ჩაცმული ჰიტლერის დანახვისას თავისი ანტიპათია ვერ დამალა და როცა თვითმფრინავის ტრაპიდან სტუმარმა მის გასაგონად შესძახა, „ავე იმპერატორ“, მან უპასუხა: „ავე იმიტატორ“. მუსოლინის ფიურერზე აზრი დიდად არც შეხვედრის შემდეგ შეცვლია: ბევრს ლაქლაქებს და სულ „მაინ კამპფს“ ციტირებსო. ორი დიქტატორის საუბარი ბევრ თემას შეეხო, უპირველესად კი ავსტრიას, რომელზეც ჰიტლერს უკვე დაუფარავად ეჭირა თვალი. მაგრამ დუჩეს სულაც არ სურდა, მისი მეზობელი ქვეყანა გერმანიას ჩაეგდო ხელში და ჰიტლერიც იძულებული გახდა, სიტყვა მიეცა, რომ ავსტრიის არ შეეხებოდა.

ფიურერის სიტყვას რომ დიდი ფასი არ ჰქონდა, გერმანიის შიგნით უკვე კარგად იცოდნენ, მაგრამ გერმანიის გარეთ – ნაკლებად. ცხადია, რომ მუსოლინისათვის მიცემული პირობის მიუხედავად ჰიტლერს თავის ავსტრიულ გეგმებზე უარი არ უთქვამს. იმ დროისათვის ავსტრიელი ნაცისტები ბერლინიდან მიღებული ფულითა და იარაღით თავიანთ ქვეყანას უკვე კარგად ატერორებდნენ, ბავარიაში განლაგებული ე.წ. ავსტრიული ლეგიონი (ავსტრიიდან გამოქცეულთაგან შექმნილი შენაერთი) კი ბრძანებას ელოდა, რათა საზღვარი გადაეკვეთა და ვენა აეღო. მინი-მეტერნიხად წოდებული ავსტრიის კანცლერი ენგელბერტ დოლფუსი დღეში ათობით მუქარის წერილს იღებდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, გადადგომაზე მაინც უარს ამბობდა. ასე სწორედ მუსოლინის იმედით იქცეოდა, რომლის ჩაგონებითაც თავის ქვეყანაში დემოკრატია დაანგრია და კლერიკალური დიქტატურა დაამყარა (დუჩეს აზრით, ეს ავსტრიაში როგორც მემარცხენეების, ასევე ნაცისტების შეჩერების ერთადერთი გზა იყო). საერთოდ, ჰიტლერის მსხვერპლთაგან ყველა ანგელოზი არ გახლდათ.

მოსახდენი 25 ივლისს მოხდა. ავსტრიელი სამხედროების ფორმებში გადაცმული ადგილობრივი SS-ელები დოლფუსს კაბინეტში შეუვარდნენ და მოკლეს. ნაცისტების კიდევ ერთმა ჯგუფმა კი რადიოსადგური იგდო ხელთ და ეთერში კანცლერის გადადგომის ამბავი გადასცა. გადატრიალება დაიწყო და წარმატებულ დასასრულს თითქოსდა ბევრი აღარაფერი უკლდა. ჰიტლერი ვაგნერის მუსიკის ფესტივალზე იმყოფებოდა, როცა სიახლე მოახსენეს და, მუსიკისგან ისედაც ეგზალტირებული, სიხარულისგან კინაღამ ჭკუიდან შეიშალა. მაგრამ ავსტრიელმა სამართალდამცავებმა სწრაფად იმოქმედეს და ნაცისტები გაანეიტრალეს. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მუსოლინიმ დოლფუსის მკვლელობის პასუხად თავისი ჯარის შენაერთები ავსტრიის საზღვარს მიაყენა.

იმ დღეებში დოლფუსის ცოლ-შვილი იტალიაში ისვენებდა და, სხვა ყველაფერთან ერთად, კანცლერის მკვლელობა დუჩემ ალბათ პირად შეურაცხყოფადაც მიიღო. იტალიური არმიის დაძვრამ ჰიტლერზე ცივი შხაპივით იმოქმედა. მისი ბრძანებით ახალი ამბების სამთავრობო სააგენტომ სასწრაფოდ შეცვალა უკვე გამზადებული ტექსტი, რომელშიც დოლფუსის რეჟიმის დაცემის გამო სიხარული და დიდი გერმანიის დაბადების იმედი იყო გამოთქმული. ამის ნაცვლად სააგენტომ „ღრმა მწუხარება“ გამოთქვა კანცლერის „მხეცური მკვლელობის“ გამო. მუსოლინის კი ფიურერმა შეუთვალა, მე არაფერ შუაში ვარ, მკვლელები ალბათ რომის (ესას ყოფილი მეთაურის) ბრძანებას ასრულებდნენ, რომელიც მან სიკვდილამდე გასცაო. ავსტრიასთან ურთიერთობების დასალაგებლად ფიურერმა ვენაში ელჩად პაპენი მიავლინა. შემდეგ ინგლისურ პრესას მისცა ინტერვიუ და კვლავაც ოსტატურად გაითამაშა მშვიდობის მტრედი. მან კარგად გაიაზრა, რომ ჩანაფიქრი ჩაუვარდა და დროებით უკან დახევა იყო საჭირო. ანშლუსის განსახორციელებლად გერმანიას ჯერ არც ძლიერი ჯარი ჰყავდა და არც მოკავშირე. მოკავშირეობის სურვილს იტალიაც კი არ ამჟღავნებდა, რომელიც იდეოლოგიურად მის რეჟიმთან ყველაზე ახლოს იდგა.

მეორე ბარიერი კი ფიურერისთვის, როგორც უკვე ვთქვით, ბარტუ გახლდათ. ეს იყო გამოცდილი და ენერგიული პოლიტიკოსი, რომლის დანიშვნითაც გაჩნდა შანსი, რომ ბრიანის წასვლის შემდეგ დაუძლურებული ფრანგული დიპლომატია ისევ დადგებოდა ფეხზე. ახალ მინისტრს თავისი ხედვა ჰქონდა; საფრანგეთი ზედმეტად იყო დამოკიდებული ერთა ლიგაზე და უფრო მეტი ყურადღება მოკავშირეებთან თუ პოტენციურ მოკავშირეებთან ორმხრივი ურთიერთობებისათვის უნდა დაეთმო. გარდა ამისა, ბარტუმ გადაწყვიტა, აქტიურად ემუშავა ე.წ. აღმოსავლეთ ლოკარნოზე, რომლის იდეაც ჯერ კიდევ მის წინამორბედებს დაებადათ. აღმოსავლეთ ლოკარნოს უნდა მოეცვა გერმანია და მისი აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნები და, შესაბამისად, ბერლინი უკვე ორივე ფლანგიდან უნდა დაება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა სერიოზული საუბარი ჰიტლერთან, რომელიც ამასობაში ფრანგებს გარიგებას სთავაზობდა: გერმანული ჯარის 100-დან 300 ათასამდე გაზრდას და საფრანგეთის საჰაერო ძალების 50%-მდე შეზღუდვას. ბარტუს არაფრით არ სურდა, გერმანიის შეიარაღების ზრდა ფრანგების კურთხევით მომხდარიყო. მან შეთავაზება უგულებელყო და თავის პროგრამაზე გადაერთო. მაგრამ

დასაწყისშივე სერიოზულმა პრობლემამ იჩინა თავი. კონკრეტულად, აღმოსავლეთ ლოკარნოს იდეას მეტად ცივად შეხვდნენ პოლონელები. 1934 წლის აპრილში ბარტუ ვარშავაშიც ჩავიდა (რასაც მისი წინამორბედები არ კადრულობდნენ), მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. პილსუდსკიმ მას პირდაპირ განუცხადა, რომ პოლონეთი არანაირ ლოკარნოში არ მიიღებდა მონაწილეობას, თუკი მასში რუსეთიც იქნებოდა ჩართული. რუსეთი აქ ალბათ უფრო საბაბად იყო მოყვანილი. მას შემდეგ, რაც ფრანგების იმედი დაკარგა, პილსუდსკის მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მის ქვეყანას არავითარი ნაბიჯი არ გადაედგა არც ბერლინის და არც მოსკოვის წინააღმდეგ. ლოკარნო გერმანიის შესაკავებლად იყო მიმართული და, შესაბამისად, პოლონეთს იქ არაფერი ესაქმებოდა.

ბარტუ ასე იოლად არ დაშინდა. დაასკვნა, რომ ვარშავასთან მუშაობას დიდი აზრი აღარ ჰქონდა და მოსკოვთან დაახლოებაზე უნდა გადართულიყო. საამისოდ, სხვა ყველაფერთან ერთად, საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიწვევაც იყო საჭირო. პოლონეთის შემდეგ ბარტუ რუმინეთსა და იუგოსლავიას ეწვია (და ასევე, ავსტრიაში ჯერ კიდევ ცოცხალი დოლფუსის მონახულებაც მოასწრო). მას ორივეგან გაცილებით უკეთ დახვდნენ, მაგრამ რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მოსკოვი აღმოსავლეთ ლოკარნოთი დაინტერესდა. ბარტუმ საბჭოთა მხარეს საინტერესო ფორმულა შესთავაზა: თავად საფრანგეთი აღმოსავლეთ ლოკარნოს მხარედ არ იქცეოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მოსკოვთან ურთიერთდახმარების პაქტს გააფორმებდა.

გერმანიისა და პოლონეთის დაახლოებით შეშფოთებულ სტალინს, ცხადია, ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მოსკოვს სერიოზული პარტნიორი არ ჰყავდა და ყველა მის მიერ გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმება ნეიტრალიტეტის ან თავდაუსხმელობისა თუ იყო. იაპონია კვლავაც სერიოზულ საფრთხედ რჩებოდა და, შესაბამისად, დასავლეთის ფლანგზე ვითარების დალაგება მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირი სერიოზულად დააფრთხო ოთხთა პაქტმაც, როგორც მოსკოვის იზოლირების კიდევ ერთმა დასტურმა. ამ მიზეზთა გამოისობით საბჭოთა-ფრანგული დაახლოების პროცესი იოლად დაიძრა. 1934 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა კავშირი ზარ-ზეიმით მიიღეს ერთა ლიგაში, პარალელურად კი მუშაობა მიდიოდა ორმხრივ შეთანხმებაზე.

ასეთ ფონზე საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ფრანგებმა ბოლოს და ბოლოს გერმანიის ერთადერთი რეალური შემკავებელი ბერკეტი,

რუსეთი, აამუშავეს და ჰიტლერის ამბიციებსაც დიდი დრო აღარ ეწერა. მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში აღმოსავლეთ ლოკარნოს საკითხში ბარტუს უკვე ინგლისელების მხარდაჭერაც ჰქონდა მიღებული. როცა მას ბეკმა საბოლოო პასუხად აცნობა, რომ პოლონეთი აღმოსავლეთ ლოკარნოს პაქტზე კატეგორიულად ამბობდა უარს, ფრანგ მინისტრს დიდი მწუხარება არ გამოუთქვამს. მოსკოვისა და ლონდონის მხრიდან მხარდაჭერის პირობებში ვარშავის სიჯიუტეს მისთვის დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. გარდა ამისა, ბარტუს ხმელთაშუა ზღვის ლოკარნოს პროექტიც ჰქონდა ჩაფიქრებული (საფრანგეთის, იტალიის, იუგოსლავიისა და საბერძნეთის მონაწილეობით) და მის განხილვას იუგოსლავიის მეფე ალექსანდრესთან აპირებდა პარიზში. პროექტის განხორციელება იოლი არ ჩანდა, რადგან მუსოლინი იუგოსლავიას კვლავაც მტრულად უყურებდა, მაგრამ ბარტუ იმედოვნებდა, რომ მეფესთან ერთად რაიმეს მოიფიქრებდა და ამის შემდეგ უკვე რომს ეწვეოდა.

9 ოქტომბერს ბარტუ მარსელში გაემართა ალექსანდრეს დასახვედრად. იმ დღეს ფრანგულ პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ უსტაშები (ხორვატ ფაშისტთა და სეპარატისტთა პარტია) მეფეზე თავდასხმას გეგმავდნენ, მაგრამ ამას რატომღაც ყურადღება არავინ მიაქცია და უსაფრთხოების ზომები არ გაუმკაცრებიათ. ის კი არა, მეფე და ბარტუ რატომღაც ღია, ყველანაირად დაუცველ ავტომობილში ჩასვეს. რამდენიმე წუთში გაისმა სროლა... მეფე სასიკვდილოდ დაიჭრა, თავდამსხმელი იქვე მოკლეს. ბარტუ კი მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ საყოველთაო ქაოსში მას არავინ მიხედა და სანამ სასწრაფომ შემთხვევის ადგილამდე მიაღწია, სისხლისგან დაიცალა.

მკვლელობის უკან მართლაც უსტაშები იდგნენ, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ დოლფუსისა და ალექსანდრეს მკვლელობები დაახლოებით ერთი წლით ადრე ინინასწარმეტყველა პარიზში გერმანიის ელჩმა. მან დიპლომატიურ წრეებთან დაახლოებულ ფრანგ ჟურნალისტს გაანდო, რომ ბერლინში რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობის გეგმა განიხილებოდა. ეს მკვლელობები დიდ დანახარჯებს და რისკებს არ უკავშირდებოდა და, ამავე დროს, გერმანიას მნიშვნელოვნად გაუიოლებდა საქმეებს. ელჩის თქმით, მოსაკლავთა სიაში იყვნენ სწორედ დოლფუსი და მეფე ალექსანდრე, ასევე ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედვარდ ბენეში და ერთა ლიგაში რუმინეთის წარმომადგენელი ნიკოლაე ტიტულესკუ.

შაბათ-კვირის ტრიუკები

მეფის მკვლელობას, ცხადია, უკვალოდ არ ჩაუვლია. ფრანგმა სამართალდამცავებმა ტერაქტის მთავარ ორგანიზატორად უსტაშების ლიდერი, იმ დროს იტალიაში მცხოვრები ანტე პაველიჩი დაასახელეს და მისი ექსტრადიცია მოითხოვეს. მაგრამ მუსოლინიმ ამაზე სასტიკი უარი განაცხადა. დადიოდა ხმები, რომ მკვლელობის წინა დღეს პაველიჩი ბერლინში იმყოფებოდა, სადაც უამრავი სხვა უსტაში ცხოვრობდა ადგილობრივი მთავრობის ხარჯზე. მაგრამ გერმანიას პრეტენზიები არავინ წაუყენა და რისხვა ძირითადად უნგრეთს დაატყდა თავს, რომელმაც თავის დროზე უსტაშ ლიდერთა დიდი ჯგუფი შეიფარა. იუგოსლავიისა და საფრანგეთის გარდა ბუდაპეშტს ემუქრებოდნენ რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია. მაგრამ საქმეში ისევ მუსოლინი ჩაერთო, რომელმაც მცირე ანტანტის ქვეყნებს აგრძნობინა, რომ უნგრეთთან ომის დაწყების შემთხვევაში იტალიასთანაც ექნებოდათ საქმე. ამის პასუხად მცირე ანტანტამ ერთა ლიგას მიმართა. 1934 წლის დეკემბრის დასაწყისში საქმის განხილვაც დაიწყო და ბევრი უკვე სერიოზულად ღელავდა, კიდევ ერთი ბალკანური ტრაგედიის გამო ახალი მსოფლიო ომი არ დაწყებულიყო. მაგრამ შიშები გაზვიადებული აღმოჩნდა. იტალიასთან დაპირისპირება ფრანგებს არაფერში სჭირდებოდათ, მცირე ანტანტის ქვეყნებს კი ბევრი არაფერი შეეძლოთ. შესაბამისად, ეს საკითხი იქვე ამოიწურა.

საფრანგეთის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა პიერ ლავალმა იტალიასთან უსტაშების გამო შელაპარაკებით წარმოქმნილი უხერხულობის გასანეიტრალებლად მუსოლინისთან სტუმრობა გადაწყვიტა. ამას, ცხადია, დიდად არ გაუხარებია მცირე ანტანტის ქვეყნები. ისინი ბარტუსგან მეტ ყურადღებას იყვნენ მიჩვეულნი. გარდა ამისა, ბარტუსა და მით უმეტეს ბრიანის ფონზე საკმაოდ უბრალო და დაუხვეწავი ლავალი ბევრს არ მოსდიოდა თვალში. ტიტულესკუმ გესლიანად შენიშნა, საფრანგეთი წმინდა ჯიშის ცხენია, რომელიც ჟოკეის ნაცვლად ამ საზიზღარ მეჯინიბეს, ლავალს, ჩააბარესო. რუმინელის ეს ნათქვამი მთელ ევროპას მოედო და მისმა მოწინააღმდეგეებმა იქვე სიამოვნებით გაიხსენეს ადრინდელი ამბავიც, როცა ლონდონში ლავალს ტაუერის მონახულება შესთავაზეს და მან პასუხად იკითხა, რომელი კოშკისო („ტაუერი" ინგლისურად ხომ კოშკს ნიშნავს).

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, „მეჯინიბეს" ერთ რამეს ვერ წაართ-

მევდი: მას თავისი საგარეო პოლიტიკური ხედვა ჰქონდა. ევროპას იგი საცხოვრებელი სახლივით უყურებდა და მიჰყვებოდა იმ მოსაზრებას, რომ როცა სახლში ყველა ყველასთან ჩხუბობს, ურთიერთობები ჯერ უშუალო მეზობლებთან უნდა დაალაგო. შესაბამისად, საფრანგეთს ჯერ იტალიასა და გერმანიასთან უნდა გამოენახა საერთო ენა, პატარა ქვეყნები კი მოიცდიდნენ. ეს რადიკალურად განსხვავდებოდა ბარტუს მიდგომისგან, რომელიც ცდილობდა, ჯერ არაუშუალო მეზობლებთან (მათ შორის, პატარა ქვეყნებთან) მორიგებულიყო და ამის შემდეგ, უკვე ძლიერი პოზიციებიდან, დაელაგებინა ურთიერთობები ახლო მეზობლებთან. მაგრამ ლავალს არც ბარტუ აინტერესებდა და არც მცირე ანტანტის მინისტრები, რომელთაც თავის წინილებს ეძახდა.

1935 წლის 5 იანვარს ლავალი რომს ესტუმრა. მან მშვენივრად უწყოდა, რაზე მოუწევდა მასპინძელთან საუბარი და ამისათვის მზად იყო. დუჩეს ეთიოპიასთან ომის დაწყება ჰქონდა ჩაფიქრებული და საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე გადაედგა კიდეც. 1934 წლის ნოემბერში ეთიოპიის საზღვართან იტალიელმა სამხედროებმა პროვოკაცია მოაწყვეს და ასეულობით ეთიოპიელი ამოხოცეს, ოღონდ შემდეგ ყველაფერი მათ დააბრალეს. მუსოლინიმ ეთიოპიის მთავრობისგან ბოდიში და კომპენსაცია მოითხოვა და იმის მიუხედავად, რომ ეს ქვეყანა ერთა ლიგის წევრი იყო (აფრიკული ქვეყნებისათვის იშვიათი გამონაკლისი), ჟენევაში კონფლიქტის განხილვაზე უარი განაცხადა. დუჩეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ეთიოპიის დაპყრობა. ჯერ ერთი, რომ მას შურისძიება სურდა თავის დროზე განცდილი მარცხის გამო. საუბარია იმაზე, რომ 1870 წლიდან მოყოლებული, იტალიამ ჩრდილო აფრიკაში რამდენიმე ტერიტორია ჩაიგდო ხელთ, მაგრამ ეთიოპიის დაპყრობის მცდელობისას სამარცხვინოდ ჩაფლავდა, მისი ჯარები აქ ორჯერ (1887 და 1896 წლებში) დამარცხდნენ და მას შემდეგ იტალიაში თაობები იზრდებოდა შურისძიებაზე ოცნებით. გარდა ამისა, დუჩეს სურდა, თავისი ქვეყანა იმპერიად ექცია. 1914 წელს მან სოციალიზმი ნაციონალიზმზე გაცვალა და ოცი წლის შემდეგ დადგა დრო, იტალიური ნაციონალიზმი ახალ დონეზე, იმპერიალიზმზე, აეყვანა. სადღა იყო ის დრო, როცა ახალგაზრდა სოციალისტი მუსოლინი ქუჩაში იტალიის თურქეთზე თავდასხმას (1911-12 წლების ომი, რომლის შედეგადაც იტალიამ ოტომანთა იმპერიას ტრიპოლი წაართვა) აპროტესტებდა ქუჩაში და შემდეგ ამის გამო ციხეში სასჯელს იხდიდა.

ლავალმა და მისმა მასპინძელმა სწრაფად გაიარეს სხვა საკითხები; შეთანხმდნენ, რომ იუგოსლავიის გამო ურთიერთობების გაფუჭება ნამდვილად არ ღირდა და რომ გერმანიასთან მოლაპარაკება იყო საჭირო. ყველაზე დიდი დრო კი, ცხადია, ეთიოპიას დაუთმეს. „მეჯინიბემ“ რეალურად ეთიოპიაში იტალიის ინტერესები აღიარა და მუსოლინის ექსპანსიისათვის მწვანე შუქი აუნთო. სანაცვლოდ დუჩე მას შეჰპირდა, რომ ფრანგების ადგილობრივ ეკონომიკურ ინტერესებს (უპირველესად, რკინიგზაში) არ შეეხებოდა და რომ არც ტუნისზე ექნებოდა რაიმე პრეტენზია. ასეთი შინაარსის იყო გარიგება. მოგვიანებით ლავალი ამტკიცებდა, რომ იგი არ დათანხმებულა ეთიოპიის წინააღმდეგ იტალიის აგრესიას, მაგრამ მერე აღმოჩენილი დოკუმენტებიცა და თავად ლავალის შემდგომი საქციელიც საპირისპიროზე მეტყველებს. ამის მიუხედავად, „მეჯინიბის“ ცალსახად გამტყუნება იოლი არ არის – საფრანგეთს ძალიან სჭირდებოდა იტალიის მხარდაჭერა.

ერთა ლიგამ კი ამასობაში ეთიოპიასა და იტალიაში იარაღისა და ტექნიკის ექსპორტი აკრძალა, რითაც, ცხადია, უპირველესად მომავალი აგრესიის მსხვერპლს, გაჭირვებულ ეთიოპიას დაარტყა – იტალიას ხომ თავადაც შეეძლო იარაღისა და ტექნიკის წარმოება. ეთიოპიას კი შეიარაღების შესაძენად ორი წყარო დარჩა – ამერიკა და გერმანია (ერთა ლიგის არაწევრი ქვეყნები). როგორც შემდეგ ვნახავთ, მომავალ ომში ეთიოპიას ყველაზე მეტად სწორედ რომ ჰიტლერი დაეხმარა...

ლავალის რომში ვიზიტიდან რამდენიმე დღეში გერმანიას საარის მხარე დაუბრუნდა. როგორც ოდესღაც ვერსალში გადაწყდა, აქ პლებისციტი ჩატარდა და მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა რაიხში შესვლას დაუჭირა მხარი. ქვანახშირით მდიდარი რეგიონის დაბრუნება ნამდვილად კარგი სიახლე იყო გერმანიისათვის, რომლის ეკონომიკა სწრაფად დგებოდა ფეხზე. ჰიტლერის მიერ ეკონომიკის მინისტრად დანიშნული რაიხსბანკის პრეზიდენტი იალმარ შახტი ბრწყინვალედ უძღვებოდა თავის საქმეს და კრიზისი წარსულში რჩებოდა. პარალელურად ფიურერმა რაიხის გადაიარაღება დაიწყო. გაიზარდა ჯარის რიცხოვნობა, იქმნებოდა საჰაერო ძალები. მოკლედ, ჰიტლერი ვერსალით დადებულ შეზღუდვებს არღვევდა. ეს კიდევ უფრო მეტ მიზეზს აძლევდა, რათა მშვიდობის მტრედი ეთამაშა და ამიტომ საარის დაბრუნების შემდეგ საზეიმოდ განაცხადა, რომ მის ქვეყანას საფრანგეთთან არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები არ ჰქონდა.

ამ განცხადებამ პარიზი და ლონდონი შეაგულიანა. გერმანიის შეიარაღებული ძალების ზრდა არცერთგან არ დარჩენიათ შეუმჩნეველი, მაგრამ ხმამაღალ პროტესტს ერიდებოდნენ. ინგლისელები ფიქრობდნენ, რომ ჯობდა, ყველაფერზე თვალი დაეხუჭათ და გერმანიისათვის ოფიციალურად შეეთავაზებინათ თანასწორობა შეიარაღებაში, ოღონდ, სანაცვლოდ ბერლინისაგან მშვიდობის გარანტიები მოეთხოვათ აღმოსავლეთ ლოკარნოს სახით. პარიზში ამ იდეას სასტიკად აპროტესტებდნენ და, შესაბამისად, ბერლინიც მარტივად ამბობდა უარს ახალ ლოკარნოზე. მაგრამ ბოლოს და ბოლის ფრანგები პარტნიორებს დაჰყვნენ და 1935 წლის თებერვლის დასაწყისში ფიურერმა ინგლისურ-ფრანგული შეთავაზება მიიღო: შეიარაღებაში თანასწორობა და ამის სანაცვლოდ – აღმოსავლეთი ლოკარნო.

ტრიუკების ოსტატი რთული არჩევანის წინაშე დადგა. უკვე ლამის 15 წელი გერმანია შეიარაღებაში თანასწორობას ითხოვდა და ახლა, როცა ეს დათმობა მიიღო, მასზე უარის თქმა იოლი არ იყო, მით უმეტეს იოლი არ იყო, როცა წინადადება ერთდროულად ფრანგებისა და ინგლისელებისგან მოდიოდა. მაგრამ უარი როგორმე მაინც უნდა ეთქვა, რადგან აღმოსავლეთ ლოკარნოზე ხელის მოწერა „სასიცოცხლო სივრცის" მოპოვებაზე უარის თქმას ნიშნავდა. ფორმალურად მაინც. მაგრამ ვინ თქვა, რომ ინგლისი და საფრანგეთი ბოლომდე ერთად იდგებოდნენ ამ საკითხში? ჰიტლერმა მშვენივრად იცოდა, რომ მას ლონდონში მეტი სიმპათიებით უყურებდნენ, როგორც ბოლშევიზმის წინააღმდეგ საიმედო ბარიერს და არ მოსწონდათ ფრანგების დაახლოება მოსკოვთან. ამიტომაც მან ინგლისელებს თბილად და შემრიგებლურად უპასუხა და შესთავაზა, სანამ აღმოსავლეთ ლოკარნოსნაირ დიდ პროექტს განიხილავდნენ, ორმხრივ ფორმატში ესაუბრათ. ლონდონი ამ პასუხმა ასიამოვნა და, შედეგად, 1935 წლის 6 მარტისათვის ბერლინში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჯონ საიმონისა და კაბინეტის უფროსი მინისტრის (Lord Keeper of the Privy Seal), ჯერ კიდევ ახალგაზრდა ენტონი იდენის ვიზიტიც დაიგეგმა. მაგრამ მარტის დასაწყისში გამოვიდა ინგლისის მთავრობის „თეთრი წიგნი", რომელშიც საუბარი იყო გერმანიის მხრიდან შეიარაღებული ძალების ფარულ ზრდაზე და, აქედან გამომდინარე, ინგლისის ანალოგიურ საპასუხო ქმედებებზე. ჰიტლერი ამაზე განრისხდა, ან განრისხება გაითამაშა და ინგლისელთა ვიზიტი გადავადდა. იქვე ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთის მთავრობამ ჯარში სამსახურის ვადა

წლინახევრიდან ორ წლამდე გაზარდა, რამაც ფიურერს დამატებითი მორალური უპირატესობა მისცა და საცდელი გასროლა გადაწყვიტა. 10 მარტს (კვირადღეს) ავიაციის მინისტრმა გერინგმა ინგლისურ პრესას აცნობა, რომ გერმანიას საჰაერო ძალები ჰყავდა. ინგლისელებისგან ვერსალის ხელშეკრულების ამ აშკარა დარღვევას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. ის კი არა, საიმონმა განაცხადა, რომ ბერლინში დაგეგმილ ვიზიტზე გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა.

როცა დარწმუნდა, რომ ლონდონი მასთან დაპირისპირებას არ აპირებდა, ფიურერმა უკვე სერიოზული გასროლა განახორციელა და 16 მარტს (შაბათს) ჯარში სავალდებულო გაწვევა გამოაცხადა. „გასროლებისთვის" შაბათი და კვირადღე, ცხადია, შემთხვევით არ იყო შერჩეული – ამ დღეებში ხომ ყველა ისვენებდა, მათ შორის მთავრობის წევრებიც. სანამ ორშაბათი დადგებოდა და ევროპის დედაქალაქები სამუშაო რეჟიმზე გადაეწყობოდნენ, გერმანიის საკითხი, წესით, ცოტათი მაინც დაკარგავდა აქტუალურობას. მართლაც, ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირმა და იტალიამ შეშფოთება კი გამოთქვეს, მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა მათ მხარი არ აუბეს და საქმე სიტყვიერ პროტესტს არ გასცდა. ის კი არა, ლონდონიდან ფიურერს ჰკითხეს, კვლავაც იყო თუ არა მზად საიმონისა და იდენის მისაღებად. ცხადია, ჰიტლერს უარი არ უთქვამს. საიმონზე უფრო პროგერმანელ ინგლისელ მინისტრს იგი ვერც ინატრებდა (თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლონდონში მასზე პროგერმანელებიც არსებობდნენ). ეს ის კაცი იყო, რომელმაც პროტესტის ნიშნად პირველი მსოფლიო ომის დროს დატოვა მთავრობა იმის გამო, რომ ინგლისში ჯარში გაწვევა გამოაცხადეს. ფრანგების შიში მას გაზვიადებულად მიაჩნდა მაშინ და მით უმეტეს, უფრო გაზვიადებულად მიაჩნდა ახლა: ფრანგების პრეტენზიებსა და შიშებს არც მაკდონალდი უყურებდა კარგი თვალით.

საიმონი და იდენი ფიურერის წინაშე 25 მარტს წარდგნენ. მასპინძელმა მათ აუხსნა, რომ ერთა ლიგიდან გასვლა გერმანელი ერის უზენაესი ნება იყო, ხოლო ავსტრიის ანექსია გერმანიაში ფიქრადაც კი არავის მოსდიოდა. შემდეგ ჰიტლერმა სტუმრები, ცოტა არ იყოს, შოკში ჩააგდო: წაეტრაბახა, ავიაციაში უკვე გაგითანაბრდითო. ეს, ცხადია, არ იყო სიმართლე, მაგრამ ინგლისელებმა დაიჯერეს და, როგორც ვნახავთ, მათმა მიამიტობამ მეტად შორს მიმავალი შედეგები მოიტანა. სამაგიეროდ, იქვე ჰიტლერმა ისევ გაითამაშა მშვიდობის მტრედი და სტუმ-

რებს ორმხრივი საზღვაო შეთანხმება შესთავაზა, რომელიც გერმანიის ფლოტს ინგლისის ფლოტის 35%-მდე შეზღუდავდა; ოღონდ ერთი პირობა დაუმატა: საბჭოთა კავშირს თავისი შეიარაღება აღარ უნდა გაეზარდა. ეს მშვენიერი სვლა იყო, რომელიც ფიურერს, უპირველესად, ბოლშევიზმთან მებრძოლად წარმოაჩენდა და არა დემოკრატიების მტრად. მან ინგლისელები იმაშიც დაარწმუნა, რომ თავად საბჭოთა კავშირზე თავდასხმას არ აპირებდა, მაგრამ ასევე ხაზი გაუსვა, რომ ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ მოსკოვისგან მოდიოდა. როცა ინგლისის მაშინდელ პოლიტიკურ ელიტაში ყველაზე გამჭრიახი იდენი ამ ვარაუდს ეჭვით შეხვდა, ჰიტლერი კატეგორიულად არ დაეთანხმა და კვლავ ბოლშევიზმის წინააღმდეგ საერთო ფრონტის აუცილებლობაზე ალაპარაკდა... ჯამში, ინგლისელები ბერლინიდან კმაყოფილები გაემგზავრნენ.

მაგრამ ჰიტლერთან მათი ვიზიტი პარიზსა და რომში არ მოეწონათ და მუსოლინიმ სამმხრივი შეხვედრის ინიციატივა წამოაყენა, რომელზეც გერმანიის ბოლოდროინდელ ქმედებებს დაგმობდნენ. დუჩე ეთიოპიაში ომს აპირებდა და სულაც არ სურდა, სანამ თვითონ აფრიკაში იქნებოდა დაკავებული, ჰიტლერს ავსტრია ჩაეგდო ხელში. შესაბამისად, გერმანიის დაფრთხობა იყო საჭირო. 11 აპრილს იტალიის ქალაქ სტრეზას ინგლისისა და საფრანგეთის ლიდერები ესტუმრნენ საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად. საუბრის თემა ძირითადად გერმანია იყო. ფრანგებს სურდათ, რომ ვერსალის ხელშეკრულების შემდგომი დარღვევის შემთხვევაში რაიხისთვის სანქციები დაედოთ, მაგრამ ინგლისელებმა ამას მხარი არ დაუჭირეს. დუჩე ელოდა, რომ სტუმრები ეთიოპიასაც ახსენებდნენ, მაგრამ ამაზე კრინტი არავის დაუძრავს. კონფერენციის ბოლოს შეიმუშავეს კომუნიკე, რომლის სამუშაო ვარიანტში ეწერა, რომ „მხარეები შეეწინააღმდეგებოდნენ... ხელშეკრულებების ყველანაირ ცალმხრივ დარღვევას, რაც მსოფლიოში მშვიდობას საფრთხეს შეუქმნიდა“. მუსოლინიმ მცირე, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა მოითხოვა: არა „მსოფლიოში მშვიდობას“, არამედ „ევროპაში მშვიდობას“. შესწორებას ყველა დაეთანხმა და დუჩე დარწმუნდა, რომ ეთიოპიისკენ მას არა მხოლოდ ფრანგებმა, არამედ ინგლისელებმაც აუნთეს მწვანე შუქი.

სტრეზაში სამმხრივი განცხადებით საქმე არ დამთავრებულა. მაისისთვის ბოლოს და ბოლოს დასრულდა საბჭოთა-ფრანგული მოლაპარაკებები ურთიერთდახმარების პაქტზე. შეთანხმების ტექსტზე დიდხანს

დავობდნენ. მოსკოვს სურდა, რომ შეთანხმება ერთა ლიგისგან დამოუკიდებელი ყოფილიყო, ანუ მხარეებს საჭიროების შემთხვევაში დაუყონებლივ ემოქმედათ და საკითხის ჟენევაში განხილვას არ დალოდებოდნენ; მაგრამ ფრანგებმა კარგად იცოდნენ, რომ საბჭოთა მხარესთან მათი დაახლოება ინგლისელებს ძალიან აღიზიანებდათ, ამიტომ ტექსტის შერბილება მოინდომეს და საბოლოოდ იმას მიაღწიეს, რომ პაქტი ერთა ლიგას მიება. არაა გამორიცხული, ტექსტზე მოლაპარაკებები კიდევ უფრო მეტად გაწელილიყო, მაგრამ ჰიტლერის თავხედობებმა ფრანგები გამოაფხიზლა და 2 მაისს პაქტს ხელი მოეწერა. 13 მაისს კი ლავალი საბჭოთა დედაქალაქს ესტუმრა. რომისგან განსხვავებით, მოსკოვში „მეჯინიბე" არც ისე დიდი ხალისით მიდიოდა. პაქტი და ვიზიტი მას ხომ ბარტუსგან ერგო მემკვიდრეობით. არც იმას მალავდა, რომ მისთვის მოსკოვთან დაახლოება ორი რამის გამო იყო საინტერესო: ერთი ის, რომ სანაცვლოდ ფრანგ კომუნისტებს სთხოვდა, მისთვის ხელი არ შეეშალათ მომავალ მუნიციპალურ არჩევნებში; მეორეც, გერმანიასთან დაახლოების პროცესი დაეწყო, ოღონდ უფრო ძლიერი პოზიციებიდან. მოსკოვში წასვლამდე მან რაიხის ელჩს ისიც უთხრა, თუკი თქვენს ქვეყანასთან დიდი გარიგების შანსი არსებობს, რუსებთან შეთანხმებაზე უპრობლემოდ ვიტყვი უარსო. იგივე დააბარა მან ფიურერთან საფრანგეთის ელჩს ბერლინში.

სწორედ იმ დღეებში პილსუდსკი გარდაიცვალა და ლავალმა მოსკოვიდან სასწრაფოდ ვარშავისაკენ გასწია გასვენებაზე დასასწრებად. პოლონელი მარშლისათვის პატივის მიგებაზე მეტად „მეჯინიბეს" იქ ჩასულ გერმანელ ლიდერებთან გასაუბრება სურდა. მართლაც, ვარშავაში გერინგი იმყოფებოდა და შეხვედრაც შედგა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ლავალი იმედოვნებდა. რაიხის ავიაციის მინისტრმა მას პირდაპირ მიახალა, საფრანგეთმა უარი უნდა თქვას აღმოსავლეთევროპელ მოკავშირეებზე და ამის შემდეგ ბერლინსა და პარიზს შორის დაახლოებას ვეღარაფერი შეუშლის ხელსო. როცა გაოგნებულმა ლავალმა ეს გააპროტესტა, გერინგმა საუბარი იქვე დაასრულა და ფრანგს საკმაოდ დიდი ხნით დააკარგვინა მესამე რაიხთან საერთო ენის გამონახვის სურვილი.

მოსკოვისათვის კი ფრანგებთან შეთანხმება, მისი გამოშიგვნის მიუხედავად, მაინც დიდი მიღწევა იყო. 16 მაისს ურთიერთდახმარების შეთანხმება საბჭოთა კავშირმა ჩეხოსლოვაკიასთანაც გააფორმა. ამგვარად, ფრანგებმა მცირე ანტანტა კიდევ უფრო მეტად გაამაგრეს.

საინტერესოა, რომ შეთანხმების მიხედვით საბჭოთა კავშირი მას შემდეგ უნდა დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიას, რაც ამ უკანასკნელის საშველად საფრანგეთი მოვიდოდა. ეს პირობა იმიტომ დაიდო, რომ პრაღაში გერმანიის გარდა საბჭოთა კავშირისაც ეშინოდათ და არ სურდათ, მოსკოვს დახმარების საბაბით მათთან ჯარი შეეყვანა.

შავი უბედურება რეალობაში

21 მაისს ფიურერი კიდევ ერთხელ წარდგა რაიხსტაგის წინაშე მშვიდობის მტრედის როლში. გამოსვლა მეტად დროული და, რაც მთავარია, ეფექტიანი იყო. დროული, რადგან გერმანიის გარშემო აშკარად ხელახლა იკვრებოდა წრე და ოპონენტების მოთაფვლა იყო საჭირო. ეფექტიანი, რადგან გამოსვლაში ჰიტლერმა კონკრეტული სამშვიდობო წინადადებები ჩამოაყალიბა. კონკრეტიკას წინ უძღოდა შთამბეჭდავი და გულისგამგმირავი შესავალი თემაზე, რა ცუდი და უაზროა ომი. რაც უნდა ბევრი სისხლი დაიღვაროს, საფრანგეთი ხომ მაინც საფრანგეთად დარჩება, გერმანია გერმანიად, პოლონეთი პოლონეთად... რაც ევროპულმა ქვეყნებმა ომში მსხვერპლი გაიღეს, იმის მეასედი კეთილი და მშვიდობიანი მიზნებისათვის რომ გაეღოთ, სამყარო ხომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა?.. ამის შემდეგ ფიურერმა მსოფლიოს გაანდო, რომ გერმანიის რასობრივი იდეოლოგია არათუ არ ახალისებდა დაპყრობით ომებს, არამედ ძირშივე ეწინააღმდეგებოდა ამ ქმედებას. სხვა რასის, უცხო ხალხის დაპყრობა ხომ გერმანელებს შიგნიდან დაასუსტებდა და დაღუპავდა... ბერლინის მშვიდობიან განზრახვებზე მეტყველებდა ფაქტებიც: გერმანიას აღარანაირი პრეტენზია აღარ ჰქონდა საფრანგეთთან და საბოლოოდ უარს ამბობდა ელზას-ლორენზე; გერმანიამ პოლონეთთან თავდაუსხმელობის პაქტს მოაწერა ხელი, რომელსაც არაფრის დიდებით არ დაარღვევდა; გერმანია ასევე აცხადებდა, რომ არ აპირებდა არა მხოლოდ ავსტრიის შეერთებას, არამედ მის საქმეებში ჩარევასაც კი...

ამის შემდეგ კი სამშვიდობო პროგრამის დროც დადგა. გერმანია ერთა ლიგას დაუბრუნდებოდა, როგორც კი ლიგა გაუქმებულად გამოაცხადებდა ვერსალის ხელშეკრულებას, თუმცა ამ პირობის შესრულების გარეშეც გერმანია ლოკარნოს ყველა ვალდებულებას შეასრულებდა; გერმანია პატივს სცემდა რაინლანდის დემილიტარიზაციის ვალდებუ-

ლებას; გერმანია მზად იყო, თავდაუსხმელობის პაქტები გაეფორმებინა ყველა მეზობელ ქვეყანასთან; გერმანია მზად იყო, ლოკარნოზე დამატებით, საჰაერო შეთანხმებაზე მოეწერა ხელი, როგორც ამას ინგლისი და საფრანგეთი თავაზობდნენ; გერმანია მზად მძიმე შეიარაღების ყველანაირ შეზღუდვაზე, მათ შორის ტანკების (აქ დახვეწილი ეშმაკობა იყო ჩადებული, რადგან იმ პერიოდში გერმანიას ტანკები ფაქტობრივად არ ჰყავდა); დაბოლოს, გერმანია მზად იყო, თავისი ფლოტი ინგლისის ფლოტის 35%-მდე შეეზღუდა (იგივე, რაც საიმონსა და იდენს შესთავაზა, ოღონდ ამჯერად პირობების გარეშე). აი, რა სურდა გერმანიას, უსამართლოდ დამცირებულ, მაგრამ მაინც სამშვიდობოდ განწყობილ ქვეყანას.

ამაზე უკეთესს რას მოისმენდნენ ევროპელები, რომელთაც ჯერ კიდევ მძიმედ ახსოვდათ პირველი მსოფლიო ომის კოშმარი. შეიძლება მათ უკვე ეჭვი ეპარებოდათ ჰიტლერში, მაგრამ მის შესაჩერებლად ახალი ომის წამოწყება ნამდვილად არ სურდათ და ამიტომაც ოცნებობდნენ, ფიურერი გულის სიღრმეში „კეთილი" გამომდგარიყო (იმის მიუხედავად, რას სჩადიოდა საკუთარ ქვეყანაში). და აი, საჭირო მტკიცებულებაც. ამაზე მეტი რა უნდა ეთქვა? „ტაიმსი" ჰიტლერის ქება-დიდებად დაიღვარა. მაგრამ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ინგლისის მთავრობამ ამდენ ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ბერლინის წინადადებას დათანხმდა. ახლა, როცა ფიურერი მთელ მსოფლიოს სამარადჟამო მშვიდობას შეჰპირდა, მასთან გარიგება წესით უკვე აღარ იყო უხერხული, მათ შორის არც ინგლისური საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ამ უხერხულობის მოხსნას ჰიტლერმაც ოსტატურად შეუწყო ხელი, როცა თავის გამოსვლაში ინგლისს ცალკე დიდი დრო დაუთმო: ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ ბრიტანეთის იმპერიას ზღვაზე უპირატესობის შენარჩუნება ესაჭიროება, ჩვენ ინგლისთან ზღვაზე გაჯიბრებას აღარ ვაპირებთ და მასთან ახალი დაპირისპირება აღარაფერში გვჭირდებაო.

გამორიცხული არ არის, რომ ჰიტლერი ინგლისთან ომს მართლაც არ აპირებდა (და შემდგომ განვითარებული მოვლენები ამას ნაწილობრივ ადასტურებს კიდეც) და ამ განცხადებისას მაინც არ ტყუოდა. ისიც გასახსენებელია, რომ „მაინ კამპფში" (რომელშიც მან გასაოცარი გულწრფელობით ჩამოაყალიბა თავისი სამოქმედო პროგრამა) ინგლისთან დაკავშირებით არანაირი მტრული გეგმა და განზრახვა არ იკითხებოდა. პირიქით, ჰიტლერი იმაზე ჩიოდა, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიამ დიდი შეცდომა დაუშვა ზღვაზე ინგლისელებთან გაჯიბრებით.

მაგრამ ამ სავარაუდო გულწრფელობის მიუხედავადაც ცხადად ჩანდა მისი მთავარი მიზანი – ლონდონის საერთო ანტიგერმანული ფრონტიდან მოწყვეტა. მან კარგად იცოდა ინგლისელების მტკივნეული დამოკიდებულება ზღვაზე უსაფრთხოების მიმართ და ეს კარტი ბრწყინვალედ გაათამაშა. ლონდონში ისე გადაწყვიტეს ფიურერთან გარიგებაზე წასვლა, რომ არც იტალიელებს დაეკითხნენ და არც ფრანგებს (ამ უკანასკნელთა იგნორირება დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ინგლისელები მათზე მოსკოვთან დაახლოების გამო იყვნენ გამწყრალნი). დიდად არც იმაზე დაფიქრებულან, რომ მათი ფლოტის 35% სამჯერ აღემატებოდა ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიისათვის დაშვებულ კვოტას.

უკვე ივნისში ორმხრივი საზღვაო შეთანხმების დეტალებზე მოლაპარაკებისათვის ინგლისელთა მიწვევით ლონდონს ფიურერის მრჩეველი და რაიხის მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი იოახიმ ფონ რიბენტროპი ეწვია. ეს იყო გონებაშეზღუდული და საკუთარ თავზე შეყვარებული ადამიანი, თუმცა ამ კონკრეტული მისიისთვის ზედგამოჭრილი აღმოჩნდა, რადგან მასპინძლებს პირდაპირ განუცხადა, ვაჭრობას არ ვაპირებ, ან წინადადებას მიიღებთ, ან არადა, უკან ვბრუნდებიო. წინადადებაც მიღებულ იქნა. ფრანგების უგულებელყოფისას ინგლისელები კიდევ უფრო შორს წავიდნენ და რაიხთან საზღვაო გარიგების თაობაზე დეტალები არ გაუმჟღავნეს. ერთადერთი, რაც გაანდეს, ის იყო, რომ გერმანიას უფლება ეძლეოდა, ინგლისის წყალქვეშა ფლოტის 60%-ის მოცულობის წყალქვეშა ნავები ჰქონოდა, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში 100%-ზეც ასულიყო. აქ საინტერესო ისიცაა, რომ გერმანიას ვერსალის ხელშეკრულებით წყალქვეშა ნავები საერთოდაც ეკრძალებოდა.

ფიურერმა ორი კურდღელი დაიჭირა: ლონდონსა და პარიზს შორის განხეთქილება გააღრმავა და დაუბრკოლებლად გააგრძელა ფლოტის მშენებლობა. რაიხის საზღვაო ინტერესები, ინგლისისგან განსხვავებით, გლობალური მასშტაბის არ იყო და, შესაბამისად, ინგლისის ფლოტის 35% ცოტა ნამდვილად არ გახლდათ. გარდა ამისა, ვინ იყო იმის გარანტი, რომ 35%-ის მიღწევის შემდეგ უკვე გაძლიერებული გერმანია გაჩერდებოდა?

თუმცა, ორ კურდღელს მესამეც მიჰყვა. დუჩემ დაინახა, რომ ინგლისელები პარტნიორებს არაფერს ეკითხებოდნენ, ამიტომ თვითონაც საქმეზე გადავიდა და ეთიოპიაში ომისათვის მზადება დააჩქარა. თუკი

ინგლისისათვის შეიძლებოდა, რატომ არ შეიძლებოდა იტალიისათვის? მით უმეტეს, რომ მუსოლინიმ ლავალისგან ფაქტობრივად დასტური მიიღო და სტრეზაში არც ინგლისელებისგან იგრძნობოდა რაიმე წინააღმდეგობა. ლონდონში მართლაც იყვნენ შეგუებულნი იმ აზრს, რომ დუჩე შემოდგომაზე ომს დაიწყებდა და სცადეს, ეს საქმე დელიკატურად მოეგვარებინათ. იტალიის განაწყენებას ინგლისელებს ნამდვილად არ სურდათ, მაგრამ, ამავე დროს, არც ერთა ლიგის დასუსტება აძლევდათ ხელს. როგორც უკვე ვიცით, ლონდონს შეიარაღებაზე ფულის ხარჯვა დიდად არც 20-იან წლებში ეხალისებოდა და მით უმეტეს აღარ ეხალისებოდა დიდი დეპრესიის შემდეგ. ამიტომაც საჭირო იყო ერთა ლიგის შენარჩუნება, რომელიც კონფლიქტებს მშვიდობიანად მოაგვარებდა და ქვეყანას ზედმეტ ხარჯებს ააცილებდა. ივნისში მუსოლინის იდენი ესტუმრა და კომპრომისული გამოსავალი შესთავაზა – იტალია ეთიოპიის ტერიტორიის ნაწილს მიიღებდა, საკომპენსაციოდ კი ინგლისი ეთიოპიას ბრიტანული სომალის ტერიტორიას, მათ შორის ზღვაზე გასასვლელსაც, დაუთმობდა. მაგრამ დუჩემ უარი თქვა. ჩანს, მას, როგორც ჭეშმარიტ ფაშისტს, უბრალოდ ომი ომისთვის სწყუროდა. იდენი შინ იმედგაცრუებული და იტალიის მიმართ მტრულად განწყობილი დაბრუნდა. სულ მალე კი ინგლისში მთავრობა შეიცვალა. მაკდონალდი და საიმონი (სტრეზას სტუმრები) სტენლი ბოლდუინმა და სემუელ ჰოარმა შეცვალეს, რომელთაც დუჩესათვის არანაირი სიტყვა არ ჰქონდათ მიცემული. ამის მიუხედავად, მასთან მათაც სცადეს კომპრომისი; აგვისტოში იდენმა ლავალთან ერთად იტალიელებს ეთიოპიის კიდევ მეტი ტერიტორია შესთავაზა დამატებით მთელ ეთიოპიაზე ეკონომიკურ გავლენასთან ერთად. როცა პასუხად ისევ უარი მოვიდა, ინგლისელებმა საქმეში ერთა ლიგის ჩართვა სცადეს. ჰოარმა 11 სექტემბერს ჟენევაში განაცხადა, ჩემი ქვეყანა უკან არ დაიხევს და ყველაფერს გააკეთებს, რომ ერთა ლიგამ იტალია შეაჩეროსო. მისი სიტყვა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ერიო (იმ დროს ერთა ლიგაში საფრანგეთის წარმომადგენელი) ინგლისელ მინისტრს აღტაცებული მივარდა და ხელი ჩამოართვა: ათ წელიწადზე მეტია ამას ველი, ეს გამოსვლა ხომ ჩემი პროტოკოლის პრინციპებს იმეორებს, რომელსაც მაშინ ლონდონმა მხარი არ დაუჭირაო.

მაგრამ იდეალისტი ერიო ერთს ფიქრობდა და სულ სხვას ფიქრობდა ლავალი (იმ დროს უკვე პრემიერ-მინისტრიც). ჯერ ერთი, რომ მას მუსოლინისათვის სიტყვა ჰქონდა მიცემული ეთიოპიის თაობაზე. მეორეც,

მას, ისევე როგორც ფრანგული პოლიტიკური და სამხედრო ელიტის უმრავლესობას, სიგიჟედ მიაჩნდა ინგლისის გამო იტალიის წინააღმდეგ წასვლა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ლონდონი გერმანიასთან ცალმხრივ გარიგებაზე წავიდა. როცა ინგლისელებმა ზეწოლა სცადეს, ლავალმა მათ ჰკითხა, რამდენად უნდა ჰქონოდა სანაცვლოდ იმედი, რომ ინგლისი მას, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის გერმანიისგან დაცვაში დაეხმარებოდა. ამ შეკითხვაზე პასუხი ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. შესაბამისად, ჰოარიც დაცხრა და ლავალთან მისი შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ იტალიას ომს არავინ გამოუცხადებდა, ეკონომიკური სანქციები კი მეტად რბილი იქნებოდა.

ლავალმა ეს ამბავი დუჩეს აცნობა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ფრანგებმა ყველაფერი მოაგვარეს, მაგრამ სწორედ იმ დროს ბოლდუინი იდენის ზეწოლას დაჰყვა და ხმელთაშუა ზღვაში ფლოტის მობილიზაცია ბრძანა. ოდესღაც ინგლისური ფლოტის ერთი გაფართხალებაც კი მთელ დანარჩენ ევროპას აშინებდა და წესით, ახლა როგორმე იტალია მაინც უნდა დაეშინებინა. მაგრამ ეს აღარ იყო მე-19 საუკუნე. ინგლისს აღარც ის ძალა ჰქონდა და აღარც პრესტიჟი. დუჩე კი რის დუჩე იყო, ასე იოლად დაეთმო რამე. როცა ჯერ კიდევ აგვისტოში ინგლისელებმა მისი დაშინება სცადეს და მიანიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში სუეცის არხს გადაკეტავდნენ, დიქტატორმა მშვიდად უპასუხა, მაშინ ჩემი ფლოტი არხს ძალით გაგახსნევინებთო. დუჩეს სიტყვის კაცის სახელი ჰქონდა და, შესაბამისად, ინგლისური ფლოტის მობილიზაცია მობილიზაციის იქით აღარ წასულა. მით უმეტეს, რომ სამხედრო ექსპერტებმა ინგლისის მთავრობას მოახსენეს, იტალიის ფლოტი იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ მათი დამარცხება ძალიან ძვირად დაგვიჯდებაო. ძნელი სათქმელია, რას ეფუძნებოდა ასეთი შეფასება. როგორც ჩანს, დუჩეს ბაქიბუქმა იმ დროს ბევრი დააშინა და იტალიის ძლიერებაში დაარწმუნა. თუმცა, იმავე დროს, ინგლისელი სამხედრო ექსპერტები იტალიის სახმელეთო არმიას ძალიან დაბალ შეფასებას აძლევდნენ და ამ მოხსენებაზე დაყრდნობით ლონდონში იმედოვნებდნენ, რომ დუჩე ეთიოპიასთან ომში გაიჭედებოდა და თავად დაიწყებდა კომპრომისის ძიებას.

ინგლისელებმა რაღაც მომენტში მაინც სცადეს ბედი და ფრანგებს ხმელთაშუა ზღვაში იტალიის წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს (ჩანს, ბოლომდე ვერ გაეაზრებინათ, როგორ გაანაწყენეს პარიზი გერმანიასთან გარიგებით). ლავალმა არა მხოლოდ ამაზე განაცხადა უარი, არამედ

ინგლისელებს შეუთვალა, რომ, თუკი მათი ფლოტი იტალიის წინააღმდეგ ქმედების გამო დაზარალდებოდა, ფრანგული პორტებით სარგებლობის იმედიც არ უნდა ჰქონოდათ. ჰოარმაც ამის შემდეგ დუჩეს ჩუმად შეუთვალა, ინგლისი ძალის გამოყენებას არ აპირებს, მათ შორის არც სუეცის არხშიო. მთელი ამ ფრანგულ-ინგლისური დაკადაკის ფონზე ევროპაში ძალიან პოპულარული გახდა ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა:

„ერთმანეთს ეტაკნენ ჰოარი და ლავალი. სანქცია თუ სუეცი? ვარიანტი არ არი...“

რა თქმა უნდა, ეს ამბავი არ ატყდებოდა, ეთიოპია ერთა ლიგის წევრი რომ არ ყოფილიყო. არადა, თავის დროზე ლიგაში მისი მიღება სწორედ იტალიის დაჟინებით მოხდა, ლონდონი კი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო, აქაოდა, ასეთ ველურ ქვეყანას ჟენევაში რა უნდაო. ინგლისელები ნამდვილად სიმართლეს ამბობდნენ: ეთიოპია იმდენად ჩამორჩენილი ქვეყანა გახლდათ, რომ მის ბევრ პროვინციაში მონობაც კი იყო გავრცელებული. მაგრამ იტალიელებს ეშინოდათ, რომ ლიგის გარეთ დარჩენილ ქვეყანას სწორედ ინგლისი დაეპატრონებოდა, და თავიანთი გაიტანეს... ეთიოპია ძალიან ჰგავდა ივლინ ვოს „შავ უბედურებაში“ აღწერილ (და გამოგონილ) აფრიკულ ქვეყანას, რომლის იმპერატორი ამაოდ ცდილობს რეფორმების გატარებას და თავისი ხალხის ვესტერნიზაციას. მაგალითად, როცა იგი ჯარისათვის ფეხსაცმელს შეიძენს, ჯარისკაცები ფეხსაცმელს შეჭამენ. პარალელი აშკარაა: ეთიოპიაც იმპერიად იწოდებოდა და მისი ჯარის დიდი ნაწილი ფეხშიშველი ომობდა.


ერთა ლიგის ასამბლეამ კი ბოლოს და ბოლოს იტალიის მიერ ლიგის წესდების დარღვევა ცნო და წევრ ქვეყნებს ზომების მიღებისკენ მოუწოდა. მაგრამ დუჩემ კარგად იცოდა, რომ ამ განცხადების უკან ბევრი არაფერი იდგა. 1935 წლის 3 ოქტომბერს მისი ბრძანებით იტალიური არმია ომის გამოუცხადებლად შეიჭრა ეთიოპიაში.




ჰიტლერის პირველი კაბინეტი. მისგან მარცხნივ პაპენი, მარჯვნივ გერინგი



კანცლერი და პრეზიდენტი – ჰიტლერი და ჰინდენბურგი




ლიტვინოვი შვილთან ერთად



პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი და ლიტვინოვი




მუსოლინი თავის მომხრეებთან ერთად რომზე მარშის წინ



ბარტუ (ცენტრში) ვარშავაში ვიზიტისას. მისგან მარჯვნივ პილსუდსკი, მარცხნივ ბეკი



ბეკი და ლავალი (მარჯვნივ). პილსუდსკის დაკრძალვის დღე



ლავალი პარიზის აეროპორტში, მოსკოვური ვიზიტის შემდეგ

თავი 5. ახალი გზარეები

დუჩეს ოქრო

ერთა ლიგამ იტალია აგრესორად გამოაცხადა და ეთიოპიას შეიარაღებაზე ემბარგო მოუხსნა. ხმათა უმრავლესობით (წინააღმდეგ წავიდნენ მხოლოდ ავსტრია და უნგრეთი) გადაწყდა იტალიის წინააღმდეგ სანქციების შემოღებაც, რომლებიც 18 ნოემბრიდან ამოქმედდა. აიკრძალა იტალიური ნაწარმის იმპორტირება, იტალიაში ექსპორტი კი შეიზღუდა. მაგრამ ეს შეზღუდვა ნავთობს არ შეეხო. ერთა ლიგის ოპერატიულობა იმით აიხსნება, რომ სანქციების მექანიზმი მანჯურიის კრიზისის დროს შეიმუშავეს. წლის ბოლოს პროტესტის ნიშნად, იაპონიის დარად, ლიგა იტალიამაც დატოვა.

თავად სანქციები ერთი შეხედვით მძიმე არ იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, იტალიას მაინც უჭირდა. მისი ჯარი კარგა ხანს წინ თითქმის ვერ მიიწევდა და ამასობაში სანქციების გამო სახელმწიფოს ოქროს რეზერვები ეწურებოდა. ლირას კურსიც დაეცა. ყველაფერ ამის შემხედვარე, ლონდონსა და პარიზში იმედი მიეცათ, რომ იტალია კომპრომისზე წავიდოდა. მართლაც, დუჩე უკვე ნოემბრის დასაწყისში დათანხმდა ინგლისელებთან მოლაპარაკებებს, რომელთაც ამ დროს კიდევ ერთხელ გაახსენდათ, რომ ეთიოპია „ველური ქვეყანა“ იყო. შედეგად, მალე შეთანხმდა გეგმა, რომლის მიხედვითაც ეთიოპია ტერიტორიის ნაწილს ინარჩუნებდა, მის საუკეთესო მიწებს კი იტალია მიიღებდა (უფრო მეტს, ვიდრე ადრე სთავაზობდნენ). ლავალმა, ცხადია, გეგმას მხარი დაუჭირა და, რაც მთავარია, დუჩეც თანახმა იყო, რადგან კარგად ხედავდა, რომ მის ჯარს ძალიან უჭირდა. იტალია, უკვე მერამდენედ, ბრძოლის ველზე სამარცხვინოდ ირჯებოდა.

ყველაფერი თითქოსდა კარგად მიდიოდა. გადაწყდა, რომ ჰოარი და ლავალი გეგმას ერთა ლიგაში წარადგენდნენ და როცა იქაურ მხარდაჭერას მიიღებდნენ (ინგლისი და საფრანგეთი ჟენევაში რომ ერთობლივად ყველაფერს გაიტანდნენ, ამაში დიდი ეჭვის შეტანა არ ღირდა), გეგმას უკვე ეთიოპიასაც იოლად მოახვევდნენ თავს. ამით იტალიასთან მეგობრობასაც იხსნიდნენ და ერთა ლიგასაც. ჰოარმა პარიზში ყველა დეტალი შეათანხმა და კმაყოფილი დაბრუნდა უკან, მაგრამ უცებ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: 1936 წლის 9 იანვარს ჰოარ-ლავალის გეგმის

მთლიანი ტექსტი ფრანგულ პრესაში დაიბეჭდა. ჰოარმა მეორე დღესვე დატოვა თანამდებობა და მას მალე მიჰყვა ლავალიც, რომელმაც დუჩეს ბოდიშებით აღსავსე წერილი მისწერა, აქაოდა, მე ყველაფერი გავაკეთე ჩვენი მეგობრობისათვის და რაც მოხდა, ჩემი ბრალი არ არისო. როგორც შემდეგ გაირკვა, „მეჯინიბე“ იყო მესამე რესპუბლიკის უკანასკნელი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც არა მხოლოდ თავისი ხედვა ჰქონდა, არამედ ინგლისისგან დამოუკიდებლად მოქმედებასაც ბედავდა.

პრესის სკანდალმა ჰოარ-ლავალის გეგმა დაასამარა. ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა, გეგმას რომ ემუშავა. ალბათ იყო შანსი, დუჩეს პარიზთან და ლონდონთან კარგი ურთიერთობები შეენარჩუნებინა და ჰიტლერის მოკავშირედ არ ქცეულიყო. მართალია, გერმანიის მხარეს მისი საბოლოო გადასვლა სხვა, კიდევ უფრო დრამატულმა მოვლენებმა განაპირობა, მაგრამ ჰიტლერთან დამეგობრებას საფუძველი მაინც ალბათ პრესის სკანდალის შემდეგ ჩაეყარა, რომელმაც დუჩეს დემოკრატიებზე სერიოზულად აუცრუა გული. სადაც ეს ქვეყნები იმას ვერ ახერხებდნენ, რომ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები პრესისგან დაემალათ, როგორ შეიძლებოდა მათ იმედზე ყოფნა ისეთ საკითხებში რომლებიც მოკავშირეობასა და ომებს ეხებოდა?! როგორც მოგვიანებით გაირკვა, გეგმა გამიზნულად გაახმაურა ერთმა სამთავრობო წრეებთან დაახლოებულმა და მეტად ინფორმირებულმა ფრანგმა ჟურნალისტმა, რომელსაც საგარეო სამინისტრო, ფაქტობრივად, ყველაფრის საქმის კურსში აყენებდა ხოლმე. ამ ჟურნალისტს მუსოლინი არასოდეს ეხატებოდა გულზე და გადაწყვიტა, მისთვის დარტყმა მიეყენებინა.

ჰოარ-ლავალის გეგმის ჩავარდნის შემდეგ ეთიოპიაში ომი ბოლომდე იყო მისაყვანი. და აი, სწორედ აქ იჩინა თავი დუჩესეული რეჟიმის ერთმა უპირატესობამ – მოსახლეობისა და რესურსების მობილიზების უნარმა. ჯერ კიდევ დეკემბერში დიქტატორმა ხალხს მოუწოდა, სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ ოქრო და ძვირფასეულობა. საამისო მაგალითი მოსახლეობას მუსოლინის ცოლ-შვილმა მისცეს და მათ მაგალითს ფაქტობრივად მთელმა ქვეყანამ მიბაძა. მდიდართა ძვირფასეულობისა და უბრალო ადამიანების ნიშნობის ბეჭდების წყალობით ქვეყნის რეზერვები ისევ შეივსო. არსებობდა საფრთხე, რომ იტალიას ნავთობის ემბარგოსაც დაადებდნენ. კონკრეტულად კი ამას ითხოვდა ინგლისის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი. მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. იტალია ნავთობს ძირითადად რუმინეთიდან, საბჭოთა

კავშირიდან, ირანულ-ინგლისური ნავთობკომპანიიდან და ამერიკიდან იღებდა. მოსკოვმა და ბუქარესტმა განაცხადეს, რომ ერთა ლიგის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში ემბარგოს მიუერთდებოდნენ, მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებასაც აზრი არ ჰქონდა, რადგან ამერიკა ერთა ლიგის წევრი არ იყო და მარტივად შეეძლო, სხვა მიმწოდებლები ჩაენაცვლებინა. მართალია, თავად რუზველტს დუჩეს მიმართ დიდი სიმპათიები არ ამოძრავებდა, ხოლო ეთიოპიაზე თავდასხმამ ამერიკაში ადგილობრივი შავკანიანების სასტიკი პროტესტი გამოიწვია, მაგრამ კონგრესი ამერიკელი მენავთობეების ინტერესებს ითვალისწინებდა და, შესაბამისად, ეს საკითხი სერიოზულად არც წასულა წინ. ემბარგოს იდეას არც ფრანგებმა დაუჭირეს მხარი და ყველაფერი ამით დასრულდა. ერთა ლიგა საბოლოოდ იძირებოდა. თუკი მანჯურიის შემთხვევაში მან სახე ასე თუ ისე შეინარჩუნა იმის წყალობით, რომ ჩინელები აგრესორთან მოლაპარაკებას დათანხმდნენ და დაუზავდნენ, იტალიისა და ეთიოპიის შემთხვევაში მსგავსი არაფერი ხდებოდა. ლიგის ერთი წევრი მეორეს ბოლომდე ნთქავდა.

იტალიის მიმართ ყველაზე მკაცრი პოზიცია გერმანიამ დაიჭირა. რაიხი არა მხოლოდ ეთიოპიას აწვდიდა შეიარაღებას, არამედ იტალიას მთელ რიგ სამხედრო დანიშნულების ნედლეულზე ემბარგო დაადო (მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ერთა ლიგის წევრი არ იყო და, შესაბამისად, ამის არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა). ფიურერი ამით ინგლისელებს აწონებდა თავს, რადგან უკვე დაგეგმილ ავანტიურებში მათი კეთილგანწყობის იმედი ჰქონდა. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მას სურდა, დუჩეს, ბოლოს და ბოლოს, გერმანიის ძალა და მნიშვნელობა გაეაზრებინა. მიზანი მიღწეულ იქნა და უკვე ნოემბერში მუსოლინიმ გერმანიაში ურთიერთობების დასალაგებლად თავისი ქალიშვილი ედა მიავლინა. ჰიტლერმა ჟესტი დააფასა და მალე იტალიაში ქვანახშირის ექსპორტი განაახლა. ორ დიქტატორს შორის პირველი ხიდიც გაიდო, მით უფრო, რომ ედა თბილი მიღებით აღტაცებული დაბრუნდა სამშობლოში და მამას ურჩია, ფიურერთან ემეგობრა.

1936 წლის თებერვალში იტალიურმა ჯარმა ძალები მოიკრიბა და გენერალ პიეტრო ბადოლიოს მეთაურობით გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. ბადოლიო გამოცდილი სამხედრო იყო და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გამარჯვების მოსაპოვებლად არაფერს არ ერიდებოდა. ჯერ კიდევ დეკემბრიდან მოყოლებული, იგი ქიმიურ იარაღს (წიწაკის გაზს)

იყენებდა. ამას დაემატა განურჩეველი საავიაციო დაბომბვები. იტალიელები ბომბავდნენ ყველას და ყველაფერს, მათ შორის წითელი ჯვრის საავადმყოფოებსაც. ერთ-ერთი პილოტი, ვინც ამ მხრივ თავი გამოიჩინა, დუჩეს ვაჟი ვიტორიო მუსოლინი იყო, რომელიც თავისი საქციელით აღტაცებას არც მალავდა. თუმცა იგი გამონაკლისი არ გახლდათ; იტალიელთა უმრავლესობა ეთიოპიელებს სრულიად გულწრფელად მიიჩნევდა ველურებად, რომლებზეც ცივილიზაციის წესები არ უნდა გავრცელებულიყო. განურჩეველი დაბომბვებით იტალია ერთი შეხედვით საერთაშორისო კონვენციებს კი არღვევდა, მაგრამ, სინამდვილეში, არ არღვევდა, რადგან „ველურებს" ეომებოდა. „ველურებს" კი არც ავიაცია გააჩნდათ და, მით უმეტეს, არც ანტისაჰაერო თავდაცვა. ამის წყალობით დუჩეს არწივებს შეეძლოთ, უპრობლემოდ გამოეცადათ მათზე იტალიელი გენერლის, ჯულიო დუეს თეორია საჰაერო ძალების გადამწყვეტი როლის თაობაზე. დუე წერდა, რომ ავიაციას შეეძლო, სასიცოცხლო ცენტრების განადგურებით მოწინააღმდეგე მორალურად გაეტეხა, რის შემდეგაც მისი საბოლოო დამარცხება იოლ ამოცანად იქცეოდა. დუჩე დუეს თეორიას პრაქტიკაში ახორციელებდა...

და სანამ ყველა ეთიოპიას ადევნებდა თვალს, ტრიუკების ოსტატმა საქმე გააგრძელა.

მაჟინოს ჩრდილში

ჰიტლერს კარგად ესმოდა, რომ გერმანიას თავისუფლად მოქმედება და, მით უმეტეს, დაპყრობითი ომების წარმოება ძალიან გაუჭირდებოდა, სანამ რაინლანდი დემილიტარიზებული რჩებოდა. ბერლინის მხრიდან ნებისმიერი თამამი ნაბიჯის საპასუხოდ ფრანგებს შეეძლოთ, დაუბრკოლებლად შეჭრილიყვნენ რაინლანდში, იქიდან რურში და რაიხი მარტივად დაეჩოქებინათ. შესაბამისად, საჭირო იყო აქაურობის დაკავება და კარგად გამაგრება. მაგრამ მსგავსი ნაბიჯით გერმანია როგორც ვერსალის, ასევე ლოკარნოს ხელშეკრულებას დაარღვევდა. მით უმეტეს, რომ რაინლანდის დემილიტარიზაციის ვალდებულება თავად ჰიტლერმაც დაადასტურა მის მიერ 1935 წლის 21 მაისს გახმოვანებულ სამშვიდობო პროგრამაში. ამიტომაც მსგავსი ტრიუკისათვის რაიმე საბაბი იყო საჭირო, რაც ტრიუკს ლეგიტიმურობას შესძენდა.

საბაბი იოლად გამოინახა. როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ლავალს

იმედი ჰქონდა, რომ მოსკოვში ვიზიტი მუნიციპალურ არჩევნებში წაადგებოდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ არჩევნები წააგო და გაცოფებულმა ეს კომუნისტებსა და მოსკოვს დააბრალა. ამის გამო მოითხოვა, საბჭოთა-ფრანგული ურთიერთდახმარების პაქტის რატიფიცირება პარლამენტში მომხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის კონსტიტუცია ამას არ ითვალისწინებდა.

ბერლინში საფრანგეთის ელჩი, გამჭრიახი და კარგად ინფორმირებული ანდრე ფრანსუა-პონსე ჯერ კიდევ 1935 წლის ბოლოდან აფრთხილებდა პარიზს, რომ ჰიტლერი პაქტის რატიფიცირების პასუხად რაინლანდს დაიკავებდა. ელჩს ინფორმაცია მისდიოდა, რომ საამისოდ გერმანიის შეიარაღებულ ძალებში შესაბამისი მიზნით ფარული მზადება უკვე დაწყებულიყო და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მას მძიმე საუბარი ჰქონდა ჰიტლერთან, რომელმაც პაქტის თაობაზე ისტერიკა მოაწყო. ფრანგები დროს წელავდნენ; პარლამენტი საკითხის განხილვას მხოლოდ 1936 წლის 11 თებერვალს შეუდგა და თვის ბოლოს ძლივს დააყენა საშველი რატიფიკაციას. აქ ფიურერმა კიდევ ერთი სვლა გააკეთა და რატიფიკაციამდე სულ რამდენიმე საათით ადრე ფრანგებს აცნობა, პაქტის ამოქმედებას ბერლინი ლოკარნოს დარღვევად განიხილავსო.

რაიხისა და სრულიად მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი დადგა. ერთი მხრივ, ეს მომენტი მომწიფდა – ყველა ეთიოპიაზე იყო გადართული და ფრანგებმა მოსკოვთან დაახლოებით ჰიტლერს კარგი საბაბი მისცეს. მაგრამ, მეორე მხრივ, გერმანიის არმია ჯერ კიდევ სუსტი იყო და ფრანგებს იოლად შეეძლოთ მისი გასრესა. ტრიუკების ოსტატმა გადაწყვიტა, არჩევანი იმის მიხედვით გაეკეთებინა, რამდენად ერთიანები იქნებოდნენ რაინლანდის საკითხში ინგლისელები და ფრანგები. მან ძალიან კარგად უწყოდა, რომ ლონდონის გარეშე ფრანგები ბევრს ვერაფერს გაბედავდნენ.

ფრანგებმა ნიადაგი 1936 წლის იანვარში მოსინჯეს. ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა პიერ-ეტიენ ფლანდენმა ინგლისის მეფე ჯორჯ V-ის დაკრძალვაზე იდენს ჰკითხა, რას მოიმოქმედებდა ინგლისი, თუკი გერმანია რაინლანდს დაიკავებდა. იდენმა ამაზე მეტად ლოგიკური კონტრშეკითხვით უპასუხა: თავად ფრანგები რას აპირებთო. ფლანდენი პარიზში დაბრუნდა და მისი მთავრობა გაცხარებულ მსჯელობას შეუდგა, რომელმაც ერთ კვირაზე მეტს გასტანა. ბოლოს ფრანგებმა ლონდონს აცნობეს, რომ გერმანიის გამოხდომას უპასუხოდ არ დატოვებდნენ,

მაგრამ პასუხად სანუგეშო მაინც ვერაფერი მოისმინეს. ინგლისელები აშკარად იტალიის წინააღმდეგ არასაკმარისი მხარდაჭერის ხურდას უბრუნებდნენ პარიზს.

ჰიტლერი გაფაციცებული ელოდა სიახლეებს ლონდონიდან და როცა ეს ყველაფერი მის ყურამდეც მივიდა, ბევრი აღარ უფიქრია და რაინლანდში შესვლის ბრძანება გასცა. გერმანიის სამხედრო ელიტა სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ფიურერმა ისინი დაარწმუნა, ფრანგები ვერაფერს გაბედავენო. ჯერ ერთი, რომ ინგლისი მათ გვერდით არ დადგებოდა, მეორეც, საფრანგეთში გამალებული საარჩევნო კამპანია მიდიოდა. ჰიტლერი კარგად იცნობდა დემოკრატიის სისუსტეებს.

7 მარტს (შაბათს!!) რაინლანდში გერმანული შენაერთები შევიდნენ. ჯარი უწესრიგოდ გადაადგილდებოდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ჯერ კიდევ არანაირი სერიოზული ოპერაციისათვის არ იყო მზად. ჯარისკაცებს არც ერთი ვაზნა და არც ერთი ჭურვი არ ჰქონდათ, რათა შარში არ გახვეულიყვნენ. ნოირატმა საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის ელჩები იხმო და ამცნო, ლოკარნოს შეთანხმება აღარ არსებობს, ოღონდ ჩვენამდე იგი ფრანგებმა დაარღვიეს, როცა საბჭოთა კავშირთან პაქტი გააფორმესო. სამაგიეროდ, როგორც უკვე ტრადიციად იქცა, გერმანია ევროპას ახალ სამშვიდობო ინიციატივას სთავაზობდა. ინიციატივით, ცხადია, თავად ფიურერი გამოვიდა და კიდევ ერთხელ მიმართა რაიხსტაგს მგზნებარე სიტყვით. ჯერ ვერსალის სისტემა და ბოლშევიზმი გააცამტვერა, შემდეგ კი საფრანგეთს დააბრალა ლოკარნოს დარღვევა: გერმანიამ უბრალოდ ამ დარღვევის პასუხად თავის ტერიტორიაზე სუვერენიტეტი დაამყარა და ახლა უკან აღარაფრის დიდებით არ დაიხევს, არავის წინაშეო. ცხადია, რომ ამ ბაქიბუქის უკან ბევრი არაფერი იდგა – გერმანელ სამხედროებს შიშით სული კოჭებში ეპარებოდათ და ფრანგების ერთ გაფაჩუნებაზეც კი რაინლანდს უკანმოუხედავად დატოვებდნენ. თავად ჰიტლერიც ალბათ იქვე დასრულდებოდა.

მაგრამ რა საჭირო იყო რაიმე ქმედება ფრანგების მხრიდან, როცა ფიურერს ამიერიდან მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა სურდა?! ამის დასამტკიცებლად მან, ცხადია, კონკრეტული წინადადებებიც წარადგინა: 25-წლიანი თავდაუსხმელობის პაქტი საფრანგეთთან და ბელგიასთან (რის გარანტორებიც ინგლისი და იტალია იქნებოდნენ), ანალოგიური პაქტები აღმოსავლეთ მეზობლებთან, ერთა ლიგაში დაბრუნება და ფრანგულ-გერმანული საზღვრის დემილიტარიზაცია.

მოკლედ, ახლა უკვე ფრანგებს დაუდგათ ჭეშმარიტების მომენტი. ჰიტლერის ახალი სამშვიდობო ინიციატივისა მათ უკვე ნაკლებად სჯეროდათ. მით უმეტეს, რომ გერმანიასთან საზღვრის დემილიტარიზაციის შემთხვევაში მათ მრავალტანჯული მაჟინოს ხაზის მოშლა მოუწევდათ. თუკი ჰიტლერის შეჩერება სურდათ, ამაზე კარგ შემთხვევას ვერ ნახავდნენ – ძალაც და საერთაშორისო სამართალიც მათ მხარეს იდგა. მთავრობა სასწრაფოდ შეიკრიბა სათათბიროდ და ერთი შეხედვით ყველა საბრძოლველად იყო განწყობილი. მაგრამ ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა, როცა ვითარების შეფასება სამხედროებს სთხოვეს. აქ სცენაზე გამოვიდა გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი მორის გამელენი, რომლის შეფასებებსაც ისტორიკოსები დღემდე ეცნობიან, სწავლობენ და დღემდე იქიდან აზრი ვერ გამოაქვთ. მან ჯერ განაცხადა, ფრანგული არმია მზადაა, რაინლანდში შეიჭრას და მტერს ეკვეთოსო, მაგრამ იქვე დასძინა, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები უკვე მილიონს ითვლის და აქედან 300 ათასი უკვე რაინლანდშია. გაუგებარია, საიდან მოვიდა ეს ფანტასმაგორიული რიცხვები. გამელენი ამაზე არ გაჩერებულა. როცა მას მთავრობის წევრებმა უთხრეს, რაინლანდში რაც შეიძლება მალე უნდა შევიდეთო, გენერალმა უპასუხა, რომ საამისოდ სათანადო რესურსები ესაჭიროებოდა. კონკრეტულად კი, მან სრული მობილიზაცია მოითხოვა. მერე იქვე დასძინა, ომი ალბათ მაინც გაიწელება და ასეთ შემთხვევაში გერმანიას, თავისი ინდუსტრიული პოტენციალიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი უპირატესობა ექნებაო. კაცმა რომ თქვას, გამელენის გამოსვლაში გასაკვირი ბევრი არაფერი იყო. ის ტიპური პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი გახლდათ, რომელსაც, მაშინდელი მძიმე გამოცდილებიდან გამომდინარე, შეტევით ომზე ფიქრიც კი არ სურდა. ან რა საჭირო იყო შეტევითი ომი, როცა არსებობდა ფაქტობრივად გაუვალი მაჟინოს ხაზი? მით უმეტეს, რომ მის მშენებლობაში არნახული ფული ჩაიყარა.

საფრანგეთის მთავრობას მალე ცივი წყალი ინგლისის ელჩმაც გადაასხა, რომელმაც ფლანდენი გააფრთხილა, მარტომ არაფერი გაბედოთო. გერმანიის წინააღმდეგ მარტო ქმედებას რა მოჰქონდა, ფრანგებს ეს რურის ოკუპაციიდან კარგად ახსოვდათ. 11 მარტს ფლანდენი ლონდონში გადაფრინდა, მაგრამ ვერც ამჯერად მოისმინა ვერაფერი დამაიმედებელი – ბოლოს და ბოლოს, ჰიტლერმა თავის ტერიტორიაზე ჩააყენა ჯარი. ბოლოს და ბოლოს, სტაბილური და ძლიერი გერმანია ბოლშევიზმის

ყველაზე კარგი შემაკავებელი იყო. ბოლოს და ბოლოს, ჰიტლერი ხომ 25-ნლიან თავდაუსხმელობის პაქტს სთავაზობდა საფრანგეთს. „ტაიმსი" ითხოვდა, ფიურერისათვის კიდევ ერთი შანსი მიეცათ. მოკლედ, ინგლისელები თითის განძრევას არ აპირებდნენ. ერთადერთი ის გააკეთეს, რომ 19 მარტს ფრანგებს პირობა მისცეს, თუკი ვინმე თავს დაგესხმით, მარტოს არ დაგტოვებთო. ეს დროებითი ზომა იყო, რომელიც მანამდე იმოქმედებდა, სანამ უკვე აღარარსებულ ლოკარნოს ახალი ხელშეკრულება ჩაანაცვლებდა. კიდევ გადაწყდა ერთა ლიგის საბჭოს სხდომის მოწვევა, რომელიც ასევე 19 მარტს შეიყარა ლონდონში. საუბარი არ ღირს იმაზე, რომ ამას სერიოზული არაფერი მოჰყოლია. უბრალოდ, დაფიქსირდა, რომ გერმანიამ რაინის ზონაში საზღვარი დაარღვია. ყველაზე მკაცრად კი ჰიტლერის ქმედებები ლიტვინოვმა დაგმო. ამის შემდეგ საკითხის განხილვა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

საფრანგეთმა შანსი გაუშვა და ეს შეუმჩნეველი არავის დარჩენია. ტიტულესკუმ პირდაპირ იკითხა, რომ თუკი ფრანგები საკუთარ თავს ვერ იცავდნენ, რუმინეთი და სხვა შორეული მოკავშირეები რის იმედზე უნდა ყოფილიყვნენ. არც ახლო მოკავშირეები იყვნენ იმედიანად. ბელგიამ სულ მალე პარიზთან ალიანსი გაწყვიტა და რამდენიმე ხანში ნეიტრალიტეტის პოლიტიკას დაუბრუნდა. ეს ფრანგებისათვის სერიოზული თავსატეხი გამოდგა, რადგან მაჟინოს ხაზი ბელგიის საზღვარს არ მოიცავდა. აი, ასე შეიცვალა მკვეთრად ევროპაში ძალთა ბალანსი რამდენიმე დღის უმოქმედობის გამო. გერმანელები კი სასწრაფოდ შეუდგნენ რაინლანდში ფორტიფიკაციების მშენებლობას. ეს, ცხადია, იმას მოწმობდა, რომ ფრანგულ-გერმანული საზღვრის დემილიტარიზაციის იდეას თავად ჰიტლერიც არ უყურებდა სერიოზულად. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ რაიხი საკმაოდ მალე დასავლეთ ფლანგს კარგად გაამაგრებდა და ამის შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით ხელ-ფეხი გაეხსნებოდა.

ბელგიელების გარდა რაინლანდის ამბავმა ავსტრიელებზეც იმოქმედა. მით უმეტეს, რომ დუჩე მათ ახალ კანცლერ კურტ შუშნიგს გერმანიასთან შერიგებასა და დაახლოებას ურჩევდა. შედეგად, 11 ივლისს ვენაში ერთობ საინტერესო და შორსმიმავალი გარიგება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც ავსტრიელები დათანხმდნენ, რომ საგარეო პოლიტიკაში ბერლინის ინტერესებს გაითვალისწინებდნენ. სანაცვლოდ, გერმანია ვალდებულებას იღებდა, ავსტრიის შიდა საქმეებში არ ჩარეულიყო. იქვე

ავსტრიელები დათანხმდნენ დაპატიმრებული ნაცისტების ამნისტირებას და მთავრობაში რამდენიმე მონაცისტო ფიგურის დანიშვნას. ბედის ირონიით, ამ გარიგებას „ჯენტლმენური შეთანხმება" ეწოდა. ტერმინის ავტორი პაპენი გახლდათ.

რაინლანდის შემხედვარე, ცოტა ხნით მაინც ყველას გადაავიწყდა ეთიოპია, სადაც მარტის ბოლოს თანდათან ყველაფერი დასრულდა. თანამემამულეთა გასამხნევებლად არმიას თვით იმპერატორი ჰაილე სელასიე ჩაუდგა სათავეში და მაშინვე დიდი სისულელე ჩაიდინა – იმის ნაცვლად, ტყეში გამაგრებულიყო და წვიმების სეზონს დალოდებოდა, შეტევაზე გადავიდა. ბადოლიომ მომხვდურებს შავი დღე აყარა და 1 მაისს იმპერატორი იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა. ისე გამოვიდა, რომ იტალიამ მთელი ეთიოპია მიითვისა, რაც არ მოხდებოდა, ჰოარ-ლავალის გეგმას რომ ემუშავა. 9 მაისს იტალია იმპერიად გამოცხადდა. დუჩეს სურდა, ვიტორიო-ემანუელე მეფე-იმპერატორად ქცეულიყო, მაგრამ მონარქმა ამაზე უარი თქვა. იგი იტალიის მეფედ დარჩა და უბრალოდ ეთიოპიის იმპერატორის ტიტული შეითავსა. იმპერატორად იგი პირველმა ავსტრიამ ცნო, შემდეგ კი – გერმანიამ. დუჩესა და ფიურერის დაახლოება უკვე გარდაუვალი ხდებოდა.

ახალგამომცხვარი იმპერიის არსებობიდან ორ დღეში ერთა ლიგამ იტალიის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას დაუჭირა მხარი, მაგრამ გასაგები იყო, რომ ამის მიზანი მხოლოდ სახის შენარჩუნება იყო. უკვე 30 ივნისს იდენმა გენერალური ასამბლეის სხდომაზე სანქციების გაუქმების საკითხი დააყენა და მას ფრანგებმაც აუბეს მხარი. სხდომაზე ჰაილე სელასიე გამოცხადდა და დამსწრეებს მიმართა, მაგრამ, ცხადია, ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია. განდევნილი იმპერატორის გამოსვლისას დამსწრე იტალიელებმა სტვენა და აურზაური ატეხეს და დაცვამ ისინი ძალით გაყარა გარეთ მას შემდეგ, რაც ტიტულესკუმ (რომელიც სხდომას თავმჯდომარეობდა) იყვირა, გაათრიეთ ეს ველურებიო. მეორე დღეს ერთა ლიგა ტრაგედიამ შეძრა: სხდომათა დარბაზში პროტესტის ნიშნად ტყვია დაიხალა ებრაელი წარმოშობის უნგრელმა ჟურნალისტმა. თვითმკვლელობის წინ მან წერილი დატოვა: ჩემს სიცოცხლეს ვწირავ, რათა ერთა ლიგას შევახსენო თავისი მოვალეობა – დაიცვას ებრაელები და ეროვნული უმცირესობებიო...

ამ ტრაგედიის ფონზე განსაკუთრებით მძიმე და გროტესკული შთაბეჭდილება დატოვა სხდომაზე ჰიტლერის სპეციალური წარმომადგენ-

ლის, დანციგელი სენატორის გამოჩენამ, რომელმაც ჯერ იღრიალა, დროა, გერმანულმა ტყვიამფრქვევებმა დაამყარონ აქ წესრიგიო, შემდეგ ტრიბუნიდან რამდენჯერმე გაიმეორა სიტყვა „ნეხვი", ბოლოს კი ყველას დემონსტრაციულად დაეჭყანა. „ნეტავ, ვისი დრო დადგა? – იკითხა მისმა შემხედვარე ერთ-ერთმა ბალკანელმა დელეგატმა, – წესით, სწორედ დანციგის, ან ავსტრიის. ალბანეთისა და ჩეხოსლოვაკიის დრო ყველა შემთხვევაში დადგება..."

ეს წინასწარმეტყველება არა მხოლოდ ზუსტი გამოდგა, არამედ მალე ნაწილობრივ თვით გერმანელებმა დაადასტურეს. სწორედ იმ დღეებში ნოირატმა ბერლინში ამერიკის ელჩს უთხრა, მალე ავსტრიას მივიერთებთ და ამაზე ხმასაც ვერავინ ამოიღებსო.

იტალიას კი სანქციები 15 ივლისს მოუხსნეს.

დონ კარლოსიდან ფრანკომდე

1935 წლის აგვისტოში მოსკოვში კომინტერნის რიგით მეშვიდე ყრილობა შედგა, რომელმაც არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა შეცვალა რადიკალურად, არამედ მალე ლამის მთელი ევრაზია თავდაყირა დააყენა. გადაწყდა, რომ კომუნისტურ პარტიებს ფაშიზმის დასამარცხებლად სოციალისტურ პარტიებთან თანამშრომლობა მართებდათ. დუჩე კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ კომუნისტებმა თავიანთ სამიზნედ სწორედ ფაშიზმი აირჩიეს. თუმცა, სინამდვილეში, მოსკოვი ფაშიზმად მოიხსენიებდა ყველა ჯურის მემარჯვენე დიქტატურას. მუსოლინისა და იტალიაზე უფრო დიდ საფრთხეს კი საბჭოთა ლიდერები, ცხადია, ჰიტლერსა და გერმანიაში ხედავდნენ. ბერლინთან ის ორმხრივი თანამშრომლობა, რომელსაც რაპალოს შემდეგ ჩაეყარა საფუძველი, ფიურერის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დასრულდა. გარდა ამისა, მესამე რაიხის აგრესიული პროპაგანდის უპირველესი სამიზნე სწორედ კომუნიზმი იყო. ასე რომ, მოსკოვი ცოტა გვიან, მაგრამ მაინც გამოფხიზლდა.

კომინტერნის გადაწყვეტილებას მალე კონკრეტული შედეგიც მოჰყვა; 1936 წლის ივნისში საფრანგეთში არჩევნები ე.წ. სახალხო ფრონტმა მოიგო, რომელიც სოციალისტებს, რადიკალებსა და კომუნისტებს აერთიანებდა. პრემიერ-მინისტრად ლეონ ბლუმი იქცა, ჟორესის მოწაფე, დახვეწილი ინტელექტუალი, რომელმაც 1920 წელს ფაქტობრივად ხელახ-

ლა შექმნა საფრანგეთის სოციალისტური პარტია მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელის დიდი ნაწილი კომუნისტების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

ბლუმისა და სახალხო ფრონტის გამარჯვებამ ქვეყანას საბოლოოდ არაფერი მოუტანა გარდა იმისა, რომ პოლარიზაცია უფრო გააღრმავა. საერთოდ, საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა რომ დიდი პოლიტიკური სტაბილურობით არასოდეს გამოირჩეოდა, ეს უკვე ცნობილი ამბავია, მაგრამ იმ დროისათვის ქვეყანას ისეთი პრობლემები შეექმნა, რომელიც ალბათ დრეიფუსის კრიზისის შემდეგ არ ენახა. მთავრობათა მუდმივი ცვლილებები უკვე დიდი ხანი იყო, ყველას მობეზრდა და 30-იან წლებში არაერთ ფრანგს შურდა იტალიისა და გერმანიის, სადაც ამ მხრივ ნამდვილად შესაშური სტაბილურობა სუფევდა. მემარჯვენე პრესაში გაისმოდა მოწოდებები „ძირმომპალი რეჟიმის“ დამხობისა და ხელისუფლების სათავეში ძლიერი ლიდერის დასმისაკენ (სახელდებოდა კანდიდატიც, კონკრეტულად კი მარშალი პეტენი). უკვე 20-იან წლებში გამოჩნდა, ხოლო 30-იანებში გაძლიერდა მოფაშისტო ძალები, რომლებიც ქუჩებში ტერორს თესავდნენ. ასეთ ფონზე სახალხო ფრონტისნაირი ბლოკის გამარჯვებას, ცხადია, უფრო მეტი რადიკალიზაცია მოჰყვა. მით უმეტეს, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი ებრაელი იყო. „ბლუმს ჰიტლერი გვირჩევნია“, – ასეთებიც კი გაისმოდა რადიკალი მემარჯვენეების მხრიდან.

მაგრამ, ყველა ნაკლის მიუხედავად, მესამე რესპუბლიკა მაინც შემდგარი დემოკრატია იყო და პოლარიზაციის გარდა სერიოზული საფრთხე არ ემუქრებოდა. კომინტერნის გადაწყვეტილებამ გაცილებით უფრო მძიმე და საბედისწერო შედეგი ესპანეთისათვის იქონია, სადაც 1936 წლის თებერვალ-მარტის არჩევნებზე სახალხო ფრონტის გამარჯვებას სამოქალაქო ომის დაწყება მოჰყვა.

ესპანეთი, როგორც ვიცით, დაახლოებით საუკუნე-ნახევარი საერთაშორისო ურთიერთობებში არავითარ სერიოზულ როლს არ თამაშობდა. ამ პასიურობას, ცხადია, თავისი სერიოზული მიზეზები ჰქონდა და მათი გააზრების გარეშე რთულია იმის გაგება, როგორ მივიდა ერთ დროს უდიდესი იმპერია უმძიმეს სამოქალაქო დაპირისპირებამდე, რომელმაც საბოლოოდ არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი მსოფლიოს ბედზე მოახდინა გავლენა.

მას შემდეგ, რაც ინგლისელთა დახმარებით ესპანელებმა ნაპოლეონის ჯარი გააძევეს, თითქოსდა ქვეყანა უნდა დალაგებულიყო. მაგრამ

ძველ იდილიაში დაბრუნება იოლი არ აღმოჩნდა. ხალხს ტახტზე დაბრუნებული ფერდინანდ VII დიდი სიხარულით არ მიუღია. მისი არყოფნის პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა. დიდი ძალაუფლება იგდო ხელთ ჯარმა, რომელსაც განათლებული და რეფორმებზე ორიენტირებული ოფიცერთა კორპუსი ედგა სათავეში. 1820 წელს ფერდინანდმა სწორედ მათი ძალდატანებით მიიღო კონსტიტუცია. მაგრამ, როგორც ცნობილია, 1823 წელს, წმინდა ალიანსის სახელით, ფრანგებმა ინტერვენცია განახორციელეს და ესპანეთში აბსოლუტური მონარქია აღდგა. არც ამას მოუტანია სიმშვიდე. 1833 წელს ფერდინანდი გარდაიცვალა და მისი მემკვიდრეობის გამო დაიწყო ის კოშმარი, რომელიც კარლისტური ომები სახელით შევიდა ისტორიაში. ტახტზე გარდაცვლილი მეფის ქალიშვილი (იზაბელა II) ავიდა, რაც სასტიკად გააპროტესტეს ესპანელმა კონსერვატორებმა, უპირველეს ყოვლისა კი ეკლესიამ, რომელიც ტახტის მემკვიდრედ ფერდინანდის ძმას, კარლოსს უჭერდა მხარს. საპასუხოდ ლიბერალები (მათ შორის, ჯარის დიდი ნაწილი) იზაბელას გარშემო დაირაზმნენ და ასე დაიწყო პირველი კარლისტური ომი, რომელმაც შვიდ წელიწადს გასტანა და საბოლოოდ ლიბერალთა გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ შვიდწლიანი სამოქალაქო ომი ასე უკვალოდ არ ქრება ხოლმე. დონ კარლოსი საფრანგეთში გადაასახლეს და 1845 წელს მან ტახტზე უარი თქვა. სულ ერთ წელიწადში მეორე კარლისტური ომი დაიწყო, რომელიც ტახტზე დონ კარლოსის ვაჟის აყვანას ისახავდა მიზნად. ეს ომი სამ წელიწადში კი დასრულდა, 1855 წელს კი დონ კარლოსიც გარდაიცვალა, მაგრამ კარლისტები არსად წასულან და ვერც წავიდოდნენ. ეკლესია, შევიწროების მიუხედავად, კვლავაც ძლიერ ინსტიტუტად რჩებოდა, ხოლო დონ კარლოსს შთამომავლობა ჰყავდა.

1868 წელს იზაბელას მმართველობა მისი სამარცხვინო გაძევებით დასრულდა. დედოფალი, რომელმაც ძირითადად სასახლის ინტრიგებითა და სექსუალური აღვირახსნილობით გამოიჩინა თავი, იმავე ძალამ გადააგდო, რომელმაც ტახტზე დასვა – ოფიცრობამ. ორწლიანი გაუგებრობების შემდეგ (რომელსაც საფრანგეთსა და პრუსიას შორის ომის პროვოცირებაც კი მოჰყვა ბერლინში მეფედ ჰოენცოლერნის მოწვევის გამო), როგორც იქნა, ახალ მონარქად იტალიის მეფის ძმა ამადეო მოიწვიეს. მაგრამ ამ უკანასკნელმა ხან კარლისტებისა და ხანაც რესპუბლიკელების აჯანყებებს დიდხანს ვერ გაუძლო და 1873 წელს გადადგა. ასე იშვა ესპანეთის პირველი რესპუბლიკა, რომელმაც, ცხადია, დიდხანს ვერ

გაძლო. კარლისტების აჯანყებამ (ამჯერად უკვე ტახტზე დონ კარლოსის შვილიშვილის ასაყვანად) სერიოზული მასშტაბი მიიღო და საქმეს ისევ ჯარმა უშველა, რომელმაც 1876 წელს მეამბოხეები დაამარცხა და ტახტზე იზაბელას შვილი ალფონსო XII დასვა. იმავე წელს ქვეყანამ კონსტიტუცია მიიღო და საყოველთაო საარჩევნო უფლებაც (მამაკაცებისათვის) დააკანონა. მაგრამ რეალური ძალაუფლება პოლიტიკური კლანების ხელში რჩებოდა და მოსახლეობის დიდ ნაწილს არჩევნებისა და პარლამენტის დიდი ნდობა არ გააჩნდა. შედეგად, ქვეყანაში გაჩნდა და გაძლიერდა რადიკალური მემარცხენე ძალები. აქ საუბარია არა მხოლოდ მარქსისტებზე (რომლებიც მთელ ევროპაში მომრავლდნენ ჯერ სოციალისტების, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კი ასევე კომუნისტების სახით), არამედ ანარქისტებზეც. ეს უკანასკნელნი პოლიტიკურ ძალად რუსი მიხაილ ბაკუნინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდნენ, რომელიც 1870-იან წლებში თვით მარქსს დაუპირისპირდა და პირველი ინტერნაციონალის გახლეჩა-დასრულებაში დიდი როლი ითამაშა (1876 წელი). მეორე ინტერნაციონალი პირველ მსოფლიო ომს შეეწირა და მის ადგილას საბოლოოდ კომინტერნი იშვა. რაც შეეხება ბაკუნინსა და მის მიმდევრებს; 1876 წლის გახლეჩის შემდეგ ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში ისინი დამარცხდნენ და მემარცხენე ფრონტი მარქსისტებს დაუთმეს. მაგრამ, აი, ესპანეთში კი პირიქით მოხდა – აქაური ინტერნაციონალი ბაკუნინისტებმა იგდეს ხელთ. იგივე მოხდა იტალიაშიც, მაგრამ იქაური ანარქისტები მოგვიანებით დუჩემ ალაგმა, ესპანეთში კი ისინი ძლიერდებოდნენ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მემარცხენე ფრონტს კომუნისტური პარტიაც შეუერთდა. ერთი მხრივ ეკლესია და კარლისტები და მეორე მხრივ ანარქისტები და კომუნისტები – ამაზე მეტი პოლარიზაციის წარმოდგენა ალბათ შეუძლებელია.

ამ პოლარიზაციას სეპარატიზმის პრობლემაც ემატებოდა. ბასკები და კატალონიელები საკუთარ თავებს ბოლომდე ესპანელებად არასდეს მიიჩნევდნენ. კატალონიაში ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც 1898 წელს ესპანეთმა კუბა დაკარგა – კატალონიური პროდუქციის ძირითადი ბაზარი. ბარსელონაში ვითარება სერიოზულად აირია და საყოველთაო გაფიცვამდე მივიდა. არეულობის ტალღა ბილბაოსაც გადასწვდა... ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ კუბის დაკარგვით ესპანეთის იმპერია, როგორც ასეთი, დასრულდა. მის დასუსტებას 1588 წელს ზღვაზე ინგლისთან დამარცხებით ჩაეყარა საფუძველი (დიდი არმა-

დის დაღუპვა), გაგრძელდა ნაპოლეონის ომების დროს ლათინური ამერიკის კოლონიების დაკარგვით (სიმონ ბოლივარის გამათავისუფლებელი ომები) და ყველაფერი მორჩა მას შემდეგ, რაც კუბასთან ომში ამერიკა ჩაერია და ესპანეთი დასავლეთ ნახევარსფეროდან საბოლოოდ გააძევა.

იმპერიული ნოსტალგიის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შანსი მალე გაჩნდა. ეგვიპტის გამო წაჩხუბებული ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის შიშით ისევ შერიგდნენ და საფრანგეთმა კომპენსაციად მაროკო მიიღო, უფრო სწორად კი, მიიღო მაროკოს დიდი ნაწილი. ესპანეთს დარჩენილი ნაწილი ერგო – ჩრდილოეთის მხარე, რომელიც გიბრალტარს ესაზღვრებოდა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ესპანელებს მაროკოს ამ ნაწილის დამორჩილებაც კი უჭირდათ. 1909 წლისთვის მათ რამდენიმე სასტიკი მარცხი განიცადეს, რამაც შიდა პოლიტიკური ვითარება კიდევ ერთხელ დაძაბა. მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელსაც ქვეყანა განერიდა და ამით აშკარად ბევრი უბედურება აიცილა თავიდან, მაგრამ მაროკოში ომი გრძელდებოდა და 1921 წელს ესპანელებმა იქ ისეთი კატასტროფა განიცადეს, რომ ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმი სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა. 1923 წელს მეფე ალფონსო XIII-მ (ალფონსო XII-ს ვაჟმა) ვითარების გადასარჩენად მთელი ძალაუფლება გენერალ პრიმო დე რივერას მიანდო. ამ უკანასკნელის მმართველობისას ბოლოს და ბოლოს მაროკოს დამორჩილებაც მოხერხდა. ეს მოხდა 1926 წელს. ესპანელებს ამაში ფრანგებიც დაეხმარნენ პეტენის მეთაურობით. თავად ესპანელთა რიგებში კი თავი ისახელა ფრანსისკო ფრანკო ბაამონდემ, რომელმაც 33 წლისამ გენერლობა მიიღო.

ფრანკო რომ ბრწყინვალე სამხედრო იყო, ეს ალბათ ცხადია (ასეთ ასაკში სხვა არცერთ ესპანელს არ რგებია გენერლობა). ამას ემატებოდა გასაოცარი თვითდისციპლინა (არასოდეს სვამდა და ცოლის ერთგული იყო), ცივსისხლიანობა და პრაგმატულობა. იდეოლოგიები, თავისთავად, არასოდეს აინტერესებდა და არცერთის გავლენის ქვეშ არ მოქცეულა, მათ შორის, არც ფაშიზმის. მოგვიანებით, როცა სამოქალაქო ომში გაიმარჯვა, მან ტიპური სამხედრო დიქტატურა დაამყარა რაიმე სერიოზული იდეოლოგიური გადახრების გარეშე. მომავალი კაუდილიო მაროკოში 1912 წლიდან მოყოლებული ომობდა და ერთხელ ძალიან მძიმედაც დაიჭრა. საოცრად მამაცი იყო და რივერას პირისპირ კრიტიკასაც არ მოერიდა, როცა ეს უკანასკნელი ერთი პერიოდი (1924 წელს) მაროკოდან გასვლაზე დაფიქრდა. როგორც ნამდვილი სამხედრო, მემარცხენეებსა და

მით უმეტეს კომუნისტებს ეჭვის თვალით უყურებდა. ამას ისიც დაემატა, რომ მაროკოში მეომარ სამხედროებს თანდათანობით განსხვავებული, დანარჩენ ესპანელებზე უპირატესი იდენტობა ჩამოუყალიბდათ. ისინი „აფრიკელები“ იყვნენ, რომლებიც პოლიტიკურ კინკლაობაში ჩართული „ნახევარკუნძულელებისგან“ განსხვავებით, სამშობლოსათვის საქმეს აკეთებდნენ. უპირატესობის ეს შეგრძნება, ცხადია, უფრო გამძაფრდა მაროკოს დამორჩილების შემდეგ. ესპანეთს საშველი არა და არ ადგებოდა და ამის შემხედვარე „აფრიკელებს“ სულ უფრო და უფრო უმძაფრდებოდათ ცდუნება, ნახევარკუნძულზეც დაემყარებინათ წესრიგი, ისე როგორც მაროკოში უკვე დაამყარეს. თუკი ოდესღაც არმია ლიბერალთა მხარეს იდგა, 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, მისი საუკეთესო ნაწილი საპირისპირო მხარეს გადაიხარა.

რივერამ მხოლოდ 1930 წლამდე გაძლო. წმინდა პოლიტიკური პრობლემები მან ვერ მოაგვარა, რასაც მალე დიდი დეპრესიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემებიც დაერთო. ალფონსომაც გადაწყვიტა, რომ დიქტატორი მას აღარაფერში გამოადგებოდა და გენერალი საფრანგეთში გადაიხვეწა. მაგრამ ამასობაში თავად მეფით უკმაყოფილებაც გაიზარდა და მის წინააღმდეგ მემარცხენეთა შეთქმულება მომწიფდა, რომელსაც ოფიცერთა ნაწილიც კი შეუერთდა. შეთქმულება საბოლოოდ კი ჩაიფუშა, მაგრამ ალფონსომ ვითარების სიმძიმე გაიაზრა და დათმობაზე წავიდა. კონკრეტულად კი, 1931 წლის აპრილისათვის მუნიციპალური არჩევნები დანიშნა, რომელიც მისი მეფობის დასასრულად იქცა. მთელ რიგ რეგიონებსა და ქალაქებში (მათ შორის ბასკეთში, ბარსელონაში და მადრიდშიც) რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს და ალფონსო სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად ქვეყნიდან გაიქცა. იგი რომში დასახლდა. გადადგომით არ გადამდგარა, მაგრამ ესპანელების უმრავლესობისათვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასე იშვა მეორე რესპუბლიკა, რომელშიც მალე საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდა. მაგრამ სტაბილურობამდე ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი უკლდა. რადიკალიზაცია გრძელდებოდა. კომუნისტებს, ანარქისტებსა და კარლისტებს 1934 წელს ადგილობრივი ფაშისტებიც (ე.წ. ფალანგა) დაემატნენ. რადიკალი მემარცხენეები და მემარჯვენეები ერთმანეთს ქუჩაში უპირისპირდებოდნენ და საქმე ხშირად მთავრდებოდა სისხლიანი გარჩევებითა და მასობრივი ძალადობით. ზოგადად, გაბატონებულია შეხედულება, რომ მემარჯვენეები უფრო მეტ ბოროტებას ჩადიოდნენ, მაგრამ საქმე ასე

მარტივად არ არის. მაგალითად, მემარცხენეებმა ტრადიციულ რიტუალად აქციეს ეკლესიების გადაწვა. მოგვიანებით, სამოქალაქო ომში, მათ ამ რიტუალს უფრო ბარბაროსული სახე მისცეს – არა მხოლოდ ეკლესიებს წვავდნენ, არამედ სასულიერო პირებსაც ხოცავდნენ და ჯვარზეც კი აკრავდნენ. ზოგადად, ეკლესიას სერიოზულად ავიწროებდა 1931 წლის არჩევნებით მოსული მემარცხენე მთავრობაც.

ასეთ ვითარებაში „აფრიკელებს" უკვე 1932 წელს მოუნდათ „წესრიგის დამყარება". მაროკოს კიდევ ერთმა გმირმა გენერალმა ხოსე სანხურხომ კარლისტებთან ერთად ხელისუფლების დამხობა სცადა, მაგრამ მთავრობამ წინასწარ შეიტყო მისი ზრახვების შესახებ, სანხურხო დაატყვევეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ 1934 წელს იგი ახალმა, მემარჯვენე მთავრობამ შეიწყალა. აღსანიშნავია, რომ ფრანკომ ამ შეთქმულებაში მონაწილეობაზე უარი თქვა. 1934 წელსვე მონარქისტებმა და კარლისტებმა ახალი გადატრიალება ჩაიფიქრეს და მუსოლინის სთხოვეს დახმარება. დუჩე მათ მხარდაჭერას შეჰპირდა, მაგრამ შეთქმულება ამაზე შორს აღარ წასულა.

1936 წელს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომინტერნის გადაწყვეტილებამ შედეგი გამოიღო. სახალხო ფრონტმა, რომელიც მემარცხენე პარტიებს აერთიანებდა კომუნისტების ჩათვლით, ოდნავი უპირატესობით მოიპოვა გამარჯვება. არჩევნებს არეულობის ახალი ტალღა მოჰყვა. ციხიდან გამოშვებულმა ანარქისტებმა ხელახლა დაატრიალეს ტერორი. არეულობას ფაშისტებიც უწყობდნენ ხელს, რათა ეჩვენებინათ, რომ მემარცხენეების ხელში ქვეყანას სიმშვიდე არ ეწერა. კონსერვატორები, ოფიცრობა და საშუალო კლასი სერიოზულად შიშობდა, რომ სახალხო ფრონტის მმართველობა ქვეყანაში საბოლოოდ კომუნიზმის გამარჯვებას გაუხსნიდა გზას. სახალხო ფრონტის ლიდერს, ყოფილ პრემიერსა და 1936 წლის მაისიდან ქვეყნის პრეზიდენტს მანუელ ასანიას კერენსკისაც კი ადარებდნენ. შედარება არც მთლად უადგილო იყო, რადგან თვით სოციალისტებიც ღიად საუბრობდნენ „პროლეტარიატის დიქტატურის" დამყარებაზე. 15 მარტს ფალანგისტთა ლიდერი, ყოფილ დიქტატორ რივერას ვაჟი ხოსე ანტონიო დააპატიმრეს.

ასე მომწიფდა სამხედროთა კიდევ ერთი და, ამჯერად, საბედისწერო შეთქმულება. თუმცა, მის უკან იდგა არა ფრანკო, არამედ კიდევ ერთი „აფრიკელი" – გენერალი ემილიო მოლა. ფრანკოს, რომელიც 1935 წლიდან გენერალური შტაბის უფროსი გახლდათ, ასანია კარგა ხანი

იყო, რაც ეჭვის თვალით უყურებდა და არჩევნების შემდეგ იგი კანარის კუნძულებზე გაამწესა. გამგზავრების წინ მომავალი დიქტატორი ასანიას შეხვდა და კომუნიზმის საფრთხეზე ესაუბრა, მაგრამ უშედეგოდ. მოლა, ფრანკოსგან განსხვავებით, ნავარაში იმყოფებოდა, რომელიც არა მხოლოდ უშუალოდ ესპანეთი იყო, არამედ კარლისტების მთავარი ბუდეც. მან სანხურხოსთანაც გააბა მოლაპარაკებები, რომელიც პორტუგალიაში იყო გახიზნული და კარლისტებთან ტრადიციული მეგობრობის პარალელურად, ტახტზე ალფონსოს დაბრუნების იდეას ეთამაშებოდა. გადაწყდა, რომ ამბოხს მოლა გაუძღვებოდა, მომავალ მთავრობას კი სანხურხო ჩაუდგებოდა სათავეში. თავად ამბოხის დაწყება იწელებოდა, რადგან კარლისტები წინასწარ გარანტიებს ითხოვდნენ, რომ მომავალი რეჟიმი აუცილებლად ანტიდემოკრატიული იქნებოდა და მონარქიასაც აღადგენდა.

ფრანკო საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ამბობდა უარს შეთქმულებაში ჩართვაზე და ივნისში კიდევ ერთხელ სცადა მთავრობის გამოფხიზლება; ამჯერად პრემიერ-მინისტრს მისწერა, ჯარიდან მემარჯვენე ოფიცრობის დათხოვნა გააპროტესტა და აუხსნა, რომ მსგავსი რამ უკვალოდ არ ჩაივლიდა. მაგრამ იგი არც პრემიერ-მინისტრმა მიიღო სერიოზულად და ფრანკოც მალე ამბოხებისკენ გადაიხარა. ამასობაში ქვეყანაში ორმხრივმა ძალადობამ კიდევ უფრო მძიმე ხასიათი მიიღო. 12 ივლისს ფალანგისტებმა სამართალდამცავი მოკლეს, რამაც დაღუპულის კოლეგები იმდენად აღაშფოთა, რომ მეორე დღესვე საკუთარი სახლიდან გამოიყვანეს საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერი, მონარქისტი კალვო სოტელო და ავტომანქანაშივე დაახალეს ტყვია. მოლა მიხვდა, რომ ამაზე ხელსაყრელი მომენტი ძნელად თუ დადგებოდა (მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის როგორც კარლისტების, ასევე ფრანკოს თანხმობაც ჰქონდა) და შესაბამისი ბრძანება გასცა: 1936 წლის 18 ივლისს, დილის 5 საათზე ამბოხება უნდა დაწყებულიყო მაროკოში, მეორე დღეს ამას თავად ესპანეთი უნდა მიჰყოლოდა.

ამბოხება მაროკოს ქალაქ მელილაში დაიწყო, ოღონდ (ადგილობრივი სამხედროების ინიციატივით) დათქმულ დროზე დაახლოებით ერთი დღით ადრე. სამხედროებმა სამთავრობო შენობები დაიკავეს, სოციალისტთა კლუბი დახურეს და მემარცხენეები დაატყვევეს. ვინც ამბოხებულებს წინააღმდეგობა გაუწია, იქვე დახვრიტეს და საგანგებო მდგომარეობაც გამოაცხადეს. ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ

რამდენიმე წელიწადში მთელ ესპანეთს მელილას ბედი ელოდა. დაახლოებით იმავე დროს, 17 ივლისს, გამთენიისას ფრანკომ თავის ოჯახთან ერთად ტენერიფე დატოვა და ლას პალმასისკენ გასწია, ვითომდა წვრთნების დროს დაღუპული გენერლის დაკრძალვაზე დასასწრებად. როცა იქ გაიგო, რომ მელილა უკვე ამბოხებულების ხელში იყო, ლას პალმასზეც კონტროლი დაამყარა და 18 ივლისის დილით ესპანელებს მანიფესტით მიმართა, რომელშიც მათ ამბოხების გამარჯვების შემდეგ „ძმობას, თავისუფლებასა და თანასწორობას“ შეჰპირდა (ოღონდაც, თანდათანობით, მიზანშეწონილობის მიხედვით). იმავე დღეს ამბოხებას თავად ესპანეთი შეუერთდა, ფრანკო კი მალე ჩარტერული რეისით (ინგლისის კუთვნილი თვითმფრინავით) მაროკოში გადაფრინდა, სადაც მას ელოდა მთელ ესპანეთში საუკეთესო, გამოცდილი და გამობრძმედილი ჯარი.

მაგრამ მთავრობის დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება იოლი საქმე არ აღმოჩნდა. მადრიდმა, ბარსელონამ, ვალენსიამ, ბილბაომ და კიდევ უამრავმა ქალაქმა მთავრობის დაუჭირა მხარი. ის კი არა, ფრანკოს მოწოდებას ჯარშიც არ აჰყვა ყველა და, შესაბამისად, სწრაფი სახელმწიფო გადატრიალების ნაცვლად ქვეყანა ხანგრძლივი სამოქალაქო ომის გზას დაადგა. მადრიდში თავიდან დაბნეულობა სუფევდა. ამბოხებით თავზარდაცემული პრემიერ-მინისტრი გადადგა, ახალმა მთავრობამ კი კომპრომისზე წასვლა სცადა და მოლას, შერიგების სანაცვლოდ, მინისტრის პოსტი შესთავაზა. როცა გენერალმა უარი განაცხადა (სხვა არჩევანი არც ჰქონდა, რადგან თანხმობის შემთხვევაში კარლისტები ცოცხლად გაგლეჯდნენ), მთავრობაში მიხვდნენ, რომ ომის გარდა სხვა გზა აღარ რჩებოდა და შესაბამის ზომებზეც გადავიდნენ. 20 ივლისს მეამბოხეებმა სერიოზული დარტყმა მიიღეს. სანხურხოს პორტუგალიიდან სამშობლოში დასაბრუნებლად მოლამ თვითმფრინავი გაუგზავნა. პორტუგალიის დიქტატორი ანტონიუ დი სალაზარი, ცხადია, მეამბოხეებს თანაუგრძნობდა, მაგრამ ოფიციალური მადრიდიდან პროტესტს ნაწილობრივ ანგარიში გაუწია და სანხურხოს თვითმფრინავს ცენტრალური აეროპორტიდან აფრენის უფლება არ მისცა. გენერლის ტანსაცმლით გამოტენილი ჩემოდნებით დამძიმებული თვითმფრინავი პატარა აეროდრომიდან აფრინდა, სიმაღლე ვერ აიღო, ხეებს გაედო და იქვე მიწას დაენარცხა. სანხურხო ადგილზევე დაიღუპა და ფრანკოს ლიდერობისკენ გზა გაუთავისუფლა.

ასე და ამგვარად, მეამბოხეებს ორი ლიდერი დარჩათ. ერთი მათგანი (ფრანკო) ცენტრალურ ესპანეთს სამხრეთიდან უტევდა, მეორე კი (მოლა) – ჩრდილოეთიდან. ნაციონალისტები (ანუ ამბოხებულები) მათ მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიაზე აუქმებდნენ არა მხოლოდ მემარცხენე, არამედ ცენტრისტულ პარტიებსაც და მათ ხელში მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალა რჩებოდა: კარლისტები და ფალანგისტები. გაფიცვისათვის სიკვდილით დასჯა შემოიღეს, რიგით ადამიანებს ტრანსპორტით გადაადგილება სასტიკად შეეზღუდათ. ულმობლად უსწორდებოდნენ სახალხო ფრონტის არა მხოლოდ წევრებს, არამედ მომხრეებსაც კი. ამ რეპრესიებს შეეწირა უდიდესი ესპანელი პოეტი ფედერიკო გარსია ლორკა, რომელიც არანაირი პოლიტიკური პარტიის წევრი არ ყოფილა, მაგრამ ოჯახში ჰყავდა მემარცხენეები. ალბათ ლორკას ტრაგედიამაც განაპირობა ის, რომ უცხოელ ინტელექტუალთა დიდი ნაწილი რესპუბლიკელებს (ანუ მთავრობას) მიემხრო და ზოგმა მათგანმა (მაგალითად, ერნესტ ჰემინგუეიმ) მათ მხარეზე იომა კიდეც. არადა, ცხადია, მხეცობას რესპუბლიკელებიც არ აკლებდნენ. მათ დიდ ქალაქებში სადამსჯელო ორგანოები შექმნეს, რომელთაც ბოლშევიკთა წამხედურობითა და მათ პატივსაცემად „ჩეკა“ დაარქვეს. რა ტერორს დაატრიალებდა ესპანელ ულტრამემარცხენეთა „ჩეკა“, ალბათ რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ახალი, შეუზღუდავი ნადირობის სეზონი გამოცხადდა სასულიერო პირებზე.

არჩარევა ფაშისტურად და კომუნისტურად

25 ივლისს ოპერიდან ახლად დაბრუნებულ ჰიტლერს ფრანკოს ემისარი ესტუმრა და წერილი გადასცა. გენერალი დახმარებას ითხოვდა. ესპანეთი რომ იმ დღეებში ფიურერის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი იყო, ამას ალბათ დიდი ახსნა არ სჭირდება. რესპუბლიკელთა გამარჯვების პერსპექტივა მას ნამდვილად არ ხიბლავდა, რადგან ამას შესაძლოა კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაც კი მოჰყოლოდა. ამის შემდეგ საკმაოდ დიდი შანსი იყო, იგივე მომხდარიყო საფრანგეთში (სადაც ასევე სახალხო ფრონტი იყო ხელისუფლებაში), რომელიც მოსკოვთან ისედაც ურთიერთდახმარების პაქტით იყო დაკავშირებული. როცა (კვლავაც) ვაგნერის მუსიკით გაბრუებულმა ჰიტლერმა მოისმინა, რაიხის დახმარების გარეშე ნაციონალისტები განწირულები არიანო,

ბევრი აღარ უფიქრია. ან ფრანკო გადარჩებოდა, ანდა გერმანია ორივე მხრიდან კომუნისტების გარემოცვაში აღმოჩნდებოდა. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიიღო, ფიურერმა გერინგი და ბლომბერგი იხმო და საქმის კურსში ჩააყენა. ფრანკოს სასწრაფოდ სჭირდებოდა დახმარება და უპირველესად კი, ავიაცია, რადგან თავის ჯართან ერთად მაროკოში იყო ჩაკეტილი და ესპანეთში გადაფრენას ვერ ახერხებდა (ზღვას რესპუბლიკელები აკონტროლებდნენ). სულ რამდენიმე დღეში ოცი გერმანული „იუნკერი“ (ათჯერ მეტი, ვიდრე ფრანკო ითხოვდა) მაროკოსაკენ დაიძრა და აგვისტოს დასაწყისში „აფრიკელები“ უკვე ესპანეთში იყვნენ. ეს იყო ჰაერიდან ჯარის გადასხმის ისტორიაში პირველი სერიოზული შემთხვევა. ფრანკო კი ჰიტლერის დახმარებამ არა მხოლოდ სამხედრო კუთხით, არამედ პოლიტიკურადაც გააძლიერა, რადგან ფიურერმა ბრძანა, რომ გერმანული დახმარება მხოლოდ ფრანკოსთან წასულიყო. მიზეზად ის დაასახელა, რომ არ სურდა, ესპანელ გენერლებს გერმანული იარაღისა და ტექნიკის გამო ეჩხუბათ. თუმცა, ამავე დროს, აშკარად ეამა, რომ ფრანკომ სხვებს დაასწრო და მას პირველმა მიმართა თხოვნით. მანამდე მას პირადად ფრანკოზე თითქმის არაფერი სმენოდა.

ფრანკოს მაროკოდან გერმანიაში ჰიტლერამდე ხმის მისაწვდენად ერთი კვირა დასჭირდა, რესპუბლიკელებმა კი მეზობელ საფრანგეთში ბლუმს საშველად ამბოხების მეორე დღესვე მიმართეს. ისინიც, უპირველესად, თვითმფრინავებს ითხოვდნენ. ვის, ვის და ერთ სახალხო ფრონტს მეორისათვის წესით, კი უნდა აღმოეჩინა დახმარება და ფრანგების პრემიერ-მინისტრმა თავიდან თანხმობა განაცხადა. მაგრამ 23 ივლისს იგი ლონდონს ესტუმრა (სადაც წინასწარ დათქმული შეხვედრა უნდა გამართულიყო კოლექტიური უსაფრთხოების ახალ შესაძლო შეთანხმებასთან დაკავშირებით) და აღმოაჩინა, რომ იქ რესპუბლიკელების მიმართ არანაირი სიმპათიები არ გააჩნდათ. ინგლისელები ესპანეთის ყველაზე მსხვილი უცხოელი ინვესტორები იყვნენ და, შესაბამისად, მოკომუნისტო მთავრობა გულზე არ ეხატებოდათ. ლონდონში ბლუმს ისიც გაანდეს, რომ ინგლისში გადაიარაღების პროცესი მიმდინარეობდა და ქვეყანას კიდევ სულ მცირე ორი წელი არავითარ კონფლიქტში ჩარევა არ სურდა. მით უმეტეს, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომში აქტიურობა ჰიტლერსა და მუსოლინის გაანაწყენებდა. იდენს დიდად კი არცერთი არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ რაინლანდისა და ეთიოპიის შემდეგ ორივე დაკმაყოფილდა და ახლა მათთან ევროპული

უსაფრთხოების ახალ პროექტზე საუბარი შეიძლებოდა (რის გამოც შეიკრიბნენ კიდეც ლონდონში). ინგლისელთა პოზიციით შეფიქრიანებული ბლუმი პარიზში დაბრუნდა და იქ უარესი ამბავი დახვდა: აღმოჩნდა, რომ ესპანელ რესპუბლიკელებთან მისი გარიგების ამბავმა მემარჯვენე პრესაში გაჟონა (პარიზში ესპანეთის საელჩოში მომუშავე ნაციონალისტთა მომხრეების წყალობით) და „ებრაელი სოციალისტის" წინააღმდეგ სერიოზული კამპანია გორდებოდა. რამდენიმე მინისტრი ბლუმის გადაწყვეტილებას უკვე ძალიან ცუდი თვალით უყურებდა.

მაგრამ ფრანგების პრემიერ-მინისტრი ასე იოლად არ შეშინდა და მადრიდთან მოლაპარაკება გააგრძელდა. ლონდონის პოზიციის გათვალისწინებით მან კომპრომისული ვარიანტი იპოვა; გადაწყდა, რომ რესპუბლიკელებისათვის მისაყიდ თვითმფრინავებს ფრანგი პილოტები ესპანეთის საზღვართან დასვამდნენ და იქიდან უკვე ტრანსპორტირებაზე ესპანური მხარე იზრუნებდა. ყველაფერი მზად იყო, მაგრამ ესპანეთის საელჩოს პასუხისმგებელმა პირებმა (მათ შორის სამხედრო ატაშემ) გარიგება ჩააგდეს: საჭირო საბუთებზე ხელი არ მოაწერეს, თანამდებობები დატოვეს (მანამდე თანამდებობა დატოვა თავად ელჩმა, რომელიც ნაციონალისტებს თანაუგრძნობდა) და ყველაფრის შესახებ ფრანგულ პრესას აცნობეს. აქ უკვე ისეთი სკანდალი აგორდა, რომ ბლუმს ფაქტობრივად მთელი მთავრობა დაუპირისპირდა. ოფიციალურმა პარიზმა სასწრაფოდ განაცხადა, ესპანეთისათვის შეიარაღების მიყიდვას არ ვაპირებდითო, თუმცა ფარულად ფრანგებმა მადრიდთან თანამშრომლობა გააგრძელეს და იარაღსა და ტექნიკას კერძო პირების მეშვეობით უგზავნიდნენ რესპუბლიკელებს.

ეს ამბავი შეუმჩნევლად არ დარჩენია მუსოლინის, რომელსაც ფრანკომ ჰიტლერზე უფრო ადრე მიმართა დახმარების თხოვნით. დუჩემ მაშინ გენერალს უარი უთხრა, მაგრამ ასევე დაპირდა, რომ დაეხმარებოდა, თუკი რესპუბლიკელებს გარედან სხვა ქვეყნები მიეშველებოდნენ. მისი თავშეკავება იმით აიხსნება, რომ ჯერ კიდევ არ იცოდა, ფრანკო რამდენად იყო დაკავშირებული მონარქისტებთან, რომელთაც ორი წლის წინ შეჰპირდა დახმარებას. მაგრამ მალე დუჩემ მოლასგანაც მიიღო ემისარი და უკვე სერიოზულად დაფიქრდა სამოქალაქო ომში ჩარევაზე, ხოლო როცა გაიგო, რომ ფრანგები რესპუბლიკელებს არაოფიციალურად ეხმარებოდნენ, ხელ-ფეხი საბოლოოდ გაეხსნა და ნაციონალისტების დასახმარებლად ავიაცია, მოგვიანებით კი ქვეითი ჯარიც აფრინა (რაც

გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ფრანგების მიერ რესპუბლიკელებისათვის გაწეული დახმარება). მსოფლიოს პირველი ფაშისტი თანდათანობით ეშხში შედიოდა და უკვე იმასაც ლაპარაკობდა, ესპანეთის ომი რომ მორჩება, რამე ახალი უნდა მოვძებნო, რომ იტალიელებისგან მეომრები გამოვიყვანოო. რიგით იტალიელებთან ერთად ომში დუჩეს ვაჟები – ბრუნო და ვიტორიოც მონაწილეობდნენ. ბრუნომ იმდენად გამოიჩინა თავი დაბომბვების დროს, რომ გამწარებულმა რესპუბლიკელებმა მასზე ნამდვილი ნადირობა გააჩაღეს და მოგვიანებით (უკვე 1938 წლის გაზაფხულზე) ფრანკოს ჩაგონებით იგი ფრონტს განარიდეს.

2 აგვისტოს ბლუმმა ევროპულ სახელმწიფოებს არჩარევის პოლიტიკის ინიციატივით მიმართა. ვერც ინგლისელები და ვერც ფრანგები ამაზე უკეთეს გამოსავალს ვერ ხედავდნენ. თავად ისინი კონფლიქტში თითქმის ვერ ერეოდნენ, მაშინ როცა დუჩესა და ფიურერს ხელ-ფეხი ჰქონდათ გახსნილი. ერთა ლიგაში საკითხის დაყენებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ეს უკანასკნელი სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებსაც ვერ აგვარებდა და სამოქალაქო ომისათვის მით უმეტეს ვერ გამოდგებოდა. მოკლედ, ერთადერთ ვარიანტად არჩარევის პოლიტიკა რჩებოდა და თუკი მას ყველა დაეთანხმებოდა, ესპანეთი საკუთარი თავის ანაბარა დარჩებოდა და იქაური პრობლემები დანარჩენ ევროპაზე ნაკლებად გავრცელდებოდა. რესპუბლიკელები ამ ამბავს, ცხადია, დიდი სიხარულით არ შეხვდნენ; ისინი კვლავაც ესპანეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებად რჩებოდნენ და არჩარევის პოლიტიკა მათ და მეამბოხეებს იურიდიულად თუ არა, ფაქტობრივად მაინც თანაბარ მდგომარეობაში აყენებდა. მაგრამ მათ უკვე ბევრს არავინ ეკითხებოდა. ბლუმის ინიციატივას ერთი პერიოდი დუჩე გულწრფელად დაეთანხმა კიდეც, რადგან მიაჩნდა, რომ ნაციონალისტებს გამარჯვებისათვის უკვე საკმარისი დახმარება ჰქონდათ მიღებული და არჩარევის პირობებში იოლად მიიყვანდნენ საქმეს ბოლომდე. მართლაცდა, „აფრიკელები“ წარმატებით მიიწევდნენ წინ და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ წლის ბოლომდე მადრიდსაც აიღებდნენ. მაგრამ დუჩემ მალევე გადაიფიქრა, რადგან ალბათ „იტალიელებისგან მეომრების გამოყვანის“ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ სურდა. ამიტომაც, იტალიამ არჩარევაზე უარი არ თქვა, მაგრამ მხოლოდ სიტყვით. ასევე არ უთქვამთ უარი გერმანელებს, ოღონდაც სანაცვლოდ ითხოვეს, რომ არჩარევა მოსკოვსაც დაედასტურებინა.

დიდი ხნის პაუზის შემდეგ დადგა დრო, როცა ევროპას საბჭოთა კავ-

შირი დასჭირდა. სტალინის სიმპათიები რომ, თუნდაც იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რესპუბლიკელთა მხარეს იქნებოდა, გასაგებია. მაგრამ მისთვის გეოპოლიტიკა ყოველთვის იდეოლოგიაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. როგორც უკვე ვიცით, საბჭოთა ბელადი იმ დროისათვის უკვე კარგად აცნობიერებდა, რომ დასავლეთის მხრიდან მისი ქვეყნისათვის მთავარ საფრთხეს გერმანია წარმოადგენდა. შესაბამისად, მას ძლიერი საფრანგეთი სჭირდებოდა. ესპანეთში ნაციონალისტთა გამარჯვება კი იმას ნიშნავდა, რომ ფრანგებს ახლა უკვე სამხრეთითაც მტრულად განწყობილი მეზობელი ეყოლებოდა და გერმანიისთვის იმდენად ველარ მოიცლიდნენ. მოკლედ, იდეოლოგიურადაც და გეოპოლიტიკურადაც საბჭოთა კავშირი რესპუბლიკელების მხარეს იყო. მაგრამ აი, გეოპოლიტიკური ანალიზი ამით არ მთავრდებოდა: რესპუბლიკელთა დახმარების შემთხვევაში საბჭოთა კავშირი აუცილებლად გაანაწყენებდა პარიზსა და ლონდონს (ისევ და ისევ გერმანიის წინააღმდეგ პოტენციურ მოკავშირეებს). ასევე იყო იმის შანსი, რომ საფრანგეთიც, ინგლისიც, გერმანიაცა და იტალიაც ცალკე შეთანხმებულიყვნენ ესპანეთის თაობაზე და საბჭოთა კავშირი კვლავ იზოლაციაში აღმოჩენილიყო. გარდა ამისა, თუკი მოსკოვი რესპუბლიკელებს დაეხმარებოდა, ამით გერმანიასა და იტალიას ნაციონალისტებისათვის მეტი დახმარების გაწევის საბაბს მისცემდა. შესაბამისად, ჯამში, მაინც არჩარევა ჯობდა. მოსკოვი რესპუბლიკელებს მორალურ და ჰუმანიტარულ დახმარებას აღმოუჩენდა, მაგრამ ამის იქით არ წავიდოდა. 5 აგვისტოს საბჭოთა კავშირი არჩარევაზე დათანხმდა, მაგრამ სანაცვლოდ მოითხოვა, იგივე ექნა პორტუგალიასაც (რომლის ტერიტორიის გავლითაც იღებდნენ ნაციონალისტები შეიარაღების დიდ ნაწილს). სულ მალე მოსკოვში „ტროცკისტების“ სასამართლო გაიმართა, რომელზეც მთავარი ბრალდებულები, არც მეტი, არც ნაკლები, ზინოვიევი და კამენევი იყვნენ.

როგორ წარიმართა პროცესი, ამაზე ალბათ ღირს საუბარი. თვის ბოლოს არც ზინოვიევი და აღარც კამენევი ცოცხლები აღარ იყვნენ (მოგვიანებით კი მათ გზას ბუხარინიც მიჰყვა), მაგრამ სტალინს ჯერ კიდევ არ ეწერა მოსვენება, რადგან მალე თავად ტროცკიმაც წამოყო თავი. სწორედ იმ დღეებში მან დაასრულა მუშაობა თავის წიგნზე „რევოლუციას უღალატეს“. მოღალატედ, ცხადია, საძულველი სტალინი ცხადდებოდა, რომელმაც, ავტორის აზრით, რევოლუცია ბონაპარტისეულად

მოგუდა და მის იდეალებს ხაზი გადაუსვა. ტროცკის კრიტიკა დამატებით ძალას იძენდა ესპანური მოვლენების ფონზე, რამეთუ ბელადს იქაური მემარცხენეების ბედის ანაბარად მიგდება გადაეწყვიტა. როგორც მალე ვნახავთ, ამ წიგნმა, ესპანეთის სამოქალაქო ომთან ერთად, ტროცკის აღსასრული დრამატულად დააჩქარა.

24 აგვისტოსათვის მოსკოვიც, ბერლინიცა და რომიც არჩარევას ოფიციალურად დათანხმდნენ (მანამდე პორტუგალიაც ასე მოიქცა). განზე გადგა ამერიკაც. მართალია, ნეიტრალიტეტის აქტი ესპანეთში შეიარაღების მიწოდების საშუალებას ტოვებდა (რადგან ის სამოქალაქო ომებზე არ ვრცელდებოდა) და რუზველტიც რესპუბლიკელებს თანაუგრძნობდა, მაგრამ სახელმწიფო მდივანი კორდელ ჰალი ჩარევის სასტიკი წინააღმდეგი იყო და თავისი გაიტანა. ამერიკამ არჩარევის პრინციპი ბოლომდე დაიცვა, მაგრამ სხვებზე ეს ნამდვილად არ ითქმის. არჩარევაზე დათანხმების პარალელურად, საბჭოთა კავშირმა რესპუბლიკურ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა (რაც მანამდე ბიუროკრატიული პროცედურების გამო ფერხდებოდა) და მადრიდში დიდძალი აგენტურა აფრინა (მათ შორის, ცნობილი მწერლებიც, რომლებიც კორესპონდენტების როლში აქტიურად ჩაერთვნენ პროპაგანდისტულ საქმიანობაში). სტალინი იმ მხრივ მაინც იცავდა პირობას, რომ რესპუბლიკელებს იარაღსა და ტექნიკას არ უგზავნიდა. გერმანიასა და იტალიას კი ნაციონალისტთა დახმარება თითქმის არ შეუწყვეტიათ. ეს, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩა და 9 სექტემბერს ლონდონში არჩარევის კომიტეტის პირველი სხდომა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წარმომადგენელთა (ელჩ ივან მაისკისა და ბისმარკის შვილიშვილის) ჩხუბმა დაამშვენა. ამასობაში კი გერმანული და იტალიური იარაღითა და ტექნიკით (მათ შორის, ტანკებით) გაძლიერებული ფრანკო იოლად მიიწევდა წინ. 1 ოქტომბერს ამბოხებულებმა იგი გენერალისიმუსად დაასახელეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფრანკო მთავარსარდალიც და სახელმწიფოს მეთაურიც ხდებოდა. მოლა კონკურენტის აღზევებას დათანხმდა, რადგან ბრძოლის ველზე თავად არც ისე წარმატებით მიიწევდა წინ და თანაც იმედი ჰქონდა, რომ ფრანკოს პოლიტიკური ამბიციები ომის დასრულებისთანავე გაუქრებოდა. არც სხვებს გაუპროტესტებიათ ეს სიახლე. კარლისტებს თავიანთი სადარდებელი ჰქონდათ, რადგან 28 სექტემბერს ვენაში მათი მორიგი ტახტის კანდიდატი გარდაიცვალა; ფალანგისტების ლიდერი ხოსე ანტონიო კი ციხეში იყო (ნოემბრის

ბოლოს რესპუბლიკელებმა იგი დახვრიტეს კიდეც). ასე იქცა ფრანკო კაუდილიოდ – დუჩესა და ფიურერის ესპანელ ანალოგად. წესით, ცოტაც და, სამოქალაქო ომი უნდა დასრულებულიყო. რესპუბლიკელები კაუდილიოს გამჩერებლებს არ ჰგავდნენ. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ნაციონალისტებს ხელში ჩაუვარდათ ასანიას დღიური, რომელშიც ესპანელ მემარცხენეთა ლიდერი თავისივე მთავრობას მწარედ დასცინოდა და ასკვნიდა, რომ რესპუბლიკა განწირული იყო. ცხადია, ნაციონალისტებმა დღიური მაშინვე გამოაქვეყნეს...


მაგრამ აქ, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა ფაქტორი ამუშავდა. სტალინის ბრძანებით რესპუბლიკელები სულ უფრო და უფრო მეტ დახმარებას იღებდნენ, მათ შორის, სამხედრო კონსულტანტებისა და ნავთობის სახით. უშუალოდ შეიარაღების გაგზავნას ბელადი მაინც ერიდებოდა, მაგრამ 7 ოქტომბერს საბჭოთა წარმომადგენელმა ლონდონში უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ, თუკი გერმანია და იტალია ჩარევას არ შეწყვეტდნენ, მოსკოვი უფლებას იტოვებდა, თავისი შეხედულებისამებრ მოქცეულიყო. საბჭოთა პოზიციას ინგლისის ლეიბორისტულმა პარტიამაც დაუჭირა მხარი. ცხადია, გერმანია და იტალია მაინც არ გაჩერდნენ და მათ პასუხად, სულ მალე, რესპუბლიკელთა საშველად თვითმფრინავებითა და ტანკებით დატვირთული საბჭოთა ხომალდები დაიძრა. იარაღსა და ტექნიკას დიდძალი სამხედრო პერსონალიც ახლდა. ლიტვინოვი წუწუნებდა, ასეთი ქმედებები პარიზთან და ლონდონთან ურთიერთობებს გაგვიფუჭებსო, მაგრამ სტალინმა მას ყურადღება აღარ მიაქცია. საბჭოთა დახმარება უანგარო ნამდვილად არ იყო. ჯერ კიდევ სექტემბერში რესპუბლიკელთა მთავრობამ გადაწყვიტა, ოქროსა და სავალუტო რეზერვები სადმე უსაფრთხო ადგილას გადაეანახა და ასეთ ადგილად საბჭოთა კავშირი შეარჩია. ამ რეზერვების მოცულობა 800 მილიონ დოლარს აღწევდა (სიდიდით მსოფლიოში მეოთხე იყო) და ოქროს ზოდების, დოლარებისა თუ სტერლინგების გარდა აცტეკებისა და ინკების უნიკალურ საგანძურსაც მოიცავდა. სტალინმა, ცხადია, სიხარულით ჩაიბარა ეს ყველაფერი და თავისიანებს უთხრა, ესპანელები აწი ისე ნახავენ თავიანთ განძეულს, როგორც ვირი ავა ხეზეო. დახმარების საფასური მოსკოვმა რესპუბლიკელებს ერთიორად დაუანგარიშა და ლამის აქეთ დაადო ვალი.

8 ნოემბერს ფრანკო მადრიდის დასალაშქრად დაიძრა. იგი სამხრეთიდან უტევდა, მოლა კი – ჩრდილო-დასავლეთიდან. რესპუბლიკელ-


თა მთავრობა სასწრაფოდ ვალენსიაში გადაბარგდა. როცა რადიოინტერვიუში მოლას ჰკითხეს, მისი ოთხი კოლონიდან რომელი აიღებდა დედაქალაქს, გენერალმა უპასუხა, მეხუთე კოლონაო, ამაში მან თავად მადრიდში მყოფი ნაციონალისტთა მომხრეები იგულისხმა. მოლა საბოლოოდ ამ ფრაზით შევიდა ისტორიაში, მადრიდი კი არ დაეცა. დედაქალაქს ესპანელთა გარდა უკვე ე.წ. საერთაშორისო ბრიგადები იცავდა, რომელთა ორგანიზება კომინტერნს დაევალა (სწორედ აქ გამოიჩინეს პირველად თავი იოზიპ ბროზ ტიტომ და ვალტერ ულბრიხტმა – იუგოსლავიისა და აღმოსავლეთ გერმანიის მომავალმა ლიდერებმა). რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რესპუბლიკელებს საბჭოთა ტექნიკამ მიუსწრო, რომელიც გერმანულსა და იტალიურს არამცთუ არ ჩამოუვარდებოდა, არამედ სჯობდა კიდეც. საბჭოთა ავიაციამ ეფექტიანად დაიცვა მადრიდი ჰაერიდან, საბჭოთა ტანკებმა კი ნაციონალისტებს ხმელეთზე უზარმაზარი ზარალი მიაყენეს. ბერლინსა და რომში მადრიდის დაცემას ელოდნენ და 18 ნოემბერს ფრანკოს მთავრობა ოფიციალურად ცნეს. მაგრამ ხუთ დღეში ნაციონალისტთა შტურმი საბოლოოდ ჩაფლავდა და ფრანკომ უკანდახევა ბრძანა. რესპუბლიკელებს კონტრშეტევისათვის საკმარისი ძალები არ ჰყავდათ, თორემ იყო შანსი, სამოქალაქო ომი მაინც დასრულებულიყო, ოღონდ უკვე მათი გამარჯვებით.

25 ნოემბერს გერმანიამ და იაპონიამ ე.წ. ანტიკომინტერნული პაქტი გააფორმეს. იაპონელებს დიდი სურვილი ჰქონდათ, შეთანხმება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ალიანსად ქცეულიყო, მაგრამ ჰიტლერმა ამისგან თავი შეიკავა. მხარეები უბრალოდ შეთანხმდნენ, რომ მოსკოვთან არანაირ გარიგებას არ დადებდნენ ერთმანეთთან კონსულტაციის გარეშე. ფიურერი ესპანური მოვლენების ფონზე ადრინდელზე უფრო მეტად გაცოფებული კი იყო კომუნისტებზე (და თავის გამოსვლებში სულ უფრო და უფრო ისტერიულად გაჰკიოდა ბოლშევიზმის საფრთხეებზე), მაგრამ არც იმდენად, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ალიანსი გაეფორმებინა. ანტიკომინტერნული პაქტი მან „დასავლური ცივილიზაციის გადასარჩენად" მიმართულ ნაბიჯად გამოაცხადა. იაპონია საამისოდ რამდენად გამოდგებოდა, რთული სათქმელია, მაგრამ გერმანიას ასე სჭირდებოდა. ხოლო გერმანია რომ დასავლურ ცივილიზაციას იცავდა, ეს ჰიტლერს, ალბათ, გულწრფელად სჯეროდა. ესპანეთის მოვლენებმა მას ეს რწმენა გაუღრმავა. ზოგადად, ესპანეთმა ძალიან ბევრი რამე შეცვალა. რუსეთის სამოქალაქო ომისა და ბოლშევიკების გამარჯვების

შემდეგ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი სამოქალაქო ომი იყო. მან ლამის მთელი მსოფლიო ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყო. ერთი ბანაკის უკან ჰიტლერი, მეორეს უკან კი სტალინი იდგა. სამწუხაროდ, გონივრული ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას არც ისე ბევრი ახერხებდა. ესპანური მოვლენების გამოისობით საბოლოოდ გადაინაცვლა ჰიტლერის ბანაკში დუჩემ, თუმცა ამას თავად ვერ აცნობიერებდა, რადგან გერმანულ-იტალიურ დუეტში პირველ ვიოლინოდ ისევ საკუთარი თავი მიაჩნდა. 21 ოქტომბერს მისმა სიძემ და ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გალეაცო ჩიანომ ბერლინში საიდუმლო პროტოკოლი გააფორმა, რომელიც გერმანიისა და იტალიის მიერ ერთიანი საგარეო პოლიტიკის გატარებას ითვალისწინებდა. პროტოკოლი რამდენიმე დღეში თავად დუჩემ ახსენა მორიგ საჯარო გამოსვლაში და მსოფლიოს ამცნო, რომ შეიქმნა ღერძი (axis). ღერძში თითქოსდა ცუდი არაფერი იყო, რადგან, მუსოლინის თქმით, მის გარშემო მთელ ევროპას შეეძლო დარაზმვა და თანამშრომლობა, მაგრამ მოგვიანებით ეს ტერმინი ბოროტებისა და ბნელი მხარის სინონიმად იქცა.



მუსოლინი და ეთიოპიის ომში მიმავალი იტალიელი ჯარისკაცები



მუსოლინი თავის ვაჟებთან ერთად



ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე



მე-19 საუკუნის ესპანეთში დაუსრულებელი სამოქალაქო ომების მთავარი მიზეზი, ტახტის პრეტენდენტი დონ კარლოსი



კომინტერნის მეშვიდე და ყველაზე მნიშვნელოვანი ყრილობის ორგანიზატორები: პალმირო ტოლიატი (იტალია), დიმიტრი მანუილსკი (საბჭოთა კავშირი), კლემენტ გოტვალდი (ჩეხოსლოვაკია), გიორგი დიმიტროვი (ბულგარეთი), ოტო კუუსინენი (ფინეთი), ვილჰელმ პიკი (გერმანია)



ფრანკოს ქორწილი



ფრანკო და მისი ძმა რამონი



ესპანელ ნაციონალისტთა
არშემდგარი ლიდერი, ნაადრევად
დაღუპული გენერალი სანხურხო

თავი 6. ომი ევრაზიის ორთავ მხარეს

როდის დაიწყო მეორე მსოფლიო ომი

1930 წლიდან მოყოლებული, ჩანგმა კომუნისტების საბოლოოდ გასანადგურებლად ხუთი ლაშქრობა წამოიწყო და ხუთივე წააგო. კომუნისტები ბოლო მომენტში მას ყოველ ჯერზე ხელიდან უსხლტებოდნენ და მიუვალ პროვინციებს აფარებდნენ თავს. ლაშქრობა ლაშქრობას მისდევდა, დრო გადიოდა, იაპონური ოკუპაცია გრძელდებოდა, ჩანგი კი თავისას აგრძელებდა. გენერალისიმუსის ეს აკვიატება მის ბევრ თანამებრძოლს აღარ მოსწონდა, მაგრამ ჩანგი თავისას არ იშლიდა. კომუნისტები მას იაპონელებზე გაცილებით უარეს პრობლემად მიაჩნდა და მათ შინაგან დაავადებას ადარებდა, რომელიც გაცილებით საშიში იყო, ვიდრე კანის დაავადება (გარე მტერი).

1934 წლის ოქტომბერში ციანსის პროვინციიდან ახალი თავშესაფრის საძიებლად დაიძრა ჩანგის მორიგ ლაშქრობას გადარჩენილი კომუნისტების 86-ათასიანი არმია. სამშვიდობოზე გასაღწევად მას ერთი წელი უნდა ევლო და 9 ათასი კილომეტრი დაეფარა. როცა არმიამ ბოლოს და ბოლოს შედარებით უსაფრთხო შანსის პროვინციაში ჩააღწია, ის 20 ათასსაც აღარ ითვლიდა. ჯარისკაცთა დიდი ნაწილი შიმშილითა და ავადმყოფობით დაიხოცა, ნაწილი გომინდანგის ავიაციამ ამოხოცა, ნაწილიც მტრულ მოსახლეობასთან შეტაკებებში დაიღუპა. ზოგიერთ კომუნისტს თან ცოლიც ახლდა და ერთ-ერთი ასეთი იყო მაო ძედუნი. იგი ჯერ არ ჰგავდა დიქტატორს, რომლის მმართველობის დროს დაღუპულების რაოდენობას დღემდე ითვლიან. ციანსიდან დაძვრისას მისი ბარგი მხოლოდ პლედისგან, სამი დღის სამყოფი ბრინჯისა და წიგნებით საავსე სკივრისგან შედგებოდა. წიგნები, ბავშვობიდან მოყოლებული, მაოს ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. მამამისი, შეძლებული გლეხი, ცდილობდა, ნიჭიერი შვილი კონფუცის მოძღვრებაზე გაეზარდა. მაომ კონფუცი იოლად კი დაისწავლა, მაგრამ არანაირად არ მოიხიბლა მისი იდეოლოგიით, რომელიც მორჩილებასა და იერარქიას ქადაგებდა. მომავალი დიქტატორი მაშინდელ წამყვან ჩინელ მოაზროვნეთა ნაშრომებს კითხულობდა და ხვდებოდა, რომ მის ქვეყანას რეფორმები და ცვლილებები სჭირდებოდა. ჯერ კიდევ მოზარდი მაო აღტაცებით შეხვდა იაპონიის მიერ რუსეთის დამარცხებას, რადგან ეს უფრო პროგრესული

კონსტიტუციური მონარქიის უპირატესობაზე მიანიშნებდა. 1911 წლის რევოლუციის დროს მომავალმა დიქტატორმა, ჩანგის დარად, ნაწნავი მოიჭრა და ამბოხებულთა არმიას შეუერთდა. ერთ ხანს სან იატ-სენის თაყვანისმცემელი და მიმდევარი იყო, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1919 წლის საპროტესტო გამოსვლების შემხედვარე გამჭრიახი და დაკვირვებული მაო მიხვდა, რომ სტიქიური წინააღმდეგობა არანაირ შედეგს არ მოიტანდა, თუკი საპროტესტო ენერგია ერთ მუშტად არ შეიკვრებოდა და საჭირო მიზნისკენ არ მიემართებოდა. მასების ორგანიზება იმ დროს ყველაზე უკეთ კომუნისტებს შეეძლოთ და სწორედ ასე გადაიხარა მაო მარქსისა და ლენინისაკენ, რომელთა იდეებს მანამდე ცოტა ხნით ადრე გაეცნო. 1928 წელს, მას მერე, რაც ჩინელი კომუნისტები უკვე დამარცხებულები ჩანდნენ, მაომ ჰუნანის პროვინციაში აჯანყება მოაწყო. აჯანყების დამარცხების შემდეგ გომინდანგელებმა მისი (რიგით მეორე) ცოლი დაატყვევეს და დახვრიტეს მას მერე, რაც ქალმა ქმარი საჯაროდ არ დაგმო.

„დიდი მარში“ (ამ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში ჩინელ კომუნისტთა გადასვლა ციანსიდან შანსიში) არნახული გამძლეობისა და გმირობის მაგალითი იყო. მას მხოლოდ რჩეულები გადაურჩნენ, ხოლო ვინც მის დროს თავი გამოიჩინა, იგი ახალ ლიდერად იქცა. მაომ „დიდი მარშის“ დროს დაკარგა შვილი (მან და მისმა მესამე ცოლმა ახალდაბადებული ბავშვი ადგილობრივი გლეხის ქოხში დატოვეს), მაგრამ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. შვილი მას ბევრი ჰყავდა (გამომდინარე იქიდანაც, რომ ქალები ძალიან უყვარდა) და უფრო მნიშვნელოვნად ძალაუფლება მიაჩნდა. „დიდ მარშამდე“ მაოს პარტიაში პოზიციები შეერყა ჯარში განხორციელებული არასაჭირო რეპრესიების გამო, მაგრამ არნახული განსაცდელი მას ახალ შანსს აძლევდა რომელიც მშვენივრად გამოიყენა. მაომ ყველაზე უკეთ იწინასწარმეტყველა, რომელი მარშრუტებით გადაადგილება იქნებოდა ყველაზე უსაფრთხო კომუნისტთა არმიისათვის, ხელახლა მოიპოვა თანამებრძოლების (მათ შორის ჯუ ენ-ლაის) მხარდაჭერა და როცა შანსიში ჩავიდა, უკვე პარტიის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო.

მხოლოდ „დიდი მარშის“ დასრულების შემდეგ შეიტყეს მაომ და მისმა თანამებრძოლებმა კომინტერნის მეშვიდე ყრილობის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ევროპის გარდა ჩინეთსაც ეხებოდა; ანუ აქაური კომუნისტები გომინდანგთან უნდა გაერთიანებულიყვნენ იაპონელე-

ბის („აზიელი ფაშისტების“) წინააღმდეგ ბრძოლაში. მაო, ჯუ და სხვა ლიდერები გადაწყვეტილებას დაეთანხმნენ, მაგრამ იქვე დაადგინეს, რომ გომინდანგთან თანამშრომლობა უშუალოდ ჩანგსა და მის გარემოცვაზე არ ვრცელდებოდა. ნოემბრის ბოლოს კი მაო შანსიში, კომუნისტების ბანაკიდან დაახლოებით 300 კილომეტრში განთავსებულ გომინდანგის არმიის ოფიცერს დაუკავშირდა და იაპონიის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლა შესთავაზა. ეს საინტერესო და კარგად გამიზნული ჟესტი იყო, რადგან ამ რეგიონში გომინდანგის შეიარაღებული ძალები „ახალგაზრდა მარშალს“, ჭანგს ექვემდებარებოდა. ამ უკანასკნელს მამამისის დაღუპვის შემდეგ იაპონელები მთელი არსებით სძულდა და ეს ყველამ კარგად იცოდა. 1933 წელს ჭანგი იაპონელთა წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად იტალიაში გაემგზავრა. იგი დუჩეს რეჟიმის ძლიერებით მოხიბლული იყო და, პარალელურად, იმედი ჰქონდა, რომ დიქტატორთან მისი ქალიშვილი ედა წააშველებდა სიტყვას. ედას ქმარი ჩიანო ერთი პერიოდი შანხაიში მუშაობდა გენერალურ კონსულად. ცოლზე უფრო მეტ ინტერესს იგი ადგილობრივი მსუბუქი ყოფაქცევის ქალების მიმართ იჩენდა და ედაც მალე „ახალგაზრდა მარშლის“ საყვარელი გახდა. მაგრამ საქმეს ამან ვერ უშველა, რადგან დუჩეს აზია დიდად არ აინტერესებდა. იტალიიდან ჭანგი გერმანიაში ჩავიდა და როცა ვერც ჰიტლერისგან მიიღო ვერანაირი დაპირება, საფრანგეთში გასწია ლიტვინოვის სანახავად. ამ უკანასკნელს სტალინთან შუამდგომლობა და მასთან შეხვედრის ორგანიზება სთხოვა, მაგრამ სტალინი მაშინ იაპონელებს ძალიან უფრთხოდა და შეხვედრისგან თავი შორს დაიჭირა. „ახალგაზრდა მარშალი“ ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ გარედან დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა, და სამშობლოში დაბრუნდა.

მაოს შეთავაზება ჭანგისადმი კარგად გამიზნული იმიტომაც იყო, რომ „ახალგაზრდა მარშალსა“ და გენერალისიმუსს შორის განხეთქილების ჩამოგდებას ისახავდა მიზნად. ჭანგი კომუნისტების იდეით დაინტერესდა და 1936 წლის აპრილიდან უკვე მათთან უშუალო მოლაპარაკებებში ჩაერთო. მალე იგი ძალიან დაუახლოვდა მომხიბვლელ, დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოვებულ ჯუს და მისი გავლენის ქვეშაც მოექცა, კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა შეწყვიტა და მათ იარაღსაც კი აწვდიდა. კმაყოფილმა მაომ მალე კომინტერნს აცნობა, ჩანგის წინააღმდეგ ახალი კოალიცია შეიქმნაო. მაგრამ სტალინი ამ სიახლემ არანაირად არ გაახარა და ჩინელ კომუნისტებს უბრძანა, ინტრიგები-

სათვის თავი დაენებებინათ და ჩანგთან ეთანამშრომლათ. მას არაფრად არ სჭირდებოდა ჩინეთში კომუნისტური გადატრიალება, რადგან, მისი აზრით, ეს ქვეყანას კიდევ უფრო დაასუსტებდა და, შესაბამისად, რეგიონში იაპონიას გააძლიერებდა.

მაგრამ სტალინის პრობლემა ის იყო, რომ იაპონიის წინააღმდეგ კომუნისტებთან თანამშრომლობა ჩანგს არ სურდა. ის კი არა, მზად იყო, გარკვეული პირობებით კომუნისტების წინააღმდეგ ტოკიოსთანაც კი შეკრულიყო. 1935 წლის სექტემბერში იაპონელებმა მას ურთიერთობათა ნორმალიზაციის მათეული სამპუნქტიანი პროგრამა შესთავაზეს: ჩინეთს იაპონიასთან ურთიერთობები დასავლეთთან ურთიერთობებზე მაღლა უნდა დაეყენებინა; ჩინეთს მანჯუკუო უნდა ეცნო; ჩინეთს იაპონელთა დახმარებით უნდა ებრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ. ჩანგმა პასუხად ტოკიოს შეუთვალა, რომ პირველი ორი პუნქტის განხილვას არ აპირებდა, მაგრამ თუკი იაპონელები გააუქმებდნენ შანხაის დაზავებასა და მსგავს თავსმოხვეულ შეთანხმებებს, მაშინ თანამშრომლობა შესაძლებელი გახდებოდა და თავად ჩინეთი მანჯურიის საკითხს არ დაძრავდა. გენერალისიმუსის პასუხი ტოკიოში არ მოეწონათ და მოლაპარაკებებიც უშედეგოდ დასრულდა. 1935 წლის ბოლოს ჩანგმა სტალინს სთხოვა სამხედრო დახმარება, რაზეც ბელადი მაშინვე დათანხმდა იმის შიშით, გენერალისიმუსი იაპონელებთან არ გარიგებულიყო. მაგრამ მალე მოსკოვმა თავდაცვის შეთანხმება გააფორმა თავისივე შექმნილ სატელიტთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან. სტალინის გადაწყვეტილება იაპონელთა ქმედებებით აიხსნებოდა, რომლებიც უკვე ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინციებს აღარ სჯერდებოდნენ და მონღოლეთსაც მიადგნენ. მაგრამ აი, ჩანგის მთავრობა მონღოლეთის რესპუბლიკას არ ცნობდა და, შედეგად, მოსკოვთან მოლაპარაკებები შეწყდა. პასუხად სტალინმა „პრავდაში" ჩანგის ერთადერთი შვილის (პირველი ცოლისგან) მიერ დედისათვის მიწერილი წერილი გამოაქვეყნებინა. ჩანგის შვილი 1925 წლიდან მოყოლებული საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა, სადაც სასწავლებლად გაემგზავრა. მას შემდეგ, რაც ჩინეთში გომინდანგი კომუნისტებს დაერია, სტალინმა იგი ურალის მთებში, მეტალურგიულ ქარხანაში გაამწესა და, ფაქტობრივად, თავის მძევლად აქცია. წერილში უმცროსი ჩანგი მამას „თავისი ხალხისა და შვილის მტერს" უწოდებდა.

1936 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული ჭანგი ამაოდ ემუდარებოდა გენერალისიმუსს, კომუნისტებთან ბრძოლაზე უარი ეთქვა. ჩანგი მეექვსე

ლაშქრობისათვის ემზადებოდა, რომელიც, იმედი ჰქონდა, უკანასკნელი გახდებოდა. ნოემბერში იაპონელებმა კიდევ განაახლეს მასთან მოლაპარაკებები და მოსთხოვეს ჩანგს, მათთვის კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის უფლება დაერთო. გენერალისიმუსმა იაპონელები ისევ უარით გაისტუმრა. იგი მეტის დათმობას არ აპირებდა და იმედი ჰქონდა, რომ კომუნისტების დამარცხების შემდეგ იაპონელებისგანაც გაწმენდდა თავის ქვეყანას. იმ დროისათვის ჩანგი ამერიკელებისა და ინგლისელებისგან გარკვეულ ფინანსურ დახმარებას იღებდა, ჯარს კი გერმანელი ოფიცრები უწვრთნიდნენ. ტოკიოსთან მისი მოლაპარაკებების თაობაზე სტალინმა შეიტყო და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ გენერალისიმუსს ანტიიაპონურ ბანაკში შესანარჩუნებლად ყველაფერი უნდა ეღონა.

ნოემბრის ბოლოს კი გენერალისიმუსმა ჭანგის წერილი მიიღო. „ახალგაზრდა მარშალი" იწერებოდა, რომ შანსიში განლაგებულ ჯარს ბრძოლა აღარ სურდა და საქმე შეიძლებოდა ამბოხებამდე მისულიყო. მალე ჭანგი გენერალისიმუსს ეწვია კიდეც და კიდევ ერთხელ სთხოვა, კომუნისტებთან თანამშრომლობაზე დაფიქრებულიყო. როცა ამის პასუხად უარი და მკაცრი საყვედური მიიღო, „ახალგაზრდა მარშალმა" ჩანგს სთხოვა, შანსიში ჩასულიყო და თავად გასაუბრებოდა იქაურ ოფიცრობას. გენერალისიმუსი დათანხმდა. გახარებული ჭანგი შანსიში დაბრუნდა თუ არა, თავის კომუნისტ მეგობრებს შეატყობინა, სახელმწიფო გადატრიალებას ვამზადებო. ჩანგს გარემოცვა აფრთხილებდა, რომ მოგზაურობა საშიში იქნებოდა, მაგრამ გენერალისიმუსი 4 დეკემბერს მაინც გაემგზავრა შანსიში. იქ მასა და ჭანგს შორის კიდევ რამდენიმე მძიმე და უშედეგო საუბარი შედგა. 12 დეკემბრის დილით კი „ახალგაზრდა მარშლის" გვარდია ჩანგის რეზიდენციას დაესხა თავს გენერალისიმუსის დასაპატიმრებლად. თავად ჩანგმა გაქცევა მოასწრო – ნახევრად შიშველი ფანჯრიდან გადახტა და მიიმალა. იგი რამდენიმე საათში, გაყინული და თითქმის უგონო იპოვეს და ჭანგს მიჰგვარეს. მათ შორის კიდევ ერთი მძიმე და უშედეგო საუბარი შედგა...

ჩანგის დაპატიმრების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ პროვინციას. კომუნისტები სიხარულით, რომ იტყვიან, მეცხრე ცაზე იყვნენ. მაომ თავისი საძულველი მტრის საჯაროდ გასამართლებისა და სიკვდილით დასჯის იდეა წამოაყენა, რასაც ყველა დაეთანხმა. ამის შემდეგ ჩინელმა კომუნისტებმა კომინტერნის გავლით სიახლე მოსკოვს ამცნეს. კომინტერნის თავმჯდომარე, ნაცისტებს გადარჩენილი (რაიხსტაგის

დაწვაში მონაწილეობას აბრალებდნენ) და საერთოდ, ათას ჭირვარამგამოვლილი, წარმოშობით ბულგარელი გიორგი დიმიტროვი, აღტაცებისგან მაოზე მეტად გადაირია. მან კომინტერნის ხელმძღვანელობა შეკრიბა სათათბიროდ, ჩინეთში ახალი სამოქმედო გეგმა დააწყო და მხოლოდ ამის შემდეგ შეატყობინა სენსაციური ამბავი სტალინს. აქ მოხდა ის, რასაც კომუნისტები (როგორც მოსკოვში, ასევე შანხაიში) არ ელოდნენ – ბელადმა დიმიტროვი დაიფრინა და ბრძანა, რომ ჩანგი სასწრაფოდ გაეთავისუფლებინათ. სასწრაფოდ!! სტალინი განრისხებული იყო იმით, რომ შურისძიების წყურვილით დაბრმავებული დიმიტროვი და მაო ასეთ პოლიტიკურ სიბეცეს იჩენდნენ. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჩინეთში იაპონიის შეკავება მხოლოდ ჩანგს შეეძლო. იაპონია კი ნამდვილად შესაკავებელი იყო. მით უმეტეს, რომ სულ ცოტა ხნის წინ გერმანიასთან ანტიკომინტერნული პაქტი გააფორმა.

როგორც დრომ აჩვენა, სტალინმა ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ჩანგის გარემოცვაში მრავლად იყო ისეთი, ვინც იაპონიასთან გარიგებაზე ფიქრობდა და მისი სიკვდილი ან საქმიდან ჩამოშორება ვინძლო ამითაც დამთავრებულიყო. თუმცა, საკითხავია რამდენად რეალური იყო ჩანგის სიკვდილი „ახალგაზრდა მარშლის“ ხელში. ამ უკანასკნელის თვითმიზანი ხომ იაპონელებზე შურისძიება გახლდათ და ამისათვის ცოცხალი გენერალისიმუსი სჭირდებოდა. ჭანგმა მალე საჯაროდ განაცხადა, რომ გენერალისიმუსს არაფერს ერჩოდა. მაოც მიხვდა, რომ ჩანგის არსებობასთან შეგუება მოუწევდა. ამასობაში კი მოსკოვიდან შანსიში სტალინის დირექტივამაც ჩააღწია და ისე გამოვიდა, რომ მაო ბრძანებას ემორჩილებოდა და ამიტომ ამბობდა უარს ჩანგის გასამართლებაზე. ჩინელთა მომავალი ბელადი საშინლად გამწარდა. ცხადია, ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ საბჭოთა ბელადი მას მომავალში კიდევ არაერთხელ დაამცირებდა.

ჩანგი კი კვლავაც უარს ამბობდა ერთიან ფრონტზე და „ახალგაზრდა მარშალი“ გამოუვალ მდგომარეობაში იყო. ყველაფერი შობის დღეს დასრულდა, მას შემდეგ, რაც საქმეში აქტიურად ჩაერთო ჯუ. ის და ჩანგი ერთმანეთს ყოველთვის პატივს სცემდნენ (და ამის წყალობითაც იყო, რომ 1927 წელს ჯუმ შანხაიდან უვნებლად გააღწია) და მოლაპარაკებებს საშველი დაადგა. ჯუ ჩანგის რამდენიმე მოთხოვნას დათანხმდა, მათ შორის – მისი ერთიანი ფრონტის სარდლად ცნობას. იმ დროისათვის გენერალისიმუსს თავისმა მეუღლემაც ჩააკითხა. მაილინგის სილამაზეს

ძნელად თუ უძლებდა ვინმე და მით უმეტეს, ვერ გაუძლო ჭანგისნაირმა ლოველასმა. იგი ჩანგის მხრიდან სიტყვიერ დაპირებას დასჯერდა და ცოლ-ქმარი პირადად ჩააცილა ნანკინგამდე. იქ ჩასვლა და „ახალგაზრდა მარშლის" დაპატიმრება ერთი იყო. გენერალისიმუსმა იგი სამხედრო ტრიბუნალს გადასცა, რომელმაც ჭანგს ათი წელი მიუსაჯა. მალე მას, იაპონიასთან ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ამნისტიამ უწია, მაგრამ ჩანგმა „ახალგაზრდა მარშალი" შინაპატიმრობაში აიყვანა. როცა მოგვიანებით სამოქალაქო ომში დამარცხდა და იძულებული გახდა, ტაივანზე გაქცეულიყო, ჭანგი თან წაიყვანა. მანჯურიის ფეოდალის შვილი, ერთ დროს გამოუსწორებელი ნარკომანი, ჩინეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, ქალების ტრფიალი და იაპონელების დაუძინებელი მტერი ჩანგის გარდაცვალებიდან კიდევ მთელი 15 წელი შინაპატიმრობაში რჩებოდა. იგი მხოლოდ 1990 წელს, 89 წლის ასაკში გათავისუფლდა და (რა გასაკვირია) დარჩენილი ცხოვრება (თერთმეტი წელი) მოგზაურობაში გაატარა. რომ არა მისი გამოხდომა, ჩანგი მეექვსე ლაშქრობას წამოიწყებდა და ამჯერად ალბათ ბოლომდე მიიყვანდა საქმეს. კომუნისტების მთელი არმია ამ დროს 50 ათასს თუ აღწევდა და ისიც ცუდად იყო შეიარაღებული. გომინდანგის არმია კი 2 მილიონს აჭარბებდა და აქედან 300 ათასი გერმანელი ოფიცრების მიერ იყო გაწვრთნილი. ასეთი თანაფარდობის გათვალისწინებით, კომუნისტები ან განადგურდებოდნენ, ან მონღოლეთის გავლით საბჭოთა კავშირს შეაფარებდნენ თავს. იყო შანსი, რომ იაპონიის შიშით სტალინს ეს ყველაფერი გადაეყლაპა. განდევნილი მაო და მისი თანამებრძოლები კი ჩინეთში გავლენას, წესით, ვეღარ აღიდგენდნენ და მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანა გაწითლებას გადაურჩებოდა.

ნანკინგში დაბრუნებულ გენერალისიმუსს მისი გარემოცვის ნაწილი მოუწოდებდა კიდეც, რომ ჯუსათვის მიცემული სიტყვა გაეტეხა, კომუნისტების საბოლოოდ გასასრესად შანსისაკენ დაძრულიყო და, თუ საჭირო გახდებოდა, ამ საქმეში იაპონელების დახმარებაც მიეღო. მაოსაც სწორედ ამის ეშინოდა და ჯუს საყვედურობდა, ჩვენს დაუძინებელ მტერს სიტყვაზე როგორ ენდეო. მაგრამ ჯუმ, რომელიც კარგად იცნობდა თავის ყოფილ უფროსს, თანამებრძოლს აუხსნა, ეგ ისეთი უაზროდ პატივმოყვარეა, დაპირებას არ დაარღვევსო. მართლაც, ჩანგმა ახალი ლაშქრობა გადაიფიქრა. გატაცებამ მას მძიმე დაღი დაასვა. გარდა ამისა, გაიაზრა, რომ კომუნისტებთან დაზავების წყალობით სტალინისგან

დახმარებას მიიღებდა და იქვე სტალინთან მძევლობაში მყოფი თავისი ერთადერთი შვილიც გაახსენდა. ცხადია, კომუნისტებს იგი კვლავაც არ ენდობოდა და ხვდებოდა, რომ ადრე თუ გვიან ისევ მოუწევდა მათთან ომი, მაგრამ ეს მოგვიანებით... ასე მოხდა ის, რაც სტალინს ყველაზე მეტად უნდოდა ჩინელებისგან – შეიკრა ერთიანი ანტიიაპონური ფრონტი. ჩანგმა კომუნისტებს ტერიტორიაც გამოუყო და ფინანსებიც. აპრილში სტალინმა გენერალისიმუსის შვილს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა.

რამდენიმე თვეში კი, როგორც იტყვიან, მოსახდენი მოხდა. 1937 წლის 7 ივლისს ერთ-ერთი იაპონური შენაერთი პეკინიდან დასავლეთით ოციოდე კილომეტრში ე.წ. მარკო პოლოს ხიდთან ჩინური მხარის გაუფრთხილებლად წვრთნებს ატარებდა. ჩინელებმა გადაწყვიტეს, რომ იაპონელები შეტევაზე გადავიდნენ და სროლა ატეხეს. იაპონელებმაც, ცხადია, სროლით უპასუხეს. შემდეგ ორივე მხარემ მოიბოდიშა, 11 ივლისს მხარეები დაზავდნენ და ინციდენტიც ჩაცხრა. მსგავსი შეტაკებები პერიოდულად ხდებოდა ხოლმე და მარკო პოლოს ხიდთან თითქოსდა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

მაგრამ მოულოდნელად ჩანგმა განაცხადა, რომ 11 ივლისის დაზავებას არ ცნობდა. მეორე დღესვე მან თავის ჯარს ტანგკუს დაზავებით შექმნილი დემილიტარიზებული ზონისკენ დაძვრა უბრძანა. 17 ივლისს კი საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა და ცხრა სახელმწიფოს შეთანხმების ხელმომწერებს დახმარებისათვის მიმართა. ტოკიოში ჩინელებთან ახალი ომი დიდად არ სჭირდებოდათ, რადგან ერჩიათ, ჯარი საბჭოთა კავშირზე მიეშვათ, ჩანგთან კი როგორმე გარიგებულიყვნენ. მაგრამ გადაწყდა, პეკინთან განლაგებული გარნიზონი მაინც გაემაგრებინათ. როცა ამის შემდეგ ჩინელებმა დემილიტარიზებული ზონის დატოვება იუარეს, იაპონელები შეტევაზე გადავიდნენ და 28 ივლისს პეკინი აიღეს, მალე კი ტიენცინი მიაყოლეს. პარალელურად, ტოკიომ გენერალისიმუსს სამშვიდობო შეთანხმება შესთავაზა, ოღონდ მძიმე პირობებით: დემილიტარიზებულ ზონაში პეკინისა და ტიენცინის ჩართვა, მანჯუკუოს ცნობა და კომუნისტების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა. მაგრამ ჩანგს არაფრის გაგონება არ სურდა. მას გერმანელი სამხედრო მრჩევლები არწმუნებდნენ, ჩინური ჯარი უკვე ისეთი ძლიერია, იაპონელებს, სულ ცოტა, დიდი კედლის იქით განვდევნითო. ჩანგის უარით გაოგნებულმა იაპონელებმა მას შედარებით რბილი პირო-

ბები შესთავაზეს: ჩინეთის ჩრდილო პროვინციებზე (ცხადია, მანჯურიის გამოკლებით) მისი მთავრობის სუვერენიტეტის ცნობა, ოღონდ იმ პირობით, თუკი იქაურობას ტოკიოსადმი „მეგობრულად განწყობილი" ადმინისტრაცია გადაიბარებდა.

გენერალისიმუსს ახალი პირობების წესიერად გააზრება ვერც მოესწრო, როცა ახალი ინციდენტი მოხდა: ანტიიაპონურად განწყობილმა ერთ-ერთმა ჩინელმა მეთაურმა შანხაის მახლობლად სამხედრო პროვოკაციები მოაწყო, რის პასუხადაც ტოკიომ ქალაქისკენ დამატებითი შენაერთები დაძრა. ჩანგი შანხაის დასაცავად გაემზადა და, პარალელურად, სტალინს ურთიერთდახმარების პაქტი შესთავაზა. ცხრა სახელმწიფოს შეთანხმების ხელმომწერებისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის ლიდერი მას მაშინვე გამოეხმაურა. ურთიერთდახმარების პაქტზე სტალინმა უარი თქვა (რადგან ეს საბჭოთა კავშირს იაპონიასთან ომში გახვევდა) და სანაცვლოდ თავდაუსხმელობის პაქტი შესთავაზა, რომელიც 21 აგვისტოს გაფორმდა. მოგვიანებით ჩანგის მთავრობასა და მოსკოვს შორის დამატებით ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ჩინეთი სამხედრო დახმარებას იღებდა. იმ პერიოდში სტალინმა ესპანეთიდან სამხედროების დიდი ნაწილი გამოიხმო და მათი დიდი ნაწილი სწორედ ჩინეთში გაამწესა. 1937 წლის ბოლოს ჩინელებს 500-მდე საბჭოთა პილოტი ეხმარებოდა. სტალინმა მათ ტანკები და არტილერიაც მიაშველა. ცხადია, არა უსასყიდლოდ – ჩანგი ამას მოსკოვიდან მიღებული სესხით ყიდულობდა, ოღონდ იმ პირობით, რომ შეიარაღების, სულ მცირე, მეხუთედს კომუნისტები მიიღებდნენ.

რაც შეეხება კომუნისტების ომში მონაწილეობას, ეს საკითხი აგვისტოს ბოლოს განიხილეს ჩინური პოლიტბიუროს სხდომაზე და ოთხდღიანი ცხარე კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ კომუნისტთა არმია იაპონელებთან პირდაპირ შეტაკებებს უნდა მორიდებოდა და პარტიზანული ომი ეწარმოებინა, ცენტრალური სარდლობიდან მიღებულ მითითებებს კი ყასიდად დამორჩილებოდა. ამ იდეის ავტორი მაო იყო. მთელი ომის განმავლობაში კომუნისტები ამ სტრატეგიით მოქმედებდნენ და, შედეგად, მთელი სიმძიმე, თანმხლები შედეგებით, ჩანგის ჯარებზე გადადიოდა. ამას კარგად ხედავდა ყველა, მით უმეტეს, ჩანგი, მაგრამ რახან მოსკოვიდან დახმარება ესაჭიროებოდა, ხმას არ იღებდა.

შანხაის დასაცავად ჩანგმა 700 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის გერმანელების გაწვრთნილი შენაერთები გადაისროლა. მას არა მხოლოდ

ქალაქის დაცვა სურდა, არამედ, ასევე, ჩრდილოეთ პროვინციებიდან იაპონელთა ყურადღების სადმე სხვაგან გადატანა. საქმე ისაა, რომ მთელ ჩრდილოეთზე იაპონელთა გაბატონების შემთხვევაში ჩინეთი საბჭოთა კავშირს ლოგისტიკურად მოწყდებოდა. გენერალისიმუსს იმის იმედიც ჰქონდა, რომ შანხაიში თავიანთი ეკონომიკური ინტერესების გამო დასავლეთის ქვეყნები გამოფხიზლდებოდნენ და რამით დაეხმარებოდნენ. ცხადია, ამაოდ. ცხრა სახელმწიფოს შეთანხმების ხელმომწერები ნოემბერში კი შეიკრიბნენ, მაგრამ არაფერი არ მოუმოქმედებიათ. ამასობაში კი იაპონელებმა თანდათანობით მომხვდურთა წინააღმდეგობა გატეხეს და 13 ნოემბერს ქალაქი აიღეს. შანხაისათვის ბრძოლას შეეწირა გერმანელთა მიერ გაწვრთნილი ჯარის დიდი ნაწილი და ვამპოაში გამოზრდილი ათასობით ჩინელი ოფიცერი. იაპონელთა დანაკარგი დაახლოებით ხუთჯერ ნაკლები იყო. მათი სამხედრო მანქანა ჩინურს კვლავაც ბევრად ჯობდა.

ბუნებრივია, რომ შანხაის შემდეგ იაპონელებმა ნანკინგზე გაილაშქრეს. ჩანგს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი დედაქალაქის დაცვა, მაგრამ ეს შანხაის შენარჩუნებაზე კიდევ უფრო რთული ამოცანა გამოდგა. ნანკინგი 13 დეკემბერს დაეცა და მის დაცვას 70 ათასი ჩინელი სამხედრო შეეწირა. იაპონელებმა თვენახევრიანი ორგია მოაწყვეს და იქამდე არნახული და არგაგონილი მხეცობები დაატრიალეს; მოკლეს დაახლოებით 300 ათასამდე სამოქალაქო და გააუპატიურეს უამრავი ქალი და ბავშვი. როგორც გაირკვა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. საბრძოლო მოქმედებების დროს იაპონელები შეუბრალებლად ბომბავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, იყენებდნენ ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს (მათ შორის, რწყილების მეშვეობით ავრცელებდნენ ქოლერასა და ციმბირის წყლულს), ტყვეებზე გამაყუჩებლის გარეშე ატარებდნენ სამედიცინო ექსპერიმენტებს... ყოველივე ამის ფონზე იაპონური პროპაგანდა აცხადებდა, რომ ტოკიო ჩინეთს არაფერს ერჩოდა და რომ მიმდინარე ომის მიზანი ჩინეთისა და მთელი აღმოსავლეთ აზიის დასავლური იმპერიალიზმისაგან გათავისუფლება იყო. აზია აზიელებს!

მაგრამ განსაცდელის ჟამს ჩანგმა საოცარი შეუპოვრობა გამოიჩინა და თავის ხალხს მიმართა, დედაქალაქის დაცემის მიუხედავად გამარჯვების იმედი არ დაეკარგათ. „ომის ბედი წყდება არა ნანკინგში ან რომელიმე სხვა ქალაქში, არამედ ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის სოფლებში“, – განაცხადა გენერალისიმუსმა, რომელიც დარწმუნებული

იყო, რომ იაპონელები ჩინეთის გაკონტროლებას ვერანაირად ვერ შეძლებდნენ და, ადრე თუ გვიან, კისერს წაიტეხდნენ, როგორც იტეხდნენ ხოლმე ადრე სხვა დამპყრობლები.

1938 წლის დასაწყისში ტოკიომ ჩანგს დაზავება შესთავაზა, მაგრამ გენერალისიმუსი კვლავაც უარზე იყო. იაპონელებმაც დაასკვნეს, რომ მასთან მოლაპარაკებას აზრი აღარ ჰქონდა და წინსვლა გააგრძელეს. ჩანგმა დედაქალაქი ჯერ ჰანკოუში, ბოლოს კი ჩუნგკინგში გადაიტანა. იაპონელთა შესაფერხებლად იგი არანაირ მსხვერპლს არ ერიდებოდა და 1938 წლის ივნისში ყვითელ მდინარეზე ჯებირები ააფეთქებინა. ამან მტერი კი შეანელა, მაგრამ 800 ათასზე მეტი ჩინელი იმსხვერპლა.

ასე დაიწყო ჩინეთ-იაპონიის ახალი ომი. თუკი გავითვალისწინებთ, რომ მეორე მსოფლიო ომი საბოლოოდ მხოლოდ იაპონიის დამარცხებით დასრულდა, ლოგიკურია ვთქვათ, რომ იგი დაიწყო არა 1939 წლის სექტემბერში, არამედ 1937 წლის ივლისში. არადა, ეს ალბათ არ მოხდებოდა, რომ არა ჩანგის გატაცება შანსის პროვინციაში...

ევროპის ესპანური სარკე

1937 წლის 30 იანვარს ფიურერმა რაიხსტაგისადმი მორიგ მიმართვაში მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ გერმანია ვერსალის ხელშეკრულებიდან გადიოდა. ცხადია, ეს მხოლოდ სიმბოლური ჟესტიღა იყო, რადგან ვერსალი ისედაც აღარ არსებობდა. გაცილებით უფრო საინტერესო გახლდათ იგივე მიმართვაში განცხადება, რომ „ე.წ. სიურპრიზების დრო დასრულდა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანია საკმარისად მოძლიერებულიყო და შაბათ-კვირის ტრიუკები აღარ ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, როგორც გაირკვა, ჰიტლერს გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელი 1937 წელი გერმანიის შემდგომი გაძლიერებისათვის მოეხმარებინა. ეს პირველ რიგში შეიარაღებულ ძალებს ეხებოდა, რომლებიც ძლიერებით იმავე საფრანგეთს კვლავაც საგრძნობლად ჩამორჩებოდა. პარალელურად, შენდებოდა სინთეტიკური საწვავისა და რეზინის ქარხნები, რაც, ცხადია, იმაზე მიანიშნებდა, რომ მესამე რაიხი ომისათვის ემზადებოდა. ამ საქმეში ჰიტლერს ეხმარებოდა ესპანეთიც, სადაც ახალი გერმანული ტექნიკა გადიოდა გამოცდას და მეომრებიც იწრთობოდნენ. დახმარების სანაცვლოდ რაიხი ნაციონალისტთა მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან დიდძალ რკინასა და სხვა ნედლეულს ეზიდებოდა.

1936 წელს სტარტი აიღო ე.წ. ოთხწლიანმა გეგმამ, რომელსაც გერმანია ეკონომიკურად თვითკმარ ერთეულად უნდა ექცია. თვითკმარობისკენ სწრაფვაც, ცხადია, ომისთვის მზადებას ნიშნავდა.

იმ დროისათვის ფრანკო უკვე კარგად იყო მომარაგებული. განსაკუთრებულ გულუხვობას ამ მხრივ მუსოლინი იჩენდა, რომელმაც 1936 წლის ბოლოს ნაციონალისტებს დამატებითი ძალები მიაშველა და სანაცვლოდ ფრანკოსგან დაპირება მიიღო, რომ ხმელთაშუა ზღვაში იტალიის პოლიტიკას ხელს შეუწყობდა. ესპანეთში მყოფი იტალიელი მეომრების ოდენობა 40 ათასს აჭარბებდა. ეს უკვე დუჩესაც საკმარისად მოეჩვენა და გადაწყვიტა, რომ დადგა დრო, ინგლისისა და საფრანგეთის ახალ ინიციატივებს დათანხმებოდა. ამას გერმანელებმაც აუბეს მხარი და შედეგად არჩარევის კომიტეტში გადაწყდა შეიარაღებისა და მოხალისეების არდაშვების მიზნით ესპანეთთან საზღვრებზე კონტროლის დაწესება და ზღვაზე ერთობლივი პატრულირება. პატრულირების სქემა მარტის დასაწყისში შეთანხმდა. ამან, რასაკვირველია, ხელი ვერ შეუშალა ფრანკოს, წინსვლა გაეგრძელებინა. მალე იგი იტალიელთა დახმარებით ისევ დაიძრა მადრიდისაკენ და დედაქალაქის ალყაში მოქცევა სცადა, მაგრამ იტალიელები სასტიკად ჩაფლავდნენ და 23 მარტს ნაციონალისტებმა მძიმე მარცხი იწვნიეს. დუჩე ისე გაცოფდა, რომ ბრძანა, სანამ ფრანკო არ გაიმარჯვებს, ესპანეთიდან ცოცხლად დაბრუნება არავინ გაბედოსო. რესპუბლიკელებმა კი ერთა ლიგაში იტალიური რეგულარული არმიის მონაწილეობის მტკიცებულებები გადააგზავნეს. მაისში ამ ამბის განხილვაც დაიწყეს, მაგრამ ამას არაფერი მოჰყოლია. რესპუბლიკელებს ევროპიდან მხოლოდ საბჭოთა კავშირმა დაუჭირა უპირობოდ მხარი.

ფრანკო მიხვდა, რომ მადრიდის აღებისათვის მზად არ იყო და ბასკეთზე გადაერთო. მისი ბრძანებით, 31 მარტს მოლა შეტევაზე გადავიდა. ბასკებს სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ რესპუბლიკა ჰქონდათ გამოცხადებული. მხარს ისინი მადრიდს უჭერდნენ, მაგრამ, ამავე დროს, დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ. შესაბამისად, კაუდილიოს მათთან ომისათვის საკმარისზე მეტი მიზეზი ჰქონდა. ნაციონალისტები იოლად მიიწევდნენ წინ და ბასკეთის აღება ალბათ ისევე ჩაივლიდა, როგორც ჩაიარა სხვა რეგიონების აღებამ. მაგრამ აპრილის ბოლოს გერმანულმა ავიაციამ ქალაქი გერნიკა დაბომბა, რამაც მალე მთელი მსოფლიო შეძრა. გერნიკა პატარა ქალაქი იყო და დაბომბვის შედეგად არც ისე ბევრი დაღუპულა. ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს გაცილებით უარესები

ხდებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ გერნიკას დაბომბვას ნახატი მიუძღვნა პიკასომ. ნახატი რესპუბლიკელთა მთავრობამ მაისის ბოლოს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე გაიტანა და პროპაგანდისტულ ომში კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. მით უმეტეს, რომ ნაციონალისტები ბრალს უარყოფდნენ და ბრიყვულად ამტკიცებდნენ, გერნიკა თავად ბასკებმა მისცეს ცეცხლსო.

ბასკური კამპანია სხვა რამეებითაც იყო საინტერესო. 3 ივნისს სანხურხოს ბედი გაიზიარა მოლამ: მისი თვითმფრინავიც ჩამოვარდა და შედეგად, ფრანკოს კიდევ ერთი კონკურენტი ჩამოშორდა. თუმცა კაუდილიოს მანამდე უკვე მოესწრო თავისი პოზიციების კიდევ უფრო მეტად გამყარება; 19 აპრილს მან ყველა პარტია და პოლიტიკური მოძრაობა გააერთიანა და საკუთარი ფრთის ქვეშ მოაქცია. კარლისტებიცა და ფალანგისტებიც დიდად ბედნიერები არ იყვნენ და მათმა ზოგიერთმა ლიდერმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ მაროკოში გამოწრთობილი, იდეოლოგიებისადმი გულგრილი და პრაგმატული კაუდილიო მათ იოლად გაუმკლავდა. მოლას დაღუპვის შემდეგ კი იგი თვითმფრინავს აღარ გაჰკარებია. სამოქალაქო ომის ბედი საბოლოოდ ალბათ სწორედ მაშინ გადაწყდა, რადგან დაპირისპირებული ბანაკებიდან ერთ-ერთში სრული მობილიზაცია მოხდა.

19 ივნისს ბილბაო დაეცა და ბასკეთის რესპუბლიკამაც ამით დაასრულა არსებობა. კამპანიამ არა მხოლოდ ნაციონალისტთა რეპუტაციას დაარტყა, არამედ სერიოზული განხეთქილება შეიტანა კათოლიკურ ეკლესიაშიც, რომელიც, ცხადია, მანამდე ძირითადად ამბოხებულებს უჭერდა მხარს. პაპი პიუს XI კომუნისტების გამო რესპუბლიკელებს გმობდა, მაგრამ, ამავე დროს, ყოველთვის ერიდებოდა უშუალოდ ბასკების დაგმობას, რომლებიც ესპანეთში ყველაზე ღრმად მორწმუნე ხალხად მიიჩნეოდა. ნაციონალისტების, გერმანელებისა და იტალიელების ხელით ბასკების ხოცვა-ჟლეტამ პაპი და მთლიანად კათოლიკური ეკლესია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

ეკლესიაზე უფრო მეტად შეკრული და ერთსულოვანი იყო მწერალთა სამყარო, რომლის უდიდესი ნაწილი რესპუბლიკელთა მხარეზე იდგა. ივლისში ვალენსიამ, ბარსელონამ და მადრიდმა მწერალთა კონგრესს უმასპინძლეს, რომელსაც დაესწრნენ ჰემინგუეი, პაბლო ნერუდა, ანდრე მალრო, სტალინის მიერ ესპანეთში კორესპონდენტად მივლენილი ილია ერენბურგი და უამრავი სხვა. კონგრესის ერთ-ერთი მიზანი ანდრე ჟიდის

გაკიცხვა-გასამართლება იყო. ჟიდმა საბჭოთა კავშირში თავის მოგზაურობას წიგნი („დაბრუნება საბჭოთა კავშირში“) უძღვნა, რომელშიც „მუშათა და გლეხთა სამოთხე“ სასტიკად გააკრიტიკა. ამის გამო იგი საბჭოთა კავშირში „ფაშისტად“ გამოაცხადეს და მოსკოვში დიდი სურვილი ჰქონდათ, მწერალთა კონგრესზეც იგივე მომხდარიყო. მაგრამ ჟიდი მისმა თანამემამულე მალრომ დაიცვა. ეს უკანასკნელი რესპუბლიკელთათვის საფრანგეთიდან შეიარაღების მიწოდების ორგანიზატორი იყო და ამის წყალობით სხვა მწერლებზე მეტად ეთქმოდა სიტყვა.

ცხადია, მოსკოვი ესპანეთში მხოლოდ ჟიდის წინააღმდეგ ბრძოლით არ კმაყოფილდებოდა. საბჭოთა დაზვერვის აგენტს, ესპანეთში „ტაიმსის“ კორესპონდენტის რანგში მყოფ, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა კიმ ფილბის ფრანკოს მკვლელობა დაევალა. მომავალში მე-20 საუკუნის სუპერჯაშუშად შერაცხულ ფილბის ბევრი რამის ნიჭი ჰქონდა, მაგრამ მკვლელობებსა და ტერაქტებში ნამდვილად ვერ გამოდგებოდა. ეს მოსკოვშიც მალე გაიაზრეს. კაუდილიოს ლიკვიდაცია ვერ გამოვიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, შედგა ანტისტალინისტური მარქსისტული პარტიის ლიკვიდაცია. საუბარია 1935 წელს შექმნილ „პოუმზე“ (POUM – ესპანურად „მარქსისტული გაერთიანების მუშათა პარტია“), რომელსაც სათავეში ედგა ტროცკის ყოფილი მდივანი ანდრეუ ნინი. დიდი ხანი იყო, რაც ნინს ტროცკისთან კარგი ურთიერთობა აღარ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ტროცკი „პოუმს“ სასტიკად აკრიტიკებდა (მისეულ მაღალ სტანდარტებს ხომ ვერცერთი პოლიტიკური პარტია ვერ აკმაყოფილებდა). მაგრამ სტალინისათვის, ტროცკისთან ერთად თუ ტროცკის გარეშე, მისი მოწინააღმდეგე პარტიის არსებობა კატეგორიულად მიუღებელი იყო. მით უფრო, რომ „პოუმის“ ბევრი რიგითი წევრი ტროცკიზე ჭკუას კარგავდა.

„პოუმის“ გასრესის დრო მაისში დადგა, როცა ბარსელონაში („პოუმის“ მთავარი ბუდე და დასაყრდენი) მასა და ანარქისტებს ადგილობრივი კომუნისტები და სოციალისტთა მთავრობა დაუპირისპირდნენ. დაპირისპირება, რომელიც ნაწილობრივ „ენკავედეს“ (საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) აგენტურის მიერ იყო პროვოცირებული, შეიარაღებულ დაპირისპირებასა და ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა. მალე „ენკავედეს“ აგენტებმა შეთითხნეს ნაცისტების აგენტის მიერ ფრანკოსთვის მიწერილი წერილი, რომელშიც ვითომ აგენტი იუწყებოდა, რომ „ნინი წარმატებით ჩაინერგა „პოუმში“. შემდეგ

მათ ისე მოაწყვეს, რომ წერილი პოლიციას ჩაუვარდა ხელში სხვა ყალბ დოკუმენტებთან ერთად, რომელიც „პოუმს“ უთხრიდა ძირს. პარალელურად „პოუმზე“ გულისშემძვრელი სტატიები გამოაქვეყნა „პრავდამ“. შედეგად, პარტია აკრძალეს, ნინი კი დააპატიმრეს. მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა. მოსკოვში არ სურდათ, ნინს სასამართლოზე თავისი სიმართლის დამტკიცების შანსი მისცემოდა, ამიტომ „ენკავედელეებმა“ იგი ციხიდან მოიტაცეს და აწამეს, რათა ეღიარებინა, რომ „ფაშისტების აგენტი“ იყო. ნინმა სასწაულებრივი ვაჟკაცობა გამოავლინა და აღიარებაზე უარი თქვა. 20 ივნისს იგი მოკლეს. შემდეგ „ენკავედემ“ კიდევ ერთი დოკუმენტი შეთითხნა: ვითომცდა ნინის მიერ დაწერილი ანტიტროცკისტული პამფლეტი. ოპერაციის ბოლო აკორდად იქცა „ენკავედეს“ მიერ ხმების გავრცელება, რომ „პოუმის“ ლიდერი ციხიდან გერმანელებმა გამოიხსნეს.

პარალელურად, სტალინი „მტრებთან“ ბრძოლას საბჭოთა კავშირის შიგნითაც აგრძელებდა. სწორედ იმ დღეებში მოსკოვში დახვრიტეს და გაასამართლეს ერთ-ერთი უნიჭიერესი საბჭოთა მარშალი მიხეილ ტუხაჩევსკი და კიდევ ათამდე გენერალი. მათ ტროცკისტობა და „გერმანიის აგენტობა“ დაბრალდათ. ერთი წლის შემდეგ მათ გზას ბლიუხერიც გაუყენეს. საბჭოთა არმიაში ჩატარებულ რეპრესიებს საბოლოოდ ხუთიდან სამი მარშალი, 15-დან 12 არმიის გენერალი, 57-დან 50 კორპუსის მეთაური, 186-დან 154 დივიზიის მეთაური და ასევე ცხრიდან რვა ადმირალი ემსხვერპლა. 1941 წელს გერმანელთა მიერ საბჭოთა არმიის გადათელვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო. რთული სათქმელია, რა იდგა სტალინის პარანოიის უკან, რასაც იმ წლებში უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. ბევრი ამტკიცებს, რომ ბელადზე ცოლის თვითმკვლელობამ იმოქმედა მძიმედ. მაგრამ თუ ასეა, მაშინ სტალინის ფსიქიკას მეტად შენელებული რეაქციები ჰქონია (ნადეჟდას თვითმკვლელობიდან ხომ იმ დროისთვის ხუთი წელი იყო გასული). მიზეზი უფრო ზოგადი ხასიათის უნდა იყოს: სტალინი ბავშვობიდან გადარჩენისათვის ბრძოლას გახლდათ მიჩვეული და გასაკვირი არ არის, რომ მისნაირ ადამიანს პარანოია გაუმძაფრდა, როცა საბჭოთა კავშირს ერთი მხრიდან გერმანია ემუქრებოდა, მეორე მხრიდან – იაპონია. ამ ყველაფერს კი ტროცკი ემატებოდა, რომელიც ბელადს დაუნდობლად აკრიტიკებდა და სერიოზულად ურტყამდა მის რეპუტაციას მთელი მსოფლიოს მემარცხენეთა თვალში.

„პოუმის“ განადგურებას კი უკვალოდ არ ჩაუვლია. ნინის გაუჩინარებამ რესპუბლიკურ ესპანეთში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. დადიოდა ხმები, რომ ნინი ციხეში მოკლეს და მთავრობაც პროტესტს პროტესტზე იღებდა. ოფიციალურმა მადრიდმა პასუხად მხოლოდ ის მოახერხა, რომ „ენკავედეს“ მიერ გავრცელებულ ჭორს დაუჭირა მხარი და განაცხადა, ნინი გერმანელებმა გაიტაცესო. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ალბათ ისაა, რომ 1937 წლის მაისში „პოუმის“ მხარეს იბრძოდა ვინმე ერიკ ბლერი. მან საკუთარი თვალით იხილა ადგილობრივი კომუნისტებისა და „ენკავედეს“ მხეცობები და ერთ-ერთ ბრძოლაში თვითონაც დაიჭრა. „პოუმის“ აკრძალვის შემდეგ ბლერი თავის სამშობლოს, ინგლისს დაუბრუნდა. 1945 წელს კი თავისი პირველი ანტიუტოპიური რომანი გამოაქვეყნა, რომელშიც ალეგორიულად მიწასთან გაასწორა კომუნისტები და საბჭოთა კავშირი. რომანს „ცხოველების ფერმა“ უწოდა, თავისთვის კი ფსევდონიმად ჯორჯ ორუელი შეარჩია.

ამასობაში, არჩარევის კომიტეტის წევრი ქვეყნების მიერ საზღვაო პატრულირება ტრაგიკომიკური სცენარით ვითარდებოდა. მაისის ბოლოს გერმანელებმა რესპუბლიკელებს თავიანთ ხომალდებზე თავდასხმა დააბრალეს და როგორც პატრულირებიდან, ასევე არჩარევის კომიტეტიდანაც გავიდნენ. მათ იტალიაც მიჰყვა. ცოტა ხანში ორივე დაუბრუნდა კომიტეტსაც და პატრულირებასაც. მაგრამ ივნისში გერმანიამ კიდევ ერთხელ მოიმიზეზა მის ხომალდებზე თავდასხმა და იტალიასთან ერთად პატრულირება ისევ შეაჩერა, თუმცა ამჯერად ორივენი კომიტეტში დარჩნენ. აგვისტოში კომიტეტი შეიკრიბა და დაადგინა, რომ პატრულირება გაწეულ ხარჯებს არანაირად არ ამართლებდა. გადაწყდა, რომ სანაცვლოდ პორტებში დამკვირვებლები განეთავსებინათ. მაგრამ საზღვაო ტრაგიკომედია ამით არ დასრულებულა. იმავე პერიოდში ფრანკომ დუჩეს თხოვნით მიმართა, საქმეში თავისი წყალქვეშა ფლოტი ჩაერთო და დაეტერორებინა რესპუბლიკელთა კუთვნილი და საბჭოთა გემები (ასევე ნებისმიერი სხვა გემი, რომელიც რესპუბლიკელებს ამარაგებდა). დუჩე დათანხმდა. მისი წყალქვეშა ფლოტი 83 ნავს ითვლიდა და იმხანად ყველაზე დიდი იყო (საფრანგეთს 76 ჰყავდა, ინგლისს – 57). შესაბამისად, დადგა დრო, იგი საქმეში გამოეცადა. იტალიური წყალქვეშა ნავების მეთაურებს ებრძანათ, ზედაპირზე ამოსვლისას ესპანური დროშა აღემართათ.

ფლოტი საქმეს შეუდგა და ერთი თვის განმავლობაში არაერთი გემი

ჩაძირა. ლონდონსა და პარიზში იტალიელთა პირდაპირ კრიტიკას მოერიდნენ და კონფერენციის მოწვევის იდეა წამოაყენეს, რომელსაც ზღვაზე შექმნილ ვითარებაზე უნდა ემსჯელა. 6 სექტემბერს ჟენევის ტბაზე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების (ესპანეთის გამოკლებით) და ასევე გერმანიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. რამდენიმე დღეში გერმანელებმა და იტალიელებმა განაცხადეს, რომ მსგავსი საკითხების გახილვა არჩარევის კომიტეტში ჯობდა, და კონფერენცია დატოვეს; მაგრამ სხვებმა მუშაობა გააგრძელეს და გადაწყვიტეს, რომ წყალქვეშა ნავებისგან დასაცავად პატრულირებას საფრანგეთი და ინგლისი გასწევდნენ. დუჩე ამაზე გაცოფდა, მაგრამ არც ისე დიდი ხნით. ლონდონსა და პარიზში მისი განაწყენება არ სურდათ და სექტემბრის ბოლოს იტალიელებს თავიანთი საზღვაო ზონა უბოძეს (საიდანაც ისინი ფრანკოს უპრობლემოდ ეხმარებოდნენ). ჟენევაში ხუმრობდნენ, მუსოლინიმ წესით უცნობ წყალქვეშა ნავს ძეგლი უნდა დაუდგასო. მალე ნაციონალისტებმა იტალიისგან წყალქვეშა ნავები შეიძინეს და თავად შეუდგნენ ზღვაზე ტერორს.

რესპუბლიკელებს პატრულირება თავიდანვე არ მოსწონდათ, რადგან ეს მათ და ნაციონალისტებს თანაბრად ზღუდავდა. ზაფხულში მათი ლიდერები პარიზს ჩავიდნენ და იქაურ მთავრობას შეევედრნენ, იქნებ არჩარევის პოლიტიკას გადახედოთო. იმ დროისათვის მოსკოვი მათ ძველებურად ვეღარ ამარაგებდა ნაწილობრივ ჩინეთის და ნაწილობრივ ზღვაზე არსებული ვითარების გამო. ამას ისიც ემატებოდა, რომ პორტუგალიამ საზღვარი გახსნა. პორტუგალიელთა პასუხად ფრანგებიც დაფიქრდნენ საზღვრის გახსნაზე, მაგრამ ინგლისის შიშით ვერ გაბედეს. ბლუმი (იმ დროს საფრანგეთის ვიცეპრემიერი) სასოწარკვეთისგან ცრემლებს ღვრიდა. ნოემბერში, ინგლისელთა მხრიდან წაყრუების შედეგად, ფრანგებმა, როგორც იქნა, საზღვარი გახსნეს. მაგრამ 1938 წლის იანვარში მათთან მთავრობა შეიცვალა, მინისტრთა კაბინეტში სოციალისტები ვეღარ მოხვდნენ და ახალმა ხელისუფლებამ საზღვარი ისევ ჩაკეტა.

შემოდგომიდან მოყოლებული, ნაციონალისტთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა. იმ დროისათვის მათ გერმანიისგან ახალი „მესერშმიტები“ მიიღეს, რომლებიც საბჭოთა თვითმფრინავებს ბევრად ჯობდა, და ამის წყალობით ჰაერშიც გაბატონდნენ. 1937 წლის ბოლოს ფრანკომ მთელი ჩრდილოეთი დაიკავა და ვალენსიისკენ წავიდა; რესპუბლიკელთა მთავრობაც უკვე ბარსელონაში გადაბარგდა. 1938 წლის

მარტში საფრანგეთს პრემიერ-მინისტრად ისევ ბლუმი მოევლინა. მან საზღვარი გახსნა და ამჯერად სიხარულისგან აქვითინდა. მაგრამ ეს საქმეს ვეღარ შველოდა. აპრილში ფრანკოს ჯარმა რესპუბლიკელთა მიერ კონტროლირებადი ტერიტორია ორად გაჭრა და კატალონია იზოლაციაში მოაქცია. რესპუბლიკელებმა სამშვიდობო მოლაპარაკებები სცადეს, მაგრამ კაუდილიო შეუვალი იყო: არავითარი მოლაპარაკებები, მხოლოდ უპირობო კაპიტულაციაო. პიკასო და ჰემინგუეი საქმეს ვერ შველოდნენ.

კონსოლიდაცია გერმანულად

1937 წლის 25 სექტემბერს დუჩე გერმანიას ეწვია. მასა და ფიურერს შორის მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები არ გამართულა. ჰიტლერს უბრალოდ სტუმრის მოხიბვლა ჰქონდა მიზნად დასახული. დუჩეს თითქმის მთელი გერმანია მოატარეს. მან იხილა ჯარის მანევრები, აგუგუნებული სამხედრო ქარხნები, SS-ის პარადი. იტალიელთა ლიდერმა ბერლინში ზეიმზე შეკრებილ ხალხის მასას თავისი ჩიქორთული, შვეიცარიაში ნასწავლი გერმანულით მიმართა და, საბოლოოდ, მესამე რაიხით აღტაცებული დაბრუნდა სამშობლოში. მალე დუჩემ ებრაელების დევნა-შევიწროებაც დაიწყო. 6 ნოემბერს კი ანტიკომინტერნულ პაქტს მიუერთდა და რომში საამისოდ ჩასულ რიბენტროპს მოახსენა, რომ ავსტრია დიდად აღარ აინტერესებდა (არადა, ჯერ კიდევ იმავე წლის იანვარში მასა და გერინგს შორის საუბარი სერიოზულად დაიძაბა, როცა გერმანელმა შესაძლო ანშლუსზე წამოიწყო საუბარი). საინტერესოა, რომ ჩიანომ ანტიკომინტერნულ პაქტში ფრანკოს შეთრევაც მოინდომა; მაგრამ კაუდილიო გაცილებით ჭკვიანი იყო, ვიდრე მაშინ ბევრს ეგონა. იგი კარგად ხვდებოდა, რომ გერმანელებისა და იტალიელებისგან დახმარება უნდა მიეღო, მაგრამ, ამავე დროს, არც ინგლისელები და ფრანგები არ უნდა გადაეკიდებინა.

სწორედ იმ პერიოდში ინგლისელებმა სამოქალაქო ომის მონაწილეებს ახალი გეგმა შესთავაზეს, რომელიც მოხალისეთა დიდი ნაწილის გაყვანას ითვალისწინებდა. ფრანკო გულმოწყალედ დათანხმდა ამ კიდევ ერთ არაფრისმომცემ ინიციატივას და ლონდონთან ქულები ჩაიწერა. ასეთ ფონზე გერმანიასა და იტალიასთან უფრო მეტად დაახლოება მას არაფერში სჭირდებოდა.

რომიდან სასიამოვნო სიახლეების მიღებამდე 5 ნოემბერს ჰიტლერმა გამართა თავის კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ბლომბერგი, ნოირატი, გერინგი, არმიის მთავარსარდალი ბარონ ვერნერ ფონ ფრიჩი და ფლოტის მთავარსარდალი ადმირალი ერიხ რადერი. თათბირმა ოთხ საათზე მეტს გასტანა და დამსწრეები სრულ შოკში ჩააგდო. ფიურერმა მათ განუცხადა, რომ გერმანიას სასიცოცხლოდ სჭირდებოდა ლებენსრაუმი და იგი აუცილებლად უნდა მოეპოვებინა. ოღონდ უნდა მოეპოვებინა ევროპაში და არა სადმე აფრიკასა თუ აზიაში (ზოგადად ჰიტლერი კოლონიების ქონას საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა). ამ გზაზე რაიხს აუცილებლად გადაეღობებოდნენ ინგლისი და საფრანგეთი, მაგრამ მათი დამარცხება შეუძლებელი ამოცანა არ იყო. ინგლისს სუსტი ადგილები ჰქონდა ირლანდიისა და ინდოეთის სახით და ასევე ჰყავდა მეტოქეები ზღვაზე – იტალია და იაპონია. საფრანგეთს ამდენი სუსტი ადგილი არ ჰქონდა, მაგრამ მას შიდაპოლიტიკური წინააღმდეგობები ხლეჩდა. ომი გარდაუვალი იყო და მისი ძალიან შორს გადადება არანაირად არ შეიძლებოდა. მაგალითად, 1943 უკვე გვიანი იქნებოდა, რადგან გერმანული შეიარაღება იმ დროისათვის მოძველდებოდა. შესაბამისად, გერმანია ხელსაყრელ მომენტს უნდა დალოდებოდა და დაუყოვნებლივ ემოქმედა. მაგალითად, თუკი საფრანგეთი შიდა პრობლემების გამო კიდევ უფრო მეტად დასუსტდებოდა, რაიხს სასწრაფოდ უნდა დაერტყა ჩეხოსლოვაკიისათვის. ამის შემდეგ პოლონეთი კიდევ უფრო მორჩილი გახდებოდა და მისი მხრიდან აღარანაირი საფრთხე აღარ წამოვიდოდა (ვარშავას ხომ ფორმალურად კვლავაც აკავშირებდა საფრანგეთთან ალიანსი). ჩეხოსლოვაკიას ალბათ არც ფრანგები და არც ინგლისელები არ დაიცავდნენ. ფრანგები ინგლისის გარეშე ვერაფერს გაბედავდნენ. ჩეხოსლოვაკიის და ავსტრიის შემოერთება რაიხისათვის აუცილებელი იყო. საბჭოთა კავშირი იაპონიის შიშით მას ამაში ხელს ვერ შეუშლიდა. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობდა შანსი, რომ ავსტრია იტალიას დაეცვა. ამ ყველაფრის ფონზე გერმანიის ინტერესს ესპანეთში ომის გაჭიანურება წარმოადგენდა, რადგან ამას იტალიის ხარჯზე საფრანგეთისა და ინგლისის ყურადღება ცენტრალური ევროპიდან სხვაგან გადაჰქონდა. თუკი იტალია მათთან ომში ჩაებმებოდა, მით უკეთესი – გერმანიას კიდევ უფრო მეტად გაეხსნებოდა ხელ-ფეხი ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის წინააღმდეგ. იდეალურ შემთხვევაში რაიხი ომისთვის 1938 წელს უნდა ყოფილიყო მზად, ყვე-

ლაზე გვიან კი – 1943 წელს. რაც უნდა უცნაური იყოს, ებრაელებსა და ბოლშევიკებზე ჰიტლერს სიტყვაც არ დაუძრავს და საბჭოთა კავშირიც, როგორც ვნახეთ, სულ ერთხელ ახსენა.

გაოგნებულმა ბლომბერგმა და ფრიჩმა ხმის ამოღება და გაპროტესტება გაბედეს. არც ნოირატი ჩანდა დიდად ბედნიერი. „მაინ კამპფი“ რომ მთლად ფანტაზია და პროპაგანდა არ იყო, ისინი უკვე კარგად ხვდებოდნენ, მაგრამ მოსმენილმა მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა, რადგან ფიურერი საფრანგეთთან და ინგლისთან ომს ლამის აუცილებლობად მიიჩნევდა. გერმანია ხომ ჯერ კიდევ არ იყო მზად დიდი ომისათვის და ასეთი ამბიციური გეგმები მას სერიოზულ ხიფათს უქადდა. ფიურერს სამხედროების შეპასუხება ნამდვილად არ ეამა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეეწინააღმდეგნენ, არამედ იმიტომაც, რომ თავისი გეგმების რეალიზაციისათვის სამხედრო ელიტის მხარდაჭერა ძალიან სჭირდებოდა. ბლომბერგისა და ფრიჩის თანამდებობებიდან დათხოვნა ასე იოლი არ იქნებოდა – მათ ჯარში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ. გარდა ამისა, იმ დროისათვის თანამდებობიდან წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა კიდევ ერთ პოპულარულ მინისტრს, შახტს (იგი შეიარაღებულ ძალებზე არნახული თანხების ხარჯვას აპროტესტებდა). ჰიტლერი ამ ამბავს არ ახმაურებდა, რადგან იცოდა, რომ მესამე რაიხის ეკონომიკური სასწაულის მთავარი შემოქმედის გადადგომას ცუდი გამოხმაურება მოჰყვებოდა.

ნოირატი თანდათანობით ჩამოშორდა საქმეს. 5 ნოემბრის თათბირის შემდეგ მას ზედიზედ რამდენიმე გულის შეტევა დაემართა და საგარეო სამინისტრო მალე საბოლოოდ გადაიბარა რიბენტროპმა – ნაკლებად მცოდნემ, მაგრამ ფიურერის უსიტყვოდ ერთგულმა. მანამდე იგი ერთხანს ინგლისში ელჩად მსახურობდა. როცა ნაცისტთა ლიდერების ფონზე სულიერად შედარებით ჯანსაღმა გერინგმა მბრძანებელს ურჩია, რიბენტროპი ლონდონში არ გაეშვა, ჰიტლერმა მას უპასუხა, რატომაც არა, იქ ხომ ბევრს იცნობსო. „კი, ჩემო ფიურერო, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ისინიც იცნობენ“, – უპასუხა გერინგმა. იგი ნამდვილად მართალი გამოდგა. რიბენტროპმა ინგლისში თავი იმით გამოიჩინა, რომ მეფეს ნაცისტური ხელის აწევით ესალმებოდა ხოლმე. ურთიერთობა თითქმის ვერავისთან დაალაგა და, შედეგად, ინგლისელები შესძულდა. პარალელურად ფიურერს არწმუნებდა, რომ მეფე (ედუარდ VIII) რაიხის თაყვანისმცემელი იყო და ებრაელები სძულდა. როცა ედუარდი ორგზის

განათხოვარი ამერიკელი უოლის სიმპსონის გამო ტახტიდან გადადგა, რიბენტროპმა ჰიტლერი დაარწმუნა, ეს ყველაფერი ებრაელებმა და მასონებმა გააკეთეს ჩვენს ჯიბრზეო. რიბენტროპს განათლებისა და პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გებელსიც დასცინოდა იმის გამო, რომ სახელში არისტოკრატული ფონ-ის ჩასამატებლად თავისი დეიდა დაარწმუნა, იგი ეშვილა.

საგარეო და ეკონომიკის მინისტრების პოზიციას ჰიტლერის გეგმებისათვის არც ისე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ნოირატსა და შახტს მალე ბლომბერგი და ფრიჩიც მიჰყვნენ. 60 წელს მიტანებულ ბლომბერგს, ქვრივსა და ხუთი შვილის მამას, უგონოდ შეუყვარდა თავისი მდივანი და 1938 წლის იანვარში მასზე იქორწინა კიდეც. ცერემონიალს ჰიტლერი და გერინგიც დაესწრნენ ნეფის მხრიდან მოწმეებად. სულ მალე კი გვარიანი სკანდალი აგორდა; გაირკვა, რომ ბლომბერგის ცოლი წარსულში მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონი ბრძანდებოდა და პოლიციის აღრიცხვაზეც კი იმყოფებოდა. ჰიტლერის რეაქცია ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს: გარდა იმისა, რომ მისმა ფელდმარშალმა და თავდაცვის მინისტრმა „ბოზზე იქორწინა“, თვითონ იგი ამ ქორწილში მოწმის სტატუსით იმყოფებოდა. იანვარშივე ბლომბერგი თანამდებობიდან გადააყენეს. ცოლს იგი აღარ გაშორებია და მასთან ერთად მალე ბავარიის ერთ პატარა სოფელში დასახლდა. შეიარაღებულ ძალებში დაბრუნება არ ღირსებია, მაგრამ გულუხვი კომპენსაცია და ფელდმარშლის პენსია მიიღო. ცოლის წყალობით კარიერა ნაადრევად და სამარცხვინოდ დაასრულა, მაგრამ, სამაგიეროდ, ცოლისავე წყალობით მეორე მსოფლიო ომის კოშმარებს გადაურჩა.


რაც შეეხება ფრიჩს, რომელიც, წესით, ბლომბერგის წასვლის შემდეგ თავდაცვის მინისტრობის ყველაზე რეალური კანდიდატი იყო, მას მავანმა ჰომოსექსუალობა დააბრალა. გენერალმა ბრალდება უარყო, მაგრამ 3 თებერვალს პოსტი მაინც დაატოვებინეს. მოგვიანებით მან თავისი სიმართლე დაამტკიცა და ისიც გაირკვა, რომ ბრალმდებელი მართლაც იცნობდა ვიღაც ჰომოსექსუალს, მაგრამ ამ უკანასკნელის გვარი ფრიში იყო და არა ფრიჩი. მთელი ეს პროვოკაცია გესტაპომ (რაიხის საიდუმლო პოლიცია) მოაწყო, სადაც ფრიჩი-ფრიშის დეტალებიც მშვენივრად იცოდნენ. ფრიჩი, როგორც ნამდვილი გერმანელი ოფიცერი, გესტაპოსა და SS-ს ზიზღით უყურებდა და ამიტომ მის თავიდან მოშორებაზე უკვე დიდი ხანი იყო, რაც თვით ჰიმლერი ოცნებობდა. რახან ჰიმლერის

ოცნებებს ფიურერის სურვილიც დაემთხვა, გენერალი განწირული იყო. ცხადია, გამართლების მიუხედავად მისი პოსტზე აღდგენა ჰიტლერს არც უფიქრია. გამწარებული ფრიჩი ხან ჰიმლერის დუელში გამოწვევაზე, ხანაც სამხედრო გადატრიალების მოწყობაზე ფიქრობდა. გადატრიალების იდეას მისმა რამდენიმე კოლეგამ რაღაც ხნით მხარი აუბა, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. რადერი და მით უფრო გერინგი ფიურერის უსაზღვროდ ერთგულები იყვნენ და მხოლოდ არმიის იმედზე ყოფნა არ შეიძლებოდა; მით უმეტეს, რომ არც იქიდან იყო სრული მხარდაჭერა გარანტირებული. სამოქალაქო ომის დაწყება კი არავის სურდა.


უკვე 4 თებერვალს კი ფიურერმა ახალი ტრიუკი ჩაატარა, ოღონდ ამჯერად საშინაო ფრონტზე – შეიარაღებულ ძალებს თავად ჩაუდგა სათავეში. იქამდე იგი უმაღლესი მთავარსარდალი კი იყო, მაგრამ ახლა თავდაცვის მინისტრის ფუნქციებიც შეითავსა. თავდაცვის სამინისტრო წარსულს ჩაბარდა და მის ნაცვლად შეიარაღებული ძალების (ვერმახტის) უმაღლესი სარდლობა გაჩნდა სათავეში ფიურერით. ამგვარად, წარსულს ჩაბარდა ოდესღაც ბლომბერგთან დადებული გარიგება, რომ ჰიტლერი სამხედროთა საქმეებში არ ჩაერეოდა. შეიარაღებულ ძალებში ახალი იერარქია შეიქმნა, რომელშიც ჰიტლერის შემდეგ მისი შტაბის უფროსი მოდიოდა. ეს პოსტი ფიურერმა მონასავით მორჩილ ვილჰელმ კაიტელს ჩააბარა. ფრიჩის ადგილას კაიტელთან შედარებით უკეთესი კადრი – ვალტერ ფონ ბრაუხიჩი დანიშნა. სამხედრო ელიტა უკმაყოფილებას ვერ მალავდა, რის პასუხადაც ფიურერმა კიდევ 16 გენერალი დაითხოვა. გერინგი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ბლომბერგის ადგილს დაიკავებდა, ფიურერმა ფელდმარშლად აქცია. ასე და ამგვარად დაიმორჩილა მან შეიარაღებული ძალები – გერმანიის ხერხემალი და ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტი. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მისი ბოლომდე გატეხვა და დამონება მაინც ვერ შეძლო და არაერთხელ დადგა გადაგდების საფრთხის წინაშე. ფრიჩისა და მისი კოლეგების მხრიდან გადატრიალების იდეასთან თამაში ჯერ მხოლოდ თამაში იყო...

სამხედროების გარდა ჰიტლერი დიპლომატებსაც დაერია. მან ნოირატი ოფიციალურად დაითხოვა და მასთან ერთად თანამდებობიდან არაერთი ელჩი გაუშვა (ისეთები, რომელთაც საკუთარი აზრი გააჩნდათ), მათ შორის პაპენიც. იქვე ოფიციალურად შახტიც გადააყენა იმ იმედით, რომ მთელ ამ დავიდარაბაში ეკონომიკის მინისტრის წასვლას ძნელად

თუ მიაქცევდა ვინმე ყურადღებას. მოკლედ, 1938 წლის 4 თებერვალი ახალ, ოღონდ უსისხლო გრძელი დანების ღამედ იქცა, რომელიც, არავინ იცის, დადგებოდა თუ არა, თავდაცვის მინისტრს რომ თავისი მდივანი არ მოეყვანა ცოლად. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ 1937 წლის 30 იანვრიდან მოყოლებული ერთწლიანი პერიოდი ნამდვილად გაძლიერებისა და კონსოლიდაციის წელი აღმოჩნდა, მაგრამ არა იმდენად გერმანიის, რამდენადაც პირადად ჰიტლერისათვის. თუმცა, სტალინისგან განსხვავებით (რომლის რეპრესიებმა პიკს სწორედ 1937 წელს მიაღწია) კონსოლიდაციის გეგმას იგი გადაჭარბებით არ ასრულებდა და ყოფილ თანამებრძოლებს თავიდან მოშორების შემდეგ საკმაოდ ღირსეულად ექცეოდა ხოლმე (ბლომბერგს სტალინის ხელში რა ბედი ეწეოდა, ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის). უამრავი ნაკლის მიუხედავად, მას, სტალინისგან განსხვავებით, პარანოია ნაკლებად აწუხებდა. ასევე, სტალინისგან განსხვავებით, არც ისე ფრთხილი იყო და მოთმინების უნარიც ნაკლებად ჰქონდა. უკვე ხომ 1938 წელი იდგა...



მაო (მარჯვნივ) და ჯუ ენ-ლაი (მაოს გვერდით)
„დიდი მარშის" შემდეგ



ჭანგი (მარცხნიდან მეოთხე) ედა ჩიანოსა და ცოლის გარემოცვაში




„ახალგაზრდა მარშალი" და გენერალისიმუსი –
ჭანგი და ჩანგი



მოლა და ფრანკო (ცენტრში)



სცენა ესპანეთის სამოქალაქო ომიდან: ქალები ნაციონალისტ მეომრებს ტყვეთა სიცოცხლეს ავედრებენ



კომუნისტებისა და ანარქისტების მიერ ნაწამები ესპანელი მონაზვნის ფოტოები



ჰემინგუეი (ცენტრში) ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს



ბლუმი და იდენი

თავი 7. ვენიდან მიუნხენამდე

დაბრუნება სამშობლოში

5 თებერვალს ვენიდან სამშობლოში დაბრუნებულმა პაპენმა ფიურერს ბავარიაში, ბერხტესგადენში ააკითხა. ეს იყო ჰიტლერის საყვარელი ადგილი, სადაც იგი 20-იანი წლებიდან მოყოლებული დიდ დროს ატარებდა ხოლმე. პაპენს თავისი მბრძანებელი არც ისე კარგ გუნებაზე დახვდა, რაც, გასული დღეების მოვლენების გათვალისწინებით, გასაკვირი არ იყო. ყოფილმა ელჩმა მოკლედ ჩააბარა ანგარიში და იქვე მოახსენა, ავსტრიის კანცლერს თქვენი ნახვა სურს და იქნებ აქვე, ბერხტესგადენში მოვიწვიოთო. საქმე ისაა, რომ სულ ცოტა ხნით ადრე ავსტრიულმა პოლიციამ ადგილობრივი ნაცისტების შტაბბინაში ამბოხის მოწყობის დეტალური გეგმები აღმოაჩინა. როცა შუშნიგმა ამის თაობაზე პაპენს შესჩივლა, ელჩმა ურჩია, ყველაფერი ჰიტლერთან გაერკვია. თვითონ პაპენი ამბოხებასთან არაფერ შუაში იყო. ის კი არა, მოგვიანებით ირწმუნებოდა, რომ გეგმა მისი ან გერმანიის სამხედრო ატაშეს მკვლელობასაც ითვალისწინებდა, რასაც პასუხად გერმანიიდან ჯარის შემოჭრა უნდა მოჰყოლოდა. მოკლედ, პაპენთან შუშნიგი ბევრს ვერაფერს გაარკვევდა, გასარკვევი თემები კი ბლომად დაგროვდა. დაგეგმილ ამბოხებას რომ თავი დავანებოთ, მთელი გასული წელი გერმანიიდან დაფინანსებული ადგილობრივი ნაცისტები ანტისამთავრობო დემონსტრაციებს და შიგადაშიგ ტერაქტებსაც აწყობდნენ.

როცა ფიურერმა პაპენის შეთავაზება მოისმინა, უეცრად გამოცოცხლდა და ერთი დღის წინ გაგდებულ ელჩს უბრძანა, სასწრაფოდ დაბრუნდი ვენაში და შეხვედრა მოამზადეო. ჩანს, მის ტვინში ახალი გეგმა დაიბადა: ბლომბერგის, ფრიჩისა და შახტის გაშვების გამო მოსალოდნელი არც ისე კარგი რეზონანსის შუშნიგთან „წარმატებული" შეხვედრით გადაფარვა. რაც შეეხება თავად ავსტრიის კანცლერის რეაქციას, პაპენის მოულოდნელმა დაბრუნებამ იგი მაინცდამაინც არ გაახარა. მართალია, ჰიტლერთან რაღაცეები გასარკვევი ჰქონდა, მაგრამ ბერხტესგადენში სტუმრობა რომ მთლად უხიფათო არ იყო, ამას კარგად ხვდებოდა. შუშნიგმაც ჯერ გარანტია მოითხოვა, რომ მომავალი შეხვედრის დროს 1936 წლის 11 ივლისის „ჯენტლმენური შეთანხმება" კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგებოდა და, ამასთან, დაინტერესდა, ფიურერს კონკრეტულად

რა საკითხებზე სურდა საუბარი. ცხადია, ჰიტლერმა „ჯენტლმენური შეთანხმების“ დაცვის გარანტია უპრობლემოდ მისცა. რაზე აპირებდა საუბარს, ეს მაინცდამაინც აღარ დაუკონკრეტებია, მაგრამ პატარა ქვეყნის კანცლერი მიხვდა, რომ ამდენი პრანჭვა აღარ შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ პაპენი არწმუნებდა, ყველაფერი კარგად იქნება, გარანტიას პირადად მე გაძლევო. 11 თებერვალს შუშნიგი თავის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად ბერხტესგადენის გზას დაადგა, რომელიც ავსტრიიდან არც ისე შორს იყო.

შეხვედრა მეორე დილით დაიწყო. პაპენმა სტუმრებს მოახსენა, ფიურერი ძალიან კარგ გუნებაზეაო და მასთან შეუძლია. შუშნიგს, წესით, იმედი უნდა ჰქონოდა, რომ საუბარს მსუბუქი პრეტენზიებით დაიწყებდა და თუკი მართლაც ასე იყო, ილუზიები მალევე გაეფანტა. ჰიტლერმა მას კაიტელი და კიდევ ორი სამხედრო მაღალჩინოსანი დაახვედრა. აქედან ერთ-ერთი ბავარია-ავსტრიის საზღვართან ადგილობრივი არმიის მეთაური და მეორე იმავე რეგიონში საჰაერო ძალების მეთაური იყო. როცა შეცბუნებული შუშნიგი ფიურერთან განმარტოვდა, შეეცადა, საუბარი შემრიგებლურად წაეყვანა და, როგორც კარგად აღზრდილ ადამიანებს შეშვენით, ჯერ ამინდსა და ლამაზ ხედზე ჩამოაგდო სიტყვა. მაგრამ მასპინძელმა მას იქვე შეაწყვეტინა: დიახ, აი, აქ მწიფდება ჩემი იდეები, მაგრამ ჩვენ მაგაზე სასაუბროდ არ მოვსულვართ, ჯობს საქმეზე გადავიდეთო.

და გადავიდა: ავსტრიამ პირობა დაარღვია, ავსტრია გერმანულ საქმეს ღალატობს, ავსტრია ყოველთვის ღალატის პოლიტიკას ატარებდა, გერმანია ამას აღარ მოითმენს, მე ამას აღარ მოვითმენ... გაოგნებული შუშნიგი სიტყვის ჩაგდებას ძლივს ახერხებდა და როცა ახერხებდა, მაშინაც თავს იმართლებდა და ამტკიცებდა, ავსტრია ყოველთვის გერმანიის გვერდით იდგაო. ჰიტლერი მალე მუქარაზე გადავიდა: ავსტრიას ჩემი ჯარი ნამში გადაყლაპავს და თქვენს საშველად არავინ მოვა. არც იტალია, არც ინგლისი და არც საფრანგეთი... („ფრანგებს რაინლანდში ჰქონდათ ჩვენი შეჩერების შანსი, მაგრამ ახლა გვიანია“, – დასძინა მან). როცა შუშნიგმა ბოლოს და ბოლოს მასპინძელს ჰკითხა, ჩვენგან მაინც რას ითხოვთო, პასუხად მიიღო, რომ ამაზე შუადღისას ისაუბრებდნენ. ლანჩის შემდეგ შუშნიგსა და მის მინისტრს პაპენმა და რიბენტროპმა ახალი ორმხრივი შეთანხმების პროექტი დაახვედრეს: ავსტრიისგან ითხოვდნენ ყველა ნაცისტის ამნისტირებას, ნაცისტური პარტიის

ლეგალიზაციას, ორი მონაცისტო ფიგურისათვის უშიშროების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების გადაბარებას, ორი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას და ავსტრიული ეკონომიკის გერმანულ ეკონომიკაში ინტეგრაციისათვის მოსამზადებელი სამუშაოს დაწყებას (რაც კიდევ ერთი მონაცისტო ფიგურის ფინანსთა მინისტრად დანიშვნას ითვალისწინებდა).

შუშნიგი, რომლის გაბედულმა ქმედებებმაც გადაარჩინა ავსტრია ნაცისტურ გადატრიალებას 1934 წელს, კარგად იაზრებდა, რომ ამჯერად მისგან არც მეტი, არც ნაკლები, თავისი ქვეყნის ნაცისტებისათვის მშვიდობიან გადაბარებას ითხოვდნენ. პაპენი მას უბოდიშებდა და უმეორებდა, ასეთ მკაცრ პირობებს მე თვითონაც არ ველოდიო, მაგრამ იქვე უმატებდა, ჯობია, ახლა შეთანხმებას მოაწერო ხელი და მერე უკვე ნურაფრის გეშინია, ამაზე მეტს ფიურერი აღარ მოგთხოვსო. ამის შემდეგ შუშნიგი ისევ მოხვდა ჰიტლერთან, რომელმაც მას უბრძანა, შეთანხმებაზე დაუყონებლივ მოეწერა ხელი და იქ გაწერილი მოთხოვნები სამი დღის განმავლობაში შეესრულებინა, თუ არადა, გერმანული ჯარი იქვე იდგა და ავსტრიაში შესაჭრელად მთავარსარდლის ბრძანებასღა ელოდა. როცა საბრალო კანცლერი შეეპასუხა, რომ ავსტრიული კონსტიტუციით მსგავსი შეთანხმება პრეზიდენტის პრეროგატივას წარმოადგენდა და კანცლერი მოთხოვნების სამ დღეში შესრულების გარანტიას ვერ მისცემდა, გაცოფებულმა ჰიტლერმა კარი გამოაღო და კაიტელს უხმო, შუშნიგს კი უთხრა, შენ გადი და მერე დაგიძახებო. შეშინებული კანცლერი და მისი მინისტრი გარეთ ელოდნენ განაჩენს. ნახევარ საათში ფიურერმა შუშნიგს ისევ უხმო და მოწყალედ ამცნო, რომ შეთანხმების აღსასრულებლად დამატებით კიდევ სამ დღეს აძლევდა. შუშნიგმა ტექსტს ხელი მოაწერა. შემდეგ ჰიტლერს შეჰბედა, იქნებ პრესრელიზი გამოვცეთ, რომელშიც დავადასტურებთ, რომ 1936 წლის შეთანხმების ერთგული ვრჩებითო, მაგრამ მასპინძელმა უპასუხა, რომ პრესრელიზამდე ვენას ახალი შეთანხმება უნდა შეესრულებინა. ამის შემდეგ ჰიტლერმა სტუმრები ვახშამზე მიიპატიჟა, მაგრამ ავსტრიელები, როგორც იტყვიან, უკვე ისედაც ყელამდე იყვნენ პატივისცემით და სასწრაფოდ გასწიეს თავიანთ ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა. პაპენმა სტუმრები გააცილა და თან შესჩიოდა, ახლა ხომ უყურებთ, რა დღეში ვარ, რა რთულია ასეთ ადამიანთან მუშაობაო.

კაიტელი მეორე დღესვე ბერლინში დაბრუნდა და ავსტრიის საზღვა-

რთან იმიტირებული სამხედრო მანევრების დაწყება ბრძანა. ფიურერი ომს აშკარად არ აპირებდა, მაგრამ ავსტრიის შემდგომი დაშინებისათვის კი მზად უნდა ყოფილიყო. ძნელი სათქმელია, რამდენად დააჩქარა ამან შუშნიგი. მან დაბრუნებისთანავე ინახულა პრეზიდენტი ვილჰელმ მიკლასი და მას ყველაფერი აუხსნა. პრეზიდენტი ყველაფერს დათანხმდა გარდა ერთი პუნქტისა – ეს იყო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრად გერმანელების კადრის, არტურ ზაის-ინკვარტის დანიშვნა. როცა შუშნიგმა ბერლინს აცნობა, პრეზიდენტი ამ საკითხში ჯიუტობს, მაგრამ, წესით, მალე დავარწმუნებო. იმიტირებულ მანევრებს ყალბი ახალი ამბები დაემატა: გებელსის პროპაგანდისტულმა მანქანამ დაიწყო ხმების გავრცელება, რომ ავსტრიაში დღე-დღეზე შეიჭრებოდნენ. ეს უკვე საკმარისი აღმოჩნდა მიკლასისათვის და მან 15 თებერვალს შეთანხმებას ხელი მოაწერა. მეორე დღესვე ყველა ნაცისტი ციხიდან გათავისუფლდა და ახალი მინისტრებიც დაინიშნენ.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ავსტრია თანდათანობით, განსაკუთრებული ექსცესების გარეშე მიუერთდებოდა მესამე რაიხს, მაგრამ, მისდა უნებურად, ყველაფერი შუშნიგმა დააჩქარა. იგი ძალიან დააფრთხო 20 თებერვალს ჰიტლერის გამოსვლამ რაიხსტაგში. ჰიტლერმა „ორი მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე“ მცხოვრები გერმანელების შესახებ ისაუბრა და მუქარის ტონით განაცხადა, რომ თანამემამულეების ჩაგვრას აღარ დაუშვებდა. ამ გამოსვლით შეგულიანებულმა ავსტრიელმა ნაცისტებმა მანამდე არნახულად აგრესიული გამოსვლები მოაწყეს, რასაც ზაისის ხელში გადასულმა პოლიციამ ხელი არანაირად არ შეუშალა. პანიკაში ჩავარდნილმა კანცლერმა თავიდან დასახმარებლად სოციალ-დემოკრატებს მიმართა, რომელთა პარტიაც ჯერ კიდევ დოლფუსმა აკრძალა, მაგრამ შემდეგ დაასკვნა (და ალბათ მართებულადაც), რომ ეს საკმარისი არ იქნებოდა, და პლებისციტის ჩატარება გადაწყვიტა, რომელზეც ავსტრიის მოსახლეობას უნდა ეპასუხა შეკითხვაზე – სურდათ თუ არა, მათი ქვეყანა დამოუკიდებელი ყოფილიყო. შუშნიგი მუსოლინის დაუკავშირდა, რომელიც კვლავაც თავის მფარველად მიაჩნდა და ჰკითხა, პლებისციტზე რა აზრის იყო. დუჩემ უპასუხა, რომ ავსტრია ამით დიდ შეცდომას დაუშვებდა, მაგრამ კანცლერი სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავდა და 13 მარტისათვის პლებისციტი მაინც დანიშნა.

ბუნებრივია, ამ სიახლემ ფიურერი ისტერიკაში ჩააგდო და პლებისციტის გამოცხადების მეორე დღესვე (10 მარტს) ავსტრიაში შეჭრა ბრძანა.

პარალელურად, მან დუჩესთან აფრინა წერილი, რადგან ყველაზე მეტად მისი შესაძლო ჩარევის ეშინოდა (დემოკრატიებს რომ ბევრი არაფრის თავი არ ჰქონდათ, მისთვის უკვე აშკარა იყო). ავსტრია და ჩეხოსლოვაკია ჰაბსბურგთა დინასტიის აღდგენას და შემდეგ ერთობლივად რაიხზე დარტყმას გეგმავენო, – წერდა იგი, – მე სხვა გზა არ დამრჩა გარდა იმისა, რომ ჩემს სამშობლოში წესრიგი და კანონიერება აღვადგინო, ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი მხრიდან თავდაცვითი აქტია და ჩემს ადგილას თქვენც ასე მოიქცეოდითო.

11 მარტს შუშნიგმა შეიტყო, რომ საზღვართან გერმანული ჯარები გროვდებოდნენ. მალე მას ისიც აცნობეს, ფიურერი გაცოფებულია და აჯობებს, პლებისციტი სასწრაფოდ გააუქმოო. კანცლერი მიხვდა, რომ სხვა შემთხვევაში ომი არ ასცდებოდა და შუადღეზე ზაისს (ბერლინთან საკონტაქტო პირს) ამცნო, პლებისციტი აღარ გაიმართებაო. ზაისი ტელეფონით გერინგს დაუკავშირდა და სიახლე მოახსენა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ ეს დათმობა უკვე აღარ კმაროდა, ახლა შუშნიგი უნდა გადამდგარიყო და კანცლერის პოსტი მას (ზაისს) დაეკავებინა. იქვე ზაისს ბერლინიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ემისარმა დეპეშის ტექსტი გააცნო, რომელიც ავსტრიელ მინისტრს ჰიტლერისათვის უნდა გაეგზავნა. ტექსტის მიხედვით, ზაისი ფიურერს სთხოვდა, სასწრაფოდ ჯარი მოგვაშველე, რათა ქვეყანაში შექმნილი ქაოსი და სისხლისღვრა აღვკვეთოთო. ზაისს გერმანელ ნაცისტთა ლიდერებთან შედარებით წესიერება ბოლომდე არ დაეკარგა და დეპეშის გაგზავნაზე უარი თქვა: ქაოსი და სისხლისღვრა მხოლოდ გებელსის პროპაგანდისტული მანქანის მიერ შექმნილ, მითურ ავსტრიაში იყო. რეალურ ავსტრიაში კი თუკი სადმე არეულობა ხდებოდა, იმის უკან ისევ ნაცისტები იდგნენ. ამასობაში შუშნიგი ამაოდ ცდილობდა მუსოლინისთან დაკავშირებას და როცა ვერაფერს გახდა, გადადგომას დათანხმდა და ბრძანება გასცა, გერმანელებისათვის წინააღმდეგობა არავის გაეწია. მაგრამ აქ ისევ გაჯიუტდა მიკლასი, რომელსაც არაფრის დიდებით არ სურდა კანცლერად ზაისის დანიშვნა. ამაზე, ცხადია, ზაისთან სატელეფონო კავშირზე მყოფი გერინგი გაცოფდა და შეუთვალა, თუკი მიკლასი ახლავე არ დაგნიშნავს, ჩვენი ჯარი საზღვრებს გადმოლახავსო.

მაგრამ პრეზიდენტი ისევ ჯიუტობდა და ბერლინში გადაწყვიტეს, რომ მასთან ცერემონიებს აზრი აღარ ჰქონდა. ახლა უბრალოდ ჯარი უნდა დაეძრათ და რაც მალე, მით უკეთესი. მით უმეტეს, რომ ამასობაში ავსტ-

რიელმა ნაცისტებმა თითქმის ყველა ქალაქში მოახერხეს სამთავრობო შენობებზე კონტროლის დამყარება. ჰიტლერმა ავსტრიაში შეჭრა იმავე საღამოს (11 მარტს), 8.45-ზე დაგეგმა. რამდენიმე წუთში გერინგი ვენაში თავის ემისარს დაუკავშირდა და უთხრა, ზაისმა ახლავე გამოგზავნოს ის დეპეშა, ან თუ ისევ სინდისი აწუხებს და გამოგზავნა არ უნდა, უბრალოდ შემოგვითვალოს, რომ თანახმააო. ზაისის სინდისს ამდენი უკვე აღარ გაუპროტესტებია და თანხმობა განაცხადა. გვიან საღამოს ჰიტლერს კიდევ უფრო სასიხარულო ამბავი მიუვიდა: დუჩემ შეუთვალა, რომ ავსტრია არ აინტერესებდა და მას ხელს არანაირად არ შეუშლიდა. ფიურერი სიხარულისგან ახალ ისტერიკაში ჩავარდა. გადაეცით მუსოლინის, რომ ამას არასოდეს დავუვიწყებ, არასოდეს, არასოდეს! – ყვიროდა იგი. სიტყვა „არასოდეს" შვიდჯერ მაინც გაიმეორა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ამჯერად თავისი მიცემული პირობის დარღვევას არ აპირებდა.

გერმანული ჯარები ავსტრიისკენ დაიძრნენ. მათი ჯავშანტექნიკის ორ მესამედზე მეტი გზად გაფუჭდა და გაჩერდა. დარჩენილის ნაწილს საწვავი არ ეყო და ავსტრიის ტერიტორიაზე ბენზინგასამართ სადგურებზე მოუწია მარაგის შევსება. საცოდავად გამოიყურებოდა გერმანული კავალერიაც. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევდა, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები, რბილად რომ ვთქვათ, დიდი ომისათვის ჯერ კიდევ არ იყო მზად. მაგრამ ვის უნდა შეემჩნია? საფრანგეთს მაინცდამაინც იმ დროს ავსტრიაში სამხედრო ატაშე არ ჰყავდა. რაც შეეხება ოფიციალური პარიზის რეაქციას, იქ კვლავაც მთავრობა იცვლებოდა და საგარეო პოლიტიკისათვის დიდად არავის ეცალა. დაკომპლექტების პროცესში მყოფმა ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა, ინგლისისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში რეზერვისტების მობილიზაცია გამოეცხადებინა.

მაგრამ ინგლისიდან თანხმობა არ მოსულა. იქ მთავრობას უკვე ნევილ ჩემბერლენი განაგებდა (ოსტინის ნახევარძმა), რომელიც ისტორიაში ჰიტლერის მთავარ დამშოშმინებლად შევიდა. მისი საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი თებერვლის ბოლოს პროტესტის ნიშნად გადადგა, როცა დაინახა, რომ პრემიერ-მინისტრს არც ბერხტესგადენის შეთანხმებაზე ჰქონდა არანაირი რეაქცია და არც ესპანეთში იტალიელთა ჩარევაზე. იდენი ლორდმა ედუარდ ჰალიფაქსმა შეცვალა, კიდევ ერთმა დამშოშმინებელმა, რომელიც ჯერ კიდევ 1937 წლის ნოემბრის ბოლოს ჰიტლერს ეახლა და მოახსენა, ჩვენს მთავრობას გერმანიასთან მეგობრობა

და სტაბილური ევროპა უნდა და საამისოდ მზად ვართ, აღმოსავლეთ ევროპასა და კოლონიებში რაღაცები დაგითმოთო. ფიურერს კოლონიები მაინცდამაინც არ აინტერესებდა, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის გაგონება კი, ცხადია, ძალიან ეამა, მით უმეტეს, რომ ჰალიფაქსი კონკრეტიკაზე გადავიდა და პირდაპირ ახსენა ავსტრია, ჩეხოსლოვაკიის ეთნიკურად გერმანული რეგიონი სუდეტი და ასევე დანციგი. ინგლისელმა იქვე კი დასძინა, რომ ეს საკითხები „მშვიდობიანად" უნდა გადაჭრილიყო, მაგრამ სადაც იგი ამდენს თმობდა სიტყვით, ალბათ უფრო მეტს დათმობდა, როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა. გარდა ამისა, ჰიტლერმა კარგად იცოდა, რაც ხდებოდა ლონდონში ჰალიფაქსის დანიშვნის შემდეგ. იცოდა, რომ ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იტალიელებთან დიალოგი წამოიწყო და მათ ხმელთაშუა ზღვაში თანასწორ პარტნიორობასა და ეთიოპიაში იმპერიის ცნობას შეჰპირდა. ის და ჩემბერლენი, თავიანთ ჭკუაში, ორ კურდღელს იჭერდნენ: თან იტალიასთან ურთიერთობებს აგვარებდნენ და თან იმედი ჰქონდათ, რომ ჰიტლერს ეს ამბავი დააფრთხობდა და აიძულებდა, წესიერად მოქცეულიყო. მაგრამ ფიურერს იტალიელები ყველაფერს ატყობინებდნენ და მან მშვენივრად უწყოდა, რომ ეს იტალიურ-ინგლისური დაახლოება მაინცდამაინც შორს არ მიდიოდა, კონკრეტულად ავსტრიის საკითხს კი არანაირად არ ეხებოდა. ამიტომაც ანშლუსის დროს ინგლისელთა რეაქციაზე მას დიდად არ უნერვიულია. მართლაც, 11 მარტს ჩემბერლენის პროტესტისა და შეშფოთების იქით საქმე არ წასულა.

იტალიის გარდა ბერლინში მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის მხრიდან რეაქცია აშფოთებდათ, რაც ლოგიკური იყო. ავსტრიის გადაყლაპვის შემდეგ ეს ქვეყანა ხომ თითქმის მთლიანად რაიხის ტერიტორიებით გარშემორტყმული აღმოჩნდებოდა. მაგრამ რატომღაც თავად პრაღაში ეს ლოგიკა არ ესმოდათ. 11 მარტის საღამოს, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დუჩესგან ბერლინში სასიხარულო ამბავი მივიდოდა, გერინგმა მიღებაზე ჩეხების დესპანი გამოიჭირა და აუხსნა, რაც ავსტრიაში ხდება, „ოჯახური გარჩევაა" და იმედია, თქვენ არაფერს იზამთო. დესპანი დედაქალაქს დაუკავშირდა და იქიდან არხეინი პასუხი მიიღო: არც არაფერს ვაპირებთო. თუმცა, სადაც ჩეხებმა საკუთარი ქვეყნის დასაცავად არ იომეს, რა გასაკვირია, რომ ავსტრიის გამო არ შეინუხეს თავი. მალე მიკლასმაც შეიგნო, რომ მისი ქვეყნის მშველელი არავინ იყო და ბოლოს და ბოლოს ზაისი კანცლერად დანიშნა. ეს უკანასკნელი გახარებული დაუკავშირდა ბერლინს და ამცნო, ჯარების შემოყვანა საჭირო აღარ

არისო... გარკვეული წესიერების გარდა, გერმანელი ნაცისტებისაგან მას გვარიანი გულუბრყვილობაც გამოარჩევდა.

ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ანშლუსზე სერიოზული რეაგირება მოახდინა, საბჭოთა კავშირი იყო. 17 მარტს მოსკოვმა დიდი სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევა მოითხოვა „ერთა ლიგის ფარგლებში ან ერთა ლიგის გარეთ“ (სტალინმა რეაგირება ძირითადად იმიტომ დააგვიანა, რომ ბუხარინის პროცესზე იყო გადართული, რომელთან ერთად ასევე გაასამართლეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალექსეი რიკოვი, ენკავედეს ყოფილი შეფი გენრიხ იაგოდა და უამრავი სხვა), მაგრამ მალე ლონდონიდან ცივი პასუხი მიიღო; ჩემბერლენმა მსგავსი ნაბიჯი დაუშვებლად გამოაცხადა, აქაოდა, ეს ხელს შეუწყობს გარკვეულ სახელმწიფოთა ექსკლუზიური ჯგუფის შექმნას, რომელთა ხელშიც ევროპაში მშვიდობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებაო. გერმანელებს ჩემბერლენი, უპირველეს ყოვლისა, ხომ იმიტომ ელოლიავებოდა, რომ მათი ხელით ბოლშევიკები შეეკავებინა. შესაბამისად, რა გასაკვირია, რომ დიდი სახელმწიფოების კლუბში საბჭოთა კავშირის მიღება არ სურდა.

რახან ერთა ლიგა მოსკოვში მაინც გაახსენდათ, ალბათ გაჩნდება შეკითხვა, რას აკეთებდა ეს ორგანიზაცია. რას აკეთებდა ან ანშლუსის, ან შემდგომ, ჩეხოსლოვაკიის მარტივ მამრავლებად დაშლის პერიოდში. ამ შეკითხვაზე მრავლისმეტყველ და ამომწურავ პასუხად გამოდგება ინციდენტი 9 მაისს ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე: დამსწრეებმა ის-ის იყო, თავიანთი ადგილები დაიკავეს, რომ აივინიდან ვიღაცამ იყვირა – გაუმარჯოს მშვიდობას, გაუმარჯოს ერთა ლიგას, გაუმარჯოს ევროპის შეერთებულ შტატებსო. იგი მაშინვე დააკავეს და პოლიციას გადასცეს, როგორც „გიჟი“. აბა, მართლაც, 1938 წელს „გაუმარჯოს მშვიდობას“ და „გაუმარჯოს ერთა ლიგას“ რომელი ნორმალური იყვირებდა თუნდაც თავად ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე?

12 მარტს ჰიტლერი თავისი სამშობლოს გზას დაადგა. წყობიდან გამოსული გერმანული ჯავშანტექნიკის დანახვაზე, ცხადია, ისიც გამოვიდა წყობიდან, მაგრამ ხასიათი მალევე გამოუკეთდა იმის ხილვაზე, თუ როგორი აღტაცებით ხვდებოდნენ ავსტრიაში გერმანულ ჯარს და, ზოგადად, გერმანელებს. ფიურერი თავდაპირველად ლინცში ჩავიდა, სადაც ოდესღაც სკოლაში დადიოდა. იქ სიხარულით გაგიჟებული ხალხის წინაშე გულაჩუყებულმა სიტყვა წარმოთქვა, ქალაქთან ახლოს მშობლების საფლავი ყვავილებით შეამკო, მერე კი საკუთარი თავი ავსტ-

რიის პრეზიდენტად დანიშნა და ანშლუსის განხორციელებაც ბრძანა. 10 აპრილისათვის ახალი პლებისციტი დაინიშნა, რომელიც, ავსტრიის პარალელურად, უშუალოდ გერმანიაშიც ჩატარდებოდა. მოქალაქეებს ამჯერად პასუხი უნდა გაეცათ შეკითხვაზე – სურდათ თუ არა ავსტრიის რაიხში გაერთიანება. პლებისციტის პარალელურად რაიხსტაგის ახალი არჩევნებიც დაინიშნა. როგორ ჩაიარა პლებისციტმა და არჩევნებმა, ამაზე ლაპარაკი ალბათ არ ღირს. მანამდე კი ფიურერი 18 მარტს კიდევ ერთხელ გამოვიდა რაიხსტაგში და გერმანელ ხალხს თხოვნით მიმართა, კიდევ ოთხი წელი მაცადეთო. ჩანს, დადებითი ემოციებისგან იმდენად შეძრული იყო, დროებით მეტისმეტად დარბილდა და გადაწყვიტა, რომ ხელისუფლებაში ყოფნისათვის ვინმესგან უნდა აეღო ნებართვა.

გერმანიამ მიისაკუთრა მთელი ქვეყანა თავისი შვიდმილიონიანი მოსახლეობითა და სავალუტო რეზერვებით. თუმცა, ეკონომიკური სარგებელი მხოლოდ სავალუტო რეზერვების მიტაცებით არ შემოიფარგლებიდა. გესტაპოს შეფმა რაინჰარდ ჰაიდრიხმა „ებრაული მიგრაციის ოფისი“ დააარსა, რომელსაც სათავეში კიდევ ერთი კარგად ცნობილი ლინცელი ადოლფ აიხმანი ჩაუდგა. ოფისი მხოლოდ გვარიანი კომპენსაციის სანაცვლოდ აძლევდა ადგილობრივ ებრაელებს ავსტრიიდან გასვლის უფლებას. ვენის ებრაელობის ალბათ ნახევარმა ფულისა და ქონების დათმობის სანაცვლოდ სამშვიდობოს გააღწია. მათ შორის იყვნენ ბარონი როტშილდი და ზიგმუნდ ფროიდი. ვენიდან გაღწევა ვერ მოახერხეს ამ უკანასკნელის დებმა და თითოეული მათგანი საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა – იქ, სადაც ავტომატურად ხვდებოდნენ ავსტრიაში ჩარჩენილი ებრაელები.

კარგი დღე არც იმ არაებრაელებს დაადგათ, რომელთაც ფიურერი განარისხეს. შუშნიგს ვენაში გესტაპოს შტაბბინაში უკრეს თავი და იქ კარგახანს ტუალეტებს ახეხინებდნენ, მოგვიანებით კი ისიც საკონცენტრაციო ბანაკში გაამწესეს ბლუმთან, შახტთან და სხვა პატივცემულ ადამიანებთან ერთად.

ეული დემოკრატია და დამშოშმინებლები

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ტრიუმფით შექმნილი ჩეხოსლოვაკია ერთი შეხედვით სანიმუშო ქვეყანას ჰგავდა. ეს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთადერთი დემოკრატია იყო. ასევე, იმის

წყალობით, რომ ავსტრია-უნგრეთის სამრეწველო პოტენციალის ლამის 80% მის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, ჩეხოსლოვაკია ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაც გახლდათ. მაგრამ ეს მონაცემები ბოლომდე ვერ ფარავდა ერთ დიდ პრობლემას: 13-მილიონიან ქვეყანაში მილიონი უნგრელი, 3.25 მილიონი გერმანელი, ნახევარი მილიონი რუსინი (უკრაინელი) ცხოვრობდა. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე თვალი არა მხოლოდ ჰიტლერს ეჭირა, არამედ უნგრელებსაც და პოლონელებსაც კი (თუმცა პოლონური უმცირესობა ყველაზე უმნიშვნელო იყო). ამას ემატებოდა 2.5 მილიონი სლოვაკი, რომელთაც 1918 წელს ავტონომიას შეჰპირდნენ, მაგრამ პირობა არ შესრულდა. გარდა ამისა, პარიზის კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიური სახელმწიფოს შემოქმედები სხვა უმცირესობებს შვეიცარიის მოდელსაც შეჰპირდნენ, მაგრამ არც ეს პირობა შეუსრულებიათ.

გერმანული უმცირესობის პრობლემამ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იჩინა თავი. 1933 წელსვე ბერლინის დაფინანსებით შეიქმნა სუდეტელ გერმანელთა პარტია ფიზკულტურის მასწავლებელ კონრად ჰანლაინის მეთაურობით, რომელსაც, ბუნებრივია, ანშლუსის შემდეგ ფრთები შეესხა. სუდეტელ გერმანელებზე ავსტრიელ გერმანელთა რაიხში შესვლამ ნარკოტიკივით იმოქმედა და თავადაც იგივე მოუნდათ. მართალია, დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში ისინი აშკარად უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე მათი თანამემამულეები რაიხში, მაგრამ მოჭარბებული ნაციონალისტური სენტიმენტების ფონზე ეს არც ისე ბევრს ახსენდებოდა. ჰანლაინმა უკვე 28 მარტს ჰიტლერისგან დავალება მიიღო: პრაღისთვის პრეტენზიები და მოთხოვნები წაეყენებინა. მოთხოვნები რადიკალური უნდა ყოფილიყო, რათა მთავრობას მათ შესრულებაზე უარი ეთქვა და, ამგვარად, მთელ ევროპას ეხილა, როგორ ჩაგრავდნენ საბრალო გერმანულ უმცირესობას ჩეხები.

იმ დროისათვის ჩეხებს ტომაშ მასარიკი უკვე აღარ ჰყავდათ. ერთი შეხედვით, ეს დიდ ვაკუუმს არ აჩენდა, რადგან პირველი პრეზიდენტის ადგილი მის თანამებრძოლსა და ჩეხოსლოვაკიის თანაშემოქმედს, განათლებულ და დახვეწილ ბენეშს დაეკავებინა, მეტად გამოცდილ და წარმატებულ დიპლომატს. წესით, ქვეყანა ამაზე უკეთეს ლიდერს ვერ ინატრებდა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ბენეში დაახლოებით ისეთივე უნაკლო აღმოჩნდა, როგორი უნაკლოც ჩანდა მისი ქვეყანა. იგი სასიამოვნოდ მოსაგონარ, ოცი წლის წინანდელ წარსულში იყო ჩარჩენილი, იმ დროში, როცა ჩეხოსლოვაკია შეიქმნა და როცა ევროპაში

ამინდს საფრანგეთი და ინგლისი განსაზღვრავდნენ. 1938 წელს, ანშლუსის შემდეგაც კი ბენეშს ვერ გაეაზრებინა, რომ ევროპაში სხვა ვითარება დამდგარიყო. როგორც ჭეშმარიტი პროდასავლელი, იგი არა მხოლოდ ჯიუტად ებღაუჭებოდა იმედს, რომ დემოკრატიები მის ქვეყანას დაიცავდნენ, საბჭოთა კავშირის მხრიდან სამხედრო დახმარების მიღებაზე კი ფიქრიც არ სურდა. თუმცა მოსკოვისადმი მის დამოკიდებულებას ჩეხთა დიდი ნაწილიც იზიარებდა. მათთვის, თუკი საქმე არჩევანზე მიდგებოდა, სტალინს ისევ ჰიტლერი ჯობდა.

ლონდონისა და პარიზის იმედად მყოფი ბენეში უშიშრად ჩაება სუდეტელ გერმანელებთან დიალოგში. იგი ფიქრობდა, რომ რაც უფრო მეტს იხმაურებდა ჰანლაინი, მით უფრო დიდ ყურადღებას მიაქცევდნენ ჩეხოსლოვაკიას ინგლისელები და ფრანგები. სხვა თუ არაფერი, ამ უკანასკნელებს პრაღასთან ალიანსი აკავშირებდათ. საფრანგეთი, წესით, იმდენად მაინც არ იყო დაბეჩავებული, რომ თავისივე ხელმოწერილ ხელშეკრულებაზე ყველას დასანახად უარი ეთქვა.

საფრანგეთს კი ამ დროს მორიგი ახალი მთავრობა ჰყავდა. აქ არ იგულისხმება ბლუმის მთავრობა, რომელიც 1938 წლის მარტში დაბრუნდა ხელისუფლებაში. მან ერთი თვეც ვერ გაძლო და ბლუმი ჩვენთვის უკვე ნაცნობმა დალადიემ შეცვალა. ეს იყო ადამიანი, რომელსაც გულწრფელად სურდა საფრანგეთის ღირსების დაცვა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში საამისოდ სიმტკიცე არ ჰყოფნიდა ხოლმე. ჩანს, პირველი მსოფლიო ომის დროს სანგრებში მიღებული მძიმე გამოცდილება ახსენებდა თავს. სამაგიეროდ, გაცილებით უფრო თანმიმდევრული გახლდათ საფრანგეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ბონე: ის ღირსებას საჭიროების შემთხვევაში მარტივად თმობდა და ამის გამო არანაირი სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ორივენი იმაზე დაფიქრდნენ, რომ ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთთან ალიანსები მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა და ამ ქვეყნებთან სამხედრო კონსულტაციები არასოდეს გამართულა. ისინი თავიანთ წინამორბედებზე უფრო ხშირად იყურებოდნენ ლონდონისაკენ და თავში არ მოსდიოდათ, რომ საკუთარ თავზე აეღოთ რაიმე.

1938 წლის აპრილში ჯერ კიდევ არაფერი მოასწავებდა მომავალ კატასტროფას. მოლაპარაკებებში გამობრძმედილი ბენეში მთელი თვის განმავლობაში სუდეტელებს ოსტატურად ეთამაშებოდა. 16 აპრილს კი ინგლისელებმა იტალიასთან დაპირებული შეთანხმება გააფორმეს

ხმელთაშუა ზღვაზე თანამშრომლობის თაობაზე (სანაცვლოდ კიდევ ერთი დაპირება მიიღეს, რომ დუჩე ესპანეთიდან თავის ჯარს გაიყვანდა), რამაც ჰიტლერი სერიოზულად შეაშფოთა. მან სასწრაფოდ გასწია იტალიისკენ და მიუხედავად იმისა, რომ იქ ერთი კვირა დაყო, მაინც ვერ მიიღო ის, რაც სურდა – დუჩეს მხარდაჭერა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ შესაძლო ომში. მაგრამ, როგორც მალევე აღმოაჩინა, ეს მხარდაჭერა დიდად არც სჭირდებოდა...

არ სჭირდებოდა, რადგან 24 აპრილს ბენეშმა თავის ჭკუაში საწადელს მიაღწია. მასთან კამათით დაღლილმა ჰანლაინმა საჯაროდ განაცხადა, ჩეხოსლოვაკია „ერების სახელმწიფოდ" უნდა იქცეს და საგარეო პოლიტიკა გერმანიის ინტერესებს უნდა დაუქვემდებაროსო. ბენეშს იმედი ჰქონდა, რომ სუდეტელების ეს გამოხდომა ფრანგებსა და ინგლისელებს გამოაფხიზლებდა. ფრანგები მართლაც ამოძრავდნენ და 28 აპრილს დალადიე და ბონე ლონდონს ესტუმრნენ. მაგრამ რაც იქ მოისმინეს, ბონესთვისაც კი შოკი აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ინგლისი კონტინენტზე ორი დივიზიის გასაგზავნადაც კი არ იყო მზად. არც საფრანგეთთან ზღვაზე თანამშრომლობის გაფართოებას აპირებდა, რადგან ეს იტალიას გააღიზიანებდა. რაც შეეხებოდა მთავარ საკითხს – ჰიტლერის პრეტენზიებს ჩეხოსლოვაკიის მიმართ – ჩემბერლენის აზრით, გერმანიის შეჩერებას ისინი მაინც ვერ მოახერხებდნენ და ამიტომ კარგი იქნებოდა, თუკი ფრანგები ბენეშს დათმობაზე დაითანხმებდნენ. მშვიდობა მსხვერპლს მოითხოვდა.

დიახ, მსხვერპლშენირვა და დაშოშმინება უფრო დიდი სიკეთის სახელით. ჩემბერლენს გულწრფელად სწამდა, რომ ჰიტლერი რაციონალური ადამიანი იყო და როცა მისაღებს მიიღებდა, არა მხოლოდ ბოლშევიკებს შეაკავებდა, არამედ ევროპაში მშვიდობის ერთ-ერთ ფორპოსტადაც იქცეოდა. ტროცკი ძალიანაც არ აზვიადებდა, როცა მოგვიანებით ინგლისელთა პრემიერ-მინისტრზე თქვა, ინდოეთის ერთი მეათედის გამო მსოფლიოში დარჩენილ ისედაც ერთ მუჭა დემოკრატიებს თვალის დაუხამხამებლად გასწირავსო. ჰალიფაქსს რაც შეეხება, იგი ამ დროს მომავლისკენ იყურებოდა და სამი მონათესავე ერის – ინგლისის, ამერიკისა და გერმანიის – დაახლოებაზე ოცნებობდა. ასეთი გრანდიოზული პროექტის ფონზე კი, ცხადია, ჩეხოსლოვაკია მეტად უმნიშვნელო წვრილმანად მოჩანდა. ჩემბერლენი და ჰალიფაქსი ამ მხრივ უმცირესობაში ნამდვილად არ იყვნენ. ინგლისში ჩეხოსლოვაკიის ელჩი იან მასარიკი

(პირველი პრეზიდენტის შვილი) ჩიოდა, თემთა პალატაში ჩეხოსლოვაკიას რუკაზე ვერ პოულობენო. როცა მან გეოგრაფიაში გაუთვითცნობიერებლებს თავისი სამშობლო აჩვენა, პასუხად მიიღო, თქვენს ქვეყანას სოსისის ფორმა ჰქონიაო (აშკარა მინიშნებით სოსისების მოყვარულ დიდ მეზობელზე).

დალადიე და ბონე დამოუკიდებლად მოქმედებას მაინც არ აპირებდნენ და ამიტომ ჩემბერლენის შეთავაზებას დაეთანხმნენ. ოღონდ იმ პირობით, რომ, თუკი ჰიტლერი აგრესიაზე უარს მაინც არ იტყოდა, ჩეხოსლოვაკია ერთობლივად დაეცვათ; მაგრამ ინგლისელებს ომში ჩაბმაზე ფიქრიც არ სურდათ. მართალია, კვლავაც არსებობდა 1936 წლის 19 მარტს საფრანგეთისათვის მიცემული გარანტია (იგი ძალაში რჩებოდა, რახან ახალი ლოკარნო არ შედგა), მაგრამ ინგლისელებისათვის იგი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყო ქმედითი და არა ისეთ გარემოებებში, რომლებიც 1938 წელს არსებობდა. ბოლოს ასეთ გამოსავალს მიაგნეს: ფრანგებიცა და ინგლისელებიც ჩეხებს დათმობისაკენ მოუწოდებდნენ, პარალელურად კი ინგლისელები ჰიტლერს დაარწმუნებდნენ, აგრესიაზე ხელი აეღო. თუ ჰიტლერი მათ არ დაუჯერებდა, ინგლისელები გააფრთხილებდნენ, რომ მაშინ საქმეში ფრანგები ჩაერევიან და ამის მერე ვერც ჩვენ შეგპირდებით, რომ განზე გავდგებითო. მოკლედ, გერმანიას ჩეხოსლოვაკიისათვის ტერიტორია უნდა წაერთმია, ოღონდ უნდა წაერთმია „ევროპულად“.

მაგრამ „ევროპულობის“ ეს თამაში ფრანგებისათვის იოლი არ იყო, რადგან ჩეხოსლოვაკიასთან ოდესღაც გაფორმებული ალიანსი ქაღალდზე მაინც არსებობდა. ბონე გამოსავლის პოვნას ცდილობდა და იმედი ჰქონდა, რომ ამაში მოსკოვი „დაეხმარებოდა“. თუკი რუსებს წამოაცდენინებდა, რომ ისინი ჩეხოსლოვაკიას გვერდით ვერ დაუდგებოდნენ, მაშინ ფრანგებიც იოლად მოიხსნიდნენ პასუხისმგებლობას. 12 მაისს ჟენევაში ბონემ ლიტვინოვს შეაპარა, რას აპირებთ, თუკი ჩეხოსლოვაკიისათვის დახმარების აღმოჩენას გადაწყვეტთ და ამ დროს პოლონეთი და რუმინეთი თქვენს ჯარებს არ გაატარებენო. ლიტვინოვმა უპასუხა, რომ ეს პრობლემა, წესით, საფრანგეთს უნდა მოეგვარებინა, როგორც ამ ორი ქვეყნის მოკავშირეს. ბონემ ამაზე მწარედ ამოიოხრა: ჯერ ერთი, ლიტვინოვს ვერაფერი წამოაცდენინა და მეორეც, გაახსენდა, რომ პოლონეთზე გავლენა თითქმის აღარ ჰქონდა. ვეღარც რუმინეთი ჩაითვლებოდა საიმედო მოკავშირედ მას შემდეგ, რაც იქ გერმანიის ზეწოლას დაჰყვნენ და

1936 წლის ბოლოს ტიტულესკუ თანამდებობიდან დაითხოვეს. შახტის წყალობით, რუმინეთი, ისევე როგორც რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანა, სხვა ყველაფერთან ერთად გერმანიაზე ეკონომიკურადაც ძალიან იყო დამოკიდებული.

სულ მალე კი პირველი დიდი კრიზისი დადგა. 20 მაისს ჩეხოსლოვაკიამ მობილიზაცია გამოაცხადა. საინტერესოა ისაა, რომ ვერმახტის უმაღლესმა სარდლობამ სწორედ ამ დღეს წარუდგინა ჰიტლერს ჩეხოსლოვაკიაზე დარტყმის გეგმა. არაა გამორიცხული, რომ გეგმა როგორღაც ჩეხებს ჩაუვარდათ ხელში და მათაც რეაგირება არ დაახანეს. გერმანია რომ მაისში დარტყმას არ აპირებდა, პრაღაში, წესით, იცოდნენ, მაგრამ ალბათ გადაწყვიტეს, რომ მობილიზაციით ჰიტლერს დააშინებდნენ. თუკი ასეა, რაიხის დიქტატორს ისინი ძალიან ცუდად იცნობდნენ. ჩეხოსლოვაკიის მობილიზაციამ მხოლოდ ფრანგები და ინგლისელები შეაშინა. მათ, ერთი მხრივ, ჰიტლერი კი გააფრთხილეს, რომ ჩეხოსლოვაკიაზე დარტყმა ომს ნიშნავდა, მაგრამ მეორე მხრივ არც ჩეხების საქციელს იწონებდნენ. ჰალიფაქსმა ფრანგების ელჩს განუცხადა, რომ მათ მხოლოდ მაშინ დაეხმარებოდნენ, თუკი ჩეხოსლოვაკია არაპროვოცირებული შეტევის მსხვერპლად იქცეოდა. იქიდან კი ბონემ უთხრა ინგლისელების ელჩს, რომ თუკი ჩეხები უგუნურად მოიქცევიან, ჩვენ მათთან ალიანსისგან თავს თავისუფლად ჩავთვლითო. მერე იგივე გერმანიის ელჩსაც გაუმეორა. პანიკა შეიძლება იმანაც გააძლიერა, რომ 20 მაისი შაბათი იყო...

ამასობაში კი ჰიტლერს ლონდონიდან ერთობ დადებითი სიგნალები მისდიოდა. 14 მაისს პრესაში გაჟონა პირად საუბარში ჩემბერლენის გამონათქვამებმა, რომ, თუკი რამე მოხდებოდა, ჩეხოსლოვაკიას არც ინგლისი, არც საფრანგეთი და არც რუსეთი არ დაეხმარებოდნენ. როცა თემთა პალატაში ამაზე შეკითხვები დაუსვეს, ჩემბერლენმა გავრცელებული ხმები არ უარყო. ლონდონში გერმანიის ელჩმა კი ჰალიფაქსთან საუბარში დააფიქსირა, რომ ეს უკანასკნელი დაბეჯითებით არ საუბრობდა ინგლისის ომში ჩაბმაზე; იგი უბრალოდ იმეორებდა, შეუძლებელია წინასწარ ვთქვათ, რომ ინგლისი არ ჩაებმებაო. ფიურერმაც გადაწყვიტა, აღარ გაჩერებულიყო. მისი ბრძანებით 23 მაისს ჩეხების დესპანს განუცხადეს, რომ გერმანიას არანაირი აგრესიული ძრახვები არ ამოძრავებდა. 28 მაისს კი გერმანიის სამხედრო ელიტას უბრძანა, ომისათვის მზადება 2 ოქტომბრამდე დაესრულებინათ.

მაგრამ აქ გერმანელმა სამხედროებმა თავი გამოავლინეს. მათ დიდ

უმრავლესობას ჰიტლერი დიდად გულზე არასოდეს ეხატებოდა, მაგრამ არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ ფიურერმა შეიარაღებული ძალების ასაღორძინებლად ძალიან ბევრი რამ გააკეთა და, ზოგადად, გერმანია ფეხზე დააყენა. ოღონდ აი, ამ ფეხზე დაყენებასაც თავისი საზღვარი ჰქონდა – საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ამჯერად ჰიტლერი თავის ქვეყანას დიდ შარში ხვევდა, რადგან ინგლისთან და საფრანგეთთან ომისათვის გერმანია სრულებით არ იყო მზად. შესაბამისად, თუკი თავად არ გაჩერდებოდა, ჰიტლერი სამხედროებს უნდა შეეჩერებინათ (სხვას ამის ან უნარი ან სურვილი არ გააჩნდა). სამხედრო ელიტაში პირველი ამაზე არმიის გენერალური შტაბის უფროსი ლუდვიგ ბეკი დაფიქრდა. იგი უკვე მაისის ბოლოს ესაუბრა მოსალოდნელ საფრთხეზე თავის უშუალო უფროსს, ბრაუხიჩს, 16 ივლისს კი მემორანდუმი დაწერა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ გერმანია ომისთვის მზად არ იყო და რომ ამ აზრზე იდგა ყველა გენერალი. იმავე დღეებში ბეკმა ბრაუხიჩს იდეა მიაწოდა, თუკი ჰიტლერი მათ არ დაუჯერებდა, პროტესტის ნიშნად მთელი სამხედრო ელიტა გადამდგარიყო. ბრაუხიჩი ყოყმანობდა და მხოლოდ ის გაბედა, რომ ჰიტლერს ბეკის 16 ივლისის მემორანდუმი აჩვენა. ჰიტლერმა პასუხად 10 აგვისტოს უფრო დაბალი რანგის ოფიცრობა შეკრიბა და მათ ტვინი ურეცხა, მაგრამ იქაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომელთაც მიუთითეს, რომ სანამ გერმანია ჩეხოსლოვაკიასთან იომებდა, ფრანგები მას იოლად გადათელავდნენ რაინლანდში, რომელიც წესიერად ჯერ კიდევ არ იყო გამაგრებული. ჰიტლერმა მათ პასუხად გვარიანი ისტერიკა მოუწყო და გასაუბრება ამით დასრულდა.

შეთქმულება

18 აგვისტოს ბეკი გადადგა. ჰიტლერმა ბრძანა, ეს ამბავი არავის გაეხმაურებინა, რადგან არ სურდა, ასეთ კრიტიკულ დროს გერმანიის გარეთ შეეტყოთ, რომ მის ბანაკში განხეთქილება იყო. ბრაუხიჩმა გადადგომა ვერ გაბედა. ბეკი კი ფრანც ჰალდერმა შეცვალა, რომელიც წინამორბედის შიშებს იზიარებდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, მისი დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. დაიბადა სერიოზული შეთქმულებაც, რომელშიც სამხედროთა გარდა ჩართულნი იყვნენ სახელმწიფო მდივანი (საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე) ერნსტ ფონ ვაიცაკერი, აბვერის (სამხედრო დაზვერვა) შეფი ადმირალი ვილჰელმ კანარისი, შახტი, ლაიფციგის

მერი, პრუსიის ფინანსთა მინისტრი, პროფესიონალი დიპლომატები, იურისტები, პოლიციის ოფიცრები და გესტაპოელებიც კი. სამხედროებიდან ბეკისა და ჰალდერის გარდა აღსანიშნავი იყო შეთქმულებაში ბერლინის შემოგარენის, პოტსდამისა და ტურინგიის გარნიზონების სარდლების მონაწილეობა. გადაწყდა ჰიტლერის გადაგდება (და შემდეგ გასამართლება) მაშინვე, როგორც კი იგი ომის დაწყებას ბრძანებდა. საამისოდ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ჰალდერს ენიჭებოდა, რომელსაც, წესით, ომის დაწყების შესახებ 48 საათით ადრე უნდა შეეტყო და შემდეგ ამის შესახებ სასწრაფოდ ეცნობებინა სხვა შეთქმულებისათვის.

ცხადია, შეთქმულებმა არ იცოდნენ, რომ სინამდვილეში ჰიტლერის შეჩერების აუცილებლობა არ არსებობდა. ლონდონში ხომ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიის მიგდება და უბრალოდ ამის ღირსეულ გაფორმებაზე ფიქრობდნენ. თანაც შიშობდნენ, არ დაეგვიანებინათ, რადგან სექტემბრისათვის ნიურმბერგში ნაცისტთა დიდი მიტინგი იყო დანიშნული და ინგლისელები ვარაუდობდნენ, ჰიტლერს გადაწყვეტილი ექნება, ჩეხოსლოვაკიის საკითხი მიტინგის დასრულებამდე (12 სექტემბრამდე) გადაჭრასო. 26 ივლისს ჩემბერლენმა პრაღაში მედიატორად ლორდი ვოლტერ რანსიმენი მიავლინა, როგორც თავად განაცხადა, „ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თხოვნით“ (სიმართლე კი ის იყო, რომ თხოვნის გარდა ბენეშს სხვა გზა არ დაუტოვა). რანსიმენს იქამდე ვაჭრობის საკითხები ებარა და ჩეხოსლოვაკიას რუკაზე ვერც ის პოულობდა. ჩეხების ბედი, მით უმეტეს, არ ადარდებდა და მხოლოდ ერთი რამე იცოდა: ბენეში დათმობებზე უნდა დაეთანხმებინა მას შემდეგ, რაც მას სიჯიუტესა და სუდეტელების დისკრიმინაციაში ამხელდა. ბენეში, ცხადია, ასე მარტივად არ მოტყუვდა; რანსიმენის თვალწინ ჰანლაინს იქით გამოავლენინა სიჯიუტე და გამოაშკარავა, რომ პრაღა მაქსიმალურად კონსტრუქციული იყო, ხოლო სუდეტელები მოლაპარაკებათა საბოტაჟს უფრო ცდილობდნენ, ვიდრე კომპრომისის მიღწევას. რანსიმენი მიხვდა, რომ მისია ჩაუფლავდა, ბენეშმა კიდევ ერთხელ ისიამოვნა თავისი მორიგი უსარგებლო გამარჯვებით, ჩემბერლენი კი იმაზე დაფიქრდა, რომ ღირსეული გაფორმება არც ისე იოლი საქმე იქნებოდა.

შეთქმულებმა ამასობაში ლონდონთან დაკავშირება გადაწყვიტეს. მათ უტყუარი მტკიცებულება სჭირდებოდათ, რომ საფრანგეთი და ინგლისი რაიხს ომს გამოუცხადებდნენ, თუკი ეს უკანასკნელი ჩეხოსლოვაკიაზე გაიწევდა (წინააღმდეგ შემთხვევაში გადატრიალებას აზრი

ეკარგებოდა). პარალელურად, სურდათ ლონდონისათვის ეცნობებინათ, რომ არმიის გენშტაბი ჰიტლერის ავანტიურის წინააღმდეგი იყო და სამოქმედო გეგმაც მზად ჰქონდა. ემისრად ევალდ ფონ კლაისტი (დიდი პოეტის ჩამომავალი) შეირჩა, რომელიც 18 აგვისტოს ჩავიდა ლონდონში. ბერლინში ინგლისელთა ელჩმა ნევილ ჰენდერსონმა, რომელსაც ჩეხები სრულებით არ ადარდებდა, თავის დედაქალაქს აცნობა, მაგ კაცს სერიოზულად ნუ მიიღებთო, მაგრამ, ამის მიუხედავად, კლაისტმა მაინც მოახერხა შეხვედრა საგარეო სამინისტროს მაღალჩინოსან რობერტ ვანსიტარტთან და ჩერჩილთან. ორივეს აცნობა, რომ ჰიტლერის დასამხობად ყველაფერი მზად იყო, მაგრამ თუკი აშკარა გახდებოდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი მოქმედებას არ აპირებდნენ, შეთქმულება ძალას დაკარგავდა. შესაბამისად, ინგლისელებს ერთი რამ მოეთხოვებოდათ: ჰიტლერი ყველას გასაგონად უნდა გაეფრთხილებინათ. ამ შემთხვევაში გენერლებს ხელ-ფეხი გაეხსნებოდათ და ფიურერის დატყვევებას გერმანელი ხალხი არ გააპროტესტებდა. ჩერჩილმა კლაისტს უთხრა, მე პირადად, დარწმუნებული ვარ, რომ ჩეხოსლოვაკიაზე აგრესია ახალ დიდ ომს გამოიწვევს და თქვენებს ასე გადაეცითო. ვანსიტარტმა ყველაფერი მაშინვე გააგებინა ჩემბერლენსაც და ჰალიფაქსსაც. ჩემბერლენმა პასუხად 28 აგვისტოს კონსულტაციებისათვის ჰენდერსონი დაიბარა ლონდონში და დაავალა, ჰიტლერი მკაცრად გააფრთხილებინა. მაგრამ როგორც კი ელჩმა ურჩია, ეს აზრი თავიდან ამოეგდო, ჩემბერლენი მყისვე დაეთანხმა და ამ საკითხზე აღარაფერი უთქვამს. შემდეგ ჰენდერსონს დაავალა, ყველასგან უჩუმრად მასა და ფიურერს შორის „პირადი კონტაქტი“ მოემზადებინა. ამაზე უკვე ელჩმა პრემიერ-მინისტრს გამჭრიახობისათვის ქათინაურები უძღვნა და კმაყოფილი გაბრუნდა გერმანიაში.

შეთქმულებმა, ცხადია, არც ეს იცოდნენ. 21 აგვისტოს ისინი ბერლინში ინგლისის სამხედრო ატაშეს დაუკავშირდნენ და აცნობეს, ჰიტლერი სექტემბრის ბოლოს ომს იწყებს და თუკი თქვენ მტკიცედ დადგებით, მაგ კაცის პრობლემას ჩვენ მოვაგვარებთო. ჰენდერსონი იძულებული იყო, ეს ამბავი ლონდონისთვის ეცნობებინა, მაგრამ იქვე დაუმატა, რომ, მისი აზრით, ეს ყველაფერი პროპაგანდას ჰგავდა. შეთქმულები ხვდებოდნენ, რომ ლონდონს ეძინა და ჰალდერმა 2 სექტემბერს იქ ახალი ემისარი აფრინა, მაგრამ ისიც ვერაფერს გახდა. ბოლოს შეთქმულებმა ლონდონში გერმანიის საელჩო აამუშავეს. იქ ვაიცაკერის პროტეჟე, ელჩის მოვალეობის შემსრულებელი თეოდორ კორდტი ჩაერთო საქმეში.

მან 5 სექტემბერს ჰალიფაქსის ნახვა მოახერხა და ამცნო, რომ 1 ოქტომბერს ჰიტლერი ომს იწყებდა და... დანარჩენი უკვე ვიცით...

მაგრამ სულ ორ დღეში „ტაიმსმა" დაწერა, რომ ჯობდა ჩეხოსლოვაკია უმცირესობებს დამშვიდობებოდა, რადგან ასე ჰომოგენური და, შესაბამისად, უფრო დაცული და ძლიერი გახდებოდა. კორდტი ყველაფერს მიხვდა. მიხვდა, რომ შეთქმულთა ფაფხურს აზრი არ ჰქონდა, რადგან სტატია ჩემბერლენისგან გამოტანილ ინფორმაციას ეყრდნობოდა. შესაბამისად, ლონდონი ჰიტლერის შეჩერებას არ აპირებდა. თავისი ეს ანალიზი ბერლინსაც ამცნო.

10 სექტემბერს ნიურმბერგში ჰიტლერი ისტერიული სიტყვით გამოვიდა ჩეხების, კომუნისტებისა და ებრაელების წინააღმდეგ. 12 სექტემბერს კი პირდაპირ ბენეშს მისდგა, სუდეტელი გერმანელებისათვის სამართლიანობა მოითხოვა და დაიმუქრა, თუკი ეს არ მოხდება, ყველაფერს ჩვენ მივხედავთო. მეორე დღესვე სუდეტელებმა ბენეშთან მოლაპარაკება შეწყვიტეს და ამბოხი მოაწყვეს, მაგრამ ხელისუფლება მათ იოლად გაუმკლავდა და 24 საათში წესრიგი დაამყარა. ჩეხოსლოვაკია ასე იოლად დაშლას არ აპირებდა. ჰანლაინი გერმანიაში გადაიპარა.

ამ დროისათვის ბონემ კიდევ ერთხელ სცადა ჩეხებისგან თავის დაძვრენა და მოსკოვს მიმართა შეკითხვით, იქ რა პოზიციაზე იდგნენ. პასუხმაც არ დაახანა: ერთა ლიგის ქარტიის შესაბამისი მუხლის ამოქმედება, რათა რუმინეთს საბჭოთა ჯარები გაეტარებინა; საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის გენშტაბებს შორის კონსულტაციები; საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და ინგლისის ერთობლივი კონფერენცია, რომელზეც გერმანიის პოლიტიკას დაგმობდნენ. საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიას აუცილებლად დაეხმარებოდა, ოღონდ ჯერ ეს საფრანგეთს უნდა ექნა, როგორც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ბონე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მოსკოვთან არაფერი გამოუვიდოდა და უკვე ინგლისელებს მიმართა რიხიანი შეკითხვით: აპირებთ თუ არა დაგვეხმაროთ, როცა ჩვენ ჩეხოსლოვაკიის დასახმარებლად დავიძვრებითო. ჰალიფაქსმა ინგლისელთათვის დამახასიათებელი პასუხი გასცა: ჯერ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ეს „ჰიპოთეტურ გარემოებებთან" იყო დაკავშირებული. ბონეს პასუხი ეამა: ინგლისი აშკარად არაფერს აპირებდა და, შესაბამისად, საფრანგეთსაც არაფრის გაკეთება არ მოუწევდა. ეს საბოლოოდ 13 სექტემბერს გადაწყდა, როცა სუდეტელთა ამბოხმა ფრანგები გვარიანად ანერვიულა. მთავრობა შეიკრიბა და

მსჯელობდა, რა ელონათ – დახმარებოდნენ თუ არა ჩეხოსლოვაკიას. ხმები ორად გაიყო, თავად დალადიე კი ყოყმანობდა. ბოლოს იგი ისევ ლონდონს დაუკავშირდა და ჩემბერლენს შესთავაზა, იქნებ გერმანელებს შევხვდეთ ერთადო. ჩემბერლენი მიხვდა, რომ ფრანგებმა ბოლოს და ბოლოს ჩეხოსლოვაკიის დაცვაზე ხელი აიღეს და ჰიტლერს ამცნო, თქვენი ნახვა მსურს და გამოსაფრენად მზად ვარო. დალადიეს წაყვანა არც უფიქრია. ამ უკანასკნელს, ცხადია, ეწყინა, რომ უგულებელყვეს, მაგრამ არ გაუპროტესტებია. რეალობამ ყველაფერი ასე მოაწყო: ფრანგები ინგლისელებთან ჩადიოდნენ ინსტრუქციების მისაღებად, ინგლისელები კი – გერმანელებთან.

კაპიტულაცია

15 სექტემბერს ჩემბერლენი ბერხტესგადენში გადაფრინდა. გარდა იმისა, რომ ეს თვითმფრინავით მისი პირველი მგზავრობა იყო, პრემიერ-მინისტრს უზარმაზარი მანძილის გავლა მოუხდა (თვითმფრინავის გარდა მანქანით და მატარებლით). საერთოდ, საგარეო პოლიტიკაში მას დიდი ვერაფერი გამოცდილება ჰქონდა. ის კი არა, ზოგადად, პოლიტიკაშიც გვიან შეაბიჯა; პარლამენტის წევრი 49 წლის ასაკში გახდა და შემდეგ ხან ჯანმრთელობის, ხან ფინანსთა მინისტრი იყო. პრემიერ-მინისტრად მხოლოდ იმიტომ იქცა, რომ ბოლდუინი პენსიაზე გავიდა და ხელისუფლებაში მყოფმა კონსერვატორებმა გადაწყვიტეს, მომავალ არჩევნებამდე ჩემბერლენი დაესვათ პოსტზე. ჰიტლერს ეს დეტალები ნაკლებად აინტერესებდა და აღტაცებული იყო იმ უბრალო ფაქტით, რომ მას ბრიტანეთის იმპერიის გამგებელი უნდა ხლებოდა. დალადიეს არჩასვლა კი გაუკვირდა, მაგრამ მალე იაზრა, რომ ფრანგები ბევრს აღარაფერს წყვეტდნენ და ამიტომ ასე იყო საჭირო. საპატიო სტუმარი იმავე კაბინეტში მიიღო, სადაც მანამდე შუშნიგი გააცამტვერა, და შეხვედრა, ჩვეულებისამებრ, თავისი მონოლოგით დაიწყო. მაგრამ ჩემბერლენი, სხვა თუ არაფერი, ავსტრიისნაირი სუსტი ქვეყნის ლიდერი მაინც არ იყო და მასპინძელს მონოლოგი მალე გააწყვეტინა. ფიურერი გამოფხიზლდა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: დათანხმდება თუ არა ინგლისი თვითგამორკვევის პრინციპზე დაყრდნობით სუდეტის გამოყოფასო. ჩემბერლენს პროტესტი არ გამოუხატავს, მაგრამ უპასუხა, რომ ეს ამბავი თავის მთავრობასა და ფრანგებთან უნდა შეეთანხმებინა. შეხვედრის ბოლოს

პრემიერ-მინისტრმა ჰიტლერისგან პირობა მიიღო, რომ ის ძალას არ მიმართავდა, სანამ საბოლოო თანხმობას არ მიიღებდა. მერე, შეხვედრიდან გამოსულმა სხვებს ამცნო, ფიურერის ნდობა თავისუფლად შეიძლებაო (არადა, შეხვედრამდე მას „ნახევრად გიჟს“ უწოდებდა). ჰიტლერის მიერ საბრალო პრემიერ-მინისტრის მოხიბვლაში გასაკვირი არაფერია. ის გაცილებით უფრო გამოცდილ პოლიტიკოსებსა და ძლიერ პიროვნებებს ახვევდა ხოლმე თავბრუს. ჩერჩილიც კი, რომელიც ფიურერის ყველაზე დაუძინებელ მტრადაა მიჩნეული, 1937 წლის ბოლოს წერდა, ჩემი ქვეყანა რომ დამარცხებული იყოს, მის ფეხზე დასაყენებლად სწორედ ჰიტლერისნაირ ლიდერს ვინატრებდიო. ჩემბერლენისგან განსხვავებით, ჩერჩილს ფიურერი ცოცხლად არასოდეს ენახა.

ჩემბერლენმა თავისი მთავრობისგან თანხმობა იოლად მიიღო და სამშობლოში დაბრუნებულ რანსიმენსაც დაელაპარაკა. ამ უკანასკნელს ბევრი არაფერი რეკომენდაცია არ ჰქონდა. ერთადერთი საინტერესო, რაც პრემიერ-მინისტრს უთხრა, ის იყო, რომ აჯობებდა სუდეტი გერმანიას პლებისციტის გარეშე მიეღო. 18 სექტემბერს ჩემბერლენს ისევ ეახლნენ დალადიე და ბონე. როცა ყველაფერი მოისმინეს, დალადიემ ეჭვი გამოთქვა, რომ ჰიტლერს მხოლოდ სუდეტელების გათავისუფლება კი არა, ჩეხოსლოვაკიის დაშლაც უნდოდა. ჩემბერლენს ამაზე რანსიმენის რჩევა გაახსენდა და უპასუხა, რომ დაშლის თავიდან აცილება შეიძლებოდა, თუკი სუდეტში პლებისციტს არ ჩაატარებდნენ (მით უმეტეს, რომ ეს არც ჩეხებს სურდათ), რათა ეს სხვა უმცირესობებისთვის პრეცედენტად არ ქცეულიყო. დალადიემ დათმო, ოღონდ მოითხოვა, ინგლისს დარჩენილი ჩეხოსლოვაკიისთვის მაინც მიეცა გარანტია. ჩემბერლენს ეს არ ეამა, მაგრამ დათანხმების გარდა სხვა გზა არ ჰქონდა – ის ხომ თავად ირწმუნებოდა, რომ ჰიტლერი რაციონალური იყო და მისი ნდობა შეიძლებოდა. არადა, ჩეხოსლოვაკიის დაცვა სუდეტიანად გაცილებით იოლი იქნებოდა, ვიდრე მის გარეშე. ეს რეგიონი ფორტიფიკაციებისა და მთების წყალობით საუცხოოდ იყო გამაგრებული. სუდეტის ფორტიფიკაციებს მხოლოდ მაჟინოს ხაზი თუ შეედრებოდა. გარდა ამისა, აქ გახლდათ თავმოყრილი ბუნებრივი წიაღისეულისა და ფაბრიკა-ქარხნების დიდი ნაწილი.

მოკლედ, ჯერი ჩეხებზე მიდგა. მათ პლებისციტის გარეშე უნდა დაეთმოთ თავიანთი ტერიტორიის საუკეთესო ნაწილი, რათა „ევროპაში მშვიდობა გადაერჩინათ“. ბენეშმა 19 სექტემბერს მოსკოვს მიმართა

კითხვით, რას იზამდა ეს უკანასკნელი, თუკი ჩეხოსლოვაკიას ფრანგები დაეხმარებოდნენ. ცხადია, პასუხი იყო, რომ მოსკოვიც დაეხმარებოდა. ძნელი სათქმელია, რაში დასჭირდა ეს ბენეშს. შესაძლოა სურდა, რომ საბჭოთა კავშირიდან დადებითი პასუხით ფრანგები აეგდო ნამუსზე (რაც, ცხადია, არ გამოვიდა). შემდეგ საინტერესო რამ მოხდა: ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა მილან ჰოძამ ფრანგებს და ინგლისელებს უთხრა, თქვენი პირობა კი მიუღებელია, მაგრამ თუკი ულტიმატუმის ფორმით მოგვმართავთ, მაშინ სხვა გზა აღარ დაგვრჩებაო. თვითონ ჰოძა მერე ამტკიცებდა, რომ ამით უბრალოდ სურდა შეემოწმებინა, მართლა მიატოვეს თუ არა მოკავშირეებმა ჩეხები. ფრანგებმაც პასუხად 21 სექტემბერს ულტიმატუმი უპრობლემოდ მიართვეს (წერილობით, როგორც ეს ბენეშმა მოითხოვა). როცა ეს ამბავი ზოგიერთმა ფრანგმა მინისტრმა გააპროტესტა, ბონემ მათ უპასუხა, ულტიმატუმი თვითონ ჰოძამ მოითხოვაო. იმავე დღეს პრაღა, დაპირებისამებრ, მოთხოვნებს დათანხმდა.

ცხადია, არც ლონდონსა და არც პარიზში არ იცოდნენ, რომ ჰიტლერს ჩემბერლენი წესიერად გასტუმრებული არც ჰყავდა, როცა ჰანლაინს სუდეტელთა თავისუფალი კორპუსი ჩააბარა და ჩეხოსლოვაკიაში არეულობების მოწყობა დაავალა. 20 სექტემბერს თავად ჰანლაინი სლოვაკ პოლიტიკოსებს შეხვდა და მოუწოდა, ჩეხების მიმართ პრეტენზიები ჩამოეყალიბებინათ. იმავე დღეს ჰიტლერმა უნგრეთის ლიდერები მიიღო და უსაყვედურა, პასიურები ნუ ხართ, ჩეხოსლოვაკიას დროზე მოსთხოვეთ ტერიტორიებიო. ამან თავისი შედეგი გამოიღო; 22 სექტემბერს უნგრელებმა ჩეხოსლოვაკიის საზღვარს ჯარი მიაყენეს და მოსაზღვრე რეგიონში პლებისციტის ჩატარება მოითხოვეს. ერთი დღით ადრე იგივე გააკეთეს პოლონელებმა. ხოლო სუდეტის თავისუფალმა კორპუსმა ჩეხოსლოვაკიის ორი მოსაზღვრე ქალაქი დაიკავა. ყველას თავისი წილის მიღება სურდა, მათ შორის მათაც, ვინც მოგვიანებით გერმანიის მსხვერპლად გამოაცხადა თავი.

22 სექტემბერს ხელდამშვენებულმა ჩემბერლენმა კიდევ ერთხელ გასწია ჰიტლერთან, ამჯერად გოდესბერგში. ყველაფერი კარგად იყო. „თუ პირველ ჯერზე არ დანებდები, გულს ნუ გაიტეხ, კიდევ ბევრჯერ გადაფრინდები", – ასე დასცინოდნენ ენაკვიმატი ინგლისელები თავიანთ პრემიერ-მინისტრს, რომელმაც ფიურერს მოახსენა, რომ გერმანია სუდეტის დიდ ნაწილს პლებისციტის გარეშე მიიღებდა; შერეული რეგიო-

ნების ბედს სამმხრივი კომისია გადაწყვეტდა (გერმანელის, ჩეხისგან და ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენლისგან შემდგარი); ჩეხოსლოვაკიის ჯერ კიდევ არსებული ალიანსები გაუქმდებოდა და მათ საერთაშორისო გარანტია ჩაანაცვლებდა; ჩეხოსლოვაკია ნეიტრალური გახდებოდა; ოლონდ მასთან თავდაუსხმელობის პაქტზე თვითონ გერმანიასაც უნდა მოეწერა ხელი. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ჩემბერლენის გაოგნება, როცა მასპინძელმა უპასუხა, რომ ეს შეთავაზება უკვე აღარ აკმაყოფილებდა. სუდეტი მას დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებინა, ყველანაირი გარდამავალი პერიოდის გარეშე, რადგან იქ „გერმანელებს ხოცავდნენ“. ვერც პაქტს მოაწერდა ხელს, სანამ პოლონეთი და უნგრეთი არ დაკმაყოფილდებოდნენ.

ძნელი სათქმელია, რატომ გაამწვავა ასე ჰიტლერმა ყველაფერი, როცა სუდეტი ისედაც ლანგრით მიართვეს. რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, ერთ კვირაში წაიღებდა ტერიტორიას თუ სამ კვირაში? რაში დასჭირდა ეს, რის მიღწევა სურდა ამით? ომი უნდოდა? ძალის დემონსტრირება? ინგლისის დამცირება? თუ ეშინოდა, რომ ჩეხოსლოვაკია დაშლის პირას იყო და ამიტომ სასწრაფოდ ჯარის შეყვანა სურდა? რაციონალურად ამის ახსნა რთულია. ცხადია, ყველაზე იოლი პასუხია, რომ ომი უნდოდა; მაგრამ ყველაზე იოლი პასუხი ყოველთვის სწორ პასუხს არ ნიშნავს. მით უმეტეს, როცა საქმე ძალიან ცბიერ, მაგრამ, ამავე დროს, არც ისე რაციონალურ პიროვნებას ეხება.

სასოწარკვეთილი ჩემბერლენი ლამის ქვითინებდა. იგი შეეცადა, ფიურერისათვის აეხსნა, რაოდენ დიდ პოლიტიკურ ფასს იხდიდა მშვიდობის დამყარებისა და გერმანიის დაშოშმინებისათვის, მაგრამ მასპინძელი თავის მოთხოვნას არ ცვლიდა. პრემიერ-მინისტრმა ხელი ჩაიქნია, ჰიტლერს დაემშვიდობა და ტელეფონით თავის მთავრობასა და ფრანგებს დაუკავშირდა. საუბრისას გადაწყდა, რომ ჩეხებს ძალას ვეღარ დაატანდნენ – მათი ტერიტორიის ევროპულად გადაბარება ხომ აღარ გამოდიოდა. მეორე დილით ჩემბერლენმა ჰიტლერის სახელზე წერილი დაწერა, რომელშიც ამცნობდა, ახალ მოთხოვნებს ჩეხებს გადავცემ, მაგრამ ისინი ალბათ უკვე აღარ დათანხმდებიანო. გაჩაღდა მინერ-მოწერა და ბოლოს ჩემბერლენმა ფიურერს სთხოვა, თავისი მოთხოვნები კონკრეტულად ჩამოეყალიბებინა და ზედ რუკაც დაერთო. 23 სექტემბერს გვიან საღამოს ისევ იხილა ჰიტლერი, რომელმაც, თხოვნისამებრ, მემორანდუმი დაახვედრა რუკასთან ერთად. იქ გაწერილი პირობების

მიხედვით სუდეტელ ჩეხებს 26 სექტემბერს მთელი რეგიონის დაცლა უნდა დაეწყოთ და ორ დღეში იქაურობა დაეტოვებინათ.

– კი მაგრამ, ეს ხომ დიქტატია?! – შეჰყვირა ჩემბერლენმა.

– არანაირად. დახედეთ დოკუმენტს, თავში აწერია, რომ მემორანდუმია, – უპასუხა ფიურერმა.

სწორედ ამ დროს ორივეს ამცნეს, რომ ბენეშმა სრული მობილიზაცია გამოაცხადა. ამან, ცხადია, მასპინძელი გააცოფა: აი, ჩეხები აღარაფერს თმობენო. გვარიანი კამათის შემდეგ ჩემბერლენმა განუცხადა, რომ თუკი მემორანდუმი ჰიტლერის უკანასკნელი სიტყვა იყო, მაშინ იგი ინგლისს ბრუნდებოდა. აქ ფიურერი დარბილდა და დაახლოებით იგივე გააკეთა, რაც მანამდე შუშნიგთან: ჩეხების ევაკუაციის ბოლო ვადა 1 ოქტომბრამდე გადასწია (ომის დაწყებას ისედაც სწორედ ამ დღეს აპირებდა) და თან დააყოლა, ამას პირადად თქვენდამი პატივისცემის გამო ვაკეთებო. ამან პრემიერ-მინისტრი აშკარად ასიამოვნა და დამშვიდობების წინ მასპინძელს მოახსენა, ახლა, როცა ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და ვენდობით, შეგვიძლია უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაზეც ვიფიქროთ, ოღონდ მანამდე ეს ამბავი უნდა მოვაგვაროთო. ჰიტლერი დაეთანხმა და შეჰპირდა, რომ სუდეტის შემდეგ ევროპაში ტერიტორიული პრეტენზიები აღარ ექნებოდა.

ამ სიტყვებით ნაამები ჩემბერლენი 24 სექტემბერს ლონდონში დაბრუნდა და სცადა თავისი მთავრობა დაერწმუნებინა, ჰიტლერის ახალი პირობები მიეღოთ. მაგრამ აქ, როგორც იქნა, წინააღმდეგობას წააწყდა. გოდესბერგის მემორანდუმი გააპროტესტეს ადმირალიტეტის პირველმა ლორდმა, ტალეირანის ბიოგრაფმა დაფ კუპერმა და ჰალიფაქსმაც კი. ჩემბერლენმა ველარც ფრანგები დაარწმუნა. ამ უკანასკნელებმა ნაწილობრივი მობილიზაციაც კი გამოაცხადეს. გამელენი, რომელიც რაინლანდის რემილიტარიზაციის დროს თავის მთავრობას სიფრთხილეს ურჩევდა, ამჯერად დალადიეს არწმუნებდა, რომ ჩეხოსლოვაკიასთან და, მით უმეტეს, ინგლისთან ერთად ფრანგები რაიხს იოლად გასრესდნენ. გამელენი, პარალელურად, თავის პრემიერ-მინისტრს აფრთხილებდა, რომ ჩეხოსლოვაკიის გერმანელთა ხელში ჩაგდება ჰიტლერს განუზომლად გააძლიერებდა და მისი შეჩერება მერე კიდევ უფრო რთული გახდებოდა.

მოკლედ, ევროპაში ახალი დიდი ომის სუნი დატრიალდა. ჩეხებმა პარიზსაც და ლონდონსაც აცნობეს, რომ გოდესბერგის მემორანდუმს

არ იღებდნენ. 25 სექტემბერს დალადიე მინისტრებთან ერთად კიდევ ერთხელ ჩავიდა ჩემბერლენთან და ამცნო, რომ საფრანგეთი ჩეხოსლოვაკიას აუცილებლად დაეხმარებოდა. გასარკვევი მხოლოდ ისღა რჩებოდა, ინგლისი რას იზამდა. ჩემბერლენი უხალისოდ დათანხმდა, ჰიტლერისათვის ეცნობებინა, რომ თუკი ფრანგები ჩაერეოდნენ, ინგლისიც ჩაერეოდა, მაგრამ, ამავე დროს, კიდევ ერთხელ სცადა ბედი: ჰიტლერთან შესაბამისი შინაარსის წერილი თავისი უახლოეს მრჩეველსა და მესაიდუმლეს, ჰორეს უილსონს გაატანა. მანამდე ჰალიფაქსმაც სცადა თავისი: ლიტვინოვს დაუკავშირდა და ჰკითხა, მისი ქვეყანა რას აპირებდა. პასუხი კვლავაც იგივე იყო. ის კი არა, 23 სექტემბერს მოსკოვმა პოლონელები გააფრთხილა, რომ ორმხრივი თავდაუსხმელობის პაქტიდან გავიდოდა, თუკი ისინი ჩეხოსლოვაკიას დაარტყამდნენ.

დიპლომატიური გამოცდილების სრულიად არმქონე უილსონი ერთბაშად ჰიტლერის პირისპირ აღმოჩნდა. როცა წერილის კითხვა დაიწყო, მასპინძელმა არნახული ისტერიკა დაიმართა და განაცხადა, ჩეხებს 28 სექტემბრამდე ვაძლევ ვადას, რომ გოდესბერგის მემორანდუმი მიიღონო. 26 სექტემბერს ბერლინში მიტინგზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა და ბოლო ხმაზე გალანძღა ბენეში, იმავე დროს ჩემბერლენი აქო და დაადასტურა, სუდეტი ჩემი უკანასკნელი ტერიტორიული პრეტენზია არისო. 27 სექტემბერს ისევ მიიღო უილსონი და გაუმეორა, რომ ჩეხებს მემორანდუმი უნდა მიეღოთ, თუ არადა, მათ მიწასთან გაასწორებდა. ეს დასაშოშმინებლად მიგზავნილ უილსონსაც კი ყელში ამოუვიდა და უთხრა, ასეთ შემთხვევაში ინგლისი საფრანგეთის გვერდით დადგებაო. ამას ახალი დიდი ისტერიკა მოჰყვა.

ისტერიკის საფუძველი ფიურერს მრავლად ჰქონდა. გაიღვიძა მივიწყებულმა მცირე ანტანტამ: იუგოსლავიამ და რუმინეთმა უნგრეთი გააფრთხილეს, ჩეხოსლოვაკიაზე არ გაეწია. პარიზიდან გერმანიის ატაშე იტყობინებოდა, რომ რამდენიმე დღეში ფრანგებს საზღვართან ალბათ 65 დივიზია ეყოლებოდათ მობილიზებული (ეს მაშინ, როცა რაინლანდში გერმანელებს ოთხი დივიზია ჰყავდათ). ვერმახტის 20 მაისის გეგმით, ფრანგების შეკავებაზე იტალიას უნდა ეზრუნა, მაგრამ ამ უკანასკნელისგან ჩამიჩუმი არ ისმოდა. რუზველტმაც კი ამოიღო ხმა და ჰიტლერს მშვიდობის დაცვისაკენ მოუწოდა. ფიურერი მას სასწრაფოდ გამოეხმაურა და უპასუხა, რომ მშვიდობა ჩეხებზე იყო დამოკიდებული. ვაშინგტონიდან ელჩი იწერებოდა, თუკი ინგლისი ომში ჩაებმება, შეიძლება მას ამერიკაც

დაეხმაროსო. ჩეხები მობილიზაციას აგრძელებდნენ და 800 ათასზე მეტი კაცი გამოჰყავდათ, ამათგან უმეტესობა გერმანელებზე გაცილებით უკეთ იყო შეიარაღებული. ფრანგებთან ერთად ისინი გერმანიას, სულ ცოტა, ორჯერ სჭარბობდნენ.

ჰიტლერი მიხვდა, რომ გადაამლაშა და ყველაფერი თავადვე უნდა გამოესწორებინა. უკვე 27 სექტემბერს მან ჩემბერლენთან შემრიგებლური წერილი აფრინა. პრემიერ-მინისტრს პატიოსან სიტყვას აძლევდა, რომ დარჩენილ ჩეხოსლოვაკიას თითს არ დააკარებდა. ოღონდ, – ემუდარებოდა წერილში თავის ახალ თაყვანისმცემელს, – იქნებ ახლა ჩეხები დათმობაზე დაიყოლიოთ, ისინი სწორედ თქვენი მხარდაჭერის იმედით ჯიუტობენ და ევროპის ახალ ომში ჩათრევა სურთო.

სანამ ჰიტლერი წერილის წერდა, ინგლისი უკვე ომისათვის ემზადებოდა. მოხდა ფლოტის მობილიზაცია და ქვეყანა საჰაერო თავდასხმის მოლოდინში საგანგებო მდგომარეობაზე გადავიდა. როგორც ლონდონში, ასევე პარიზში, გერმანული ავიაციის სასტიკად ეშინოდათ. ეს, ერთი მხრივ, ლოგიკური იყო, რადგან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა ორივეს სუსტად ჰქონდა განვითარებული, ოღონდ, მეორე მხრივ, გერმანული ავიაცია ჯერ კიდევ სუსტი გახლდათ და ჩეხოსლოვაკიასთან ომის შემთხვევაში საფრანგეთისა და ინგლისისათვის დიდად ვერ მოიცლიდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლონდონში კვლავაც სჯეროდათ იმ ტყუილის, რომლითაც სამი წლის წინ ჰიტლერმა საიმონი და იდენი გამოკვება (რომ ვითომცდა რაიხი ავიაციაში ინგლისს გაუტოლდა); ამიტომაც ჩემბერლენი კვლავაც ჩეხების ხარჯზე ომის თავიდან აცილებაზე ფიქრობდა და ბენეშს აფრთხილებდა, გერმანელები მალე შეტევაზე გადმოვლენ და ომი როგორც გინდა დასრულდეს, შენი ქვეყნის დიდი ნაწილი გაპარტახებას ვერ გადაურჩებაო; ჯობს, სუდეტის ბედი სამმხრივ კომისიას მიანდოთ, რადგან ამის ერთადერთი ალტერნატივა ომი და შენი ქვეყნის დაშლაა, სულ ერთია, როგორ დასრულდება ომი, ძველ საზღვრებს მაინც ვეღარ დაუბრუნდებითო. 27 სექტემბრის საღამოს პრემიერ-მინისტრმა მოსახლეობას რადიოთი მიმართა და პირდაპირ განაცხადა, რატომ უნდა ვიომოთ შორეული ქვეყნისთვის, რომელზეც ჩვენმა ხალხმა არაფერი იცისო. იქვე ისიც დასძინა, რომ მშვიდობის დასაცავად მზად იყო, მესამედაც გადაფრენილიყო გერმანიაში. სურვილი აუხდა – რადიომიმართვიდან მალევე ჰიტლერის ზემოხსენებული წერილი მიუვიდა და აღტაცებულმა მაშინვე უპასუხა: ახლავე მოვდივარ ბერლინში, ჩეხებიც მოვიწვიოთ,

ასევე, თუ გნებავთ, ფრანგებიცა და იტალიელებიც დავისწროთ და ყველამ ერთად დავილაპარაკოთო. იქვე მუსოლინისაც მისწერა და შეევედრა, როგორმე ფიურერი კონფერენციაზე დაეთანხმებინა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში შეთქმულები მოუთმენლად ელოდნენ დამაიმედებელ ამბებს ლონდონიდან. ნიურნმბერგის მიტინგის შემდეგ ისინი უკვე იმაზეც დაფიქრდნენ, რომ ინგლისელების მხრიდან საჯარო გაფრთხილება აღარ ესაჭიროებოდათ: ყველასათვის ცხადი ხდებოდა, რომ ჰიტლერი ქვეყანას დამღუპველი ომისკენ მიაქანებდა და ამიტომ გადატრიალება სასწრაფოდ უნდა მოეხდინათ. მაგრამ ჰიტლერმა ბერლინის ნაცვლად ბავარიისკენ გასწია. იქიდან კი, როგორც ვიცით, გოდესბერგში გადაინაცვლა. მხოლოდ თვის ბოლოსკენ ჩავიდა ფიურერი დედაქალაქში, სადაც შეთქმულებს მყარი პოზიცია ჰქონდათ. მალე მათ გადატრიალების თარიღიც დათქვეს – 29 სექტემბერი. იმ დროისათვის ჰალდერის მხარეს ბრაუხიჩიც დადგა და ჰიტლერი, წესით, განწირული იყო.

მაგრამ 29-მდე საქმე არ მივიდა. 28 სექტემბრის დილით დუჩე გერმანიაში თავის ელჩს ბერნარდო ატოლიკოს დაუკავშირდა და უბრძანა, ჰიტლერისათვის გადაეცა მისი დაჟინებული რჩევა, კონფერენციას დათანხმებოდა. ატოლიკომ სასწრაფოდ გაქუსლა ფიურერის სანახავად, რომელსაც მზის ამოსვლის შემდეგ მოსვენება არ ჰქონდა. ჯერ იყო და, მისი თანდასწრებით გერინგი რიბენტროპს შეასკდა. ეს უკანასკნელი მოლაპარაკებებზე უარს ამბობდა და გერინგი (რომელმაც, ყეყეჩი საგარეო საქმეთა მინისტრისგან განსხვავებით, კარგად იცოდა, რა იყო ომი) მას ბოლო ხმაზე უყვიროდა. ამის შემდეგ ჰიტლერს ფრანსუა-პონსე ეახლა და სუდეტის გადაცემის დეტალებზე გაუბა საუბარი. მაგრამ ბევრი აღარ დასცალდა, რადგან მალე ფიურერს მოახსენეს, აქოშინებული ატოლიკო მოვარდა, მუსოლინის დანაბარები მოიტანაო. იტალიის ელჩმა ჰიტლერს ყველაფერი სიტყვასიტყვით გადასცა და შემდეგ თვითონაც შეევედრა, მობილიზაცია არ გამოეცხადებინა.

ეს მშვენიერი გამოსავალი იყო ჰიტლერისათვის. იგი კონფერენციას თანხმდებოდა არა იმიტომ, რომ შეეშინდა და უკან იხევდა, არამედ იმიტომ, რომ ამას თავისი მეგობარი სთხოვდა. მან ატოლიკოს უპასუხა, შემოთავაზებას ვიღებო. შემდეგ კი ჰენდერსონსა და ფრანსუა-პონსეს აცნობა, რომ დუჩეს ხათრით მობილიზაცია 24 საათით გადადო. გერინგმა, ვაიცაკერმა და ნოირატმა სასწრაფოდ დაწერეს სამშვიდობო გეგმა

და იგი ატოლიკოს გადასცეს. მალე ფიურერის სახელით მოსაწვევები დაიგზავნა საფრანგეთის, იტალიისა და ინგლისის ლიდერების სახელზე. ყოველ მათგანს მეორე დღესვე მიუნხენში ეპატიჟებოდნენ. არანაირი მინიშნება საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას. დაგეგმილი კონფერენციის ამბავი, ცხადია, მალე შეთქმულთა ყურებამდეც მივიდა და ამით ყველაფერი დასრულდა. აშკარა გახდა, რომ ჰიტლერს სუდეტს უპრობლემოდ უთმობდნენ. გარდა ამისა, იგი მალე ისევ მიემგზავრებოდა ბერლინიდან მიუნხენისკენ. იქიდან მოყოლებული, გერმანელ სამხედროებს დიდი ხნით გაუქრათ ჰიტლერის თავიდან მოშორების სურვილი. ან კი რატომ უნდა მოეშორებინათ? – ფიურერი ხომ გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის მართალი აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ლონდონში თემთა პალატა ისტერიული ოვაციებით შეხვდა ჩემბერლენის განცხადებას, მიუნხენში მივდივარ, რათა მშვიდობა გადავარჩინოო. იქ მყოფი მასარიკი თვალებსა და ყურებს არ უჯერებდა. იმ საღამოს მან ჩემბერლენი და ჰალიფაქსი ნახა, რათა რიტორიკული შეკითხვა დაესვა: მიუნხენში ჩეხები თუ იყვნენ მიწვეულნი... ჰალიფაქსი იმას კი იაზრებდა, რომ საბრალო ჩეხოსლოვაკიისგან განსხვავებით საბჭოთა კავშირის უგულებელყოფა ცუდი იდეა იყო და მაისკის რამდენჯერმე გაუმეორა, თქვენი არმიწვევა არაფერს ნიშნავს, არასწორად ნუ გაიგებთო.


მიუნხენში ჩასული ჩემბერლენი და დალადიე კონფერენციამდე ერთმანეთს არც შეხვედრიან. ჩემბერლენი ფრანგ კოლეგას განგებ ემალებოდა იმის შიშით, მას ჩეხების სასარგებლოდ რამე არ ეთხოვა. მაგრამ არც დალადიეს უფიქრია შეხვედრა – იგი თავისთვის, მძიმე ფიქრებში გართული, მონუსხულივით დაიარებოდა. ჰიტლერი 29 სექტემბერს, დილით ადრე, დუჩეს ყოფილი ავსტრიის ტერიტორიაზე დახვდა და განუცხადა, თუკი იმას არ მივილებ, რაც მინდა, მაშინ ვიომებო. ასევე უთხრა, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა ისინი ორნი ერთად გაანადგურებდნენ საფრანგეთსა და ინგლისს. მუსოლინის ეს არ გაუპროტესტებია. თავად კონფერენციამ საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. დუჩემ დამსწრეებს ამცნო, რომ თავისი სამშვიდობო გეგმით იყო მისული და წინა დღეს გერინგის, ვაიცაკერისა და ნოირატის მიერ დანერილი ტექსტი ამოიღო. ფრანგებმა და ინგლისელებმა გეგმის წარმომავლობის თაობაზე არაფერი იცოდნენ და ჩათვალეს, რომ ეს მართლაც იტალიელთა შემოქმედება იყო. არადა, ტექსტი რეალურად გოდესბერგის მემორანდუმის პირობებს იმეორებდა (იმ განსხვავებით, რომ ჩეხებს სუდეტის დასაცლელად 10 ოქტომბრამდე

ეძლეოდათ დრო), მაგრამ რატომღაც არც ამისთვის მიუქცევიათ დიდი ყურადღება. დალადიემ ისიც კი თქვა, რომ დუჩეს პირობები ძალიან ობიექტური და რეალისტური იყო. ამის მერე ჩემბერლენმა ჩეხეთის მთავრობისათვის კომპენსაციის საკითხი დააყენა. როცა ჰიტლერმა ამაზე უარი თქვა, პრემიერ-მინისტრმა, მაშინ იქნებ ისე გავაკეთოთ, რომ გასახლებულმა ჩეხმა ფერმერებმა თან საქონელი გაიყოლონო. ფიურერმა უპასუხა, რომ ასეთ სულელურ დეტალებზე დროის ხარჯვა არ შეიძლებოდა. ჩემბერლენმა და დალადიემ წინადადება წამოაყენეს, იქნებ ჩეხებიც დაესწრონ შეხვედრას, სხვა თუ არაფერი, პირობებს ხომ უნდა დაეთანხმონო. ჰიტლერმა ესეც იუარა. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ჩეხები მეზობელ ოთახში დაელოდებოდნენ კონფერენციის შედეგებს. საღამოს ისინი უილსონმა ინახულა, განაჩენი გააცნო და იქვე გადასცა რუკა, რომელზეც დასაცლელი რეგიონები იყო მონიშნული. როცა ჩეხებმა პროტესტი გამოთქვეს, უილსონმა მიუგო, რომ მაშინ მათ პირისპირ მოუწევდათ გერმანელებთან ყველაფრის გარკვევა. „ჩემი ნათქვამი თუ არ მოგწონთ, ფრანგებს დაელაპარაკეთ, მაგრამ ისინიც იმავეს გეტყვიან, ოღონდ უფრო რბილად", – დასძინა მან.

30 სექტემბერს გამთენიისას ოთხივე ლიდერმა მოაწერა ხელი შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც 1 ოქტომბერს სუდეტში გერმანული ჯარი შევიდოდა, 10 ოქტომბერს კი იქაურობა საბოლოოდ გადაეცემოდა რაიხს. შემდეგ ჩეხებს უხმეს და ტექსტი გააცნეს. დალადიე აშკარად შეწუხებული იყო, ჩემბერლენი კი კმაყოფილი ამთქნარებდა. ჩეხებს შუადღის სამ საათამდე მისცეს ვადა. ბენეშმა გაიფართხალა და საბჭოთა ელჩს ჰკითხა, თქვენ რას იზამთო, მაგრამ მალევე გადაწყვიტა, პირობები მიეღო. როგორც ნამდვილი ევროპელი, ის საბჭოთა დახმარებას ალბათ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა. მართალია, თვითონაც საკმაოდ ძლიერი ჯარი ჰყავდა, სუდეტის ფორტიფიკაციები კი მეტად რთული ასაღები იყო, მაგრამ... მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბენეში ამაყობდა, რომ მისი დათმობის წყალობით პრაღა გადარჩა და ჩეხებსაც დიდი მსხვერპლი არ უნახავთ. ალბათ მისი საქციელი გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რა კატასტროფა გამოიარა ჩეხმა ხალხმა 1620 წელს (30-წლიანი ომის დროს) თეთრ მთასთან განცდილი მარცხის შემდეგ. ფეხზე დადგომას მათ საუკუნეები მოანდომეს და მსგავსი რამის გამეორებაზე ფიქრიც კი აშინებდათ.

მიუნხენის მთავარმა შემოქმედმა (ჩემბერლენმა) გამოიძინა თუ არა,


30 სექტემბერს, დილით ჰიტლერს დაადგა თავზე. ჯერ ის უთხრა, იმედია, ჩეხები პრობლემებს აღარ შექმნიან, მაგრამ თუ შექმნიან, ვიმედოვნებ, პრაღას არ დაბომბავო. ამის შემდეგ ისეთ გულისამაჩუყებელ თემებზე გადავიდა, როგორებიც იყო ერთობლივი მცდელობები ესპანეთში ომის დასასრულებლად, განიარაღების პროცესის წარმატებით გასაგრძელებლად და რუსული პრობლემის გადასაჭრელადაც კი... ბოლოს კი ნინასწარ გამზადებული ტექსტი ამოიღო, აი, იქნებ ამას მოვაწეროთ ხელი და მაშინვე გავასაჯაროოთო. ტექსტის შინაარსი იქამდე დადიოდა, რომ გერმანია და ინგლისი ერთმანეთთან აღარასოდეს იომებდნენ. ჰიტლერმა დოკუმენტს განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე, მაგრამ დაუყონებლივ მოაწერა ხელი. ჩემბერლენმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე, აეროპორტში შეკრებილი აღტაცებული ბრბოს წინაშე ფურცელი გახარებულმა ააფრიალა, მშვიდობა ჩამოვიტანეო. ჩეხოსლოვაკიის საკითხის გადაჭრა მხოლოდ დასაწყისია იმ გზაზე, რომელიც მშვიდობიან ევროპამდე მიგვიყვანსო, მხურვალე ოვაციების თანხლებით განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისგან განსხავებით, დალადიე თავზარდაცემული და განადგურებული გაემგზავრა სამშობლოში და აეროპორტში მტრულ დახვედრას ელოდა, რაც სრულიად ლოგიკური იყო – საფრანგეთმა ხომ სამარცხვინოდ მიაგდო თავისი ყველაზე ძლიერი მოკავშირე და რეალურად ამით აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებთან ალიანსები ერთი ხელის მოსმით დაანგრია. მაგრამ დალადიეს გასაოცრად, პარიზელები ლონდონელებზე არანაკლებ აღტაცებულები იყვნენ „მიუნხენის კაპიტულაციით“ და თავიანთ პრემიერ-მინისტრს ისინიც ყიჟინითა და ტაშის გრიალით შეხვდნენ. აღტაცება ევროპის კონტინენტს გასცდა. ჩემბერლენი შეაქო რუზველტმა, მის საქციელს ტაშს უკრავდნენ კანადისა და ავსტრალიის მთავრობები. „ტაიმსი“ ხომ ქება-დიდებად დაიღვარა. ინგლისის პოლიტიკურ ელიტაში მიუნხენი მხოლოდ ჩერჩილმა და კუპერმა გააპროტესტეს.




მესამე რაიხის სამხედრო ელიტა: ბლომბერგი, ფრიჩი და რადერი



გერინგი ჰიმლერს გესტაპოს შეფად დანიშვნას
ულოცავს (თავად ჰიმლერმა გესტაპო მალევე
ჰაიდრიხს გადააბარა)



ჰიტლერი და მესამე რაიხის ეკონომიკური სასწაულის მთავარი შემოქმედი შახტი (ჰიტლერის გვერდით)




ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი გუიდო შმიდტი, ჩიანო და შუშნიგი



ანშლუსის სცენა: ავსტრიელები გერმანელ სამხედროებს ეგებებიან



ჰიტლერი ვენაში ზაისთან ერთად



მცირე ანტანტის წარმომადგენლები: ბენეში, ტიტულესკუ და იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრი ბოგოლიუბ იევტიჩი



ნევილ ჩემბერლენი (ქოლგით) ჰიტლერთან შეხვედრის შემდეგ ბერხტესგადენს ტოვებს. მისგან მარცხნივ რიბენტროპი

თავი 8. პრაღიდან ვარშავისაკენ

პოსტმიუნხენი

ბენეში 5 ოქტომბერს გადადგა და როცა აშკარა გახდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ინგლისს მიაშურა. 30 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად ასაკოვანი ემილ ჰახა იქცა – მანამდე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. სლოვაკებმა ფართო ავტონომია მიიღეს და ქვეყანას ჩეხო-სლოვაკია ეწოდა. სუდეტის სადავო ტერიტორიების უდიდესი ნაწილი გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებისგან შემდგარმა „საერთაშორისო კომისიამ“ გერმანიას გადასცა და ბრძანა, რომ იქ პლებისციტების ჩატარებაც არ იყო საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიუნხენში დადგინდა. შედეგად, ჩეხებმა კიდევ უფრო მეტი ტერიტორია დაკარგეს, ვიდრე ეს გოდესბერგის მემორანდუმით იყო გათვალისწინებული; დაკარგეს არა მხოლოდ ფორტიფიკაციები, არამედ რესურსებისა და სამრეწველო ობიექტების უდიდესი ნაწილი. მიუნხენში ასევე გადაწყდა, რომ უნგრეთისა და პოლონეთის ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი სამი თვის განმავლობაში პრაღასთან მოლაპარაკებების შედეგად უნდა გადაჭრილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ოთხი დიდი სახელმწიფოს ლიდერი კიდევ ერთხელ შეიკრიბებოდა, ისევ მიუნხენში. მაგრამ ჩეხებს ახალი მიუნხენი ნამდვილად აღარ უნდოდათ და ნოემბრის დასაწყისში ყველაფერი უპრობლემოდ დათმეს. გერმანულ-იტალიური არბიტრაჟის შედეგად უნგრეთმა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის მოზრდილი ნაწილი მიითვისა. შედარებით მომცრო ტერიტორია ერგო პოლონეთს. თუკი ბუდაპეშტის მიერ მიღებულ ტერიტორიებზე უნგრელები ჭარბობდნენ, ვარშავის მიერ მითვისებულ რეგიონში პოლონელები უმცირესობაში იყვნენ. უნგრელებს სლოვაკიაზეც ეჭირათ თვალი და ამაში მათ ჩიანო მხარს უჭერდა, მაგრამ რიბენტროპმა იეჭვა, რომ იტალიელებს ძლიერი უნგრეთის მეშვეობით რაიხის დაბალანსება სურდათ და ამიტომ უნგრელთა სურვილი სურვილად დარჩა. ჩეხებმა მთელ ამ დათმობებს ისიც დაუმატეს, რომ რაიხისადმი ლოიალურად განწყობილი მთავრობა დასვეს. მათთვის ცხადი იყო, რომ სადაც სუდეტიანად ისინი არავინ დაიცვა, მით უფრო არავინ დაიცავდა სუდეტის გარეშე. შესაბამისად, გადარჩენის მხოლოდ ერთი შესაძლო გზა არსებობდა: ჰიტლერის არგაღიზიანება. ინგლისელებიცა

და ფრანგებიც რეალურად ჩეხების არგაღიზიანების პოლიტიკის იმედად იყვნენ. გარდა ამისა, თავს იმითაც იმშვიდებდნენ, რომ რასობრივი იდეოლოგიის მიხედვით რაიხს არაგერმანელი ჩეხები თუ სლოვაკები არაფერში სჭირდებოდა. მით უმეტეს, რომ ჰიტლერი ბისმარკის საქმის გამგრძელებლად ესახებოდათ, რომელსაც უბრალოდ გერმანელების გაერთიანება სურდა.

მიუნხენმა მორალურად გატეხა ესპანელი რესპუბლიკელები, რომელთაც 1938 წლის ივლისში გახლეჩილ ტერიტორიებს შორის კავშირის აღსადგენად მასშტაბური შეტევა წამოიწყეს. წლის ბოლოს ისინი უკუიქცნენ და ფრანკო კატალონიის დასალაშქრად დაიძრა. ამ დროისათვის სტალინმაც დაკარგა ესპანეთისადმი ინტერესი, რადგან აშკარა გახდა, რომ სამოქალაქო ომში ჩარევით მხოლოდ პარიზთან და ლონდონთან ურთიერთობებს იფუჭებდა, რესპუბლიკელებს კი ვეღარ შველოდა. მუსოლინიც მიხვდა, რომ ფრანკოს ვეღარაფერი შეაჩერებდა და იტალიელთა უდიდესი ნაწილი უკან გამოიხმო (როგორც ამას ინგლისელები სთხოვდნენ). 1939 წლის იანვარში ბარსელონა დაეცა და ამით ყველაფერი დასრულდა. ერთ თვეში კაუდილიოს მთავრობა ლონდონმაც და პარიზმაც ცნეს. მადრიდში მთავრობა თავისიანებმავე დაამხეს და ფრანკოსთან სამშვიდობო მოლაპარაკებების წამოწყება სცადეს. მათ, თავის მხრივ, კომუნისტები აუჯანყდნენ. მშვიდობის მოსურნეებმა კომუნისტების დამარცხება კი მოახერხეს, მაგრამ ფრანკო ისევ უპირობო კაპიტულაციას ითხოვდა და არავისთან მოლაპარაკებები არ აინტერესებდა. მან მალე მადრიდიც აიღო, 1 აპრილს სამოქალაქო ომი დასრულებულად გამოაცხადა და ესპანეთში მანამდე არნახული რეპრესიებიც გააჩაღა. 26 მარტს ანტიკომინტერნულ პაქტს შეუერთდა; ახლა უკვე თავისუფლად შეიძლებოდა ამის გაკეთება, რადგან ფრანგებისა და ინგლისელების საერთოდ აღარ ეშინოდა.

დუჩეს მიერ იტალიელთა დიდი ნაწილის ესპანეთიდან გამოყვანა ბევრს აღარაფერს წყვეტდა, მაგრამ ჩემბერლენი ამან მაინც ძალიან ასიამოვნა და მიუნხენში კონფერენციის დასრულებისთანავე დიდ ფაშისტს თანამშრომლობის გაღრმავებაზე ესაუბრა. ამის გამო მუსოლინიმ უარით გაისტუმრა რიბენტროპი, რომელმაც მიუნხენშივე შესთავაზა მას გერმანია-იტალია-იაპონიის ალიანსის გაფორმება. იმავე წინადადებით რაიხის მინისტრი მალე რომშიც ჩავიდა, მაგრამ დუჩე ისევ თავს იკავებდა. ჰიტლერი ამ პრობლემას დიდად არ შეუშინებია. მან პარალე-

ლურად ფრანგებთან წამოიწყო თამაში. ბონეს აშკარად შურდა ინგლისელების, რომელთაც რაიხთან „მუდმივი მშვიდობის“ პაქტი ჰქონდათ და რაღაც მსგავსი თვითონაც სურდა. ჰიტლერი ამაში პრობლემას ვერ ხედავდა: ფრანგულ-გერმანული დაახლოება პარიზსა და ლონდონს ერთმანეთს დააშორებდა და ინგლისელებს კონტინენტზე ჩარევის ხალისს კიდევ უფრო დააკარგვინებდა. 18 ოქტომბერს ფიურერმა მასთან დასამშვიდობებლად მისულ ფრანსუა-პონსეს განუცხადა, რომ საფრანგეთთან მშვიდობა სურდა და რომ შესაბამის შეთანხმებაზეც სიამოვნებით მოაწერდა ხელს. შედეგად, 6 დეკემბერს პარიზს რიბენტროპი ეწვია და საკონსულტაციო პაქტიც გაფორმდა. მხარეებმა ერთმანეთის საზღვრებიც აღიარეს, რაც ფრანგებისათვის, ელზას-ლორენის თემატიკიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი შვება იყო. მოგვიანებით შეთანხმებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან რიბენტროპი ამტკიცებდა, ბონემ რაიხს აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედების თავისუფლება მისცაო. ბონე ამას უარყოფდა და (როგორც საუბრის ჩანაწერები მოწმობს) ამჯერად საფუძვლიანად. თუმცა, ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმის ფონზე, რაც ევროპაში ხდებოდა. პარიზმა ჯერ ჩეხოსლოვაკია გაწირა, შემდეგ კი თვალი დახუჭა რაიხში ებრაელთა საშინელ დარბევაზე. ნოემბრის დასაწყისში გერმანიიდან დიდი ოდენობით ებრაელები გააძევეს, რომელთა მიღებაზე პოლონეთმა უარი თქვა და, შედეგად, საცოდავი ხალხი რამდენიმე დღე ორი ქვეყნის სასაზღვრო პუნქტებს შორის უპატრონოდ ეყარა. ამით გამწარებულმა პარიზელმა ებრაელმა ადგილობრივი გერმანელი დიპლომატი მოკლა. პასუხად 9 ნოემბრის ღამეს SA მთელი რაიხის ტერიტორიაზე ებრაელებს დაერია, მათი კუთვნილი მაღაზიები დალეწა და ასამდე ადამიანიც მოკლა (ამ ამბებს კრისტალნახტი, ანუ „მინის ღამე“ ეწოდა დამტვრეული ვიტრინების აღსანიშნავად). თითქოსდა ეს არ კმაროდა, ბოლოს მთელი გერმანიის ებრაელობას გვარიანი ჯარიმაც დააკისრეს. სადაც ასეთი ბარბაროსობების შემდეგ ფრანგები რაიხთან პაქტს აფორმებდნენ, ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, რომ ბონემ რიბენტროპს აღმოსავლეთ ევროპა არ ჩააბარა. ყოველ შემთხვევაში, გერმანელებს ნამდვილად ასე მიაჩნდათ. როცა დეკემბრის ბოლოს ბერლინში ფრანგების ახალმა ელჩმა რობერ კულონდრმა ვაიცაკერს ჩეხოსლოვაკიისათვის მიუნხენში მიცემული გარანტია შეახსენა, პასუხად მიიღო, რომ ამ ქვეყნის ბედს უკვე რაიხი განაგებდა.

როგორც ჰიტლერი ვარაუდობდა, გერმანულ-ფრანგულ პაქტს

ლონდონი კარგ გუნებაზე არ დაუყენებია. მაგრამ ჩემბერლენი თავს იმით იმშვიდებდა, რომ, სამაგიეროდ, თავად დუჩეს ეთამაშებოდა. დამშოშმინებელი იტალიის მიერ ეთიოპიის მიერთების აღიარებაზეც დათანხმდა და დიდად არც იმან შეაცბუნა, რომ ნოემბრის ბოლოს იტალიელმა დეპუტატებმა საფრანგეთისგან ნიცა, სავოია და კორსიკა მოითხოვეს. 1939 წლის 11 იანვარს პრემიერ-მინისტრი ჰალიფაქსთან ერთად რომსაც კი ეწვია (რამაც, ცხადია, უკვე ფრანგებს გაუფუჭა გუნება). იქ ვიტორიო-ემანუელე ადღეგრძელა, როგორც ეთიოპიის მეფე და როცა ზრდილობის გამო წუხილი გამოთქვა, პარლამენტარები საფრანგეთის ტერიტორიებს რატომ ითხოვენო, დუჩემ უბრალოდ უპასუხა, რომ ეს ოფიციალური რომის პოზიცია არ იყო. ჩემბერლენი უკან აღტაცებული დაბრუნდა, მაგრამ მასპინძელი მის განწყობას არ იზიარებდა. ჯერ კიდევ ინგლისელთა ჩამოსვლის დღეს ჩიანოს უთხრა, ეს ხალხი ახლოსაც ვერ მივა ფრენსის დრეიკთან და იმ დიდ ავანტურისტებთან, ვინც ბრიტანეთის იმპერია შექმნეს... ესენი ის ხალხია, რომლებიც იმპერიას გაანიავებენო. შემდეგ მთელი ვიზიტის განმავლობაში დუჩე დამშოშმინებელს ჩუმ-ჩუმად დასცინოდა, განსაკუთრებით ქოლგის გამო, რომელსაც პრემიერ-მინისტრი მუდამ თან დაატარებდა და რომელიც მიუნხენის შემდეგ ცალკე ანეკდოტებისა და კარიკატურების თემად იქცა. რომში ყოფნისას ჩემბერლენმა ქოლგა დაკარგა კიდეც, რამაც დუჩე კიდევ უფრო მეტად გაამხიარულა. როცა აშკარა გახდა, რომ ინგლისი საფრანგეთის წინააღმდეგ იტალიელებს არაფრით დაეხმარებოდა და ჩემბერლენი მხოლოდ ქადაგებისათვის იყო ჩამოსული, მუსოლინიმ სტუმრების მიმართ ინტერესი საერთოდ დაკარგა. ჩიანომ მალე რიბენტროპს ამცნო, ვიზიტი ერთი დიდი ფარსი იყოო და ამაში ნამდვილად არ ტყუოდა. როგორც კი ინგლისელები გაისტუმრა, მუსოლინიმ ფიურერს ალიანსი შესთავაზა. ჰიტლერს ეს ნამდვილად ეამა, მაგრამ ვინაიდან ოქტომბერში დუჩესგან მიღებული უარი კარგად ახსოვდა, გადაწყვიტა, მისთვის ჭკუა ესწავლებინა და კონკრეტული არაფერი უპასუხა. აშკარა იყო, რომ დუჩეს თამაში დემოკრატიებთან ამჯერად უკვე საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს და გერმანიას კიდევ უფრო მეტად გაეხსნა ხელ-ფეხი.

ჰიტლერმა გადაწყვიტა, ჯერ ჩეხოსლოვაკიაში დაწყებული საქმე მიეყვანა ბოლომდე. ამისათვის მზადება გერმანელებმა უკვე ოქტომბერში დაიწყეს, როცა გერინგმა ახლად შექმნილი სლოვაკური ავტონომიის ერთ-ერთი ლიდერი მიიღო და მისგან მოისმინა, რომ სლოვაკებს დამო-

უკიდებლობა და რაიხთან „მეტად მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა“ სურდათ. ჩეხები მშვენივრად ხვდებოდნენ, მათ თავს რაც ხდებოდა და ისევ არგაღიზიანების პოლიტიკას აგრძელებდნენ. 1938 წლის ბოლოს კომუნისტური პარტია აკრძალეს და ებრაელების შევიწროებაც დაიწყეს. მაგრამ ფიურერს ვერც ამან მოულბო გული და როცა 1939 წლის 21 იანვარს ბერლინში ჩეხების საგარეო საქმეთა მინისტრი მიიღო, მას ისეთი დღეს აყარა, შუშნიგს რომ არ მოელანდებოდა: ჩეხები ანტიკომინტერნულ პაქტს უნდა მიერთებოდნენ, ერთა ლიგა დაეტოვებინათ, ებრაელები კანონგარეშედ გამოეცხადებინათ... ამის შემდეგ რიბენტროპმა ჩეხი კოლეგა გააფრთხილა, ინგლისელებთან და ფრანგებთან ამ ახალ მოთხოვნებზე კრინტი არ დასცდენოდა. ცოტა ხანში მართლაც ისე მოხდა, რომ ლონდონშიც და პარიზშიც ჩეხები გაახსენდათ და 8 თებერვალს ჰიტლერს მიუნხენურ გარანტიებზე დაუსვეს შეკითხვა. ფიურერმა პასუხი ორივე დედაქალაქს მხოლოდ თვის ბოლოს აღირსა და აცნობა, რომ ყველაფერი ჩეხოსლოვაკიაში განვითარებულ მოვლენებზე იყო დამოკიდებული.

მოვლენებიც სწრაფად განვითარდა. მარტის დასაწყისში სლოვაკიასა და რუსინიაში სეპარატისტულმა გამოსვლებმა (ცხადია, ბერლინის წაქეზებით) ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ჩეხების გასაცოდავებულ მთავრობასაც კი მკაცრი რეაგირების გარდა სხვა არაფერი დარჩა. მათ ორივე რეგიონში მთავრობა დაითხოვეს და წესრიგიც დაამყარეს. ეს იყო და ეს. 11 მარტს საღამოს პრაღიდან დანიშნული სლოვაკიის ახალი მთავრობის სხდომაზე მოულოდნელად გერმანელი გენერლების თანხლებით ზაისი შეიჭრა და დამხვდურებს სასწრაფო წესით დამოუკიდებლობის გამოცხადება მოსთხოვა. როცა მთავრობის ახალმა მეთაურმა ყოყმანი დაიწყო, გერმანელებმა ბერლინში მისი წინამორბედი, პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული სლოვაკიის ავტონომიისათვის მებრძოლი, წარსულში კათოლიკე მღვდელი იოზეფ ტისო დაიბარეს (არდამორჩილების შემთხვევაში კი ჯარების შეყვანით დაემუქრნენ). 13 მარტს ტისო ბერლინში ჰიტლერს ეახლა, რომელმაც იგი საყვედურებით აავსო უმადურობისათვის (იგულისხმებოდა, რომ ფიურერმა მისი ხალხი უნგრეთისგან დაიცვა) და სთხოვა, ბოლოს და ბოლოს არჩევანი გაეკეთებინა – ან დამოუკიდებლობა, ან უნგრელები. შემდეგ ვილჰელმშტრასეზე (რაიხის საგარეო სამინისტროში) ტისოს დააწერინეს დეპეშის ტექსტი, რომელიც მას ბრატისლავაში დაბრუნებისთანავე ჰიტლერისათვის უნდა

გაეგზავნა და „დამოუკიდებელი სლოვაკიის" რაიხის მფარველობაში აყვანა ეთხოვა. ასევე ვილჰელმშტრასეზე დაიწერა სლოვაკიის დამოუკიდებლობის აქტიც, რომელიც შემდეგ სლოვაკურად თარგმნეს და 14 მარტს სლოვაკიის პარლამენტს საჩქაროდ მიაღებინეს. 16 მარტს კი ფიურერმა ტისოს დეპეშაში გაწერილი თხოვნა გულმოწყალედ დააკმაყოფილა. იმავე დღეებში სლოვაკების მაგალითს რუსინიამ მიბაძა, მაგრამ ფიურერს ეს რეგიონი უნგრელთათვის დამამშვიდებელ პრიზად ჰქონდა გადანახული. ამ უკანასკნელებსაც დიდი წაქეზება არ უნდოდათ, რუსინია რამდენიმე საათში დაიკავეს და ჰიტლერს დითირამბები უძღვნეს. ვერსალით განაწყენებული უნგრეთი სიხარულით დგებოდა ვერსალით განაწყენებული უფრო დიდი და ძლიერი გერმანიის გვერდით.

რაც შეეხება ლონდონისა და პარიზის რეაქციას, ჩეხები მათთან მიმართებით მართლები აღმოჩნდნენ. ჩემბერლენი მანამდეც არ მალავდა, რომ მიუნხენში ჩეხოსლოვაკიისადმი გაცემული დაპირება ამძიმებდა და სლოვაკიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას სიხარულით ჩაეჭიდა: რახან ჩეხოსლოვაკია (და არც ჩეხო-სლოვაკია) აღარ არსებობდა, ავტომატურად უქმდებოდა მისთვის გაცემული გარანტიაც. ინგლისი მიუნხენის ტვირთისგან თავისუფლდებოდა. სადაც ინგლისი, იქაც ავტომატურად საფრანგეთი...

ამ ყველაფრის შემხედვარე ჩეხების პრეზიდენტმა ჰახამ გადაწყვიტა, რომ დემოკრატიებისგან უაზრო ლაქლაქის მოსმენას ისევ ჰიტლერის წინაშე მუხლის მოდრეკა ჯობდა და უკვე 14 მარტს ბერლინისაკენ გასწია. ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე თავისი ქვეყნის ტერიტორიას დატოვებდა, გერმანელებმა ჩეხეთის ერთი ქალაქი დაიკავეს, რაც, ცხადია, კარგს არაფერს მოასწავებდა. ჰიტლერის გარდა საბრალო პრეზიდენტს რიბენტროპი, ვაიცაკერი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გერინგი და კაიტელი ელოდნენ. იქვე იყო ჰიტლერის საყვარელი ექიმბაშიც რომელიც ფიურერს კუჭ-ნაწლავის პრობლემებზე მკურნალობდა (ეს პრობლემები, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ჰიტლერზე არანაკლებ მის გარშემომყოფებსაც აწუხებდა ხოლმე). შემდეგ კი მოსახდენი მოხდა. მცირე გაბაასების შემდეგ ჰახას მარტივად აუხსნეს, რომ ჩეხეთი გერმანიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო. ამისათვის ორი გზა არსებობდა: ან ნებით, ან ძალით. მეორე ვარიანტისათვის გერმანული ჯარი და ავიაცია უკვე მზად იყო და რამდენიმე საათში პრაღისგან ქვა ქვაზე აღარ დარჩებოდა. ჩეხების პრეზიდენტს ამის გაგონებაზე გული წაუვიდა და

იგი ექიმბაშმა მოასულიერა. ჰახა წესიერად ფეხზე წამომდგარიც არ იყო, რომ ხელში ტელეფონი და კალამი მიაჩეჩეს. ტელეფონით მან თავის მთავრობას უბრძანა, გერმანელებისათვის წინააღმდეგობა არ გაეწია, კალმით კი გერმანელების მიერ მისთვის წინასწარ გამზადებულ დოკუმენტს მოაწერა ხელი და მათ თავისი ქვეყანა გადაულოცა.

ასე დასრულდა მითი ჰიტლერზე, როგორც ბისმარკის საქმის გამგრძელებელზე – მან რაიხში არაგერმანელებიც გააერთიანა. ინგლისის პარლამენტში, როგორც იქნა, ჩერჩილის გარდა სხვებმაც ამოიღეს ხმა გერმანიის წინააღმდეგ. ამ რეაქციით დაშინებულმა ჰალიფაქსმა პრემიერ-მინისტრისგან საგარეო კურსის სასწრაფო შეცვლა მოითხოვა. „ტაიმსმაც“ კი განგაში დასცა. ჩემბერლენი მიხვდა, რომ მისმა პოლიტიკამ არ გაამართლა, ან უბრალოდ თვითგადარჩენის ინსტინქტი ჩაერთო და ჰიტლერის ბოლო ნაბიჯი დაგმო. უღირდა ფიურერს ჩეხეთი ინგლისის გამოფხიზლებად? ალბათ კი. ჩეხეთის ტერიტორიაზე ხომ „შკოდას“ ქარხანა მდებარეობდა, რომელიც გაცილებით უკეთეს ტანკებს აწარმოებდა, ვიდრე მთელი რაიხი. ესეც რომ არ ყოფილიყო, ინგლისელებმა 1939 წლის მაისში ხმაამოუღებლად გადასცეს რაიხს მათთან განთავსებული ჩეხების მთავრობის კუთვნილი ოქრო (რომელიც შეიარაღებაზე დანახარჯების ზრდისგან თითქმის დაცარიელებულ გერმანულ ხაზინას ძალიან წაადგა); ანუ, ისინი ჩეხეთის ანექსიას ჯამში მაინც შეეგუვნენ. მით უმეტეს, რომ, გერმანიისგან განსხვავებით, ისინი იაპონიას არაფრის დიდებით არ აძლევდნენ ინგლისში დაცულ ჩინეთის კუთვნილ ვერცხლს.

ჩეხეთის გადაყლაპვა არც მუსოლინის ეამა. მან გაიაზრა, რომ ჰიტლერი, რომელიც ოდესღაც თავის მიმბაძველად მიაჩნდა, მას არათუ აღარაფერს ეკითხებოდა, არამედ უკვე შემდგარი ფაქტის წინაშე აყენებდა. მაგრამ რაღას იზამდა? ინგლისმა და საფრანგეთმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს თავიანთი უმწეობა და იტალიას მათთან ნამდვილად არაფერი ესაქმებოდა. ეს ქვეყანა ხომ ყოველთვის ძლიერისა და გამარჯვებულის გვერდით იდგა ხოლმე. ამიერიდან ჩვენ კურსს ვეღარ შევცვლით, ბოლოს და ბოლოს პოლიტიკური კახპები ხომ არ ვართო, – უთხრა დუჩემ თავის სიძეს. კახპებივით ვინმე თუ იქცეოდა, ეს ჩემბერლენი და დალადიე იყვნენ, არადა, ამის საჭიროება არ ჰქონდათ. ფიურერი და დუჩე კი „შედარებით პატიოსან“ პროფესიას წარმოადგენდნენ – განგსტერები იყვნენ.

15 მარტს მთავარი განგსტერი ზარ-ზეიმით შევიდა პრაღაში, იქ ჩეხური

ლუდი დალია, ბავარიულთან შედარებით ემწარა და ყველას დასანახად დაიჯღანა. ზუსტად ერთ კვირაში კი ახალი ტერიტორია აითვისა; ლიტველებმა (დაჰყვნენ რა რიბენტროპის მუქარას) გერმანიას პარიზის კონფერენციაზე მიღებული მემელის (კლაიპედა) პორტი დაუბრუნეს. ფიურერი მეორე დღესვე გაემართა ბოლო შენაძენის მოსანახულებლად. მან უკვე ბისმარკზე მეტს მიაღწია: არა მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნა, არამედ ახალ რაიხს თავისი ყოფილი სამშობლოს დიდი ნაწილიც მიუერთა. მხოლოდ ერთი პრობლემა რჩებოდა: მემელში იგი ზღვით ჩავიდა, რადგან იქაურობას და მთლიანად აღმოსავლეთ პრუსიას დანარჩენი გერმანიისგან დანციგის კორიდორი ჰყოფდა... ეს იყო ვერსალის ხელშეკრულების უკანასკნელი დანატოვარი...

ომის კორიდორი

ჯერ კიდევ 1938 წლის 24 ოქტომბერს რიბენტროპმა პოლონეთის ელჩს იუზეფ ლიპსკის უმასპინძლა და დანციგზე გაუბა საუბარი. რაიხი ორად გაყოფილი ვეღარ დარჩებოდა და ამიტომ კორიდორის საკითხი დროულად უნდა მოეგვარებინათ. ჰიტლერს სურდა, თავად ქალაქი დანციგი გერმანიას დაბრუნებოდა, კორიდორის გავლით კი რკინიგზა და ავტოსტრადა აშენებულიყო ექსტრატერიტორიული სტატუსით. ასევე სურდა, რომ პოლონეთი ანტიკომინტერნულ პაქტს მიერთდებოდა. სანაცვლოდ, ორმხრივი თავდაუსხმელობის პაქტი ათიდან ოც წლამდე გახანგრძლივდებოდა და რაიხი პოლონეთის საზღვრების გარანტიას იძლეოდა. ლიპსკიმ რაიხის მინისტრს უპასუხა, რომ ვარშავიდან ამ საკითხებზე პასუხი აუცილებლად უარყოფითი იქნებოდა. მართლაც, პოლკოვნიკმა ბეკმა ყველაფერი სასტიკად იუარა. იგი მხოლოდ ერთ კომპრომისზე იყო თანახმა: დანციგზე, როგორც თავისუფალ ქალაქზე ერთა ლიგის გარანტია გერმანულ-პოლონური შეთანხმებით შეიძლებოდა ჩანაცვლებულიყო. ბეკმა გერმანელებს ისიც გაახსენა, რომ თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმების დროს პილსუდსკიმ დანციგის თაობაზე ისინი მკაცრად გააფრთხილა. ეს გაფრთხილება რომც არ ყოფილიყო, მოყოლებული იქიდან, პირადად ჰიტლერი პოლონელებს ორჯერ დაჰპირდა, რომ კორიდორის საკითხს არ დასვამდა.

რიბენტროპმა პასუხი 19 ნოემბერს მოისმინა და ლიპსკის მეგობ-

რულად ურჩია, თავისი უფროსობისათვის გადაეცა, ყველაფერი კიდევ ერთხელ გაეაზრებინათ. იგი ვერაფრით ვერ ხვდებოდა, რომ პოლონელების პოზიცია საბოლოო იყო. ჯერ ერთი, რომ ბეკი ერთგულად მისდევდა პილსუდსკის ხაზს – არცერთი ნაბიჯი არც მოსკოვის და არც ბერლინის წინააღმდეგ. მეორეც, ჩეხების შემხედვარე, პოლონელები ფიქრობდნენ, რომ ჰიტლერთან გაჯიუტებაზე უფრო სახიფათო ჰიტლერისათვის დათმობა იქნებოდა. ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ფიურერს პოლონელები ჩეხებივით არ ეზიზღებოდა და რეალურად (ყოველ შემთხვევაში, იმ ეტაპზე მაინც) მათგან კორიდორი სურდა და არა მათი ქვეყნის დაშლა და მიერთება. ფიურერის განწყობა რიბენტროპმა კარგად იცოდა. გარდა ამისა, თვითონაც მიიჩნევდა, რომ რაიხს პოლონეთთან კონფლიქტი არაფერში სჭირდებოდა და მთელი თავისი ძალა ძირითადად მისი (რიბენტროპის) საძულველი ინგლისის წინააღმდეგ უნდა მიემართა. ამიტომაც პოლონელებს კიდევ მიეცათ მოსაფიქრებლად დრო. 1939 წლის 5 იანვარს ბეკი თვით ფიურერმა მიიღო ბერხტესგადენში და მას მეტად მეგობრულად ესაუბრა. პოლონელების მინისტრი თავად მიღებით კი კმაყოფილი დარჩა, მაგრამ დანციგის საკითხის დასმა ისევ არ ესიამოვნა. იანვრის ბოლოს უკვე რიბენტროპი ჩავიდა ვარშავაში, მაგრამ ისევ ამაოდ. პოლონელები არც რაიხსტაგში ჰიტლერის გამოსვლამ მოალბო, რომელშიც მან ბერლინ-ვარშავას მეგობრობას დითირამბები უძღვნა.

ამის შემდეგ, როგორც ვიცით, ჰიტლერი ჩეხოსლოვაკიაზე გადაერთო, მაგრამ როგორც კი ეს საქმე მოითავა, დანციგიც მოიკითხა. 21 მარტს რიბენტროპმა ლიპსკი დაიბარა და იგი საყვედურებით აავსო; აქაოდა, ფიურერი თქვენი საქციელით გაოცებულია და ყველაფერს საზღვარი აქვსო. ბოლოს და ბოლოს, ასეთს რას ითხოვდა გერმანია? დანციგის კორიდორზე ავტოსტრადისა და რკინიგზის მშენებლობას, რათა გერმანიის ორი ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირებულიყო. ლიპსკიმ დარცხვენის ნაცვლად მინისტრს აქეთ შეუტია და სლოვაკიის გამო პროტესტი გამოუცხადა (ალბათ იმიტომაც, რომ მის ქვეყანას სლოვაკიაშიც სურდა წილი). არც მემელი დავიწყებია... გერმანელები პოლონეთს ზემოდან კი დაჰყურებდნენ, მაგრამ თავად პოლონელები საკუთარ ქვეყანას დიდ სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ და ყველას თანასწორად უყურებდნენ, მათ შორის გერმანელებსაც. ანტიკომინტერნულ პაქტთან მიერთება მათთვის, სხვა ყველაფერთან ერთად, იმიტომაც იყო მიუღებელი, რომ ამით

პოლონეთი გერმანიის უმცროს პარტნიორად იქცეოდა. რეალურად თუ არ იქცეოდა, ასეთი შთაბეჭდილება შეიძლებოდა შექმნილიყო.

ეს ვერ გაეგო რიბენტროპს (და არა მხოლოდ მას). მან კიდევ ერთხელ სცადა თავისი და ელჩს დანციგის კორიდორის სანაცვლოდ 25-წლიანი თავდაუსხმელობის პაქტი, უკრაინასთან მიმართებით საერთო პოლიტიკა და სლოვაკიის ტერიტორიის ნაწილიც კი შესთავაზა. ბოლოს კი დაჟინებით სთხოვა, ყველაფერი ეს ბეკისათვის კიდევ ერთხელ გადაეცა. ლიპსკი ვარშავაში გაემგზავრა და 26 მარტს დაბრუნდა. ჰიტლერი იმ დროისათვის პოლონეთის წინააღმდეგ ომს კვლავაც არ გეგმავდა, მაგრამ უკვე მოთმინება ეწურებოდა, მით უმეტეს, რომ 24 მარტს ვარშავამ მობილიზაცია გამოაცხადა (ნაწილობრივ ალბათ მემელის გამო, ნაწილობრივ კი დანციგზე პრეტენზიების პასუხად). ამის გამო ფიურერმა ლიპსკისთან შეხვედრაზე უარი თქვა. ელჩმაც რიბენტროპი ინახულა და ბეკისგან ისევ უარი გადასცა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ლონდონში განგაში განგაშზე ტყდებოდა, მაგრამ არასწორი მიმართულებით. ჩეხოსლოვაკიის გადაყლაპვით აღშფოთებული და შეშფოთებული ჩემბერლენი ცდილობდა, როგორმე გამოეცნო, ვინ იქცეოდა ჰიტლერის მორიგ მსხვერპლად. 16 მარტს უმიზეზო პანიკა ატეხა რუმინეთის დესპანმა და გადაწყდა, რომ ამჯერად ეს ქვეყანა იყო სასწრაფოდ დასაცავი. 18 მარტს მოსკოვში ინგლისის ელჩმა ლიტვინოვს ჰკითხა, რას მოიმოქმედებდა მოსკოვი, თუკი რაიხი რუმინეთზე გაიწევდა. ლიტვინოვმა პასუხად კიდევ ერთხელ დააყენა კონფერენციის მოწვევის საკითხი ამჯერად საფრანგეთის, ინგლისის, რუსეთის, რუმინეთისა და თურქეთის მონაწილეობით. მაგრამ ჩემბერლენმა ესეც იუარა. საბჭოთა კავშირს იგი არც ენდობოდა და არც მის შეიარაღებულ ძალებზე ჰქონდა დიდი წარმოდგენა. საბჭოთა ლიდერებისათვის ინგლისელთაგან ყველანაირი კონტაქტი და შეთავაზება დიდი პატივი უნდა ყოფილიყო და შემხვედრი წინადადებები არ უნდა წამოეყენებინათ. 19 მარტს მთავარი დამშოშმინებელი ახალი პროექტის იდეით გამოვიდა: საკონსულტაციო პაქტი ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მონაწილეობით. საფრანგეთმა, ცხადია, უპრობლემოდ გამოთქვა თანხმობა. მოსკოვიდან კი მოითხოვეს, რომ დოკუმენტზე ჯერ ხელი ფრანგებსა და პოლონელებს მოეწერათ. მოთხოვნა უადგილო არ გამოდგა, რადგან ბეკმა კვლავაც უარი თქვა საბჭოთა კავშირთან რაიმე გარიგებაზე, თუნდაც მრავალმხრივ ფორმატში. სანაცვლოდ მან

ინგლისელებს ორმხრივი საკონსულტაციო პაქტი შესთავაზა იმ იმედით, რომ ამას ჰიტლერის შესაკავებლად გამოიყენებდა. ეს 22 მარტს მოხდა, როცა ლიპსკი ახალი შეთავაზებით ვარშავაში ჩავიდა.

ჰიტლერი რომ შესაკავებელი იყო, ეს სულ მალე გახდა ცხადი. უკვე 27 მარტს რიბენტროპმა ლიპსკი დაიბარა და პოლონეთში გერმანელთა ჩაგვრის გამო უსაყვედურა. პოლონელ გერმანელთა „მძიმე ბედზე" ხმა ამოიდგა რაიხის პრესამაც. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ბერლინსა და ვარშავას შორის შავმა კატამ გაირბინა. ლონდონში ახალი განგაში ატყდა. 29 მარტს გერმანიიდან ინგლისელი ჟურნალისტი გააძევეს, რომელმაც ლონდონში ამბავი ჩაიტანა, ჰიტლერი დღე-დღეზე ომს იწყებსო. პანიკაში ჩავარდნილმა ჩემბერლენმა საკონსულტაციო პაქტის ნაცვლად მეორე დღეს პოლონელებს ურთიერთდახმარების პაქტი შესთავაზა ფრანგების მონაწილეობით (ისე რომ ამ უკანასკნელებს არც დაეკითხა). შემდეგ ინგლისის დაზვერვამ ატეხა მცდარი განგაში დღე-დღეზე ომის დაწყების თაობაზე და ჩემბერლენმაც ვარშავას უკვე სულაც ცალმხრივად შესთავაზა გარანტია. 31 მარტს თავისი საქციელით კმაყოფილი პრემიერ-მინისტრი თემთა პალატის წინაშე საზეიმოდ წარდგა და მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ინგლისი და საფრანგეთი პოლონეთს ერთობლივად დაიცავდნენ.

ამ საბედისწერო დღეების ქრონიკა ერთდროულად რამდენიმე სისულელის გამოა აღსანიშნავი. პირველი სისულელე, რაც თვალში გეხვდება, არის ბეკის სიჯიუტე და მისი იმედი, რომ ინგლისელთა დახმარებით ჰიტლერს შეაკავებდა. მაგრამ ამაზე უფრო დიდი სისულელე ის არის, რომ ბეკის იმედი გამართლდა: ლონდონმა მას გერმანიისგან დაცვის გარანტია მისცა და ამ ამბავში საფრანგეთიც გახვია. არადა, რამდენიმე თვის წინ ორივემ იოლად გაწირა დემოკრატიული ჩეხოსლოვაკია, რომლის დაცვაც გაცილებით იოლი იქნებოდა. ახლა კი ინგლისი ორივეს სახელით ძმობას ეფიცებოდა პოლონეთს – სამხედრო დიქტატურას, რომლის დაცვაც გაცილებით რთული იყო გამომდინარე როგორც გეოგრაფიიდან, ასევე იმ ფაქტიდან, რომ გერმანია ჩეხოსლოვაკიის ათვისების შემდეგ მეტად გაძლიერდა და რაინლანდის ფორტიფიკაციების კარგად გამაგრებაც მოასწრო.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ წლინახევრის წინ ჰალიფაქსმა აქეთ შესთავაზა ჰიტლერს ავსტრია, სუდეტი და დანციგიც. უფრო მეტიც, 1925 წელს თვით ჩემბერლენის ძმამ, ოსტინმა თქვა, რომ დანციგის კორიდორის

გამო ინგლისის არცერთი მთავრობა ერთი ინგლისელი გრენადერის ძვალსაც არ გაიმეტებდა. ეს ბისმარკის ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზი გახლდათ, რომელიც რკინის კანცლერმა 1876 წელს წარმოთქვა ბალკანეთთან მიმართებით. 38 წლის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა სწორედ ბალკანეთის გამო დაიწყეს ომი. ახლა ოსტინის ძმაც სწორედ დანციგის გამო იწყებდა ომს, ოღონდ სულ რაღაც 14 წლის შემდეგ. აქ კიდევ ერთი რამეა საინტერესო: ინგლისელებთან მოლაპარაკებებისას ბეკი ვირეშმაკულად უარყოფდა, რომ ჰიტლერი მას დანციგს სთხოვდა და ინგლისელებიც რატომღაც უჯერებდნენ, ან თავს აჩვენებდნენ, რომ უჯერებდნენ.

ინგლისის მთავრობამ მალე ჯარში ნაწილობრივი გაწვევა გამოაცხადა, რათა ჰიტლერი გონს მოეყვანა. ცხადია, ჰიტლერი ასე მარტივად გონს არ მოეგო. 1 აპრილს ახალი საბრძოლო სუპერხომალდი „ტირპიცი" აკურთხა, რომელიც იქამდე უკვე ნაკურთხ კიდევ ერთ სუპერხომალდ „ბისმარკთან" ერთად რაიხს მრისხანე საზღვაო ძალად აქცევდა. ვის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული გერმანიის განახლებული ფლოტი, დიდი მიხვედრა არ უნდოდა და ჰიტლერს ეს არც დაუმალავს – „ტირპიცის" ჩაშვების ცერემონიალზე მან ძირითადად სწორედ ინგლისზე ისაუბრა და მისი მხრიდან რაიხის „მოგუდვის" მცდელობები დაგმო. 3 აპრილს კი ბრძანება გასცა, პოლონეთთან ომისთვის მზადება სექტემბრამდე დაესრულებინათ. ვერმახტის უმაღლესი სარდლობა ამჯერად სიამოვნებით შეუდგა გეგმაზე მუშაობას. გერმანული სამხედრო ელიტის უდიდეს ნაწილს პოლონელები ჭირივით ეზიზღებოდა. ჩეხებისგან განსხვავებით (რომელთაც ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიის დაკანონების შედეგად ჰქონდათ წაღებული სუდეტი), მათ ხომ უშუალოდ გერმანიის ტერიტორია ჰქონდათ მითვისებული. გარდა ამისა, ჩეხოსლოვაკიური დრამის შემდეგ გერმანელ ოფიცრებს დასავლეთის მხრიდან ჩარევის დიდად აღარ ეშინოდათ. ბეკთან მორიგების მცდელობა მათ ძალიან აღიზიანებდა და ოცნებობდნენ, მოლაპარაკებები ჩავარდნილიყო.

ასე ჩაირთო მეორე მსოფლიო ომის წამზომი. ჰიტლერი ალბათ იმედს არ კარგავდა, რომ დიდ ომამდე საქმე შეიძლებოდა არც მისულიყო და პოლონეთიც ისევე მიერთმიათ მისთვის, როგორც მანამდე ჩეხოსლოვაკია მიართვეს. „ვინ ამბობს, რომ მე ომის დაწყებას ვაპირებ, როგორც ეს იმ რეგვენებმა გააკეთეს 1914 წელს?" – იკითხა მან სწორედ იმ დღეებში. ახალი დიდი ომი მას, წესით, მართლაც არ უნდოდა. მას სწრაფი გამარჯვებები სურდა, ნაკლები დანახარჯებით. საამისოდ საჭირო იყო, მოწი-

ნააღმდეგეს საომარი მოქმედებების დაწყებამდე დაკარგვოდა ბრძოლის ხალისი. „არსებობს კიდევ ერთი, ტრადიციულზე უკეთესი სტრატეგია, ეს არის ომი ინტელექტუალური იარაღით, – ამბობდა ჰიტლერი, – რატომ უნდა ვეცადო მოწინააღმდეგის მორალურად გატეხვას სამხედრო გზებით, როცა ამის გაკეთება უკეთესად და უფრო იაფად შემიძლია სხვა მეთოდებით?!“ ამ მეთოდებში შედიოდა პროპაგანდა და პირადად მისი მგზნებარე გამოსვლები. თუკი ადრე ჯარის შეტევაზე გადასვლას წინ საარტილერიო დაბომბვა უძღოდა, ახლა მისი ადგილი პროპაგანდას დაეკავებინა. მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოსახლეობა ისე უნდა დაშინებულიყო, რომ თავისით ჩაებარებინა ქვეყანა. ამისათვის ასევე საჭირო იყო მოწინააღმდეგე ქვეყნებში აგენტურის გაჩენა, რომელიც იქაურობას შიგნიდან დაანგრევდა. როგორც ვნახეთ, ჩეხოსლოვაკიის შემთხვევაში ამ სტრატეგიამ მშვენივრად გაამართლა. უფრო მეტიც, ჰიტლერმა პრაღის (უშუალო სამიზნის) გარდა პარიზიცა და ლონდონიც (მისი მფარველები) დააშინა. ეს აიხსნებოდა არა მხოლოდ პროპაგანდით, არამედ იმითაც, რომ ფიურერი მეტად დახელოვნებული იყო ნერვების ომში. მისი ისტერიული გამოსვლები დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა ლიდერებს პანიკაში აგდებდა. თავად ფიურერი გამოსვლების შემდეგ პაუზას იღებდა ხოლმე და ელოდა, დემოკრატი ლიდერები მასთან აქეთ როდის მივიდოდნენ დათმობებით, ოღონდაც კი მას ომი არ დაეწყო. შემდეგ ახალი ისტერიკა და ახალი დათმობები...

6 აპრილს ბეკმა ლონდონში ურთიერთდახმარების პაქტს მოაწერა ხელი. იქვე გაცხადდა, რომ შეთანხმება დროებითი იყო, მაგრამ გარკვეული დეტალების გარკვევის შემდეგ მუდმივი გახდებოდა. როგორც უკვე ვიცით, ჩემბერლენი მზად იყო, ვარშავისთვის ცალმხრივი გარანტია მიეცა, მაგრამ ბეკმა, როგორც „დიდი სახელმწიფოს“ წარმომადგენელმა, ეს იუარა და თანასწორი შეთანხმება მოითხოვა. ამიტომაც გაჩნდა ურთიერთდახმარების პაქტი. ინგლისელებს იმედი ჰქონდათ, რომ ბეკი ამდენი დათმობის სანაცვლოდ მათ რუმინეთის დაცვას შეჰპირდებოდა, მაგრამ ამაოდ. ბეკმა ასევე სასტიკი უარი განაცხადა მოსკოვთან რაიმე თანამშრომლობაზე (მაგრამ ასეთი თანამშრომლობისათვის თავად ინგლისელებს იქვე დიდსულოვნად დართო ნება) და არც მაშინ გამოუვლენია დიდი ენთუზიაზმი, როცა შეევედრნენ, გერმანიასთან კონსტრუქციულობა გამოეჩინა. პოლონელების საგარეო საქმეთა მინისტრი ვერ იაზრებდა იმ ფაქტს, რომ პილსუდსკის გარდაცვალების შემდეგ

ევროპაში ვითარება მკვეთრად იყო შეცვლილი და რომ, შესაბამისად, დიდი მარშლის საგარეო პოლიტიკური კურსიც ცვლილებებს საჭიროებდა. ბენეშის მსგავსად ბეკიც წარსულში გახლდათ ჩარჩენილი.

ჩერჩილი და ლოიდ-ჯორჯი მთავრობას მიუთითებდნენ, რომ პოლონეთის დაცვა საბჭოთა კავშირის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ამაოდ. ჩემბერლენი კმაყოფილებას გამოთქვამდა იმ მიღწევით, რომ პოლონელებისნაირ „მეომარ ხალხთან" გააფორმა შეთანხმება. რატომღაც არაფრით სურდა დაენახა მედლის მეორე მხარე: ინგლისი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, კონტინენტის საქმეებისგან განზე გამდგარიყო, ახლა ვალდებულებას იღებდა სახელმწიფოს გამო, რომელიც არავისთან არაფერს არ თმობდა, ჯიუტობდა და ყველასთან პრეტენზიები ჰქონდა; სახელმწიფოს გამო, რომელმაც გერმანიის შემდეგ ყველაზე დიდი როლი ითამაშა აღმოსავლეთ ლოკარნოს ჩაშლაში და რომელსაც ნამდვილი მტაცებელივით ეჭირა თვალი მეზობელი ქვეყნების მიწებზე. თუკი გერმანია პოლონეთზე გაიწევდა, ინგლისი მარტო ბევრს ვერაფერს გახდებოდა და სხვის იმედად უნდა ყოფილიყო. სხვაში, ცხადია, საფრანგეთი იგულისხმებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, სადაც სუსტ გერმანიასთან ორჯერ ვერ გაბედა ომი, საეჭვო იყო, ძლიერთან გაებედა რაიმე. შესაბამისად, რჩებოდა ერთადერთი რეალური გამოსავალი საბჭოთა კავშირის მხრიდან დახმარების სახით, მაგრამ ამ უკანასკნელის გაგონება პოლონელებს არ სურდათ... მოკლედ, ინგლისმა გარანტია მისცა ქვეყანას, რომელსაც, ჯამში, არ სურდა, რომ დახმარებოდნენ. არადა, საქმე დასახმარებლად თავად გაიხადა.

უკანასკნელი კომედია რაიხსტაგში

ინგლისელების შიში გამართლდა და სულ მალე ევროპის რუკაზე კიდევ ერთი ქვეყანა გაქრა, მაგრამ არა ის, რომელთაც ისინი ვარაუდობდნენ. არც აგრესორი იყო ის, რომელსაც ისინი ვარაუდობდნენ... მოკლედ, 7 აპრილს ალბანეთში ომის გამოუცხადებლად შეიჭრნენ იტალიელები და ვიტორიო-ემანუელეს ტიტულების ჩამონათვალი ალბანეთის მეფობით დაამშვენეს. დუჩემ თავისი ამ ნაბიჯის თაობაზე განგებ არ შეატყობინა ჰიტლერს და, ამგვარად, ჩეხოსლოვაკიური სიურპრიზების გამო შური იძია. მაგრამ ფიურერს ეს სულაც არ სწყენია. მალე მუსოლინის გერინგი ესტუმრა (რომელიც, რიბენტროპის გულის გასახეთქად, კვლავაც ინარ-

ჩუნებდა გავლენას საგარეო პოლიტიკაზე). მხარეებმა მომავალ თანამშრომლობაზე ისაუბრეს და შეთანხმდნენ, რომ დიდ ომში ჩასაბმელად კიდევ ორი-სამი წელი სჭირდებოდათ. ლონდონსა და პარიზში კი ამ დროს ცდილობდნენ, განგსტერების მორიგი სამიზნე გამოეცნოთ და რახან ეს მარტივი არ იყო, 13 აპრილს გარანტია რუმინეთსა და საბერძნეთს მისცეს. ანუ მორიგი ვალდებულებები აიღეს მორიგი დიქტატურული რეჟიმების წინაშე, რომლებიც ასევე რთულად დასაცავები იყვნენ.

15 აპრილს კი ამერიკამ გაიღვიძა. ფიურერმა და დუჩემ რუზველტისგან ვრცელი წერილი მიიღეს. პრეზიდენტი განგსტერებისგან ითხოვდა დაპირებას, რომ ისინი თავს არ დაესხმებოდნენ საბჭოთა კავშირს, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, პოლონეთს, დანიას, ჰოლანდიას, ბელგიას და ა.შ. სულ ჩამოთვლილი იყო 31 სახელმწიფო. რუზველტი ამ ქვეყნებზე, სულ ცოტა, ათწლიან თავდაუსხმელობის გარანტიას ითხოვდა. ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ამერიკა პირობას იძლეოდა, რომ აქტიურად ჩაერთვებოდა განიარაღების მოლაპარაკებებში, რათა მსოფლიო გათავისუფლებულიყო სამხედრო ტვირთისაგან და საშუალება მისცემოდა, საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე გადართულიყო.

რუზველტის ჩარევით გაბრაზებული მუსოლინი თავიდან წერილის წაკითხვაზეც კი უარს ამბობდა. გერინგი კი მიიჩნევდა, რომ პასუხის გაცემა საერთოდ არ ღირდა, რადგანაც რუზველტი აშკარად „გონებრივად იყო დაავადებული“. მაგრამ ტრიუკების ოსტატი ავიაციის მინისტრს არ დაეთანხმა. მას ფანტასტიკური შოუს მოწყობა ჰქონდა ჩაფიქრებული. საამისოდ საგარეო სამინისტროს დაევალა, რუზველტის მიერ ჩამოთვლილი ყველა ქვეყნისათვის (პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთისა და ინგლისის გარდა) ოფიციალური შეკითხვით მიემართათ: გრძნობდნენ თუ არა ისინი გერმანიისგან საფრთხეს და მისცეს თუ არა მათ რუზველტს თანხმობა, ისინი საფრთხის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების სიაში შეეყვანა. უმრავლესობამ, ცხადია, უარყოფითი პასუხი გასცა (ანუ ისეთი პასუხი, როგორიც ბერლინს აწყობდა). მხოლოდ რუმინელებმა გაბედეს და უპასუხეს, საფრთხე თქვენგან მოდის თუ არა, ეგ თქვენ ყველაზე უკეთ იცითო. ამ პასუხებით ხელდამშვენებული ჰიტლერი 28 აპრილს კიდევ ერთხელ წარდგა რაიხსტაგში თავისი ყველაზე ცინიკური და ყველაზე მახვილგონივრული სიტყვით.

თავიდან, ასე ვთქვათ, მოთელვით დაიწყო: ვერსალის არაადამიანურ პირობებსა და უსამართლოდ დაჩაგრულ გერმანელ ხალხზე ისაუბრა.

შემდეგ კი საქმეზე გადავიდა და მიზანში ინგლისი და პოლონეთი ამოიღო. ინგლისელები ჯერ აქო, მაგრამ მალევე გააკრიტიკა გერმანიის „მოგუდვის“ მცდელობის გამო და განაცხადა, რომ პასუხად რაიხი 1935 წელს გაფორმებული ორმხრივი საზღვაო შეთანხმებიდან გადიოდა. შემდეგ პოლონეთს მისდგა და გაამხილა ის, რასაც წესით უკვე ბევრი ხვდებოდა: რომ იგი დანციგს ითხოვდა. მაგრამ, აი, ვარშავა ჯიუტობდა, არაფრით არ სურდა მიეღო მისი კომპრომისული, ევროპაში მშვიდობის ინტერესებით ნაკარნახევი წინადადება და გერმანიის მხრიდან მოლაპარაკების მცდელობის პასუხად მობილიზაციას აცხადებდა. რაც შეეხებოდა ბოლო პერიოდში გავრცელებულ ხმებს, რომ გერმანია პოლონეთზე თავდასხმას აპირებდა, ეს უცხოური პრესის მონაჩმახი იყო და მეტი არაფერი. ამ მონაჩმახის გამო პოლონეთი ინგლისს გაურიგდა და ამის შედეგად ცალმხრივად დაარღვია გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტი (ეს იმიტომ, რომ ინგლისთან გაფორმებული პაქტიდან გამომდინარე „შეიძლებოდა დამდგარიყო ისეთი გარემოებები“, რომ პოლონეთს რაიხისათვის შეეტია). შესაბამისად, გერმანულ-პოლონური პაქტი ძალადაკარგულად ცხადდებოდა. ყველაფრის მიუხედავად, ჰიტლერმა განაცხადა, რომ მზად იყო, ინგლისთანაც და პოლონეთთანაც ახალი შეთანხმებები გაეფორმებინა. ოღონდ, ცხადია, იგულისხმებოდა, რომ სანაცვლოდ მათ ურთიერთდახმარების პაქტზეც უნდა ეთქვათ უარი და დანციგის კორიდორიც უნდა დაეთმოთ.

ამის შემდეგ გამოსვლის სახალისო ნაწილიც დაიწყო. რუზველტს, თურმე, სურდა საერთაშორისო პრობლემები მოლაპარაკებებისა და კონფერენციების გზით მოეგვარებინა. ამაში ცუდი თითქოსდა არაფერი იყო, მაგრამ როგორ შეიძლებოდა ამ საქმეში რუზველტის ნდობა მას შემდეგ, რაც ამერიკა, კონფერენციების შედეგად, მისივე ინიციატივით შექმნილ ერთა ლიგაში თავად არ შევიდა? თვითონ გერმანიამ ცოტა მაინც დაყო იქ მანამდე, სანამ ამერიკის მაგალითს მიბაძავდა... შემდეგ ფიურერი უფრო მტკივნეულ თემებზე გადავიდა და განაცხადა, თავად ამერიკა კონფერენციებით კი არა, ბრძოლებითა და ომებით შეიქმნაო და რუზველტს იქვე ინდიელთა ბედზეც მიანიშნა და სიუს ტომი ახსენა (რომელმაც, მისი თქმით, ისეთივე ტანჯვა გამოიარა, როგორც გერმანელმა ხალხმა ვერსალის პირობებში).

ასევე ჰიტლერისათვის საინტერესო იყო: საიდან მოიტანა ბატონმა რუზველტმა, რომელი ქვეყნები გრძნობდნენ საფრთხეს გერმანიისგან?

და როგორ მოახერხა ასეთმა დაკავებულმა ადამიანმა, ჩასწვდომოდა ამ ქვეყანათა ხალხებისა და მთავრობების გონებასა და სულს?


– ბატონი რუზველტი, – თქვა შემდეგ ფიურერმა, – მოითხოვს, რომ გერმანია თავს არ დაესხას შემდეგ ქვეყნებს: ფინეთს, ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს, ნორვეგიას, შვედეთს, დანიას, ჰოლანდიას, ბელგიას, დიდ ბრიტანეთს, ირლანდიას, საფრანგეთს, პორტუგალიას, ესპანეთს, შვეიცარიას, – აქ დარბაზი ახარხარდა, ალბათ სიაში ესპანეთის მოხვედრის გამო, – ლიხტენშტაინს, ლუქსემბურგს, – ხარხარი გაძლიერდა, – პოლონეთს, უნგრეთს, რუმინეთს, იუგოსლავიას, რუსეთს, ბულგარეთს, თურქეთს, ერაყს, არაბეთს, სირიას, პალესტინას, ეგვიპტეს, – დარბაზი ხარხარით დაინგრა.

მხიარულების დასრულების შემდეგ ფიურერმა ყველას ამცნო, რომ ბერლინი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანას დაუკავშირდა და გაარკვია, რომ, სინამდვილეში, გერმანიისგან საფრთხეს არცერთი არ გრძნობდა. ასევე გაირკვა, რომ არცერთ მათგანს არ მიუცია თანხმობა ამერიკის პრეზიდენტისათვის, ისინი ზემოთ მოყვანილ სიაში ჩაეწერა. სამწუხაროდ, ყველასთან კომუნიკაცია ვერ მოხერხდა, რადგან ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, სირია, თურმე, ნუ იტყვით და, დემოკრატიული ქვეყნების მიერ ყოფილან ოკუპირებულები. ასევე საინტერესო იყო, რატომ უსვამდნენ მას კითხვას ირლანდიაზე, მაშინ როცა ირლანდია თუკი ვინმესგან გრძნობდა საფრთხეს, ეს ინგლისი იყო. სხვათა შორის, პალესტინაც ინგლისელთა და არა გერმანელთა მიერ გახლდათ ოკუპირებული.


შემდეგი განცხადება კი არა მხოლოდ დამცინავი, არამედ შეურაცხმყოფელიც იყო. ჰიტლერი პირობას დებდა, რომ არა მხოლოდ ამ ქვეყნებს, არამედ თავად შეერთებულ შტატებსა და მთლიანად ამერიკის კონტინენტს არ შეეხებოდა. ბოლოს ფიურერმა ამერიკულ მესიანიზმსაც გაჰკრა კბილი. მესმის, რომ ბატონი რუზველტი ისეთ დიდ და მდიდარ ქვეყანას განაგებს, რომ მთელ მსოფლიოსა და ყველა ერზე პასუხისმგებლად გრძნობს თავს, აი, მე კი გაცილებით მოკრძალებულ პირობებში ვარ, მე დაქცეული და გაუბედურებული ქვეყანა ჩავიბარე, რომელიც ასეთ დღეში იმიტომ ჩავარდა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებს ენდოო. აი, ასეთი ქვეყანა დავაყენე ფეხზე, ასეთი მძიმე გზა გამოვიარე, ბატონო პრეზიდენტო, მაშინ როცა თქვენ გაცილებით იოლი ამოცანა გერგოთო...

და ა.შ.

ეს იყო ჰიტლერის მიერ მშვიდობის მტრედის უკანასკნელი და ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი თამაში. ამის შემდეგ მან ბერხტესგადენს მიაშურა. იქ ახლად აშენებულ, მისთვის 50 წლის იუბილეზე მირთმეულ „არწივის ბუდედ" წოდებულ ვილაში განმარტოვდა თავის ახლობლებთან ერთად, რომელთა შორის იყო მისი ცხოვრების მორიგი თანამგზავრი ევა ბრაუნი. ჰიტლერი საერთოდ არ გამოხმაურებია ბეკის მიერ 5 მაისს პოლონეთის პარლამენტში საპასუხო გამოსვლას, რომელშიც მინისტრმა „ღირსებაზე" ისაუბრა. გამოცდილ თვალსა და ყურს, წესით, არ უნდა გამოჰპარვოდა ერთი უცნაურობა ფიურერის ბოლო გამოსვლაში: მას ერთხელაც არ გაულანძღავს მესამე რაიხის უმთავრესი იდეოლოგიური მეტოქე, „ებრაელებისა და მარქსისტების" შექმნილი საბჭოთა კავშირი...



ატოლიკო და ნოირატი




ჩემბერლენი, დალადიე, ჰიტლერი, მუსოლინი და ჩიანო მიუნხენის კონფერენციაზე




უილსონი და ჰენდერსონი (ცენტრში)
მიუნხენის კონფერენციაზე




დალადიე მიუნხენის კონფერენციის შემდეგ რიბენტროპს ემშვიდობება



მიუნხენიდან დაბრუნებული ჩემბერლენი ლონდონის აეროპორტში გერმანიასთან შეთანხმების დოკუმენტით ხელში



ჩემბერლენი, მუსოლინი, ჰალიფაქსი და ჩიანო რომში



ჰახა (მარცხნიდან მეორე) ჰიტლერთან. ჰიტლერისგან მარჯვნივ გერინგი, რიბენტროპი, ვაიცაკერი (წინა პლანზე) და კაიტელი



ჰიტლერი პრაღაში

თავი 9. ყველას გზა მოსკოვისაკენ მიდის

სტალინი 1939 წელს

ახლა კი ნამდვილად დადგა დრო, მოსკოვს მივუბრუნდეთ და ვნახოთ, რას აკეთებდა მთელი ამ ხნის მანძილზე საბჭოთა დიქტატორი. ჰიტლერისგან განსხვავებით, იგი დედაქალაქიდან იშვიათად გადიოდა, ბევრს მუშაობდა და ბიუროკრატიას შეძლებისდაგვარად აკონტროლებდა. თუკი ჰიტლერი ძირითადად მხოლოდ საგარეო პოლიტიკაზე ფიქრობდა, სტალინი ყველაფრით იყო დაკავებული, რითაც შეიძლება დაკავდეს სახელმწიფოს ლიდერი (მაგალითად, 1938 წლის ზაფხულში დასვენების ნაცვლად „კომუნისტური პარტიის მოკლე ისტორიას" ჩაჰკირკიტებდა და ასწორებდა). თუკი ჰიტლერი თითქმის არაფერს კითხულობდა, სტალინი უდიდეს დროს წიგნებთან ან სამთავრობო დოკუმენტებთან ატარებდა. მის ხელში გადიოდა ფაქტობრივად ყველაფერი, მათ შორის დაზვერვის ოფიცერთა მოხსენებები, რომლებიც პირდაპირ სტალინის მაგიდაზე ხვდებოდა, ყველანაირი გაცხრილვისა და ანალიტიკური გადამუშავების გარეშე. თუკი ჰიტლერი ხორცს არ ეკარებოდა, ძალიან ზომიერად ჭამდა და თითქმის არ სვამდა, სტალინს კარგი ჭამა-სმა უყვარდა. სუფრასთან საათობით იჯდა მთავრობის წევრებთან ერთად და ქეიფები ზოგჯერ დილამდე გრძელდებოდა (აქ კი ნამდვილად იჩენდა თავს ქართული გენეტიკა). თავად ბელადი შემდეგ დასაძინებლად მიდიოდა ხოლმე, საბრალო მინისტრებს კი ხშირად პირდაპირ სამსახურში უწევდათ წასვლა. პრემიერ-მინისტრი (სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე) ვიაჩესლავ მოლოტოვი, სანიმუშოდ მოწესრიგებული და პედანტი, საკუთარ თავს არსად დაგვიანების უფლებას არ აძლევდა ხოლმე და ბელადის გამოისობით ზოგჯერ მხოლოდ მანქანაში ახერხებდა დაძინებას.

კოშმარული რეპრესიები, რომლებიც სტალინმა პოლიტიკურ და სამხედრო ელიტას და მთლიანად საბჭოთა კავშირის მოსახლეობას დაატეხა თავს, მეტ-ნაკლებად დასრულდა 1938 წლის ბოლოსკენ, როცა დიქტატორმა ენკავედეს შეფი ნიკოლაი ეჟოვი გადააყენა. მოგვიანებით იგი დახვრიტეს და რეპრესიების პერიოდში გამოვლენილი ზედმეტი ენთუზიაზმიც მას გადააბრალეს. ენკავედე კი ეჟოვის მოადგილემ, ზეენერგიულმა და პრაგმატულმა ბერიამ გადაიბარა, კიდევ ერთმა ქართველმა, რომელიც მანამდე საქართველოს და ასევე მთლიანად ამიერკავკასიის

საბჭოთა რესპუბლიკას ხელმძღვანელობდა (ეს რესპუბლიკა 1936 წელს გაუქმდა სტალინის მიერ ახალი კონსტიტუციის შემოღების შედეგად). მოგვიანებით, როცა ბერია ძალაუფლებისათვის ბრძოლაში დამარცხდა, საბჭოთა პროპაგანდამ მას ყველანაირი შესაძლო ცოდვა და უბედურება დააბრალა და ლამის სტალინსა და ჰიტლერზე უარეს მანიაკად შერაცხა. ცხადია, იგი უცოდველი ნამდვილად არ იყო (ისევე როგორც –მაშინდელი საბჭოთა კავშირის არცერთი ლიდერი), მაგრამ მასზე არსებულ სისხლის-გამყინავ მითებს არც ფაქტები ადასტურებს და არც ჯანსაღი ლოგიკა. მთავარი ისაა, რომ ბერია ბრწყინვალე კადრი გამოდგა და საბჭოთა კავშირის ბევრ წარმატებაში უდიდესი წვლილი დაიდო.

იქამდე კი საბჭოთა პოლიტიკურმა ელიტამ დიდი შიში გამოიარა. 1938 წლის 12 ივნისს მანჯურიაში გადაიპარა ციმბირის რეგიონში ენკავედეს ხელმძღვანელი გენრიხ ლიუშკოვი. მას დაპატიმრების შეეშინდა (ალბათ სამართლიანადაც) და გადაწყვიტა, მოვლენებისათვის დაესწრო. გადას-ვლისთანავე იაპონელებს ჩაბარდა და დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ციმბირში საბჭოთა შეიარაღებული ძალების რაოდენობაზე, განლაგება-ზე, გეგმებზე... ასევე ლიუშკოვმა იაპონელებს მიუთითა საბჭოთა სამხე-დრო მანქანის ისეთ სისუსტეზე, როგორიც იყო კვალიფიციური კადრების ნაკლებობა სამეთაურო რგოლში. იქვე პროვოკაციულად დაუმატა, რომ ბლიუხერი და ვოროშილოვი პრევენციულ ომზე ფიქრობენ და უნდათ, იაპონიას ზურგში დაარტყან, სანამ ჩინეთთან ომშია ჩართულიო. ბოლოს კი იაპონელებს ურჩია, საბჭოთა კავშირი მანამდე გაენეიტრალებინათ, სანამ მისი შეიარაღებული ძალები ფეხზე დადგებოდა.

სტალინმა ლიუშკოვის მიერ იაპონელთათვის მონათხრობი დეტალუ-რად იცოდა თავისი კიდევ ერთი სუპერჯაშუშის, რიხარდ ზორგესგან. ამ უკანასკნელმა ინფორმაციას თავისი ნააზრევიც დაურთო და მოსკოვს მისწერა, თუკი იაპონია დაგარტყამთ, მას გერმანიაც შეუერთდებაო. კრემლში გადაწყვიტეს, ომისათვის სასწრაფოდ დაეჭირათ თადარიგი და ივლისის დასაწყისში საბჭოთა ჯარმა მანჯურიასთან ახლოს, ხასანის ტბასთან მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაღლე დაიკავა. ლიუშკოვის ნაამბობით შეგულიანებულმა იაპონურმა სამხედრო ელიტამ იმპერა-ტორ ჰიროჰიტოს ამაზე პასუხად ომის დაწყებისაკენ მოუწოდა; მაგრამ ეს მხოლოდ სათქმელად იყო იოლი, რადგან ივნისში იაპონელები ქალაქ უხანთან ჩინელების მილიონიან არმიას შეასკდნენ თვით ჩანგის მეთაუ-რობით. ასეთ პირობებში იმპერატორმა გადაწყვიტა, რომ ახალი ომის

დაწყება სიგიჟე იქნებოდა, მით უმეტეს რომ ლიუშკოვისგან მიღებული ინფორმაცია წინააღმდეგობრივი ეჩვენებოდა. უხანისთვის ბრძოლამ ოქტომბრამდე გასტანა და იაპონელთა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ მათი დანაკარგები 100 ათასს აჭარბებდა. ამიტომაც საბოლოო ჯამში ხასანის ტბასთან საბჭოთა და იაპონელ სამხედროებს შორის შეტაკებები მსხვილ მასშტაბებში არ გადაზრდილა და აგვისტოში დასრულდა კიდეც. სტალინს სრული საფუძველი ჰქონდა, ეტრაბახა იმით, რომ ჩანგზე არჩევანის გაკეთებამ საბოლოოდ გაამართლა. იაპონელები კი ჰიტლერს შესთხოვდნენ, ანტიკომინტერნული პაქტის ალიანსად ქცევას დათანხმებოდა, მაგრამ ფიურერს სურდა, ასეთ შემთხვევაში ახალი შეთანხმება საფრანგეთსა და ინგლისზე გავრცელებულიყო. ამაზე უკვე ტოკიო იკავებდა თავს და, შედეგად, პაქტი პროპაგანდისტულ დოკუმენტად უფრო რჩებოდა.

მაგრამ სტალინისათვის თავის დასამშვიდებლად ეს საკმარისი ნამდვილად ვერ იქნებოდა. იაპონია მაინც არსად წასვლას არ აპირებდა. ზორგეს წყალობით კი ბელადმა იცოდა, რომ ბერლინთან ალიანსზე მოლაპარაკებები კვლავ გრძელდებოდა. არანაკლებ მძიმედ იყო საქმე დასავლეთის ფლანგზე. აქ გერმანია არა მხოლოდ ძლიერდებოდა, არამედ მისი შეჩერების სურვილსაც არავინ ამჟღავნებდა. მიუნხენის კონფერენციაზე მოსკოვის უგულებელყოფამ, ცხადია, სტალინის პარანოია კიდევ უფრო გაამძაფრა. საბჭოთა კავშირს არაფრად აგდებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი გარანტორი იყო. გერმანიას კი ინგლისი ყველაფრის უფლებას აძლევდა და აშკარად აღმოსავლეთისაკენ უბიძგებდა. აქ ბელადი ალბათ ცდებოდა: თვით ჩემბერლენსაც ნამდვილად არ სურდა, რომ გერმანია საბჭოთა კავშირს დასხმოდა თავს; თუმცა, თუკი ჰიტლერი მიღწეულით არ დაკმაყოფილდებოდა და ახალ ტერიტორიებს მოითხოვდა, ცხადია, ჩემბერლენი არჩევდა, რაიხის ჯარი აღმოსავლეთით წასულიყო და არა დასავლეთით.

1935-წლის მარტის ბოლოს ჰიტლერის მონახულების შემდეგ იდენი მოსკოვშიც ჩავიდა. მასა და სტალინს ერთმანეთი აშკარად მოეწონათ. ბელადის მხრიდან კეთილგანწყობა შეიძლება იმ ფაქტმაც გამოიწვია, რომ იდენი პირველი მაღალი რანგის სტუმარი იყო, რომელიც მას ეახლა. სტალინი ინგლისელს გერმანულ და იაპონურ საფრთხეებზე ესაუბრა. რაღაც მომენტში იდენმა რუკას შეხედა და აღნიშნა, საბჭოთა კავშირი უზარმაზარია, ჩემი ქვეყანა კი – ძალიან პატარაო. მასპინძელმა მიუგო,

რომ სწორედ მის, ერთი შეხედვით პატარა ქვეყანაზე იყო დამოკიდებული გერმანიის შეჩერება. იდენი ამაზე დადუმდა და, როგორც ინგლისელების შემდგომი საქციელიდან გამოჩნდა, ეს დუმილი მრავლისმეტყველი იყო. სტალინს ლონდონის მიმართ დიდი ნდობა და სიმპათიები ისედაც არასოდეს ჰქონია. როგორც ნამდვილი მარქსისტი, ინგლისში მსოფლიო იმპერიალიზმის მთავარ საყრდენს ხედავდა. ინგლისთან შედარებით ამერიკაც კი „უფრო დემოკრატიულად" მიაჩნდა და მის მიმართ განსაკუთრებულ ანტიპათიას არ განიცდიდა. იმის შემდეგ, რაც ჩეხოსლოვაკიას დამართეს, ბელადს არანაირი გარანტია არ ჰქონდა, რომ ინგლისელი იმპერიალისტები გერმანელ ნაცისტებს არ შეეკვრებოდნენ. ამით ისინი ხომ, სულ მცირე, ომს აიცილებდნენ თავიდან და, თუკი ბედი გაუღიმებდათ, ჰიტლერისა და იაპონელების ხელით კომუნიზმსაც მოსპობდნენ.

ინგლისელთა მიმართ მზარდი უნდობლობა არანაირად არ ნიშნავდა ჰიტლერის მიმართ სიმპათიების ზრდას. მაგრამ სიმპათია-ანტიპათიების დრო ნამდვილად არ იყო. სტალინი აღარ აპირებდა იმის ატანას, რაც მისი ქვეყნის გარშემო ხდებოდა და ეს ყველგან უნდა გაეგოთ: ბერლინშიც, ლონდონშიც და (თუკი ეს ჯერ კიდევ ნიშნავდა რამეს) პარიზშიც. უნდა გაეგოთ პირადად ბელადისაგან.

1939 წლის 10 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-18 ყრილობა გაიხსნა. არც იქამდე და არც შემდეგ სტალინის არცერთ საჯარო გამოსვლას ამდენი მითქმა-მოთქმა და სპეკულაცია არ გამოუწვევია. საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას ბელადმა გერმანია და იტალია აგრესორებად მოიხსენია, მაგრამ იქვე ხაზი გაუსვა, რომ ეს საფრანგეთისა და ინგლისის ბრალიც გახლდათ. ისინი აგრესორებზე უფრო ძლიერები იყვნენ (სტალინმა ამის საჩვენებლად იქვე სტატისტიკაც მოიშველია), მაგრამ მათ შეჩერებას ერიდებოდნენ. რატომ ხდებოდა ეს? იმიტომ ხომ არა, რომ ეშინოდათ, ახალი დიდი ომი ახალი რევოლუციებით არ დასრულებულიყო? არა, ამას სხვა მიზეზი ჰქონდა. არააგრესიული სახელმწიფოები აშკარად ცდილობდნენ, აგრესორები ნებაზე მიეშვათ. დაე, იაპონიას ეომა ჩინეთთან, და კიდევ უკეთესი, თუკი იომებდა საბჭოთა კავშირთანაც. დაე, გერმანიას მიეტაცებინა ტერიტორიები ევროპაში და იქნებ საბჭოთა კავშირთან ომშიც გახვეულიყო. დაე, აგრესორები და საბჭოთა კავშირი ჩაფლულიყვნენ ომში, დაესუსტებინათ ერთმანეთი. მერე კი მავანნი „მშვიდობის დასაცავად" ჩაერთვებოდნენ საქმეში და მათ პირობებს უკარნახებდნენ. „იაფიცაა და ლამაზიც", – აღნიშნა ბელადმა.

შემდეგ იგი დასავლურ პრესაში ატეხილ აჟიოტაჟს შეეხო უკრაინის მიმართ გერმანიის აგრესიულ გეგმებზე, მაგრამ ბერლინის დაგმობის ნაცვლად ლაპარაკი სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა. შეიძლება გერმანიაში არსებობდნენ გიჟები, რომლებიც ამაზე ფიქრობდნენ. მაგრამ სიგიჟეებზე სერიოზული მსჯელობა არ შეიძლებოდა. საქმე აშკარად სხვა რამეში იყო: მავანნი ევროპასა და ამერიკაში აშკარად იმაზე ოცნებობდნენ, როდის დაიძვრებოდა გერმანია საბჭოთა უკრაინისაკენ და იმედგაცრუებას ვეღარ მალავდნენ გერმანელთა პასიურობის გამო. შეიძლებოდა ისიც გეფიქრა, რომ რაიხს ჩეხოსლოვაკიის მიწებიც იმის სანაცვლოდ გადაულოცეს, რათა მერე საბჭოთა კავშირს დასხმოდა თავს. ჰოდა, ახლა გერმანიამ ისინი ფეხებზე დაიკიდა და ეს არ მოსწონდათ.

საბჭოთა კავშირს მშვიდობა სურდა, მაგრამ, ამავე დროს, აგრესიის მოსაგერიებლადაც მზად იყო. საბჭოთა კავშირი ფრთხილად იქნებოდა და არ დაუშვებდა, იგი ომში ჩაეთრიათ პროვოკატორებს, რომლებიც სხვისი ხელით „ცეცხლის ჩხრეკას“ იყვნენ მიჩვეულნი. აქ სტალინმა დაახლოებით ისეთივე გამოთქმა გამოიყენა, რომელიც გამოიყენა ოდესღაც ბისმარკმა ინგლისთან მიმართებით ბულგარული კრიზისის დროს (რკინის კანცლერმა თქვა, რომ არ აპირებდა ინგლისის ნაცვლად „ცეცხლიდან ცხელი წაბლი ამოეღო“). განგებ გააკეთა თუ არა ეს ბელადმა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მოაზროვნე ადამიანი უნდა მიმხვდარიყო, კონკრეტულად ვის გულისხმობდა სტალინი „პროვოკატორებში“. ამისთვის არც ბისმარკის ცოდნა იყო დიდად საჭირო.

მოსკოვში გერმანიის საელჩოს სტალინის ეს გამოსვლა შეუმჩნეველი არ დარჩა და რამდენიმე დღეში რიბენტროპმა ფიურერთან ამ თემაზე საუბარი სცადა. მოსკოვთან დაახლოება ბრწყინვალე შურისძიება იქნებოდა ინგლისელებზე, რომელთა ბოლმა მინისტრს არ განელებოდა. მაგრამ ჰიტლერი მეტისმეტად იყო დაკავებული ჩეხოსლოვაკიის საბოლოო ლიკვიდაციით და რიბენტროპის მონათხრობისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. თუკი ვინმემ ბელადის გამოსვლა სწრაფადაც და სწორადაც გაშიფრა, ეს ტროცკი იყო, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ სტალინი აშკარად ჰიტლერთან გარიგებას აპირებდა. ეს განცხადება მის სასიკვდილო განაჩენად იქცა. ბელადმა მალე ბერია მოიხმო და ტროცკის პრობლემის „საბოლოო მოგვარება“ დაავალა. ენკავედეს ახალმა შეფმა მისიისთვის უწყების ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი პაველ სუდოპლატოვი შეარჩია, რომელსაც უკვე გააჩნდა

მსგავს საქმეებში გამოცდილება; ერთი წლით ადრე როტერდამში მან იმ ქვეყანას გაისტუმრა უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერი, რომელსაც შოკოლადის ყუთში ბომბი ჩაუდო. ამ დეტალის გარდა სუდოპლატოვის ნახელავი იმიტომაცაა აღსანიშნავი, რომ გამოძიებამ მოსკოვის კვალზე გასვლა ვერ მოახერხა. ტროცკის ლიკვიდაცია, თავისთავად, დიდი მიღწევა იქნებოდა და კიდევ უკეთესი, თუკი ამაში სტალინს ვერავინ დაადანაშაულებდა.

ტროცკი 1937 წლის 9 იანვრის შემდეგ მექსიკაში ცხოვრობდა. იქამდე მან ნახევარი სამყაროს მოვლა მოასწრო. 1929 წელს საბჭოთა კავშირიდან წასული ჯერ თურქეთში ცხოვრობდა, შემდეგ, როცა სამშობლოში დაბრუნება აეკრძალა, 1933 წელს დალადიეს მიწვევით საფრანგეთში დასახლდა. ერთ წელიწადში, დალადიეს იძულებითი გადადგომის შემდეგ ახალმა, მემარჯვენე მთავრობამ ტროცკი მიყრუებულ სოფელში გაამწესა, 1935 წელს ფრანგულ-საბჭოთა ურთიერთდახმარების პაქტის გაფორმების შემდეგ კი იგი საფრანგეთიდან საერთოდ გააძევეს. ბოლშევიკური რევოლუციის მთავარმა ორგანიზატორმა ნორვეგიას მიაშურა. იქ ყოფნისას სტალინის კრიტიკით თავი ზედმეტად გამოიჩინა (სწორედ მაშინ დაწერა „რევოლუციას უღალატეს“) და საბჭოთა სასამართლომაც მას სიკვდილი მიუსაჯა (აგვისტო 1936). ამის შემდეგ მოსკოვი ოსლოს ეკონომიკური სანქციებით დაემუქრა და სტალინის მთავარ მეტოქეს ხელახალი აბარგება მოუხდა, ამჯერად მექსიკისაკენ, რომელიც მისი უკანასკნელი გაჩერება უნდა ყოფილიყო. 1937 წელსვე, სტალინის ბრძანებით, ენკავედემ ტროცკის ლიკვიდაცია სცადა, მაგრამ ოპერაცია ჩავარდა და ბელადი კარგ გუნებაზე არ დააყენა. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტროცკის ლიკვიდაციის მცდელობები ჯერ კიდევ მისი თურქეთში ყოფნისას დაიწყო, მაგრამ, ჩანს, ისინი არც ისეთი სერიოზული იყო.

მოკლედ, 1939 წლის მარტში სტალინი არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე დაფიქრდა, არამედ ტროცკის საკითხიც სრული სერიოზულობითა და სიმკაცრით დასვა. ის ბერიას თანდასწრებით სუდოპლატოვს პირადად შეხვდა და დავალების მნიშვნელობაზე დიდხანს ესაუბრა. ბელადის თქმით, ახალი დიდი ომი გარდაუვალი იყო, იგი ალბათ ერთ წელიწადში დაიწყებოდა და მანამდე ტროცკი აუცილებლად უნდა მოეშორებინათ. ესპანეთის ომმა კარგად აჩვენა, რომ სანამ ტროცკი ცოცხალი იქნებოდა, საბჭოთა კავშირს საერთაშორისო

კომუნისტური მოძრაობების მხრიდან ერთიანი მხარდაჭერა გარანტირებული არ ჰქონდა. მისი ფაქტორი კომუნისტებსა და, ზოგადად, მემარცხენეებს შუაზე ხლეჩდა. არადა, საბჭოთა კავშირზე იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში მოწინააღმდეგეთა ზურგში სწორედ ადგილობრივ კომუნისტებს უნდა ემუშავათ – ეწარმოებინათ პარტიზანული ომი, საბოტაჟი, დივერსია და ა.შ. ტროცკის ლიკვიდაციის შემთხვევაში მოხდებოდა არა მხოლოდ მისი, არამედ მთელი ტროცკისტული მოძრაობის განადგურება, რადგან ამ მოძრაობაში სხვა მნიშვნელოვანი ფიგურები არ იყვნენ. მისი ლიკვიდაციის წყალობით კომინტერნი შეუფერხებლად იმუშავებდა და მოსკოვს გაცილებით უკეთ დაეხმარებოდა.

ბერიას რეკომენდაციით ენკავედეს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ ახლად დანიშნული სუდოპლატოვი დავალებაზე მუშაობას იმ დღესვე შეუდგა.

ოთხმხრივი თამაში

პარიზსა და ლონდონში საბჭოთა კავშირი მხოლოდ აპრილის შუა რიცხვებში გაახსენდათ. ჯერ ბონემ ახსენა საბჭოთა ელჩთან, რომ სამხედრო თანამშრომლობის დეტალებზე ცალკე საუბარი იყო საჭირო. მალე კი (14 აპრილს) ჰალიფაქსმა მაისკის ჰკითხა, ხომ არ გააკეთებდა მოსკოვი განცხადებას მომავალი აგრესიის მსხვერპლი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე. ანგლოფილმა ლიტვინოვმა გადაწყვიტა, რომ გადამწყვეტი მომენტი დადგა. მან ჰალიფაქსის პასუხად ინგლისთან ალიანსის ტექსტი დაწერა და სასწრაფოდ გააცნო სტალინსა და მოლოტოვს. ბელადმა ტექსტი გადააკეთა, რის შედეგადაც იგი სამმხრივი ალიანსის პროექტად იქცა. 16 აპრილს ტექსტი ლონდონს გადაეგზავნა. ფრანგები სტალინის შეთავაზებით დაინტრიგდნენ, მაგრამ მათ ინგლისელებმა მალევე გადაასხეს ცივი წყალი. ჩემბერლენს დაჟინებული ჰქონდა, რომ საბჭოთა ჯარი უუნარო იყო და, აქედან გამომდინარე, მოსკოვთან დაახლოება პრობლემების მეტს არაფერს მოიტანდა. ამას ისიც დაემატა, რომ მის მთავრობას რუმინელები ეწუწუნებოდნენ, მოსკოვთან ალიანსი გერმანიას გააღიზიანებს და ეს უკანასკნელი ჩვენ დაგვარტყამსო. ცხადია, არც პოლონელები იყვნენ აღტაცებულნი საბჭოთა-ინგლისური დაახლოების პერსპექტივით. ჰალიფაქსმა მათი ელჩი

მალევე დაამშვიდა, მოსკოვთან არანაირ დაახლოებას არ ვაპირებთო და ეს ამბავი მაისკის ყურამდეც მივიდა. 19 აპრილს ინგლისის მთავრობამ საბოლოოდ გადაწყვიტა, სტალინისათვის უარი ეთქვა, მაგრამ პასუხის მიცემას არ ჩქარობდნენ იმის შიშით, რომ გაბრაზებული სტალინი გერმანიას არ დაახლოებოდა.

მაგრამ სტალინისათვის პასუხის გაჭიანურებაც ისეთივე გამაღიზიანებელი იყო როგორც უარყოფითი პასუხი. იგი, წესით, იმედოვნებდა, რომ კომუნისტური პარტიის კონგრესზე მის გამოსვლას ლონდონში სწორად გაიგებდნენ და გონს მოეგებოდნენ, მაგრამ ახლა აშკარა ხდებოდა, რომ მის გამოსვლას ან საერთოდ არ მიაქციეს ყურადღება, ან მისი ნათქვამი გაიგეს და წაუყრუეს. 19 აპრილსავე ბელადმა ლონდონიდან, პარიზიდან და ბერლინიდან ელჩები მიიხმო და მათი თანდასწრებით დიდი საქმის გარჩევა გაიმართა. ბრალდებულის როლში ამჯერად ლიტვინოვი იყო, რომელსაც არა მხოლოდ სტალინის, არამედ მოლოტოვის რისხვაც დაატყდა თავს. ეს უკანასკნელი საგარეო საქმეთა მინისტრს ვერასოდეს იტანდა და მისი კრიტიკისათვის უკეთეს დროს ძნელად თუ გამონახავდა: ლიტვინოვის დემოკრატიებთან დაახლოებასა და კოლექტიურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული პოლიტიკა ჩავარდა, მთელი ეს წლები წყალში ჩაიყარა, დემოკრატიებმა საბჭოთა კავშირს გადამწყვეტ მომენტში ისევ ზურგი შეაქციეს. დამსწრეებიდან ყველა მიხვდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის დღეები დათვლილი იყო.

ამ განკითხვის დროს ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა; გერმანიაში საბჭოთა ელჩმა ალექსანდრ მერეკალოვმა უფროსობას გაანდო, რომ ბერლინთან დაახლოება არც ისე არარეალურ ამოცანად მოჩანდა. საქმე ისაა, რომ მას რამდენიმე დღით ადრე „შკოდას“ ქარხანაში საბჭოთა შეკვეთებისათვის შექმნილი პრობლემების თაობაზე ვაიცაკერთან ჰქონდა შეხვედრა. სახელმწიფო მდივანმა პრეტენზიების პასუხად ელჩს მოსკოვსა და ლონდონს შორის ალიანსზე მოარული ხმების გამო საქმის გარჩევა დაუწყო, მაგრამ შემდეგ დაცხრა და ისიც კი უთხრა, რომ ბერლინს მოსკოვთან ორმხრივად მომგებიანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სურდა.

მერეკალოვმა არ იცოდა, რომ ამ საუბრით გერმანიის სახელმწიფო მდივანიც კმაყოფილი დარჩა და რომ ამის შესახებ თავის უფროსობას აცნობა. ვაიცაკერს განსაკუთრებით ენიშნა საბჭოთა ელჩის ნათქვამი, რომ იდეოლოგიური წინააღმდეგობები მოსკოვს იტალიასთან საქმიან

ურთიერთობებში ხელს არ უშლიდა და რომ აუცილებელი არ იყო, ხელი შეეშალა გერმანიასთან ურთიერთობებში.

ლიტვინოვს წამზომი ჩაერთო. ის და მისი თანამოაზრე მაისკი იმედს ბოლო წუთებამდე ებღაუჭებოდნენ, მაგრამ 3 მაისს ლონდონიდან კვლავაც იგივე პასუხი მოვიდა: ინგლისის მთავრობას სტალინის შეთავაზების განხილვა ჯერ არ დაესრულებინა. ლიტვინოვს მოლოტოვისგან ახალი რისხვის ტალღა დაატყდა. მეორე დღესვე საგარეო სამინისტრო მან გადაიბარა. ლიტვინოვზე „სახელმწიფო ღალატის“ მუხლით გამოძიება დაიწყო. მას მოსკოვის ბინა წაართვეს და ქალაქგარეთ აგარაკზე გადავიდა, რომელსაც ენკავედეს ჯარი დარაჯობდა. საგარეოში მცირე წმენდაც მოეწყო – რამდენიმე დიპლომატი დააპატიმრეს, საელჩოებში მომუშავეებიდან ზოგიერთს ჭკუა ეყო და თავი დაიძვრინა (მოსკოვიდან გამოძახებას არ დაემორჩილა და ადგილზევე დარჩა). ლოგიკის მიხედვით, წმენდაში მაისკიც უნდა მოყოლილიყო, მაგრამ ის როგორღაც გადარჩა.

ებრაული წარმოშობის ლიტვინოვის თანამდებობიდან ასე მოულოდნელად გაშვებას უკვე პირადად ჰიტლერმაც მიაქცია ყურადღება. საბჭოთა საელჩოც, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებდა, რომ ბერლინში ეს ცვლილება სათანადოდ შეეფასებინათ. უკვე 5 მაისს საბჭოთა ელჩის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ასტახოვი საგარეო სამინისტროს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის მთავარ ექსპერტს კარლ შნურეს შეხვდა. ამ უკანასკნელმა ახარა, რომ „შკოდა“ მოსკოვს დაკვეთილ შეიარაღებას უპრობლემოდ მიაწვდიდა. ასტახოვმა ჰკითხა, რას ამბობდნენ მთავრობაში მოლოტოვის დანიშვნის თაობაზე. შნურემ ცხადი პასუხი არ გასცა, მაგრამ ზუსტად ორ დღეში გერინგის ადიუტანტმა კულონდრს ამცნო, ფიურერს მოსკოვთან გარიგება სურსო. ანუ ყინული დაიძრა. 10 მაისს ჰიტლერმა შნურე და მოსკოვში გერმანიის საელჩოს ყველაზე გამოცდილი თანამშრომელი დაიბარა და სტალინთან დაახლოების შანსებზე აზრი ჰკითხა. ფიურერს მოსკოვთან ურთიერთობების დალაგების აუცილებლობაზე იქამდეც ბევრი ელაპარაკებოდა, მათ შორის გერინგიც. 1938 წლის ბოლოს საბჭოთა-გერმანულ ეკონომიკურ შეთანხმებებს ვადა ამოეწურა. ავიაციის მინისტრს სხვა ყველაფერთან ერთად ოთხწლიანი გეგმაც ებარა და კარგად ესმოდა, რამდენად ესაჭიროებოდა რაიხს საბჭოთა კავშირი, როგორც ნედლეულის წყარო. კომუნისტური პარტიის კონგრესზე სტალინის გამოსვლა გერინგს შეუმჩნეველად არ დარჩენია და აპრილში დუჩესთან სტუმრობის დროს მას მოსკოვთან შესაძლო

დაახლოებაზე ჩამოუგდო საუბარი. მასპინძელმა გერინგს მხარი აუბა და ხაზი გაუსვა, რომ რუსული რეჟიმისათვის კაპიტალიზმი და პლუტოკრატია ისევე მიუღებელი უნდა ყოფილიყო, როგორც ღერძის სახელმწიფოებისათვის. ეს საუბარი სწორედ იმ დღეს შედგა, როცა ლიტვინოვმა ლონდონსა და პარიზს სამმხრივი ალიანსის ტექსტი გადაუგზავნა.

აპრილის ბოლოსკენ კი დუჩეს ატოლიკომ აცნობა, რომ გერმანიის პოლონეთზე თავდასხმა გარდაუვალი იყო. ამის პასუხად ჩიანო 6 მაისს ბერლინს ჩავიდა და რიბენტროპს განუმარტა, რომ იტალია ჯერ კიდევ არ იყო მზად ომისათვის და კიდევ სამი წელი მაინც ესაჭიროებოდა. ესპანეთმა ქვეყანა გამოფიტა და მუსოლინისაც კი დააკარგვინა ომის ხალისი. რიბენტროპმა სტუმარს ამ უკანასკნელის გასაოცრად განუცხადა, რომ ომს არც რაიხი აპირებდა კიდევ ხუთი (!) წლის განმავლობაში. როცა ჩიანომ ეს ამბავი თავის სიმამრს ტელეფონით ამცნო, მან უეცრად ახალი დავალება მისცა: იქნებ გერმანელები ალიანსზე დაეთანხმებინა. ჰიტლერს ამჯერად უარი აღარ უთქვამს და 22 მაისს ბერლინში ჩიანომ ხელი მოაწერა ორმხრივ შეთანხმებას, რომელსაც „ფოლადის პაქტი“ ეწოდა. იტალიელმა მინისტრმა ამავე პაქტში ჩართო პირობა, რომ მისი ქვეყანა უფლებას იტოვებდა, სამი წლის განმავლობაში არ ჩაბმულიყო ომში, გერმანიას კი ომის დაწყებისათვის რომის თანხმობა ესაჭიროებოდა. რიბენტროპი იტალიელ კოლეგას არწმუნებდა, რომ რაიხი ომს მაინც არ აპირებდა და პაქტი, სხვა ყველაფერთან ერთად, იმიტომაც სურდა, რომ დემოკრატიები დაეფრთხო: ეს უკანასკნელნი ბერლინი-რომის ერთობის დანახვაზე პოლონეთის დაცვაზე ხელს აიღებდნენ. რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრს პაქტში იაპონელების შეტყუებაც უნდოდა, მაგრამ ისინი კვლავაც უარზე იყვნენ, რადგან ინგლისთან და საფრანგეთთან დაპირისპირება არ სურდათ. პაქტზე ხელმოწერის კულმინაციად ჩიანოს მიერ რიბენტროპისათვის სავოის სამეფო დინასტიის უმაღლესი ჯილდოს გადაცემა იქცა, რამაც გერინგი შურის ცრემლით ატირა.

მოსკოვში კი, რაიხთან თამაშის პარალელურად, მოლოტოვი მშვიდად ელოდა პასუხს დემოკრატიებისგან. სტალინის შემდეგ საბჭოთა ელიტაში ალბათ არავინ ამართლებდა თავის შერჩეულ სახელს ისე, როგორც ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი („მოლოტ“ რუსულად ჩაქუჩს ნიშნავს, დაბადებით კი იგი სკრიაბინი იყო და ცნობილი კომპოზიტორის ძმისშვილი გახლდათ). ევროპელმა ელჩებმა ჯერ არ იცოდნენ, მისი სახით რა ელოდათ. ჩაქუჩი ჩაქუჩი იყო ყველასთვის – ხელქვეითებისათვის,

მინისტრებისათვის, ის კი არა, სტალინთან შეპასუხებასაც კი ბედავდა ხოლმე. 8 მაისს მინისტრმა ინგლისის ელჩს უილიმ სიდსსა და საფრანგეთის ელჩს პოლ-ემილ ნაჟიარს აცნობა, რომ ალიანსის შემოთავაზება კვლავაც ძალაში იყო. პასუხად სიდსმა მოლოტოვს, მისდა გასაოცრად, მოსთხოვა საჯარო განცხადება, რომ მოსკოვი ინგლისსა და საფრანგეთს პოლონეთისა და რუმინეთის დასაცავად გვერდით დაუდგებოდა. ამ მოთხოვნაში სასწაულებრივი არაფერი იყო, რადგან ლონდონში საბჭოთა კავშირს კვლავაც ასე მოწყალედ უყურებდნენ: მას დემოკრატიები უნდა დაეცვა, მაგრამ სანაცვლოდ არაფერი არ უნდა მიეღო.

მოლოტოვმა ბრაზი გადაყლაპა და 14 მაისს ელჩებს ალიანსის შეთავაზება კვლავ შეახსენა. იქვე მძიმე საუბარი გაიმართა ალიანსთან დაკავშირებულ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე – ეს იყო ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის სამმხრივი გარანტიის მიცემა. გეოგრაფიიდან გამომდინარე, გერმანია საბჭოთა კავშირს სწორედ ამ ქვეყნების გავლით თუ შეუტევდა. ჯერ კიდევ ჩაქუჩის დანიშვნამდე, მარტის ბოლოს ლატვია და ესტონეთი ლიტვინოვმა გააფრთხილა, რომ მოსკოვისათვის მიუღებელი იქნებოდა ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მათ სუვერენიტეტს შეზღუდავდა (მნიშვნელობა არ ჰქონდა, ძალით თუ ნებით). ჩაქუჩმა კი, ცხადია, ეს საკითხი კიდევ უფრო მკაცრად დასვა. ელჩები შეეპასუხნენ, რომ თავად ბალტიისპირეთის ქვეყნებს არანაირად არ სურდათ საბჭოთა გარანტია. ეს კი ნამდვილად სიმართლე იყო, მაგრამ სიმართლე იყო ისიც, რომ ლონდონში ბალტიისპირელთა დარწმუნებით დიდად თავს არ იკლავდნენ. 21 მაისს ჰალიფაქსმა მაისკის განუცხადა, რომ ბალტიისპირელები უარზე იყვნენ და ინგლისი მათ ძალას ვერ დაატანდა. მერე ისიც დაამატა, სამმხრივი ალიანსი ჰიტლერს კიდევ უფრო გააგიჟებს და პირდაპირ ომს დაიწყებსო. მეორე დღეს სიდსმა და ნაჟიარმა ჩაქუჩის ძალა საკუთარ თავზე გამოსცადეს, მას შემდეგ, რაც ბალტიისპირეთის გარანტიაზე ისევ უარი უთხრეს, სამაგიეროდ კი ალიანსზე დათანხმდნენ, ოღონდ მეტად სახალისო პირობით: საბჭოთა კავშირს მასზე თავდასხმის შემთხვევაში მხოლოდ კონსულტაციებს სთავაზობდნენ და ისიც – ერთა ლიგის ფარგლებში. აქ უკვე მოლოტოვმა ბრაზი აღარ გადაყლაპა...

კარგი დღე ჩაქუჩისგან არც გერმანიის ელჩს დაადგა. ფრიდრიხ-ვერნერ ფონ შულენბურგი იმ გერმანელ დიპლომატთა წრეს მიეკუთვნებოდა, რომელთაც მოსკოვთან მეგობრობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, მაგრამ მოლოტოვს ეს ნაკლებად აინტერესებდა. თვითონ,

ანალოგიურად, გერმანოფილი იყო, მაგრამ როცა საქმეს სჭირდებოდა, გერმანოფობივითაც შეეძლო მოქცეულიყო. მან 20 მაისს ელჩი დაიბარა და შავი დღე აყარა ეკონომიკურ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების გაწელვის გამო. როცა შულენბურგმა თავის მართლება სცადა, ჩაქუჩმა მიახალა, ეკონომიკური დიალოგის განახლებისათვის ახლა „პოლიტიკური საფუძველია“ საჭიროო. გაოგნებულმა შულენბურგმა არ იცოდა, რომ სწორედ იმ დღეებში სტალინს დაზვერვამ ბერლინიდან მეტად საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია მიაწოდა: ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ, თუკი პოლონეთს სწრაფად გასრესდა, ინგლისი და საფრანგეთი არ ჩაერეოდნენ. მაგრამ, სამაგიეროდ, მას მოსკოვის მხრიდან ჩარევის ეშინოდა. დაზვერვამ სტალინს ისიც აცნობა, რომ პოლონეთის განადგურების შემდეგ ფიურერი დასავლეთს მიუბრუნდებოდა. ანუ, გერმანელებს მოსკოვი აშკარად სჭირდებოდათ.

მაგრამ ფიურერი ჯერ კიდევ ყოყმანობდა. კომუნისტებთან თანამშრომლობაზე იგი მარტივად მიდიოდა, როცა ჯერ კიდევ ძალაუფლებისათვის იბრძოდა გერმანიაში. მაგრამ მას შემდეგ კომუნისტები ამოშანთა და ებრაელებთან ერთად რაიხის მთავარ მტრებად გამოაცხადა. მოცემულ ეტაპზე ჰიტლერს ერთი ამოცანა ჰქონდა: პოლონეთის უმტკივნეულოდ გასრესა. იტალიასთან ალიანსი ამ ამოცანას აიოლებდა და თუკი ალიანსში იაპონიასაც შემოიტყუებდა, ამოცანა კიდევ უფრო გაიოლდებოდა, რადგან საფრანგეთს და მით უმეტეს, ინგლისს აზიაში სერიოზული ინტერესები ჰქონდათ და იქ იაპონიასთან კონფრონტაციის შეეშინდებოდათ. ოღონდ, აი, გერმანელებს ტოკიოდან ცხადი პასუხი არა და არ მოსდიოდათ. აქ ალიანსის წინააღმდეგ ილაშქრებდა ფლოტი, რომლის სარდლობასაც ზღვაზე იმავე ინგლისთან შეტაკების პერსპექტივა სულაც არ მოსწონდა. რიბენტროპმა ისიც კი ქნა, რომ იაპონელებს მიანიშნა, თუკი ალიანსზე არ წამოხვალთ, მოსკოვს დავუმეგობრდებითო, მაგრამ ტოკიოში ეს მუქარა სერიოზულად არ მიიღეს. იქ იდეოლოგიურ განსხვავებებს უფრო სერიოზულად უყურებდნენ. რაიხის პირველ დიპლომატს იაპონელთა საქციელი აღარ მოსწონდა, მით უმეტეს, რომ გერმანიამ უკან გამოიხმო სამხედრო მრჩევლები, რომლებიც ჩინეთის არმიას წვრთნიდნენ, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო, მათ შორის – ვერც ეკონომიკური პრივილეგიები იაპონიის მიერ კონტროლირებად აზიის ტერიტორიებზე.

10-11 მაისს მდინარე ჰალხინ გოლთან (მონღოლურად მდინარე ჰალხა)

მონღოლები მანჯურიაში განლაგებულ იაპონელებს შეეტაკნენ. ამ დროისათვის მოსკოვისადმი ყოველთვის მტრულად განწყობილ კვანტუნგის არმიის სარდლობას საბჭოთა კავშირზე ახალი დიდი შეტევა ჰქონდა განზრახული, ოღონდ საამისოდ სურდა, ჯერ საბჭოთა ჯარი მონღოლეთიდან გაეძევებინა. ტოკიომ კვანტუნგელებს მწვანე შუქი აუნთო. სტალინისათვის ჭეშმარიტების მომენტი დადგა: იაპონია აშკარად ომს იწყებდა, შესაბამისად, მას როგორმე გერმანია უნდა გაეჩერებინა. დასავლეთის მიმართულებით დიპლომატებს უნდა ემუშავათ, აღმოსავლეთის მიმართულებით კი სამხედროებს. 24 მაისს თავდაცვის მინისტრმა ვოროშილოვმა თავის კარიერაში ალბათ საუკეთესო და ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: მონღოლეთის ფრონტი მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ გიორგი ჟუკოვს მიანდო...

იხვებზე მონადირეები

სანამ ლონდონი და პარიზი ბალტიისპირეთს ძალას არ ატანდნენ, გერმანიამ დრო იხელთა და (7 ივნისს) ესტონეთთან და ლატვიასთან თავდაუსხმელობის პაქტები გააფორმა. ამან, ცხადია, კიდევ უფრო მეტად განარისხა სტალინი, რომელსაც ბალტიისპირელთა ნეიტრალიტეტის ისედაც არ სჯეროდა და მათ ბერლინისადმი ზედმეტ სიმპათიებში ადანაშაულებდა. 10 ივნისს მაისკიმ ლონდონში მკაცრად მოითხოვა გარანტია, რომ ბალტიისპირეთი საბჭოთა კავშირზე შეტევისათვის არ იქნებოდა გამოყენებული. ჩემბერლენმა, ცხადია, უარი თქვა. მაისკიმ მაშინ მოსკოვში ჰალიფაქსის ჩასვლა ითხოვა. სტალინის დარწმუნება, რომ ინგლისელები მასთან მოლაპარაკებებს სერიოზულად უყურებდნენ სულ უფრო და უფრო ჭირდა და ამიტომ ლონდონიდან ბელადთან მაღალი რანგის სტუმრის მივლენა იყო საჭირო. ჩემბერლენმა ამაზეც უარი თქვა და არც თავად ჰალიფაქსი ამჟღავნებდა დიდ ენთუზიაზმს. აქ საქმეში იდენი ჩაერია, რომელიც ლონდონში სტალინს ყველაზე უკეთ იცნობდა, და პრემიერ-მინისტრს მოსკოვში მისიისათვის საკუთარი თავი შესთავაზა. ჩემბერლენმა ამაზეც უარი განაცხადა და ბოლოს საგარეო სამინისტროს ჩინოვნიკის, უილიამ სტრენგის გაშვება გადაწყვიტა. გაცოფებულმა მოლოტოვმა სიდსს პირდაპირ განუცხადა, 1935 წელს ფრანგებთან გაფორმებული პაქტი ფარატინა ქაღალდიაო. ჩანს, ისიც და ბელადიც უკვე ეჭვობდნენ, რომ ლონდონთან და პარიზთან ალიანსის

გაფორმებაც კი არაფერს მოიტანდა; საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, გერმანიას თავს არცერთი არ შეაკლავდა (როგორც ეს მოგვიანებით მოხდა კიდეც).

სტალინის გასახარად, ამის შემდეგ რაიხთან მოლაპარაკებები დაიძრა. 10 ივლისს გერმანელებმა საგარეო ვაჭრობის მინისტრს, ანასტას მიქოიანს ეკონომიკურ შეთანხმებაზე ბერლინის მხრიდან დაპაუზებული მოლაპარაკების განახლება და მსხვილი სესხი შესთავაზეს. მაგრამ 18 ივლისს ბელადმა შეიტყო, რომ ჩემბერლენის კურთხევით უილსონი გერინგის ემისარს შეხვდა და უთხრა, ინგლის-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტი ჩვენ პოლონეთთან ვალდებულებისგან გაგვათავისუფლებდაო. სტალინს მუდამ ჰქონდა ეჭვი, რომ ჰიტლერი მას მხოლოდ იმიტომ ეფლირტავებოდა, რათა ლონდონი დაეშინებინა და მისგან ახალი დათმობა მიეღო. სინამდვილეში კი ამ შეხვედრასთან ჰიტლერს საქმე ნაკლებად ჰქონდა და იგი ძირითადად გერინგის ინიციატივით შედგა. რაიხის ავიაციის მინისტრი ფუფუნებასა და კარგ ცხოვრებას მიჩვეოდა, ომი საკმარისზე მეტად ჰქონდა საკუთარ თავზე გამოცდილი და ისიც კარგად ახსოვდა მას, გერმანიის საუკეთესო პილოტს, დამარცხებული სამშობლო როგორ დახვდა (მიუნხენში რადიკალ მემარცხენეთა ბრბომ იგი სცემა და ეპოლეტები ააგლიჯა). გერინგის ემისარი შვედი ბიზნესმენი ბირგერ დალერუსი იყო, რომელსაც მისი ლონდონური კონტაქტები აფრთხილებდნენ, ინგლისი პოლონეთის გამო ომში ჩაებმებოდა. ეს ამბავი დალერუსმა რაიხის მინისტრსაც გაანდო და რამდენიმე მსხვილ ინგლისელ ბიზნესმენთან შეხვედრაც დაუგეგმა დანიის საზღვართან ახლოს თავის ვილაში. ლონდონში იგი უილსონის გარდა ჰალიფაქსსაც შეხვდა და მას გერინგისა და ბიზნესმენების მომავალ შეხვედრაზეც ესაუბრა, რომელიც საბოლოოდ 7 აგვისტოს შედგა. ბიზნესმენებმა მინისტრს იგივე უთხრეს, რაც დალერუსმა – ლონდონი პოლონეთს არ მიატოვებდა.

ეს ნათქვამი ნახევარად სიმართლე უფრო იყო. ინგლისელები რაიხსტაგში ჰიტლერის დაუვიწყარი გამოსვლის შემდეგ პოლონეთთან ვალდებულებისგან თავის დაძვრენაზე ფიქრობდნენ. მათ ბეკს დაბეჯითებით სთხოვეს, იქიდან მოყოლებული მაინც მათთვის არაფერი დაემალა (როგორც იქამდე უმალავდა, რომ ჰიტლერი მას დანციგს სთხოვდა) და იქვე დაუმატეს, რომ ორმხრივი გარანტია მხოლოდ მაშინ იმუშავებდა, როცა პოლონეთის დამოუკიდებლობა „აშკარად" დადგებოდა საფრთხის ქვეშ. მაგრამ ბეკი მათთვის შეღავათის გაწევას არ აპირებდა და

უპასუხა, თუ გერმანია ძალას არ მიმართავს, კაზუს ბელი არ დადგებაო. ძალის გამოყენებას გერმანია დანციგის კორიდორის გამო აპირებდა და ლონდონში ბედნიერები იქნებოდნენ, თუკი პოლონელები მას მშვიდობიანად დათმობდნენ, მაგრამ ბეკს ამის თქმას ვერ უბედავდნენ. თავისთავად ცხადია, რომ ბეკიც ერიდებოდა ინგლისელებთან უშუალოდ დანციგის ხსენებას, რათა პასუხად მათ არ ეთხოვათ, კორიდორზე უარი ეთქვა. ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო, რის გამოც ლონდონსა და ვარშავას შორის მუდმივ ალიანსს მხოლოდ აგვისტოში მოეწერა ხელი, მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა გადაწყვიტეს, რომ გერმანიის მისამართით პრინციპულობის დემონსტრირება მართებდათ (ამაზე ქვემოთ). პარიზთან ანალოგიური დოკუმენტი პოლონელებმა მაისში გააფორმეს. მანამდე არსებული ფრანგულ-პოლონური ალიანსი უკვე ხომ ფარატინა ქაღალდად იყო ქცეული.

ჩემბერლენი ხვდებოდა, რომ სტალინის მოთმინებას საზღვარი ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ამაზე სულ უფრო და უფრო ხშირად მიუთითებდნენ ცალკე ფრანგები და ცალკე ოპონენტები ინგლისის პოლიტიკურ ელიტაში (უპირველესად, ჩერჩილი და ლოიდ-ჯორჯი). მაგრამ, აი, მიუნხენის შემოქმედს მოსკოვთან სერიოზული საუბარი უბრალოდ არ სურდა. სტალინთან მისი წათამაშება, უპირველესად, დროის გაყვანის მიზანს ემსახურებოდა. ეს მიზანი ჩემბერლენმა მას შემდეგ დაისახა, რაც დაზვერვამ აცნობა, რომ გერმანიის ეკონომიკა დიდი ომისათვის მზად არ იყო. ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, მან გადაწყვიტა, რომ ჰიტლერისათვის დრო უნდა მიეცა, რათა ის გონს მოსულიყო და თავისი მდგომარეობა გაეაზრებინა. დროის გასაწელად 19 ივლისს პრემიერ-მინისტრმა და ჰალიფაქსმა ახალი ხერხი მოიგონეს: მოსკოვისათვის უნდა ეთქვათ, რომ სამხედროსთან ერთად პოლიტიკური მოლაპარაკებებიც სურდათ. მაგრამ, ცხადია, ბელადი ამან არ დაამშვიდა. 21 ივლისს ინგლისურ პრესაში სკანდალური სტატია დაიბეჭდა, რომლის მიხედვითაც მთავრობის წარმომადგენელმა გერინგის ემისარს დანციგი და მასთან ერთად დიდი სესხიც შესთავაზა. სტატია „პრავდამაც" გადაბეჭდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოსკოვი საჯაროდ უცხადებდა უნდობლობას ინგლისელებს. სტალინს ისიც ცუდად ენიშნა, რომ 24 ივლისს ინგლისი ტოკიოს გაურიგდა ტიენცინის თაობაზე, სადაც იაპონელებს ინგლისური კონცესია ბლოკადაში ჰქონდათ მოქცეული. გარიგების შედეგად ინგლისელებმა იაპონურ მხარეს მათ კონცესიაში მყოფი ძებნილი ჩინელები გადასცეს, რაც ყველამ სამარცხვინო ნაბიჯად აღიქვა.

23 ივლისს ჩაქუჩმა სიდსსა და ნაჟიარს ახალი განკითხვის დღე მოუწყო და პოლიტიკურ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებამდე სამხედრო თანამშრომლობის დეტალების შეთანხმება მოითხოვა. ორ დღეში ელჩებმა ჩაქუჩს აცნობეს, რომ სამხედრო მოლაპარაკებების დაწყებაზე დედაქალაქებიდან თანხმობა იყო. ამასობაში კი გერმანელებიც ამოძრავდნენ. ჩემბერლენს იმედი კი ჰქონდა, რომ დრო მის წისქვილზე ასხამდა წყალს და ჰიტლერს გონს მოიყვანდა, მაგრამ სინამდვილეში ფიურერს სექტემბრის დასაწყისში პოლონეთზე დარტყმა ჰქონდა ჩაფიქრებული და ყოველი ახალი დღე მხოლოდ ომს აახლოებდა. გასარკვევი ჰიტლერს მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა: ვისი დახმარებით დაეწყო ომი. ტოკიო ალიანსს საშველს არ აყენებდა. ინგლისელები თავს იფასებდნენ და პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას ითხოვდნენ. რჩებოდა საბჭოთა კავშირი, რომელთან დაახლოებასაც ერთდროულად გერინგიცა და რიბენტროპიც უჭერდნენ მხარს: ერთი ეკონომიკური მიზეზების გამო, მეორე კი პოლიტიკურის, უფრო სწორად კი, ინგლისელების მიმართ თავისი დამოკიდებულების გამო.

ამოძრავებული გერმანელებიდან პირველმა შნურემ (26 ივლისს) განუცხადა ასტახოვს, რომ ბერლინი მზად იყო, მოლოტოვის წინადადება მიეღო და ეკონომიკურის გარდა პოლიტიკური შეთანხმებაც დაედო. 2 აგვისტოს კი ასტახოვმა უკვე თვით რიბენტროპისგან მოისმინა, რომ „ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე არ არსებობდა პრობლემა“, რომელიც ორივე მხარის სასარგებლოდ ვერ გადაიჭრებოდა. აშკარა ხდებოდა, რომ გერმანელები, სულ ცოტა, მოსკოვისათვის ბალტიისპირელების მიგდებას აპირებდნენ. მეორე დღეს შულენბურგი მოლოტოვმა მიიღო, რომელიც გაცილებით უკეთეს გუნებაზე ეჩვენა, ვიდრე ოდესმე საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ. თუმცა, იგი ელჩს მაინც ებუზღუნა, ამჯერად ანტიკომინტერნული პაქტის გამო.

ამის პარალელურად, სტალინი პარიზთან და ლონდონთან სამხედრო მოლაპარაკებას მეტად სერიოზულად მიუდგა. მოსკოვის მხრიდან მისი ბრძანებით ამ დიალოგს თვით ვოროშილოვი და გენშტაბის უფროსი, მარშალი ბორის შაპოშნიკოვი წარუძღვებოდნენ. ინგლისელებმა კი მოლაპარაკებისათვის მიავლინეს პორტსმუტის კომენდანტი, ადმირალი სერ რეჯინალდ დრაქსი. ის და მისი ფრანგი კოლეგა გენერალი ჟოზეფ დუმენი მოსკოვში ზღვით გაემგზავრნენ იმ მიზეზით, რომ ხმელეთით გერმანიის გავლა მოუწევდათ, მოსკოვთან კომერციული საჰაერო რეისები

კი არ არსებობდა. დრაქსი სულაც 5 აგვისტოს დაიძრა და მოსკოვში 11 აგვისტოს ჩააღწია. ეს მაშინ, როცა იმავე პერიოდში ინგლისის მთავრობამ პოლონეთში გენშტაბის უფროსი მიავლინა. ბელადისათვის ეს უკვე მეტისმეტი იყო. ზუსტად დრაქსის ჩასვლის დღეს მან პოლიტბიუროს განუცხადა, რომ გერმანიასთან მოლაპარაკებას იწყებდა. ვოროშილოვს კი დავალება მისცა, დიალოგი მეტად მკაცრად წაეყვანა, ოღონდ ისე, რომ ჩავარდნა მას არ დაბრალებოდა.

ვოროშილოვმა უფროსს იმედები არ გაუცრუა და მოლაპარაკებების დაწყებისთანავე სტუმრებს ის ჰკითხა, რა უფლებამოსილება გააჩნდათ. გაირკვა, რომ დუმენს პრემიერ-მინისტრისგან მოლაპარაკებების წარმოების (თუმცა არა შეთანხმებაზე ხელისმოწერის) უფლებამოსილება მაინც ჰქონდა, დრაქსს კი ესეც არ გააჩნდა. ამის შემდეგ უფრო მძიმე შეკითხვა დაისვა: ჰქონდათ თუ არა სტუმრებს პოლონეთისგან (ან თუნდაც რუმინეთისგან) მიღებული თანხმობა საბჭოთა ჯარის გატარებაზე. პასუხი არ იყო. დრაქსს ლონდონში ინსტრუქციები ჰქონდა მიღებული, რომ პოლონეთისა და რუმინეთის თემა რუსებისათვის იქით შეეტრიალებინა: თუკი გერმანია ამ ქვეყნებს შეუტევდა, იგი საბჭოთა საზღვრებს მეტად სახიფათოდ მიუახლოვდებოდა და, აქედან გამომდინარე, ეს მოსკოვის თავსატეხად იქცეოდა და არანაირად – ლონდონის. მაგრამ ვოროშილოვმა თავის შეკითხვაზე პირდაპირი და კონკრეტული პასუხი მოითხოვა და სტუმრებს აგრძნობინა, რომ ვარშავა და ბუქარესტი სწორედ რომ მათი პრობლემა იყო. პასუხის ვერმიღების შემთხვევაში მინისტრი მოლაპარაკებათა შეწყვეტით დაიმუქრა. თუკი პოლონელებსა და რუმინელებს შეუტევენ, ისინი ხომ აუცილებლად მოითხოვენ თქვენს დახმარებასო, – ასეთი პასუხი მოიფიქრეს სტუმრებმა, რამაც ვოროშილოვი ვერ დააკმაყოფილა. დრაქსმა შემდეგ მოიმიზეზა, რომ პოლონეთისგან საბჭოთა ჯარის გატარების ნებართვა პოლიტიკური საკითხი იყო და იგი მოსკოვს ვარშავასთან პოლიტიკურ დონეზე უნდა გადაეწყვიტა. ვოროშილოვი დაეთანხმა, რომ საკითხი პოლიტიკური იყო, მაგრამ მოითხოვა, ვარშავასთან ეს ინგლისელებსა და ფრანგებს მოეგვარებინათ. აქ მინისტრის გამტყუნება არ შეიძლებოდა, რადგან მისმა მთავრობამ პოლონეთთან ჯერ კიდევ მაისში ამაოდ სცადა ბედი: ბეკს სამხედრო დახმარება შესთავაზა და მისგან ცივი უარი მიიღო.

დუმენი მიხვდა, რომ რაღაც უნდა მოემოქმედებინა და ვარშავაში პრობლემის მოსაგვარებლად ემისარი გაგზავნა. ვოროშილოვს ალბათ

დიდი იმედი არც ჰქონდა, რომ ფრანგები რაიმეს მიაღწევდნენ, მაგრამ პოლონელთა პასუხმა თავისი მრავლისმეტყველებით ყველა მოლოდინს გადააჭარბა: 15 აგვისტოს მათ მთელ ქვეყანაში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს რუსული არმიის დამარცხების მე-19 (!!) წლისთავი. ინგლისელებსა და ფრანგებს თვალი მაინც არ აეხილათ და 18 აგვისტოს მათმა ელჩებმა დაბეჯითებით სთხოვეს, ბეკს მოსკოვის წინადადება მიეღო. ორ დღეში მათ კიდევ ერთი და კიდევ უფრო მტკიცე უარი მიიღეს.

დრო გადიოდა და ჩემბერლენის სასარგებლოდ – ნამდვილად არა, რადგან უკვე 12 აგვისტოს მოსკოვი და ბერლინი პოლიტიკური დიალოგის დაწყებაზე შეთანხმდნენ. სწორედ იმ დღეებში ფიურერს ჩიანო სტუმრობდა. ის და მუსოლინი ხედავდნენ, რომ რაიხი ომისკენ მიექანებოდა, რაც იტალიის ინტერესს ნამდვილად არ წარმოადგენდა. დუჩე 4 აგვისტოს თავად აპირებდა ჰიტლერთან შეხვედრას ბრენერში (გერმანია-იტალიის საზღვარზე), მაგრამ მანამდე მას ატოლიკოს მეშვეობით გააცნო თავისი პოზიცია: იტალია რაიხის ერთგულ მოკავშირედ რჩებოდა, მაგრამ პოლონეთთან კონფლიქტს ალბათ ახალი დიდი ომი მოჰყვებოდა და ამისათვის ღერძის სახელმწიფოები (ეს ტერმინი დუჩეს ძალიან უყვარდა) მზად არ იყვნენ. ამიტომაც მუსოლინი ჰიტლერს ახალი კონფერენციის მოწვევას ურჩევდა დიდი სახელმწიფოების მონაწილეობით. ფიურერმა ამაზე არცთუ კარგი პასუხი გასცა და დუჩემ გადაწყვიტა, შეხვედრა გადაევადებინა. 11 აგვისტოს გერმანიაში მისი სიძე გაემგზავრა და ჯერ რიბენტროპი იხილა, რომელმაც შეკითხვაზე, რა სურდა გერმანიას, მხოლოდ ქალაქი დანციგი თუ მთელი კორიდორი, პირდაპირ უპასუხა, ომი გვინდაო.

მეორე დღეს ჩიანო „არწივის ბუდის“ გზას დაადგა, სადაც უკვე თავად ჰიტლერისგან მოისმინა, რომ ომის დაწყება გადაწყვეტილი საქმე იყო. მაგრამ ფიურერმა სტუმარი მაშინვე დაამშვიდა, ინგლისი და საფრანგეთი ომში ჩაბმას ვერ გაბედავენო. მისი თქმით, რაინლანდის ფორტიფიკაციები უკვე გაუვალი იყო, ინგლისს კი კონტინენტზე სამი დივიზიის გადასხმის თავი თუ ჰქონდა. ჩიანომ უპასუხა, რომ დემოკრატიების მხრიდან არჩარევის არანაირი გარანტია არ არსებობდა. იქვე იტალიის ეკონომიკურ პრობლემებზე ისაუბრა და დასძინა, დუჩეს მშვიდობა უნდა, რადგან 1942 წელს საერთაშორისო გამოფენის ჩატარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებსო. ჰიტლერი სულ უფრო და უფრო ღიზიანდებოდა და როცა დუჩეს სიძემ ომისგან თავშეკავების დამატებით არგუმენტად

„სავოის დინასტიის ტრადიცია“ მოიყვანა, მან პასუხად შეჰყვირა, თქვენი ტრადიცია ღალატიაო. მერე, ფიურერის გასაოცრად, ჩიანომ ერთობლივი კომუნიკეს ტექსტიც კი ამოიღო, რომელშიც ღერძის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები მშვიდობის დაცვისათვის მზადყოფნაზე აკეთებდნენ განცხადებას. აქ მასპინძელმა დაცინვისგან თავი შეიკავა და დუჩეს ქება-დიდებაზე გადავიდა. შეხვედრის ბოლოს მას აცნობეს, რომ დეპეშა იყო მისული. ჰიტლერი გზავნილს გაეცნო და ჩიანოს კმაყოფილი მიუბრუნდა: რუსები თანახმა არიან, პოლიტიკური მოლაპარაკებებისათვის მაღალი დონის სტუმარი მიიღონო. დეპეშა, წესით, ეხებოდა სწორედ იმ დღეს შნურესა და ასტახოვს შორის გამართულ მორიგ შეხვედრას, რომელშიც საბჭოთა დიპლომატმა პოლიტიკურ საკითხებზე დიალოგისათვის მზადყოფნა გამოთქვა და მოლაპარაკებების ადგილად გერმანელებს მოსკოვი შესთავაზა. ჩიანოზე შთაბეჭდილების მოსახდენად მასპინძლებმა ტყუილიც გაურიეს და უთხრეს, „დეპეშა მოსკოვიდანააო“.

ჩიანო, მისივე თქმით, გერმანელებზე გულაცრუებული გაემგზავრა სამშობლოსკენ. ჰიტლერმა კი 14 აგვისტოს მოსკოვში რიბენტროპის გაგზავნა გადაწყვიტა, რაც შულენბურგმა მოლოტოვს მეორე დღესვე აცნობა. ელჩმა იქვე გაიმეორა, რომ არ არსებობდა საკითხი ბალტიიდან შავ ზღვამდე, მათ რომ ვერ გადაეჭრათ, და იქვე კონკრეტულად პოლონეთი და ბალტიისპირეთი ახსენა. მოლოტოვმა პასუხად მიუგო, კარგი იქნებოდა, რიბენტროპს კიდევ რაიმე კონკრეტული წამოეღო, მაგალითად, თავდაუსხმელობის პაქტიო. გარდა ამისა, მოსკოვს გერმანიისგან ტოკიოსთან შუამავლობაც უნდოდა. ბოლოს კი, როცა შულენბურგს ეგონა, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა, ჩაქუჩმა მოულოდნელად განუცხადა, თქვენი საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი სერიოზული ამბავია და სათანადო მომზადება სჭირდებაო. ეს ჰიტლერის გასაგიჟებლად იყო გამიზნული. მოლოტოვმა და ბელადმა დაზვერვის წყალობით იცოდნენ, რომ ფიურერს პოლონეთთან ომის დაწყება ეჩქარებოდა. სექტემბრის პირველი რიცხვების იქით საომარი მოქმედებების გადადება არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან შემდეგ უამინდობის სეზონი იწყებოდა. ჰიტლერის გასახელებლად ლონდონში საბჭოთა საელჩომ გერმანელებს ისიც ჩააწვეთა, რომ ინგლისთან მოლაპარაკებები კარგად მიდიოდა და რომ პოლონეთიც თანხმდებოდა დათმობებზე. როგორც იტყვიან, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა. ფიურერი აქამდე ნერვების ომს ყველას უგებდა, მაგრამ ახლა ღირსეულ მეტოქეს გადააწყდა.

მოლოტოვი თამაშს ოსტატურად აგრძელებდა და 17 აგვისტოს შულენბურგს თანხმობა აღირსა, მაგრამ იქვე დააყოლა, ჯერ ეკონომიკური შეთანხმება გავაფორმოთო. ამის შემდეგ თავდაუსხმელობის პაქტის ტექსტი გვაჩვენეთ და მას ეკონომიკური შეთანხმების გაფორმებიდან ერთ კვირაში მოვაწეროთ ხელიო. 19 აგვისტოს რიბენტროპმა შეადგინა თავდაუსხმელობის პაქტის ტექსტი (რომელიც 25 წელზე იყო გაწერილი და ბალტიისპირეთზე ცალკე შეთანხმების დადებასაც ითვალისწინებდა), იგი შულენბურგს გადაუგზავნა და უბრძანა, როგორმე ყველაფერი დაეჩქარებინა. მოლოტოვმა პასუხად ელჩს პაქტის თავისი ვარიანტი აჩვენა, რომელიც 5 წელიწადზე იყო გაწერილი, რიბენტროპის ვიზიტის თაობაზე კი უპასუხა, რომ მას 26 აგვისტომდე ვერ მიიღებდნენ. ჰიტლერს აქ უკვე მოთმინების ძაფი გაუწყდა. 19 აგვისტოსვე ბერლინში ეკონომიკური შეთანხმება გაფორმდა, მეორე დღეს კი ბელადმა თვით ფიურერისგან მიიღო წერილი. საბჭოთა კავშირის ისტორიაში ახალი ეპოქა იწყებოდა. როგორც იქნა, ბელადი აღიარეს. აქამდე მის ანგარიშზე მხოლოდ იდეინის სტუმრობა იყო, ახლა მას თვით ჰიტლერი სწერდა. არა უბრალოდ სწერდა, არამედ ევედრებოდა, რიბენტროპი ცოტა უფრო ადრე მიეღო, 22 აგვისტოს მაინც, მოლოტოვის შეთავაზებულ თავდაუსხმელობის პაქტის ტექსტს კი რაიხი უპირობოდ ეთანხმებოდა.

მოსახდენი მოხდა. ინგლისისგან განსხვავებით, გერმანია მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრს აგზავნიდა, რაც სტალინისათვის ცხადი სიგნალი იყო. მისი დავალებით ჩაქუჩმა რაიხს ერთი დარტყმა მაინც მიაყენა: რიბენტროპს არა 22, არამედ 23 აგვისტოს მიიღებდნენ.

ზუსტად 20 აგვისტოს (ანუ როცა ბელადმა ჰიტლერის წერილი მიიღო) დრაქსს ლონდონიდან მოლაპარაკებების უფლებამოსილება მიანიჭეს. მეორე დღეს კი დუმენს პარიზიდან ინსტრუქცია მისცეს, პოლონეთზე საბჭოთა ჯარის გავლას „პრინციპში“ დათანხმებულიყო. მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო. 22 აგვისტოს ბელადმა ვოროშილოვს დიალოგის ცოტა ხნით შეწყვეტა და ხელისუფლების სხვა წევრებთან ერთად იხვებზე სანადიროდ წასვლა უბრძანა. მალე იგი კიდევ ერთხელ ჩავარდა ეჭვებში; დაზვერვამ აცნობა, რომ ზუსტად 23 აგვისტოს ლონდონში გერინგს ელოდნენ...

ეს თითქმის სიმართლე იყო. დემოკრატიები სერიოზულად შეაშფოთა საბჭოთა-გერმანულმა ეკონომიკურმა შეთანხმებამ, რასაც მალე კიდევ რიბენტროპის მოსკოვში მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ ცნობა მოჰ-

ყვა. ჩემბერლენმაც გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ გაეკეთებინა ის, რაც მისი აზრით, ყველაზე უკეთ გამოსდიოდა: ფიურერი დაეშოშმინებინა. მაგრამ ამ დროისათვის ჰიტლერთან დათმობები ინგლისის პოლიტიკური ელიტის უმრავლესობას ყელში ჰქონდა ამოსული და დაშოშმინება ადრინდელისგან განსხვავებული ფორმით უნდა მომხდარიყო: საჯაროდ ფიურერს მათრახი უნდა მოხვედროდა, კულისებს მიღმა კი თაფლაკვერით უნდა ეცდუნებინათ. ამიტომაც ჯერ საჯარო ჟესტი გაკეთდა: ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ რაც უნდა მომხდარიყო, იგი მაინც პოლონეთისათვის გაცემული გარანტიის ერთგული დარჩებოდა. პრემიერ-მინისტრმა კი ფიურერთან წერილი აფრინა, რომელშიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებას ახსენებდა და მოუწოდებდა, პოლონეთთან ყველაფერი მშვიდობიანად მოეგვარებინა. 23 აგვისტოს შუადღისას ჰენდერსონმა ჰიტლერს წერილი გადასცა და იქვე თაფლაკვერიც მიაყოლა: მოახსენა, რომ მისი უფროსობა პოლონეთის თაობაზე კომპრომისს არ გამორიცხავდა და ამიტომ კარგი იქნებოდა, თუკი ლონდონში გერინგს მიავლენდა; რომ ჩემბერლენი კვლავაც ფიურერის მეგობრად რჩებოდა და ამაზე მეტყველებდა თუნდაც ის ფაქტი, რომ მთავრობაში ჩერჩილს არ აჭაჭანებდა. მაგრამ ჰიტლერმა პასუხად ინგლისი პოლონელების გათავხედებაში დაადანაშაულა და ელჩი დაიფრინა. შეცბუნებულმა ჰენდერსონმა „არწივის ბუდე" დატოვა და უფროსის წერილზე პასუხის მოლოდინში ზალცბურგს მიაშურა. რამდენიმე საათში პასუხისათვის მართლაც მიაბრუნეს უკან. ელჩი ალბათ ფიქრობდა, რომ ფიურერს სურდა, მისი პრემიერ-მინისტრი ახალ მიუნხენზე დაეყოლიებინა და ამიტომაც მორიგ საუბარს შესაბამის ტონში წარმართავდა. მართლაც, ჰიტლერს სცენები აღარ მოუწყვია, მაგრამ არც სანუგეშო უთქვამს არაფერი. მირჩევნია ვიომო ახლა, როცა 50 წლის ვარ, ვიდრე მაშინ, როცა 55 ან 60 წლის ვიქნებიო, – მიახალა მან ჰენდერსონს. რაც შეეხებოდა ომს, რომელიც მას ჩემბერლენმა შეახსენა, ამ ომს გერმანია არ წააგებდა, კანცლერად ჰიტლერი რომ ჰყოლოდა!

ინგლისის ელჩმა კიდევ უფრო შეცბუნებულმა დატოვა ბავარიის მთები და უკვე ბერლინში დაბრუნდა. ის თანდათანობით იაზრებდა, რომ ფიურერს უბრალოდ ომის დაწყება ჰქონდა გადაწყვეტილი. მან არ იცოდა, რომ ზუსტად წინა დღეს ჰიტლერმა სამხედრო ელიტა შეკრიბა და თავისი გადაწყვეტილების მიზეზები გააცნო: გერმანია ომით არაფერს კარგავდა, მხოლოდ თუ იგებდა, რადგან მისი ეკონომიკა მძიმე დღეში

იყო. მეტის გადადება არ შეიძლებოდა თუნდაც იმიტომ, რომ არავინ იცოდა, თავად ფიურერი რამდენ ხანს იცოცხლებდა, იგი ხომ ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა ქცეულიყო ვინმე შეშლილის ან ნაძირალას მსხვერპლად (იმ დროისათვის ჰიტლერზე მართლაც არაერთი თავდასხმა განხორციელდა)... დასავლეთის მხრიდან ჩარევის რისკი არსებობდა, მაგრამ მცირე, მას კი დიდი რისკისაც არასოდეს ეშინოდა... ახლა მხოლოდ ერთი რამ აშინებდა: როცა გერმანიის ჯარს გზა ხსნილი ჰქონდა, უეცრად ვინმე „ღორისშვილი“ არ გამოსულიყო შუამავლობის იდეით და ყველაფერი არ ჩაეშალა. ღორისშვილში, უპირველესად, ცხადია, ჩემბერლენი იგულისხმებოდა, რომელმაც ჰიტლერისათვის იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა სხვა არაგერმანელმა პოლიტიკოსმა. რა გასაკვირია, რომ ასეთი განცხადებების შემდეგ ფიურერმა შუამავლად მოგზავნილ ჰენდერსონს შავი დღე აყარა. ის კი არა, მისი მეორედ გასტუმრების შემდეგ კმაყოფილებით ჩაილაპარაკა, ჩემბერლენის საქმე ნასულია, მისი მთავრობა დღესვე დაემხობაო. სულ მალე პოლონეთზე თავდასხმისათვის ახალი დრო დანიშნა: იქამდე დაგეგმილი 1 სექტემბრის ნაცვლად შეტევა 26 აგვისტოს, დილის 4.30-ზე უნდა დაწყებულიყო. ალბათ იმიტომაც, რომ 26 აგვისტო შაბათი იყო...

საგარეო საქმეთა მინისტრისგან განსხვავებით, რაიხის ავიაციის მინისტრი არსად დაძრულა. როცა სტალინმა კიევიდან იხვებზე სანადიროდ გამოძახებულ ნიკიტა ხრუშჩოვს (მაშინ უკრაინის კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს) კმაყოფილმა ამცნო, რიბენტროპი მოდისო, გაოგნებული სტუმარი ვერ მიხვდა, რას ეხებოდა საუბარი და ბელადს ჰკითხა, რაშია საქმე, ჩვენს მხარეს ხომ არ გადმოვიდაო.

უწმინდური „ალიანსი“

რიბენტროპი მოსკოვის აეროპორტში ზუსტად იმ წუთებში დაეშვა, როცა ჰენდერსონი ჩემბერლენის ახალი გზავნილით ხელდამშვენებული „არწივის ბუდეში“ შედიოდა. რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრისა და მისი ამალის თვითმფრინავები საზღვარზე კინაღამ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ ჩამოაგდო, რადგან, სტალინის ბრძანებით, რიბენტროპის ვიზიტზე თითქმის არავინ გააფრთხილეს, მათ შორის, არც სასაზღვრო ჯარების სარდლობა. ამალა კი დიდი ახლდა. მათ შორის ბრძანდებოდა ჰიტლერის პირადი ფოტოგრაფი (ვისგანაც ფიურერმა ევა ბრაუნი გაიც-

ნო). მას დავალებული ჰქონდა, რაც შეიძლებოდა ახლოდან გადაეღო სტალინის ყურები, რათა მათი მეშვეობით დაედგინათ, ბელადი სინამდვილეში ებრაული წარმოშობის ხომ არ იყო. რიბენტროპს მთავრობიდან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ პოტიომკინი დახვდა, რომელმაც ჯერ კიდევ მიუნხენის კონფერენციის შემდეგ კულონდრს პირდაპირ უთხრა, იმის შემდეგ, რაც თქვენ გააკეთეთ, ჩვენ მხოლოდ ერთი გზა გვრჩება – პოლონეთის მეოთხედ გაყოფაო. ახლა საქმე სწორედ რომ აქეთ მიდიოდა.

საელჩოში წახემსების შემდეგ რიბენტროპი კრემლის გზას დაადგა. ნერვიულობისა თუ საბჭოური ჰიგიენისგან მას კუჭი აშლოდა. სანერვიულო ნამდვილად ჰქონდა: თვითონ კი ისწრაფოდა მოსკოვთან დაახლოებისაკენ, მაგრამ ამ აზიელებსა და ბოლშევიკებს რას გაუგებდი, ვაითუ ამასობაში ინგლისელებთან და ფრანგებთან გარიგდნენ... კრემლში რაიხის მინისტრმა პირდაპირ მოლოტოვისა და ბელადის კომპანიაში ამოყო თავი და ამ უკანასკნელის დანახვაზე კიდევ უფრო დაიძაბა. მაგრამ, მისდა გასახარად, მოლაპარაკებები იოლად წარიმართა და მასპინძლებს დროის გაყვანა არ დაუწყიათ (რისიც ასევე ეშინოდა). თავდაუსხმელობის პაქტის პირობების გარდა, მხარეები მალევე შეთანხმდნენ, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე კონფლიქტის შემთხვევაში ერთობლივ სადემარკაციო ხაზს დაიცავდნენ. რიბენტროპს სურდა, დოკუმენტში „საბჭოთა-გერმანულ" მეგობრობაზეც ჩაეწერა რამე, მაგრამ სტალინმა იუარა: იმის გათვალისწინებით, რაც მანამდე ბერლინსა და მოსკოვს ერთმანეთი ელანძღათ, მსგავსი ჩანაწერი უადგილო იქნებოდა, საზოგადოებრივი აზრისათვის რაღაც ანგარიში მაინც ხომ უნდა გაეწიათ. ყველაზე მეტად გაიწელა მოლაპარაკებები გავლენის სფეროებზე. რიბენტროპმა აღმოსავლეთ პოლონეთის გარდა იოლად დათმო რუმინული ბესარაბია, ფინეთი, ესტონეთი და ლატვია. მაგრამ სტალინმა ამის გარდა ლიტვის თბილი პორტებიც მოითხოვა. რიბენტროპი საელჩოში გაქანდა და იქიდან სასწრაფოდ აფრინა დეპეშა ჰიტლერთან. ეს უკანასკნელი ჰენდერსონთან დრამატული დამშვიდობების შემდეგ ტერასაზე ბოლთას სცემდა და ცას გასცქეროდა. როცა დეპეშა მიიღო, თითქმის დაუფიქრებლად განაცხადა დასტური და რიბენტროპს უბრძანა, ყველაფერზე დათანხმებულიყო, მათ შორის, სრუტეებზეც კი, თუკი რუსები ამ მოთხოვნასაც წამოწევდნენ. საღამოს 10 საათისათვის რიბენტროპი კრემლში დაბრუნდა და გავლენის სფეროებზე შეთანხმება

საიდუმლო პროტოკოლში გაწერეს. ბელადი სტუმარს მის მოკავშირეებზეც გაესაუბრა. იაპონელებზე აღნიშნა, რომ ისინი საბჭოთა კავშირის მოთმინებას ცუდად სცდიდნენ, მუსოლინიზე კი ვარაუდი გამოთქვა, რომ იგი მალე საბერძნეთზეც გაიწევდა.

საუბარი გაცილებით იოლად გაგრძელდა, როცა სტალინი ორივესათვის საძულველ ინგლისს შეეხო. რიბენტროპმა თქვა, რომ ინგლისი სუსტი იყო და მხოლოდ ერთი რამ სურდა: მისი მოჩვენებითი მსოფლიო ბატონობის დასაცავად სხვებს ეომათ. სტალინი დაეთანხმა: თუკი ინგლისი აქამდე მსოფლიო ბატონობას ახერხებდა, ეს სხვა ქვეყნების სიბრიყვის გამო ხდებოდაო. ამის შემდეგ გახალისებულმა რაიხის მინისტრმა ბელადს ისიც კი მოახსენა, რომ ანტიკომინტერნული პაქტი სულაც არ იყო მიმართული მოსკოვის წინააღმდეგ. ეს უკვე მთლად ტყუილს აღარ ჰგავდა, რადგან გერმანელებმა საბჭოთა მხარესთან გარიგებით ანტიკომინტერნული პაქტის ერთ-ერთი მთავარი პირობა დაარღვიეს – მოკავშირეებთან შეთანხმების გარეშე მოსკოვთან პოლიტიკური შეთანხმება გააფორმეს. რიბენტროპმა იქვე წაიოხუნჯა, ანტიკომინტერნულმა პაქტმა თუ ვინმე დააშინა, ეს ინგლისელი მედუქნეებია, რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ენაკვიმატობით ცნობილი ბერლინელები იმასაც კი ხუმრობენ, პაქტს მალე სტალინიც მიუერთდებაო.

ამ დროისათვის მოლაპარაკებები დასრულებული იყო და დიპლომატები შეთანხმების ტექსტს საბოლოო სახეს აძლევდნენ. სტალინმა არაყი დაასხმევინა და ჰიტლერი ადღეგრძელა. მოლოტოვმა რიბენტროპის სადღეგრძელო დალია, ამ უკანასკნელმა კი სტალინის... ერთ-ერთმა გერმანელმა შეამჩნია, რომ ბელადს ცალკე ბოთლიდან უსხამდნენ და როცა თავისთვისაც იქიდან დაასხმევინა, აღმოაჩინა, რომ იქ წყალი იყო და არა არაყი. შუაღამის ორ საათზე პაქტს ხელი მოეწერა და ის ხელმოწერისთანავე შევიდა ძალაში, რატიფიკაციის გარეშე. შამპანურიც შემოიტანეს. რიბენტროპი მოლოტოვის კაბინეტიდან ტელეფონით ფიურერს დაუკავშირდა და პაქტის გაფორმება ახარა. ჰიტლერმა იქიდან სტალინს მილოცვა გადასცა და ბელადმა პასუხად იგი ადღეგრძელა. სმა გაგრძელდა. სტალინი იმდენად კარგ ხასიათზე იყო, რომ სტუმრებს თავად უსვებდა ჭიქებს. ერთ-ერთი გადმოცემით, მან ბერიას სადღეგრძელოც დალია. ამან მოგვიანებით აბვერის შეფის მოადგილეს ოსკარ რაილეს აფიქრებინა, რომ ბერიას (ანუ ენკავედეს) წყალობით ბელადს უტყუარი ინფორმაცია ჰქონდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი პოლო-

ნეთის გამო ომში აუცილებლად ჩაებმებოდნენ; რომ ამ ინფორმაციით აღჭურვილმა ბელადმა თამამად დადო რაიხთან გარიგება, რახან კარგად იცოდა, რაც მოჰყვებოდა ამას – გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს დაერეოდნენ. სწორედ ამიტომ ბელადმა თავი ვერ შეიკავა და ენკავედეს შეფს ყველას დასანახად უძღვნა მადლობა. სხვაგვარად ძნელად ასახსნელი იყო, რატომ უნდა დაელია მისი სადღეგრძელო საერთაშორისო შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონიალზე.

რაილეს ეს თეორია შედარებით უწყინარი კონსპირაციაა. პაქტის გაფორმებით კმაყოფილ სტალინს ბერიას სადღეგრძელო რომც შეესვა, ამაში გასაკვირი არაფერია. ენკავედეს საგარეო დაზვერვას რაც უნდა კარგად ემუშავა, მსგავს ინფორმაციას ვერ მოიპოვებდა, უბრალოდ იმიტომ, რომ ლონდონსა და პარიზში დანამდვილებით თავადაც არ იცოდნენ, რას მოიმოქმედებდნენ. რაიხთან გარიგება სტალინმა იმიტომ დადო, რომ ამით არაფერს აგებდა. დემოკრატიების იმედი მას აღარ ჰქონდა, მაგრამ თუკი დემოკრატიები მართლაც აპირებდნენ ჰიტლერთან პოლონეთის გამო ომს, დაე, ეომათ. ეს მისთვის კიდევ უფრო უკეთესი იყო: იმპერიალისტები და ფაშისტები ერთმანეთს სიქას გააცლიდნენ და საბჭოთა კავშირს დასავლეთიდან მაინც არაფერი დაემუქრებოდა. თუკი ომი გაიწელებოდა, ვინძლო ევროპაში ახალ კომუნისტურ რევოლუციებსაც ეფეთქა და ამას უკვე საბჭოთა ჯარი და აგენტურაც შეუწყობდა ხელს. თუკი დემოკრატიები ომს არ დაიწყებდნენ, სტალინი მით უმეტეს მართალი გამოდგებოდა – ესე იგი, მათ თავიდანვე ჰიტლერის საბჭოთა კავშირზე მიშვება და განზე გადგომა უნდოდათ. ასე თუ ისე, პაქტის გაფორმების შემდეგ ორივე შემთხვევაში ბელადი უომრად იღებდა უამრავ ტერიტორიას მხოლოდ იმის სანაცვლოდ, რომ ისედაც საძულველ პოლონეთს გერმანიისგან არ დაიცავდა. ჰიტლერი კი მხოლოდ იმას მიიღებდა, რის დაპყრობასაც ომით მოახერხებდა.

და მაინც, სტალინისნაირი პარანოიკი ვერ ენდობოდა კაცს, რომელმაც უკვე მრავალჯერ დაარღვია შეთანხმებები. ამიტომაც დამშვიდობების წინ რიბენტროპი განზე გაიხმო და უთხრა, საბჭოთა კავშირი ამ პაქტს მეტად სერიოზულად ეკიდება და მე სიტყვას ვიძლევი, რომ ჩემი ქვეყანა პარტნიორს არ უღალატებსო.

რახან ყველაფერი დასრულებულიყო, ბელადმა მოსკოვთან ახლოს, კუნცევოში, თავის აგარაკზე გასწია, სადაც ხელისუფლების წევრები მათ მიერვე მონადირებულ იხვებს ბრაწავდნენ. ხრუშჩოვი ტრაბახობდა, რომ


თვით ვოროშილოვზე მეტი იხვი მოკლა. სუფრას მიუსხდნენ. სტალინმა სიცილით უამბო ყველას პაქტის გაფორმების ამბავი.

– რა თქმა უნდა, ეს თამაშია, – დასძინა მან, – თამაში მოტყუებაზე. კარგად ვიცი, ჰიტლერს რაც უნდა, ახლა მას ჰგონია, რომ მომატყუა, სინამდვილეში კი მე მოვატყუე. ომი ცოტა ხნით მაინც აგვცდა.

ამის შემდეგ რიბენტროპის დაცინვა დაიწყეს – რაიხის პირველი დიპლომატი არსად არ მოსწონდათ.




ლიპსკი (მარცხნივ) და გებელსი (მარჯვნივ)




საბჭოთა კავშირის ხუთი მარშალი: სხედან ტუხაჩევსკი, ვოროშილოვი და ალექსანდრ ეგოროვი; დგანან სემიონ ბუდიონნი და ბლიუხერი. აქედან სტალინის რეპრესიებს მხოლოდ ბუდიონნი და ვოროშილოვი გადაურჩნენ.




ტროცკი მექსიკაში ცნობილ მხატვარ ფრიდა კალოსთან ერთად




ბერია სტალინის ქალიშვილ სვეტლანასთან ერთად. უკან სტალინი



მოლოტოვი, სტალინი, ვოროშილოვი და ეჟოვი საბჭოთა არჩევნებზე



მოლოტოვი ხელს აწერს გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტს. უკან – რიბენტროპი და სტალინი



შვედი მშვიდობისმყოფელი დალერუსი (მარცხნიდან მეორე) პალიფაქსისა და ჩემბერლენის გარემოცვაში



1939 წლის 28 აგვისტო. ჰენდერსონი ბერლინში ბრუნდება.

თავი 10. მეოთხე გაყოფის თავისებურებები

შოკი ევრაზიის ორთავ მხარეს

20 აგვისტოს ჟუკოვი საფუძვლიანი მომზადების შემდეგ ჰალხინ გოლთან შეტევაზე გადავიდა და ერთ კვირაში იაპონელებს მძიმე მარცხი აწვნია. მართალია, თავად საბჭოთა ჯარსაც დიდი დანაკლისი ჰქონდა (ჟუკოვი მიზნის მისაღწევად თავისიანებსაც ნაკლებად ინდობდა ხოლმე), მაგრამ სტალინის რეჟიმს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე დიდად არასოდეს ადარდებდა. მთავარი ის იყო, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე მტერი დამარცხდა და წესით, კარგა ხნით დაკარგა ომის ხალისი. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით (ანუ, გერმანელების ღალატით) ისედაც გაოგნებული იაპონელებისათვის ეს არნახული შოკი იყო. მათი უძლეველი არმია დამარცხდა და ასევე დამარცხდნენ მათი დიპლომატები. აგვისტოს ბოლოს ტოკიოში მორიგი მთავრობის კაბინეტი დაეცა და ქვეყანა დასავლეთთან დაახლოებაზე ორიენტირებულმა პოლიტიკოსებმა გადაიბარეს. მაგრამ ეს დაახლოება უკვე აღარ იყო იოლი ამოცანა. წლების განმავლობაში ტოკიოს აგრესიული და თავხედი ქმედებები ასე მარტივად ვერ ჩაივლიდა. ამერიკელები მანჯუკუოს ცნობაზე უარს ამბობდნენ და 1939 წლის ივლისში ისიც განაცხადეს, რომ იაპონიასთან ეკონომიკურ შეთანხმებას (რომელსაც ვადა 1940 წლის იანვარში გასდიოდა) აღარ გააგრძელებდნენ. ანუ, მომავალი წლიდან მოყოლებული, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გამწყდარიყო. და ეს მაშინ, როცა იაპონიის ექსპორტის 30% ამერიკაში გადიოდა და ამერიკაზე მოდიოდა იმპორტის 35%. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნავთობი, რომელიც იაპონიას არ გააჩნდა.

იაპონელებზე უფრო დიდი შოკი მიიღეს კომუნისტებმა. ცხადია, საბჭოთა კავშირის შიგნით ემოციების გამოხატვა ვერავინ გაბედა, მაგრამ, სამაგიეროდ, გაბედეს კომუნისტებმა საბჭოთა კავშირის გარეთ. ბევრს გაახსენდა, რომ თავის დროზე „გერმანიის აგენტობა“ დააბრალეს ტუხაჩევსკისა და სიკვდილით დასჯილ უამრავ სხვა სამხედროს. საშინელი იმედგაცრუება სუფევდა ესპანეთის ომის ვეტერანებში; ერენბურგი სასოწარკვეთილებისაგან დიდხანს წესიერად ჭამას ვერ ახერხებდა. დიმიტროვი, რომელიც ყველაზე უკეთ იაზრებდა, თუ რა მძიმე დარტყმა მიიღო პაქტით კომინტერნმა, სტალინს აუდიენციას სთხოვდა. ბელად-

მა იგი მხოლოდ 7 სექტემბერს მიიღო და აუხსნა, რომ თავისი ნაბიჯით გერმანია და დანარჩენი დასავლეთი წაჰკიდა ერთმანეთს. სექტემბრის ბოლოს პაქტის პასუხად საფრანგეთში დალადიეს მთავრობამ საერთოდ აკრძალა ადგილობრივი კომუნისტური პარტია – ყველაზე დიდი და სერიოზული მთელ დასავლეთში.

შოკი არც გერმანიას ასცდა. ეკარტის მეგობარმა, რასიზმის თეორიის კიდევ ერთმა შემოქმედმა ალფრედ როზენბერგმა (რომელიც ჰიტლერის დაპატიმრების შემდეგ, მისივე გადაწყვეტილებით, ერთხანს ნაცისტურ პარტიასაც კი განაგებდა) პაქტს სახის დაკარგვა და მორალური მარცხი უწოდა. ოღონდ მან ყველაფერი რიბენტროპს დააბრალა და თავად ფიურერზე ხმა არ გაუღია. ბევრმა ნაცისტმა სამკერდე ნიშნები გადაყარა. მაგრამ ეს იყო და ეს. საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, რაიხს თავისი კომინტერნი არ ჰყავდა და ამიტომაც პაქტი შედარებით იოლად გადაიტანა. ქვეყნის გარედან მას დახმარება ნაკლებად სჭირდებოდა.

რაც შეეხება ინგლისელებსა და ფრანგებს, მათთვის რაიხის პირველი დიპლომატის მოსკოვში გაფრენისთანავე ყველაფერი ცხადი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ „პრავდამ“ მეორე დღესვე გამოაქვეყნა პაქტის ძირითადი ტექსტი (ცხადია, საიდუმლო პროტოკოლების გარეშე) თავისი ფოტოებიანად. მაგრამ რატომღაც დრაქსმა მაინც მოითხოვა ვოროშილოვთან შეხვედრა და მოლაპარაკებების გაგრძელება. თავდაცვის მინისტრმა სტუმრებს არ აწყენინა და 25 აგვისტოს „შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით“ მათ ოფიციალურად დაემშვიდობა. საქმეს ვერანაირად ვეღარ შველოდა ორი დღით ადრე ფრანგების მიერ ვარშავისაგან გამოძალული კომპრომისი, რომლის მიხედვითაც „გერმანიის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის თანამშრომლობა გამორიცხული არ იყო“. სავარაუდოდ, ბეკი ამასაც მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ რიბენტროპი უკვე სტალინს ელაპარაკებოდა და აშკარა იყო, რომ პოლონეთს საბჭოთა „დახმარება“ აღარ ემუქრებოდა.

პაქტმა პარიზში განსაკუთრებული პანიკა გამოიწვია. უკვე 23 აგვისტოს ბონეს ინიციატივით ეროვნული თავდაცვის საბჭო შეიკრიბა. დალადიეს კითხვაზე, რა შეიძლებოდა მოემოქმედებინა საფრანგეთს, როცა გერმანია პოლონეთსა და რუმინეთს შეუტევდა, გამელენმა და ფლოტის სარდალმა ფრანსუა დარლანმა უპასუხეს, რომ კონფლიქტის საწყის ეტაპზე გერმანიის წინააღმდეგ ბევრს ვერაფერს იზამდნენ.

მაგრამ ფრანგული ჯარის მობილიზაცია გერმანიის ჯარის დიდ ნაწილს დააკავებდა და, შესაბამისად, პოლონეთსა და რუმინეთს საქმეს გაუიოლებდა. გამელენი ამ უკანასკნელთა „ვაჟკაცობის“ იმედზე იყო და ვარაუდობდა, რომ ისინი რაიხის არმიებს გაზაფხულამდე (!) დააკავებდნენ და მშობლიურ საფრანგეთს ძვირფას დროს მოაგებინებდნენ. ამასობაში კი ინგლისიც ჩაერთვებოდა საქმეში. მოკლედ, ფრანგები შეტევაზე გადასვლაზე თითქმის არ ფიქრობდნენ. მაგრამ შემდეგ ზოგიერთმა დამსწრემ გაიაზრა, რომ გერმანია ამ ორი ქვეყნის გასრესით გვარიანად გაძლიერდებოდა და საფრანგეთი, რეალურად, დროის მოგების ნაცვლად დროს დაკარგავდა. ამ არგუმენტის ფონზე გადაწყვიტეს, მეორე დღიდანვე მობილიზაცია დაეწყოთ. ყოველი შემთხვევისათვის...

რაც შეეხება ლონდონს, ჩემბერლენს დიდი უკმაყოფილება არ გამოუხატავს. მართალია, ახლობლებს „რუსების ღალატზე“ შესჩივლა, მაგრამ იქვე აღნიშნა, მართალი ვიყავი, კარგად გამოჩნდა, რომ მოსკოვთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვსო. მას ჯერ კიდევ მაისიდან მოყოლებული აფრთხილებდნენ, რომ რაიხსა და საბჭოთა კავშირს შორის დაახლოების საფრთხე რეალური იყო, მაგრამ პრემიერ-მინისტრი ამაზე სულ პასუხობდა, რომ „რეალური ალიანსი“ ბერლინსა და მოსკოვს შორის ვერაფრით შედგებოდა. საბოლოოდ ამ საკითხში იგი მართალი აღმოჩნდა, მაგრამ თავად ამას ვერ მოესწრო და სანამ ამ სიმართლის დრო დადგა, ინგლისმა მეტად დიდი ფასი გადაიხადა. იმაშიც ნამდვილად მართალი იყო, რომ სტალინის ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ, ამ სიმართლიდან გამომდინარე, ჰიტლერი მეტისმეტად დიდხანს აშოშმინა, რაც არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

დაუსრულებელი ერთი კვირა

პაქტის გაფორმების შემდეგ ფიურერი ბერლინში დაბრუნდა, სადაც რიბენტროპს ზარ-ზეიმით შეეგება და „ახალი ბისმარკიც“ კი უწოდა. შემდეგ საქმეს შეუდგა. 25 აგვისტოს დილით სასწრაფოდ აფრინა წერილი დუჩესთან. ეს უკანასკნელი თავის ყოფილ თაყვანისმცემელზე განაწყენებული იყო და ყოფილმა თაყვანისმცემელმა ეს ამბავი კარგად იცოდა. „არწივის ბუდეში“ ჰიტლერის ბოლო მონახულების შემდეგ ჩიანო თავის სიმამრს არწმუნებდა, რომ იტალია არანაირად აღარ იყო ვალდებული, რაიხის გვერდით მდგარიყო ომში. ჰიტლერმა ხომ აშკარად მოატყუა

დუჩე, თავის ავანტიურებში ჩაითრია და, საერთოდაც, იტალიელთა ყველა დროის უდიდესი ლიდერი მეორე ვიოლინოდ აქცია (სირცხვილო და თავის მოჭრავ!). მუსოლინის არ შეეძლო, სიძეს არ დასთანხმებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ პოლონეთზე თავდასხმის შემთხვევაში დემოკრატიები იომებდნენ და მათ ამერიკაც შეუერთდებოდა. ასეთ ვითარებაში გერმანია რაინლანდის ფორტიფიკაციების იქით ჩაიკეტებოდა და დასავლეთ ფრონტზე ძირითადი დარტყმის საკუთარ თავზე აღება იტალიას მოუწევდა. 20 აგვისტოს იტალიის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ვაიცაკერს პირდაპირ უთხრა, რომ რაიხი ფოლადის პაქტის პირობებს არღვევდა, რადგან რომს ძირეულ საკითხებს არ უთანხმებდა; ამიტომაც, თუკი პოლონეთთან კონფლიქტი დიდ ომში გადაიზრდებოდა, იტალია თავის ვალდებულებად არ მიიჩნევდა, გერმანიის მხარეს ეომა. ჩიანოს რიბენტროპთან შეხვედრა სურდა ბრენერში, მაგრამ როცა მას 21 აგვისტოს დაუკავშირდა, გერმანელმა უპასუხა, რომ მოსკოვიდან მნიშვნელოვან სიახლეებს ელოდა და არ ეცალა. მოგვიანებით კი შეუთვალა, რომ ბრენერი შორს იყო და ჯობდა, ინსბრუკში შეხვედროდნენ. დუჩე ამაზე გაცოფდა: გერმანელები მოსკოვს ეთამაშებოდნენ და მის სიძესთან შესახვედრადაც კი აღარ ეცალათ.

მოკლედ, დუჩეს დაყვავება სჭირდებოდა, მით უმეტეს, პაქტის გაფორმების შემდეგ, რომლის თაობაზეც ჰიტლერმა იგი საქმის კურსში არ ჩააყენა. ფიურერიც წერილში კომპლიმენტებად დაიღვარა და აუხსნა, რომ პაქტის შესახებ უბრალოდ მისი ინფორმირება ვერ მოასწრო. მოლაპარაკებები რუსებთან იმდენად სწრაფად წავიდა, რომ თვითონაც გაოგნებული იყო და არაფრისათვის დრო არ დარჩა... მერე აცნობა, რომ პოლონეთთან ომი მალე დაიწყებოდა (მაგრამ ზუსტი თარიღი არ გაუმხილა). ომში დახმარება არ უთხოვია. მისი აზრით, დუჩეს ამის თქმა არ სჭირდებოდა და ყველანაირი თხოვნის გარეშე უნდა დამდგარიყო მის გვერდით.

მუსოლინის შემორიგების შემდეგ მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო მოსაგვარებელი: ლონდონს მომავალ ომში მისთვის ხელი არ უნდა შეეშალა. პაქტს ეს ამოცანა, წესით, უნდა გაეიოლებინა. „სხვისი ხელით ცეცხლიდან ცხელი წაბლის ამოღებას“ მიჩვეული ინგლისელები, ყველანაირი ლოგიკით, მოსკოვის მხრიდან მხარდაჭერის დაკარგვის შემდეგ ალბათ პოლონეთის მიგდებაზე ფიქრობდნენ და ჰიტლერს ახლა მხოლოდ ერთი რამ დარჩენოდა: მათთვის ამ გადაწყვეტილების მიღება

უნდა გაეიოლებინა. საამისოდ, ისევ და ისევ, საჭირო იყო მიფერება და დაპირებები, რაც ფიურერს ნამდვილად ეხერხებოდა. 25 აგვისტოს შუადღისას მან ჰენდერსონი მიიღო, მეტად მშვიდად და მეგობრულად ესაუბრა და გრანდიოზული შეთავაზებაც გაუკეთა: რაიხი ბრიტანეთის იმპერიას არაფერს ერჩოდა და მზად იყო, მას სამარადჟამოდ გვერდით ამოსდგომოდა; არაფერი უშლიდა ხელს დიდი შეთანხმების გაფორმებას, რომელიც ბრიტანეთის იმპერიას გარანტიებს მისცემდა და რომლის მიხედვითაც რაიხი მას ყველა საჭირო მომენტში უპირობოდ დაეხმარებოდა; რაიხი შეიარაღებაზე ზომიერ შეზღუდვებს დაემორჩილებოდა და თავის დასავლეთის საზღვრებს ცნობდა... აქ რატომღაც ფიურერს სენტიმენტები მოერია და ჰენდერსონს გაანდო, სინამდვილეში მოწოდებით მხატვარი ვარ და არა პოლიტიკოსი და როცა პოლონეთის საკითხი მოგვარდება, ისევ საყვარელ საქმეს დავუბრუნდებიო. ამის შემდეგ ისევ თავის გრანდიოზულ გეგმაზე გადავიდა და თქვა, რომ ლონდონისადმი მისი შეთავაზება საბოლოო იყო. თუკი ინგლისელები მას არ მიიღებდნენ, ევროპას ომი ელოდა. გარდა ამისა, ეს შეთავაზება მას შემდეგ გაკეთდებოდა, რაც მოგვარდებოდა პოლონური პრობლემა (ცხადია, გერმანული პირობებით).

მაგრამ ინგლისის მთავრობისათვის ხათაბალა ის იყო, რომ პოლონური პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდებოდა. ამიტომაც ჰენდერსონმა უპასუხა, რომ მისი მთავრობა შეთავაზებას ვერ განიხილავდა, თუკი მშვიდობიანად არ გადაიჭრებოდა დანციგის საკითხი. ფიურერმა ამაზე მკვახედ მიუგო, ასეთ შემთხვევაში ჯობია, საერთოდ არ გადააგზავნოთ შეთავაზება ლონდონშიო. ჰენდერსონს გამომშვიდობების გარდა არაფერი დარჩენოდა, მაგრამ საელჩოში დაბრუნება ძლივს მოასწრო, რომ ჰიტლერის შეთავაზება წერილობით მიართვეს. დოკუმენტს ახლდა ფიურერის პირადი გზავნილი, სადაც ეწერა, რომ იგი ინგლისთან ურთიერთობას ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა და ამიტომაც სთხოვდა, დედაქალაქში გაფრენილიყო და მთავრობისათვის პირადად მოეხსენებინა ყველაფერი. საამისოდ მის განკარგულებაში იყო გერმანული თვითმფრინავი. ძნელი სათქმელია, რამდენად ჰქონდა იმედი ჰიტლერს, რომ ინგლისის ელჩი იმ დღესვე გაფრინდებოდა და რომ ლონდონში დღის ბოლომდე დათანხმდებოდნენ მის წინადადებას, ან, თუკი არ დათანხმდებოდნენ, მის სერიოზულ განხილვას მაინც დაიწყებდნენ. პოლონეთზე შეტევა ხომ მეორე დილით იყო დანიშნული.

რაც შეეხება ინგლისელთათვის გაკეთებული წინადადების სერიოზულობას, შესაძლოა იგი მხოლოდ დროის მოგებასა და პოლონეთის იზოლირებას ისახავდა მიზნად, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ჰიტლერს ლონდონთან კარგი ურთიერთობები გულწრფელად სურდა. მართალია, ინგლისთან და საფრანგეთთან ომზე იგი საკმაოდ ხშირად საუბრობდა ხოლმე თავის გენერლებთან, მაგრამ საეჭვოა, რომ რომელიმესთან თავად აეტეხა შარი ყოველი მიზეზის გარეშე. ჯერ ერთი, რომ იგი გერმანიის საზოგადოებრივ აზრს გარკვეულ ანგარიშს უწევდა (ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში მაინც, როგორიც ომია) და ძალიან გაუჭირდებოდა ახსნა, თუ რაში დასჭირდა ახალი დიდი სასაკლაოს გაჩაღება. მეორეც, იმავე ზღვაზე კარგად გამაგრებულ ინგლისთან ომი არც ისე იოლი იქნებოდა და გამარჯვების შემთხვევაშიც კი არც ისე დიდ სარგებლობას მოიტანდა. კოლონიების კონტროლი გაჭირდებოდა, თავად ბრიტანეთის კუნძულები კი ლებენსრაუმად მაინდამაინც არ გამოდგებოდა. დემოკრატიებთან ომის გეგმებს ფიურერი კი ნამდვილად აწყობდა, მაგრამ ეს ალბათ იმ შემთხვევისათვის, თუკი ისინი აქეთ გამოუცხადებდნენ ომს. ხოლო თუკი იგივე ინგლისი აღმოსავლეთ ევროპაში რაიხის ექსპანსიას შეეგუებოდა, მაშინ ჰიტლერს მასთან სადავო ბევრი არაფერი უნდა ჰქონოდა და მეგობრობასაც სიამოვნებით აღუთქვამდა.

ცოტა ხანში ფიურერმა კულონდრიც მიიღო, მაგრამ მასთან ბევრი არაფერი ჰქონდა სათქმელი. ჯერ კიდევ მიუნხენიდან მოყოლებული, აშკარა იყო, რომ ფრანგები ლონდონის გარეშე ნაბიჯს ვეღარ დგამდნენ. შესაბამისად, თუკი ახლა ინგლისელებს მოთაფლავდა, ფრანგული პრობლემა თავისთავად მოგვარდებოდა. ამიტომაც ელჩს ჰიტლერმა უბრალოდ განუცხადა, თუკი ფრანგები პოლონეთის მხარეს დადგებოდნენ, გერმანია ბოლომდე იომებსო. ამის მერე წამოდგა და ანიშნა, საუბარი დასრულებულიაო. მაგრამ ელჩმა შეაყოვნა და უპასუხა, თუკი პოლონეთს დაარტყამთ, მე გაძლევთ სიტყვას, რომ საფრანგეთი მთელი ძალებით იომებსო. „სამწუხაროა", – უპასუხა ფიურერმა. საუბარი ამით დასრულდა. ომის დაწყება ახლოვდებოდა და ფრანგები ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა. მთავარი იყო რეაქციები რომიდან და ლონდონიდან.

რეაქციებმაც არ დაახანა. პირველი დარტყმა ლონდონიდან მოვიდა: ინგლისელებმა რაიხთან დამეგობრების ნაცვლად პოლონეთთან გაფორმებული დროებითი ალიანსი მუდმივ შეთანხმებად აქციეს. ფიურერი გაოგნდა. მას ჯერ კიდევ ვერ გაეაზრებინა, რომ დამშოშმინებლებს ყვე-

ლანაირი რესურსი ჰქონდათ ამოწურული და ძალიანაც რომ მოენდომებინათ, მას შეღავათს ველარ გაუწევდნენ. ინგლისის პარლამენტსა და ზოგადად პოლიტიკურ ელიტაში გერმანელთათვის ახალ დათმობაზე საუბარიც არ სურდათ. ამის გათვალისწინებით 23 აგვისტოს უილსონი ამერიკის ელჩს ჯოზეფ კენედის (მომავალი პრეზიდენტის მამას) შეევედრა, რომ იქნებ მის ქვეყანას მაინც დაეყოლიებინა დათმობაზე ჯიუტი პოლონელები. როცა რუზველტმა ამაზე სასტიკი უარი თქვა, ჩემბერლენი ნამდვილმა სასოწარკვეთილებამ მოიცვა. უკვე კარგად იცნობდა რა ჰიტლერს, მთავარი დამშოშმინებელი მიხვდა, რომ ახალი დიდი ომი გარდაუვალი იყო. პარლამენტისა და საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ ის და ჰალიფაქსი ვერ წავიდოდნენ და საბოლოოდ, მიგდების ნაცვლად პოლონეთს ადრინდელზე უფრო მყარი გარანტია მისცეს.

მეორე დარტყმა კი რომიდან მოვიდა. დუჩე თავის ყოფილ თაყვანისმცემელს ატყობინებდა, რომ მოსკოვთან პაქტს მთელი სულითა და გულით უჭერდა მხარს, რომ ასევე იტალია რაიხის ბოლომდე იდგებოდა, თუკი პოლონეთთან კონფლიქტი ლოკალური ხასიათის იქნებოდა. მაგრამ, აი, თუკი ეს კონფლიქტი დიდ ომში გადაიზრდებოდა, მაშინ იტალიას თავის შეკავება მოუწევდა. ომში ჩაბმას იგი მხოლოდ მაშინ შეძლებდა, თუკი გერმანიისგან საჭირო ნედლეულსა და შეიარაღებას მიიღებდა. რომი და ბერლინი ხომ შეთანხმებულები იყვნენ, რომ ომს 1942 წლამდე არ დაიწყებდნენ. აი, 1942 წელს იტალია მზად იქნებოდა, მაგრამ ახლა არა...

– ზუსტად ისე იქცევიან, როგორც 1914 წელს, – თქვა გამწარებულმა ფიურერმა. მალე შეტევის 1 სექტემბრისათვის გადავადებაც ბრძანა (როგორც თავიდან ჰქონდა დაგეგმილი). იმ დროისათვის რუზველტის ორი წერილიც ჰქონდა მიღებული. ამ უკანასკნელმა პოლონელთა მორჯულების ნაცვლად 24 აგვისტოს ბერლინსაც და ვარშავასაც მისწერა და ორივეს დიალოგისაკენ მოუწოდა. ჰიტლერმა ამერიკელი უგულებელყო, პოლონელებმა კი პრეზიდენტს უპასუხეს, რომ, გერმანიისგან განსხვავებით, ისინი არ აყენებდნენ პრეტენზიებს და მოთხოვნებს. ამის შემდეგ რუზველტმა მხოლოდ ფიურერს მისწერა, მაგრამ მან ამერიკელი ისევ უყურადღებოდ დატოვა. ამასობაში მშვიდობისაკენ მოწოდებით გამოდიოდნენ რომის პაპი, ბელგიისა და ჰოლანდიის მონარქები...

მაგრამ ომი მხოლოდ გადაიდო. ლონდონთან თამაშს ფიურერი ჯერ კიდევ იწყებდა. მით უმეტეს, რომ ჰენდერსონი გერმანული თვითმფრი-

ნავით სამშობლოს მხოლოდ 26 აგვისტოს დილით გაფრინდა. ცხადია, მან არ იცოდა, რომ ჰიტლერი სწორედ იმ დროს გეგმავდა ომის დაწყებას, თორემ გამგზავრებას ალბათ არ გადადებდა. გარდა ამისა, ფიურერმა უკვე 24 აგვისტოს გერინგს ლონდონში დალერუსის მივლინება დაავალა. პარალელურად ჰიტლერმა გადაწყვიტა დუჩესგან რაიმე, თუნდაც მცირე მხარდაჭერა მაინც დაებეჭებინა, რათა უფრო ძლიერი პოზიციები ჰქონოდა ლონდონთან მიმართებით. თავდაპირველად თავის ყოფილ კერპს წერილობითი შეკითხვით მიმართა, კონკრეტულად რა ნედლეული და რა შეიარაღება სჭირდებოდა. დუჩე წერილს 26 აგვისტოს დილით ადრე გაეცნო და მალე ისეთი პასუხი აფრინა, ჩიანოს თქმით, „ხარს რომ წააქცევდა“: 7 მილიონი ტონა სანვავი, 6 მილიონი ტონა ნახშირი, 2 მილიონი ტონა ფოლადი, 1 მილიონი ტონა ხე-ტყე, 600 ტონა მოლიბდენი, 400 ტონა ტიტანიუმი, 20 ტონა ცირკონიუმი, 150 საავიაციო აკუმულატორი. ეს ყველაფერი იტალიას ომამდე სჭირდებოდა და საომარი მოქმედებების პირობებში მხოლოდ ერთი წელი თუ ეყოფოდა. დუჩემ იქვე ჰიტლერს შეაპარა, რომ, თუკი არსებობდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შანსი, ის შუამავლობისათვის მზად იყო. ჰიტლერმა ამ ყველაფერზე მხოლოდ ის უპასუხა, რომ ფოლადისა და ნახშირის გარდა არაფრის მიწოდების საშუალება არ გააჩნდა. ამიტომაც ომში ჩაბმას აღარ სთხოვდა, მისგან მხოლოდ ერთი რამე სურდა: პროპაგანდისა და სამხედრო მანევრების მეშვეობით ლონდონი და პარიზი მაქსიმალურად დაეშინებინა და მათი შეიარაღებული ძალები დაება. დუჩემ ამაზე უარი არ უთხრა, მაგრამ კიდევ ერთხელ სთხოვა, როგორმე კონფლიქტი ერთობლივად, პოლიტიკური გზებით დაელაგებინათ. ფიურერმა პასუხად დაამშვიდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე ყველაფერს სწრაფად მოაგვარებდა, ზამთრის გასვლის შემდეგ კი მზად იქნებოდა, იტალიასთან ერთად საფრანგეთისა და ინგლისისათვის შეეტია. შემდეგ კიდევ ორი თხოვნა გაუგზავნა: დუჩე ისე უნდა მოქცეულიყო, რომ მისი განწყობა (ომში ჩარევისგან თავის შეკავება) ევროპაში ვერავის შეემჩნია. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა, თუკი იგი რაიხს იტალიელ მუშებს მიაშველებდა. მუსოლინი ამაზეც დათანხმდა და კონფლიქტის პოლიტიკური გზებით მოგვარება უკვე აღარ უხსენებია.

ამასობაში დალერუსი გერინგის მიერ საგანგებოდ გამოყოფილი თვითმფრინავით ლონდონში გადაფრინდა და უკვე 25 აგვისტოს საღამოს ჰალიფაქსს ეახლა. ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ მისი შუამავლობა

საჭირო აღარ იყო, რადგან ბერლინიდან მალე ელჩი უნდა ჩამოსულიყო ჰიტლერის დანაბარებით. მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა. შვედი გერინგს დაუკავშირდა და მისგან მოისმინა, რომ ინგლისურ-პოლონური ალიანსის გაფორმებამ ვითარება დაძაბა და რომ ახლა მხოლოდ რაიხისა და ინგლისის წარმომადგენლებს შორის ახალ მოლაპარაკებას შეეძლო ეხსნა მშვიდობის საქმე. დალერუსმა ეს ამბავი ჰალიფაქსს მოახსენა და დაარწმუნა, გერინგისათვის წერილით მიემართა, რადგან იგი იყო „ერთადერთი გერმანელი", ვისაც ომის თავიდან აცილება შეეძლო. მინისტრი დათანხმდა და 26 აგვისტოს მისი წერილით ხელდამშვენებულმა დალერუსმა ბერლინისკენ გასწია. ჰალიფაქსის გზავნილი ზოგადი ხასიათის იყო და უბრალოდ, ინგლისის მხრიდან მშვიდობიანი მორიგების სურვილს აფიქსირებდა, მაგრამ რაიხის ავიაციის მინისტრმა გადაწყვიტა, რომ ჰიტლერს წერილი უნდა ენახა. გვიან საღამოს ის და დალერუსი ფიურერს დაადგნენ თავზე, რომელსაც უკვე ეძინა. გერინგმა დაჟინებით მოითხოვა თავისი უფროსის გაღვიძება და ეს უკანასკნელი საშინელ ხასიათზე მყოფი გამოეცხადა სტუმრებს. წერილს არც კი დახედა და ცოფები ყარა. ლექციებიც წაიკითხა თავის არნახულ მიღწევებზე და მერე დალერუსს ჰკითხა, რახან ინგლისელებს კარგად იცნობ, იქნებ ამიხსნა, რატომ ვერ ვახერხებ მათთან მშვიდობის დამყარებასო. შვედის თქმით, მან უპასუხა, რომ ინგლისელები ალბათ მასა და მის მთავრობას არ ენდობოდნენ. „იდიოტები, – იღრიალა ფიურერმა, – ოდესმე ერთი ტყუილი მაინც მითქვამს?" ბოლოს დამშვიდდა და გადაწყდა, რომ დალერუსი ისევ ლონდონში გადაფრინდებოდა ახალი დანაბარებით: გერმანიას ლონდონთან ალიანსი სურდა; ინგლისი გერმანიას დანციგისა და კორიდორის დაბრუნებაში დაეხმარებოდა; პოლონეთი დანციგში თავისუფალ პორტს შეინარჩუნებდა და ასევე მას დარჩებოდა გდინიას პორტი; გერმანია პოლონეთის ახალ საზღვრებს გარანტიებს მისცემდა; გერმანიას კოლონიები უნდა დაბრუნებოდა, ან მათი ეკვივალენტი უნდა მიეღო (ეს თემა ალბათ სავაჭროდ წამოჭრა, რათა მერე კომპრომისის სახით დაეთმო); პოლონეთს გერმანული უმცირესობისათვის გარანტიები უნდა მიეცა; გერმანია ბრიტანეთის იმპერიის დაცვის პირობას იძლეოდა.

აქ ერთი მომენტი იყო საყურადღებო; იმ შეთავაზებისგან განსხვავებით, რაც ჰენდერსონს გაატანა, ჰიტლერი ამჯერად ინგლისს ჯერ ალიანსს სთავაზობდა და წინაპირობად პოლონეთის საკითხის გადაჭრას არ ითხოვდა. დალერუსმა ახალი შეთავაზება დაიზეპირა და მეორე

დღესვე ლონდონში ჩემბერლენსა და ჰალიფაქსს ყველაფერი სიტყვასიტყვით გაუმეორა. დამშოშმინებლებმა გერინგის ემისარს ყურადღებით მოუსმინეს და გადაწყვიტეს, ჰიტლერი გამოეცადათ. დალერუსს ჯერ ბერლინში ინგლისელთა წინასწარი პასუხი უნდა ჩაეტანა. იმის მიხედვით, ამ პასუხზე ფიურერს როგორი რეაქცია ექნებოდა, ჩემბერლენი და ჰალიფაქსი გადაწყვეტდნენ, რა ეპასუხათ ოფიციალურად.

დალერუსმა ისევ ბერლინისაკენ გასწია. ჰენდერსონი ლონდონში დარჩა, რათა შვედის დაბრუნებას დალოდებოდა და უკვე ამის შემდეგ ჰიტლერისათვის ინგლისის მთავრობის ოფიციალური პასუხი ჩაეტანა. გერინგს თავისმა ემისარმა ინგლისელთა დანაბარები მოახსენა: ლონდონს გერმანიასთან დაახლოება სურდა, ოღონდ ამავე დროს პოლონეთთან ჰქონდა ვალდებულება და შესაბამისად, გერმანიას პოლონეთთან დავა მშვიდობიანად უნდა მოეგვარებინა; ბრიტანეთის იმპერიის დაცვის შემოთავაზებაზე ლონდონი უარს ამბობდა და არც კოლონიების საკითხის განხილვას აპირებდა, სანამ გერმანია მობილიზებული იყო; პოლონეთის საზღვრებისათვის ხუთ დიდ სახელმწიფოს უნდა მიეცა გარანტია; დანციგის კორიდორის თაობაზე ვარშავასთან მოლაპარაკება სასწრაფოდ უნდა დაწყებულიყო. გერინგს მოსმენილი დიდად არ მოეწონა, მაგრამ ფიურერის მონახულების შემდეგ დალერუსს დაუკავშირდა და აცნობა, რომ ინგლისელთა წინასწარი პასუხი მისაღები იყო, ოღონდ იმ პირობით, თუკი ჰენდერსონის მიერ ჩამოტანილი ოფიციალური პასუხი მისი საწინააღმდეგო არ იქნებოდა.

მოსმენილით კმაყოფილი შვედი ინგლისის საელჩოს დაუკავშირდა და ყველაფერი ამცნო. იქვე დაამატა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი ჰენდერსონის პასუხში იქნებოდა განცხადება, რომ ლონდონი დაარწმუნებდა ვარშავას, მოლაპარაკებები დაეწყო რაიხთან. მისი თქმით, ფიურერს ეჭვი ჰქონდა, რომ პოლონელები დიალოგს თავს აარიდებდნენ და ამიტომაც ინგლისს მათთვის მკაცრი ტონით უნდა მიემართა. ასევე, პასუხში არ უნდა ყოფილიყო რუზველტის სამშვიდობო ინიციატივების ხსენება.

ამასობაში 28 აგვისტოც დადგა. გერმანიაში დილიდან საჭმელზე, საპონზე, ფეხსაცმელ-ტანსაცმელსა და ნახშირზე რაციონები დაწესდა. შუადღეზე ჰალიფაქსმა ვარშავაში ინგლისის ელჩს, სერ ჰოვარდ კენარდს უბრძანა, სასწრაფოდ ენახა ბეკი და მისგან დასტური მიეღო, რათა ლონდონს ჰიტლერისთვის ეცნობებინა, პოლონეთი მოლაპარაკებაზე თანახმააო. ბეკს ამაზე უარი აღარ უთქვამს. ამის შემდეგ ჰენდერსონმა

ლონდონი დატოვა და საღამოს ოფიციალური გზავნილით კანცელარიაში ჰიტლერთან წარსდგა. ეს უკანასკნელი ელჩს მოუთმენლად ელოდა, მაგრამ პასუხის წაკითხვამ არც ისე კარგ ხასიათზე დააყენა. ინგლისელები იწერებოდნენ, რომ უპირველესად აუცილებელი იყო გერმანიასა და პოლონეთს შორის ურთიერთობების დალაგება, სხვა ყველაფერი კი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ როგორ მოხდებოდა ეს დალაგება; ინგლისი, განურჩევლად იმისა, სანაცვლოდ რას შეჰპირდებოდნენ, ვერ ჩააგდებდა საფრთხეში იმ ქვეყნის დამოუკიდებლობას, რომლისთვისაც გარანტია ჰქონდა მიცემული; სამართლიანი მორიგება პოლონეთსა და გერმანიას შორის გზას გაუხსნიდა მსოფლიოში მშვიდობას, ვერმორიგება კი ინგლისსა და გერმანიას კონფლიქტში ჩაითრევდა, რასაც ახალი დიდი ომი მოჰყვებოდა; რაიხის მხრიდან ბრიტანეთის იმპერიისათვის გარანტიებზე ლონდონი უარს ამბობდა.

ფიურერი დუმდა. ჰენდერსონმა ამით ისარგებლა და აუხსნა, რომ მის მთავრობას ნამდვილად სურდა ბერლინთან მეგობრობა, მაგრამ პოლონეთს ვერ მიატოვებდა. ჰიტლერმა ხმა ამოიღო და უპასუხა, რომ პოლონეთს ყველანაირად შეღავათიან წინადადებებს უკეთებდა და მათ კიდევ ერთხელ გამეორებას აღარ აპირებდა. მაშინ ელჩმა ჰკითხა, რას იტყოდა პოლონეთთან პირდაპირ მოლაპარაკებებზე და მოსახლეობების გაცვლაზე. ჰიტლერი მეორეზე დათანხმდა, პირველზე კი უპასუხა, მოფიქრებაა საჭიროო. შემდეგ რიბენტროპს უთხრა რომ გერინგისათვისაც უნდა მოეხმოთ და ყველაფერი ერთად გაეაზრებინათ. ჰენდერსონს პასუხს ჰიტლერი 29 აგვისტოსათვის შეჰპირდა და დააყოლა, რომ იგი არ ბლეფობდა. ელჩმა უპასუხა, რომ არც მისი მთავრობა ბლეფობდა. ამჯერად ორივენი სიმართლეს ამბობდნენ.

29 აგვისტოს გამთენიისას დალერუსს კანცელარიიდან გერინგის ადიუტანტმა დაურეკა და ამცნო, რომ ინგლისელების პასუხი დამაკმაყოფილებელი იყო. შვედი თავის მხრივ სასიხარულო ცნობით ლონდონს დაუკავშირდა, დილით კი გერინგს შეხვდა, რომელიც ოპტიმისტურად იყო განწყობილი. „მშვიდობა, მშვიდობა იქნება," – იმეორებდა ავიაციის მინისტრი. ფრთაშესხმულმა დალერუსმა ამის შემდეგ უკვე ჰენდერსონი ინახულა და მოახსენა, რომ გერმანელები ლონდონის პასუხის უმთავრეს პუნქტს ეთანხმებოდნენ; რომ ჰიტლერი ითხოვდა მხოლოდ დანციგს და მასთან ერთად არა მთლიანად კორიდორს, არამედ გზას კორიდორის გავლით რკინიგზისა და ავტოსტრადისათვის. შვედმა იქვე დასძინა,

რომ ფიურერი მეტად კონსტრუქციული იქნებოდა და პოლონელებს მაქსიმალურ შეღავათს გაუწევდა.

ჰენდერსონი, მისი თქმით, ამ დაპირებებს ეჭვით შეხვდა, მაგრამ დალერუსი საღამოს თავად დაუკავშირდა ლონდონს და დაიბარა, ჰალიფაქსისათვის გადაეცათ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ოღონდ, აი, ინგლისელებს პოლონელები უნდა დაერწმუნებინათ, დალაგებულად მოქცეულიყვნენ. მალევე ჰენდერსონი ისევ მივიდა კანცელარიაში და ამჯერად მეტად აგრესიული ჰიტლერი იხილა. ელჩს მისი მთავრობის გზავნილზე საპასუხო ოფიციალური ნოტაც დახვდა: რაიხი ადასტურებდა, რომ ნამდვილად სურდა მეგობრობა ინგლისთან, მაგრამ ეს ვერ მოხდებდა მისი სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე. ამიტომაც გერმანია ითხოვდა დანციგისა და კორიდორის დაბრუნებას და ასევე პოლონეთში მცხოვრები გერმანელების დაცვას (იმ დროისათვის გებელსის პროპაგანდისტული მანქანა ბოლო სიმძლავრეზე დაქოქილი გაჰკიოდა ვარშავის მიერ თანამემამულეების ჩაგვრაზე).

გერმანია, აგრძელებდა ნოტა, აღარ იზიარებდა ინგლისელთა ოპტიმიზმს, რომ პოლონეთთან მოლაპარაკება შესაძლებელი იყო, მაგრამ მათი ხათრით თანხმდებოდა ვარშავასთან პირდაპირ დიალოგს. ამიტომ ბერლინი უკვე 30 აგვისტოს ელოდა პოლონეთიდან მოლაპარაკებისათვის სრული უფლებამოსილების მქონე პირის ჩასვლას. მის სტუმრობამდე გერმანელები პოლონეთთან პრობლემის მოგვარების გეგმას ჩამოწერდნენ და ინგლისელებს გააცნობდნენ. იქვე ნოტა ამატებდა, რომ პოლონეთის ტერიტორიული ცვლილებები საბჭოთა კავშირთან იქნებოდა შესათანხმებელი. ჩანს, ჰიტლერმა გადაწყვიტა, რომ ლონდონზე დამატებითი ზეწოლისათვის საბჭოთა კარტის გათამაშება არ აწყენდა.

ჰენდერსონმა განაცხადა, რომ პოლონეთიდან უფლებამოსილი პირის მეორე დღესვე დაბარება ულტიმატუმს ჰგავდა. ამაზე უპასუხეს, რომ ბერლინში უბრალოდ სურდათ სიტუაციის განმუხტვა დაეჩქარებინათ. მით უმეტეს, რომ უკვე გენერლებსაც ეწურებოდათ მოთმინება. ეს ცხადია ზეწოლის კიდევ ერთი ხერხი იყო. ელჩმა თქვა, რომ იგი ისურვებდა, პოლონელ სტუმართან დიალოგი ისე წარმართულიყო როგორც თანასწორ მხარეებს შეეფერებოდა. ფიურერი დაპირდა, ასეც იქნებაო. კარგად იცოდა რა პოლონელთა განწყობა, ალბათ ვარაუდობდა, რომ ისინი უფლებამოსილი პირის გაგზავნაზე უარს იტყოდნენ (მით უფრო, ასეთ მოკლე ვადაში) და ამის შემდეგ კი ნამდვილად დაკარგავდნენ

ლონდონის მხარდაჭერას. ინგლისელებს ხომ, წესით, უკან დასახევი გზა სჭირდებოდათ და ის მათ ამ გზას უხსნიდა.

ინგლისის ელჩის გასტუმრებიდან ცოტა ხაში ფიურერს ატოლიკო ეახლა და მოახსენა, რომ დუჩე ინგლისთან შუამავლობისათვის მზად იყო. მაგრამ პასუხად მხოლოდ ის მიიღო, რომ ლონდონთან მოლაპარაკებები უკვე დაიძრა. ვერა და ვერ გაეგო მუსოლინის, რომ ჰიტლერს მისგან არა შუამავლობა, არამედ ლონდონსა და პარიზზე ზეწოლა სჭირდებოდა. ამასობაში კი ჰენდერსონმა საელჩოში მისვლისთანავე ლიპსკის უხმო, ჰიტლერთან შეხვედრის შინაარსი უამბო და შეევედრა როგორმე დაერწმუნებინა მისი მთავრობა ბერლინში მოლაპარაკებებისათვის სასწრაფოდ მიევლინა ვინმე. ფრანგებმაც, შეიტყვეს თუ არა, რას ითხოვდა ჰიტლერი, ბეკს შესთხოვეს, თავად წასულიყო ბერლინში. ჰალიფაქსმა, რომელიც პოლონელებს უკვე საკმარისზე უკეთ იცნობდა, ეჭვი გამოთქვა, რომ ასე მალე ისინი არავის მიაგზავნიდნენ მოლაპარაკებებისათვის და ეს ამბავი ბერლინში უნდა გაეთვალისწინებინათ.

ჰენდერსონმა საგარეო საქმეთა მინისტრის დანაბარები 30 აგვისტოს გამთენიისას გერმანელებს გააგებინა. ამის შემდეგ ჰალიფაქსმა ვარშავიდან კენარდის დეპეშა მიიღო, რომელშიც ელჩი იუწყებოდა, რომ ბეკის ან ვინმე სხვა თანამდებობის პირის ბერლინში წასვლაზე დაყოლიება შეუძლებელ ამოცანად ჩანდა. პოლონელებს არ სურდათ, ჩეხოსლოვაკიის ბედი გაეზიარებინათ და ომი ერჩიათ. თუკი გერმანელები მართლაც მზად იყვნენ მოლაპარაკებებისათვის, როგორც თანასწორ მხარესთან, მაშინ შეხვედრა ბერლინში კი არა, ნეიტრალურ ტერიტორიაზე უნდა გამართულიყო.

ლონდონშიცა და ბერლინშიც გათენდა და ჰენდერსონი თავისი დედაქალაქიდან გზავნილს გზავნილზე იღებდა. ჩემბერლენი და ჰალიფაქსი გერმანიის მთავრობას თავშეკავებისკენ მოუწოდებდნენ და ჰიტლერს ატყობინებდნენ, რომ ნოტაზე პასუხს მალე მიიღებდა. დღის ბოლოსკენ ჰალიფაქსმა ჰენდერსონს მისწერა, რომ ლონდონი პოლონელებს ძალას ვერ დაატანდა, ჰიტლერთან ვინმე მიეგზავნათ. ამიტომ იქნებ გერმანელები ნორმალურ პროცედურას მიჰყოლოდნენ, პოლონეთის ელჩი დაებარებინათ და მისთვის ეცნობებინათ, რომ მოლაპარაკებები სურდათ?

ამ ფაფხურში მთელი დღე გავიდა და ბერლინის ნოტაზე ოფიციალური პასუხი 30 აგვისტოს დაღამებისკენ მივიდა. ჰენდერსონმაც მისი რიბენტროპისათვის გადაცემა მხოლოდ მაშინ მოახერხა, როცა პოლო-

ნეთისთვის მიცემული ვადა გასული იყო. ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ რიბენტროპი ალბათ ელოდა, რომ რაიმე ადრინდელისგან განსხვავებულს მოისმენდა, მაგრამ არა: ინგლისსაც ძალიან სურდა გერმანიასთან მეგობრობა, მაგრამ საამისოდ სხვა მეგობრების გაწირვა არ შეეძლო; ლონდონში ესმოდათ, რომ გერმანიას არ შეეძლო სასიცოცხლო ინტერესებზე უარის თქმა, მაგრამ ასევე არ შეეძლო სასიცოცხლო ინტერესებზე უარის თქმა პოლონეთს; ინგლისი მხარს უჭერდა პირდაპირ მოლაპარაკებებს ბერლინსა და ვარშავას შორის, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ასე მალეც ვერ შედგებოდა...

რიბენტროპი ძალიან გაღიზიანებული იყო და, ჰენდერსონის თქმით, აგრესიულ მანერებში აშკარად თავის ფიურერს ბაძავდა. ლონდონიდან მიღებულ წერილს ინგლისში ყოფილმა ელჩმა ზედაც არ დახედა. როცა ჰენდერსონმა სთხოვა, დაპირებული, პოლონური პრობლემის მოგვარების გერმანული გეგმა ეჩვენებინა, რიბენტროპმა უპასუხა, რომ ვარშავამ დააგვიანა უფლებამოსილი პირის გაგზავნა და, შესაბამისად, უკვე გეგმასაც ვადა გაუვიდა. მაგრამ შემდეგ მაინც ამოიღო 16-პუნქტიანი გეგმა და ტექსტი სწრაფად წაიკითხა. როცა ელჩმა სთხოვა, ტექსტი ენახვებინა, მინისტრმა ფურცელი დემონსტრაციულად გვერდზე მიაგდო. ამ ყველაფერის მიუხედავად, ჰენდერსონს მოსმენილი გეგმა მისაღებად და რაციონალურად მოეჩვენა. მართლაც, იქ გაწერილი იყო შემდეგი პირობები: დანციგის რაიხისათვის დაბრუნება და კორიდორში ვითარების დასტაბილურებიდან 12 თვეში პლებისციტის ჩატარება; მიუხედავად იმისა, პლებისციტის შედეგად ვის დარჩებოდა კორიდორი, მეორე მხარეს ექსტრატერიტორიული უფლებები უნდა ჰქონოდა რკინიგზასა და ავტოსტრადაზე; პოლონეთს დარჩებოდა გდინიას პორტი; მოსახლეობა გაიცვლებოდა. ჰენდერსონმა, როგორც კი საელჩოში დაბრუნდა (შუაღამის ორ საათზე), ლიპსკი მოიხმო და სთხოვა, რიბენტროპი ენახა, მაგრამ პოლონელმა იგი არაფრად ჩააგდო და სახლში ძილის გასაგრძელებლად დაბრუნდა.

ჰენდერსონზე უფრო მეტად იმ დღეებმა დაღი ალბათ დალერუსს დაასვა. ჯერ კიდევ 29 აგვისტოს გვიან საღამოს შვედი გერინგმა მოიხმო და მოახსენა, რომ ჰიტლერი ზომიერ პირობებს აყენებდა (იგულისხმებოდა ზემოთ მოყვანილი 16-პუნქტიანი გეგმა) და კიდევ ერთხელ იყო საჭირო ლონდონში გადაფრენა. დალერუსი დათანხმდა და უკვე 30 აგვისტოს დილით ჩემბერლენთან, ჰალიფაქსთან და უილსონთან იყო. მაგრამ

ვარშავას, ბერლინსა და ინგლისის პარლამენტს შორის გაჭყლეტილ დამშოშმინებელთა ტრიოს ბევრი აღარაფერი შეეძლო. მათთან გასაუბრების შემდეგ დალერუსმა მხოლოდ ის ქნა, რომ გერინგს დაურეკა და ურჩია, პოლონურ-გერმანული შეხვედრა სადმე რაიხის გარეთ მოეწყოთ. ავიაციის მინისტრმა ამაზე უბრალოდ ის მიუგო, რომ ფიურერი ბერლინში იმყოფებოდა. შვედიც ბერლინში დაბრუნდა და 31 აგვისტოს გამთენიისას გერინგს დაადგა თავზე, რომელმაც აცნობა, რომ ჰენდერსონს პოლონური პრობლემის მეტად ცივილიზებული გეგმა გადასცეს. დალერუსს ისევ გაეღვიძა იმედი და გერინგის ოფისიდანვე ინგლისის საელჩოში დარეკა. მის გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მოისმინა, რომ სინამდვილეში ჰენდერსონს გეგმა თვალითაც არ ანახეს. „როგორ შეიძლება ასე მოექცე ბრიტანეთის იმპერიის ელჩს?“ – აღმოხდა შვედს და გერინგს სთხოვა, სასწრაფოდ მიეცა მისთვის 16-პუნქტიანი გეგმის ტექსტი. ამ უკანასკნელმა არა მხოლოდ თხოვნა დააკმაყოფილა, არამედ სთხოვა, მეორე დღეს ინგლისის საელჩოში მისულიყო.

დალერუსმა გეგმა მიღებისთანავე საელჩოს გადაუგზავნა და 31 აგვისტოს დილით ჰენდერსონს მიაკითხა. ეს უკანასკნელი ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული და ცდილობდა, ლიპსკი რაიმე დათმობაზე დაეყოლიებინა. როცა შვედი მიეახლა, ჰენდერსონმა იგი პირდაპირ პოლონეთის საელჩოში გაუშვა და ინგლისის საელჩოს მრჩეველი გააყოლა. დალერუსი, თავის მხრივ, ჰენდერსონს შეევედრა, სასწრაფოდ წასულიყო და გერინგი მოენახულებინა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ლიპსკისთან ვიზიტმა უშედეგოდ ჩაიარა. მან გერმანულ გეგმას ზედაც არ დახედა, ხოლო როცა დალერუსი ოთახიდან გავიდა, ინგლისის საელჩოს მრჩეველს ეჩხუბა, ეს „უცნობი“ რატომ მომიყვანეო. მერე კმაყოფილებით აღნიშნა, რომ გერმანელები აშკარად დემორალიზებულები იყვნენ და რომ მათი ეს გეგმაც სწორედ ამაზე მიანიშნებდა. დალერუსმა უილსონს დაურეკა ლონდონში და უთხრა, რომ გერმანელების წინადადება ძალიან რბილი იყო და პოლონელები თავიანთი უაზრო სიჯიუტით მოლაპარაკებებს ძირს უთხრიდნენ. უილსონმა მიუგო, სასწრაფოდ გაჩუმებულიყო და ყურმილი დაკიდა. პოლიტიკაში უწვრთნელი დალერუსისგან განსხვავებით, მან იაზრა, რომ მათ საუბარს გერმანელები უსმენდნენ. ცხადია, ასეც იყო. გერმანელები უსმენდნენ და ამ საუბრიდან ალბათ ლოგიკურად დაასკვნეს, რომ პოლონეთმა ინგლისს თავი საბოლოოდ მოაბეზრა.

მაგრამ რაც უნდა მოჰბეზრებოდათ ახალი მოკავშირე, დამშოშ-

მინებლებს მათი მიგდება არ შეეძლოთ. 30 აგვისტოს გვიან საღამოს ჰალიფაქსმა ბეკს შესთხოვა, დაედასტურებინა, რომ მოლაპარაკებებისთვის მზად იყო. ბეკი კენარდს შეპირდა, რომ თავის მთავრობას დაელაპარაკებოდა და 31 აგვისტოს შუადღისთვის მისცემდა პასუხს. ჰალიფაქსი ამით დიდად კმაყოფილი არ დარჩა და ელჩს დაავალა, რომ საფრანგეთის ელჩთან ერთად პოლონელებისთვის შემდეგი გადაეცა: მათ ბერლინისათვის უნდა ეცნობებინათ (პირდაპირ ან ისევ ინგლისელების მეშვეობით), რომ საქმის კურსში იყვნენ, თუ რა პოზიცია ჰქონდა ლონდონს გერმანიის მთავრობის წინადადებასთან დაკავშირებით, და რომ ასევე მათ აუცილებლად უნდა დაედასტურებინათ დიალოგისათვის მზადყოფნა. შემდეგ კენარდს ისიც დაავალა, პოლონელებისათვის ეთხოვა, ლიპსკი რიბენტროპთან მისულიყო და გაერკვია, ამ უკანასკნელს ვარშავისათვის რაიმე შეთავაზება ხომ არ ჰქონდა.

ამის იქით კიდევ რაიმეს მოფიქრება და დავალება ალბათ შეუძლებელი იყო. თუმცა კენარდმა ამდენის გადაცემა ვერ მოასწრო, რადგან ბეკმა ამასობაში გადაწყვიტა, რომ პასუხად რაღაც მაინც უნდა მოემოქმედებინა და ამიტომ ინგლისის ელჩს აცნობა, პოლონეთი ბერლინთან „აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის“ მზად არისო. ასევე აცნობა, რომ ლიპსკის დაევალა, რიბენტროპი ენახა და ეთქვა, მისი მთავრობა ინგლისის შეთავაზებას იღებდა (სინამდვილეში კი ბეკმა ლიპსკის უბრძანა, რიბენტროპისათვის გადაეცა, რომ პოლონეთი „განიხილავდა შესაძლებლობას“, მიეღო ინგლისის შეთავაზება და რომ პასუხს რამდენიმე საათში დაუბრუნებდა). როცა კენარდმა ჰკითხა, რას იზამდა ლიპსკი, თუკი რიბენტროპი რაიმე კონკრეტულ გეგმას გადასცემდა, ბეკმა უპასუხა, რომ ელჩს ინსტრუქცია ექნებოდა, არაფერი არ ჩაებარებინა, რადგან, „გამომდინარე წარსულის გამოცდილებიდან, იქ რაიმე ულტიმატუმიც იქნებოდა“. ბეკის თქმით, მთავარი იყო „კონტაქტის აღდგენა“, რათა გარკვეულიყო, სად და ვისთან დაწყებულიყო მოლაპარაკებები. თუკი მას (ბეკს) ბერლინში მიიხმობდნენ, იგი უარს იტყოდა, რადგან არანაირად არ სურდა, „ჰახასავით მოჰქცეოდნენ“.

მთელი ამ ხნის განმავლობაში პარიზი თითქმის დუმდა. 26 აგვისტოს ფიურერს დალადიემ მისწერა და აცნობა, რომ საფრანგეთი პოლონეთს დაეხმარებოდა. ფიურერმა უპასუხა, რომ ის საფრანგეთს არაფერს ერჩოდა და გაუგებარი იყო, ერთმანეთთან რატომ უნდა ეომათ. 31 აგვისტოს შუადღეზე ფრანსუა-პონსემ (იმჟამად იტალიაში საფრანგეთის

ელჩმა) პარიზს აცნობა, რომ ჩიანომ მასა და ინგლისის ელჩს 5 სექტემბერს კონფერენციის ჩატარება შესთავაზა იმ პირობით, რომ პოლონეთი დანციგს დათმობდა. ფრანგებმა, ბუნებრივია (როგორც ამ დროისათვის ეს უკვე ინსტინქტად ჰქცეოდათ), მაშინვე ლონდონში დარეკეს. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისი კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებდა, ოღონდ იმ პირობით, თუკი ყველა მხარე, გერმანიის ჩათვლით, ჯარის დემობილიზაციას მოახდენდა. საღამოს დალადიემ მთავრობა შეკრიბა. ბონე ცდილობდა, კოლეგები დაეყოლიებინა, კონფერენციის იდეა მიეღოთ. მაგრამ დალადიემ ეჭვი გამოთქვა, რომ მუსოლინი ჰიტლერის დავალებით მოქმედებდა და, შესაბამისად, კონფერენცია ახალი ხაფანგი იყო. პრემიერ-მინისტრს სხვებმაც აუბეს მხარი: ეს ორი თაღლითი ხომ აშკარად გვეთამაშება, როლები აქვთ განაწილებული, ერთი გვემუქრება, მეორე მოლაპარაკებას გვთავაზობსო. საბოლოოდ გადაწყდა, რომ „საფრანგეთი თავის ვალდებულებას შეასრულებდა". დუჩე უკვე ყველას მეორე ვიოლინოდ მიაჩნდა. ალბათ იმიტომაც, რომ იტალიელი ჰიტლერის თხოვნას მეტად გულმოდგინედ ასრულებდა და ვერავინ ხვდებოდა, რომ სინამდვილეში მას ომი არ სურდა. 31 აგვისტოს დილით დუჩემ ვილჰელმშტრასეზე ატოლიკო მიავლინა. იქ ელჩმა ვაიცაკერის ნახვა მოახერხა და მას შეევედრა, უფროსობა დაერწმუნებინა, ლიპსკი მიეღოთ. თუკი ეს მოხდებოდა, დუჩე გერმანიისათვის დანციგის გადაცემის საქმეს გაჩარხავდა და ამის თაობაზე მას უკვე ლონდონთან ჰქონდა კონტაქტი.

მაგრამ ლიპსკი რომ მიეღოთ, საამისოდ ჯერ მას უნდა გამოეთქვა სურვილი. ამას მხოლოდ 31 აგვისტოს შუადღის პირველ საათზე დაადგა საშველი. მაგრამ სანამ რაიხის საგარეო სამინისტროს კარიბჭეს საზეიმოდ გაუხსნიდნენ, ლიპსკის ვაიცაკერმა მარტივი შეკითხვა დაუსვა: მოდიოდა თუ არა მინისტრთან შეხვედრაზე, როგორც უფლებამოსილი პირი? ლიპსკიმ უპასუხა, რომ მიდიოდა, როგორც ელჩი, რომელსაც მთავრობის დანაბარები უნდა გადაეცა. გერმანელები, ცხადია, ვარშავასთან სატელეფონო საუბრებს უსმენდნენ და ისედაც კარგად იცოდნენ, რომ ლიპსკის უფლებამოსილება არ ჰქონდა. ახლა უბრალოდ ამაზე საბოლოო და ფორმალური დასტურიც მიიღეს. ფიურერმაც 4 საათზე პოლონეთზე შეტევის ბრძანება დაადასტურა.

აქედან ერთ საათში ატოლიკო უკვე რიბენტროპს დაუკავშირდა და დუჩეს სურვილი გადასცა, რომ იქნებ ჰიტლერს ლიპსკი მიეღო. რიბენტ-

როპი შეჰპირდა, რომ ფიურერს მეგობრის თხოვნას აუცილებლად გააგებინებდა. იქამდე ჩიანომ სცადა თავისი: ჰალიფაქსს დაუკავშირდა და უთხრა, რომ თუკი ლონდონში სურდათ, მუსოლინის შუამავლობა გამოსვლოდა, ჰიტლერს დანციგი უნდა მიეღო. ჰალიფაქსმა ამაზე უპასუხა, რომ მანამდე გერმანელებსა და პოლონელებს შორის კონტაქტი უნდა დამყარებულიყო.

ლიპსკი რიბენტროპმა ბოლოს და ბოლოს საღამოს 6.15-ზე მიიღო. პოლონელმა მოახსენა, რომ მისი მთავრობა დადებითად უყურებდა ინგლისელთა წინადადებას ვარშავას და ბერლინს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის დაწყების შესახებ და რომ ოფიციალურ პასუხს ამის თაობაზე მინისტრს რამდენიმე საათში აცნობებდა. იქვე დაამატა, რომ შუადღის პირველი საათის შემდეგ ამის თქმას ცდილობდა. რიბენტროპმა იგივე ჰკითხა, რაც მანამდე ვაიცაკერმა – რა რანგში იყო იგი მისული. ლიპსკიმ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე უბრალოდ „კომუნიკაციას ამყარებდა“. მინისტრმა მიუგო, რომ მას ელოდნენ, როგორც სრული უფლებამოსილების მქონე პირს, მაგრამ, ამის მიუხედავად, საუბრის შინაარსის შესახებ ფიურერს მაინც აცნობებდა. ლიპსკი საელჩოში დაბრუნდა და მისი თქმით, ვარშავასთან დაკავშირება ვეღარ შეძლო, რადგან გერმანელებს სატელეფონო ხაზები გადაეჭრათ.

ეს სიმართლეს კი ჰგავს, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ლიპსკიმ და მისმა მთავრობამ მოლაპარაკებებს საშველი არ დააყენეს. მიუნხენის კონფერენციისა და ჰახას ბერლინში ვიზიტის შემდეგ პოლონელთა სიჯიუტე ერთი მხრივ, ნამდვილად გასაგებია. მაგრამ მეორე მხრივ, დანციგის დათმობის შემდეგ პოლონეთს ჩეხოსლოვაკიური სცენარით დაშლა და რუკიდან გაქრობა, წესით, არ ემუქრებოდა. მართალია, მის ტერიტორიებზე გერმანელთა გარდა უკრაინელები და ბელორუსები ცხოვრობდნენ, მაგრამ საბჭოთა კავშირი პოლონეთზე ვერანაირად ვერ გაიწევდა, თუკი ვარშავა კორიდორს მშვიდობიანად გადააბარებდა გერმანელებს ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის შუამავლობით.

ყველაზე ბოლოს ფარ-ხმალი გერინგმა დაყარა. მან საღამოსკენ დალერუსის რჩევითა და ფიურერის თანხმობით ჰენდერსონი მიიწვია ჩაიზე. ელჩმა მასპინძელს შესთავაზა, პოლონელებს ჰოლანდიის ტერიტორიაზე შეხვედროდა. ცხადია, აქედან არაფერი გამოვიდა. ან ვის უნდა შეხვედროდა გერინგი? შესაძლოა ვარშავას გერმანიის გარეთ შეხვედრისათვის კი გაეშვა უფლებამოსილი პირი, მაგრამ როგორ უნდა ეთქვა

გერინგს ჰიტლერისათვის, რომ პოლონეთზე შეტევა კიდევ ერთხელ გადაევადებინათ იმის იმედით, რომ ჰოლანდიაში წარმატებული მოლაპარაკებების უფრო მეტი შანსი ექნებოდათ, ვიდრე ბერლინში?! გათავხედებული ყოფილი პარტნიორი მანამდე უნდა გაესრისათ, სანამ კარგი ამინდები იდგა და სანამ ფიურერი ჯერ კიდევ ჯანმრთელად იყო (ფიზიკურად).

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ბერლინში ფიქრობდნენ, რომ დანციგის გამო ინგლისელთა მხრიდან რაიხთან ომს არანაირი ლოგიკა და გამართლება არ ექნებოდა. თუკი ლონდონმა გერმანელებს აპატია ავსტრიის მიტაცება, თუკი ლონდონმა გერმანელებს აპატია ავსტრია-უნგრეთის ყოფილი ტერიტორიების მიტაცება, რა ლოგიკით არ უნდა ეპატიებინა თავად გერმანიის ყოფილი ტერიტორიის დაბრუნება? რიბენტროპიც, ალბათ ინგლისელების მიმართ თავისი ჯიბრის გამო, ფიურერს სულ იმას უჩიჩინებდა, რომ ბოლო მომენტში ლონდონი უკან დაიხევდა და რაიხს ეს ახალი ავანტიურაც მშვენივრად შერჩებოდა. თუმცა, ჰიტლერს დიდი შეგულიანება არც სჭირდებოდა. მიუნხენის შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის ლიდერებს ის „ჭიაღუებს" ეძახდა და მათგან არაფერ სერიოზულს არ ელოდა. მთლიანობაში მართალიც იყო, ოღონდ ერთი რამე ავიწყდებოდა: „ჭიაღუები" დემოკრატიულ სახელმწიფოებს განაგებდნენ და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება უწევდათ...

ყველაზე საინტერესო კი მაინც ისაა, რომ მთელი ამ კრიზისის დროს არც ლონდონსა და არც ბერლინში არ გახსენებიათ ჩემბერლენისა და ჰიტლერის ხელმოწერილი დოკუმენტი, სწორედ ის დოკუმენტი, რომელიც მიუნხენიდან დაბრუნებულმა პრემიერ-მინისტრმა აეროპორტში აფრიალა, დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ინგლისი და გერმანია აღარასოდეს იომებდნენ ერთმანეთთან.

გამოცხადება

31 აგვისტოს საღამოს 9 საათზე ყველა გერმანული რადიოსადგურით ჰიტლერის 16-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმის ტექსტი გადაიცა. ამის შემდეგ მოსახლეობას ამცნეს, როგორ ცდილობდა რაიხი მოლაპარაკებებს და როგორ არიდებდნენ ამას თავს პოლონელები. ღამით კი საზღვართან ჰაიდრიხის მიერ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია დადგეს: პოლონურ უნიფორმებში გადაცმულმა SS-ელებმა გლაივიცის

რადიოსადგურთან სროლა ატეხეს და ვითომდა გერმანელები მოკლეს. დაღუპული გერმანელების როლი საკონცენტრაციო ბანაკებიდან წამოღებულ გვამებს დაეკისრათ.

1 სექტემბერს დილით ატოლიკო დუჩეს ზარმა გააღვიძა. მას სურდა, ჰიტლერს იტალია ალიანსიდან გამომდინარე ვალდებულებისაგან გაეთავისუფლებინა. ფიურერმა ეს უპრობლემოდ გააკეთა და დუჩეს მადლობის წერილიც კი მისწერა. თავისი ყოფილი კერპის მიმართ იგი მაინც ინარჩუნებდა მეგობრულ გრძნობებს, მით უმეტეს, რომ მის გარდა მოკავშირე ფაქტობრივად არც ჰყავდა. დილის 10 საათზე კი ფიურერი რაიხსტაგში წარდგა სიტყვით. იქიდან ყველას ამცნო, როგორ ცდილობდა ბოლო წუთებამდე მშვიდობის გადარჩენას, მაგრამ როგორ ჩაეშალა ყველაფერი, როცა პოლონელებმა პასუხად სროლა ატეხეს და გერმანია იძულებით ჩაითრიეს კონფლიქტში. მერე საკუთარი თავი მომავალ ომში რაიხის რიგით ჯარისკაცად გამოაცხადა; ომს ან მოგებამდე მიიყვანდა, ან მას შეეწირებოდა. თავის მემკვიდრედ გერინგი დაასახელა, შემდეგი კი მემკვიდრეთა რიგში ჰესი იქნებოდა. დეპუტატები ფიურერის გამოსვლას მდუმარედ უსმენდნენ. ძველებური ხალისი და ენთუზიაზმი თითქმის აღარ ეტყობოდათ.

ფიურერის მემკვიდრეს კი დალერუსი დილის 8 საათზე დაადგა თავზე და მისგან შეიტყო, რომ ომი „პოლონელთა მხრიდან გლაივიცის რადიოსადგურზე თავდასხმის" გამო დაიწყო. შვედმა მაშინვე ლონდონში დარეკა და საგარეო სამინისტროს გერინგისგან მოსმენილი ამბავი ამცნო. შემდეგ ინგლისელებს ისევ შესთავაზა გადაფრენა და თავისი შუამავლობა, მაგრამ უარი მიიღო: სანამ პოლონეთის ტერიტორიაზე გერმანული ჯარი იდგა, ყველანაირი შუამავლობა გამორიცხული იყო. დალერუსის გარდა გერმანული პროპაგანდის ტყუილი პოლონელთა მხრიდან თავდასხმის შესახებ ლონდონს ჰენდერსონმაც გაუმეორა. შემდეგ ჰალიფაქსს ისიც კი მისწერა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი პოლონეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გერინგთან ჩავიდოდა მოლაპარაკებაზე, როგორც მთავრობის სრულუფლებიანი ემისარი. მალე ჰალიფაქსს ლონდონში პოლონეთის ელჩი დაუკავშირდა და ყველაფერი უამბო. მინისტრი უკვე ისედაც ხვდებოდა, სად იყო სიმართლე და კორდტი მოიხმო, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოახსენა, რომ საერთოდ არ ჰქონდა რაიმე წარმოდგენა მომხდარზე და არც არანაირი ინსტრუქციები გააჩნდა.

რაიხსტაგიდან დაბრუნებულ ჰიტლერს გერინგიცა და დალერუსიც კანცელარიაში დახვდნენ. შვედის თქმით, ფიურერი საშინელ ხასიათზე იყო, სცენები მოაწყო და ინგლისს მუქარები შეუთვალა. თუმცა, სინამდვილეში, ლონდონიდან ჯერ ჩამიჩუმი არ ისმოდა და ფიურერის გარემოცვაში ბევრს ალბათ იმედი მიეცა, რომ დემოკრატიებმა რაიხის კიდევ ერთი თავხედობა გადაყლაპეს. ჰიტლერიც თანდათანობით დამშვიდდა და მალე მუსოლინის კიდევ ერთი წერილი მისწერა. ისევ გადაუხადა მადლობა და აუხსნა, რომ მის შუამავლობის მცდელობას დიდი ენთუზიაზმით მხოლოდ ერთი მიზეზის გამო არ გამოეხმაურა: კარგად იცოდა, რომ პოლონელების სიჯიუტის გამო მაინც არაფერი გამოვიდოდა და არ სურდა, დუჩესნაირი ადამიანი ტყუილად დახარჯულიყო.

მაგრამ დუჩეს შუამავლობის ისტორია ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო. ბონე იმავე დილით ფრანსუა-პონსეს დაუკავშირდა და უთხრა, ჩიანოსათვის გადაეცა, რომ საფრანგეთი თანახმა იყო კონფერენციაზე. საინტერესოა, რომ ბონეს წინაპირობად არ უხსენებია გერმანული ჯარების უკან დაწევა. მაგრამ მალე ფრანგებს ზემოდან (ლონდონიდან) დაურეკეს და გაუწყრნენ: არანაირი კონფერენცია და მოლაპარაკებები, სანამ გერმანია ჯარს არ გაიყვანდა.

საღამოს 7.15-ზე ვილჰელმშტრასეზე გაისმა ზარი, რომელსაც იქ მთელი დღე დაძაბულნი ელოდნენ. ჰენდერსონსა და კულონდრს რიბენტროპის ნახვა სურდათ. რიბენტროპმა მათ ერთად მიღებაზე უარი თქვა. ჰენდერსონს 9 საათზე შეხვდა, კულონდრს კი ერთი საათის შემდეგ დასდო პატივი. ელჩები ერთნაირი შინაარსის ნოტებით მივიდნენ (რაც გასაკვირი არაა, რადგან პარიზი ხომ უკვე დიდი ხანი იყო, რაც ლონდონის ნოტებზე მღეროდა): თუკი გერმანია უკან არ დაიხევდა, მაშინ ინგლისი (საფრანგეთი) პოლონეთის მიმართ თავის ვალდებულებას შეასრულებდა.

2 სექტემბერს დილით, ცხადია, ყველა ინგლისურ (ფრანგულ) ნოტაზე გერმანელების პასუხს ელოდა, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ, უკვე 10 საათზე თავად რაიხის საგარეო სამინიტროს ატოლიკო ესტუმრა. როცა მოახსენეს, რომ რიბენტროპი „შეუძლოდ იყო“, მან ვაიცაკერს გადასცა დუჩეს წერილი, რომელმაც მალე თვითონ მინისტრიც წამოაყენა ფეხზე. ეს გახლდათ კიდევ ერთი ვედრება, რომ გერმანელები კონფერენციაზე დათანხმებულიყვნენ: დანციგი ხომ უკვე მათ ხელში იყო (მრავალტანჯული ქალაქი ომის დაწყებიდან რამდენიმე საათში აიღეს) და, შესაბამისად, სხვა ყველაფერთან ერთად, მორალური დაკმაყოფილებაც

მიეღოთ; ჯარები შეეძლოთ არ გაეყვანათ (ფრანგები ამას დიდად არ აპროტესტებდნენ); ჰოდა, ყველაფერ ამის გათვალისწინებით, იქნებ ორ-სამ დღეში კონფერენცია ჩაეტარებინათ, რაიხი ყველაფერს მიღებდა, რაც იქამდე სურდა და დიდ ომსაც აიცილებდა თავიდან.

როგორც უკვე ვთქვით, წერილმა რიბენტროპიც მალე წამოაყენა ფეხზე. მან შუადღის 12.30-ზე ატოლიკო მიიღო და უთხრა, რომ მუსოლინის გზავნილი წინა საღამოს ელჩებისგან მიღებულ ნოტას ეწინააღმდეგებოდა. ატოლიკომ უპასუხა, რომ დუჩეს წერილი უფრო ახალი იყო და, შესაბამისად, უფრო ვალიდური; ფრანგები თანახმანი იყვნენ კომპრომისზე და ალბათ ინგლისი მათ მაგალითს მიჰბაძავდა. რიბენტროპმა ამაზე მიუგო, რომ ინგლისურ-ფრანგული ნოტა ულტიმატუმს ჰგავდა და უპირველეს ყოვლისა, ეს ამბავი უნდა გაერკვიათ. იტალიელთა დაუღალავი ელჩიც ვილჰელმშტრასედან ჰენდერსონთან გაქანდა, რათა ერთი შეკითხვა დაესვა: წინა საღამოს მის მიერ გადაცემული ნოტა ულტიმატუმი ხომ არ იყო. ჰენდერსონმა უპასუხა, რომ ნოტა გაფრთხილება იყო და არა ულტიმატუმი. გახარებული ატოლიკო რობენტროპთან დაბრუნდა, მან კი უპასუხა, რომ ფიურერი დუჩეს პასუხს მალე მისცემდა, ყველაზე გვიან – მეორე დღეს.

აქედან მალე, 2 საათზე, ჩიანომ ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები მიიღო და მათი თანდასწრებით ჰალიფაქსსა და ბონეს ტელეფონით ატოლიკოსა და რიბენტროპის საუბრის შინაარსი გააცნო. ბონეს იმედი ჰქონდა, თავის მთავრობას ბოლო მომენტში მაინც დაიყოლიებდა კომპრომისზე, ამიტომაც იტალიელებს კონფერენციის იდეაზე უარს არ ეუბნებოდა და ახლაც ჩიანოს მხურვალე მადლობები უძღვნა. მაგრამ ჰალიფაქსს ლაპარაკზე ეტყობოდა, რომ მისგან ხეირი არ იქნებოდა. იგი ჩიანოს შეჰპირდა, რომ მთავრობას დაელაპარაკებოდა. პასუხი მისგან რომში საღამოს 7 საათზე მივიდა: ინგლისი დუჩეს წინადადებას დათანხმდებოდა, თუ გერმანია ჯარებს უკან დახევდა. ჩიანო მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრდა – ჰიტლერი ხომ არაფრის დიდებით არ დათანხმდებოდა ამ პირობაზე.

საღამოს 8.50-ზე ატოლიკო კანცელარიაში ფიურერსა და რიბენტროპს ეახლა და მოახსენა, რომ, რახან ინგლისელები კონფერენციის წინაპირობად გერმანული ჯარის უკან დაწევას ითხოვდნენ, დუჩემ გადაწყვიტა, თავისი შუამავლობა დაესრულებინა. გერმანელებმა ელჩს დუმილით უპასუხეს.

ამ დროისათვის ინგლისელები უკვე ცდილობდნენ, ფრანგები ულტიმატუმის სასწრაფოდ გამოცხადებაზე დაეყოლიებინათ. ჰალიფაქსს, რომელიც დამშოშმინებლიდან საზოგადოებრივი აზრის მედროშედ იქცა, სურდა, ულტიმატუმი 3 სექტემბრის დილის 6 საათზე ამოწურულიყო, მაგრამ ეს სიჩქარე პარიზში არ მოეწონათ. გამელენმა თქვა, რომ ომის სიმძიმე ძირითადად საფრანგეთის კისერზე გადავიდოდა. ამიტომ ფრანგებმა მოითხოვეს, ბერლინისათვის 48 საათი მიეცათ, რათა მანამდე მათ მობილიზაცია დაესრულებინათ. საღამოს 6 საათზე ჰალიფაქსი პარიზში თავის ელჩს დაუკავშირდა, აუხსნა, რომ ფრანგები ლონდონს უხერხულ მდგომარეობაში აგდებდნენ. უხერხულობაში რა იგულისხმებოდა, ორიოდ საათში გაირკვა, როცა ჩემბერლენი თემთა პალატაში წარდგა და თქვა, რომ ბერლინიდან პასუხი ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ თუკი გერმანელები ჯარებს უკან დასწევდნენ, ორ ქვეყანას შორის ძველი ურთიერთობა აღდგებოდა. იქამდე კი მთავრობა პარიზთან კონტაქტს არ წყვეტდა, რათა ბერლინთან მიმართებაში ერთდროულად და შეთანხმებულად ემოქმედათ. ამას პარლამენტართა არნახული რისხვა მოჰყვა, რომელთაც ამდენი დაყოვნება ახალი კაპიტულაციის ნიშნად მიაჩნდათ. დამფრთხალმა პრემიერ-მინისტრმა ოპონენტთა დამშვიდება სცადა და განაცხადა, რომ მეტ მოთმენას ნამდვილად აღარავინ აპირებდა, რომ იგი ფრანგებისაგან სულ მალე მიიღებდა პასუხს და... პასუხი კი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო... საიმონმა (იმჟამად ფინანსთა მინისტრმა) დამშოშმინებელს მოახსენა, რომ კიდევ ერთ ასეთ განკითხვის დღეს მთავრობა ვეღარ გადაიტანდა... ბერლინისათვის სასწრაფოდ უნდა გადაეცათ ულტიმატუმი.

ამ წუთებში, როცა შუამავლობაზე დუჩემაც კი ჩაიქნია ხელი, ხოლო ინგლისელი დამშოშმინებლები საბოლოოდ დაჰყვნენ საზოგადოებრივი აზრის ნებას, რჩებოდა ერთი ადამიანი, რომელსაც დანებება არა და არ უნდოდა. ეს გახლდათ ბონე. საღამოს 9 საათზე მან ჩიანოს დაურეკა და უთხრა, რომ გერმანიის მიერ საფრანგეთისგან მიღებული ნოტა ულტიმატუმი არ იყო და ამიტომაც საფრანგეთი 3 სექტემბრის შუადღემდე დაიცდიდა. თუმცა იქვე დასძინა, რომ გერმანიას პოლონეთის ტერიტორია უნდა დაეტოვებინა. დაღლილმა ჩიანომ უპასუხა, რომ რაიხი ამ პირობას ალბათ არ მიიღებდა. გვიან ღამით ბონე პარიზში იტალიის ელჩს დაუკავშირდა და ახალი იდეა შესთავაზა: გერმანია იქნებ „სიმბოლურად“ მაინც გასულიყო პოლონეთიდან... ჩიანომ გადაწყვიტა, ამაზე საერთოდ არ ეპასუხა.

საღამოს 9.50-ზე ჩემბერლენმა დალადიეს აცნობა, რომ 48 საათის მიცემა შეუძლებელი იყო. სხვა თუ არაფერი, ინგლისის პარლამენტი ამდენს არ მოითმენდა. ამიტომ იქნებ დილის 8 საათზე გადაეცათ გერმანიისათვის ულტიმატუმი, რომელსაც ვადა ზუსტად შუადღისას ამოეწურებოდა. დალადიემ უპასუხა, რომ თუკი ინგლისური ავიაცია საფრანგეთის დასახმარებლად მზად არ იყო, მას დამატებითი დრო ესაჭიროებოდა. ამის შემდეგ უკვე ჰალიფაქსმა დაურეკა ბონეს და იგივე გაუმეორა: დილის 8 საათი და შუადღე. ინგლისელებს ამაზე მეტის მოთმენა არ შეეძლოთ და, შესაბამისად, ფრანგებიც მათ გაგებით უნდა მოკიდებოდნენ. აქ ბონე გაცხარდა და უთხრა, რომ ფრანგებს, სულ ცოტა, კიდევ რამდენიმე საათი სჭირდებოდათ (ცხადია, რამდენიმე საათი არაფერს წყვეტდა, უბრალოდ, ბონე კვლავაც ებღაუჭებოდა იმედს, რომ გერმანია კომპრომისზე დათანხმდებოდა). ჰალიფაქსმა უკან დაიხია და აუხსნა, რომ შუადღისთვის ისევ თემთა პალატა უნდა შეკრებილიყო ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით (მისთვის და ჩემბერლენისათვის). საბოლოდ გადაწყდა, რომ ამ საკითხში მაინც ლონდონი ფრანგებს ბევრს აღარ დააძალებდა და ულტიმატუმს ბერლინს ცალკე გადასცემდა.

წესით და რიგით, დამშოშმინებელ ბონეს თუ არა, დალადიეს მაინც ერთხელ კი უნდა შეეხსენებინა ინგლისელებისათვის, რომ თავის დროზე სწორედ მათ ათქმევინეს პარიზს უარი ჩეხოსლოვაკიის დაცვაზე; რომ ლამის ოცი წელი ლონდონი ფრანგებს გერმანიის მიმართ თავშეკავებას მოუწოდებდა; ახლა, როცა პოლონეთის გამო მორიგ დიდ ომში ჩათრევის შიშით ფრანგები ფეხს ითრევდნენ, ვის ვის და, ინგლისელებს ნამდვილად არ ჰქონდათ მორალური უფლება, მათთვის უმოქმედობის გამო ესაყვედურათ.

მაგრამ რეალობას დავუბრუნდეთ. 3 სექტემბერს, დილის 4 საათზე ჰენდერსონს ებრძანა, დილის 9 საათზე ვილჰელმშტრასეზე საგარეოში მისულიყო და გადაეცა ულტიმატუმი, რომელიც დილის 11 საათზე ამოიწურებოდა (სანამ თემთა პალატა შეიკრიბებოდა). მაგრამ საგარეოში მისულ ელჩს აცნობეს, მინისტრი ადგილზე არ იმყოფებაო და ურჩიეს, დოკუმენტი თარჯიმნისათვის დაეტოვებინა. ჰენდერსონი ასეც მოიქცა და ვილჰელმშტრასედან მალევე წამოვიდა. თარჯიმანი დოკუმენტი-თურთ კანცელარიაში წავიდა. იქ იყო ყველა... თარჯიმანმა ულტიმატუმის თარგმნილი ტექსტი ყველას გასაგონად წაიკითხა.

ჰიტლერი ჩუმად იჯდა, მერე რიბენტროპს მიუბრუნდა. „რა ვქნათ

ახლა?“ – ჰკითხა თავის ანგლოფობ მინისტრს. „მალე იმავე ულტიმატუმს ალბათ ფრანგებისგან მივიღებთ“, – მხოლოდ ეს მოახერხა პასუხად რიბენტროპმა. გერინგი ყველაზე ცუდ გუნებაზე იყო. „ღმერთო, შენ გვიშველე, თუ ეს ომი წავაგეთ“, – ჩაილაპარაკა მან. მალე ავიაციის მინისტრს ისევ დალერუსი დაუკავშირდა და შესთხოვა, როგორმე ულტიმატუმის ვადის ამოწურვამდე განცხადება გაეკეთებინა, რომ ლონდონში მიფრინავდა. ფიურერიც დათანხმდა. 10.50-ზე დალერუსმა ლონდონში დარეკა და ჰალიფაქსს გერინგის ჩამოსვლის შესახებ ამცნო, მაგრამ პასუხად მოისმინა, რომ უკვე ძალიან გვიანი იყო.

ფრანგები კვლავაც დროს წელავდნენ. ბონეს რატომღაც იმედი ჰქონდა, რომ 3 სექტემბერს მაინც ჰიტლერი დუჩეს სამშვიდობო ინიციატივას უპასუხებდა. რაღაც მომენტში ბელგიელებსაც კი სთხოვა, მეფე ჩაერთოთ შუამავლად. 2 სექტემბერს გვიან საღამოს პარიზში ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს, ულტიმატუმი მეორე დილის 10.20-ზე წარედგინათ. ბონეს სურდა, ვადა 4 სექტემბრის დილის 5 საათი ყოფილიყო (იქამდე იქნებ ჰიტლერს დუჩესათვის ეპასუხა...), მაგრამ ამაზე ისევ განრისხდნენ ინგლისელები და საბოლოოდ ვადად 3 სექტემბრის შუადღის 5 საათი დადგინდა. ვადის გადმოწევის ამბავი კულონდრმა იმ მომენტში შეიტყო, როცა უკვე ვილჰელმშტრასესაკენ მიემართებოდა. ინგლისური ულტიმატუმის ტექსტისგან განსხვავებით, ფრანგულში არ ეწერა, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ საფრანგეთი ომს გამოაცხადებდა; ეწერა, რომ საფრანგეთი შეასრულებდა პოლონეთთან თავის ვალდებულებას (რომელიც გერმანიის მთავრობისათვის კარგად იყო ცნობილი). თავიდან რიბენტროპის ნახვა ვერც კულონდრმა მოახერხა (ის სწორედ იმ დროს ჰიტლერთან ერთად ახალ საბჭოთა ელჩს ხვდებოდა) და ულტიმატუმი ვაიცაკერს მიართვა. ამ უკანასკნელმა ულტიმატუმის ჩაბარებაზე უარი განაცხადა და სტუმარს სთხოვა, მინისტრს დალოდებოდა. ეს უკანასკნელი 12.30-ზე დაბრუნდა და მცირე კომედიაც გამართა: ჯერ დუჩეს შუამავლობის ჩაშლა თავის საძულველ ინგლისს დააბრალა, მერე კი კულონდრს უთხრა, რომ ომის გამოცხადებით საფრანგეთი გამოდიოდა აგრესორი.

გამწარებულმა ფიურერმა კი გერმანელი ხალხისადმი მიმართვაში მთელი თავისი რისხვა ინგლისს დაატეხა თავს. ზუსტად ისევე, როგორც 1914 წელს ვილჰელმი ინგლისსა და გარდაცვლილ ბიძამისს (ინგლისის ყოფილ მეფეს) უთვლიდა წყევლა-კრულვას, ფიურერმაც ლონდონს

დააბრალა გერმანიის „მოგუდვის“ მცდელობა. ინგლისელებმა ბოლოს და ბოლოს ჩამოიხსნეს ნიღაბი და „სრულიად უმნიშვნელო“ საბაბით დაუწყეს ომი გერმანიას!!.. შესაძლოა აქ ჰიტლერს თავისივე სიტყვები ახსენდებოდა „1914 წლის რეგვენებზე“ და იაზრებდა, რომ საბოლოოდ თავადაც ისეთივე რეგვენი გამოდგა.

რეგვენიც, უმადურიც და უსამართლოც. უმადური და უსამართლო ჩემბერლენის მიმართ, რომელიც ამ დროს პარლამენტს მიმართავდა და მოთქვამდა, მთელი ჩემი მეცადინეობები წყალში ჩაიყარა, ამიტომ ახლა მთელ ჩემს ძალისხმევას ჰიტლერიზმის დამარცხებისა და ევროპის გათავისუფლებისკენ მივმართავო. იმ ევროპის, რომელიც ჰიტლერისაგან გასათავისუფლებლად სწორედ მან აქცია.

გერმანელი ხალხი ახალი დიდი ომის დაწყების ცნობას მდუმარედ შეხვდა. თუკი 1914 წელს ლამის მთელი ქვეყანა გარეთ გამოვიდა ზარ-ზეიმით, ახლა ქუჩები ფაქტობრივად ცარიელი იყო. არავის სჭირდებოდა ახალი დიდი ომი. დაჩოქილი გერმანია საკმაოდ დიდი ხნის წინ დამდგარიყო ფეხზე და ღირსებაც დაებრუნებინა. დამცირების გრძნობა და შურისძიების სურვილი გერმანელებს აღარ აწუხებდათ. როცა აწუხებდათ, მაშინ ჰიტლერს მოუხმეს, ახლა კი ამ არჩევანის შედეგი უნდა მოემკოთ.

25.07.2019 – 01.10.2020

ბოლოთქმის მაგიერ

ჩემს მკითხველებს ეხსომებათ, რომ „დიპლომატიის ისტორია“ სამ ტომად მქონდა ჩაფიქრებული და მეორე მსოფლიო ომით უნდა დამესრულებინა. მაგრამ ამ წიგნზე მუშაობისას მალევე ვიაზრე, რომ სინამდვილეში ხუთ ტომამდე მომიწევს ასვლა. ესპანეთის სამოქალაქო ომმა, ჩინურმა რევოლუციამ და ჩინურ-იაპონურმა ომმა წიგნის მოცულობა ისე გაზარდა, რომ მეორე მსოფლიო ომს აშკარად ვეღარ ჩავატევდი. შემდეგ ერთი პერიოდი გადავწყვიტე, წიგნი 1941 წლის ივნისამდე მაინც მიმეყვანა (როცა „საზიზღარი გერმანია გადმოვიდა ჩვენს საზღვრებზე“), მაგრამ ესეც შეუძლებელი ამოცანა აღმოჩნდა. საამისოდ, ჩემი შვილის თქმით, ერთადერთი გზა არსებობდა: წიგნისათვის უნდა დამებრუნებინა თავდაპირველი, სამუშაო სათაური (რომელიც ბაკურ სულაკაურმა შემაცვლევინა) – „ევროპული ომები და დიპლომატია“.

ასე რომ, მეოთხე წიგნი მეორე მსოფლიო ომით დაიწყება და დასრულდება სტალინის გარდაცვალებით. სხვანაირად არ შეიძლება: მხოლოდ მეორე მსოფლიო ომი ძალიან მოკლე პერიოდია და ცივ ომში შებიჯება ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს. წერტილის დასმა კი ყველაზე ლოგიკური სტალინის სიკვდილთან იქნება, რომელსაც კორეული ომის დასასრულიც მოჰყვა. რახან ცივი ომის შუაზე გაწყვეტა არანაირად არ ეგების, მეხუთე წიგნიც უნდა დაიწეროს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ამ ეპოქას (რომელიც არ მიყვარს) დაასრულებს.

მეხუთე წიგნის ყდაზე ჯერ კიდევ ვფიქრობ. მეოთხეს ყდას კი უკვე ვიცი, ვინც დაამშვენებს. ესენია: სტალინი, ჩერჩილი, ჰიროჰიტო და ალბათ ტრუმენი (და არა რუზველტი). რატომ ის და არა რუზველტი? ტრუმენი გახლდათ ის, ვინც შექმნა „ნატო" და განახორციელა მარშალის გეგმა. მის დროს დაიწყო ცივი ომი და ამერიკა საბოლოოდ გამოვიდა იზოლაციიდან. რუზველტი კი მხოლოდ 1941 წელს ჩაერთო გლობალურ პოლიტიკაში და მეორე მსოფლიო ომის დასრულებასაც ვერ მოესწრო. ამ ოთხეულიდან ჰიროჰიტო პიროვნულად ყველაზე ნაკლებ როლს თამაშობდა გლობალურ პოლიტიკაში, მაგრამ იგი მაშინდელ იაპონიას განა-

სახიერებს, რომელმაც ლამის მთელი აზია დაიპყრო. ჩერჩილს რაც შეეხება, ის ისტორიაში ყველაზე გაბუქებულ სახელმწიფო მოღვაწედ მიმაჩნია (და რატომ, ამას კარგად ავხსნი), მაგრამ უიმისოდ ყდა ვერ იქნება, მით უმეტეს, რომ აქამდე ვერცერთი ინგლისელი ვერ მოხვდა ყდაზე.